114
1981/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132—599 X

# მნათობი

12

1981

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 58-ე | № 12 | დეკემბერი, 1981 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი — მოგონებანი . . . 3
მკითხველთა გამოხმაურებანი ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებებზე:
იულია ქურაშვილი — ხანძარი არ უნდა დაინთოს . . . 29
ვახტანგ ალიმბარაშვილი — გულამდე ჩამწვდენი სიტყვა . . . 30
იზა ბავაშელი — სულიერი მშვენიერება . . . 32

მურმან ლებანიძე — ლექსები . . . 33
შალვა ფორჩხიძე — ლექსები . . . 38
რუსუდან კაიშაური — ლექსები . . . 41
ზაზა ქინქლაძე — ლექსები . . . 46
გიორგი ზედგინიძე — გატეხილი ხიდი. რომანი. დასასრული . . . 49
ბონდო კეშელავა — ლექსი . . . 110
ედემ კვირტია — ლექსები . . . 112
ბალათერ არაბული — ლექსები . . . 114
თენგიზ კაკუშაძე — ლექსები . . . 116
ბექან თხინვალელი — დაბრუნება. მოთხრობა . . . 118

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გალაკტიონ კაიშაძე — „კატუშა" და ქართველი მეომრები . . . 123
აკაკი გაწერელია — ვეფხისტყაოსნის ორი სტროფის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი . . . 128
მანანა ხელაია — ესეის წარმოშობის საკითხისათვის . . . 137
ვლადიმერ ჯიბუტი — პოეტის კრიტიკული წერილები . . . 149

### ჭაბუა ამირეჯიბი—60

კობა იმედაშვილი — მხმობი . . . 153

### მეცნიერება

აკაკი შანიძე — ექვთიმე თაყაიშვილი . . . 160
ვალერიან მაჭარაძე — ერეკლე მეორის ურთიერთობა ქურთებსა და ასირიელებთან მე-18 ს. 60-70 წლების მიჯნაზე . . . 165

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს მწერალთა მეცხრე ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვები

ხუტა ბერულავა . . . . . . . . . . 170
ჯანსუღ ჩარკვიანი . . . . . . . . . . 172
ელგუჯა მაღრაძე . . . . . . . . . . 175

## ხელოვნება

იოსებ ომაძე — მზიური პეიზაჟების ოსტატი . . . . . 180
გიორგი ლალიაშვილი — მეორე პერსონალური გამოფენა . . . . 184

## წიგნების მიმოხილვა

თ. ქადაგიძე — ათონი, ჯვარი, პეტრიწონი . . . . . 186

ჟურნალ „მნათობის" 1981 წლის ნომრების შინაარსი . . . . . . . 187

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, ა. გომიაშვილი, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე,

ტექრედაქტორი რუსუდან ჩაკვეტაძე

გადაეცა ასაწყობად 19. 11. 81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21. 12. 81 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X$108^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ-საგამომცემლო თაბახი 16,58.
უე 08813. ტირაჟი 22.000. შეკვ. 2944
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, მთ. რედ. მოადგილის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1981.

17130

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი

# მოგონებანი

## ქარხნის საყვირი და ჩვენი ცხოვრება

### 1

ბედმა მარგუნა და დავიბადე, გავიზარდე, შრომითი წრთობა მივიღე მუშის ოჯახში, დიდ მუშათა დაბაში. ბავშვობის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი, ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება ქარხნის საყვირი იყო. მახსოვს, მტრედისფრად ინათებდა თუ არა, მამას, უკვე სამუშაოდ ჩაცმულს, დედა ზღურბლზე ეთხოვებოდა. ხმიანებდა ქარხნის ბოხი საყვირი და ასე მეგონა, მთელ დედამიწის ზურგზე ისმოდა იგი.

სად იყო რადიო, მუშას ვინ მისცემდა საათს. ქარხანა თვითონ უხმობდა მას სამუშაოდ. პირველი გამაფრთხილებელი საყვირი დილის ექვსის ნახევარზე დაიგუგუნებდა, შემდეგ ექვსზე — მომუშავეთა შესაცვლელად, მერე საღამოს ექვსის ნახევარზე — გამაფრთხილებელი და ექვსზე — ისევ სამუშაოდ. ჩვენთან კამენსკოეში, მომავალ მუშათა ქალაქ დნეპროძერჟინსკში, მაშინ ოცდახუთი ათასი კაცი ცხოვრობდა და დროის მთელი თვლა, მთელი ყოფა, ზნე-ჩვეულება, თვით ხალხის შრომა, ერთი სიტყვით, მთელი ცხოვრება ქარხნის საყვირს მიჰყვებოდა.

სწრაფად ჩავიცვამდი ხოლმე და ფეხშიშველი, უჭმელი მამას მივდევდი. თუ ხელსაც ჩამჭიდებდა, ამაყად მიმოვიხედავდი: ხომ ხედავთ, რა დიდი გავიზარდე, უკვე ქარხანაში მივდივარ-მეთქი. მე კი მაშინ ხუთი წელი მისრულდებოდა. მეზობელი სახლებიდან, გვერდის შუკებიდან და შესახვევებიდან სხვა მუშები გამოდიოდნენ. ჩვენ სულ უფრო მეტი ვხდებოდით. თითქმის ყველას გახეხილი კურტაკი და უხეში ბამბის ქსოვილისაგან შეკერილი შარვალი ეცვა. მახსოვს, ძალიან მომწონდა, ყველასთან ერთად რომ მივაბიჯებდი.

ათასობით კაცი ქვემოთ, დნეპრისაკენ, ბაზრის დაღმართისაკენ მიეშურებოდა. აქ მამა მტოვებდა და მალე მისი კარტუზი უთვალავ სხვა კარტუზებსა, კეპებსა და ჩულის ქუდებში იკარგებოდა. მე მხოლოდ შორიდან ვხედავდი, როგორ ინთქმებოდა ცვლა შესასვლელის შავ ხვრელში. ალბათ შვიდი წლისა თუ ვიქნებოდი, პირველად რომ გავიარე ეს შესასვლელი — ხელში ქვაბურა მეკავა, რომლითაც სადილი მიმქონდა მამასთან.

ქარხანა ორ ცვლად მუშაობდა, ცვლა — თორმეტ საათს, მაგრამ იყო დღეები (ცვლათა გარდაქმნისას), როცა მუშები თვრამეტ-თვრამეტ საათს რჩებოდნენ წარმოებაში. სასადილო არ ჰქონდათ, არც შესვენება იყო, რომ სადილად წასულიყვნენ, წაიხემსებდნენ იმით, რასაც შინიდან გაიყოლებდნენ. საჭმელი ზოგიერთებთან ცოლებს, ქალიშვილებს, დებს მიჰქონდათ. შემდეგ გავიგე: ჩემი დედ-მამა არც ქეიფში შეხვედრიან ერთმანეთს, არც ქალაქის ბაღში, არც სტუმრად სადმე და არც კლუბში, რომელიც მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს არც არსებობდა. აქ გაუცვნიათ ერთმანეთი, დნეპრის ქარხნის [illegible] საგლინავ საამქროში.

მამაჩემი მვალცავის თანაშემწე იყო, შემდუღებლად კი სახურებელ ღუმელთან ხნიერი მუშა დენის მაზალოვი იდგა. ის მე კარგად მახსოვს: ძარღვიანი, სიტყვაძუნწი, ნამდვილი რუსი ოსტატი. წარმოშობით ენაკიევოდან იყო, მანამდე ნიკოპოლში უმუშავია. ჩვენს ქარხანაში უკვე დაწვრილშვილებული გადმოვიდა, სადილი მასთან ხშირად უფროს ქალიშვილს ნატალიას მიჰქონდა. ჰოდა, აქ, სახურებელ ღუმელებთან, დგან „280“-თან გაეცვნენ ერთმანეთს ახალგაზრდები. ერთი წლის შემდეგ კი იქორწინეს. მამა მაშინ ოცდარვა წლისა ყოფილა, დედა — ოცისა.

კიდევ რა გითხრათ ჩემს წარმოშობაზე? როგორც ცნობილია, მუშათა ოჯახებს საგვარეულო წიგნები არ ჰქონდათ. ვიცი, რომ მამაჩემი, ილია იაკობის ძე ბრეჟნევი, 1900 წელს შესულა ქარხანაში. იგი კურსკის გუბერნიიდან ჩამოვიდა, სტრელეცკის მაზრის სოფელ ბრეჟნევოდან. სოფლის სახელი ისევე როგორც ჩვენი გვარიც, როგორც ჩანს, იქიდან მოდის, რომ სოფელი წყლის პირზე იყო გაშლილი, ან შესაძლოა ცნება „ბერეჩ“, „ობერეგატ“-იდანაც, რაც სავსებით ესადაგება გლეხის მზრუნველ დამოკიდებულებას მარჩენალი მიწისადმი. მიწას აფასებდნენ, იცავდნენ, უვლიდნენ, საუკუნეების მანძილზე ოფლითა და სისხლით რწყავდნენ. მაგრამ იმავე საუკუნეების მანძილზე სილატაკეს თავს ვერ აღწევდა ხალხი, თორემ ლუკმაპურის საშოვნელად რატომ დატოვებდა მამაჩემი მშობლიურ ადგილებს.

სხვათა შორის, შემდეგ ჩვენთან ერთად ცხოვრობდა ძია არკადი, გვარად ისიც ბრეჟნევი იყო, მაგრამ მამაჩემის ნათესავი არ ყოფილა, ერთი სოფლიდან იყვნენ. სხვებივით ისიც ლუკმაპურის საშოვნელად ჩამოვიდა და მამამ ჩვენს ოჯახში დააყენა. ძია არკადი მეტალურგი გახდა და უკვე იმის შემდეგ, როცა დედაჩემის უმცროსი და ცოლად შეირთო, დაგვიმოყვრდა და ბიძად მერგო. ეტყობა, როგორც ეს რუსეთის სოფლებშია, მოგვარეები ჩვენს სოფელში ბლომად იყვნენ.

ამრიგად, ეროვნებით რუსი ვარ, წარმოშობით — მკვიდრი პროლეტარი, შთამომავლობით მეტალურგი. სულ ეს არის, რაც ჩემს გვარტომობაზე ვიცი.

ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება, თუ რუსეთის მუშათა კლასის გენეალოგიას გავიხსენებთ. მისი სწრაფი ზრდა სწორედ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე დაიწყო. აი ამან გამოიწვია ხალხის უდიდესი მასების ადგილგადანაცვლება, მკვეთრი ცვლილებანი მილიონობით ადამიანის ცხოვრებაში. ცალ-ცალკე თითოეული მათგანის ბედ-იღბალი შეიძლება შემთხვევითობად მოგვეჩვენოს, მაგრამ საყოველთაო ისტორიამ განაპირობა, შეიძლება ითქვას, წინასწარ გადაწყვიტა სამრეწველო რევოლუციამ, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა და სულაც შემთხვევის ბრალი როდი იყო, რომ ჩემი მშობლები ეკატერინოსლავის (ახლანდელი დნეპროპეტროვსკის ოლქი) სანახებში ჩავიდნენ, შემთხვევამ როდი აიძულა ისინი სწორედ სამხრეთ რუსეთში დასახლებულიყვნენ.

ამ მხარეში ბედად ერთმანეთის მახლობლად იყო დონბასის ქვანახშირი და კრივოიროგის მადანი. რკინიგზამ დააკავშირა ისინი. წყლის მაგისტრალი დნეპრი საშუალებას იძლეოდა მზა ლითონი გაეგზავნათ ბეჟიცისა და ბრიანსკის მანქანათმშენებლებთან. ეს ყველაფერი, ერთად აღებული, აგრეთვე იაფი მუშახელის შოვნის უსაზღვრო შესაძლებლობანი, არა მარტო რუსეთის მეწარმეებს, არამედ უცხოეთის კაპიტალისტებსაც იზიდავდა. მაგალითად, დნეპრის ქარხანა აერთიანებდა ბელგიის, პოლონეთის და საფრანგეთის კაპიტალს („კოპიტალს“, როგორც ჩვენთან, უბანში იტყოდნენ და სიტყვა „კოპიც“ — დაგროვებას გულისხმობდნენ). ქარხანა მეტად სწრაფად იზრდებოდა: 1887-დან 1896 წლამდე კამენსკოეს მოსახლეობა 2000-დან 18000 სული გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ციფრები მოყვანილია ვ. ი. ლენინის წიგნში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. იგი წერდა: „ის, რაც წინათ საუკუნეობით იქმნებოდა, ახლა სულ რაღაც ათიოდე წელიწადში ხორციელდებაო“. ეს კლასიკური ნაშრომი ბევრად უფრო გვიან, უკვე როცა სტუდენტი ვიყავი, მაშინ წავიკითხე და ყურადღება მივაქციე, რა გულმოდგინებით და ღრმად გამოუკვლევია ვლადიმერ ილიას ძეს სამხრეთის მეტალურგიის ზრდა. მახსოვს, ერთობ მეამაყებოდა, რომ მსოფლიო პროლეტარიატის დიდ ბელადს, როცა მთელი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებას აანალიზებდა და მთელ რუსეთს თვალს ავლებდა, ჩვენი მხარეც, ყოფილი ჩვენი სოფელი კამენსკოეც არ გამორჩენია, შეისწავლა მისი წარსული, იცნობდა აწმყოს, განჭვრიტა მომავალი.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ტექნიკური აღჭურვილობის მხრივ პირველები იყვნენ სანქტ-პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, პერმის, ვლადიმირის გუბერნიები, მაგრამ უკვე 90-იან წლებში ეკატერინოსლავის გუბერნია ძველ სამრეწველო ცენტრებს უსწრებს და დედაქალაქის შემდეგ მიდის. ურალში „ორთქლის ძალათა რაოდენობა“ ათი წლის მანძილზე ორნახევარჯერ გაიზარდა, სამხრეთში კი იმავე პერიოდში — თითქმის ერთიექვსად. თანაც სამხრეთის ქარხნები ურალის ქარხნებისაგან განსხვავებით უკვე ხის ნახშირს კი არა, ქვანახშირს იყენებდნენ, არც თუჯს ადნობდნენ ცივი ბერვითა და რკინის გამოყვანაშიც მოძველებულ ეგრეთ წოდებულ გუნდის წესზე ხელს იღებდნენ.

„რამდენადაც ურალი დაძველდა, — ასკვნიდა ვ. ი. ლენინი, — და ურალში გაბატონებული წესები „საუკუნეთა ნაკურთხია“, იმდენად სამხრეთი ახალგაზრდაა და ჩამოყალიბების პროცესშია, ამ ბოლო ათწლეულების მანძილზე აღმოცენებული წმინდა კაპიტალისტური მრეწველობა არ იცნობს არც ტრადიციებს, არც წოდებრიობას, არც ეროვნულობას, არც გარკვეული მოსახლეობის კარჩაკეტილობას“.

ვიმეორებ, რომ ეს ყველაფერი უფრო გვიან, სტუდენტობაში წავიკითხე და გავიაზრე. მაგრამ ის, რაზეც ლენინი წერდა, ჯერ კიდევ ბავშვობაშივე მინახავს და სიყმაწვილის წლებიდან დამამახსოვრდა. მრავალენოვანი კილოკავი, სხვადასხვა გუბერნიებიდან მრავლად ჩამოსული დაფეთებული გლეხები, სახელდახელოდ შეკოწიწებული ბარაკები და ბრძმედების, მარტენების, მძლავრი საგლინავი დგანების მშენებლობა — ეს ყველაფერი სულ მცირედ წვრილმანებამდე მახსოვს. ქარხანა, რომელიც იმხანად სამხრეთში ყველაზე დიდი იყო, თავს ადგა ახალშენს. ჩვენში ყველაფერი მას ეტანებოდა და მეც, სხვა მუშათა შვილებისამებრ, ვიცოდი, რომ მამის კვალდაკვალ მივიდოდი საამქროში, გიზგიზა ცეცხლთან დავდგებოდი. სხვა რამეს ჩვენში აზრადაც არავინ გაივლებდა. ქარხანა გუგუნებდა, თავს გვახსენებდა და მე ვიცოდი, რომ ეს იყო ჩემი ხვედრი.

იმ დროისათვის ქარხანა კარგად აღჭურვილად ითვლებოდა, მაგრამ, რასაკვირველია, საამქროებში არც როლგანგები ჰქონდათ, არც ამწე მაგიდები. ვაგონებს ნიჩბებით გადმოტვირთავდნენ ხოლმე, ქვანახშირსაც საცეცხლეში ნიჩბებით ყრიდნენ, შავ ზოდებს ჯაგლაგი ცხენით ეზიდებოდნენ სახურებელ ღუმელებთან, სადაც პაპაჩემი დენისი ტრიალებდა. აქედან გავარვარებულ „ნაჭრებს“, თითო ნახევარ ტონას მაინც რომ იწონიდა, კაუჭებით მიათრევდნენ დგანისაკენ, შემდეგ ხელით გადაათრევდნენ ერთი კალიბრიდან მეორეზე, ბოლო გალიდან კი უკვე გაგლინულ ჯერ ისევ ცხელ ლენტს მაშებით ჩაეჭიდებოდნენ და მიარბენინებდნენ ფილაფენილზე, სადაც ლითონი უნდა გაცივებულიყო.

ისევ გაირინდებოდა თავის ადგილზე (ჩვენში „მარყუჟს“ რომ ეძახდნენ) მაღალ-მაღალი, ბეჭებგანიერი, წინსაფარაკრული და ბანდულებიანი მუშა. კარგად ვხედავდი: მთლად დაძაბული იყო, მაშა ყოველ წამს მზად ჰქონდა. როგორც კი გალიდან გამოაღწევს ვარვარა, მოსისინე, გაბორროტებული გველი, ის მყისვე მოათვინიერებს, ხელის ფართოდ აქნევით სხვა გლინებში გადაისვრის, „გეზს მისცემს“ მას. ზღაპრული ღონის პატრონ გოლიათად წარმომედგინა იმ წამს ადამიანი! ეს მუშა მამაჩემი იყო.

მე რომ შემნიშნავდა, მამა ძია არკადის ან ჩვენს მეზობელ ლუკას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან კიდევ რომელიმე მუშას დაუძახებდა, შემცვალეთო, წყალს ხელებზე გადაივლებდა, პირზე შეისხამდა და გარეთ გამოვიდოდა. მზეზე თვალები ეჭუტებოდა. სადილად იქვე, გამხმარ ბალახზე დაჯდებოდა. ჭამის დროს ხმას არ იღებდა. ზოგჯერ თავზე გადამისვამდა აქერცლილ ხელს, შემეკითხებოდა, სახლში რა ამბავია, დედა როგორ არისო. სადილი ყოველთვის ერთნაირად თავდებოდა, მეტყოდა, წადი, გაისეირნეო. მეც ჩემს მეგობრებთან ერთად გავრბოდი აკვამლებული მილებისაკენ, რომელთა მიღმაც ქარხანა აღარ იყო და არც კი მესმოდა, თუ რა ჯოჯოხეთური შრომა მოელოდა მას კვლავ.

შენობებს იქით უცვეთელა იყო მოდებული და ამ ბარდებში გავდიოდით დნეპრთან. იმ ადგილას ნაპირი ძალიან მაღალი და ფლატიანი იყო. ზემოდან გავცქეროდით გადაშლილ თვალუწვდენ სივრცეს. ქვემოთ ცისფრად ლივლივებდა მდინარე, მოჩანდა მწვანე, ბუჩქნარმოდებული კუნძული, უფრო შორს კი ყველაფერს სილურჯე გადაჰკრავდა, წყალსაც, მდელოებსაც, და გაღმა სოფლებსაც — ნიკოლაევკას და კურილოვკას. ჩვენთვის ქვეყანა იქ მთავრდებოდა.

ბავშვობა ბავშვობაა. აქ დნეპრის ნაპირზე ყველაფერი სიხარულს გვგვრიდა: ფლატეზე ძირს ჩავრბოდით, ვბანაობდით, კუნძულამდე მივცურავდით, ოღონდ გაზაფხულობით არა. წყალდიდობის დროს კუნძულის ხეები იფარებოდა, გაღმა ნაპირი ძლივს ჩანდა. ახლა, როცა გოგოლის ნათქვამს ვიხსენებ, „იშვიათად, რომ რომელიმე ჩიტი შუა დნეპრამდე მიფრინდესო", ასე მგონია, მდინარის ხატი ბავშვობის ხსოვნიდან ამოიღო-მეთქი.

ბავშვობა კაცს ყოველთვის ახსოვს, მაგრამ მინდა თავიდან ავიცილო შეცდომა, რომელიც მოგონებათა ავტორებს ხშირად მოსდით: წარსული ვარდისფრად ეჩვენებათ, თუნდაც იმიტომ, რომ თვითონ იმ დროს ახალგაზრდები იყვნენ.

## 2

ჩვენი ოჯახი მუშათა უბანში სახლობდა, რომელსაც „ქვემო კოლონიას" უწოდებდნენ, აქსიონოვის შესახვევში. სწორედ აქ დავიბადე 1906 წლის 19 დეკემბერს. ამავე ოთახში დაიბადნენ ჩემი ძმა იაკობი და და ვერა.

მცხოვრებთა სულიერი მოთხოვნილებებისათვის ზრუნვა იმით ამოიწურებოდა, რომ სოფელ კამენსკოეში იყო მართლმადიდებელთა ორი ეკლესია, კათოლიკეთა ეკლესია, ლუთერანთა კირხე და ებრაელთა სინაგოგა. სხვა „კულტურის" კერები ქარხნის გამოსასვლელთანვე იდგა: სტრიგულინის ტრაქტირი, სმირნოვის ტრაქტირი და კიდევ უთვალავი ტრაქტირები და სახაზინო ღვინის დუქნები.

დაბის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, „ზემო კოლონიაში" სულ სხვა სურათი იყო: იდგა ქარხნის ადმინისტრაციის ორსართულიანი, ვრცელი, კეთილმოწყობილი სახლები. მაღალი თუ დაბალი, მრგვალი თუ რვაკუთხედი ურიცხვი მილებიდან ამოსროლილი კვამლიც კი იმათგან პირს იბრუნებდა და თითქმის ყოველთვის მუშათა უბნისაკენ მიიწევდა. გვიანღა გავიგე, რომ დნეპრისპირეთის ქარების მიმართულება გაითვალისწინეს. ამიტომ იყო კვამლიანი ჩემი ბავშვობის ზეცა, ჭვარტლის ფენა ედო ჩვენს სახლებს.

„ზემო კოლონიის" ტერიტორიაზე შესვლა მუშებს სასტიკად აკრძალული ჰქონდათ. საღამოობით იქ ელექტროსინათლე კაშკაშებდა, დაბერილ თვლიანი ღია ეტლებით დაქროდნენ მედიდური ქალბატონები და ვაჟბატონები, თითქოს სხვა, ნასვამ-ნაჭამი, ნაპატივები, ზვიადი ჯიშის ადამიანები. ინჟინერი, რომელსაც ფორმის ქუდი ეხურა და ხავერდის საყელოიანი პალტო ეცვა, არასოდეს არ გაუწვდიდა ხელს მუშას, მუშა კი, თუ ინჟინერთან ან ოსტატთან მივიდოდა, ვალდებული იყო ქუდი მოეხადა. ჩვენ, მუშათა შვილებს, მხოლოდ შორიდან, ქალაქის ბაღის რკინის ღობიდან შეგვეძლო გვეცქირა, როგორ დარიალებდა სასულე ორკესტრის ხმაზე „წმინდა საზოგადოება".

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწმყო რომ კარგად გაიგო და დააფასო, კაცმა წარსული ნათლად უნდა დაინახო.

„ძნელად თუ სადმე ნახავთ ისეთ კატორღულ პირობებს, როგორიც კამენსკოეს ქარხანაშია, — ნათქვამი იყო ბოლშევიკების ერთ-ერთ ფურცელში, რომელსაც ჩვენს დაბაში ავრცელებდნენ. — სად ნახულა, რომ სამუშაო მთელ წელიწადს ყოველგვარი უქმე დღეების უქონლად გრძელდებოდეს და ყოველდღე თორმეტ-თორმეტ, ზოგჯერ კი თვრამეტ-თვრამეტ საათს შეუსვენებლად, უსადილოდ და უსაუზმოდ მუშაობდნენ? სად გაგონილა, რომ მუშისათვის შენობის, მანქანებისა და ხელსაწყოების შესაკეთებელ-გასამართავი ფული დაექვითოთ? ეტყობა, ჩვენს სისხლის მსმელებს არ ჰყოფნით ჩვენი შრომით მიღებული მოგება და ყოველი შემთხვევით სარგებლობენ, რომ შარი მოგვდონ, დაგვაჯარიმონ... ნიადაგ ვმუშაობთ, ნიადაგ ჭუჭყში ვზივართ იმისათვის, რომ მეპატრონეთა ქისა სავსე იყოს, ჩვენი კუჭი კი ცარიელი".

სამხრეთ რუსეთის მუშათა რევოლუციური ისტორია ცნობილია. შეგახსენებთ, რომ პირველი სოციალ-დემოკრატიული წრეები აქ ჯერ კიდევ 1885 წელს გაჩნდა. ასეთი წრე კამენსკოეშიც იყო. შემდეგ იგი რეგულარულად იღებდა ლენინურ „ისკრას". ვ. ი. ლენინის დავალებით სხვადასხვა დროს აქ აქტიურად მუშაობდნენ მისი ისეთი მოწაფეები და თანამებრძოლები, როგორიც იყვნენ ი. ქ. ლალაიანცი, ვ. პ. ნოგინი, ვ. ა. შელგუნოვი, მ. გ. ცხაკაია, რ. ს. ზემლიაჩკა, ვ. ვ. ვოროვსკი, პ. ნ. ლეპეშინსკი, გ. კ. ორჯონიკიძე. მაგრამ განსაკუთრებით მინდა ვილაპარაკო სამ ბოლშევიკზე იმ მუშათა პლეადიდან, რომლებიც შეგნებულად პირველნი დაადგნენ რევოლუციური ბრძოლის გზას.

ეკატერინოსლავის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი" 1897 წელს დააარსა ივანე ვასილის ძე ბაბუშკინმა. როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინი მას პარტიის სიამაყეს, ხალხის გმირს უწოდებდა. „ასეთი ადამიანები რომ არა, — წერდა ლენინი, — რუსი ხალხი სამუდამოდ დარჩებოდა მონების, ყურმოჭრილი ყმების ხალხად. ასეთი ადამიანებით რუსი ხალხი ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან გაითავისუფლებს თავს".

ბაბუშკინის წრეში ეზიარა რევოლუციურ მოძრაობას გრიგოლ ივანეს ძე პეტროვსკი. ამ რევოლუციონერი მუშის, შემდეგში ჩვენი პარტიის თვალსაჩინო მოღვაწის სახელი მიენიჭა ქარხანას, სადაც ის ხარატად მუშაობდა. ქალაქ ეკატერინოსლავს მისი დამსახურების აღსანიშნავად დაერქვა დნეპროპეტროვსკი.

მესამე იმათგან, ვისი გახსენებაც მინდა, ნიკიფორე ეფრემის ძე ვილონოვია. იგი სხვებზე ნაკლებად არის ცნობილი. არადა, ეს ნამებულიც განმათავისუფლებელი ბრძოლის გმირი იყო. 1903 წლის ზაფხულში, როდესაც მთელ სამხრეთ რუსეთს გაფიცვების ტალღამ გადაუარა, იგი ეკატერინოსლავში რსდმპ ისკრული კომიტეტის წევრი გახდა. პარტიულ მეტსახელად მიხეილ ზავოდსკოი (ქარხნის კაცი. რედ.) დაირქვა და მართლაც ქარხნის კაცი იყო, კვალიფიციური ზეინკალი, სულისკვეთებით — ჭეშმარიტი მუშა.

როცა ამ ადგილებში რსდმპ II ყრილობაზე მომხდარი გათიშვის ამბავი მოვიდა, ვილონოვი უყოყმანოდ მიემხრო ბოლშევიკებს. მან ვრცელი წერილი მისწერა ვ. ი. ლენინს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო, რადგან მალე დააპატიმრეს და ციმბირს გადაასახლეს. ვლადიმერ ილიას ძემ კი პასუხი მოსწერა და ეს წერილები ათეული წლების შემდეგ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივში შეხვდა ერთმანეთს. ლენინის წერილს შემორჩა ნ. კ. კრუპსკაიას ხელით მინაწერი: „22. XII გავუგზავნეთ მიშა ზავოდსკოის".

უფრო მეტიც, ჩვენი პარტიის დამაარსებელმა „ქალაქ — ვას ერთ-ერთი ქარხნის მუშის" აზრი მთლიანად მოიყვანა თავის ბროშურაში „წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ". ვილონოვს კი ისინი ექვსი წლის შემდეგ შეხვდნენ პარიზში და როცა კრუპსკაიამ შენიშნა, ოდესღაც ეკატერინოსლავიდან საინტერესო წერილებს გვწერდა მიშა

ზავოდსკოიო, ვილონოვმა ჩაილიმა, ეს ხომ მე ვიყავიო. აი, სად გაირკვა.

ვილონოვმა რევოლუციონერის ჩვეულებრივი გზა განვლო — დაპატიმრება, განმარტოებული საკანი, საპყრობილე, გაქცევა, კვლავ დაპატიმრება, გადასახლება. ჟანდარმებმა იგი ნესტიან კარცერში ჩასვეს, ცემით ფილტვები დაუზიანეს, სულ ახალგაზრდა დააჭლექეს. და მაინც ის პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორი და პროპაგანდისტი გახდა, 1905 წლის რევოლუციის დროს კი სამარის მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე იყო. მაშინ მას ოცდაორი წელი შეუსრულდა.

უკვე დავრდომილი მოხვდა იგი ემიგრაციაში, კაპრის კუნძულზე ცხოვრობდა, შიგ შუაგულ ფრაქციულ ბრძოლაში აღმოჩნდა. ცუდი დრო იყო. რეაქციის წლები დადგა, დაიწყო იდეური დაქსაქსულობა, გაჩნდნენ „ოტზოვისტები“, „ღვთისმშენებლები“, „ემპირიომონისტები“ და სხვ. რევოლუციონერი მუშისათვის იოლი როდი იყო ყოველივე ამაში გარკვევა, მაგრამ მას არჩევანი არ შეშლია— ლენინს გაჰყვა. ცნობილია ვლადიმერ ილიას ძის წერილი ა. მ. გორკისადმი, სადაც იგი ყვება მიხეილ ზავოდსკოისთან ხანგრძლივი საუბრის ამბავს და ღრმა რწმენას გამოთქვამს, რომ მუშათა კლასი გამოსჭედს თავის პარტიას — „გამოსჭედს უფრო მალე, ვიდრე ემიგრანტის მდგომარეობის ამ სამგზის წყეული თვალსაზრისით გვგონია, გამოსჭედს უფრო უცილობლად, ვიდრე ეს წარმოგვიდგენია, თუ ზოგიერთი გარეგნული გამოვლინების და ცალკეული ეპიზოდის მიხედვით ვიმსჯელებთ. ამის საწინდარია ისეთი ადამიანები, როგორიც მიხეილია“.

დიახ, ამის საწინდარი იყო ისეთი ადამიანები, როგორიც იყვნენ ბაბუშკინი, პეტროვსკი, ვილონოვი და ათასობით სხვები. და ამ უანგარო მებრძოლებზე იმიტომ ვწერ, რომ უფრო ნათელი გახდეს, რატომ მიჰყვებოდა რუსეთის მუშათა კლასი სულ მუდამ ვ. ი. ლენინს, ბოლშევიკებს, კომუნისტთა დიად პარტიას. 1905 წლის რევოლუციაში დნეპრელი მუშები უკვე უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. ივანოვო-ვოზნესენსკსა და პეტერბურგში, მოსკოვსა და კიევში, ეკატერინოსლავსა, ლუგანსკსა და სხვა დიდ ქალაქებში მუშათა დეპუტატების საბჭოების კვალდაკვალ საბჭო კამენსკოეშიც შეიქმნა. მას გეზს იმთავითვე ბოლშევიკები აძლევდნენ და თავმჯდომარედაც ბოლშევიკი ი. მ. ბესედოვი, ქარხნის ელექტრიკოსი აირჩიეს. შემდეგში შევხვედრივარ მას, სამოქალაქო ომის მერე ჩვენთან ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა, უფრო გვიან კი ქარხნის დირექტორი იყო.

ბრძოლა რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგაც გრძელდებოდა. მიუხედავად მასობრივი დაპატიმრებებისა, მიუხედავად იდეური მერყეობისა, მენშევიკებსა და ესერებს აქ არასოდეს არ ჰქონიათ ძლიერი პოზიციები. ბრძოლა ფართოვდებოდა, იატაკქვეშა წრეები მუშაობდნენ, იყო გაფიცვები, ეწყობოდა მაისობები. მაგალითად, 1912 წლის 4 ივლისს „პრავდა“ წერდა: „გუშინ კამენსკოეს ქარხანაში პოლიციამ 22 კაცი დააპატიმრა, მათ ბრალად დასდეს პოლიტიკური მიტინგის მოწყობის მცდელობა“. გაზეთის ერთ-ერთი მომდევნო ნომერი უკვე იუწყებოდა, „კამენსკოეს ქარხანაში 32 მუშაა დაპატიმრებულიო“. მაგრამ მუშათა კლასის საბრძოლო სულისკვეთების მოტეხა აღარ შეიძლებოდა.

„მარტოოდენ მაშინ, თუ კიდით კიდემდე საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებას წამოვიწყებთ, მარტოოდენ მაშინ, თუ ნიკოლოზ II-ის მიხრწნილ დესპოტიას საბოლოოდ დავანგრევთ და მის ნანგრევებზე დემოკრატიულ რესპუბლიკას ავაშენებთ, შევძლებთ, თავი დავიხსნათ განმეორებით ადამიანთა ჟლეტის საშინელებათაგან... დაე, ჩვენი ბრძოლა ერთიანი, საყოველთაო იყოს, რადგან ძალა ერთობაშია!“ — მოგვიწოდებდა ფურცელი, რომელიც 1916 წელს ხელიდან ხელში გადადიოდა ჩვენს ქარხანაში.

რა თქმა უნდა, იმ წლებში ამ ფურცლებს მე არ ვკითხულობდი, მაისობებზე ჩვენ, ყმაწვილები არ დავყავდით, და საერთოდაც ყველაფერი როდი იყო ჩვენთვის მისაწვდომი და ნათელი, მაგრამ ამ ატმოსფეროში ვიზრდებოდი, მუშათა ფიქრები და სასოება იმთავითვე ახლო იყო ჩემთან. მათ ვეზიარებოდი, როცა უფროსების საუბარს ვისმენდი, როცა მათ გაფიცვების მძიმე დღეებში ვუმზერდი. შემიძლია გითხრათ, რომ მუშაკაცის საუკეთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სო თვისებები ბავშვობის წლებშივე გადამეხსნა.

იგი დიდი მშრომელია, მას უშრეტი მოთმინება ახასიათებს, მან თავისი საქმე იცის და მისი კარგად კეთება სჩვევია. მეფის დროსაც კი, ექსპლოატაციის პირობებშიც კი მას ზიზღს ჰგვრიდა ცუდი ნამუშევარი, რადგან ოსტატობას ყოველთვის აფასებდა და თავის შრომას პატივს სცემდა. კაცობრიობის მიერ დაგროვილი თითქმის მთელი სიმდიდრე მუშის კუნთმაგარი ხელის შექმნილია, მაგრამ თვითონ მუშა როდი მიეჯაჭვა საკუთრებას, მისი სული ვერ ჩაკლა ანგარებამ, მასში ცხოვლად ჩქეფს სულგრძელობა, სილაღე და მარადიული სწრაფვა სამართლიანობისადმი. იგი საზრიანი, გამჭრიახია, ახასიათებს ცინცხალი ჭკუა და იუმორი. მუშა გაბედულია, მამაცი, მეგობრის ერთგული, ყოველ წუთს მზად არის დაეხმაროს ამხანაგს. ქარხნის საყვირი ყველას ერთად უხმობდა ცვლაში, ქარხნის საყვირივე აკავშირებდა მუშებს, წარმოიშვებოდა მაღალი გრძნობა ერთიანობისა, ინტერესთა ერთობისა, იმ პროლეტარული სოლიდარობისა, რომელიც სხვადასხვა ასაკის, გამოცდილების, წეს-ჩვეულების, ეროვნების მილიონობით ადამიანს მძლავრ, მონოლითურ, ჭეშმარიტად რევოლუციურ კლასად ხდიდა.

ამ კლასს განვეკუთვნები მე დაბადებით, მის წრეში ალვიზარდე, მასთან ვარ დაკავშირებული, შეიძლება ითქვას, სისხლხორცეულად. მამაჩემს სული ისე ალმოხდა, რომ მუშა იყო, მუშები იყვნენ პაპაჩემი, დედის ძმები — ბიძაჩემები, მე თვითონაც, როცა დრო დადგა, ქარხანაში შევედი, მე მომყვნენ ჩემი ძმა, და, დის ქმარი... ბრეჟნევთა ოჯახმა თავისი ცხოვრების მრავალი ათწლეული შეალია მშობლიურ ქარხანას, ჩვენს გვარს დღესაც შეხვდებით ქარხნის სიებში.

## 3

უფრო დაწვრილებით ვიტყვი ოჯახზე იმიტომ, რომ ადამიანის ხასიათის, ცხოვრებისადმი მისი დამოკიდებულების საწყისები სწორედ ოჯახშია. ჩემმა მშობლებმა თავის კისერზე გადაიცადეს მეფის მხრივ ჩაგვრის მთელი სიმძიმე, თავიანთი სიცოცხლის მეტი ნაწილი გაჭირვებაში გაატარეს, მაგრამ შინ ყოველთვის თანხმობა სუფევდა. შესაძლოა, რაიმე შეხლა-შემოხლა იყო კიდეც, მაგრამ ჩვენ, შვილები, ამას არ ვგრძნობდით, ხმამაღალი ლაპარაკიც კი არ გვსმენია.

მამაჩვენი თავდაჭერილი, მკაცრი კაცი იყო, არ გვანებივრებდა, მაგრამ რამდენადაც მახსოვს, არც არასოდეს დავუსჯივართ. ეტყობა, არც იყო ამის საჭიროება: ჩვენ მშობლების პატივისცემის სულისკვეთებით ვიზრდებოდით. მამა მაღალ-მაღალი კაცი იყო, ხმელ-ხმელი, და როგორც მგლინავთა უმეტესობა — ძალზე ხელღონიერი. სახის ნაკვთები ნატიფი ჰქონდა, კარგი, ყურადღებიანი თვალები. იგი მუდამ თვალს ადევნებდა თავის გარეგნობას, შინ ყოველთვის სუფთად გაპარსული, აკვალთული იყო, ყველაფერში წესიერება უყვარდა. მისი ეს ჩვევები ეტყობა, ჩვენც გადმოგვეცა. იგი ალსავსე იყო საკუთარი ღირსების გრძნობით, არ ცბიერობდა, გულწრფელობა ახასიათებდა და ამხანაგები პატივს სცემდნენ, ჩვენ, შვილებს, გვსიამოვნებდა, ამას რომ ვხედავდით.

— თუ შეჰპირდი, სიტყვა არ გატეხო, — მეუბნებოდა მამა. — თუ ეჭვი გეპარება — სიმართლე თქვი, გეშინია — ნუ გააკეთებ და თუ გააკეთე — ნულარ შიშობ. თუ დარწმუნებული ხარ, რომ მართალი ხარ — შენსას ნუ გადაუხვევ.

თვითონაც ასე იქცეოდა, მისი სიტყვა და საქმე ერთი იყო.

კამენსკოეში ჭრელი ხალხი ცხოვრობდა. ქარხნის ადმინისტრაციაში ფრანგები, ბელგიელები, პოლონელები მსახურობდნენ. მუშებშიც ბლომად იყვნენ პოლონელები, მაგრამ ადგილობრივნი — უკრაინელები ჭარბობდნენ. ძალიან ბევრნი იყვნენ ელეცკელი, კურსკელი, ორიოლელი, კალუგელი გლეხები. მამაჩემი მშრომელებს არ განასხვავებდა, როგორც ახლა ვიტყვით ხოლმე, ადამიანებს ეროვნული კი არა, კლასობრივი ნიშნის მიხედვით ყოფდა. ჩემთვისაც მაშინ, როგორც მახსოვს, ურიადნიკის ან მდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარი ვაჭრის შვილი, თუნდაც რუსი ყოფილიყო, უცხო იყო, მუშის შვილი კი, იმავე პოლონელი მუშის შვილი, ჩემიანად მიმაჩნდა.

რევოლუციის შემდეგ, როცა ქარხანა რვასაათიან სამუშაო დღეზე გადავიდა და მესამე ცვლა უნდა დაეკომპლექტებინათ, მამა ფაბრიკატორად დანიშნეს. მრავალი წელი იმუშავა მვალცავად, თავის საქმის ოსტატად ითვლებოდა, მაგრამ ახალი მოვალეობა მისგან არა მარტო გამოცდილებას, არამედ სოლიდურ ცოდნასაც მოითხოვდა. ფაბრიკატორი განაცხადს აძლევს მარტენის საამქროს, განსაზღვრავს, რომელი ლუგვიდან შეიძლება მიიღო შეკვეთის პროფილი, რომელი მარკის ფოლადი აირჩიო, როგორ წარმართო თერმული დამუშავება, რომ შეამცირო სითბოს დანაკარგი და ა. შ. არსებითად აქ უკვე საინჟინრო გაანგარიშება იყო საჭირო, მამა კი მრავალი წლის პრაქტიკამ და ბუნებრივმა გონიერებამ მიიყვანა ყოველივე აქამდე.

საბჭოების დროს პელინის ქუჩაზე გადავედით, ქარხნის ახალ სახლში, სადაც პირველ სართულზე ოროთახიანი ბინა მივიღეთ. ერთი ოთახი მამამ ბიძაჩემის ოჯახს დაუთმო. შეხმატკბილებულად, მხიარულად ვცხოვრობდით, სტუმრები ხშირად გვეწვეოდნენ ხოლმე, შუაღამემდე ვმღეროდით და ვსაუბრობდით, დედა უჭმელს არავის გაუშვებდა. სახლი ტრიტუზნაიას სადგურთან იდგა. მაშინ ეს ქალაქის გარეუბნად ითვლებოდა. სახლის უკან გამწვანებული ეზო გვქონდა, აკაციები ჰყვაოდნენ. დილა ჩიტების ჭიკჭიკით იწყებოდა.

მამა დამკვრელთა რიგებში ჩადგა, 30-იან წლებში სტახანოველი გახდა, პატივისცემით იყო გარემოსილი, შვილები ფეხზე დაგვაყენა. ჩვენ უკვე ყველანი ვმუშაობდით, ოჯახს ვეხმარებოდით. ახლა იწყებოდა მისი ცხოვრება, მაგრამ უეცრად ავად გახდა და გარდაიცვალა, როცა სამოცი ჯერ არ შესრულებოდა.

სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მამაჩემს ქარხნის საზრუნავი ასულდგმულებდა. იგი ყოველთვის ცხოველ ინტერესს იჩენდა ყველაფრისადმი, რაც ჩვენს ქვეყანაში, მსოფლიოში ხდებოდა. მეხსიერებაში შემორჩა ერთი საუბარი; რომელიც შემდეგ ხშირად გამხსენებია და მინდა აქაც გავიმეორო. იმ დღეს ცვლიდან დავბრუნდი და, როგორც გვჩვეოდა, მამას ვუამბობდი ქარხნის ამბებს. მაგრამ მამა რაღაცას თავისას ფიქრობდა. შემაწყვეტინა:

— ლონია, რომელია მსოფლიოში ყველაზე მაღალი მთა?

— ევერესტი.

— რამდენია მისი სიმაღლე?

გავვოცდი: რა ამბავია, გამოცდას მიწყობს?

— არ მახსოვს ზუსტად, — ვეუბნები. — ცხრა ათას მეტრამდე უნდა იყოს. რად გინდა?

— ეიფელის კოშკი?

— მგონი, სამასი მეტრია.

მამა დიდხანს დუმდა, რაღაცას თავისთვის ანგარიშობდა. მერე მითხრა:

— იცი, ლონია, რომ დაევალებინათ, უფრო მაღალს გავაკეთებდით. ბრძანონ და ექვსასიოდე მეტრამდე ავწევთ კოშკს.

— რისთვის, მამი?

— იქ, ზემოთ კადონს გავდებდი და ჰიტლერს ჩამოვკიდებდი, რომ შორიდანვე ყველას დაენახა, რა მოუვა იმას, ვინც ომს ატეხს. ხომ შესაძლოა, რომ მარტო არ იყოს ამ ქვეყნად ჰიტლერი, იქნებ, კიდევ არის ვინმე. იმ ვინმესაც ეყოფოდა ადგილი. ა? რას იტყვი?

მთელი სიცოცხლე მუშა იყო, თავში კი ასეთი აზრები უტრიალებდა. მერე როდის? ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ომამდე, ჩვენს გამარჯვებამდე, ნიურნბერგის პროცესამდე, რომელმაც ჰიტლერელთა მოთავეები სამარცხვინო ბოძზე გააკრა. კაცს არ უსწავლია მარქსისტული თეორია, მაგრამ, როგორც იტყვიან, სულითა და გულით გრძნობდა ჩვენი საქმეების დიად სიმართლეს, ხედავდა ფაშიზმისაგან შექმნილ ხიფათს და ზედმიწევნით ზუს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტად გამოთქვა მუშათა კლასის, ყველა მშრომელის დამოკიდებულება ომის საფრთხისადმი.

დედაჩემმა, ნატალია დენისის ასულმა, კიდევ დიდხანს იცოცხლა მამის სიკვდილის შემდეგ. და თუ მამისაგან, როგორც ჩვენში ამბობდნენ, მივილე უდრეკობა, მოთმინება, ის ჩვევა, რომ თუ საქმეს ხელს მოვკიდებდი, უთუოდ ბოლომდე მიმეყვანა იგი, დედაჩემისაგან მემკვიდრეობად დამრჩა გულზიარობა, ადამიანის მიმართ ინტერესი, იმის უნარი, რომ სიძნელეს ღიმილით, იუმორით შევხვდე. მთელი თავისი სიცოცხლე ჯაფა ადგა მას: გვზრდიდა, გვაჭმევდა, გვირეცხავდა, ავადმყოფებს გვივლიდა. მახსოვს ეს, და სამუდამო პატივისცემით განვიმსჭვალე ქალის, დედის მძიმე, უხილავი, უსასრულო და კეთილშობილური შრომის მიმართ.

შემდეგ, როცა ზაპოროჟიეში, დნეპროპეტროვსკში, მოლდავეთში, ყაზახეთში ვმუშაობდი, როგორც კი საშუალება მომეცემოდა, ვინახულებდი დედას, და როგორც შვილი, ყოველთვის დიდი პატივისცემით ვექცეოდი. მეტსაც გეტყვით: კაცი, რომელსაც არ უყვარს დედა, — დედა, რომელმაც სიცოცხლე მიანიჭა, გამოზარდა და აღზარდა, — ასეთი კაცი პირადად ჩემთვის საეჭვო პიროვნებაა. ტყუილად როდი უთქვამს ხალხს, დედასამშობლოო. ვისაც დედის მიტოვება და დავიწყება შეუძლია, ის არც სამშობლოს გამოადგება შვილად.

უკვე მოსკოვში ვმუშაობდი, დედა კი ვერა და ვერ დავიყოლიე, რომ ჩემთან გადმოსულიყო. ისევ იმ სახლში ცხოვრობდა პელინის ქუჩაზე, ისევ იმ პატარა ბინაში — ჩემს დასთან და მის ქმართან ერთად. იგი საქმიანი ინჟინერია, საამქროს უფროსი გახდა ჩვენს ქარხანაში. გვიან შევიტყვე ერთი ამბავი, ოღონდ ნათესავებისაგან არა, მათ ეს ჩემთვის არ მოუწერიათ. ადგილობრივ ხელისუფლებს უხერხულად მიუჩნევიათ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის დედა ასეთ ბინაში ცხოვრობს. შესთავაზეს უფრო დიდი, უფრო ნათელი, ყველაფრით კეთილმოწყობილი ბინა. უნდა შევნიშნო, რომ იმ დროისათვის დნეპროძერჟინსკში ფართოდ გაიშალა საბინაო მშენებლობა. მაგრამ რამდენი არ შეუჩნდნენ, დედამ მაინც უარი თქვა გადასვლაზე, ისევ იმ სახლში ირჩია ცხოვრება. დადიოდა მაღაზიაში ჩანთით, წყრებოდა, თუ ვინმე შეეცდებოდა რიგის დათმობას, წინანდებურად თვითონ უძღვებოდა ოჯახს, ძალიან უყვარდა გამასპინძლება. დღესაც მენატრება მისი შინ ნაკეთები ატრია, ასეთი გემრიელი არსად არ მიჭამია. სალამოობით კი ბებრულ კოფთაში ჩაცმული, მუქ თავშალწამოსხმული ქუჩაში გამოდიოდა, ჭიშკართან სკამზე ჩამოჯდებოდა და გაუთავებლად ემასლაათებოდა მეზობლის ქალებს.

როგორც ხდება ხოლმე, ჩნდებოდნენ ისეთებიც, ვინც ლამობდა ბრეჟნევის დედის გაცნობას თავისი მიზნისათვის, „ინსტანციებში“ გადასაცემად ხელთ სჩრიდნენ მას ათასნაირ საჩივრებს და განცხადებებს. და, უნდა გითხრათ, მაოცებდა მისი გონიერება და ტაქტი, მისი უდიდესი მოკრძალება. დედას ჩემთვის არც ერთხელ არ უთქვამს რაიმე, სხვებისაგან ვგებულობდი ამბებს. მას მიაჩნდა, რომ უფლება არა აქვს ჩაერიოს ჩემს საქმეებში. იცოდა, რა პატივისცემითა და სიყვარულით ვიყავი გამსჭვალული მისადმი, მაგრამ მისი თხოვნით რომ ვინმეს დავხმარებოდი, ვთქვათ, ბინის მიღებაში, ეს ხომ სხვის ხარჯზე იქნებოდა, იმის ხარჯზე, ვინც ვერ მოიფიქრა ან ვერ მოახერხა მისთვის მიემართა. იმას კი შესაძლოა უფრო მეტადაც სჭირდებოდა მხარდაჭერა. დაახლოებით ასე ფიქრობდა დედა, თქმით კი ამას ამბობდა:

— აი ჩემი ხელები. — და აიწვდიდა ძარღვიან, ნაჯაფარ, დამჭკნარ ხელებს. — რითაც კი ძალმიძს, დაგეხმარები. მაგრამ შვილს ვერ ვეტყვი, ესა და ეს გააკეთეო, არ შემიძლია. ასე რომ, მომიტევე, თუ შეგიძლია.

1966 წელს დედა ჩემთან გადმოვიდა, მოსკოვში. იგი ბადიშისშვილებსაც მოესწრო, ცხოვრობდა მშვიდად, სინდისდამშვიდებული. ყველას უყვარდა, ვინც კი იცნობდა. ამაყობდა იმ ნდობით, რომელიც ხალხმა და პარტიამ მის პირმშოს აღმოუჩინეს, და ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იყო, როცა მოცალეობის ჟამს დედას მივუჯდებოდი, საყვარელ ხმას ვუსმენდი, კეთილ, გასხივოსნებულ თვალებში შევცქეროდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 4

ჯერ არ მითქვამს: არა მარტო მამაჩემმა იცოდა წერა-კითხვა, არამედ დედაჩემმაც, რაც მის ახალგაზრდობაში იშვიათი მოვლენა იყო მუშათა უბანში. უყვარდა კითხვა. რომ წამოვიზარდე, მაშინ გავიგე, რად ულირდათ მშობლებს თავიანთი გადაწყვეტილება მოეცათ ჩვენთვის, შვილებისათვის, ნამდვილი განათლება. მათ კი ეს მოისურვეს და კიდევაც გააკეთეს: ცხრა წლისა მიმიღეს კამენსკოეს ვაჟთა კლასიკური გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში. მახსოვს, დედას არ სჯეროდა, რომ მიმიღეს. მთელი ჩვენი მეზობლობაც გაოცებული იყო.

წინათ მუშათა შვილებს გიმნაზიაში საერთოდ არ უშვებდნენ. არც ჩემთვის გაულიათ კარი ფართოდ, მარტო ცხვირი შემაყოფინეს. ეტყობა, ერთი მხრივ, ეს წარმოების მზარდი მოთხოვნილებით იყო გამოწვეული, მეორე მხრივ კი თავი იჩინა რუსეთის რევოლუციური ამბების გავლენამ. მიუხედავად ამისა, ჩვენ საგანგებო კონკურსი მოგვიწყვეს. იღებდნენ ყველაზე ნიჭიერებს, დაახლოებით ერთს თხუთმეტიდან, მუშათა შვილები იმ წელს სულ შვიდი მიგვიღეს. დანარჩენი გიმნაზისტები „ზემო კოლონიიდან“ დადიოდნენ, მოხელეთა, მდიდარ ვაჭართა, ქარხნის უფროსობის წრეს ეკუთვნოდნენ.

ჩვენ „ხაზინის სტიპენდიანტებს“ გვეძახდნენ. ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ჩვენ სტიპენდიებს გვაძლევდნენ, არამედ მხოლოდ იმას, რომ, თუ ფრიადზე ვისწავლიდით, სწავლის ქირისაგან გვათავისუფლებდნენ. ქირა კი ერთობ დიდი იყო — 64 მანეთი ოქროთი. ამდენს თვით ყველაზე კვალიფიციური მუშაც კი არ იღებდა და, რა თქმა უნდა, ძალიანაც რომ მოენდომებინა, მამა ვერ გასწვდებოდა მას.

მე და ყველა ჩემი მეგობარი კარგად ვსწავლობდით. ჯერ ერთი, მომწონდა, რაღაც ახალს რომ ვიგებდი, მეორე, მამაჩემი მკაცრად ადევნებდა თვალს ჩემს მეცადინეობას, და მესამე, ცუდად სწავლა პირდაპირ შეუძლებელი იყო — ჩვენთვის ეს იმას უდრიდა, რომ გიმნაზიიდან გავერიცხეთ.

ჩვენ, მუშათა შვილებს, ისე არ გვეპყრობოდნენ, როგორც „ზემო კოლონიიდან“ მოსულ გიმნაზისტებს. ეს გვაბრაზებდა და გვეუფლებოდა წყურვილი დაგვემტკიცებინა, რომ ტყუის ის, ვინც ამბობს, თითქოს ჩვენ მეცნიერებათა შესწავლის ნიჭი არ გვქონდეს, დაგვემტკიცებინა, რომ ჭკუით არ ჩამოვუვარდებოდით მდიდარი ოჯახების შვილებს, რომლებსაც ბევრ რამეს აპატიებდნენ ხოლმე.

ჩვენი საყვარელი მასწავლებელი იყო ისტორიკოსი კოვალევიჩი. მშვენივრად გვასწავლიდა საგანს, გვიამბობდა არა მარტო მეფეებზე, არამედ რაზინზეც, პუგაჩოვზეც. პირველად მისგან გავიგე დეკაბრისტთა აჯანყების ამბავი, ჩერნიშევსკის, გერცენის სახელები. ის გვასწავლიდა, როგორ უნდა ფიქრი, როგორ უნდა გავიგოთ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებანი და მერელა მივხვდი, რომ ოფიციალური პროგრამის ჩარჩოებს ძალზე შორდებოდა. რასაკვირველია, აზრადაც არ მოგვსვლია, რომ ჩვენი საუკეთესო მასწავლებელი ბოლშევიკი იყო, იატაკქვეშელი. ეს გვიან გავიგეთ, როცა დენიკინელებმა დახვრიტეს. ახლა ქალაქ დნეპროძერჟინსკში კოვალევიჩის ქუჩა გვაქვს. იქნებ ყველა ახალგაზრდამ არც იცოდეს, ვის პატივსაცემად დაარქვეს ამ ქუჩას ეს სახელი. მოხარული ვარ, რომ შემიძლია გითხრათ ეს.

ჩვიდმეტი წლის თებერვალი კამენსკოეში შორეული ქუხილივით გაისმა, თვითმპყრობელობა დაემხო. მაგრამ ომი გრძელდებოდა, პურის რიგი არ მცირდებოდა, მიწა წინანდებურად მემამულეს ეკუთვნოდა, ქარხანას წინანდებურად ფაბრიკანტი ფლობდა. ჩვენშიც „ზემო კოლონია“ ისევ მაღლიდან დასცქეროდა „ქვემოს“, თუმცა უკვე შიშს შეეპყრო. მეპატრონე მეპატრონედ დარჩა, მუშა-მუშად.

სულ სხვანაირად დამამახსოვრდა, მე ვიტყოდი, ხაზგასმით ჩამეჭედა გონებაში, ოქტომბრის დიადი დღეები.

ანაზდად ქარხნის საყვირი უდროო დროს ახმიანდა, დრო თითქოს გაიხლიჩა, ორად გაიპო, ხელახლა დაიწყო. ეს ჩვენთვის სრულიად უჩვეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო იყო და მამების კვალდაკვალ ქარხანას მივაშურეთ. თითქმის მთელი ქალაქი იქით გარბოდა, მუშები საამქროებიდან გამოცვივდნენ, მრისხანედ გუგუნებდა ხალხის ხმა, მოედანზე ღელავდა ზღვა ხალხი, მოჩანდა ფრონტიდან დაბრუნებულ დაჭრილ ჯარისკაცთა ფაფახები, აქა-იქ თვალს მოჰკრავდით ქალის თავშალს, მაგრამ ყველაზე მეტნი მეტალურგი მუშები იყვნენ. და დამამახსოვრდა საყოველთაო აღტყინების, ნამდვილი ზეიმის შეგრძნება...

დაიწყო მიტინგი. გამოვიდა მ. ი. არსენიჩევი, კამენსკოელ ბოლშევიკთა პირველი ხელმძღვანელი. იგი ჩვენთან საქვაბე საამქროში მუშაობდა, რევოლუციურ ბრძოლაში ადრე ჩაება, ფურცლებს ბეჭდავდა და ავრცელებდა. შემდეგ, როცა მოთვალთვალე მიუჩინეს, პეტროგრადს გაემგზავრა და იატაკქვეშელის სახელოვანი გზა განვლო, ციმბირშიც იყო გადასახლებული, მდგარა მათ შორის, ვინც ვ. ი. ლენინს ფინეთის ვოგზალზე დახვდა, მოისმინა მისი ცნობილი სიტყვა, რომელიც მთავრდებოდა მოწოდებით: „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!“ სამოქალაქო ომის წლებში არსენიჩევი თეთრებმა დახვრიტეს, მე კი მიხეილ არსენიჩევის სახელობის მეტალურგიულ ინსტიტუტში მომიხდა სწავლა.

მაშინ მიტინგზე ის ლაპარაკობდა პროლეტარიატის დიადი გამარჯვების შესახებ, ყვებოდა სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობის ამბებს, გამოაცხადა, რომ შექმნილია ამ ქვეყნად პირველი მუშურ-გლეხური მთავრობა და რომ სათავეში ამ მთავრობას უდგას ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვ-ლენინი. ხალხი აზავთდა, გაისმა „ვაშა“. მაგონდება კიდევ, თუ რა სულგანაბული, უკან თავგადაგდებული შევცქეროდი წითელ დროშას, შემოდგომის გაცრეცილი ცის ფონზე რომ ფრიალებდა.

მინდა დავძინო, რომ ყოველი თაობა მემკვიდრეობით იღებს წინა თაობათა მონაპოვარს, მოპოვებულს, აშენებულს, გაკეთებულს, და წინ მიდის, თავის გზას განაგრძობს უკვე ახალ სიმაღლეზე, ისტორიული განვითარების ახალ საფეხურზე. ახალგაზრდებს ზოგჯერ ჰგონიათ, მთავარი უკან დარჩაო. უკან დარჩა რევოლუცია, უკან დარჩა სამოქალაქო ომის ბრძოლები, გიგანტური ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის წლები, უკან დარჩა დიდი სამამულო ომის ჰეროიკაო... ასე ჰგონიათ ახალგაზრდებს, მაგრამ დგება მათი დრო, პაპებისა და მამების ესტაფეტა მათ ხელთ გადადის, და მაშინ ირკვევა, რომ მათ წილადაც მოდის განსაცდელი და დიდი საქმეები.

დღეს მე მანუგეშებს ის აზრი, რომ რევოლუციის მებრძოლთა, პირველი ხუთწლედების მშენებელთა, სამამულო ომის მეომართა თაობებმა ღირსეული ცვლა გამოზარდეს. წინათ წარმოუდგენელი მასშტაბების ამოცანები ახლა შეგვიძლია კომკავშირს, საბჭოების ქვეყნის ყველა ახალგაზრდას დავავალოთ, და ვხედავთ, რომ მათ ახასიათებთ პირადი პასუხისმგებლობა ყველაფრისათვის, რაც კი ჩვენს მიწაზე ხდება, რომ ყოველ წამოწყებაში მათ შეაქვთ თავიანთი რომანტიკული სწრაფვა და, მე ვიტყოდი, ახალგაზრდული აღფრთოვანება. იზრდება ახალგაზრდობა, რომელსაც კომუნისტური რწმენა აქვს, რომელიც უაღრესად ერთგულია პარტიის საქმისა, დიდი ლენინის საქმისა, ოქტომბრის იდეალებისა.

აი ამაზე ვფიქრობ, როცა ვიხსენებ რევოლუციის წითელ დროშას, შემოდგომის მოქუფრული ცის ფონზე რომ ფრიალებდა. ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს არ ამოიშლება, თუ როგორ მოვიდა ოქტომბერი ჩვენს მუშათა დაბაში, დროშა სულ მაღლა აღმართეს, ნომერი პირველი ბრძმედის მილზე.

* * *

ერთობ რთული იყო სოციალური ყოფა ჩემი სიყმაწვილის წლებში, ეპოქათა მიჯნის დროს. უჭირდათ მაშინ დნეპრელებს: „ცენტრალნაია რადას“ ხელისუფლება გერმანელთა ჯარებმა შეცვალეს, მათ პეტლიურა მოჰყვა, 1919 წლის იანვარში პეტლიურა კამენსკოედან წითელი არმიის ცხენოსნებმა განდევნეს. მაგრამ ნახევარი წლის შემდეგ თეთრები მოვიდნენ, მერე მახნოელები, გრიგორიეველები. ზედაპირზე ამოტივტივდა ყოველგვარი ნაყარ-ნუყარა, კრებებზე ენამჭევრობდნენ უკრაინელი „სამოს-

ტიინიკები“, მენშევიკები, კადეტები, ესერები, ანარქისტები. იმ წლებში ფრიად თვალსაჩინო პოლიტიკურ აღზრდას გავდიოდით, ვვაჟკაცდებოდით, როგორც იტყვიან, დღეობით კი არა, საათობით.

და აი, კიდევ რა მინდოდა ხაზგასმით აღმენიშნა: ჩვენი ქალაქი მუშათა ქალაქი იყო, მოსახლეობის უმრავლესობა მუშები იყვნენ და ამიტომ ჩვენში პროლეტარული რევოლუცია მუდამ თავისად მიაჩნდათ, ბოლშევიკების პარტია — თავისად, საბჭოთა ხელისუფლება — თავისად! ამიტომ არჩევანის პრობლემა, თვით იმ საკითხის პრობლემა, თუ ვის გავყვეთ, ვის მხარეზე ვიყოთ, დნეპრელი მუშების წინაშე არ მდგარა. მამაჩემი, მაგალითად, პარტიის, უფრო სწორად, არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა, მაგრამ რევოლუციის პირველი წლებიდანვე აქტიურად უჭერდა მხარს ბოლშევიკებს. უფრო გვიანაც, როცა კომკავშირში შევედი, ხოლო შემდეგ კომუნისტური პარტიის წევრი გავხდი, დედ-მამა ამას ისე შეხვდა, როგორც დიდ და სასიხარულო ამბავს.

რევოლუციის შემდგომ პირველ დუხჭირ წლებში, როგორც კი სამოქალაქო ომის სროლა-ქუხილი მიყუჩდა, ჩვენი ქარხნის სამსხმელო საამქროში ჩამოასხეს თუჯის ძეგლი, შეიძლება ითქვას, უნიკალური. ეს ძეგლი დღესაც დგას დნეპროძერჟინსკის ერთ-ერთ ულამაზეს მოედანზე. მაღალ სვეტზე აღმართულა ლეგენდარული ტიტანი პრომეთე, ბორკილი ჩამოუგლეჯია, ხელთ ანთებული ჩირაღდანი უპყრია, ფერხთით დამხობილი არწივი აგდია, საუკუნეობით რომ სტანჯავდა მას. ეს სიმბოლიკა ნათელია და ჩემი სიყმაწვილის წლებში ყველასათვის გასაგები იყო. ჩვენ ხომ გვახსოვდა, როგორ დაემხო მეფის ორთავიანი არწივი, ცხოველმყოფელი ალი კი მუდამ მეტალურგთა ხელთ იყო. მათ შექმნეს ლითონისაგან ჰიმნი იმისა, ვინც ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა და სამარადისოდ აჩუქა ადამიანებს, ეს პრომეთეს ძეგლი და იმავე დროს მუშათა კლასის მონუმენტია.

დადგა ჩემი ცხოვრების ღირსშესანიშნავი დღე. თხუთმეტი წლისა მუშა გავხდი. გიმნაზიაში, რომელიც ქალაქ კამენსკოეს პირველ შრომის სკოლად გარდაიქმნა, მივიღე სკოლის დამთავრების მოწმობა. უნდა მემუშავა, ოჯახს მივხმარებოდი. ქარხანაში მეცეცხლურად მიმიღეს, შემდეგ ზეინკლად გადამიყვანეს და საკმაოდ სწრაფად ავითვისე ეს პროფესიები. ქარხანას დიდი ხანია ვიცნობდი. საამქროს ხმაური, გრუხუნი, მხურვალე ლითონის სუნი — ყველაფერი მომწონდა.

მაშ ასე, დადგა სანუკვარი დღე, როცა ქარხნის საყვირი ჩემთვისაც ახმიანდა. მამასთან ერთად გავედი ცვლაში და სხვებივით ვშრომობდი. კუნთები მტკიოდა, ოფლი თვალს მწვავდა, მაგრამ ნამდვილად ბედნიერი ვიყავი. ამას სიხარული მოჰყვა: შინ დავბრუნდი, გავიძრე ჭვარტლისაგან თითქმის მთლად გაშავებული სათბურა და დედამ სწორედ ისევე, როგორც მამას აბანინებდა ხელ-პირს, ცივი წყალი დამისხა. მახსოვს, თავი რომ ავწიე, მის კეთილ თვალებში ცრემლი შევნიშნე.

— რა იყო, დედი?

— მიხარია, შვილო, მიხარია, აი შენც უკვე მარჩენალი ხარ.

ერთხელ ვთქვი და აქაც გავიმეორებ: მუდამ მახსოვს ჩემი დამრიგებლები და უფროსი ამხანაგები, რომლებთანაც მიმუშავია დნეპრის ქარხანაში. მათ მომცეს პირველი პროფესია, შემასწავლეს ცხოვრების რთული მეცნიერება, მიჩვენეს შრომის ადამიანის დიადი ძალა და სულიერი მშვენიერება.

ასეთ უნივერსიტეტს ვერ დაივიწყებ კაცი.

# სამშობლოს გრძნობა

## 1

სამშობლოს გრძნობა ჩვენში ყველას ძალზე განვითარებული აქვს. მშვენიერი გრძნობაა! და ის, რა თქმა უნდა, მარტოოდენ ჩვენი მიწა-წყლის სილამაზის მზერით როდი საზრდოობს. მასში, როგორც იტყვიან, ფეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვები უნდა გაიდგა, და როდესაც ადამიანი შრომის ოფლს აპკურებს მას, პურს მოიყვანს, შეუდგება ქალაქის შენებას, გაიყვანს ახალ გზას, ან სანგრებს გათხრის ამ მიწის დასაცავად, — აი მაშინ გაიგებს კარგად, თუ რას ნიშნავს სამშობლო.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩემთვის მშობლიური ქვეყნის გაცნობის ხანა ოციანი წლების დასაწყისს დაემთხვა. მატარებლებით, სამდინარო გემებით, ზოგჯერ ცხენით, უფრო მეტად კი ქვეითად მრავალი ათასი კილომეტრის „გაზომვა“ მიხდებოდა. ყველაფერი კი იმ მხარეში მგზავრობით დაიწყო, საიდანაც მამაჩემის წარმომავლობა მოდიოდა. კურსკის მხარეში გავიგე, თუ რას ნიშნავს გლეხური ცხოვრება, აქ ვეზიარე მხვნელ-მთესველის ჯაფას.

გიამბობთ, თუ რამ გამოიწვია ასეთი მკვეთრი ცვლილება ჩემს ცხოვრებაში. სამოქალაქო ომის შემდგომ რღვევის პერიოდს ვოლგისპირეთში საშინელი გვალვა დაერთო. მაშინ, 1921-1922 წლებში, გვალვა და შიმშილი ასევე დაატყდა თავს უკრაინასაც. მთელ ეკატერინოსლავში იბუგებოდა ნათესები, ერთ მუშას დღეში ნახევარ გირვანქა პურს აძლევდნენ, თანაც არა ყოველთვის. მაგრამ ვიდრე ღუმელებში ცეცხლი გიზგიზებდა, ვიდრე მილები სუნთქავდნენ, ვიდრე ქარხანა მუშაობდა, ჩვენც ვმუშაობდით. მერე კი, როდესაც დნეპრის მეტალურგიული ქარხნის გაჩერება მოგვიხდა, შავი დღე დაგვიდგა.

საამქროებში სიჩუმე გამეფდა, ყველაფერი გამოცარიელდა, მისასვლელ გზებს გასაოცარი სისწრაფით მოედო შამბნარი, რომელსაც გვალვაც კი ვერ აშინებდა. ხალხი ახლომახლო სოფლებში მიმოიფანტა, თუ რამე ჰქონდათ, სურსათზე ცვლიდნენ. ზოგმა ქარხნიდან თან წაიღო ზოლოვანი რკინა, რომელსაც მდიდარი სოფლელები სალტისათვის ილებდნენ. ჩვენი ოჯახი ასეთი ფხიანობით არ გამოირჩეოდა და, როგორც გამოირკვა, გასაცვლელად არც არაფერი მოგვიგროვებია. მამაჩემსა და მე ოჯახის მარჩენლები უკვე აღარ გვეთქმოდა, ჩვენც ტვირთად დავაწექით მას.

კამენსკოეში ცხოვრებამ ყოველგვარი აზრი დაკარგა. უმუშევრებისათვის ბირჟა გახსნეს, მაგრამ ამით საქმე არ მოგვმატებია. ავადმყოფობა მოგვერია, დაიწყო შიმშილი, მეზობელ სახლებში ყოველდღე ვინმე კვდებოდა. ქალაქი დაცარიელდა. ჩვენი ჯერიც დადგა, უნდა დავძრულიყავით ადგილიდან. მახსოვს, წასვლისას უკანასკნელად მიმოვიხედე, ქარხანას რომ გამოვემშვიდობებოდი, და მილებზე, ესტაკადებზე, საამქროთა სახურავებზე ყვავის შავი ბუდეები დავინახე. მძიმე შთაბეჭდილება შემომრჩა: მაღლა ყვავები ტრიალებდნენ, დაბლა კი იდგა გაქვავებული ქალაქი.

ამრიგად, მიწისაკენ დაბრუნება იძულებითი გამოდგა. მაგრამ ახალგაზრდობის გამო მახარებდა კიდევაც მოულოდნელი მოგზაურობა, ეს პირველი იყო ჩემს ცხოვრებაში, თანაც კარგა ხანია მინდოდა მომენახულებინა მამის სამშობლო, გამომეცადა საკუთარი თავი სოფლის შრომაში. უკვე კარგად მესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ შრომას ხალხისათვის და რაოდენ საარსებოდ საჭირო იყო იგი ქვეყნისათვის, რომელმაც შეიცნო პურის ჭეშმარიტი ფასი. და როდესაც კვლავ აამუშავეს დნეპრის ქარხანა, როდესაც ჩემი მშობლები უმცროსი შვილებიანად შინ დაბრუნდნენ, თუმცა მშობლიური საამქრო ძალიან მიზიდავდა, მაინც საჭიროდ ჩავთვალე იქ დარჩენა და კიდევ დიდხანს ვმუშაობდი სოფლის მეურნეობაში — კურსკის მხარეში, ბელორუსიაში, ურალში.

სწორედ იმთავითვე გამიჩნდა ორი რამის დიდი სიყვარული, რის შესახებაც ახლა გიამბობთ. სოფლის შრომისადმი პატივისცემა ბავშვობიდანვე ჩამინერგეს მშობლებმა, კამენსკოესა და მისი მიდამოების მთელმა გარემომ. ჩვენი დაბა განსაკუთრებული გახლდათ. კამენსკოე სანახევროდ სოფლის იერს ინარჩუნებდა, თუმცაღა იქ ნამდვილი, ქარხანაში ნაწრთობი პროლეტარიატი ცხოვრობდა, პროლეტარების შიგ გულში არცთუ შორეული გლეხობის სულისკვეთება სუფევდა. მამა ხშირად მიამბობდა, თუ რარიგ გაუჭირდა თვითონ მას „გლეხობის დათმობა“. ცოტა უბედურება როდი ახლდა მაშინდელ ცხოვრებას, მაგრამ ვხედავდი, თუ რა ფარული მწუხარებით და სინანულით იგონებდა იგი სოფლის გაშლილ სივრცეებს, ხვნას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიბვას, კალოობას, თავისი შრომით მოპოვებულ პურს. პურისადმი ჩვენი ოჯახის უაღრესად მოწიწებითი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, სულაც არ იყო შემთხვევითი. დედაჩემის მხიარული მოსწრებული სიტყვა, რომელიც ყოველდღე ისმოდა ჩვენს სუფრასთან, სამუდამოდ დამამახსოვრდა: „აბა, ბავშვებო, ხომ ჭამეთ, ახლა ნამცეცი ყოველი თქვენს ხელისგულებს მოელის!" სიღარიბემ და სიძუნწემ როდი ათქმევინა ხალხს ეს სიტყვები, რომლებიც ბავშვებს პურისადმი, მე ვიტყოდი, ყაირათიან, თაყვანისმცემლურ დამოკიდებულებას უნერგავდა.

არსობის პურისადმი ამგვარი დამოკიდებულების გარეშე, მე მიმაჩნია, ვერ გაიზრდება ღირსეული, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ზნეობრივი ადამიანი. ახლა სასადილოებში, კაფეებსა და საფუნთუშეებში ლამაზად გაფორმებულ მოწოდებებს აკრავენ ხოლმე, პურს გაუფრთხილდითო. ეს, რა თქმა უნდა, სასარგებლოა, მაგრამ სანაღვლებელი ის არის, ამგვარი მოწოდებანი რომ გვესაჭიროება. მომჭირნეობა ადრეული ასაკიდანვე უნდა დაინერგოს, უპირველეს ყოვლისა, ოჯახებში მშობელთა მიერ.

აქ დროული იქნება იმის გახსენება, რაც 1918 წელს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველმა ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩმა ვ. ი. ლენინს ჰკითხა: „ვლადიმერ ილიჩ, თუ შეიძლება ერთი სიტყვით ითქვას, რისთვის ვიბრძვით ახლა ჩვენ? ვ. ი. ლენინმა დაუყოვნებლივ უპასუხა: „პურისათვის". იმ წლებში იგი წერდა, პურისათვის ბრძოლა სოციალიზმისათვის ბრძოლას ნიშნავსო.

ჩემი ახალგაზრდობის წლებს რომ ვიხსენებ, ახლა ვხედავ: სოფლად მუშაობა ძალზე საჭირო და ფრიად მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოსათვის. მეც ბევრი რამ ვისწავლე და გავიგე აქ. შემდეგში დნეპროძერჟინსკს დავუბრუნდი, ქარხანაში მივედი, ინჟინერ-მეტალურგი გავხდი, მაგრამ თვით დრომ შემიწყო ხელი, რომ მთლიანად არ გავმიჯნოდი სოფლის საქმეებს. სასოფლო საქმის ცოდნა და საქარხნო ცხოვრების ჩემი გამოცდილება ერთმანეთს გადაეჯაჭვა, ისინი შეერთდნენ, მათ ერთმანეთი შეავსეს. მთელი შემდგომი ცხოვრების მანძილზე თითქმის თანაბრად მიხდებოდა ორივეს კეთება. ორივე საქმის სიყვარული შეერწყო ერთიმეორეს. და მეც მადლობელი ვარ ბედისა, რომ ცხოვრების გაკვეთილები მომცა გლეხის ყანაშიც და ქარხანაშიც.

მაგრამ აქ, ცოტა არ იყოს, გავუსწარი მოვლენათა მსვლელობას, მაშინ კი, ყველაზე მძიმე პერიოდში, სოფლის ცხოვრება რომ გავიგე და ვხნავდი, ვთესავდი, ვმკიდი, ნამდვილად შევეთვისე მიწას, და 1923 წელს კურსკის სამიწათმომწყობო ტექნიკუმში შევედი. საკონკურსო გამოცდები საკმაოდ კარგად ჩავაბარე და მომატებული სახელმწიფო სტიპენდიაც მომცეს.

ტექნიკუმი ძველებური იყო, მას კარგი სასწავლო ბაზა და დიდი ხნის პროგრესული ტრადიციები ჰქონდა (აქ, სხვათაშორის, ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩიც სწავლობდა). ოთხწლიანი სწავლების პერიოდში ჩვენ საფუძვლიან ცოდნას ვიღებდით მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში. აქ ინსტიტუტის დონეზე ისწავლებოდა სპეციალური საგნები — გეოდეზია, ზოგადი გეოლოგია, ნიადაგთმცოდნეობა, გეოგრაფია, სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა. ჩვენ ლენინის შრომებს ვკითხულობდით არა თხზულებათა კრებულის ახლა შეჩვეულ ტომებში, არამედ თხელ ბროშურებში, ისევ სტამბის საღებავის სუნი რომ ასდიოდა. ჩვენ ვსწავლობდით საბჭოთა მშენებლობას, სსრ კავშირის სახელმწიფო სამართალს, და შჩიგროვსკის მაზრაში პირველი პრაქტიკისთანავე დავრწმუნდი, რომ მიწათმომწყობს არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც ეს ცოდნა ძალიან სჭირდება.

ჩვიდმეტი წლისა კომკავშირში მიმიღეს და ამის შემდეგ თავს ვალდებულად ვთვლიდი, მონაწილეობა მიმეღო ყველა საზოგადოებრივ წამოწყებაში. ამგვარი წამოწყება კი, უნდა ითქვას, ბლომად იყო. ჩვენ გავდიოდით წითელ შაბათობებზე, ვატარებდით მასობრივ კამპანიებს „ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა!" და „დახმარება უპატრონოებს", ვხსნიდით სოფლებში ქოხ-სამკითხველოებს, ვუშვებდით კედლის გაზეთებს, ვდგამდით

სპექტაკლებს, ვატარებდით სასოფლო ყრილობებს, ვუხსნიდით მოჯამაგირეებს თავიანთ უფლებებს, ყველაფერს ხელსა ვკიდებდით, ყველგან საქმე გვქონდა.

**2**

მაშინ ავითვისეთ ერთი ჭეშმარიტება: დროს არა მარტო განფენილობა, არამედ მოცულობაც აქვს. შეიძლება უმიზნოდ ფლანგო, გაიყვანო დღეები და საათები, მაგრამ შეიძლება მათი შეკუმშვა, შემჭიდროება, უკიდურესობამდე დატვირთვაც. და მაშინ აღმოჩნდება, რომ ძალიან ბევრის გაკეთება მოასწრებ.

ვცხოვრობდით საერთო საცხოვრებელში ხერსონის ქუჩაზე, ზოგჯერ გვშიოდა და გვციოდა კიდევაც, ვისაც როგორ შეეძლო, ისე ეცვა: ვატარებდით სატინის ხალათებს, მუშურ გაქონილ კეპებს, ყუბანურებს, ბუდიონურებს. ჰალსტუხებზე იმ დროს, ცხადია, უარს ვამბობდით. მაგრამ ოციანი წლების კომკავშირელები შინაარსიანად და საინტერესოდ ცხოვრობდნენ. ქვეყნის გასაჭირი ჩვენი გასაჭირი იყო; ჩვენ ვოცნებობდით ნათელ მომავალზე მთელი კაცობრიობისათვის, ვბობოქრობდით, ვპაექრობდით, გვიყვარდა, ვკითხულობდით და თვითონაც ვთხზავდით ლექსებს.

პოეზიის მცოდნეებად არ ვთვლიდით თავს, ყველაფერზე უფრო მაღლა ვაყენებდით ლექსების აქტუალობას, პოლიტიკურ მიმართულებას. ჩვენთან პოეტებიც კი იყვნენ, კომკავშირული პოეტები.

ერთხელ რკინიგზით ვმგზავრობდი, იმავე ვაგონში ჩემი თანატოლი ქალიშვილი იჯდა, ისიც სტუდენტი. საუბარი გავაბით. ქალიშვილმა მიჩვენა რვეული ისეთი ლექსებისა, ჩვეულებრივ ალბომში რომ აგროვებენ ხოლმე, განსაკუთრებული ის იყო, რომ ამ რვეულში აღმოჩნდა ლექსი, რომელიც ადრე არასოდეს შემხვედროდა, — „ვოროვსკის სიკვდილის გამო", მაშინ ჩვენ მწარედ განვიცდიდით ჩვენი ელჩის მკვლელობას, ამ ლექსმაც ამაღელვა და აქვე გავიზეპირე... პირველი სტრიქონიდან — „ეს მოხდა ლოზანში..." — უკანასკნელ სტროფამდე:

> А утром в отеле с названьем «Астория»
> Посол наш убит убийцы рукой,
> И в книге великой российской истории
> Жертвой прибавилось больше одной.

მახსოვს, კურსკში მაიაკოვსკი ჩამოვიდა. ცხადია, ჩვენ, კომკავშირელები, რკინიგზელთა კლუბში შევცვივდით, სადაც მისი საღამო გაიმართა. სუფთად ჩაცმული ხალხი მტრულად შეხვდა პოეტს. „აი, თქვენ კოლექტივისტად თვლით თავს, — ყვიროდნენ დარბაზიდან, — მაშ, რატომღა წერთ ყველგან: „მე, მე, მე?" პასუხიც დაუყოვნებელი იყო: „თქვენ როგორ გგონიათ, განა მეფე კოლექტივისტი იყო? ის ხომ ყოველთვის ასე წერდა: „ჩვენ, ნიკოლოზ მეორე". ხმაური, ხარხარი, ტაში. ან კიდევ ასეთი ეპიზოდი. უკანასკნელი რიგიდან ორი ახალგაზრდა წამოდგა, მათ, როგორც ჩანს, მაიაკოვსკის ლექსების მოსმენას განცალკევებით ყოფნა არჩიეს. და აი, როდესაც ისინი ნელა გადიოდნენ რიგის გასწვრივ, გაისმა პოეტის მძლავრი ხმა. მაიაკოვსკიმ ხელი მათკენ გაიშვირა და თქვა: „ამხანაგებო! ყურადღება მიაქციეთ ამ „რიგიან" ყმაწვილებს რიგიდან რომ გადიან". ისევ ატყდა ხარხარი და ტაშის გრიალი.

მაიაკოვსკი კითხულობდა ნაწყვეტებს პოემიდან „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი". სუნთქვაშეკრულნი ვუსმენდით, ილიჩის სიკვდილი სულ ახლახან დაგვატყდა თავს და ეს სახალხო ტკივილი ყოველი ჩვენგანისათვის ღრმა პირადი ტკივილიც იყო.

> მოკლეა
> და ჩვენც
> უკანასკნელ წუთამდე ვიცით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულიანოვის
სიცოცხლის გზები.
უნდა აღწერო
და ხელახლა
აღწერო ისევ
დიდი ლენინის
ცხოვრება გრძელი...

ეს სიტყვები არაჩვეულებრივი ძალით ჟღერდა. მაიაკოვსკი ისე მშვიდად ლაპარაკობდა, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, მაგრამ მისი ბანი ბოლო რიგამდე აღწევდა. და მართლაც, მან ჩვენთვის ყველაზე მაღალი ცნება „ხელახლა გამოაბრწყინა“.

ჩვენი პარტია და ლენინი —
ტყუპნი არიან, —
ისტორიაში
ვინ იქნება
უფრო ჩენილი.
ვამბობთ — ლენინი
და ვგულისხმობთ
მუდამ პარტიას,
ვამბობთ — პარტია
და ვგულისხმობთ —
ჩვენი ლენინი.

ჩამოქნილი სტრიქონები სულსა და გულს ედებოდა, თავისთავად გამახსოვრდებოდა.

საღამოზე მაიაკოვსკიმ წაიკითხა კიდევ ლექსი „კურსკელ მუშებს, პირველი მადნის მომპოვებლებს...“ ამ ლექსმა მე გამახსენა ქარხანა — ბრძმედები, მარტენები. გულმა შინისაკენ გამიწია. მაგრამ სწორედ მაშინ, 1927 წელს, სწავლა დავამთავრე, მიწათმომწყობი გავხდი და მუშაობას შევუდექი კურსკის ოლქის ერთ-ერთ მაზრაში. შემდეგი საველე სეზონი ბელორუსიაში გავატარე, ორშთან, მერე ახალ ადგილზე დამნიშნეს და გავემგზავრე — უკვე მარტო კი არა, მეუღლესთან ერთად — ურალზე, ჯერ მიხაილოვსკის, შემდგომ კი ბისერტის რაიონში. ჩემი მომავალი მეუღლე ერთ-ერთ კომკავშირულ საღამოზე გავიცანი. ისიც ჩემნაირ მუშურ ოჯახში გაიზარდა და ბელგოროდიდან კურსკში ასევე სწავლისათვის ჩამოვიდა. იმ დროიდან ვიქტორია პეტროვნა ჩემთვის მუდამ იყო და არის არა მარტო მეუღლე და ჩემი შვილების დედა, არამედ ნამდვილი ძვირფასი და გულისხმიერი მეგობარი.

იქ დიდხანს მომიხდა დაყოვნება, მრავალი ვერსი გავიარე ურალის მიწაზე, ბევრი ვიმუშავე და სამუდამოდ შევიყვარე ეს მხარე, მისი ადამიანები და დიდებული ბუნება.

ეს იყო რთული დრო, როდესაც ყოფის ძველი, დამკვიდრებული ფორმები ირღვეოდა, ახლის ყლორტები კი ჯერ მხოლოდ იწვერებოდნენ და საჭირო იყო მათი მუყაითი ძებნა, მოვლა, გამოზრდა. საკავშირო კპ (ბ) XV ყრილობამ, რომელიც 1927 წლის დეკემბერში გაიმართა, დაამტკიცა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შემდგომი მშენებლობის პროგრამა. ლენინურ კოოპერაციულ გეგმას რომ ახორციელებდა, ყრილობა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის კურსს დაადგა. და საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახდენდა ულრმეს სოციალურ გარდაქმნებს სოფლად, რომელიც სოციალისტურ რელსებზე გადადიოდა. სწორედ ამ ოთხ წელიწადში — 1927-1931 წლებში მომიხდა მეც სოფლად მუშაობა, კოლმეურნეობების შექმნა, უდიდესი სოციალური რევოლუციის მოვლენების შუაგულში ყოფნა.

ადრე ჩემი სპეციალობის ადამიანებს ხშირად მიწისმზომელებს უწოდებდნენ. ახლა სახელწოდება შეიცვალა, ჩვენ მიწათმომწყობები გავხდით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. სასოფლო-სამეურნეო არტელებს რომ ქმნიდნენ, ადამიანები აერთიანებდნენ მიწას, საქონელს, სამეურნეო ნაგებობებს, ინვენტარს. და ჩვენ, მიწათმომწყობებს, უბრალოდ როდი უნდა გვეშალა მიჯნები, რათა რუკაზე მიწის განცალკევებული ერთპიროვნული ზოლები ერთ კოლექტიურ მინდვრად გაგვეერთიანებინა. ამის გაკეთება აუცილებლად იყო საჭირო ახალ სოციალურ, მეცნიერულ, ეკონომიკურ და ტექნიკურ საფუძველზე, იმ მსხვილ სოციალისტურ მეურნეობათა ინტერესების გათვალისწინებით, რომლებიც ნავარაუდევი იყო თანამედროვე აგროტექნიკისა და ყველა სამუშაოს ფართო მექანიზაციისათვის მომავალში.

ჩვენ ვქმნიდით ახალ რუკებს — კოლმეურნეობებში ორგანიზებული, მეცნიერული მიწათსარგებლობის პირველ რუკებს. ჩვენი რუკები დიდხანს ემსახურებოდა კოლმეურნეობებს, აგრონომები მათ ომის შემდეგაც იყენებდნენ. მე კი პირველი კოლექტიური მეურნეობების შექმნის პერიოდში შეძენილი მიწათმოწყობის გამოცდილება კარგად დამეხმარა მომავალში ჩრდილოეთ ყაზახეთში, ყამირზე ასობით ახალი საბჭოთა მეურნეობის ჩამოყალიბების დროს.

მიწათმომწყობად მუშაობის წლებში ასობით ადამიანის თვალში პირველად ვიგრძენი, რომ საბჭოთა ხელისუფლების სრულუფლებიანი წარმომადგენელი ვიყავი. გლეხები პარტიის პოლიტიკაზე მსჯელობდნენ იმის მიხედვით, თუ როგორ დაიდგმებოდა ნიველირი და საზომი, საითკენ გავიდოდა ტრასა, იმის მიხედვით, თუ როგორ იქცეოდა ადამიანი კულაკებთან შეხლა-შემოხლის დროს: აქ, ყანაში, ყველა ნათლად ხედავდა, ვისთვის და ვის წინააღმდეგ იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლება.

კარგად დამამახსოვრდა პირველი ტრაქტორი ბისერტის რკინიგზელებმა გლეხებს რომ აჩუქეს. ეს იყო პატარა, სუსტი „ფორძონი", მაგრამ მას არანაკლები აღფრთოვანება მოჰყვა, იქნებ მეტიც, ვიდრე პირველ თანამგზავრს. განა უბრალოდ მანქანა გავიდა მინდვრად, ეს იყო სოფლის სოციალური გარდაქმნის იარაღი, ეს იყო საკოლმეურნეო წყობილების პროპაგანდისტი და აგიტატორი.— ადგილობრივმა კულაკებმა და მათმა დამქაშებმა ხმა გაავრცელეს, „რკინის ცხენით" მოხნული მიწა მოსავალს არ იძლევაო, მაგრამ ყველასათვის გასაოცრად ბევრი პური მოვიდა და მაშინ მათ ღამით ბელელს ცეცხლი წაუკიდეს. მხოლოდ ბისერტელი კოლმეურნეების გმირობის შემწეობით მოხერხდა ხორბლის გადარჩენა.

და ეს ყოველივე ხდებოდა არა კინოში, არა წიგნებში, არამედ პირად ცხოვრებაში. სხვა კომკავშირელებთან ერთად არაერთხელ შევჯახებივარ კულაკებს მინდვრებში, მიკამათია მათთან სასოფლო ყრილობებზე. ჩვენ გვემუქრებოდნენ მარგილებით, ფიწლებით, ღვარძლიანი ბარათებით, ფანჯარაში ნასროლი ქვებით. ერთხელ გაზეთებში წავიკითხეთ, რომ მეზობელ ტიუმენის ოლქში კულაკებს ჩაედინათ საზიზღარი დანაშაული, რომლის ამბავი მასობრივი კოლექტივიზაციის პერიოდში პირველად მოედო მთელ ქვეყანას. ღამით ისინი დაუდარაჯდნენ ტრაქტორისტ პეტრე დიაკოვს რომელსაც კაბინაში ეძინა, ნავთი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. ჩვენ მწარედ განვიცადეთ ჩვენთვის უცნობი, მაგრამ უცებ ახლობლად ქცეული თანამებრძოლისა და ამხანაგის საზარელი სიკვდილი. და კიდევ უფრო მტკიცედ და შეუპოვრად შევუტიეთ საძულველ კულაკებს.

მალე სიმღერაც შეითხზა ამ ტრაქტორისტზე. ჩვენ შეგვიყვარდა ის და დაუსრულებლად, თანაც ხშირად ფეხზე ამდგარნი ვმღეროდით კოლექტივიზაციის გმირის მოსაგონებლად.

**По дорожке неровной, по тракту ли —**
**Все равно нам с тобой по пути.**
**Прокати нас, Петруша, на тракторе,**
**До околицы нас прокати!**

არსებითად გულთბილ, ლირიკულ, გულითად სიმღერას ჩვენ უკვე მრისხანედ ვამთავრებდით და ამ სიტყვებით საკუთარ თავს მივმართავდით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

Огрызаются, лютые, лаются,
Им нерадостен наш урожай...
Кулачье до тебя добирается:
Комсомолец, родной, не плошай!

მხოლოდ წლების შემდეგ, დაახლოებით ოცდაათი წლის შემდეგ გავიგე, რომ პეტრე დიაკოვი სასწაულებრივ გადარჩენილა და თანაც მთელი ომი გამოუვლია. ერთი სიტყვით, ეს კაცი, მართლაც რომ, სიმღერის გმირი გახლდათ.

მაშინ კი 1929 წელი იყო, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც დიადი გარდატეხის წელი სოციალისტური მშენებლობის მთელ გიგანტურ ფრონტზე, როდესაც სახალხო ეკონომიკის წამყვანი დარგის — მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად ქვეყანაში დაიწყო მსხვილი, მექანიზებული სოფლის მეურნეობის შექმნა.

ამას წინათ სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტიდან იმ წლების ზოგიერთი დოკუმენტი გამომიგზავნეს.

აი ამონაწერი საკავშირო კპ (ბ) ბისერტის რაიკომის პლენუმის 1929 წლის 5 დეკემბრის ოქმიდან:

„**ამხ. ბრეჟნევი:** ის გეგმა, რომელიც ჩვენთან დასახულია საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩასატარებლად, უდიდეს სიძნელეებთან არის დაკავშირებული, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, რომელიც ჩვენ აუცილებლად გვესაჭიროება, არა გვაქვს, მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოწოდების საკითხი მწვავედ დგას. მრავალმინდვრიან თესლბრუნვაზე ზოგიერთი სასოფლო საბჭოს გადაყვანასთან დაკავშირებით ჩვენში შემცირდება საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობი. განვლილმა მიწათმოწყობამ საუკეთესო მიწები გადასცა მოსახლეობის ღარიბ-ღატაკი და საშუალო გლეხობის ნაწილს, ამასთან დაკავშირებით ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ეს მიწები დაითესოს. უეჭველია, აქ კულაკების მავნებლობა იქნება. მაშასადამე, სრულად უნდა გამოვიყენოთ ყველა საშუალება, რომლებიც ეძლევა გლეხობის ღარიბ-ღატაკ და საშუალო ნაწილს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კრედიტების განაწილებას ღარიბ-ღატაკთა ჯგუფებისათვის, რომლებიც უკვე ჩამოყალიბებულია. მე საკოლექტივიზაციო მუშაობაში დიდ ნაკლად მიმაჩნია ამ მუშაობის გეგმების უქონლობა, მას სასოფლო საბჭოებიც გეგმიანად არ უძღვებოდნენ. შეფები სოფლებში ჩასვლისას კოლექტივიზაციის საკითხებზე ყურადღებას არ ამახვილებდნენ...“

ამ დოკუმენტში დროის ნამდვილი სურათია, შფოთიანი და საკმაოდ მძიმე დროისა. საქმე სოფლად მთელი ძალების დაძაბვას მოითხოვდა. მე ძალ-ღონეს არ ვიშურებდი და ადამიანების ნდობად აღვიქვი ჩემი არჩევა ბისერტის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატად. ამასთან ერთად დამნიშნეს რაიმიწგანის გამგედ, შემდეგ ამირჩიეს რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ. 1931 წლის დასაწყისში კი ამას მოჰყვა ახალი დანიშვნა სვერდლოვსკში — ურალის სამიწათმოქმედო საოლქო სამმართველოს უფროსის მოადგილედ. მე და ჩემი მეუღლე სვერდლოვსკში ჩავედით, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ გადავწყვიტე მშობლიურ ქარხანაში დაბრუნება — ზეინკლად მუშაობა და ერთდროულად ინსტიტუტში სწავლა.

## 3

აი, როგორ მოხდა ეს. მთელი ეს წლები ჩემიანების წერილების, გაზეთების მეშვეობით თვალს ვადევნებდი იმას, თუ რა ხდებოდა ჩვენს ქარხანაში, დნეპრელმა მუშებმა თავად მოითხოვეს ქარხნის აღდგენა, დელეგაციაც გაგზავნეს მოსკოვში. მუშათა წარგზავნილებმა მოახერხეს შეხვედროდნენ... 

„უნდა მოგახსენოთ, იმ კოლოსთაგან, თავის დროზე რომ მოქმედებდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთში, ერთი კოლოსი ყოველწლიურად ამზადებდა 20 მილიონ ფუთზე მეტ პროდუქციას. ეს კოლოსი, ეგრეთ წოდებული დნეპრის ქარხანა, გუშინ, 28 აპრილს, 2 საათზე გაიხსნა და პირველი ბრძმედიც აამოქმედა".

რა თქმა უნდა, ეს ამბები მაღელვებდა, სულს მიფორიაქებდა, ვერ დამევიწყებინა, რომ ჩვენი ქარხანა სულ უფრო იზრდება და მძლავრდება, არადა, ურალი ისეთია, ველ-მინდვრებისა და მდელოების სურნელში მუდამ ატანს ინდუსტრიის ჩვეული სურნელი. სადაც უნდა წახვიდე, ყველგან წარმოგიდგება თვალწინ საქარხნო მილები და ამ მილების თავზე ავარდნილი კვამლი. შიგ ბისერტშიც და მის ახლომახლოც იყო დემიდოვის ძველი ქარხნები — ნიჟნისერგიევსკის, მიხაილოვსკის, რევდინსკის. სვერდლოვსკზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. სწორედ მაშინ გაჩაღდა აქ „ქარხანათ ქარხნის" — „ურალმაშის" უმაგალითო მასშტაბის მშენებლობა.

მე ასე ვფიქრობდი: კოლექტივიზაციაში უკვე მოხდა შეუქცევადი ძვრა. 1931 წლის შუახანებისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო ქვეყნის ინდივიდუალურ მეურნეობათა ნახევარზე მეტი, ინდუსტრია კი ეს-ეს არის ძალას იკრებს. დღეს სწორედ იქ, ინდუსტრიულ ფრონტზე. გადის სოციალიზმისათვის ბრძოლის წინა ხაზი. უმრეწველობოდ, უელექტროენერგიოდ, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ფართო ქსელის უქონლად ვერც სოფლის მეურნეობას დაადგება საშველი. ქვეყანას ლითონი სჭირდებოდა; ორ მესამედ თუჯს იძლეოდნენ სამხრეთის ქარხნები, რომელთაგან უდიდესად ითვლებოდა დნეპრის ქარხანა, საწარმო, ფ. ე. ძერჟინსკის სახელი რომ მიენიჭა, — ჰოდა, ჩემი ადგილიც იქ ყოფილა.

სწორედ ასე დავუბრუნდი მშობელ მხარეს. რა თქმა უნდა, გამიჭირდებოდა თან მუშური სპეცტანსაცმლით მეარა ცვლაში და თან საღამოობით მესწავლა ინსტიტუტში. მაგრამ არც ჯანი მაკლდა და არც შეუპოვრობა.

1931 წელს მშობლიურმა ქარხანამ პარტიაში მიმიღო. გუშინდელივით მახსოვს, 24 ოქტომბერი იყო. საკანდიდატო ბარათის ნაცვლად უბეში ჩავიდე № 1713187 პარტიული ბილეთი. ვიცოდი, რომ ეს ბილეთი მანიჭებს არა შეღავათებს, არამედ ახალ, ფრიად რთულ მოვალეობებს. მაინც მგონია, ნებისმიერ ჩვენგანს, კომუნისტს რომ ჰკითხონ, სხვა გზას ხომ არ აირჩევდიო, მტკიცედ იტყოდა: არა, არ ავირჩევდიო. არ ავირჩევდით იმიტომ, რომ ჩვენი გზა — ეს არის ხალხის, პარტიის უანგარო სამსახურის გზა.

დრო კიდევ უფრო მეტად შემიმჭიდროვდა. საამქროებში მიმდინარეობდა რეკონსტრუქცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩვენი ქარხნის მთავარი ინჟინერი ი. პ. ბარდინი, მომავალი აკადემიკოსი, იდგმებოდა ახალი აგრეგატები, ინერგებოდა მექანიზაცია. ერთი სიტყვით, სამუშაო სამყოფად გვქონდა. ინსტიტუტშიც საინტერესო ცხოვრება ჩქეფდა. ყველანი ვეჭვოდით და ვეწაფებოდით ცოდნას. თანაც, მაშინ არჩეული ვიყავი ფაკულტეტის პარტჯგუფორგად, შემდეგ პროფკომის თავმჯდომარედ და, ბოლოს, მთელი ინსტიტუტის პარტკომის მდივნად. ეს ამხანაგების დიდი ნდობა იყო. ნდობა, რა თქმა უნდა, მახარებდა, თანაც, მუდამ მიყვარდა ადამიანთა შორის ყოფნა, თავდავიწყებით მუშაობა.

30-იან წლებში განსაკუთრებით მწვავედ დადგა კადრების, უწინარეს ყოვლისა, მეცნიერულ-ტექნიკური ინტელიგენციის სწავლების, აღზრდის, იდეური წრთობის ამოცანა. სწორედ ამიტომ, ერთობ პასუხსაგებად მივიჩნიე სამუშაო, 1933 წელს რომ შემომთავაზეს: მესამე კურსის სტუდენტი დამნიშნეს მუშფაკის ხელმძღვანელად, მერე კი დნეპროძერჟინსკის მეტალურგიული ტექნიკუმის დირექტორად. გულიანად ვმუშაობდი. მინდოდა ყველაფერში წავდგომოდი ამხანაგებს. დღემდე შემომრჩა მაშინდელი ბრძანებების დავთარი. ღიმილით გადამიფურცლავს ძველი ბრძანებები, ახლა თითქოს მიამიტურადაც რომ გამოიყურება, მაგრამ მაშინ ეს პოლიტიკა იყო. ჩვენს მოვალეობად ვრაცხდით გვებრძოლა ყოველი ჩვენი სტუდენტისათვის, ყოველნაირად ვუჩიჩინებდით ქარხნელ ჭაბუკებს ესწავლათ, ვცდილობდით როგორმე ხელი გაგვემართა მათთვის პროფკავშირული სესხით, ზოგჯერ, დაგვენაყრებინა კიდეც ჩვენს სასადილოში. ერთხელ ქალაქში გვეწვია ცნობილი მეტალურგი მეცნიერი. საბრძმედე პროცესის თეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიის შემქმნელი აკადემიკოსი მ. ა. პავლოვი. როგორც იყო, შევპირე იგი გამოსულიყო მუშფაკელთა წინაშე. გული სიხარულით მევსებოდა იმის შემყურეს, თუ როგორ უსმენდნენ აკადემიკოსს ჩემი თანატოლები. ეს ბიჭები შემდეგ დადგნენ ჩინებული წარმოების მეთაურები — არა ძველი ყაიდის „სპეცები“, არამედ ენთუზიასტები, ნოვატორები, კომუნიზმის იდეალების ერთგული ადამიანები.

მაგრამ ტექნიკუმში მუშაობა, პარტიული დავალებები და საზოგადოებრივი საქმენი თავად მე სწავლისაგან როდი მათავისუფლებდა. ვხაზავდი საკურსო პროექტებს, ვაბარებდი გამოცდებს. მაგრამ სულაც არ მოველოდი ამის გამო რალაც შეღავათებს. პირიქით, მდგომარეობა მავალებდა თავად ვყოფილიყავ სხვებისათვის სამაგალითო — განა შემეძლო სხვისგან მომეთხოვა ბეჯითად და მონდომებით ესწავლა, თუ მე თვითონ სხვათა შორის ვისწავლიდი? მოვიყვან კიდევ ერთ დოკუმენტს — სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის 1935 წლის 28 იანვრის სხდომის ოქმის ამონაწერს:

„**მოისმინეს:** თბოძალური განყოფილების V კურსის სტუდენტის ლ. ი. ბრეჟნევის სადიპლომო პროექტის დაცვა თემაზე: „ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ქარხნის პირობებში საბრძმედე აირის ელექტროსტატიკური გაწმენდის პროექტი“. კათედრამ ნამუშევარი შეაფასა: თეორიული ნაწილი — ფრიადზე, პროექტი — ფრიადზე“

აირწმენდის ამოცანების გადაწყვეტისადმი დაკვირვებული მიდგომა და დაწერილი გაანგარიშებანი მოწმობენ პროექტის ავტორის ჩინებულ საინჟინრო მომზადებას.

ამხ. ბრეჟნევმა ყველა შეკითხვას ამომწურავი პასუხი გასცა

**დაადგინეს:** სადიპლომო შრომა შესრულებულია ფრიადზე. მიენიჭოს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს თბოძალური დანადგარების ინჟინრის წოდება“.

ძალური საამქროს ცვლის უფროსად ჩემს ახალ მუშაობაზე მოკლედ ვიტყვი: ეს იყო წელი, როცა არ გვაკლდა დაძაბული შრომა, ოპტიმალური საწარმოო რეჟიმების ძიება, ცხარე კამათი, დამკვრელური ვახტები, შეხვედრი გეგმები, ღამის გამოძახებები, ხშირად კი ავრალებიც.

ამავე წელს ჩემს ცხოვრებაში ახალი მკვეთრი შემობრუნებაც მოხდა: მე წითელ არმიაში გამიწვიეს.

დილით უწყებით გამოვცხადდი სამხედრო კომისარიატში და იქ ვნახე ჩვენი სტუდენტი არკადი კუცენკო. თურმე ორივეს, რაკი შესაბამისი განათლება გვქონდა, გვგზავნიდნენ ჩიტაში, სატანკო სკოლაში, რომელსაც მაშინ იმიერბაიკალის ჯავშანსატანკო აკადემია ერქვა. ისევ უნდა გამოვთხოვებოდი ქარხანასა და მეგობრებს, ახლობლებს, ისევ უნდა გავმგზავრებულიყავი შორეულ მხარეს.

— გინდა სამხედრო იყო? — მკითხა კუცენკომ. — ვინ იცის — მივუგე მე. — იქნებ ჩვენს ცხოვრებაში ესეც მაგრა გამოგვადგეს.

## 4

ორმოც დღესა და ორმოც ღამეს მიიწევდა აღმოსავლეთისაკენ ჩვენი სამხედრო ეშელონი. გზად მოსკოვი უნდა გაგვევლო და იმედი მქონდა, რომ გავიდოდი წითელ მოედანზე, თვალს შევავლებდი კრემლს, ვნახავდი ლენინის მავზოლეუმს, მაგრამ ეს მხოლოდ უკან დაბრუნებისას შევძელი.

თან ნაღველი შემომაწვა და თან რალაც სიხარულმა ამიტანა: ასეა, როცა უკან გრჩება ცხოვრების რალაც ეტაპი, და წინ მოგელის ახალი, შეუცნობი რამ, როგორც პოეტმა თქვა, შორეთს იქით შორეთი...

კაცის გუნება ასეთია: ყველა ის ადგილი, სადაც მიმუშავია, ახლაც გულით მიყვარს, ღვიძლად მიმაჩნია. მომწონს ხორბლის ყანებში მიმოფანტული უკრაინული სოფლების თეთრ-მწვანე კუნძულებიც, ბელორუსიის პეიზაჟების თითქოსდა შეუმჩნეველი, მაგრამ გულში ჩამწვდომი სიტურფეც, მოლდავეთის ბაღ-ვენახების უხვი ყვავილობაც და ყაზახეთის უკიდეგანო სტეპებიც, მეტადრე გაზაფხულზე, როცა ველებს ფიანდაზად მოჰფენია ტიტები და ყაყაჩოები... იმ ორმოც დღეში კი მთელმა ქვეყანამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს თვალწინ გაიარა, მივდიოდი, მივდიოდი, და ჩემ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა.

სამხედრო ბანაკი, სადაც ჩვენ ჩავედით, ჩიტის მახლობლად, პესჩანკის სადგურის მიდამოებში იყო. ყვითელ მიწაზე იდგა გრძელი ულიმღამო დაბალ-დაბალი ბარაკები, ჯერ კიდევ იაპონელებს რომ აეშენებინათ. შუაში პლაცი გაემართათ, ირგვლივ კი პიტალო კლდეები წამომართულიყო. დამახსომდა ზანტი აქლემი, ტაატით რომ მოჰქონდა წყლის კასრები. წყალი აქ საერთოდ არ იყო, იგი ჩამოჰქონდათ, და აბანოში (აბანო კი მოგეხსენებათ, ჯარისკაცისათვის პირველი საქმეა) კაცზე ორ სათლ წყალს იძლეოდნენ.

დაგვირიგეს ფორმა, დაგვყვეს ასეულებად, და მე სატანკო ბატალიონის პირველ ასეულში მოვხვდი, ასე დაიწყო სამხედრო სამსახური.

— ადექით! მარდად, ტყვიასავით!

სიცხე იყო თუ ყინვა, ქარი თუ ქარაშოტი — ჩვენ, წელამდე შიშვლები, დილის ვარჯიშზე გამოვცვივდებოდით, შემდეგ კი მწყობრად მივდიოდით სასაუზმოდ. მერე — საწესდებო მეცადინეობა, სამწყობრო მომზადების ხანგრძლივი საათები და ზემდეგ ფალილეევის დარიგება, რომელიც ჩვენდამი განსაკუთრებით მკაცრი იყო:

— აქ ინსტიტუტი არ გეგონოთ. აქ ტვინის განძრევაა საჭირო. სმენაა-ა! ყველგან სიმღერით დავდიოდით — ყველას გვიყვარდა „რა დაგვაკლეს მომხვდურებმა". და ჩვენც გულიანად ვაგუგუნებდით, სიმღერას ვუწყობდით მწყობრ ნაბიჯს, სულ მალე ჩავები ამ ცხოვრებაში.

ამ ცოტა ხნის წინათ, როცა ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში ვიმოგზაურე, პესჩანკაშიც გახლდით. სულ მთლად სხვა დაბა დამიხვდა, თუმცა იქ დღესაც არის სასწავლო ჯარის ნაწილი. არის მხედრული დიდების მუზეუმი, სადაც დავინახე ჩემი პორტრეტი, იმ წლებში რომ გადავუღივარ ტანკისტის მუზარადში; ჯარისკაცებს სიყვარულით შეუგროვებიათ დიდი სამამულო ომის მასალები, ფოტოსურათები, მცირემიწელთა საბუთები. მერე ახალგაზრდა მეომრებმა მიმიპატიჟეს, და ვნახე სახლი, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. არც აქ დამიხვდა ბარაკები, სადაც ჩვენ გავდიოდით სამსახურს — თანამედროვე ოთახები, ნათელი ფანჯრები, გაწყობილი საწოლები, გაკრიალებული იატაკი. მაშინ კი, არსებითად საცხოვრებელი ფონდი არც გვქონდა, ტანკები ტრანშეებში გვეყენა, ეგ იყო, მანქანაზე ზემოდან ბრეზენტი გვქონდა წაფარებული.

ჩვენთვის მთავარი იყო მხედრული სამსახური. როგორც არმიაშია ხოლმე, დიდ ყურადღებას ვუთმობდით სპორტს — ორძელზე ვარჯიშს, ფრენბურთს, ზამთრობით — სათხილამურო ლაშქრობებს. მახსოვს, მარტოსაც გამივლია გრძელი გზა თხილამურით. ასე, ოცდაათი-ორმოცი კილომეტრი. ეს მაშინ იყო, როცა ჩამოსული სარდლობისათვის პატაკი მიმქონდა.

ჩვენთვის ხშირად უთქვამთ, ტანკისტებს ფეხით ლაშქრობაც უნდა შეეძლოთო. ფარაჯებს მხარზე გადავიგორგლავდით, ფეხსაცმელს მოვირგებდით, და ბრძანებაზე — „მარშზე იარ!", დავიძრებოდით. ლაშქრობები შორეული გვქონდა, თავდაპირველად ფეხსახვევს ხეირიანად ვერც ვიხვევდით და ხშირად ვიხეხავდით ფეხს. ყველაფერი ეს იყო. ერთხელ, გაზაფხულზე, ასეთი მარშ-ლაშქრობის დროს მთებს შუა მოვარდნილმა მდინარემ გადაგვილობა გზა, ჩვენ უკვე ლაშქრობიდან ვბრუნდებოდით, სიმღერით მოვაბიჯებდით, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. და უცებ: წყლის ზღუდე. გვესმის მეთაურის ხმა: „რას გაჩერდით!" ვდუმვართ: რაო, ვერა ხედავ, წყალზე რომ ვერ გავივლითო? თანაც ძვალში გამტანი ქარი იყო. იმ ადგილებში ადრეული გაზაფხული სითბოთი არ გვანებივრებდა. ერთიც ვნახოთ, მეთაურმა გიმნასტურა გაიხადა, შიგ პირადი იარაღი გაახვია, თავსზემოთ დაიჭირა და გვიბრძანა: „მომყევით!" წყალი ყინულივით ცივი იყო. მდინარიდან რომ ამოვედით, კბილს კბილზე ძლივს ვაცემინებდით. აქ კი ახალი ბრძანება: „სირბილით იარ!" ეგ არაფერი, გავუძელით.

ასე იწრთობოდა ნებისყოფა, ასე ყალიბდებოდა ხასიათი — საბჭოთა ჯარისკაცის ხასიათი. მერე კი დაიწყო ყველაზე საინტერესო: მეცადინეობა ტაქტიკაში, მატერიალური ნაწილის შესწავლა, ტანკების ტარება. ჩვენ მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ „ტ-26“ და „ბტ-4“ საშუალო ტანკებს ვითვისებდით, დღეს, ეს მანქანები, რა თქმა უნდა, მოისუსტებს. მაგრამ მაშინ ისინი მრისხანე იარაღად გვესახებოდა. ვისროდით ადგილიდან, ვესროდით გაქანებული ტანკიდან სამიზნეებს, და სიამაყით ალგვევსო გული, როცა თვით ბატალიონის მეთაურმა კოპცოვმა სროლა ფრიადზე შეგვიფასა.

დღესაც დიდი კმაყოფილებით ვიგონებ ამ მომთხოვნ მეთაურსა და გულისხმიერ კაცს. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ დავმეგობრებულიყავით (იგი მეთაური იყო, მე კი კურსანტი), მაგრამ ბატალიონის მეთაური კარგად მექცეოდა. მეც ასევე პატივისცემით ვეკიდებოდი. საღამოობით ხშირად ვსაუბრობდით საარმიო სამსახურზე, შესაძლო ომზე. შემდეგ ვასილ ალექსის ძე კოპცოვი ხალხინ-გოლის ბრძოლებში მონაწილეობდა, საბჭოთა კავშირის გმირობაც მიიღო, სამამულო ომს გენერლად შეხვდა და მერე... გმირულად დაიღუპა ფრონტზე. ეს იყო პირველი კადრის ოფიცერი, რომელიც მე გავიცანი, სწორედ ასეთებზე იტყვიან ხოლმე — ვაჟკაცსა გული რკინისაო... ბუნებით ეს სიტყვაძუნწი, მტკიცე, მუდამ შემართული, მხნე კაცი ჩემთვის დამრიგებელიც იყო და მაგალითიც, მაგალითი ნამდვილი მეთაურისა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მოახმარა საბჭოთა ჯარისკაცების, ისეთი ჯარისკაცების აღზრდას, ნებისმიერ მომენტში რომ შეეძლოთ აღმდგარიყვნენ ჩვენი დიადი სამშობლოს დასაცავად.

მახსოვს ასეთი ეპიზოდი. იმ ადგილს, სადაც ჩვენი ნაწილი იყო განლაგებული, მდინარე ჩიტინკა ჩამოუდიოდა. გვიყვარდა ნაპირზე გასვლა: დავცქეროდით კამკამა გამჭვირვალე წყალს, ბევრგან რომ მოჩანდა ფსკერი. ჰოდა, ერთხელ კოპცოვმა გვითხრა:

— აი, თქვენ ყველანი ინჟინრები ხართ. აბა, სინჯეთ და გადაწყვიტეთ ასეთი ამოცანა: თქვენი ტანკებით ვაკეზე მიდიხართ, სძლევთ დაბრკოლებებს, მანქანას კუთხით აყენებთ ბორცვზე; მაგრამ თუ გიფიქრიათ ვინმეს როგორ გადაიაროთ ტანკით მდინარის ფსკერი?

და იცით, რა: ჩვენ მართლაც გაგვიტაცა ამ საქმემ. დავიწყეთ ფიქრი, ვარაუდი, რა შეიძლებოდა გაგვეკეთებინა. საბოლოოდ, ამოცანა მაინც გადავწყვიტეთ.

რა არის ეს? ერთგვარი სიჩაუქის გამომუშავება? არა, ჩვენ ბატალიონის მეთაურის ბრძანება ისე შევიცანით, რომ იგი გვამზადებდა ნებისმიერი სირთულისათვის, რომელშიც ტანკის ეკიპაჟი შეიძლებოდა მოხვედრილიყო უკვე არა წვრთნის დროს, არამედ საომარი მოქმედების ორომტრიალში. და იქ მოგვიხდებოდა გადაგვეწყვიტა გაცილებით უფრო რთული ამოცანები, ვინემ პოლიგონზე, პლაცზე, აი, რისთვის გვამზადებდა კოპცოვი და ბევრნი ვუმადლოდით ამისათვის. ჩვენი ბატალიონიდან გამოსულმა ტანკისტებმა ჩინებულ მეთაურებად გამოიჩინეს თავი სამამულო ომის წლებში. აბა, როგორ არ გაიხსენო კაცმა სუვოროვის სიტყვები „წვრთნაში გაიჭირვე და ბრძოლაში გაგიადვილდებაო“. თუმცა, ადვილი ბრძოლა ვის უნახავს.

პესჩანკაში ერთ-ერთი პირველი დამნიშნეს ოცეულის მეთაურად, მერე კი მეორე ასეულის მეთაურად. ეს დანიშვნა ჩემთვის პატივი იყო, და იგი სარდლობის ნდობად აღვიქვი.

შემდეგ ნაწილის პოლიტხელი გავხდი. დღეები უაღრესად დაძაბული მქონდა. თან მხედრული სამსახური, თან საბრძოლო ფურცლების გამოშვება, პოლიტსაათიც, აღმზრდელობითი მუშაობაც, ჯარისკაცებთანაც უნდა მესაუბრა. ჯარისკაცია თუ ერისკაცი, ყველა კაცს თავისი საზრუნავი, თავისი გასაჭირი და თავისი ლხინი აქვს. მაგრამ რაგინდ დასაქმებულიც უნდა ვყოფილიყავ, ყოველთვის მოვიცლიდი ხოლმე საიმისოდ, რომ ჩემიანებისათვის ბარათი გამეგზავნა. ერთხელ ახლობლებს ჩემი სურათიც გავუგზავნე. სახლის პარმაღზე ვიდექი. ამ დროს კოპცოვი მომიახლოვდა და ვიღაცამ ფოტოაპარატი დააჩხაკუნა, ასე გამოვიდა ფოტოსურათი. გადავწყვიტე, შინ გამეგზავნა. ვიფიქრე: დედისა და მამის გულს ყოველთვის ეამება არა მარტო წაიკითხოს შვილის ბარათი, არამედ ნახოს კიდეც მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვ

გავიდა წლები. და ახლა განსაკუთრებით კარგად ვხედავ, რაოდენ სასარგებლო ყოფილა ჩემთვის მთელი ეს გადასვლები, დანიშვნები, ახალი შეხვედრები და ახალი საქმეები, რომელთა ჩაწვდომაც მიხდებოდა.

რა თქმა უნდა, ინჟინრის დიპლომს რომ ვიცავდი, არც გამივლია თავში, რომ მომავალში მომიხდებოდა გავძღოლოდი „ზაპოროჟსტალის" აღდგენის საქმეს, მეხელმძღვანელა ოლქის, ის კი არა, მთელი ქვეყნის თავდაცვითი მრეწველობისათვის. როცა მიწათმომწყობად ვმუშაობდი, რას ვიფიქრებდი, რომ ამხანაგებთან ერთად მომიხდებოდა მიწათმომწყობობა მილიონობით ყამირ ჰექტარზე, ხოლო როცა სამხედრო წვრთნას გავდიოდი, არც წარმომედგინა სრულად, როგორ გამომადგებოდა იგი უმძიმეს ომში. რა ვიცოდი მაშინ, რომ ყოველივე ეს, ერთად აღებული, ადამიანთა მასასთან მუდმივი ცოცხალი ურთიერთობის პირობებში გადაიქცეოდა გამოცდილების, ჩვევების, ცოდნის შენადნობად, იმ შენადნობად, რომელიც გამოითქმის ორი უბრალო სიტყვით: პარტიული მუშაობა. გავიდა წლები და მხოლოდ შემდეგ მივხვდი, რომ მე, ისევე როგორც ათასობით სხვა ადამიანს, ნამდვილად მამზადებდნენ, თანაც მამზადებდნენ სრულიად შეგნებულად — მომავალი დიდი საქმეებისათვის. ამ მომზადებას კომუნისტური პარტია ეწეოდა.

ცოტა ხანში მას შემდეგ, რაც არმიიდან დავბრუნდი, დნეპროძერჟინსკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ ამირჩიეს. მაშინ თავმჯდომარე იყო ათანასე ილიას ძე ტროფიმოვი, ძველი პარტიის წევრი, ბალტიელი მეზღვაური, ოქტომბრის რევოლუციის მონაწილე, ჩვენი ძერჟინსკის მუშა. თავად დიდი განათლება არ ჰქონდა, ამიტომ ძალზე გაახარა ჩემმა საინჟინრო მომზადებამ და მაშინვე შემომთავაზა აღმასკომში გავძღოლოდი მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის საკითხებს.

მომიხდა ღრმად ჩავწვდომოდი საბჭოს მუშაობას, მოუსვენარ, მრავალპლანიან საქმიანობას, მთლიანად ხალხის საჭიროებებს რომ ემსახურება. ამ სამუშაოზე ხამი არ ვიყავი — მას ჯერ კიდევ ბისერტის რაიონში ვეზიარე, და მაინც ბევრი რამის სწავლა თავიდან მომიხდა. ეს გამოცდილება დამეხმარა 1960 წელს, როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამირჩიეს. მეხმარება დღესაც, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოვალეობასთან ერთად პარტიამ და ხალხმა კვლავ მომანდვეს ეს მაღალი, საპატიო, მაგრამ უაღრესად პასუხსაგები ადგილი, პოსტი, რომელიც ნიადაგ შრომას მოითხოვს.

მახსოვდა რა ჩემი საკუთარი პრაქტიკა, თავიდანვე შევეცადე უზრუნველმეყო იმ კანონების შემუშავება და მიღება, რომლებიც დეპუტატთა უფლებებს აფართოებენ, დავაყენე საკითხი ადგილობრივი საბჭოების როლის გაძლიერების, მათი ავტორიტეტის ამაღლების, მთელი სახელმწიფო აპარატის საქმიანობის სრულყოფის შესახებ.

მუდამ მადლიერებით ვიგონებ მუშაობას კამენსკოეში, რომელიც ჩემს თვალწინ გადაიქცა თანამედროვე ქალაქად — დნეპროძერჟინსკად. მართლაცდა, უაღრესად საინტერესო დრო იყო, სწორედ მაშინ ვაქებ-ვადიდებდით ჩრდილოეთ პოლუსის დამპყრობ პაპანინელთა ოთხეულს, სუნთქვაშეკრულნი ვადევნებდით თვალს ჩკალოვის გადაფრენებს. ვხარობდით მაგნიტკის, კუზნეცკის კომბინატისა და სხვა ახალმშენებლობების ამბებით. დნეპრის ქარხანა იმ წლებშიც იზრდებოდა და ვითარდებოდა; ჩემსობისას აგიზგიზდა მერვე ბრძმედი, ამოქმედდა აგლოფაბრიკა, მესამე მარტენის ღუმელი. საქვეყნო აღტაცება გამოიწვია ჩვენი მეფოლადის იაკობ ჩაიკოვსკის სტახანოვურმა რეკორდმა, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარმა სერგო ორჯონიკიძემ ქვეყნის მეფოლადეებს მოუწოდა გადაეღოთ მისი გამოცდილება.

ქარხანასთან, უფრო ზუსტად იმ ქარხნებთან ერთად, ჩვენში რომ გაჩნდა, იზრდებოდა ქალაქი, მის საზღვრებში შემოვიდა სოფლები ტრიტუზნოე, რომანკოვო, ვაწყდებოდით პრობლემებს, არ გვყოფნიდა სკოლები, პოლიკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლინიკები, საბავშვო ბაღები, გვიჭირდა ბინა, გასაახლებელი გვქონდა წყალსადენი, კანალიზაცია, ტრანსპორტი, აი, ყველა ამ საკითხს ვუძღვებოდი აღმასკომში, უნდა მესწავლა, როგორ მეკამათა დირექტორებთან, რომლებიც თავიანთ საწარმოებზე „ხუტორების“ მიშენებას ისწრაფვოდნენ, მესწავლა, როგორ დამეძლია უწყებრივი განწყობილება, როგორ შემეკრა ძალები და საშუალებები ერთ მუშტად, და კარგად მახსოვს ჩვენი პირველი წარმატებები, თუნდაც მოკრძალებული, მაგრამ ესოდენ აუცილებელი ადამიანებისათვის.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში მოვახერხე ასიგნებების მიღება, და გავიყვანეთ ტრამვაის ხაზი ბაგლეიდან ლენინის მოედნამდე — ნამდვილი ზეიმი იყო, როცა წითელმა ვაგონებმა მთელ ქალაქს დაურბინეს. მახსოვს, როგორ ავაშენეთ (სამოცდაორ დღეში) ლამაზი შენობა, სადაც დღესაც მოქმედებს პიონერთა სასახლე, როგორ აშენებდნენ კომკავშირელები სტადიონს, როგორ გაჩნდა ჩვენს ქალაქში ოთხსართულიანი, აივნებითა და ფართო ფანჯრებით დამშვენებული „მაღალი“ სახლები, და თუმცა მშენებლობის მასშტაბი დღევანდელთან ვერ მოვა, ასობით ოჯახმა იდღესასწაულა ახალსახლობა. ქალაქში იკირწყლებოდა ქუჩები, შენდებოდა სკვერები, იმატა საქონელმა მაღაზიებში, ხალხმაც უკეთ ჩაიცვა, ცხოვრებაც უმჯობესდებოდა — სწორედ ამით მახსოვს დნეპროძერჟინსკში მუშაობის ხანა.

დნეპროძერჟინსკის საქალაქო საბჭოში წელიწადზე მეტ ხანს დავყავი, შემდეგ კი პარტიულ სამუშაოზე დამაწინაურეს. თავდაპირველად უკრაინის კპ (ბ) დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგედ ვმუშაობდი. 1939 წლის თებერვალში კი ამირჩიეს საოლქო კომიტეტის მდივნად პროპაგანდის დარგში. საოლქო კომიტეტის — მთელი ოლქის პარტიული ორგანიზაციის შტაბის რთულ და მრავალფეროვან მუშაობაზე დაწვრილებით ვილაპარაკე წიგნში „აღორძინება“. მაშინ პირველ მდივნად გვყავდა სიმონ ბორისის ძე ზადიონჩენკო, გამოცდილი, ჭკვიანი, ძლიერი კაცი, რომლისგანაც ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა. საქმიანი, ამხანაგური ურთიერთობა დავამყარეთ. მე პასუხს ვაგებდი პარტიული მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბნისათვის — იდეოლოგიის დარგში მუშაობისათვის. მკვეთრად გაფართოვდა ჩემი მოვალეობების არე, გადიდდა საქმეთა მასშტაბი, ახლა ხშირად მიწევდა ქალაქებსა და სოფლებში მოგზაურობა, ასობით ადამიანთან შეხვედრა.

ძალზე მნიშვნელოვან გარემოებად მიმაჩნია ის, რომ ეს სკოლა გავიარე. არსებობს, როგორც ცნობილია, პარტიული ხელმძღვანელობის სამი ძირითადი მიმართულება — პოლიტიკური, იდეოლოგიური, ორგანიზაციული. არც ღირს იმაზე ლაპარაკი, რომელი მათგანი უფრო მნიშვნელოვანია — სამივე სჭირდება პარტიას, სამივე ერთნაირად მნიშვნელოვანია. პარტიული საქმიანობის ყველა მხარის შერწყმის უნარი ხელოვნებაა, და ამ ხელოვნებას მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა სწავლობდე.

იდეოლოგიური მუშაობა ყოველთვის იყო და არის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა. ეს მრავალფეროვანი მუშაობაა: იგი მოითხოვს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების მეცნიერულ ანალიზს და ამასთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრობლემათა მუდმივ გადაჭრას.

საშიშია თუნდაც დროებით, ცალკეულ უბნებზეც კი ვივიწყებდეთ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების იდეურ საწყისს, ვურიგდებოდეთ იდეურ შეცდომებს. ისინი ერთი შეხედვით არც ისე შესამჩნევია, როგორც, ვთქვათ, ტექნიკური შეცდომები. თუ რომელიმე აგრეგატი არასწორად არის დაპროექტებული, თუ იგი არ მოგვცემს სავარაუდო სიმძლავრეს, ან სულაც არ იმუშავებს — ეს ხელად გამოჩნდება და ზარალის გამოანგარიშებაც არც ისე ძნელია. ხოლო იდეოლოგიაში დაშვებული შეცდომა, როგორც წესი, არ ჩანს, შენიღბულია ლამაზ-ლამაზი სიტყვების სამოსით. მაგრამ მას მით უფრო შეიძლება მოჰყვეს უარყოფითი შედეგები, რამეთუ უსათუოდ იჩენს თავს და გიგანტურ ვნებასაც მოგვაყენებს, დროულად თუ არ გამოვასწორეთ. თანამედროვე სამყაროში არ არის ვაკუუმი: იქ, სადაც ჩვენ გულარხეინად ვართ, ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენი მოქმედებენ. „ამიტომ, — გვასწავლის ვ. ი. ლენინი, — სოციალისტური იდეოლოგიის **ყოველი** დაკნინება, მისგან **ყოველი გადახვევა** ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას ნიშნავს“.

ამას განსაკუთრებით მწვავედ ვგრძნობდი იმ წლებში, რომელთა შესახებაც გიამბობთ: დასავლეთში უკვე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. იგი ჩვენი საზღვრებისაკენ მოიწევდა, ორი სისტემის იდეურ-პოლიტიკური ჭიდილი უახლოვდებოდა თავის უკიდურეს ფორმას — აშკარა სამხედრო შეტაკებას. ამ ვითარებაში ამაღლდა მოთხოვნები კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისადმი, მასებთან პარტიის კავშირის განმტკიცებისადმი. საჭირო იყო გაგვეწია აქტიური, შემტევი პროპაგანდისტული მუშაობა, დროულად უკუგვეგდო მტრული იდეოლოგია, განგვემტკიცებინა საბჭოთა ადამიანების მაღალი პოლიტიკური შეგნება, აღგვეზარდა ისინი სოციალისტური პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, კომუნიზმის იდეალების ერთგულების სულისკვეთებით.

ყოველივე ამის შნო უნდა ჰქონდეს თითოეულ ხელმძღვანელს, თითოეულ კომუნისტს, რომ აღარაფერი ვთქვათ თითქოსდა ყველაზე უბრალო ამოცანებზე, რომელიც მუდმივ ძალისხმევას მოითხოვს, — იმ ამოცანაზე, რომ ვაცნობდეთ ხალხს მიზნებს, რომლებსაც ვისახავთ, განვუმარტავდეთ კონკრეტულად რისთვის იღვწის მოცემულ ეტაპზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა გამოვდიოდეთ სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე, ვხვდებოდეთ ადამიანებს. მაშინ დნეპროპეტროვსკის ოლქში პირველად გადავაწყდი ამის საჭიროებას და ამასთან დაკავშირებით მინდა გაგიზიაროთ ზოგიერთი მოსაზრება, რომლებიც ჯერ კიდევ იმ წლებში გამიჩნდა.

პარტიული მგზნებარე სიტყვა იყო და არის პარტიის ბასრი იარაღი, და ამას ფრიად სერიოზულად უნდა ვეკიდებოდეთ.

საბჭოთა ადამიანები იწონებენ პარტიის პოლიტიკას, მხარს უჭერენ მას. და მიუხედავად ამისა ჩვენ ყოველთვის ვუთმობდით და ვუთმობთ დიდ ყურადღებას იდეოლოგიურ მუშაობას. ამ მუშაობაში მთავარი იარაღი სიმართლეა. წარმატებებზეც და ხარვეზებზეც, ჩვენი აზრით, პატიოსნად უნდა ვილაპარაკოთ. ადამიანები ყოველთვის გაიგებენ წრფელ საუბარს. ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა, რომ სოციალიზმის ძალა მასების შეგნებაა.

არაფერია უმისამართო, აუდიტორიის ინტერესებისაგან, სადღეისო მოთხოვნებისაგან მოწყვეტილ პროპაგანდაზე უნაყოფო. თუ ორატორი თავს არიდებს მწვავე საკითხებზე პასუხის გაცემას, იგი უნდობლობას აღუძრავს ადამიანებს. თუ ლექტორი ტრიბუნაზე სიტყვას სიტყვაზე ვერ აბამს, საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებებს იმეორებს, კაპიკია მისი გამოსვლის ფასი, უფრო მეტიც, ასეთმა ორატორმა შეიძლება ხალხი საერთოდ გადააჩვიოს ლექციების მოსმენას. ამ საქმეში ფორმალიზმი დაუშვებელია, საჭიროა შემოქმედებითი მიდგომა. მინდა ხაზი გავუსვა: წარმატების საიდუმლოს არ შეიცავს არც მარჯვე ორატორული ხერხები, რომლებსაც არ იშურებენ ბურჟუაზიული პოლიტიკოსები და არც ყალბი პათოსი თუ მჭექარე ხმა. ვ. ი. ლენინს, როგორც ცნობილია, ძლიერი ხმა არ ჰქონია, მაგრამ ხომ ესმოდათ მისი. ყველას, მთელ ქვეყანას, მთელ კაცობრიობას. ესმოდათ იმიტომ, რომ უსმენდნენ. სმენით კი იმიტომ უსმენდნენ, რომ მისი სიტყვები აღსავსე იყო ხალხის მასებისათვის ახლობელი იდეებითა და აზრებით, ამ იდეების დასაცავად პოულობდა უცილობელ არგუმენტებს, იყო ლოგიკური, გამოჰქონდა ღრმად მეცნიერული, გაბედული დასკვნები, ყოველთვის კონკრეტულ და მნიშვნელოვან ამოცანებს სახავდა...

დნეპროპეტროვსკში გატარებული ომისწინა წლები უაღრესად დაძაბული მუშაობის დროდ მაგონდება. გარეგნულად ყველაფერი წყნარად იყო: კინოში გადიოდა კომედიები „ვოლგა-ვოლგა“ და „ნათელი გზა“, ჩვეულებრივი შრომითი რიტმით მიედინებოდა ცხოვრება ქალაქად თუ სოფლად, მინდორში ჭირნახული მწიფდებოდა. მაგრამ ყველანი ვგრძნობდით: ომის საფრთხე მატულობდა. 1940 წელს დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტმა მიიღო საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პასუხსაგები

დავალება — გადაეყვანა ოლქის საწარმოთა ნაწილი სამხედრო ტექნიკის გამოშვებაზე. მოსკოვიდან მოვიდა დაშიფრული დეპეშა, რომლითაც წინადადება გვეძლეოდა დაგვეწესებინა თავდაცვითი მრეწველობის დარგში საოლქო კომიტეტის მდივნის თანამდებობა. ბიუროს სხდომას ზადიონჩენკო ატარებდა. მან თქვა, რომ, თუ გავითვალისწინებთ ამ სამუშაოს განსაკუთრებულ საჭიროებას და მნიშვნელობას, რომელსაც მას ანიჭებს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, ამ პოსტზე უნდა დავაწინაუროთ არა მარტო ტექნიკურად მომზადებული, მეტალურგიის მცოდნე სპეციალისტი, არამედ უნარიანი ორგანიზატორიც, რომელსაც ეცოდინება ხალხთან მუშაობა. დაახლოებით ასე ილაპარაკა და ჩემი კანდიდატურა დაასახელა. ერთხმად ამირჩიეს.

ვითვალისწინებდით თუ არა ომის რეალურ საშიშროებას, ვემზადებოდით თუ არა საამისოდ? ვითვალისწინებდით და ვემზადებოდით კიდეც. იმაში, რომ ომის საფრთხე მატულობს და ჩვენი მთავარი მტერი ფაშიზმია, ეჭვი არავის ეპარებოდა.

ქვეყანას ძალზე უჭირდა ლითონი. 1940 წლის ივნისში სახკომსაბჭომ და საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება „იმ ლონისძიებათა შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ თუჯის, ფოლადის გამოდნობისა და ნაგლინის წარმოების დადგენილი გეგმის შესრულებას". მეტალურგებმა გაშალეს სრულიად საკავშირო შეჯიბრება აგრეგატების სიმძლავრის საუკეთესო გამოყენებისათვის, და ჩემმა თანამემამულეებმა ამ შეჯიბრებაში შესამჩნევი წარმატებები მოიპოვეს. საწარმოები, რომლებიც მანამდე უაღრესად მშვიდობიან პროდუქციას უშვებდნენ, ახლა არმიისათვის ამუშავდნენ. არტემის სახელობის ქარხანა საბრძოლო თვითმფრინავების დეტალებს აწარმოებდა, კომინტერნის სახელობის ქარხანა ნაღმსატყორცნებს, დნეპრის ძერჟინსკის სახელობის მეტალურგიული ქარხანა — საარტილერიო ჭურვებს...

საოლქო კომიტეტში მაგიდაზე მიდებდნენ ცნობებს, რომლებიც დიდად მახარებდა. და თუმცა უკვე ასობით საწარმოსათვის ვაგებდი პასუხს, არ დავმალავ, რომ განსაკუთრებით ახლოს მიმქონდა გულთან მშობლიური ქარხნიდან მოსული ამბები. 1941 წელს დნეპრის ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ქარხანას მიენიჭა „საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეტალურგიული ქარხნის" წოდება და გადაეცა შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატისა და მეტალურგთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

* * *

სამშობლოს გრძნობა ყოველ ჩვენთაგანს ბავშვობის, საკუთარი სახლის, საკუთარი ქუჩის, ქალაქისა თუ სოფლის ხსოვნით ეწყება. და ამასთანავე ცოცხლობს ჩვენში დიდი, დიადი სამშობლოს გრძნობაც, რომელიც საშიშროებისა და დიდი განსაცდელის ჟამს ანაზდად უაღრესად ახლობელი და ძვირფასი ხდება.

მე ბედმა გამიღიმა საკუთარი თვალით მენახა მშობლიური ქვეყნის სივრცეები, ახლოს გავცნობოდი ბევრ თანამოქალაქეს, და ვიცოდი, რომ ხალხის ვეგმები, ოცნებები და ზრახვები სავსებით შეეფერება იმ მიწა-წყალს, რომელზე ცხოვრების ბედნიერებაც გვერგო წილად, რომელიც მივიღეთ მამებისაგან და კიდევ უფრო ბარაქიანი და აყვავებული უნდა გადავცეთ შვილებს.

ჩვენ დავამტკიცეთ ეს პირველი ხუთწლედების დიდი მიღწევებით.

მაგრამ აი, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში დადგა მტანჯველი, მწარე და ამასთანავე მაღალი რწმენითა და არნახული გმირობით აღსავსე დრო. დაიწყო დიდი სამამულო ომი. დადგა ჟამი, როცა უნდა დაგვეცვა სოციალიზმის დიადი მონაპოვრები, დაგვეცვა ყველაფერი, რისი გაკეთებაც და აშენებაც შევძელით, მკერდით გადავეფარებოდით ჩვენთვის ძვირფას მიწა-წყალს. და მეც მილიონობით საბჭოთა ჯარისკაცთან და ოფიცერთან ერთად გამოვიარე ომის ქარცეცხლიანი გზა თავიდან ბოლომდე, მისი პირველი დღიდან გამარჯვების ნათელ დღემდე.

მაგრამ ეს პერიოდი ცალკე საუბრის საგანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მკითხველთა გამოხმაურებანი

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ახალმა წიგნმა — „მოგონებანი“ საბჭოთა მკითხველის ღრმა ინტერესი გამოიწვია. „მნათობის“ რედაქციის მუშაკები ამ დღეებში შეხვდნენ და ესაუბრნენ ლენინის რაიონის მოწინავე მუშებს. ქვემოთ ჩვენ ვბეჭდავთ ამ მუშების — ლენინის რაიონული საბჭოს დეპუტატების გამოხმაურებებს ამხანაგ ბრეჟნევის წიგნზე.

●

## ხანძარი არ უნდა დაინთოს!

„სამშობლოს გრძნობა ყოველ ჩვენთაგანს ბავშვობის, საკუთარი სახლის, საკუთარი ქუჩის, ქალაქისა თუ სოფლის ხსოვნით ეწყება. და ამასთანავე ცოცხლობს ჩვენში დიდი, დიადი სამშობლოს გრძნობაც, რომელიც საშიშროებისა და დიდი განსაცდელის ჟამს ანაზდად უაღრესად ახლობელი და ძვირფასი ხდება“.

ამ სიტყვებით ამთავრებს თავის „მოგონებას“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. ამ სიტყვებში გამოთქმულია ყოველი საბჭოთა პატრიოტის, კომუნიზმის მშენებლის, დიდი საბჭოთა ქვეყნის მოქალაქის ყველაზე უწმინდესი და ყველაზე კეთილშობილური გრძნობა: ამ გრძნობით, ამ დიდი საფიქრალით არის გამსჭვალული ამხანაგ ბრეჟნევის როგორც ადრინდელი ტრილოგია — „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყამირი“, ისე სულ ბოლოდროინდელი „მოგონებებიც“. იგი მოგვიწოდებს გვიყვარდეს და ვიცავდეთ ჩვენს სამშობლოს, რომელიც გადმოგვცეს ჩვენმა დიდმა წინაპრებმა და ანდერძად დაგვიტოვეს მოვუაროთ მას და კიდევ უფრო ავამაღლოთ მისი სახელი და დიდება. ჩვენ ავაშენეთ ჩვენი ხელით მსოფლიოში პირველად სოციალისტური სახელმწიფო, ჩვენი სამშობლო; მასშია ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი შვილების სიცოცხლე, ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი, ის ჩვენი ოფლით არის მორწყული. „სამშობლოს გრძნობა ჩვენში ყველას ძალზე განვითარებული აქვს, — წერს ამხანაგი ბრეჟნევი თავის „მოგონებებში“, — მშვენიერი გრძნობაა, და ის, რა თქმა უნდა, მარტოოდენ ჩვენი მიწა-წყლის სილამაზის მზერით როდი საზრდოობს. მასში, როგორც იტყვიან, ფესვები უნდა გაიდგა და როდესაც ადამიანი შრომის ოფლს აპკურებს მას, პურს მოიყვანს, შეუდგება ქალაქის შენებას, გაიყვანს ახალ გზას, ან სანგრებს გათხრის ამ მიწის დასაცავად, — აი მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ გაიგებს კარგად თუ რას ნიშნავს სამშობლო".

სამშობლოს სიყვარულის გრძნობა გვიკარნახებს კიდევ უფრო მეტი შემართებით ვიშრომოთ მისი ძლიერების განსამტკიცებლად. ახლა მთელ დედამიწაზე გაისმის საბჭოეთის სამშვიდობო მოწოდება — გზა გადავუღობოთ ომის გამჩაღებლებს, მტკიცედ აღვუდგეთ წინ იმპერიალიზმის აგრესიული წრეების საშიშ ზრახვებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას. ამ ხმას დაძაბული ყურადღებით უსმენენ მთელი პლანეტის მილიონები და ერთსულოვნად გამოდიან ქუჩებში სამშვიდობო მოწოდებებით. მსოფლიო მშვიდობისათვის ბრძოლას სათავეში უდგას მთელი ჩვენი ქვეყანა. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მთელი მსოფლიოს მშრომელი ადამიანების სიყვარული მოიპოვა, როგორც მშვიდობისათვის განუხრელმა მებრძოლმა. ამ კეთილშობილურ საქმეს მან განუზომელი ღვაწლი და ამაგი დასდო. მისმა მართალმა სიტყვამ, მისმა კეთილშობილმა საქმემ დარაზმა მსოფლიოს ადამიანები იმ ღრმა რწმენით, რომ კაცობრიობა შესძლებს შეინარჩუნოს მშვიდობა, ხოლო ომის გამჩაღებლებს, თბილისში ყოფნისას, მშვიდობის დიდმა მედროშემ გაახსენა რუსთაველის სიტყვები: „კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკვეხ ვითა მთვრალი, დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაბერწკალი".

ეს არის მოწოდება და რწმენა იმისა, რომ მსოფლიო ომის ხანძარი არ უნდა დაინთოს; სწორედ ამ რწმენას განამტკიცებს ლ. ი. ბრეჟნევის ახალი წიგნი „მოგონებანი".

**იულია ყურაშვილი**

პლასტმასის ქარხანა

# გულამდე ჩამწვდენი სიტყვა

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოგონებებს რომ კითხულობ, სიამაყით გევსება გული — რა ძლიერია ჩვენი ხალხი, ჩვენი სამშობლო, რამდენი შესძლებია მას; ეს ვიგრძენი ჯერ კიდევ მაშინ, როცა ლ. ი. ბრეჟნევის „მცირე მიწა" წავიკითხე. აბა ერთი დაფიქრდით: მცირე მიწას, რომელსაც გმირულად იცავდნენ მე-18 არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები, განუწყვეტლივ უტევდნენ და ზედიზედ აყრიდნენ ჭურვებსა და ბომბებს მტრის არტილერია და ავიაცია, რომ აღარაფერი ვთქვათ, ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლზე. შემდეგ რომ გამოიანგარიშეს, გამოირკვა საოცარი ამბავი: მცირე მიწის თითოეულ დამცველზე მოდიოდა 1.250 კილოგრამი მომაკვდინებელი ლითონი და ეს გრძელდებოდა 225 დაძაბული დღე-ღამის განმავლობაში! 1.250 კილო შხამიანი და სიკვდილის მომტანი ლითონი ერთ კაცზე! და მაინც გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა, ვერაფერმა გატეხა საბჭოთა ადამიანის სიმტკიცე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნებისყოფა! მას დიდი ლენინის დროშა ჰფარავდა და წინ მიუძღოდა.

„მცირე მიწის“ შემდეგ დიდი ინტერესით წავიკითხე ლ. ი. ბრეჟნევის ახალი წიგნები — „აღორძინება“ და „ყამირი“; ამ წიგნებმა ჩვენ ნათლად გვიჩვენეს როგორი უნდა იყოს კომუნისტი, ხელმძღვანელი პარტიული მუშაკი. მას ყველაფერი უნდა ახსოვდეს, ყველაფერზე უნდა ზრუნავდეს, ყველას სატკივრის მალამო უნდა მოძებნოს, ყველაფერი კარგი და კეთილი წაახალისოს, ფართო გზა გაუხსნას, იქნება ეს მრეწველობის თუ სოფლის მეურნეობის უბანზე, თეატრის და სპორტის სფეროში. ამიტომ სხედან საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის კაბინეტში ღამის ორ საათამდე შევჩენკოს თეატრის მსახიობები და ლაპარაკობენ თავიანთ დალხინებასა და გაჭირვებაზე... თბილი ადამიანური სიხარულითა და ღიმილით უბრწყინდება მკითხველს სახე, როცა ჩაიკითხავს იმ სტრიქონებს, სადაც აღწერილია თუ როგორ გულშემატკივრობს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ლეონიდ ბრეჟნევი სტადიონზე ფეხბურთის ორივე გუნდს, ზაპოროჟიეს გუნდსაც და დნეპროპეტროვსკისაც, უნდა, რომ ერთმაც მოიგოს და მეორემაც, ორივე ქალაქი უყვარს და იმიტომ, ორივეზე ზღვა ამაგი მიუძღვის, და ისევე, როგორც ორივე ქალაქს უყვარს თავიანთი მდივანი, უფროსი ამხანაგი, ბრძენი და პრინციპული კაცი, რომლის წიგნს, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, არ აკლია არც ხალისიანი, ლაღი იუმორი. თვით წიგნის ავტორის სიტყვით ხომ „სიცილი მრისხანე ძალაა, ადამიანთა ოპტიმიზმს მოწმობს, სულიერი სიჯანსაღის ნიშანია“.

ლეონიდ ილიას ძის წიგნის ეს ეპიზოდი — ფეხბურთის ორ გუნდს რომ ეხება, აქ იმიტომ მოვიყვანე, რომ მკითხველს შევახსენოთ წლევანდელი წლის მაისი, როცა ქართველი ხალხის ისტორიული ზეიმის დღეს, ამხანაგმა ბრეჟნევმა სიყვარულით მოიხსენია არა მარტო საქართველოს მუშათა კლასი, არა მარტო საქართველოს კოლმეურნეები და სახალხო ინტელიგენცია, არა მარტო ჩვენი მრავალეროვანი რესპუბლიკის ყველა მშრომელი, არამედ ჩვენი სპორტსმენებიც, რომელთაც მსოფლიოში ასახელეს საბჭოთა სპორტი. „დღესასწაულმა წარმატებით ჩაიარა, — თქვა ამხანაგმა ბრეჟნევმა, — და მარტო იმიტომ კი არა, რომ საქართველოში იციან მასპინძლობა. ნამდვილი საზეიმო განწყობილება მაშინ იქმნება ხოლმე, როცა საქმე კარგად მიდის. ეს კი ყველამ დავინახეთ და ვიგრძენით საქართველოში. არც თბილისის დინამოელებმა გვიმტყუნეს: მოიპოვეს ევროპის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო პრიზი, ტყუილად როდი ვქომაგობდით მათ“.

მე დიდი ინტერესით წავიკითხე ლ. ი. ბრეჟნევის „მოგონებანი“, რომელიც სულ ახლახან გამოქვეყნდა. როგორი ნაცნობი, როგორი გულამდე ჩამწვდენია აქ ყველა სიტყვა, ყველა სტრიქონი! ავტორი იცნობს მუშის ცხოვრებას, მის ყოფას, მის სიხარულსა და გულსტკივილს, როგორც არავინ! და ეს იმიტომ, რომ იგი მუშის ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. შვიდი წლისა იყო იგი, როცა ქარხნის ჭიშკარში შევიდა — „ხელში ქვაბურა მეჭირა, რომლითაც სადილი მიმქონდა მამასთანო“. ბავშვობის წლებიდან ახსოვს მას ლენინის სახელოვანი გვარდიის მებრძოლები — ვ. ნოგინი, ვ. შელგუნოვი, ი. ლალაიანცი, მ. ცხაკაია, ვ. ვოროვსკი, ი. ბაბუშკინი, გ. პეტროვსკი, ნ. ვილონოვი და სხვები; „მოგონებებში“ ნაჩვენებია როგორ იბრძოდნენ ისინი ხალხის თავისუფლებისათვის და როგორ დაამხეს ძველი სამყარო.

ეს არის მშვენიერი წიგნი, რომელიც ყველამ უნდა წაიკითხოს — აქ ნაჩვენებია ჭეშმარიტი გზა ქვეყნისა და სამშობლოს ნამდვილი პატრიოტისა. ამხანაგ ბრეჟნევის წიგნი შთაგვაგონებს ყოველმა ჩვენგანმა უფრო თავდადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით იშრომოს იმ ამოცანების განსახორციელებლად, როლებიც ჩვენს წინაშე დასახა სკკპ XXVI ყრილობამ. ჩვენმა შრომამ უფრო მაღლა უნდა ასწიოს ჩვენი სამშობლოს სახელი, უფრო მეტად განამტკიცოს მისი ძლევამოსილება.

**ვახტანგ ალიმბარაშვილი,**

ამიერკავკასიის რკინიგზის შენობა-ნაგებობათა თბილისის დისტანცია.

●

# სულიერი მშვენიერება

ლ. ი. ბრეჟნევის „მოგონებანი“ მშვენიერი სახელმძღვანელოა მისთვის, ვისაც ახალგაზრდობის აღზრდა ევალება. აქ ნაჩვენებია ის ზნეობრივი საწყისები, ის ეთიკური ნორმები, რომლებიც აუცილებელია და ურომლისოდაც წარმოუდგენელია ახალგაზრდა საბჭოთა მოქალაქე; ეს საწყისები, ეს ნორმები, ეს კეთილშობილური სულიერი თვისებები ნაჩვენებია ლ. ი. ბრეჟნევის ბიოგრაფიაში, რომელიც „მოგონებებშია“ მოთხრობილი; თავის წიგნში ამხანაგი ბრეჟნევი აგვიწერს როგორ დაიწყო მუშაობა ქარხანაში, ის ჯერ მეცეცხლურად მიიღეს, შემდეგ ზეინკლად გადაიყვანეს, მამასთან ერთად გავიდა ცვლაში და სამუშაო დღის შემდეგ დაღლილი შინ რომ დაბრუნდა, გულთბილად შეეგება დედა. „მახსოვს, თავი რომ ავწიე, — იგონებს ლეონიდ ილიას ძე, — მის კეთილ თვალებში ცრემლი შევნიშნე.

— რა იყო, დედი?

— მიხარია, შვილო, მიხარია. აი, შენც უკვე მარჩენალი ხარ.

ერთხელ ვთქვი და აქაც გავიმეორებ: მუდამ მახსოვს ჩემი დამრიგებლები და უფროსი ამხანაგები... მათ მომცეს პირველი პროფესია, შემასწავლეს ცხოვრების რთული მეცნიერება, მიჩვენეს შრომის ადამიანის დიადი ძალა და სულიერი მშვენიერება.

ასეთ უნივერსიტეტს ვერ დაივიწყებს კაცი“.

მხურვალედ რწმენა ადამიანის შრომის დიადი ძალისა, სამარადისო ერთგულება და ღრმა პატივისცემა უფროსი ამხანაგებისა და დამრიგებლებისადმი, სიყვარული დედისა და მამისადმი, სიმართლე და პატიოსნება ყველგან და ყველაფერში წესიერება, გულწრფელობა. სიტყვის გაუტეხელობა, სიკეთე და თანაგრძნობა, ძმური ხელის გაწვდენა გაჭირვებულისა და განსაცდელში მყოფი ადამიანისადმი, — აი ის სულიერი მშვენიერება, რომელიც უნდა ჩავუნერგოთ ჩვენს ნორჩ თაობას.

„კაცი, რომელსაც არ უყვარს დედა, — დედა, რომელმაც სიცოცხლე მიანიჭა, გამოზარდა და აღზარდა — ასეთი კაცი პირადად ჩემთვის საეჭვო პიროვნებაა. ტყუილად როდი უთქვამს ხალხს — დედასამშობლოო. ვისაც დედის მიტოვება და დავიწყება შეუძლია, ის არც სამშობლოს გამოადგება შვილად“.

ყოველმა ახალგაზრდამ გულის ფიცარზე უნდა დაიწეროს და არასოდეს დაივიწყოს ეს წმინდა მცნებები.

**იზა გავაშელი**

გაზის აპარატურის ქარხანა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მურმან ლებანიძე

# ახალი წიგნიდან

* * *

ანაზდეული და უეცარი
    არის ეს ლექსი —
    არცერთი როკი!
თოკსა ჰკიდია: წინდა, ზეწარი
    და უხერხული
    სათქმელად ზოგი...

ცოლმა ჭადარს და აივანს შორის
    ახლა მეორე
    გააბა თოკი...
დგას ოქტომბერი ეზოში ბროლის
    კვირადღით ხარობს
    კაცების ჯოგი...

ეზოში ზიხარ, ჩხრიალებს ნარდი,
    მზეა, დილაა,
    ხარ კმაყოფილი...
სარკმელში მოჩანს დაღლილი ლანდი
    ოჯახის ჭუჭყში
    მკლავჩაყოფილი.

* * *

ლანგარი ნიგვზით, თაფლით, არაყით
ცოლს მოაქვს საგზლად, ხარჯად, საწვავად,
და მოდის ღამე — განცდილ-ნანახით
სულის საწეწად და საძარცვავად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ ოც წუთში მე ვისხამ არაყს
და მთელი ღამე, რაკი შევთვრები
და რაკი მყობადს ნისლები ფარავს,
აწმყო-წარსულის გზებზე ვეთრევი...

მაინც და მაინც არა ვარ მთვრალი:
აწმყოზე ფრთხილად მიჭირავს თვალი,
წარსულის ვიცი ყოველი ხვრელი,
მომავლის მესმის როგორმე ვალი...

ამგვარად ვეძებ მე ოქროს თევზებს, —
ბევრი მათგანი გვერდს ვერ ჩამიარს, —
შენ რაფრად, რა გზით,
შენს ძვირფას ლექსებს!!
მაინტერესებს, ჩემო დაია!

* * *

არის სკულპტურა —
ქვა, ბრინჯაო და თაბაშირი,
არის — ფერწერა
და გრაფიკა მწერლობის ხვედრად...
თავის ბუხართან
ბარეორ თვეს ჯდა-გაბაშვილი
და გვარს და სახელს,
ღარიბს ჩემსას,
ჩუქურთმით წერდა...

მან დაახატა
ცხოვრების ხე პოეტის რჩეულს —
რა ოსტატობით
გვარ-სახელი წიგნზე დახლართა!
ხატავდა გოგი წერეთელი
წიგნს ჩემსას წლეულს
და მირზაშვილმაც
არა ერთხელ ჩემთვის დახატა...

მადლობა ყველას!
მოგონების ვაშლი, ვფურცლავ დავთრებს,
ვრაცხ მოზიარეთ
პოეტისას აზრის და ფიქრის...
ეს გაუმარჯოს, —
ვამბობ ჩემთვის, -- წიგნისას მხატვრებს,
და დიდს, მეორე პოეზიას —
გაგებას წიგნის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ახმეტა! სვირი! ნატანები! მოლითი! ვანი! —
მიყვარდა,
მიყვარს
საქართველო
ყოველთვის მწვანე!

კი — ჭიათურა! კი — რუსთავი! სპილენძი! რვალი!
მე მაინც მიყვარს
საქართველო —
ქვეყანა
მწვანე!

რკინა-ბეტონის ვეშაპები სამშობლოს ჰყოფნის...
მეიმედება
საქართველო —
ქვეყანად
სოფლის!

ეგ ასფალტები — ბალახზე და ტალახზე ვცვალე...
მიყვარდა,
მიყვარს
საქართველო —
ქვეყანა
მწვანე!

შენ ერთხელ მითხარ: — მივჭრიალებთ ურმით ჯერხანად...
— თუ მოკვდა გლეხი,—
ეს მე გითხარ, —
მოკვდა
ქვეყანა!

— ვერა და ვერა! — ეს შენ მითხარ, — ვერ ვივლით
ურმით! —
— მაინც და მაინც, —
ეს მე გითხარ, —
ნუ ვიფრენთ
ჭურვით!

მომავლისაკენ შენ მიძრახე ათრევა ფეხის,
— მოკვდა ქვეყანა, —
ეს მე გითხარ, —
თუ მოკვდა
გლეხი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ძალა მადგას მე შტერს, რეგვენს, პირში გეხლები?!
ცოტა არიან,
ან ყოფილან
მწვანე ქვეყნები,

რომელნიც მოხვდნენ ქარიშხლებში, ავდარში, დარში,
იარეს ჰკუით,
ფეხათრევით
გადარჩნენ!!
დარჩნენ!!

ჩაი, ტუნგო! ვაზი! ფორთოხალი! იმედად — ხვალე!
მიყვარდა,
მიყვარს
საქართველო —
ქვეყანა
მწვანე!

ის შეინახავს ენას ჩემსას, მეობას ქართულს, —
„ლილეს“ და „ლალეს“,
რიკულს მხატვრულს,
ჭუნირს და ფანდურს!

არც ჰქონია და არც ექნება ბეტონის ქალაქს,
რაც აქვს
ფოცხვერს და
ველიბილას
გათიბულ
ბალახს!

კი — ჭიათურა! კი — დმანისი! სპილენძი! რვალი!
მე მაინც მიყვარს
საქართველო —
ქვეყანა
მწვანე!

ტირძნისი! გორი! კარალეთი! ბებნისი! ვანი!
მეიმედება
საქართველოს
მერმისი
მწვანე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაცს, პიროვნებას,
ერისგან განცდილს,
ხალხს, ხალხთა ბრძოლას,
წყვდიადს, სინათლეს,
სწადს პოეზიას,
ბოლომდე ჩასწვდეს,
იდუმალს ჩასწვდეს.
ძირის-ძირამდის...

ვიყავ! ვიცოცხლე!
ვიქროლე! ვბრძოდი!
დააპე გული
თუ გინდა ხანჯალს,
ჩანს ჭეშმარიტის
ტოტს იქით ტოტი,
ხე ჭეშმარიტის —
არა და არ ჩანს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ფორჩხიძე

## ბედნიერი ხარ, ღმერთმანი...

პოეტად გაჩნდი, — მაშ უნდა
                              იმარტვილო
მზიანი ფოთლების უნაზეს ფერთათვის...
ღარიბი ლუკმა არ ითაკილო,
ბედნიერი ხარ, ღმერთმანი...

პოეტად გაჩნდი, — მაშ ანგელოსის
ჩაიცვი ხალათი და მეტს ნუ ინატრებ!
ცაცა და მიწაც საქართველოსი
ღვთისმშობლის თვალებით დაგათოვს
                              სინათლეს...

პოეტად გაჩნდი, — მაშ სხვაზე მეტი
შენ უნდა ზიდო ცოდვაც და მადლიც...
ეშმაკს და მალვალაკს ეომო კეტით,
ცეცხლით აშოშანთო ღვარძლი...

პოეტად გაჩნდი, — მაშ ჯუჯა-ჭინკები
სულს მოგიწამლავენ, იცოცხლე,
მაგრამ შენ ანგელოსს სჭირდები,
შენ სხვა სიხარული მოგელის, იცოდე!

პოეტად გაჩნდი, — მაშ სხვა დიდება
რად გინდა, სიყვარულს ემონე!
ყველაზე დიდი გმირობა იქნება,
კეთილად მოაქციო დემონი...

პოეტად გაჩნდი, — მაშ უნდა
                              იმარტვილო
მზიანი ფოთლების უნაზეს ფერთათვის,
ბრიყვთაგან გაკილვა არ ითაკილო,
ბედნიერი ხარ, ღმერთმანი...

## სულში თოვლი უფრო ცივად ბარდნის...

გახსოვს წამი:
        განშორება გვეძნელა,
ბილიკებზე დაცოცავდნენ იები,
და შენ თრთოდი,
        როგორც სუსტი ენძელა,
ჭალებში რომ ზუზუნებდნენ ბინდები.

მაშინ რაღაც უფრო ნაზი იყავი,
ტანზე უფრო თეთრი კაბა გშვენოდა,
გულზე ხანჯლად მომაბჯინე იდაყვი,
მე გკოცნიდი,
        ანგელოსი გვშველოდა...

მიდიოდნენ მხიარული დღეები,
მზე გვწვავდა თუ ციდან თოვლი
                              ცვიოდა,
შრიალებდნენ უდარდელი ხეები,
გულში მხოლოდ სიყვარული ღვიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე უცებ დაიბურდნენ გზები,
მე გკოცნიდი,
ანგელოსი წყრებოდა,
ახლა მხოლოდ მოგონებით ვთბები,
რა ვიცოდი, —
სიყვარული კვდებოდა...

სულში თოვლი უფრო ცივად ბარდნის,
ალბათ დაჭკნენ ჩვენი ლურჯი იებიც,
შენ თუ შეგრჩა ნეტა ფერი ვარდის,
განუწყვეტლივ ზუზუნებენ ბინდები...

* * *

ვაი, როგორ ტკბილად მახსოვს
ჩემი მწიფე ყოლოები,
ნეტა ბედი რას ჭრის, რას ქსოვს;
ნეტა როგორ ვბოლოვდები?

ნეტა კარს თუ შევხსნი ციხეს
ან თუ ვაქცევ ჩემს სულს ლოცვად?
ყველაფერი დავივიწყე,
მახსოვს მხოლოდ შენი კოცნა ..

ყველაფერი წავა, ვიცი,
ყველა თავის გზაზე მიდის,
ღმერთთან მე სხვა დავდე ფიცი,
მე სხვა მომკლავს სევდა დიდი...

ვერ გიშენებ უკვდავ ციხეს,
რას გვიშველის მარტო ლოცვა?!
ყველაფერი დავივიწყე,
შენი სახე მახსოვს ცოცხლად!..

* * *

ო, საქართველოვ!
ახლა
მე და შენ
ასე
რომ ვთვრებით
ამ მზის სურნელით,
ყოველ წელს
ახალს

ვწურავთ ზედაშეს
და
მე მახარებს შენი ღრუბელიც...

მეოცდაერთე საუკუნეში
ვწუხვარ,
რომ შენთვის ველარ ვილოცებ,
მე მივიძინებ შენს თბილ უბეში,
შენ შემინახავ ლამაზ სიცოცხლეს...

* * *

წვიმამ თქვა თავის სათქმელი,
წამობიბინდა ბალახი...
გაივსო ღია სარკმელი
ნაცარა შაშვის ჭახჭახით.

შაშვმაც თქვა თავის სათქმელი,
სხივი დალია მზისა...
ნახირს ფერდობზე გარეკილს
თვალი დაადგა ღვთისა!

მიწას აჩნია ხალივით
ბელურის ნაფეხურები,
ვზივარ ბალახზე დაღლილი
და ბავშვებს რომ ვეხუმრები, —

ცას ნუ გამურავთ კვამლით,
ნუ დააქუხებთ თოფებს,
რომ უკვდავების წყალი
არ გადეწუროს სოფელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ შემიშინოთ ბავშვები,

არ გამილალოთ მტერი,

ისე ვბერდები,
ვერ გაძლა
გული ამ ქვეყნის ცქერით!..

## ბევრი სდომია გაღება მსხვერპლის...

ნეტა წისქვილში საფქვავი მეფქვა,
ცოლს მოეზილა პურისთვის ცომი,
მოვმკვდარიყავ და ლექსი არ მეთქვა,
არ გამემართა ღმერთებთან ომი...

ბევრი სდომია გაღება მსხვერპლის
კაი ლექსის თქმას ტანჯვით და სისხლით,
ვერ მივწვდი უკვდავს... და ჩემი ეტლი
დადგა და მიქრობს ეშმაკი მზის სხივს...

წისქვილში კი თავს შევაფარებდი
თეთრ სარეკელას მარტივ გალობას,
არ მომაკლებდა გლეხის თვალები
მწიფე ვაზის და ყანის წყალობას...

იქ ულმერთობას ვინ დამწამებდა,
ვინ დამძრახავდა უილბლო პოეტს?

ხანდახან ქარი გამაწვალებდა,
ჩამომიმტვრევდა ბებერ მსხლის
ტოტებს...

ნეტავი ლექსი სულაც არ მეთქვა,
არ წამეხდინა თქვენთვის გუნება,
ჩემს თეთრ წისქვილში საფქვავი მეფქვა,
არ გამეგონა, რაც მეყურება...

არ დამენახა ლექსის სიკვდილი,
ასე ულმერთოდ მისი წვალება,
არ მეგრძნო მკვდარი სიტყვის ტკივილი,
არ მეგრძნო ნაღდი მგოსნის წამება...

ისე მემღერა კოდალას ხმაზე,
ცელქ სარეკელას ქვაზე კაკუნით,
მოგადგებოდათ ცრემლები თვალზე,
აგევსებოდათ გული ნაკლული...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## რუსუდან კაიშაური

* * *

ვერ მოვასწარი და სიყვარული
წავიდა, ვიდრე ამ ქვეყნად მოველ.
მე კი ბავშვს ნეტა რა მიხაროდა?
გზააბნეული შემოვხვდი სოფელს.

შემისვა უკან ჩალისფერ ცხენზე
და გონს მიხვევდა მისი სისწრაფე,
გზაზე ვხვდებოდით ოქროსფერ
მწყემსებს,
დაბმულებს ჩალით დედამიწაზე.

სიყვარული კი აღარსად ჩანდა,
უნდა მე თავად შემექმნა იგი,
ვიპოვი ალბათ ოქროსფერ ჭადარს
და გადამალულს სიყვარულს შიგნით.

* * *

უსექტემბეროდ მოდის აგვისტო
თეთრი, პატარა იანვრით ხელში,
იქნებ მეც დავთმო, ქონი დავიდო
და აპრილივით შევიდე ხეში.

იქნებ იქ დავრჩე და ვით ზამთარმა
ჩამოვიყარო ძაბუნად მხრები,
ჩემი სიცივით ვავსო ჩანთები
აღარ დავტოვო ადგილი ვნების.

გაზაფხულს ასე დაცლილი შევხვდე,
მზეს შევეგებო პირველი თოვლით,
წყალი ჩამიდგეს ხესავით ფეხში
და ვნებისაგან ამვარდეს ორთქლი.

ტანი დავბერტყო, გაფანტულები
დარდები შევკრა ისევ ბარათით,
მერე ნეტავი, როგორც ფანტელმა
ვიგრძნო რომ ბნელში წუთით გავნათდი.

ბიბლიოთეკა

* * *

ღმერთმა მაჩუქა და გავიფიქრე:
„მე რად მინდოდა ფრთები?
ეჩუქებინა ნეტავ სიმდიდრედ
ბაჯაღლო ოქროს თმები.

გავექცეოდი ჩემი ჯილაგის
მე ერთფეროვან ოხვრას,
გამიტაცებდა მთვარის ციაგი
და ძველ რომანთა ცოხნა.

ერთხელაც ბედი გამიღიმებდა,
გამანათებდა თმები...
ოჯახის შრომით დავილლებოდი,
დავიძინებდი შვებით.

მუდამ, როს წყალი ჩადგება ხეში
და ფრთები ტანზე მეკვრის,
გავრბივარ გზაზე და როგორც შეშლილს
სიტყვასაც ვერვინ მეტყვის.

* * *

მინდა, არ მიკანკალებდეს მუხლი,
მინდა, არ მეცრემლებოდეს უპე,
მე ბალახი ვარ, დამყურებს მუხა
მის სილამაზეს ყვავილებს ვუპნევ.

ო, მიყვარს, კიდეც ჩემი პატრონი
მისი ტოტების უხეში კბენა,

მეხალისება მუხის გართობა
ირგვლივ პატარა ბიჭივით რბენა.

მაშეშებს მისი უაზრო მზერა,
ხანდახან მაინც მამღვრევს გიჟივით,
და მენატრება გადვიქცე ცხენად,
რომ იალაღებს დავცე ყიჟინი.

* * *

შეცვალე სახე ჩემი მღიმარი,
მომეცი ტანი ეხლა სხვაგვარი,
მთელი არსება ჩემი ღიაა,
სიცოცხლე ახლად ისევ მაგემე.

სხეულის ჩემის ბროლის ლარნაკში
ჩააწყე მარად მწვანე ტოტები,

მზის სხივთა კონით მინდა დავნაყრდე,
ვიცოცხლო ისევ, როცა მოვკვდები.

გამიადვილე სიცოცხლე ძნელი,
გამიმარადე აქ ყოფნა წუთის.
ჩემი სხეული ისე დაძველდა,
რომ თავსაც აღარ ვიწუხებ სუნთქვით.

* * *

აი, მოვიდა! უცბად ვიყვირებ
და გათენდება ღამე,
ჩემი ოცნება დიდხანს მიყვარდა,
მაგრამ მე შენთვის დავთმე.

ბედნიერება მომპარეს დებმა,
მძივად შებმული აქვანს,

და მომაჩეჩეს ხელებში სევდა,
რომელიც ხელში გატყდა.

და სევდა მიდგას თვალების უკან
ვდნები მე შენი მდგომი,
ო, ბედისწერავ, საყვირს დავუკრავ,
მწადია შენთან ომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

„მიყვარხარ“, ვამბობ ერთადერთ
სიტყვას
ათასწლეულთა გამოვლის შემდეგ,
მგზავრს ზურგის ქარი ღონივრად
მირტყამს
და წამით ამის სათქმელად შევდექ.

მე რუსთაველი ვიყავი შოთა,
გალაკტიონად მოვედი ბოლოს,
სულ ტარიელის მესმოდა მოთქმა —
ამის სათქმელად მსოფლიო მოვვლე.

* * *

კარს მივადექი რომელიც მუდამ
ჩაკეტილია ოქროს ბოქლომით,
რაც თავი მახსოვს, ამ სახლის
ზღურბლთან
ცნობისწადილის რაშით მოვქროდი.

ოქროს გასაღებს მაწვდიდა მცველი,
უნდა გახსნოდა საუნჯეს კარი,
მაგრამ მომქონდა უკანვე ხელი,
როგორც სამსხვრეპლოდ გაწვდილი
კრავი.

და ისევ სახლში მომყავდა სევდა
დედოფალივით მოკრული ტანზე,
ვიღაც უნაზეს რომანებს წერდა,
სულაც არ იდგა მიწისგან განზე.

მხოლოდ ის იდგა სახლი თუ კერპი
მაცდუნებელი საუნჯით სულში,
ხანდახან მივალ, გარს შემოვერტყმი
და თავს შიგ შესვლას თვითონვე ვუშლი,

* * *

ვის უყვარს ჩემი თვალები,
ჩემი ხმა ანდა ფიქრები,
ვის ვენდომები ვალებით
და ასე მწირი მზითვებით?

ვის უნდა ჩემი ლექსები,
კარში დაყრილი სინაზე?

ჩემი გულისთვის ვინ დგება
მთელი სიცოცხლე ყირაზე?

ეს შენ ხარ! — ჩემი დარდებით
გოლიათდები მაცდურად,
გვერდს რომ გიდგანან დიდები,
ხარ სასაცილო კაცუნა.

* * *

ვარდისფერ ოთახს გაახსენდება
გაზაფხული და ჭერზე მზის სილა,
ახლა იქ მარტო შენთვის თენდება,
მე აქ მიჭირავს ხელებში დილა.

და ვხედავ, როგორ ჩამოდის ღამე
ბოშა ქალივით, ქცეული გედად,
უნდა ორივე თოვლივით დავდნეთ
და ავიტანო სიშორის სევდა.

ბიბლიოთეკა

დავწეროთ ჩვენი მოკითხვა ცაზე
ან გვაკავშირებს ცის გარდა რამე?

ამხელა ზეცას და ასე სავსეს
ჩვენ წავიკითხავთ, გავტეხავთ ღამეს.

* * *

მე მომბეზრდება ხანდახან თავი
და ნიჟარაში ჩავძვრები ერთხანს,
მექნება წყალი და პური ჭვავის
და უგემურად, უნაღვლოდ შევხრავ.

მე მომბეზრდება ჩემი ქცევები
გაკვეთილივით ძველი, დამღლელი,

ჩემი გრძნობები — მარტო ცელები
და არა ხმლები ციხის ამღები.

შემეზიზღება ჩემი სიტყვებიც
გადაქცეული ბრაზად და კვეხნად,
და ვინც კი მოვა ჩემთან კითხვებით
მე ვეტყვი ხვეწნით — „ჩემთან ნუ
შეხვალთ“.

* * *

დედამ მაჩუქა თავისი თმები
შავი, ჯადოქრის მსგავსი,
გადარეული თავისი წლები —
მე ყველაფერი მახსოვს.

მერე დამითმო ხელები ცივი
გამთბარი ხოლმე ჩემით,

და ფიქრი, ფიქრიც თავისზე მძიმე
მივიღე მისი რჩევით.

ბოლოს მაჩუქა თავისი სახე,
თავისი ბედი, დარდი...
და ერთხელ იგი მე ვერსად ვნახე,
ერთხელ, ჩემს თავს რომ ვრთავდი.

* * *

გაზაფხული იწყება ქალაქში,
გაივლის მწვანეფრთება ცხენი
წიგნებს ოქროს თითებით გადავშლი
და დედის მზერისა მრცხვენია.

ვით წვიმა გადაირბენს სიცილი,
მე მინდა მზის სხივთან წავიდე

და სამგლედ ატეხილი კვიცივით
ვინ იცის, ამ გულში რა მიდევს?

თითქოს არის ბოლო გაზაფხული
დაწნულ ფაფრის ბოლოს ვაწვალებ,
ეს რა დღეებია არნახული!
გული დაკიდულა ბაწარზე.

* * *

მოდიან ჯარისკაცები თოფებშემართულნი,
მსოფლიოს ჯარისკაცები — დაღუპულებიც...
შევიდნენ იმ სახლში და მეასე სართულზე
ერთ კართან შეჩერდნენ, შეტეხეს კარები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედების სახელით,
— ბავშვების სახელით,
— და ჩვენი სახელით,
ომს, ვაპატიმრებთ!!!

* * *

ყოველ გაზაფხულზე მე ვიბადები საქართველოში,
ყოველ გაზაფხულს ჩემფერი თვალები აქვს,
ჩემი სიცოცხლე ყვავილს ატმისას გავს,
სული შეუბერე — ცაში გაფრინდება.

ყოველ გაზაფხულზე მე ვანთებ ხეებს,
ბალახს და ათასგვარ ყვავილს;
ყოველ გაზაფხულზე მე ვილოცები ჩემი მიწისთვის
ისე, რომ ამ ლოცვაში ამომდის სული.

ო, რა ხანმოკლეა ჩემი სიცოცხლე,
მეტს ვერას ვასწრებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაზა ქინქლაძე

## დის ქორწილი

შენი ზვარიც დადგა, ჩემო რუსუდან,
შენი ნადი-ნანდაურიც ნადიმობს,
მეც აქა ვარ და დათრობა გულს უნდა,
გულში ახლა დარდის მგელი ნადირობს.

დაო, ჩემო აკვნისმტეო ფერიავ,
ნატრულეთში მახსენდები, ჰოდა...
მენანები როგორც ცეცხლი კერიას,
როგორც მთაში ჩემი ძველი ოდა.

თეთრმა ჩიტმა, გახსოვს, როგორ დალია
ფანჯარასთან რძე-არჩივი ჩვენი?
რატომ დუმან ის დღეები, დაია,
როგორც სხვენზე თოჯინები შენი?

ეს ბუხარი რა ტკბილ ზღაპრებს
ყვებოდა,
თეოზე რომ იწვა ღამე გარეთ,
რა ლამაზად, რა უკვდავად ცხვებოდა
იმ ღადარში ჩვენი მზე და მთვარე.

...ეჰ, დავთვერი... აბა, რა დროს ესაა,
ქორწილია! ჰერს მოხადეთ როგო!
გესმის ჰერო? შენ თუ გესმის აკვანო?
დღეს თხოვდება ხუთკუნჭულა გოგო...

გზა მშვიდობის ასფურცელავ, ფიფქიავ,
თეთრო რაშო, ნატვრისთვალო,
ცისკარავ...
ფასკუნჯები სხვა მხარისკენ მიქრიან,
სხვა მინდვრებზე მიბალახობს წიქარა.

## ძველი ეზო

რა ხანია ამ ეზოს ქორი არ დასცემია,
ნასახლარზე დოინჯით შემომდგარა ეკალი,
ნეტავ სხვისი ფურები მაშინ რად მიცემია?
ნეტავ, თეთრო ალალო, ერთხელ არ მომეკალი;

გეფრინა და გეფრინა სოფელზე ირაოთი,
გეფინა და გეფინა ჩრდილი კოინდარებზე,
ნეტავ რისთვის ვწვალობდით, ნეტავ რისთვის ვდაობდით,
ან რისთვის ვმკითხაობდით ავდრებზე თუ დარებზე?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუკი მატლი გახრავდა ამ უბედო, საწყალ ხეს —
ამ დედაბოძს, ჟამმა რომ ხავსი შემოათესა,
თუ წვიმით ავავსებდი ამ ჭურებს და საწნახელს,
თუკი ჩამოგახრჩობდი ხეზე, ჩემო ადესავ!

## ხანძარი პალიასტომზე

იწვიან ზამთრის ლელიანები,
სძინავთ ვარსკვლავებს — ღამის
დერვიშებს,
გადარეულა პალიასტომი —
თეთრი ღომების ჯოგი თარეშობს.

ზვირთებდასეულ ნავში ვირყევი,
უკან ხანძარი, წინ ქარბორია,
ალიხანოვი არბევს გურიას —
ალბათ ქალაქში ასე ჰგონიათ.

ბედისწერა ხარ, სტიქიავ ჩემი,
თუმც მშობლიური და მინდობ ჯერაც,
მაგრამ თუ ახლა ისევ გადავრჩი
მე ვერ მივხვდები მაინც, ო, ვერა:

რატომ არ მყოფნის ამდენი ტალღა,
წვიმა, ქარ-თოში, ყინვის დაშნები?
რად გავაჩინე ისევ ხანძარი
და სიკვდილს რატომ ვეთამაშები?

მითების მხარევ, მე შენს სიყვარულს
ჩემი სისხლივით ვატარებ, ვიცავ,
მაგრამ ხანდახან ცეცხლი და ქარი
გჭირდება, შმორში ჩაფლულო მიწავ!

## წვიმა

როცა ცრის ცისცრისფერი წვიმა,
ბავშვობა და პირველი სიზმარი მახსენდება,
წითელი ირემი დამესიზმრა,
სერზე ადიოდა.
როცა წივწივებენ წვიმის წიწილები
და მხრებზე, წამწამებზე მასხდებიან,
ქოთქოთებენ გაწუწული საწვიმრები
და დგას ხის კენწეროების სუნი,
ისევ ვსვამ თითქოს ირმის რძეს სურების ტყეში
და ღამით მდინარეზე ალი შემიყვარდა,
ისევ მძინავს ველზე ლომის ტყავში
და გველის ქვაზე გული შემივარდა.
მგონია...
გამოცოცხლდი, ბებო, სანატრელო,
მგონია დამიბრუნე ზღაპრების საქართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ღამე ნაწვიმარ ზღვასთან

უმშრალებდა ღრუბელი
            პირს ნაწვიმარ მთვარეს,
ვარსკვლავების ნამცვრევი
            ჩამოჰქონდა ნიავს,
უსურვაზის ყვავილის
            სუნი ჰქონდა ჰაერს
და ზღვაურში შერეულ
            ლელქაშების შრიალს.
გაკრთებოდა შუქურა —
            აფროდიტეს ტანი,
და ალმური ტალღების, — როგორც ქალის თმების, —
სისხლში მილივლივებდა
            ნელი, თანდათანი,
თითქოს ზღვის ყვავილები
            მეხვეოდნენ ვნებით.
იყო სევდა და იგი
            სიხარულსაც ჰგავდა,
ვიყავ მარტო, მეგონა
            ანგელოზი მიცდის,
თითქოს რაღაც ვიცოდი,
            თითქოს რაღაც მწამდა,
ნეტავ ვისი ვიყავი:
ცის, ზღვისა თუ მიწის?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ზედგინიძე

# გატეხილი ხიდი

## რომანი

### ისაყ-ფაშას გასაჭირი

როგორც კი გაზაფხულდა, ისაყ-ფაშამ, დილმიდან დაწყებული, სადაც კი ხიდი იყო, ან ფონი, კოშკების მშენებლობა დააწყებინა, რომ ლეკებისათვის მტკვარს გამოღმა გამოსვლის საშუალება არ მიეცა. მუხრანშიც სასახლის გარშემო სანგარის შემორტყმაზე იზრუნა. თავიდათავი მაინც ისნის ციხის განახლება იყო. გივი ამილახვარსა და ზემო ქართლის თავადებს, გაღმა მხრის თავადებთან ერთად, ებრძანათ მუშახელი მტკვრის ნაპირა კოშკების მშენებლობაზე გაეყვანათ. სრულიად ქვემო ქართლი კი ისნის ციხეს დაასია. თავადების შეჩივლება, რომ გაზაფხული იყო და გლეხკაცის მოწყვეტა თესვისაგან ქვეყანას ავნებდა, 'არად ჩააგდო. — რიგრიგობით გამოიყვანეთო, — უბრძანა. მეტი რა გზა ჰქონდათ, შემჩივლელნიც დადუმდნენ და თავიანთ მხრივ მამასახლის-მოურავებს უბრძანეს განკარგულების შესრულება.

აპრილის დღე იყო. გაზაფხულის მოშძლავრებული მზე სხივთა ნაკადად იღვრებოდა და გაღვიძებულ სიცოცხლეს ხალისით ავსებდა. ისაყიც დილიდანვე კარგ გუნებაზე ადგა. ისე მხნედ, გულხალვათად გრძნობდა თავს, თითქოს ოცი წლის ჭაბუკი ყოფილიყო. გარეთ უწევდა გული; იმ ხანებში სულთან მაჰმუდის ბრძანება მიიღო, იგი უკან იწვევდა ლაშქარს. ისაყი კარგა ხანია, ელოდა ამას: სულთანი, ერთის მხრივ, რომ სპარსეთს ეომებოდა, მეორეს მხრივ შიგნით ჰქონდა ქვეყანა არეული და იქაც ბრძოლების გადატანა უხდებოდა; ამიტომ სულთანს იმდენი ჯარის დატოვება საქართველოში რომ გაუჭირდებოდა, ამას წინასწარ საზღვრავდა, ზემო თუ ქვემო ქართლის თავადებს კაცს კაცზე უგზავნიდა, ხელოსნებისა თუ მუშახელის გამოყვანას ავალებდა, ისმენდა მშენებლობის მიმდინარეობას, თვითონაც ხშირად მიდიოდა დასახედავად. ახლაც, კარგად მომზევებულიც არ იყო, რომ რამდენიმე ხელშინაურ კარისკაცთან ერთად მოზრდილი ამალის თანხლებით ისნისაკენ გასწია.

ქალაქის ვიწრო შუკებში ცხენებით გავლა ეზარებოდა ისაყს, მაგრამ იმ ხანებში თბილისში მტკვარს გაღმა გასასვლელად ერთადერთი მეტეხის ხიდი იყო, გზადაც უთუოდ შუა ქალაქზე უნდა გაევლო. დილმის კარიდან შევიდა, მარცხნივ ცერად დაშვებულ უფრო განიერ შუკას გაუყვნენ, ზემო მოედანს ნაადგნენ. ბაზრობა უკვე დაწყებული იყო, ნაირნაირი ხალხი ირეოდა, ათასი მილეთისა; მერხებსა და ფარდულებშიც ნაირ-ნაირი სავაჭრო გაელაგებინათ. განაპირად უნაგირები და ცხენის მოსართავები იყიდებოდა.

ისაყმა ერთი პირობა იფიქრა, გზა აექცია ბაზრისათვის, მაგრამ სულმა ნასძლია: ერთი ვნახავ, რა აქვთო. ქვემო მხარეზე, შუა ბაზრისაკენ აილო გეზი. მოვაჭრენი განზე გადგნენ. გზა დაუთმეს ქვეყნის მმართველსა და მის ამალას. უნაგირებსა და ცხენის სამკაუ-

---

იხ. დასასრული. „მნათობი", № 11.

4. „მნათობი", № 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს გადახედა ისაყმა. დალესტნური ჩანდა. წინ წადგა, ფარდულებს წინ მერხებზე წითელი, ნარინჯი და იისფერი დიბა-ატლასის თოფები ელაგა. თავს მდგომი თავჩალმიანი სპარსელი ვაჭრები შეიცნო, — სპარსელები?! ისიც ამდენი?! — გაკვირვებით გაივლო გულში. მარჯვნივ გაიწია, აქაც განაპირად ქოთნები, ჯამ-ჭურჭელი, სპილენძის ქვაბები და თუნგები, მაშრაფები, სამწვადე შამფურები და სხვა ასეთნი იყო გაწყობილი.

გაეცალა მოედანს, მარცხნივ მორუხო ფერის სიონს მისწვდა თვალი, თვითონ მაღლობზე მიმავალს ისე ეჩვენა, ეს ტაძარი თითქოს უზარმაზარ მოჭიდავესავით ოთხზე გაფაფხულიყო, რომ ვერავის წაექცია, ანდა ფოთლებშეყვითლებულ მუხასავით ფესვებგადგმული მძლავრად ჩასჭიდებოდა ნიადაგს, რომ ქარიშხალსა თუ ძვრას ვერ შეერყია. მერე მეტეხის ტაძარს ახედა, ფერად ისიც მოჰგავდა სიონს, მხოლოდ ეგ იყო, თუ სიონი მუხასავით ამოზიდულიყო მიწის გულიდან, მეტეხი ალვის ხესავით იყო წამომართული ვეებერთელა ტინობზე. წინაპართა ნახელავმა, ქვეშეცნეულად, სიამაყე მოჰგვარა ისაყ ჯაყელს, ერთ ხანს ნელი ნაბიჯით ატარა ცხენი, მეტეხს გაჰყურებდა, უნებლიედ გაახსენდა საფარა, ზარზმა და ჭულევი...

მეტეხის ხიდს მიუახლოვდა. საფირონის ფერად დაფერილი, მაღლა აწვდილი წოწოლა გუმბათებით სპარსული მეჩეთი შემოეჩეხა. თუმცა კაცმა რომ თქვას, არც თურქებზე იყო ეგრერიგად გულშევარდნილი, მაგრამ ყოველივე სპარსული მაინც სძულდა. მეჩეთისაკენ გადააფურთხა და ცხენს ფეხი ააჩქარებინა. „შაჰ-ისმაილის დროს აუგიათ ეს მეჩეთი, — გაივლო გულში, — მეც·ხომ სულთან აჰმედის ბრძანებით ავაგე მეჩეთები!" მაგრამ... ერთი მათგანი ციხის კედლებს შიგნით იყო მომწყვდეული. მეორე ზედა უბანში იყო და მასაც გარშემო ფრანგებისა და სომეხთა ეკლესიები ჰფარავდნენ. მესამე გარეუბანში იყო, და ვინ ჰხედავდა. ეს, სპარსული მეჩეთი კი ასე გამოჭიმულიყო.

„ბაზარიც სპარსელი ვაჭრებით აუვსიათ!.. ერთი დამიხედეთ ქალაქის მელიქს, რამდენსა ჰბედავს?!" — და აშხარ-ბეგ ბებუთაშვილზე ადრევე შემომწყრალი ახლა რისხვით აენთო. „— მე მაგას ვაჩვენებ!" — გაივლო მუქარით გულში.

ალმართი აათავა. ქვემო ქართლელები ურმებით ქვას ეზიდებოდნენ, ზემო მხრიდან ათიოდე ურემი მოდიოდა; როგორც კი ისაყფაშა და მისი მხლებლები დაინახა, წინა მეურმე კოფოდან გადმოხტა. ხარებს ჩაუდგა. თან სახრეს უქნევდა წინ, რომ შეეჩერებინა. მას მეორე მოჰყვა, მესამემაც შეაჩერა, მათ უკან მომავალმა მეურმემ დროზე ვერ მოიაზრა, ხარები წაქანებული ურმის თავით, წინა ურმის ბოლოს დაეჯახნენ, ცალ მხარეს უღელი საქედურთან გადატყდა, ხარმა გვერდზე გაიწია და გაჩერდა, ურმის თავი გატეხილი უღლის თავით ძირს დავარდა, მეორე ხარმაც თავი ჩახარა და ურმის თავისაკენ წამოჩოჩებული მეურმე ხელნებს შორის ჩავარდა; წინ მიგორავდა ურემი და მეურმესაც კონკილასავით მიითრევდა. აყვირდა, სხვა მეურმეები მიეშველნენ, ურემს ქვა დაუდეს თვალთან და შეაჩერეს. ხელფეხდაბეჟილი მეურმე, მკერდამდე რომ მიწა-ტალახით იყო გასვრილ-გაგლესილი, გამოიყვანეს.

ამის შემხედვარ ისაყს გაეღიმა.

— უხეირო მეურმე ყოფილა! — ღიმილით ჩაილაპარაკა.

— ჰმ, არ ვარგებულა! — კვერი დაუკრეს მხლებლებმა და სიცილი წაიხეთქეს.

მეურმეებს წინ ჩაუარა. ალაყაფის კარებში, ცხენდაცხენ შევიდა, სანგარს შიგნითაც ურმები ირეოდა. ფეხს ძლივს აუქცევდა კაცი. მარჯვნივ, მეტეხის ტაძრის მხარეზე, რამდენიმე ათეული კალატოზი მუშაობდა, ხელმარჯვედ აწვდიდნენ მუშები ქვასა და დუღაბს, თვალში მოუვიდა ნამუშევარი ისაყს. საკმაოდ დიდ სიმაღლეზე ამოეყვანათ ციხის სანგარი. გამოჩნდა თვითონ ქაიხოსრო ორბელიანი, ქვემო ქართლის სასარდლოს უფროსი და გამგებელი, რამდენიმე კაცის თანხლებით ჩქარი ნაბიჯით მოემართებოდა ისაყისაკენ. „აჰ, თვითონაც აქ ყოფილა!" — ესიამოვნა ისაყს ქაიხოსროს მუყაითობა. — ასევე ბეჯითად ირჯებოდა ერასტიც. „ეტყობა გვარით მოსდგამთ ერთგულება!" — გაივლო გულში და ჩამოქვეითება დააპირა. ხელქვეითებმა უზანგი დაუჭირეს, ისაყი ჩამოჯდა, ალვირი კაფუჯს მიაწოდა, თვითონ კი ციხის გოდოლის მშენებლებისაკენ წავიდა. მოახლოვებული ქაიხოსრო თავაზიანად შეჩერდა, თითქოს ნებას ითხოვდა, რომ ხლებოდა.

— შენც აქ ყოფილხარ? — გაუღიმა ისაყმა.

ქაიხოსრო მიეახლა, დაიხარა და მოსასხამის კალთაზე ეამბორა. ისაყმა წამოსწია, მხარზე ემთხვია. შემდეგ ქაიხოსრომ ისაყის მხლებელთ გულზე ხელის დადებით დაუკრა თავი.

— თვითონაც მობრძანებულხარ, სარდალო! - ისაყმა გაუმეორა ქაიხოსროს.

ქაიხოსრომ ზრდილობიანად გაიღიმა.

— მოგეხსენებათ, დიდო ფაშავ, სადაც თვითონ არ გაირჯება კაცი, იქ თავის გუნებისად საქმე არ გაუკეთდება!

ისაყი და ქაიხოსრო გოდოლის მშენებლებს მიუახლოვდნენ, ბატონების წინაშე რომ თავი გამოეჩინათ, კალატოზები და მუშები ერთ ფაციფუცში იყვნენ, მუშები თოკჩაკიდებულ კასრებით აწვდიდნენ მაღლა ქვასა და დუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაბს, ხარაჩოებზე შემდგარი, მკლავდაძარღვული ჭაბუკები სწევდნენ, ხელოსნების მითითებით აწყობდნენ თუ ჰყრიდნენ კედელზე.

— კარგად უმუშავიათ. ასე რომ გაგრძელდეს, ამ მხარეს ორ-სამ კვირაში მოათავებენ! — მოუწონა ისაყმა.

— ჩემი ვარაუდით ჩვიდმეტ დღეში უნდა მორჩნენ აქეთა მხარე. — დააზუსტა ქაიხოსრომ, — უფრო ადრეც მოვრჩებოდით, რომ...

ისაყი კალატოზების მუშაობას ადევნებდა თვალს, მერე ქაიხოსროს მიუბრუნდა:

— მარჯვე მშენებლები კი გყოლია, მაგრამ შენმა მეურმეებმა ვერ ივარგეს!

ქაიხოსრო შეცბა.

— რაო, ხომ არაფერი დააშავეს? — იკითხა მან.

ისაყმა ღიმილით მოუთხრო მეურმის ამბავი.

— კარგადაც მოსვლია, ღმერთს დაუსჯია თავის სირეგვნის გამო.

— ჰო, უფრო ადრეც მოვათავებდითო, წელან სთქვი, რამ შეგიშალათ ხელი? — იკითხა ისაყმა.

— ის მინდოდა მომეხსენებინა, ქალაქის მელიქს თქვენგან ებრძანა: საქონლის დასაბმელი ადგილები უნდა დაეთმო, საკმარისი ოდენობით არ მისცა, ეხლა კიდევ არა უშავს, ადრე ღამღამობით ციოდა, ნამუშევარ ხარს გარეთ ვერ აყენებდნენ, გაღმა სოფლებში მიჰყავდათ; ამოდენა გზაგამოვლილი ხარ-კამეჩი მეორე დღეს რაღას იმუშავებდა იმდენს?! ცოტა კირის მოწოდებაზეც შეგვაფერხა.

ისაყმა ცალი თვალი მოჭუტა (ასე სჩვეოდა, როცა ბრაზით ავსებული რაიმე გადაწყვეტილებას ღებულობდა), გვერდზე ახედა ქაიხოსროს.

— მერე და არ შეახსენეთ ჩემი ბრძანება?!

— როგორ არა, მე თვითონ ვეახელი, თავზე არ შეიდო!

— ო, მართლაც სამგლე თხასავით წასვლია თავს!

გულამღვრეული გაბრუნდა ისაყი.

„წინათ ფეხქვეშ მეგებოდა, ახლა გათავხედდა. სპარსელების შემოსვლის იმედი აქვს ალბათ და მორჩილებიდან გამოვიდა!.. მაგის მაგალითი სხვებისათვისაც ჭკუის სასწავლებელი იქნება!" — დაასკვნა მან და კაფუჯიბაში სელიმი იხმო; ხმადაბლა უთხრა:

— ქალაქის მელიქი აშხარ-ბეგი, ჯოჯოხეთში უნდა გაამგზავრო, ისე რომ! — თან ხელის გაქნევით რაღაც ანიშნა, დანარჩენი თვითონ იცოდა სელიმმა.

— დიდება ალაჰს, როგორც შევძლებ, დიდო ფაშავ! — თავი დაუქნია კაფუჯი ბაშმა.

ქაიხოსროს დაემშვიდობნენ, ცხენებზე შესხდნენ. ისაყი ისევ ფიქრებს გაჰყვა: „არ ვიცი, ქაიხოსრო ახალია და იმიტომ ასე ბეჯითობს თუ?.. არა! უთუოდ ერთგულია, რა უნდა დაავალო, რომ გულითადად არ მოეკიდოს? ბაგრატ ციციშვილი? ბაგრატი ყაჩაღია. როცა სჭირდება, გიერთგულებს, თუ ზურგი შეგაქცია, გულში მახვილსაც გაძგერებს... შანშე ერისთავი მეამბოხეა, რაც უნდა სიკეთე უქნა, მაინც სამტროდ არის გამზადებული, ამას არც სიტყვით ფარავს და არც საქმით. ბარძიმ ერისთავისას ვერაფერს გაიგებს კაცი, ვინ იცის, რას ფიქრობს და რას აკეთებს. გივი ამილახვარი? ის კიდევ უფრო ამოუცნობელია, თითქოს ერთგულიც არის და არც არის ერთგული. საოცარი ხასიათისაც არის. რამეს რომ გთხოვს, მაშინაც ბრძანებად ღებულობ კაცი მის ნათქვამს; თუ ეფერები, თითქოს თვინიერია, მაგრამ თუ გააღიზიანე, მძვინვარე ლომის იერი დაედება მაშინვე, ეშმაკობაც არ აკლია. ძალაა თუ ნება, უთუოდ შეგასრულებინებს თავის სურვილს!" — გზადმიმავალი ისაყი ასე წონიდა თავის თანამმართველებს.

მეტეხის ხიდი გამოიარეს, გამოსცდნენ სპარსულ მეჩეთს.

„ყველაზე საიმედო და თავაზიანი მაინც ქაიხოსროა". — დაასკვნა გურჯისტანის მმართველმა. მართლაც თავაზიანი იყო ქაიხოსრო! ისაყს ის მოსწონდა, რასაც ხედავდა. მან რა იცოდა, რომ ქაიხოსრო ადამიანთა იმ რიგს ეკუთვნოდა, ვინც თავისზე დიდებს ფიანდაზად გაეგება, მალამოსავით დაულბება და გაუსალუქდება, თავისზე მცირესთან კი ისეთი გოროზი და ქედმაღალია, რომ ფეხის ტალახადაც არ სთვლის.

როსტომ მეფისეულ სასახლეს გაუარეს წინ.

— აქ ვინ ცხოვრობს? — იკითხა ისაყმა.

კაფუჯი-ბაში სელიმი წინ წამოდგა.

— განსვენებული მუსტაფა-ფაშას ცოლი, დედოფალი ელენე ცხოვრობს თავისი შვილებით.

ისაყმა აივანზე ჭაბუკი შენიშნა, იცოდა, იესეს რომ ვაჟი ჰყავდა.

„ალბათ მუსტაფას ვაჟია... ასე ძვირფასი სასახლე უჭირავთ ამათ?!" თითქოს შეშურდა.

როსტომისეული სასახლე უკან მოიტოვეს, ზემო უბანში გადიოდნენ, რაღაც ჩოჩქოლი შენიშნეს. „უთუოდ რაღაც მოხდაო" — გაიფიქრა ისაყმა. ცნობის წადილმა წასძლია, იქით მიუღო ცხენს თავი. შუკაში გამომდგარი ხალხი ვილაცას თუ რაღაცას მისჩერებოდა. ფაშისა და მის მხლებელთა დანახვისთანავე გაიფანტნენ მაყურებელნი. სამი კაცი კედელს აჰკროდა და სატევრებით იგერიებდნენ მათზე მისეულ თურქ ასკერებს. როგორც კი ისაყი მხლებლებით წაადგა თავს, მაშინვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიგლიგი შესწყვიტეს, განზე გამოდგნენ ასკერები.

— რა მოხდა? რას სჩადით? — იკითხა ისაყმა.

ასკერები თავდახრილები იდგნენ, ხმას არ იღებდნენ, კედელი რომ ეფარებინათ, ერთმა იმათთაგანმა დაბლა დაშვებული სატევარი ქარქაშში ჩააგო, გამოსცილდა. შუატანის თუ იქნებოდა, საკმაოდ ჩაფსკვნილი.

— რატომ ებრძოდი? — შეეკითხა ისაყი.

— ჩემთვის მოვდიოდი ქუჩაში. ჩემს სატევარს თვალი დაადგა აი იმან, მომინდომა ახსნა! — უპასუხა წინ წამომდგარმა კაცმა.

— მერე?

— მერე... რას დავანებებდი, როგორც შეფეროდა, ისე ვუპასუხე! უიარაღოდ რომ ვერაფერს გახდნენ, იარაღს მიმართეს, მომესივნენ და თქვენც მოხვედით!

-- ვინა ხარ შენ? — ისევ იკითხა ისაყმა.

— თავადი დიმიტრი ამილახვრისშვილი გახლავარ, კასპელი.

— ისინი ვილა არიან? — მის თანამყოფებზე მიათითა ისაყ-ფაშამ.

— ჩემი მსახურებია.

ამილახვრისშვილი, ეტყობა, ვერ იცნობდა ისაყ-ფაშას, ისე ელაპარაკებოდა, როგორც თავის სწორს. მისი თამამი სიტყვა-პასუხი არ ესიამოვნა ისაყს.

— რაზე შეებით? — ახლა ასკერთა უფროსს მიუბრუნდა ისაყი.

თურქი ტანოვანი კაცი იყო, ალბათ ორი გამოიჭრებოდა მასში ამილახვრისთანა. ყბამოქცეულს სისხლი მოსდიოდა ლოყიდან, ლაპარაკიც უჭირდა.

—ხანჯლით დადიოდა, არც ქუდი მოიხადა! — ამოილუღლუღა ფაშას ცხენის წინ ორად მოკეცილმა ასკერმა.

— არ ვარგებულხარ, იმან როგორ უნდა დაგჯაბნოს ეგრე რომ... მარჯვე კი ჩანხარ! — ახლა დიმიტრის მიუბრუნდა ისაყი.

— მართლაც გლახაკი ყოფილხარ! — სიტყვა შეაწიეს ამალის წევრებმა ფაშას.

ისაყმა გაიღიმა.

— რომ დაატოლოთ, ორი იმ სიმაღლე მაინც არის!

— მართლაც! მართლაც! — ხმამაღლა გაიცინეს ფაშის კაცებმა.

— არამუსლიმანს რომ არ აქვს სატევრის ტარების ნება, იცი თუ არა? — ჩაეძია ისაყი დიმიტრი ამილახვრისშვილს.

— რა დავაშავე მაგით? — იკითხა დიმიტრიმაც, მაგრამ ახლა ხმა დაერბილებინა, ჩანდა, მიმხვდარიყო, რომ მის წინ ვილაც დიდი იყო და არა ჩვეულებრივი თურქი მოხელე;

— გადაეცი სატევარი! — უბრძანა დიმიტრის.

ამილახვრისშვილმა სატევარი აიხსნა და ფაშას მხლებელთ გაუწოდა.

— თქვენც, ახალგაზრდებო! — მიათითა ამილახვრისშვილის მსახურებს.

მათაც, თავიანთ ბატონის მსგავსად შეიხსნეს სატევრები და გადასცეს თურქებს.

— შეიპყარით! — უბრძანა ისაყმა თავისიანებს.

გაოგნებულ ამილახვრისშვილსა და მის მსახურებს მისცვივდნენ ასკერები, ისაყის მხლებლებიც მიეხმარნენ. ძალით გააკავეს და ზურგს უკან თასმებით გაუკოჭეს ხელები.

— ისმაილ! — მკაცრი ხმით წამოიწყო ისაყმა, ისმაილი წინ წამოდგა, მხლებლებმა სახე მოიქუშეს, მხრებში აიწურნენ.

— ისმაილ! — განაგრძო ისაყ-ფაშამ და თითი ამილახვრისშვილისკენ მიაშვირა, — ანძაზე ჩამოჰკიდე თავის მსახურებთან ერთად; ყველამ გაიგოს, რომ სულთანის კაცზე ხელის გამომღებს სიკვდილი არ ასცდება.

— ნამდვილად სიკვდილის ღირსია! — ხმა აიმაღლეს მხლებლებმაც.

— ფუ, შევარცხვინე თქვენი რჯული და კანონი! — მისძახა გაცოფებულმა ამილახვრისშვილმა, უკან გაკოჭილი ხელები გასწია, რომ ვერას გახდა, კიდევ გადაუკურთხა რაღაცა.

ისაყმა მხლებელთ გადახედა.

— ისმაილ, შენი კაცებით მიხედე მაგათ!

შემდეგ ცხენი მიაბრუნა და სხვა მხლებლებთან ერთად კოჯრის კარის მხარეზე წავიდა.

## მაინც გაეკამათა

*დიდი კაცის სტუმრობაო,*
*ნუ გგონია ხუმრობაო.*
*ხალხური*

გივი ამილახვრის ქალის სასახლეში ყველა ფეხზე იდგა, მოსამსახურეები ტრიალებდნენ, ასუფთავებდნენ და ალაგებდნენ. სამზარეულოში მზარეულები ქათმებს ბრტყვნიდნენ, თოხლებს ატყავებდნენ, სამწვადე ხორცს ამზადებდნენ. თვითონ დიოფალი ბანგუა ადგა თავს და უთითებდა რა და როგორ გაეკეთებინათ. სტუმარს ელოდა სასახლე, ისიც ისეთ დიდებულ სტუმარს, შანშე ერისთავი რომ იყო.

გივი ამილახვარს სტუმრისათვის დახვედრის თადარიგი დიასახლისისათვის მიენდო. თვითონ ბალში გატანილ სელზე ჩამომჯდარიყო და ფიქრობდა. ჯერ თავისი ბავშვობა გაახსენდა, ბებია თამარი, ბატონიშვილობით რომ იხსენებდა ყველა; ლმობიერი, გონიერი, მაგრამ ამაყი ქალიც იყო განსვენებული. შვილიშვილებში ყველაზე მეტად გივი უყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდა, სტუმრად ისე არსად წავიდოდა, რომ გივიც თან არ წაეყვანა.

ბებია ძლიერ მოყვარული იყო ძმებისა, გიორგის მაინც თავს ევლებოდა. როგორ ტკბილად, ალერსიანად ესაუბრებოდა, ხშირად ისეც ელალებოდა, უკვირდა გივის, მეფეა და ბებია ამდენს როგორ უბედავსო. ისიც აგონდება როგორ ჩასჩიჩინებდა ბებია, სიყვარულსა და პატივისცემას უნერგავდა მეფე გიორგისადმი...

უყვარდა ძმისშვილებიც. ძლიერ გულშევარდნილი იყო მარიამზე, შვილებში არ არჩევდა, ხშირად იტყოდა ხოლმე: სულ მამამისს, გიორგის ჰგავსო. რომ მოენატრებოდა, თავისთან იწვევდა. თვითონ სიძე დათუნა ქსნის ერისთავი არ მოსწონდა და იმასთან სტუმრობასაც ერიდებოდა: ჩემს ძმას, გიორგის, ღალატობს, არც სიმამრობის ხათრს იდებს და არც ქვეყნის ბედს დაეძებსო. მარიამის წვევა კი მეტისმეტად ახარებდა, ქორწილად მიაჩნდა და მთელ სასახლესაც ფეხზე დააყენებდა ხოლმე. მერე ვინ იყო ისეთი, რომ ბატონიანთ ქალისათვის არ გაეგონა, ან მისი ხათრი არ მოედო.

მარიამს ბევრჯერ მოჰყვებოდნენ ხოლმე შანშე და იესე. შანშე ორი წლით თუ იქნებოდა უფროსი, მაინც ამხანაგობდნენ; როგორც კი მოვიდოდა შანშე, აიყოლიებდა გივისაც და მთელ დღეს გადაიკარგებოდნენ: ხან რეხულაში თევზაობდნენ, ხან სათარეშოს კლდის მხარეზე ქორებსა და ჭილყვავებს დასდევდნენ მშვილდისრებით... მაშინ ასეთი ლეკიანობა არ იყო და მათი გასვლის გამო სახლში არ შიშობდნენ. მაგრამ ერთხელ ცხვილოს ციხეზე ავიდნენ, სანგარზე ასვლა მოინდომეს, — ვსინჯოთ, ციხეს როგორ ავიღებთო. თან თოკები ჰქონდათ წაღებული; კიბე გააკეთეს, ერთ ბოლოზე ქვა მოაბეს და, სადაც უფრო დაბალი იყო, იქ ბურჯზე ისროლეს. ვერ მოსდეს, რამდენიმეჯერ მოუხდათ სროლა, რიგრიგობით ცვლიდნენ ერთმანეთს და ისე აგდებდნენ, ბოლოს, როგორღაც მოხდა, გივიმ მოსდო ბურჯს. შანშე პატარაობიდანვე ჭირვეული იყო, — გინდა თუ არა, ჯერ მე უნდა ავიდეო. გივი არ უთმობდა, რაკი ბურჯს თვითონ გამოსდო, პირველადაც თვითონ უნდოდა ასულიყო. მერე მისი სტუმრობის ხათრი მოიდო, შანშე ავიდა, უკან მიჰყვა გივი. ის იყო, ბურჯზე უნდა გადასულიყო, რომ მეციხოვნეებმა ხელი წაავლეს. ეტყობოდა, წინასწარ შეენიშნათ და დარაჯობდნენ. გივიმ უკან ჩამოსვლა დააპირა. — ამოდიო, უყვირეს მასაც. თავიანთი ბატონიშვილი რომ იცნეს, სიცილი წასკდათ. — შენივე ციხის აღებას აპირებო! — ეუბნებოდნენ გივის. კაცი გამოაყოლეს, ჭალაში ჩამოიყვანა იმ კაცმა, დიდ ბატონს გივის მიჰგვარა. პაპამ, გივიმ ჯერ წარბები შეიკრა, მზრდელნი ახმობინა და სასტიკად დატუქსა: ბავშვებს რად ტოვებთ უპატრონოდ, რომ ასე დახეტიალობენ, რამე რომ მოიწიონ, ხომ ვერ გადამირჩებითო. შემდეგ უცბათ გადაუარა რისხვამ. პატარებს მიუბრუნდა: — ნუ გეჩქარებათ, შვილო, მაგასაც მოესწრებით, რომ ციხის დაჭერისათვის იბრძოლოთო. მზრდელებს უბრძანა: დღეს ოთახში გამოკეტეთ, გარეთაც არ გამოუშვათ. შემდეგ კი უფლება არ მისცეთ, თქვენს გარეშე ფეხი გადგან, თუ გაბედავენ, კარგად გაწკეპლეთო.

ეს ამბავი ბებია თამარმაც შეიტყო, ეტყობოდა შეკრთა, მაგრამ მაინც თავდაჭერილად უთხრა: თოკი რომ გაგწყვეტოდათ და იმ სიმაღლიდან ჩამოცვენილიყავით, ძირს სული არ ჩამოგყვებოდათ. ან კიდევ კარგი, მეციხოვნეებსაც მტერი არ ეგონეთ და რამე არ დაგიშავესო. მზრდელებმა მაშინ ხომ რამდენიმე დღეს აღარ გაუშვეს გარეთ. შემდეგაც ვაითუ ბატონიშვილი კიდევ სადმე გაიპაროსო, გვერდიდან არ იცილებდნენ.

სტუმრების მოლოდინში დიდ-პატარის ტრიალი არ წყდებოდა. გივის უფრო შინაურულად უნდოდა, რომ მიელო; ალბათ არც შანშეს მოეწონებოდა აურ-ზაურიანი მასპინძლობა, მაგრამ ატყობდა გივი, რომ ისეც, კარგად არ გამოვიდოდა — ამხელა კაცს ისე ულიმღამოდ ხომ ვერ მიიღებდა?! არადა ძალაუნებურად გახმიანდებოდა. რაღა გაეწყობოდა, ასე მოხდებოდა თუ არა, სტუმარს მაინც შესაფერისად უნდა დახვედროდა.

აზნაურები და მსახურები შემოიკრიბნენ. გივიც წამოდგა, ჯერ თითოეული ჩაცმულობაზე შეათვალიერა, მერე სახლთუხუცეს პაპუნას უბრძანა ბოლის თავს ათიოდე ცხენოსნით შეგებებოდა სტუმარს. თვითონ კი მაღლა ავიდა, აივანი გაიარა და საწოლ ოთახში შევიდა. მომზევებულზე ჩამოცხა და კაბა უნდა გამოეცვალა, საზაფხულო ჩაეცვა.

შუა დღე იქნებოდა, გივის შეატყობინეს, სტუმრები გამოჩნდნენ, ჯვარ-პატიოსანთან არიანო. მასპინძლები მაშინვე წამოიშალნენ. გივი, დიოფალი ბანგუა, ორივე ქალიშვილი და რამდენიმე ხელშინაური სასახლის გადაღმა გაეგებნენ სტუმრებს. შანშე თავისი კაცებით შორიდანვე დაქვეითდა. მოახლოვებისას გივის გადაეხვია, მერე ბანგუას წინაშე მოიდრიკა მუხლი ერისთავმა, კაბის კალთაზე ეამბორა დიოფალს. ამბორითვე მოიკითხა ქალიშვილები, თავის დაკვრით მიესალმა სხვებსაც.

— მობრძანდით! — ორივე ხელით მიიპატიჟეს გივიმ და ბანგუამ სტუმრები.

ბიბლიოთეკა

ეზოში შევიდნენ, კარგი ამინდი იდგა. თბილი დღე იყო.

— სად გავშალოთ სუფრა? — დაბალი ხმით ჰკითხა სახლთუხუცესმა გივის.

შანშემ ყური მოჰკრა.

— ასეთ ამინდში, რა თქმა უნდა, გარეთ სოჯობს. აი, იმ ხეებს შორის, — არ დააცალა მასპინძელს, თან დასძინა, — ლხენა გარეთ სჯობს, საუბარი კი სახლში.

პაპუნა ქარუმიძემ ღიმილით იკითხა:

— ეგ, რატომ, ბატონო შანშე?

— იმიტომ, ჩემო კარგო, რომ ილხენდე, სხვებმაც შეგხედონ და იმათაც მოილხინონ, საუბარი კი სახლში იმიტომ სჯობს, რომ ნასაუბრები სხვამ არ გაიგონოს და ისეთებს არ ამცნოს, ვისი ჯერიც არ არის.

დაეთანხმნენ სტუმარს. სუფრის გაშლა გარეთ დაიწყეს. შანშემ ხელკავი გამოსდო გივის.

— ვიდრე სუფრას გააწყობდნენ, ჩვენ საკურთხეველში შევიხედოთ, მერე უფრო გულითადად მოვილხენთ! — უთხრა მასპინძელს.

გივიმ მიიხედ-მოიხედა, „ვაითუ შეგვაგვიანდესო“, შეფიქრდა, მაინც დაჰყვა სტუმრის ნებას, სახლთუხუცესს რაღაც ანიშნა, იმას მიხედეო და წყვილად ავიდნენ კიბეზე. აივანზე ასვლისას შანშემ თვალი გადაავლო ეზო-გარემოს: „— ეჰ, რამდენი ხანია, აქ აღარ ვყოფილვარ!.. ზოგიერთი ახალი რამ გაგიკეთებია, იქით სანგარი გაგიფართოვებია, აქაც გოდოლი ჩაგიდგამს, სასახლე კი ისევ ძველებურად არისო“.

მეორე სართულის კუთხის ოთახში შევიდნენ. გივიმ სავარძელი მიუწია შანშეს, თვითონ მეორე სავარძელში ჩაჯდა. გივი გრძნობდა, რომ შანშესთან ცხარე კამათი არ ასცდებოდა, ამიტომ წინასწარ საამისოდ განეწყო.

— გისმენ, შანშე ბატონო! — ეს უთხრა, როგორღაც მკვახედ ნათქვამი გამოუვიდა, უნდოდა შეერბილებინა, მაგრამ ველარ მოასწრო, სტუმარმა, თითქოს მშვიდდივით იყო მოზიდული, უმალვე მიაგება.

— ერთი მითხარი, გივი ბატონო, რა გზას ადგიხარ?

გივიმი გაიღიმა, კარგად იცოდა შანშე მხოლოდ ერთს მოიწონებდა, ვიბრძოლოთო, რომ ეთქვა. ოდნავ გვერდულად გადახედა.

— მეც არ ვიცი, შანშე ბატონო, რა გზას დავადგე!

შანშემ წინ წამოიწია.

— როგორ არ იცი, ქვეყანა დაგავიწყდა და მარტო შენი თავი გახსოვს, თუ რა არი?! — ცხარედ მიახალა გივის.

გივიმ თავი გადააქნია:

— არა, შანშე ბატონო! მე თავიც მახსოვს და ქვეყანაც არასოდეს მავიწყდება, მაგრამ არც ზედაველას დავიწყება შეიძლება.

შანშემ შეაწყვეტინა:

— ზედაველათი რა ნიშანს მიგებ? ზედაველას სარდალი შენ იყავი!.. მაგრამ მერე რა?! ერთხელ განცდილმა მარცხმა ისე უნდა შეგვაშინოს, რომ ფარ-ხმალი დავყაროთ?! ასეა, ზოგს ლაგამი ამოსდონ პირში, ზედ შეჯდნენ და სამარცხვინოდ აჭენონ, ზოგი ანძაზე ჩამოაგონ, ზოგი გაათათრონ, ზოგი კლდეზე გადაჩეხონ, ჩვენ კი დავიკრიფოთ გულხელი და მივაჩერდეთ, როგორ გვათახსირებენ და მონობაში სულსა გვხდიან, არა?!

გივიმ დააცადა თქმა, შანშე შეჩერდა, სათქმელი თქვა, ამას გულის ბალღამიც ამოაყოლა თითქოს და შეისვენა. გივი შეეკითხა:

— ხომ აჯანყდი ერთხელ, რატომ ვერ გაიმარჯვე?

შანშემ ხელი გააქნია სიბრაზით.

— როგორ უნდა გამემარჯვა, შენც კი თურქებს ამოუდექი მხარში და!

— ჰმ, — ჩაიცინა გივიმ, — ჯერ ერთი, ის არ დაგავიწყდეს, მაშინ მე რომ თურქებს არ ვხლებოდი, შენც და შენს საერისთავოსაც ათჯერ მეტი ზიანი მოგივიდოდათ; მაგრამ ამას თავი დავანებოთ, შენ რომ მოგდგომოდი, მაშინ კი გავიმარჯვებდით?

შანშემ ოდნავ ფიქრიანად სთქვა: — თუ სხვებიც მხარს მოგვცემდნენ, როგორ არ გავიმარჯვებდით?!

— კარგია თუ სხვებიც მოგვცემდნენ მხარს! — სავარძელში საზურგეს მიეყრდნო, — რომ არ მოგცენ მხარი, მაშინ სად მიდიხარ?!

— მტერი ცალკერძ, შენიანი ცალკერძ რომ გებრძვის, რას გახდები კაცი! — უკან დაიხია შანშემ, ცოტა მერე თითქოს ისევ შეიმართა, — მაინც იბრძოლებ, გულის ჯავრს მაინც ამოიყრი კაცი!

— ო, ჩემო შანშე, რა ადვილად ამბობ მაგას! გულის ჯავრს მაშინ ამოიყრი, როცა მტერს დაამარცხებ. შენს მიწიდან განდევნი ისე, რომ უკან აღარ მოგიბრუნდეს. თუ მტერს ზიანს მიაყენებ, მაგრამ შენ უარესად დაზიანდები, ეგ რა გულისჯავრის ამოყრა იქნება?! ასეთ შურისგებას მე ვერ დავჯერდები! — ეს თქვა გივიმ და ღია სარკმლიდან შემოფრენილ ფუტკარს გაადევნა თვალი.

შანშე ჩაფიქრდა, მოგვიანებით სთქვა:

— მე ვიცი, რომ შენ თურქებისა და ისაყის მოყვარული ვერ იქნები, მაგრამ...

გივი შანშესაკენ მობრუნდა.

— აბა, როგორ ვიქნები თურქებისა და ისაყის მოყვარული, შანშე, მაგრამ ქვეყანასაც არ მინდა მტრობა გავუწიო. საქმე ის კი არ არის, შენ რა გსურს, მთავარი ის არის, შენ რომ ნაბიჯს გადასდგამ, იმას რა მოჰყვება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოდნავ შეჩერდა. თითქოს სათქმელს უყ-რისო თავს და განაგრძო, — ქვეყნის ბედს სასწორზე ვერ შევაგდებ. ის მირჩევნია, მეც ვითმინო და სხვებსაც მოთმინების მაგალითი მივცე, ვიდრე ხელ-ფეხგაკოჭილმა ჩემი ხალ-ხის გაჟლეტას ვუყურო!

შენც კარგად გახსოვს, ზედაველზე რომ ვი-ბრძოლეთ, ორივეს ბიძად რომ მოგვხვდებო-და, იესე, ქვეყნის პატრონად რომ სახავდა თავს, ის და ბაგრატ ციციშვილი მტერს მო-უძღოდნენ ჩვენზე; ისიც გახსოვს ჩემმა სი-მამრმა, — ეს სიტყვები როგორღაც გააგრძე-ლა, — ერასტი ყაფლანიშვილმა, თურქების წინაშე როგორ გამოიდო თავი!.. კვლავაც ასეთი უაზრო მსხვერპლი რომ არ გავიღოთ, ამიტომ უნდა ვითმინოთ!

წეღანაც ვთქვი, მე ჩემდათავად ქვეყნის ბედს სასწორზე ვერ შევაგდებ, ღმერთმა მაშოროს, მაგრამ თუ შევატყე, ისედაც სას-წორზე იქნა, გინდა იქით სძლევდეს და უი-მედო იყოს, ხმალს მაინც დავძრავ, თუნდაც მომაკვდავის გაბრძოლებად ეჩვენოს ვინმეს. მე ასე ვფიქრობ და შენც ასე გირჩევ, შანშე ბატონო, ჯერჯერობით არ არის ბრძოლის ჟამი, ჩვენ ისეც ცოტანი ვართ, თავი რომ გა-ვაჟლეტინოთ, არ ივარგებს!..

— გივი ბატონო, მართალს ბრძანებ მაგას, მაგრამ, — შანშეს თითქოს ხელახლა გაახსე-ნდა და ისევ ცხარედ წამოიწყო, — ასეც ხე-ლიდან მიგვდის ქვეყანა, ამდენ ყვლეფასა და უსამართლობა-დევნას რომ თავი დავანე-ბოთ, ხალხს სჯულსა და ენას ართმევენ; რამ-დენი ათასი წელი ხმალი უქნევია ქართველს და თავისი არ დაგვითმია. ახლა გადავგვარ-დეთ?! გავთათრდეთ?!

გივიმ ცოტა ხანს იყუჩა, მართლაც დიდი გასაჭირი ადგა ქვეყანას, მაგრამ...

— საქმე ხალხია, ხალხი თუ არ გაჩანაგ-და, არ გადავგვარდებით. მსხლის ერთ ტოტ-ზე იქნება პანტა დაამყნა, მაგრამ სხვა ტოტე-ბზე მაინც მსხალს მოისხამს. საქმე ის არის, ძირში არ გადააჭრევინო და მასზე სხვა არ დაამყნევინო!

შანშემ დამცინავად გაიღიმა.

— ყველაფერს კარგად ამბობ, გივი ბატო-ნო, მაგრამ ეგ შენი ნასიბრძნი საქმეს როდი შველის, ქვეყანას დროზე უნდა მიხედვა, თო-რემ ყველა ტოტები თუ დასხიპეს, მერე ეძებე შენ ძირი სად იქნება!

გივის წყენის კოპები დაასხდა შუბლზე.

— შენგან მიკვირს, შანშე ბატონო, ერთად ვბერდებით და ერთმანეთის ვერაფერი გაგვი-გია! რაც გითხარი, ის იმიტომ ვთქვი, რომ შენ ერთთავად ხმლის ქნევაზე გიჭირავს თვა-ლი. თორემ დროზე თუ უნდა ქვეყანას შვე-ლა, ეგ დროც მოდის. მე თურქების უღელ-ქვეშ კი არ ვაპირებ დაბერებას!.. თამაზ-ხანი თანდათან ავიწროებს სულთანს, [illegible] მტკიცედ როდი აქვთ თურქებს საქმე! მეფე ვახტანგმაც რომ ილონოს, თუნდაც ერთი ბა-ტალიონი რუსის ჯარით წამოვიდეს, ადვილად დავიჭერთ ქართლს, კიდეც შეიძლება მოვ-მაგრდეთ!

— ჰო, ეგ მინდოდა გეთქვა, — სიამოვნე-ბის ღიმილმა გადაუარა შანშეს, — ხომ ხე-დავ, სულთანმა აქედან ჯარიც გაიწვია, აქ ისე ცოტა დარჩა, რომ მაგათ როგორ ვერ მოვუვლით თავს?!

— დიახ, კარი ჟამია, — განაგრძო გივიმ, — მარტო ჩვენ რომ აღვსდგეთ, მაინც საში-შია, დამხმარე გვჭირდება ვინმე! მე მგონია რუსეთის ხელმწიფეზე საიმედო მომხმარე არავინ გვყავს. მე და შე ვერც ქვეყანას გა-ვიყოლებთ და ვერც მარტო გავხდებით რა-მეს! რუსეთის ჯარით მეფე ვახტანგის გად-მოსვლაა საშველი.

— მეფე ვახტანგმაც რომ აღარ გვაღირსა გადმოსვლა?! — საყვედურით სთქვა შანშემ, — უკანასკნელად კაცნი რომ წარვგზავნე, როგორ გულდაჯერებული ვიყავი. ახლა მაინც გაგვიმართლებდა!... ისინიც ისევ იმედს მით-ვლიან, მაგრამ ამ იმედით სადამდე უნდა ვი-კვებოთ?!

— მეფე ვახტანგი უნდა გადმოვიყვანოთ როგორმე!

შანშე ფიქრებში წავიდა: ერთ ხანს ორივე დუმდა. მერე შანშემ წინ გადმოიწია სავარ-ძელში.

— იცი, გივი, ძმურად გეტყვი, შენთან სა-კამათოდ კი მოვსულვარ, მე და შენ დავა პა-ტარაობიდანვე მოგვდგამს. ახლა ისე მინდო-და მესაუბრა შენთან, რომ არ შემოგბმოდი, მაინც არ გამომივიდა. — შანშემ გაიღიმა, — თანაც, ნუკი მიწყენ, ისიც მინდოდა გამე-გო, აზრი ხომ არ შეიცვალა-მეთქი რამეში... მე ვფიქრობ, ამაზე უკეთესი ჟამი აღარ გვე-ქნება, ახლაა საჭირო, ვახტანგი გადმოვიდეს. რუსთა დამხმარე ჯარი თუ იქნა, ხომ კარგი, თუ არა, ისედაც მისი მოსვლა დიდი ძალა იქნება. რუსეთს მინდა წავიდე თავად, ავად თუ კარგად უნდა წამოვიყვანო მეფე ვახტან-გი.

— ჰო, ეგ კი კარგი აზრია! — მოუწონა გივიმ.

## ოსეს რჩევით

ბარძიმ არაგვის ერისთავმა თავი კი იხსნა პატიმრობიდან, თავის სახელოსაც დაუბრუნ-და, მაგრამ აღებული ვალის გადახდას არ შეცდილა. ოსე ბარათაშვილმა შეახსენა კი-დეც: — მოვალე მაწუხებს, ეგებ ილონოთ და ის ნასესხი ფული გადაუხადოთო. ბარძიმმა შემოუთვალა: ვალს ხომ არ გავექცევი, მად-როვონ და გადავუხდიო. ოსეს ყველაზე მე-

ტად დედისეული ძვირფასთვლიანი ბეჭედი ადარდებდა, სადამდე უნდა ყოფილიყო სხვის ხელთ? ამ წინებზე ელიზბარ ყაფლანიშვილისას მეჰმედ-ბეგს შეხვდა, ეს გავლენიანი კაცი მეტად თავაზიანად ექცეოდა სიონის სახლთუხუცესს. ოსემ გადაწყვიტა, მისთვის მიემართა და ვაჭრისათვის თავისი გირაო მისი ძალით გამოერთმია. ერთი თუმანი საჩუქარი მიართვა ისაყ-ფაშას ყოვლად ძლიერ ბეგს და დახმარება სთხოვა. მაჰმედ-ბეგმა იასაული გაატანა, ბარძიმ-ერისთავი თვითონ გადაგიხდის ვალს, ოსეს კი თავისი ბე დაუბრუნეო. აბა, რომელი ვაჭარი გაბედავდა მეჰმედ-ბეგის ბრძანების შეუსრულებლობას? ალალუამაც დაუბრუნა ოსეს ბეჭედი, მაგრამ სახეზე მგლის ფერი დაედო, ოსემ მის ქვეშქვეშურ გამოხედვაში რაღაც მუქარის მსგავსი რამ დაიჭირა, მაინც ყურადღება არ მიაქცია ამას, — რა უნდა მიყოსო. ბეჭდით ხელში გამობრუნდა. სახლში რომ მივიდა, ისევ იმ ზანდუკში ჩასდო, საიდანაც ამ ნახევარ წელზე მეტი ხნის წინ ამოიღო. ძლიერ კმაყოფილიც დარჩა, ეს, დედისეული სახსოვარი, ვიღაც ვაჭარს რომ არ დაუტოვა და ისევ დაიბრუნა. ამის გამო ისე ფრთაგაშლილადაც იგრძნო თავი, თითქოს დიდი რამ შესძენოდა. რაც თვეების მანძილზე იდარდა, ვაითუ დედის ნაქონი განძი დავკარგოო, ახლა ერთბაშად იმოდენა სიხარულად ექცა, რომ გულში ველარ იტევდა. გაფუებულ ცომივით აიწია და ჰადაჰა, პირთამდე ასული, კინაღამ გადმოღვრილიყო. ოსე თავდაჭერილი და გონიერი კაცი იყო, თავისი ეს ყოფა ადვილად იგრძნო და თვითონვე გაეღიმა თავის თავზე.

— ეჰ, რა პატარა რამე გვამხიარულებს, ბედნიერად ჩაგვათვლევინებს თავს, რა პატარა რამეზეც მოვიწყენთ ხოლმე! — ჩაილაპარაკა. ამასობაში დღე გაელია. მთელ დღეს სიონში საქმისათვის ხომ არ მიეხედა, თეიმურაზ ბატონიშვილთან წასვლაც დააგვიანდა; გადასწყვიტა, მცირე ხნით მაინც ჩაევლო სიონში, გადაეხედა და მერე წასულიყო ბატონიშვილთან.

ის იყო, სახლიდან გამოსვლას აპირებდა, რომ მოსამსახურე შემოვიდა და მოახსენა:

— ვიღაც კაცია, თქვენი ნახვა უნდაო.

ოსეს ახლა მისი დრო არ ჰქონდა, მაგრამ სტუმრის მიუღებლობასაც მოერიდა.

— იხმეო! — უთხრა.

მსახური გაბრუნდა, სტუმარს შემოუძღვა. შუა ხნის კაცი იყო მოსული. შუა ტანისაც. თითქოს ნაცნობი ჩანდა ეს კაცი, მაგრამ აზრად ვერ მოვიდა ოსე, სად ჰყავდა ნახული, ან ვინ იყო?

— დაბრძანდით! — უთხრა ოსემ სტუმარს და სკამი მიუწია.

სტუმარი დაჯდა. სახეზე საშინელი დაღლილობა და მოწყენილობა ემჩნეოდა. „ალბათ ვალებში ჩავარდა და!..“ — გაივლო გულში ოსემ. სტუმარმა თითქოს ოთახი შეათვალიერა.

— კავთელიშვილი ვარ, გიორგი მქვია. სამეფო აზნაური გახლდით... ახლა... — ნაღვლიანი ხმით წამოიწყო სტუმარმა.

— კეთილი! — უპასუხა ოსემ და თვალი მიაპყრო, — რას იტყოდა.

— როგორც მოგახსენეთ, — განაგრძო სტუმარმა, — სამეფო აზნაური გახლდით. მამულები ქვემო ქართლში მაქვს, აქ ვცხოვრობდი, თბილისში. მეფე ბაქარს ვახლდი... ჩემი ძმა რუსეთს გაჰყვა; თურქობის ჟამად გამიჭირდა, ვალები დამედო, ველარ გავუძელ გადასახადებს. მძლია ეშმაკმა და მაჰმადის რჯული მივიღე... ცხოვრება კი შემიმსუბუქდა, მაგრამ საშინელ სულის ქენჯნას განვიცდი, აღარ ვიცი, რა ვქნა... — აღგზნებით გაშალა ხელი, — რად მინდა ქონება... დე ისევ ღარიბობით გამეტანა თავი როგორმე, და არ მეღალატა ჩემი სჯულისათვის. /ღვთის წინაშეც შევცოდე და ქვეყნის წინაშეც. ამ ქვეყნად ყველაფერი წარმავალია, დღეს თუ ხვალ თურქებსაც დაელევათ დღე. მე კი ღმერთთანაც პირშავად ვრჩები და კაცთანაც.

ოსე მისჩერებოდა სტუმარს, ის ისე აღელვებული, ისე გულნაკლული ჩანდა, რომ მისი ტკივილი და საზრუნავი თვითონაც გადაედო.

— მირჩიეთ რამე, როგორ მოვიქცე? — დასძინა ბოლოს.

ოსე ერთ წუთს საგონებელში ჩავარდა, მერე აილო თავი.

— ისევ ქრისტიანობაზე რომ მოიქცე, თურქები დაგიწყებენ დევნას!

— არ დავეძებ, რაც მაბადია, დე წაიღონ, ოღონდ!..

— მაშინ ხელახლა უნდა მოინათლო... — ურჩია ოსემ.

— საკანონოსაც გადავიხდი, ოღონდ მომნათლონ! — ყველა დათმობაზე მიდიოდა სტუმარი.

მაგრამ ვინ გაბედავდა გამუსლიმანებულის ხელმეორედ მონათვლას, ვინ იცის მას თურქები რა დღეს დააწევდნენ. თუ არა და შეძრწუნებული კავთელიშვილის სიბრალულით აღივსო.

— ხვალ, ან ზეგ მოდი სიონში, ვეტყვი მოძღვარს, მამა დომენტისაც მოვახსენებ, იქნებ მოგიხერხო რამე!

დაემშვიდობა სტუმარი. ოსეც დაბლა დაუყვა. სიონის შესასვლელის წინ მღვდლები იოაკიმე და გალაკტიონი იდგნენ, რაღაცაზე საუბრობდნენ. ოსე მიესალმა და ტაძარში ჩასვლას აპირებდა, იოაკიმემ ბოდიშის მოხდით შეაჩერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ უკეთ გეცოდინებათ, აშხარ-ბეგი რომ მოუკლავთ თურქებს.

იოსემ სხვათაშორის იკითხა.

— ვინ აშხარ-ბეგი მოუკლავთ?

— მაშ, არ იცით?! მთელმა ქალაქმა იცის და?! — გაუკვირდა გალაკტიონს.

ოსემ მხრები აიჩეჩა:

— ვინ აშხარ-ბეგი მოუკლავთ, არ ვიცი?!

იოაკიმე გამოეპასუხა:

— აშხარ-ბეგზე მოგახსენებენ, ქალაქის მელიქზე!

ოსე სახტად დარჩა. რას წარმოიდგენდა, რომ აშხარ-ბეგს ვინმე რამეს გაუბედავდა?

— ეგ ხომ მაგათი კაცი იყო?!

იოაკიმემ გაიღიმა:

— მერე რა, რომ მაგათი კაცი იყო?! დრომდე ანებივრებდნენ, მერე ზედმეტად ჩასთვალეს და მოიცილეს თავიდან.

— როდის მოუკლავთ, ან როგორ? — ისევ იკითხა ოსემ.

— როგორც სთქვეს, წუხელის, სალამოს ციხეში უხმიათ და მერე დაბახანის მხარეზე კლდეზე გადმოუჩეხიათ.

ოსე დაეჭვდა, იმ დღეს მეჰმედ-ბეგთან იყო, იასაულებიც გაჰყვნენ ალალუასთან. ამგვარი რამ არაფერი სმენია. ეგების ესენი ცდებოდნენ?!

— იქნებ ტყუილი გითხრათ ვინმემ?! — ეჭვი გამოსთქვა ოსემ.

— წელან იოსებ ფალავანდიშვილი იყო აქ, იმანაც თქვა მოუკლავთო, აგერ, მამა გალაკტიონსაც შეუტყვია! — შეესიტყვა იოაკიმე.

— ტყუილი როგორ არის, ვაჭრებს დანა კბილს ვეღარ უხსნით.

— აშხარ-ბეგი მოჰკლეს, ჩვენც დაგვერევიანო, შიშით კინაღამ სული გააცხონ! — დაუდასტურა გალაკტიონმაც.

ოსემ სინანულით გადააქნია თავი:

— ვინ იცის, ეს მერამდენეა, რომ ასე კლდეზე გადააგდეს!

ცას გახედა, მზეს დასალიერისაკენ დაეტანებინა. აღარც შესულა სიონში, ჩაფიქრებულმა პირდაპირ როსტომ მეფისეულ სასახლისაკენ გასწია.

ოსეს აშხარ-ბეგ ბებუთაშვილის საქციელი არ მოსწონდა, ყველა სამღვდელოსა და თავადიშვილის მსგავსად ისიც ათვალწუნებით უყურებდა ამ ვაჭართა თავკაცს, მაგრამ მისი მოკვლა მაინც ეწყინა. „ეჰ! — ამოიოხრა მან, — თურქების ნდობა არ შეიძლება! ყოველ წამს უნდა ელოდე, რომ გიღალატებენ!.. მე მაინც რა ღმერთი გამიწყრა, იმ ბეჭდის გულისთვის რომ მეჰმედ-ბეგთან მივედი?! მაგათ არც კარგად უნდა გაეკაროს კაცი და არც ავად!“ — გაივლო გულში და თითქოს ბეჭებში რაღაცამ ბრწკენა დაუწყო. ფეხს აუჩქარა, ეგებ უსიამოვნო ფიქრებისა თუ შეგრძნებისათვის თავი დაეღწია.

სასახლეში დაგვიანებით მისულს უნდოდა, დედოფლისათვის მაინც თავი აერიდებინა, მის შეუმჩნევლად თეიმურაზი მოენახა, გამოეკითხა სავარჯიშო, ასახსნელ-განსამარტავი არც თვითონ მოემზადებინა და არც გადაცემის თავი ჰქონდა ახლა, ამიტომ იქნებ ისევ სავარჯიშო მიეცა რამე... ბედად ელენე აივანზე დახვდა გადმომდგარი. შეცბა. უკან დახევა აღარ ეგებოდა. გადასწყვიტა, მისულიყო და დაგვიანების გამო ბოდიში მოეხადა. კიბეები აიარა. დედოფალმა მეორე სართულზე ასული ოსე რომ დაინახა, მისკენ წამოვიდა. ცალ მუხლზე დაჩოქილი ოსე დედოფლის კალთას ეამბორა, ელენემ წამოაყენა, ის იყო, ოსემ მობოდიშება დააპირა, რომ დედოფალმა დაასწრო:

— რა კარგად მოხდა, რომ მოხვედი, გონიერი კაცი ხარ, შენი რჩევა მჭირდება. გაიგებდი, თურქებს აშხარ-ბეგი მოუკლავთ. არავის ინდობენ, ჩემი თეიმურაზის ბედი მაფიქრებს. რაიმე ხვანჯი არ მოუწყონ და... მაგრამ სახლში შევიდეთ!..

ელენე სასტუმრო ოთახისაკენ წაუძღვა ოსეს. მსახურმა ქალმა კარები გამოაღო, ოთახში შევიდნენ. დედოფალმა სავარძელზე მიუთითა: დაბრძანდიო! — უთხრა და თვითონ მეორე სავარძლის გვერდზე დადგა.

— იმან შემაღონა, ჯერ იყო და საწყალი ჩემი ძმა, კონსტანტინე, ისე ულვთოდ და ვერაგულად მოაშთვეს. მაგრამ, ვთქვათ კონსტანტინესი ეშინოდათ და იმიტომ მოექცნენ ასე, აგერ აშხარ-ბეგი, როგორც მესმოდა, თურქებს თვალში ამოჰყვავოდათ. ახლა კი ასე მზაკვრულად მოჰქცევიან!... რამდენი ამნაირი რამ ჩაიდინეს! როგორ არ შემაფიქროს თეიმურაზის ბედმაც?! ავი რომ განიზრახონ, ღმერთო შენ აგვარიდე! — ხელაპყრობით შეევედრა ელენე ღმერთს, — რაღა მეშველება?! მერე და შენ გეტყვი, გვყავს ვინმე ახლობელნი თუ რა, რომ მოირიდონ?

ოსე ჩააფიქრა დედოფლის შეშფოთებამ. კარგად ესმოდა დედის შიში. ელენემ განაგრძო:

— სხვაგანაც ველარ გავგზავნე, სულ მონასტრებში სადამდე მყავდეს გამოკეტილი?! ანდა, თუ მოისურვეს, განა მონასტერში კი ველარ მისწვდებიან?! საბრალო ჩემი ძმის შემდეგ მაინც სულ დავკარგე მოსვენება; იმის შიშით, რომ თვალში არ მოვხვედროდი, ძმის გლოვასაც მოვერიდე. მარტო მე თუ მაცვია თალხი, — სამოსზე დაიხედა, — ისიც მანამდეც ვატარებდი განსვენებული ჩემი მეუღლის გამო, თორემ სხვა მხრივ რა ვიცი... მაგრამ ეშმაკს არ სძინავს, მზაკვარიც რას იზრახავს, ვინ გაიგებს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსემ ნიკაპი მოისრისა, ეს საფიქრებელი კი იყო, მაგრამ...

— თქვენს ძმას, ბატონ კონსტანტინეს, კახეთის სამეფო ტახტი ეჭირა, თურქებს უნდოდათ, კახეთი ჩაეგდოთ ხელში. ამიტომაც თავიდან მოიცილეს. აშხარ-ბეგმაც ბევრი რამით გაანაწყენა ისაყ-ფაშა: ქალაქს რომ მოვიდა, არ მიეგება, ქალაქის კარიბჭესთან შეხვდა მხოლოდ. სპარსეთიდანაც საქონლის შემოტანას ხომ უკრძალავდნენ, ამ ბოლოს სწორედ იქიდან დაიწყო შემოზიდვა, კიდევ ვინ იცის, რამდენი რამე არ გაუგონა! თქვენს თეიმურაზს მაგათთვის ხომ არაფერი დაუშავებია?! არც გზას უჭრის სადმე და არც არაფერში უშლის ხელს! ამიტომაც, მგონია, თქვენ ტყუილად შიშობთ!

ცოტა იმედი მიეცა დედოფალს, მაინც ფიქრიანად სთქვა:

-- რა ვიცი, ეგრე კი არის, მაგრამ...

— არა, დედოფალო, პირიქით. მე მგონია, მფარველობასაც გაუწევენ. ბატონ იესეს სამსახური არ ექნებათ დავიწყებული. — ელენეს მიხედა ოსემ, — ალბათ იმედს ამყარებენ, რომ მისი შვილიც ისევე გამოადგებათ!

ელენე ჩანდა თანდათან მშვიდდებოდა. ჭკუაში დაუჯდა ოსეს ნათქვამი.

— ეჰ, ღმერთმა აშოროს, ეგეც რომ მამამისივით მოიქცეს! მაგრამ... თქვენ გაიხარეთ, ოსე ბატონო, რამდენი ხანია გულს ლოდივით მაწვა. დღეს მაინც, იმ უბედურის დალუპვა რომ გავიგე, აღარ ვიცოდი, რა მექნა. ერთი ძმალა მყავს, ისიც მთაში გადაიხვეწა მაგ ურჯულოების შიშით, სხვა ვილა მყავს, რომ ჩემი გულისტკივილი შევჩივლო, გზას გამოვყურებდი, როდის მოხვიდოდით, რომ თქვენთვის რჩევა მეკითხა.

ოსემ კვლავაც გაუმეორა:

— მაგის ნუ გეშინიათ, მენდეთ, რომ თურქებისაგან არავითარი საშიშროება ახლა არ შეიძლება ელოდეს ბატონიშვილ თეიმურაზს. მაგრამ რომ ბრძანებთ, გულშემატკივარი არავინ მყავსო, გულშემატკივარი კი გყავთ, ოღონდ მხარის მომცემი გჭირდებათ, ძლიერი ვინმე, სხვებსაც რიდი რომ მიეცემათ. ბატონიშვილი თეიმურაზი პატარა აღარ არის, უნდა იფიქროთ მის დაქორწინებაზე. ვინმე ძლიერი უნდა დაიმოყვროთ, რომ თეიმურაზს ფრთა გააშლევინოს, ძალა მისცეს!

ელენემ ეს თვითონაც კარგად იცოდა, რამდენჯერ უფიქრია ამაზე.

— მართალს ბრძანებ, ბატონო ოსე, მაგრამ ვინ არის ასეთი?

ოსემ მხრები აიჩეჩა.

— რა ვიცი, დედოფალო, თქვენ უკეთ იცით. მე იმიტომ არ მითქვამს, რომ მხედველობაში ვინმე მყავს... ვისაც ქალს სთხოვთ, ვერავინ დაგიჭერთ. ოღონდ ისეთი უნდა იყოს,.. ვინ იცის, მომავალი, სადედოფლოდ გამოდგეს თვითონაც და ოჯახიც შესაფერისი ჰქონდეს.

ელენემ ხელები შემართა.

— დედაო ღვთისმშობელო, შენ განმინათლე გონება და გზა სიკეთისა მირჩიე! — შეევედრა უფალს. სავარძელში ჩაჯდა. — ძმურად მითხარი, ბატონო ოსე, ხომ იცით თქვენს რჩევას დიდ ფასს ვსდებ, რა გზას დავადგე?

ოსემ პასუხი დააყოვნა. თავი აიღო მხოლოდ მაღლა. შეფიქრებული ერთ ხანს კედელს მისჩერებოდა, შემდეგ თითქოს ხმამაღლა განაგრძო ფიქრი:

— შანშე ქსნის ერისთავი ნათესავია და არ გერგებათ მისი ქალი. ბარძიმ არაგვის ერისთავსაც არა ჰყავს, მგონი, ქალიშვილი. ქაიხოსრო ორბელიანის? — აქ შეაჩერა ყურადღება.

ელენემ თავი გადააქნია.

— ორბელიანებს ნუ გამაგონებთ!

— ბაგრატ ციციშვილის... რა ვიცი?

ელენეს არც ბაგრატ ციციშვილი უყვარდა, ქვეყნის მოღალატედ მიაჩნდა. თავი გადაიქნია ახლაც.

— მცირე თავადთა მოყვრობა არც შეგფერით და არც გამოგადგებათ. ისევ გივი ამილახვრის თუ... თვითონ ეგრე სახელოვანი კაცია, ქალიშვილიც კარგი ჰყავს, სწორედ ბატონიშვილის საკადრისია. მცირედ ნათესაობის გამო თუ არ დაიშლით: გივის ბებია, თამარი, მოგეხსენებათ, მეფე ვახტანგის, შაჰნავაზად წოდებულის ასული გახლდათ. მაგრამ, — შეჩერდა ოსე, თითქოს რაღაცას ითვლდია, თან თვალი შეავლო ელენეს, მუდამ დაღვრემილს მოწონების თუ სიხარულის ნათელი რომ დაჰფენოდა სახეზე.

— ყველას ეგა სჯობს, ვგონებ! — მძიმედ დააქნია მან თავი.

— სწორედ მეშვიდე თაობა მოდის, — განაგრძო ოსემ, — ისიც კარგად მოგეხსენებათ, ზოგჯერ უფრო ახლობელთაც რომ ირთავენ.

დედოფალი რამდენიმე ხანს ისევ ფიქრებს გაჰყვა.

-- უთუოდ, კარგია! — ჩაილაპარაკა ორსამგზის თავისთავადაც. მერე ოსეს მიუბრუნდა:

— კარგი რჩევა მომეცით, ოსე ბატონო!.. როგორც ვიცი, გივისთან ახლოს ხართ, და თვითონაც დიდ პატივს გცემთ. ძლიერ დამავალებთ, ამ საქმეზე თუ როგორმე შემიტყობთ მის აზრს!

ოსეც დაფიქრდა ერთ წამს.

— შევეცდები და ვგონებ, მოვახერხებ კიდეც. კეთილი საქმისათვის თავსაც არ დავიშურებ, დედოფალო! — იმედიანად დასძინა შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დესპინეს ამბავი

ტოფომ აჯობა ავადმყოფობას: სახიდან სიყვითლე გადაეყარა, მცირედ მოფერიანდა, აღარც ტკივილები ჰქონდა მუცლისა. იმდენად გამოკეთდა, რომ ფეხზე წამოდგომა და სიარული შეიძლო. ყველაზე მეტად თუთაბალახმა არგო. ყოველ შემთხვევაში, ბოლოს მის ნახარშს სვამდა და სჯეროდა, რომ სწორედ მან მოარჩინა.

მამის მომჯობინებამ კიდეც გაამხნევა და ტვირთიც შეუმსუბუქა გურგენს. ავადმყოფის საზრუნავი ხომ აღარ აწუხებდა ისე, აღარც გამუდმებით თავზე დგომა სჭირდებოდა. ის კი არა, საშინაო საქმეებშიც კი შეეშველა ტოფო, ზოგიერთ წვრილმანს თვითონვე მიხედავდა ხოლმე. ბიცოლა თეკლეც ხშირად გადმოდიოდა, ხელს წამოუკრავდა, გურგენმაც იმდენი შეიძლო, როსტომს მოდგამი გაუხადა, თავისი ცალი ხარი მისას შეუბა, დახნა და დათესა ყანები. ხეხილიც გასხლა. ტოფო რომ აპირებდა, დამყნა ისინიც, შემოუბარა. ისე რომ, ტოფომ გარეთ გასვლაც რომ შეიძლო და ნახა, მოუწონა შვილს ნასაქმი, — შეგძლებიაო, — მოკლედ უთხრა. გურგენს ესიამოვნა ეს. გულს აჩნდა ადრე ნასაყვედურები: საქმეში მუყაითობა გაკლიაო. ახლა მამისგან თქმული ეს ერთი სიტყვა: „შეგძლებიაო" ბევრს ნიშნავდა მისთვის.

აღონღილებულმა ტოფომ სახლში ველარ გაძლო, ბაღში გაჰყვა გურგენს. ნაირ-ნაირ ფერად აყვავებული ხეები თვალს სტაცებდა. ყვავილობას დახარბებული ფუტკრები ზუზუნით დაჰქროდნენ. აქა-იქ დიდების გადაძახილი და ბავშვების ჟრიამული ისმოდა. გარემოს ამ სილაღემ მოაცოცხლა ბერიკაცი. ხალისიანობა იგრძნო. ვაშლის, ქლიავისა და ატმის ხეებს ჩამოუარა, თუ სადმე შემხმარი ტოტები ჰქონდა შერჩენილი, იმათ აცლიდა. მერე მაღლარად გაშვებულ ვაზებს, ხეებს რომ შეხვდნენ, სადაც კი მისწვდა, ზედმეტი ლერწი შეაჭრა.

გურგენი არხს ასუფთავებდა; თავიდან დაჰყვა, ბევრგან ლამს აევსო, თოხით იღებდა, ზოგან ლიჭი მიეტანა წყალს და კირკა-ბარს იხმარდა, კახეთში წასვლა გაახსენდა, ის ღამეც, საბძელში რომ გაათიეს... „აღარ არის ბეჟანი, აღარც მარეხი... ვეღარ მოესწრნენ ამ ზაფხულს, ერთიც და მეორეც მიწაში ლპება!" — გულზე უკბინა ამ ფიქრმა.

„ბეჟანი ისე ულვთოდ მოჰკლეს. მარეხიც უბედურად დაიღუპა, სულ კი დიდი ბატონის ბოროტობის გამო... მოჰკითხა ვინმემ, რათ ჰქენიო?!" — ახლა ეს მწარე კითხვა წამოეძალა.

შეჩერდა, ბარის ტარს დაეყრდნო.

„არა, თმის ბეწვიც არ შერხევია!.. მცირეთაგანი რომ ყოფილიყო, შავ დღეს დააწევდნენ, ის დიდია, ვინ რას გაუბედავდა?! ეჰ, რა უსამართლოდ არის მოწყობილი ეს ქვეყანა, დიდია, ბატონია და მას ყველაფერი ეპატიება!"

ლიჭის ამოყრა განაგრძო, ეს საფიქრალი ისევ არ მოეშვა:

„ანკი რატომ უნდა იყოს დიდი და მცირე? ბატონი და ყმა? სწორედ არ ამბობდა ბეჟანი, რატომ უნდა გვაძრობდნენ ტყავს? ყველა ხომ ადამის შვილი ვართ, ერთი დედ-მამიდან მომდინარე, რატომ ერთნაირად არ უნდა ვიყოთ?!"

გურგენი ბაღს შიგნით შემოვიდა, ახლა აქ დაუწყო არხს წმენდა.

„ბატონობა რომ არ იყოს, — ფიქრობდა იგი, — ვითომ წესრიგი არ იქნება? ხალხი დაერევა ერთმანეთს? რად უნდა მოხდეს ასე? თუ ვინმე რამეს დააშავებს, ხალხი დასჯის, თუ არა და იცხოვროს ყველამ თავის ნებაზე!"

ტოფომ, საკეცი დანით დაბლა ტოტებს რომ აცლიდა ვაზს, თავი მიანება, ხეებს გამოცილებულმა ჩაილაპარაკა:

— ნეტავი, რა მოხდა, სად მიიჩქარიან?

გურგენმა თავი აილო, გახედა. ბაღებს გადაღმა, რამდენიმე კაცი ორღობეში ფეხაჩქარებით მიდიოდა ქვემო უბნისკენ.

— „რა ამბავია?!" — შეფიქრდა გურგენიც, თუ მტერი დაესხა, მაშინ ასე არ წავიდოდნენ, თუ ლეკებმა გაიტაცეს ვინმე, იარაღასხმულნი გაეკიდებოდნენ, მაშ, რა უნდა ყოფილიყო?

გურგენმა თოხი ვაშლის ხეს მიაყუდა. ბარს წამოავლო ხელი და ქვემო მხარეზე, ორღობისაკენ წავიდა. უკან გაედევნა ტოფოც. ჯგუფ-ჯგუფად კიდევ რამდენიმემ ჩაიარა, სულ ბოლოს ნიკაანთ ბარძიმა მიდიოდა. დაუძახა გურგენმა:

— სად გარბიხართ, ბარძიმ?

ბარძიმა შემობრუნდა.

— ვასილაანთ გოგია მოსულა!

გურგენს ჟრჟოლამ დაუარა ტანში.

— ვინ? — ისევ იკითხა. თითქოს ყურს არ დაუჯერა.

— ვასილაანთ გოგია, ლეკებმა რომ გაიტაცეს! — გაიმეორა ბარძიმამ.

— როგორ? საიდან? — წამოეშალა ეს კითხვები გურგენს.

აბა, ბარძიმს საიდანღა ეცოდინებოდა?

— ვასილაანთ გოგია მოსულაო?! რო — გაკვირვებით იკითხა ტოფომაც.

გურგენს ერთი სული ჰქონდა, გაქცეულიყო, ენახა და დროზე შეეტყო ყოველივე, მაგრამ აქოშინებული მამაც ვეღარ მიატოვა. ერთად ჩავიდნენ ქვემო უბანში. გოგიას სახლის წინ ხალხს მოეყარა თავი. ჯირკზე ჩა-

მომჯდარი გოგია შუაში მოექციათ. ყველა კითხულობდა, საიდან და როგორ მოვიდა. თავიანთ დაკარგულთა გზა-კვალის გაგებას გულის ფანცქალით რომ ელოდნენ, აღარ ჰყოფნიდათ მოთმინება, ერთისთვის რომ არ ეპასუხნა, მეორე ეკითხებოდა, ან ხელახლა სურდა მოესმინა. ერთმანეთზე აყრიდნენ კითხვებს: — სად წაიყვანეს? ვინ იყიდა? სად იქნება ახლა? — თითქოს შეეძლო, ყველას ასავალ-დასავალი სცოდნოდა გოგიას.

თავიდანაც მთლად თვალში მოსასვლელი არ იყო გოგია, ახლა უფრო გამხდარიყო, შავი ფერი დასდებოდა, ჭაღარაც ისე მორეოდა, თითქოს ორმოცი წლისა კი არა, სამოცსაც გადაცილებული ყოფილიყო.

როგორც გოგიას ნაამბობიდან გაირკვა: ქალიდან თუ სხვა სოფლებიდან გარეკილი ტყვეები საგარეჯოს ახლოს გაუტარებიათ ლეკებს და შამქორს ჩაუყვანიათ, იქ თურქი ვაჭრებისათვის მიუყიდიათ. „ხელებგაკრულნი ვყავდით ლეკებს, ერთმანეთზე მიბმულნი ჯგუფ-ჯგუფად, რომ გაქცევა არ გვეცადა; თურქებმა კი მაშინვე შეგვხსნეს თოკები, ხელბორკილები დაგვადეს, — ჰყვებოდა გოგია, — აქეთ-იქიდან შეიარაღებული მცველები მოგვიყენეს და გაგვირეკეს წინ. ასე გადაგვატარეს სადღაც მთებზე, — ხელი გაიშვირა გალმისაკენ, — ღამე ქარვასლებში შეგვყრიდნენ, იქ გვათევინებდნენ, დღე კი მივყავდით. ხუთ-ექვს დღეს ერევნამდე მოვუნდით, ერთი მაგდენიც არზრუმამდე გვატარეს. იქ გაგვაჩერეს, რომლებიც უფრო ხნიერნი იყვნენ, და სიარულიც უჭირდათ, ისინი დაყიდეს, ვინც დავრჩით, რამდენიმე დღეს დაგვასვენეს, მერე ისევ გზას გაგვიყენეს, ერთ კვირაზე მეტ ხანს გვატარეს და სტამბოლში ჩაგვიყვანეს.

სტამბოლში ერთი დიდი ბაზარია, საიდან და რა მილეთის ტყვე გინდოდა, რომ იქ არ ჰყოლოდათ მოყვანილი. ჩვენც იმ ბაზარზე გაგვიყვანეს გასაყიდად.

მე, ერთი გათათრებული ქართველი იყო, დიდი კაცი, სულეიმან-ბეგს ეძახდნენ, იმან მიყიდა. ჩემი ბედი, რომ მასთან მოვხვდი. კარგი კაცი იყო, ისე მეპყრობოდა, როგორც ახლობელს. რამდენიმეჯერ მითხრა — ჩვენი სჯული მიიღე და ბედსა გწევო. თავი წავიკალი — ჩემ სჯულს როგორ ვუღალატებ-მეთქი, ხორცით დაკარგული ვიყავი და სულით როგორღა დავკარგულიყავი?! იმანაც თავი დამანება.

ო, ძნელი ყოფილა შენი მიწა-წყლიდან მოშორება, ისე მომენატრა ყველაფერი აქაური, აღარ ვიცოდი რა მექნა. სულ იმას ვფიქრობდი, ნეტავი ჩემს ქვეყანაში მიმიყვანა, ერთი ფეხი დამადგმევინა იქ, შემახედა იქაურობას და მერე, თუ გინდა,. იმ წუთში მომკლა-მეთქი.

რომ ვნაღვლობდი, შემატყო სულეიმან-ბეგმა. ერთხელ მითხრა: თუ ეგრე ძალიან გინდა, გაგიშვებ გურჯისტანშიო. ჯერ მეგონა, მეხუმრებოდა, რომ შევატყვე არ ხუმრობდა: გახარებული ფეხქვეშ ჩავუვარდი. შევეხვეწე, — გამიშვი, მე ვერ გადაგიხდი სიკეთეს, მაგრამ ღმერთი არ დაგიკარგავს-მეთქი. შემპირდა — კარგიო. მე ერთი სული მქონდა, როდის დაასველებდა ენას და მეტყოდა, წადიო. მას კი დიდხანს არაფერი უთქვამს.

სულეიმან-ბეგი რაღაც საქმეზე ყარსში გამოგზავნეს, მეც თან წამომიყვანა. რამდენიმე დღეს დავრჩით იქ, საქმეები მოიგვარა, უკან გაბრუნებას რომ აპირებდა, მიმიხმო, ცოტა რამ სახარჯო ფული მომცა და მითხრა — რაკი აქ გული არ გიდგება, აგერ ეს, და შენ იცი ახლაო. დავემხე, ფეხები დავუკოცნე, — შენ ხარ ჩემი მამაც და ღმერთიც, სამშობლოს ნახვას თუ მაღირსებ, სულ შენს სახელზე ვილოცებ-მეთქი.

იმან კი გამომიშვა, მაგრამ აღარ ვიცოდი, როგორ წამოვსულიყავი. კარგი კაციც თურმე ქვეყანაზე არ დაილევა, ჩემი ამბავი რომ შეიტყვეს, იქ ქარვასლაში, ისევ თურქებმა მასწავლეს გზა.

— საქართველოში მიმავალი მოქარავნე ვაჭრები შეგხვდებიან და იმათ უნდა გაჰყვეო.

რამდენიმე დღეს ვიცადე, სულსწრაფობისაგან ისე დავკარგე მოსვენება, გიჟივით დავდიოდი. როგორც იყო, ახალციხელი ვაჭრები გამოჩნდნენ. იმათ გამოვყე ახალციხემდე, იქიდანაც ისევ სხვა ვაჭრებს დავემგზავრე და აგერ მოვედი".

გოგიას ნაამბობმა ყველას გული აუჩუყა. ბევრს ცრემლიც გადმოედინა თვალზე. როგორც კი თავისი თავგადასავლის თხრობა დაამთავრა გოგიამ, ისევ კითხვები დააყარეს:

— ჩვენი გოგია თუ იცი სად წაიყვანეს?

— ჩვენების ამბავს რას მეტყვი?

— ჩემი კეკე ვერ ნახე?

გოგიაც უამბობდა, რაც იცოდა.

სხვების ამბებს რომ ყვებოდა გოგია, გურგენი მიხვდა, დესპინეს შესახებაც კარგს ვერაფერს ეტყოდა. ამიტომ თითქოს აღარც უნდოდა, გაეგო და უარესად მოშხამულიყო, მაგრამ რა გული გაუძლებდა? გურგენის ჯერიც დადგა.

— დესპინესი რა ამბავი იცი? — იკითხა გულის კანკალით, თან იგრძნო, სიცხიანივით სახეც რომ წამოეჭარხლა.

— სტამბოლამდე ჩემთან ერთად იყო დესპინეც. ის, მისი დედ-მამა და შვიდი-რვა წრომელი ერთმა ვაჭარმა გვიყიდა შამქორში. დედ-მამა არზრუმშივე გაუყიდეს. ეჰ, — ამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოხრა გოგიამ, — დესპინესი და იმის დედმამის დაშორება ერთი საცოდაობა იყო.

ბაზარზე გაყვანილ ცხენივით მყიდველები თავიდან ფეხებამდე გვსინჯავდნენ, რა ვიცი, რას არ გვიმოწმებდნენ. დესპინე ბევრს მოსდიოდა თვალში: ბოდიშს მოვითხოვ, ორსულობა ეტყობოდა, და ალბათ, ამის გამო იშლიდნენ, მერე სტამბოლში ვილაც ბეგმა იყიდა. დიდი კაცი ჩანდა... წაიყვანა. იმის შემდეგ აღარაფერი ვიცი.

გურგენს რაღაცამ სამსჭვალავივით გაჰკრა გულში, შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა... განა არა, იცოდა რომ ასე იქნებოდა, მაგრამ... გარშემო რა ხდებოდა, ველარც გებულობდა. მხოლოდ ეს სიტყვები — ვილაც ბეგმა იყიდა და წაიყვანაო. წივილივით ჩაესმოდა ყურში და იგი ჩაქუჩივით ურტყამდა საფეთქლებთან. ჯირკზე დასვეს, ვილაცამ ცივი წყალი მოარბენინა და შეასვეს, — გონებაზე მოიყვანსო.

## გამარჯვებული მეჰმედ ბეგი

ისაყ-ფაშა იმ დღესაც კარგ ხასიათზე იყო, დილიდანვე ხალისიანად გრძნობდა თავს. ისაუზმა თუ არა, წესისამებრ დივანხანაში გავიდა. კაფუჯი-ბაში იხმო. პირველ რიგში მომხდარი ამბები უნდოდა გაეგო. კაფუჯიბაშმა სელიმმა კარგად იცოდა თავისი საქმე, ყველგან ჰყავდა კაცები, არც ერთი საიდუმლო რამ არ გამოეპარებოდა. ისაყს ბევრჯერ ღიმილით უთქვამს: სელიმმა ისიც იცის ცოლქმარი საღამოს რომელ მხარეზე წვებიან და დილით რომელზე დგებიანო. მართლაც იშვიათი იყო, რომ სელიმის მახვილ თვალსა და ყურს რამე მნიშვნელოვანი შემთხვევა გამოჰპარვოდა. თავისი მზვერავების მეშვეობით ბევრ რამეს გებულობდა, ზოგსაც თავისგან ამატებდა, მაგრამ ისე მოხერხებულად, რომ ნამდვილსა და მოგონილს კაცი ვერ გაარჩევდა და როცა საჭიროდ სთვლიდა, ისე დაწვრილებით აუწყებდა ისაყს, იგი გაოცებული რჩებოდა: ამდენ რამეს, თითოეულ წვრილმანსაც, საიდან გებულობსო.

— აშხარ-ბეგის სიკვდილმა ააფორიაქა ყველა. ვაჭრებს შორის მაინც ათასგვარი მითქმა-მოთქმაა, ალბათ, არ ელოდნენ, თუ მასაც გაიმეტებდით... ქაიხოსრო ორბელიანი კმაყოფილიც დარჩენილა, უთქვამს: აბა, რა ეგონა, ისე რომ დიდკაცობდაო. ბაგრატ ციციშვილსაც მოსწონებია ეს ამბავი, გივი ამილახვარს თავი გადაუქნევია — აშხარ-ბეგი დასანანი კი არ არის, მაგრამაო... ცხადია, არ მოეწონა, და ამ „მაგრამით“ გამოხატა თავისი უკმაყოფილება.

შანშე ერისთავს უთქვამს: ეტყობა თურქებს გასჭირვებიათ შემოდგომის ბუზებივით, რომ თავიანთ მსახურებსაც აღარ ინდობენო.

შანშეს ნათქვამი გულზე მოხვდა ისაყს:

— ეგ შფოთის თავი ურჩობას არც საქმით იშლის და არც ენით!

— თავისი მსახურებიანად დიმიტრი ამილახვრისშვილის ძელზე გაკვრამაც ბევრი შეაკრთო; ჩანს, გივი ამილახვარიც განაწყენებულა: ჩემი ხათრი მაინც უნდა მოედოთო.

ისაყმა თავი დააქნია:

— მაგ ამბავმა სხვა ვაჟბატონებსაც ჭკუა უნდა ასწავლოს, დე, იცოდნენ, რომ თუ საჭირო იქნება, ამილახვრობითაც არავის დავინდობთ!

სელიმმა განაგრძო:

— ერთი ცუდი ნიშანი შეინიშნება: წმინდა სარწმუნოებაზე რომ მოიქცნენ, ბევრი მათგანი ისევ ქრისტეს რჯულისაკენ იწევს... სიფაია გიორგი ოსაოღლი, იბრაჰიმ ქესიმოღლი, ისმაილ გურჯიზადე და სხვებიც გიაურების ეკლესიებში დადიან.

ისაყს სარწმუნოების საქმე მაინცდამაინც ძლიერ არ ადარდებდა, მაგრამ ეს განდგომის ნიშანი იყო და იმან შეაფიქრა. „ჩანს თამაზ-ხანის წარმატებებმა უცვალა მაგათაც ფერი!“ — გაიფიქრა.

— მაგათ ისეთი დღე უნდა დავაწიოთ, რომ სხვებმა გაფიქრებაც ველარ გაჰბედონ! — თქვა შემდეგ ხმამაღლა.

სელიმმა თვითონ მოათავა ქართლზე სათხრობი, შეჩერდა, დაელოდა: კიდევ რამეს ხომ არ მკითხავსო. ისაყი ისევ ფიქრობდა„ შემდეგ თავი დაუქნია:

— კარგი. ახლა კახეთის ამბები მაუწყე!

სელიმი ერთ წუთს დადუმდა, თითქოს ფიქრობდა, რითი დაეწყო.

— თეიმურაზი, კონსტანტინე-ხანის ძმა, ისევ ხევსურეთში ყოფილა. უსაზრდოობის გამო ძლიერ შეჭირვებულია თურმე, კახეთში ჰგზავნის კაცთ და აქედან მიაქვთ სანოვაგე... თეიმურაზის კაცნი მარტო ამას არ სჯერდებიან, ჩვენს წინაალმდეგაც ამხედრებენ ხალხს, ჩვენს კაცთ ყარალაჯიდან გასვლა უჭირთ, მცირე ჯგუფი თუ იქნა, თავს ესხმიან, გადასახადზე მისულთაც არ ეპუებიან, უარს ეუბნებიან გადახდაზე. ამ სამი დღის წინ თელავის ახლოს ცამეტი კაცი მოუკლავთ ჩვენი.

— ჰოო, — ხმის გაგრძელებით სთქვა ისაყმა, — კახეთს თავს ვერ მოვუვედით. სულთან მაჰმუდმაც, იდიდოს მისი სახელი, რაც ლაშქარი გვყავდა, თითქმის სულ გაიწვია, ამ მცირე ჯარით რას გინდა გახდე კაცი?!

ისაყი გაჩუმდა, რამდენიმეჯერ თავიც გადააქნია. რაკი მბრძანებელმა არ დაითხოვა, იდგა. სელიმიც, ხან საგონებელს მიცემულ ისაყს გადახედავდა, მერე იატაკზე დაფენილ ხალიჩაზე გადაჰქონდა მზერა, ზოგჯერ სარკმელსაც აპყრობდა თვალს.

„უჭირს სულთანს, შიგნით თავისნივე უმხედრდებიან... შეიძლება კვლავაც მომთხოვოს ჯარის გაგზავნა, კახეთის ამბები ერთის მხრივ კარგიც არის, მიზეზად მექნება ეს!" — გაიფიქრა ისაყმა, გადასწყვიტა, ჯარი გაეგზავნა კახეთში, ზოგიერთი ურჩისათვის თავი მოეკვეთინებინა და სულთნისათვის ეახლებინა, თან შეეჩივლა, რომ ამბოხებისაგან არ ცხრებოდა კახეთი. მათგან ძლიერ იყო შეჭირვებული, იმერეთიც არ წყნარდებოდა და, ამ მიზეზით დახმარება ეთხოვა. ლაშქარს თუ არ გამოუგზავნიდა, იქით მაინც ველარ მოსთხოვდა... ჯანდაბას მისი თავი, როგორც უნდოდა, ისე მოევლო თავის საქმისათვის; ისაყი კი, თუ კიდევ არ წაიყვანდნენ, დარჩენილი ჯარითაც როგორმე გავიდოდა თავს, თანაც, თავადების იმედი ჰქონდა, ისაყის მხარეზე რომ გადავიდნენ.

კაფუჯი შემოვიდა, მიწამდე დახრილმა მოახსენა:

— დიდებულო ფაშავ, მეჰმედ-ბეგისაგან მახარობელი გეახლათ.

ისაყი ფეხზე წამოდგა.

— რა ამბავი მოიტანა თუ იცი?

— ლეკებზე გაუმარჯვიათ.

— ახლავე მომგვარე!

კაფუჯი გაბრუნდა.

— ეს აღარ იცოდი?! — კაფუჯი-ბაშს გაუღიმა ისაყმა, — ეს არ მოგიხსენებია!

სელიმმაც გაიღიმა.

— ცოტა ხანს თუ დამაცდიდა ის გულცქაფი ისმაილი, მაგასაც მოგახსენებდით. კაფუჯი მახარობელს შემოუძღვა.

ახალმოსული მოიხარა, მარჯვენა ხელი თაყვანისცემის ნიშნად თავჩსაკენ წაიღო.

— მეჰმედ-ბეგი თავმოდრეკით მოგახსენებთ: ლეკებს შირაქში მისწვდა ლაშქრით, ჯარი გაწყვიტა და გაფანტა, ნატყვევანი კი დააყრევინა. გილოცავთ დიდ გამარჯვებას!

ისაყი სიხარულისაგან გაიბადრა.

— რამდენი კაცი მოუკალით?

— ორას სამოც ლეკზე მეტი ხმლის მსხვერპლი გახდა. სხვები უგზო-უკვლოდ გადაიკარგნენ.

ისაყმა გაიარ-გამოიარა.

— ჰო, ეს დიდებული საქმეა! — ჩაილაპარაკა რამდენიმეჯერ. ცოტა მოგვიანებით იკითხა, — სად არის ახლა მეჰმედ-ბეგი?

— მეჰმედ-ბეგმა მე ჯანდარიდან გამომიშვა, სადაც არის, თბილისს მოატანს.

ისაყი კაფუჯი-ბაშს მიუბრუნდა:

— იუსუფი მოძებნე საჩქაროთ, სხვებიც იხმეთ. გაამზადეთ, ქალაქს გარეთ უნდა გავეგებოთ გამარჯვებულს. საჩუქრებიც უნდა მივართვათ. ის გვირგვინი მოიტანე, აშხარბეგს რომ დავამზადებინე, გვირგვინით შევამკოთ ჩვენი მეჰმედ-ბეგი. ძვირფასი ქურქიც არ დაგავიწყდეს! — უბრძანა მას და თვითონაც ჰარამხანაში გავიდა მოსამზადებლად.

— ო, ნამდვილი ვაჟკაცია მეჰმედ-ბეგი, სად გინდა, რომ არ გამოგადგეს! ყოჩაღ, მეჰმედ-ბეგ, ყოჩაღ! — ჩაილაპარაკა თავისთვის.

ერთ საათსაც არ გაევლო, სასახლის წინ შეგროვდნენ ალა-ფაშები, ცხენებზე ამხედრდნენ და დიდი ამალით ქალაქს გარეთ გაეგებნენ გამარჯვებულ მეჰმედ-ბეგს.

## ისევ იმედი

„ღმერთმა ერთი ვით აცხონოს,
თუ მეორე არ წაწყმიდოს".
რუსთაველი

გივი ამილახვარმა რამდენიმე ხანი ჭალაში დაჰყო. თუმცა დაგზავნილი კაცნი ყოველდღე მოახსენებდნენ, სად რა ხდებოდა, მაგრამ თავისი თვალით რომ არ ხედავდა, გული ვერ დაეჯერებინა, ქვეყნიდან მოწყვეტილივით გრძნობდა თავს. დაწვრილებით უნდოდა სცოდნოდა, რა ამბები ტრიალებდა თბილისში, ან სხვაგან. მაინც რა უნდა მომხდარიყო იმ მოკლე ხანში ისეთი, მაგრამ რაღაცის მოლოდინი ჰქონდა და ეს, გულში ჭიასავით ჩამჯდარი, არ ასვენებდა. მართლაც, შანშეს თქმისა არ იყოს, სადამდე უნდა მსხდარიყვნენ ასე გულხელდაკრეფილი და ეყურებინათ? შანშეც, აღარ იქნა, ველარ გაეტია, რომ ასტრახანს წასულიყო. ერთ კლდესავით ინგრეოდა და დანგრევა ველარ ილირსა.

ადრე უფრო მომთმენი იყო გივი. ახლა კი მასაც გაუწყდა ლოდინის ძაფი. ერთ-ორჯერ ზახორ-კაბერის მხარეს სანადიროდაც წავიდა, ამით უნდოდა, გული გადაეყოლებინა, მაგრამ ტყე-ღრეში ხეტიალმა უფრო აუშალა სალერლელი.

გადასწყვიტა კიდეც, თვითონ ჩასულიყო თბილისში. სწორედ ამ დროს კაცი მოუვიდა, ისაყ-ფაშას ბრძანება მოუტანა: რამდენსაც შესძლებ, ჯარი შეკრიბე, ერთი თვის ნუზლით, თვითონ წამოუძეხი და ამ კვირის ბოლოსათვის ჩამოიყვანე თბილისშიო.

ამას წინათ თავისმა კაცებმა მოახსენეს: კახელები გადასახდელებს არ ანებებენ თურქებს ყარალაჯის ციხიდან გასულთ ხშირად თავს ესხმიანო. ორიოდე დღის წინაც ამცნეს: თელავის ახლოს თურქების მოზრდილ ჯგუფს თავს დასხმოდნენ კახელები და გაეწყვიტათ; რაკი თბილისში ხლებას უბრძანებდა ისაყი, თანაც ერთი თვის მარაგით, უეჭველი იყო, კახეთში აპირებდა ლაშქრის წარგზავნას. „ისაყს კახეთში საქმე უჭირს და ჩვენი ხელით სურს მორჩილებაში მოიყვანოს?! — თავისთვის გაიღიმა, — იქნებ სწორედ კახეთიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყოს თურქების განდევნა?!" წამოეჭრა ეს კითხვა.

სწორედ რომ კარგი ჟამი იყო, ისაყს ცოტა ჰყავდა თურქული ჯარი. ქართლის ჯარით თუ აპირებდა მის დამორჩილებას, ქართლს ხერხი უნდა ეხმარა, ჩაეფუშა ისაყის განზრახვა. მაგრამ ამისთვის კახეთის შემზადება იყო საჭირო.

„ვინ შესძლებს ამას? თეიმურაზი, კახთ ბატონიშვილი, ფშავშია, ‹ვიდრე ის შეიტყობს და კახეთს ჩამოვა, დაგვიანდება... თანაც კახეთში მის ჩამოსვლას უთუოდ შეიტყობენ თურქები. კახელები კი ისე უნდა დააცხრნენ თავს, რომ თურქები აზრადაც არ იყვნენ... ისევ ანდრონიკაშვილი, ქიზიყის მოურავი აბელი თუ ილონებს რამეს!" — დაასკვნა გივიმ.

მოშუადღევებული იყო. გივი აივანზე გამოვიდა, სახლთუხუცესის ხმობა უბრძანა, თვითონ რამდენიმეჯერ გაიარ-გამოიარა. შეფიქრიანებული მერე ისევ ოთახში შევიდა.

სახლთუხუცესს არ დაუყოვნებია, მალე ეახლა.

— გიგა ქვლივიძე და რამდენიმე კარგი ჭაბუკი მომამზადე საჩქაროდ, კახეთში მინდა გასაგზავნად, სანდონი რომ იქნებიან, ისეთნი! — უბრძანა გივიმ და ფიქრებში წასულმა თავი დახარა.

— კარგი, დიდო ბატონო, ხვალ დილისათვის მზად იქნებიან! — ეს სთქვა პაპუნამ, ეგონა სულ ეს არის ბატონის ბრძანებაო, წასასვლელად გაემზადა, კარებისაკენაც წაიწია, რომ გივიმ შეაჩერა.

— მოიცადე!.. ისაყ-ფაშა მიწვევს, ჩანს კახეთში უნდა ჯარით გადასვლა, თვითონ არ მწერს, რამდენი კაცი წავიყვანო, მაგრამ ოთხასზე ნაკლები რაღა იქნება?! უნდა მივწეროთ: მაჩაბელი ორმოცდაათი კაცით მოვიდეს; ფალავანდიშვილს ორმოციც ეყოფა, ფავლენიშვილმა და ამირეჯიბმაც თითოეულმა რომ ამდენივე გამოიყვანოს, ეს ას სამოცი იქნება, ხერხეულიძემ, ავალიშვილმა და თუმანიშვილმა ოცდათხუთმეტ-ოცდათხუთმეტი!

— გონებაში მოითვალა, — ჰო, დანარჩენი საამილახვროდან შევკრიბოთ. დღეს ხუთშაბათია, შეუთვალე ყველას, რომ მომავალი კვირის ოთხშაბათისათვის აქ, ჭალაში, იყვნენ. აქედან გავალთ. იხმე მდივანი, ახლავე დააწერინე!

სახლთუხუცესი ბრძანების აღსასრულებლად გაეშურა, გივი ისევ ფიქრებმა წაიღო.

— არა, თურქებს კახეთში დამკვიდრების საშუალება არ უნდა მიეცეთ!... ისაყის თვალის ასახვევად მეტი ჯარის წაყვანაცაა საჭირო, ისედაც, ვინ იცის?! — ფიქრობდა იგი, გადასწყვიტა ხელახლა ეხმო სახლთუხუცესი და შეეცვლევინებინა ბრძანება.

ფიქრებიდან მანდატურმა გამოიყვანა:

— გიორგი ზუბალაშვილი გეწვიათო, — მოახსენა. ზუბალაშვილის ხლება გაეხარდა გივის, „უთუოდ ახალი ამბავი მოაქვს რაღაც, თორემ ისე არ გაირჯებოდა, ვნახოთ რას გვეტყვის თურქეთ-ირანის შესახებ", გაივლო გულში, მანდატურს უბრძანა, მოეყვანა სტუმარი.

შინაურებმა იცოდნენ, ეს ვაჭარი გივის მიღებული კაცი რომ იყო, თვითონ გაეღოთ კარიბჭეზე და ბატონის ბრძანებამდე თავის მხლებელ-ცხენებიანად სანგარს შიგნით შემოეწვიათ.

გიორგი ზუბალაშვილი სასახლის მეორე სართულზე აიყვანეს.

გივი გამოეგება სტუმარს, ერთურთს მიესალმნენ, სასტუმრო ოთახში მიიწვია მასპინძელმა, სავარძელზე დასვა სტუმარი. მანდატურს დაავალა, სახლთუხუცესი მოენახა და ეთქვა მისთვის, ბრძანებები ჯერ არ დაეწერინებინა მდივნისათვის. მანდატური გავიდა. გივი ღიმილით მიუბრუნდა ზუბალაშვილს:

— გეტყობა ახალი ამბების მაცნე უნდა იყო!

— ახალი და თანაც სასიხარულო ამბების, დიდო ბატონო! — გაიღიმა ზუბალაშვილმაც, — თითქმის მთელი თურქეთი შემოვიარე, სამხრეთითაც ვიყავი... ჯერ ერთი მნიშვნელოვანი ამბის შესახებ: თამაზ-ხანმა სასტიკად დაამარცხა თურქეთის ჯარი, ქალაქი ბაღდადი მას დარჩა.

— ო, შენ მართლაც მნიშვნელოვანი ამბების მაცნე ყოფილხარ! — სიხარულით წამოიძახა ამილახვარმა, — შემდეგ, შემდეგ?

— ალბათ გეცოდინებათ ეს, ამ აღრეებზე, ორთვენახევარი თუ იქნება მას შემდეგ, ბაღდადის ახლოს სოფელია ერთი, — ბენი-საიდი, იქ ბრძოლა გაუმართა თამაზ-ხანმა თურქებს; თურქეთის ჯარს, ადრე ჩვენთან ისაყის ადგილზე რომ იყო ცოტა ხანს, ოსმან-ფაშა, მეტ სახელად თოფალ-ფაშას რომ ეძახიან, ის ედგა სათავეში. დამარცხდნენ სპარსელები, დიდი ნავნებიც მოუვიდათ. მაინც არ დასცხრა ყიზილბაშთა სარდალი, ხელახლა ლაშქარი შეჰკრიბა და ბაღდადზე საომრად მეორედ გამოემართა. თურქეთის ჯარს ისევ ოსმან-ფაშა გაუძღვა წინ. სამი კვირის წინ იყო ეს, ბრძოლა ახლაც ბენი-საიდთან მოხდა, თამაზ-ხანს ასოციათასამდე კაცი ჰყოლია მხოლოდ, თურქები ბარე ორჯერ მეტი ყოფილან. ამჯერად თვითონ სარასკარი თოფალ-ფაშა ოუკლავთ სპარსელებს, მაშინ არეულა თურქების ჯარი. გაქცევა დაუწყია. სპარსელებმა ზურგიდან დაუარეს თურმე, დიდძალი ჯარი განწყვიტეს თურქებისა, მთელი ალალი ხომ თამაზ-ხანს ჩაუვარდა, ბევრიც დაატყვევა. ტყვეებს თავები მოჰკვეთა და მათგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორა დადგა. ხანში შესულნი ამბობენ, რაც თავი გვახსომს, თურქეთის ლაშქარს ასეთი ზიანი არასოდეს მოსვლიაო.

გივიმ კმაყოფილების ნიშნად თავი დააქნია:

— ეს მართლაც დიდი მარცხია თურქების! ბაღდადის რა ჰქმნეს?

— თოფალ-ფაშის ლაშქრიდან ვინც გადარჩა, ბაღდადს შეაფარა თავი. ყიზილბაშები ბაღდადს შემოადგნენ. ბაღდადის ფაშა ქალაქის მიცემას დაჰპირდა, ოღონდ სთხოვა, რომ თურქთაგან ვინც წასვლას მოისურვებდა, უზიანოდ გაეშვა. თამაზ-ხანი დასთანხმდა, ამ პირობით კაცნი სულთანთან გაგზავნეს დასტურისათვის. სწორედ იმ დროს კონსტანტინოპოლში ვიყავი, ამბობდნენ, სულთანმა ბაღდადის გადაცემაზე უარი სთქვაო. როგორ გადაწყდება, აღარ ვიცი.

გივიმ ფეხი ფეხზე გადადო. სარკმელს მიაჩერდა.

— კარგია, კარგი! — რამდენჯერმე გაიმეორა, შემდეგ ისევ ზუბალაშვილს მიუბრუნდა, — ახლა ესეც მითხარი, სულთანს ქვეყნის შიგნით როგორღა აქვს საქმე?

— შიგნით კარგად ყოფნითაც ვერ მოიწონებს სულთანი თავს. დასავლეთის მხარენი ხშირად ჯანყდებიან, ამას წინათ კონიის საბეგლარბეგოში გაგზავნა ჯარი, როგორც შევიტყე, ტრაპიზონის მხარეც გასდგომია, აქედან გაწვეული ლაშქრის ნაწილი ტრაპიზონბაიბურთში ჩაუყენებია.

— ხალხი რა აზრის არის ამ ამბებზე? — ისევ იკითხა გივიმ.

— დიდნიც და მცირენიც შეშფოთებული არიან, ბაღდადის ამბებმა მაინც ყველა შეაკრთო. ერთთავად იმას გაიძახიან, ჩვენი ქვეყნის საქმე წასულია, უარესი მოგველისო; ხმები დადის, თითქოს თამაზ-ხანი რუსეთს შეთანხმებია და რუსეთი დასავლეთის მხარეებზე აპირებს თავდასხმასო. ვაჭრები გაფაციცებით ცდილობენ, დროულად მოიკეთონ საქმეები. საწინდარით არავის არაფერს აძლევენ, გასესხებული თუ რამ აქვთ, უკან იბრუნებენ, ვინ იცის, რა მოხდესო.

მე მგონია, ეს იმის ბრალიც არის, თურქები ჩვეული არიან თავიანთი ჯარების გამარჯვებას, ახლა დამარცხება რომ იწვნიეს, ზომაზე მეტად შეშინდნენ.

მოლა-მუფთები იმას ქადაგებენ: ღმერთს თავის რიგზე აღარ ემსახურება დიდ-პატარა, ცოდვებს სჩადიან და ალაჰი იმ ცოდვებისათვის გვსჯისო.

გივიმ გაიცინა:

— ახია მაგ ოხრიშვილებზე, ნეტავ სულაც გაწყვიტოს ალაჰმა თავისი მრევლი. ჩვენც მივეხმარებით და...

— ყარსის ქვეყანაში ხალხს არ უჭირს, — განაგრძო ზუბალაშვილმა, — ეგ არის რომ მანდაც თამაზ-ხანის შეჭრის შიში აქვთ. სამცხე-ჯავახეთზე მინდოდა მომეხსენებინა, ხალხს არ უჭირს, უფრო უკეთ ცხოვრობს, ვიდრე ჩვენთან, ოღონდ ლაშქრის გადასვლა-გადმოსვლითა და მეგზურთაგან არიან შეჭირვებული. მათი წასვლა-წამოსვლის ხარჯებს უჩივიან.

— კარგი, ჩემო გიორგი, კარგი! — კმაყოფილებით ჩაილაპარაკა გივიმ, მერე მსახური იხმო და რაღაც დაავალა.

— ასეთი ამბების მაცნე იშვიათად ყოფილხარ! — ერთხელ კიდევ გაუცინა სტუმარს, მერე ჩაფიქრებულმა გაიარ-გამოიარა, თითქოს რაღაცას ანგარიშობდა. მსახური შემოვიდა, გივიმ ქისა გამოართვა და ზუბალაშვილს გაუწოდა:

— კარგი ამბები მოიტანე დღეს!... ვაჭარ კაცს ოქრო უყვარს, რაც მასიამოვნე, ეს ოქრო იმის ნობათი იყოს!

ზუბალაშვილმა გაიღიმა:

— თუკი ქვეყნისათვის სასიკეთო იქნება, თავს როგორ დავიშურებ!.. მეც მიყვარს ჩემი ქვეყანა, დიდო ბატონო, თუ რამეთი ვემსახურები, ამისათვის საჩუქარი რა საჭიროა. ეგეც არ იყოს, თქვენი მფარველობა ჩემთვის ისედაც უდიდესი ჯილდოა!

— აილე, ჩემო გიორგი, შემდეგ უფრო ხალისიანად გაირჯები! — შეაგულიანა გივიმ, მსახურს მიუბრუნდა:

— მსახურთუხუცესს გადაეცი, კარგი პატივი სცეს სტუმარს, ხალათიც ჩააცვას და მოასვენოს!

ზუბალაშვილი წამოდგა, კალათზე ამბორით გაეცალა, გივი კარამდე გაჰყვა, ისევ ოთახში შებრუნდა, მარტო დარჩენილმა ისევ გაიარ-გამოიარა.

— ეს არის დრო, ახლა შეიძლება თურქების განდევნა, ქვეყნის განთავისუფლება! მაგრამ მეფე ვახტანგი რატომ იგვიანებს?! ვახტანგი რომ გამოჩნდებოდეს, თუნდაც მცირე დამხმარე ჯარით, მარტო იმიტომაც, რომ რუსეთის მფარველობაში მყოფად ჩაგვთვალოს ყველამ, თურქეთს ხომ განვდევნიდით, სპარსეთიც ველარ შემოგვივიდოდა.

ზუბალაშვილის ნაამბობს კვლავ გადაავლო გონების თვალი, მისი მოტანილი ამბები შემოწმებული ჰქონდა, და ყოველთვის დასტურდებოდა, ახლა რა უნდა წაემატებინა ისეთი, რომ საიმედო არ ყოფილიყო?!

„ჰო, დადგა ჟამი თურქების მოცილებისა!" — დაასკვნა მან, მაგრამ ახლა მეორე საფიქრალი წამოიჭრა: თამაზ-ხანი ხომ არ შეუქმნიდა საშიშროებას? როდესაც აფთრები იბრძვიან, მაშინ ქურციკისათვის როდისღა სცალიათ! თავი და თავი საქმე თურქებისაგან თავის დაღწევა იყო. მერე ისიც, რომ, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლა რაიმე შეთანხმება ჰქონდა დადებული რუსეთთან თამაზ-ხანს, იმპერატორის რიდით მის ხელდებულზე იერიშს ველარ მოიტანდა. უთუოდ ვახტანგი საამისოდ აგვარებდა საქმეს. ტყუილად ხომ არ იჯდა რუსეთში?

ეს ბუნებით დინჯი და აუჩქარებელი კაცი ერთბაშად ღელვამ მოიცვა, გაჩერება აღარ შეეძლო, უნდა ამოქმედებულიყო, რაღაც წამოეწყო, თანაც მოძრაობაში იქნებ ღელვას გადაეყარა, გაახსენდა, მუხრანს გადასვლას, სანგარ-გოდოლის მშენებლობის დახედვას რომ აპირებდა. ახლად გამუხრანბატონებულ მამუკას ნახვაც რამდენი ხანია უნდოდა.

მუხრან-ბატონები სამეფო გვარეულობის, ბაგრატიონების განაყოფი იყვნენ, ეს სათავადო გიორგი მეათის ძმამ, ბაგრატმა დააარსა. როსტომ მეფეს შვილი რომ არ ჰყავდა, ბაგრატის შვილიშვილის, თეიმურაზ მუხრანბატონის ვაჟი ვახტანგი იშვილა. ეს, სპარსელთაგან შაჰნავაზად გადანათლული, ის ვახტანგი გახლდათ, როსტომის გარდაცვალების შემდეგ ქართლი რომ ეჭირა, მაგრამ ბევრჯერ კახეთს და დასავლეთ საქართველოს განაგებდა, მეფე ძლიერი და გავლენიანი, ხოლო სახელოვანი მეფე გიორგი მეთერთმეტე, მეფე-პოეტი არჩილი, და ვახტანგ მეექვსე — სჯულისმდებელი მისი შთამომავალნი იყვნენ.

მუხრან-ბატონებს, გარდა იმისა, რომ ძლიერი სათავადო ჰქონდათ, იმითაც თავი მოჰქონდათ, უკანასკნელი სამი-ოთხი თაობა ქართლის მეფეებისა მათი განაყარნი რომ იყვნენ. ამისავე გამო მთელს ქვეყანაშიც დიდი პატივითა და გავლენით სარგებლობდნენ.

ალბათ ესევე იყო მიზეზი, გივიც მუხრანბატონის ნახვას, გამოლაპარაკებას და აზრის გაგებას ეგრე რომ ესწრაფოდა.

გივიმ ერთხელ კიდევ გადახედა, ამ საქმეს ვინ დაუჭერდა მხარს: შანშესა და ბარძიმზე, რაღა თქმა უნდოდა? ქვიშხეთის ბატონი ვახუშტი აბაშიძეც, სიძე მეფე ვახტანგისა, ყოველ მხრივ საიმედო იყო; მაჩაბლები, ფალავანდიშვილები, ამირეჯიბები, ფავლენიშვილები, თუმანიშვილები უთუოდ მისცემდნენ მხარს. საწინაალმდეგოს ვერც გაბედავდნენ, ჯავახიშვილებიც გაჰყვებოდნენ. ლუარსაბ თარხანისა და ბაგრატ ციციშვილის დაყოლიებაც შეიძლებოდა, ბაგრატს მაინც ეტყობოდა, თურქებისათვის ისე აღარ იყო თავგამოდებული. ქაიხოსრო ორბელიანი საეჭვო იყო, მაგრამ ორბელიანებიდან და ბარათაშვილებიდანაც ბევრი არ დაიხევდა უკან. სამღვდელონი ხომ იყვნენ და იყვნენ საიმედონი, ვაჭრებსაც, მეტადრე აშხარ-ბეგის კლდეზე გადაჩეხვის შემდეგ, თურქობა ჭირივით ეზარებოდათ. კახეთი ისედაც არ უდებდა თავს და თუკი საქმე საქმეზე მიდგებოდა, მაშინ ხომ ფეხზე დადგებოდა, ისე, რომ აქა-იქ, კანტიკუნტად თუ შერჩებოდნენ თურქებს.

მანდატური შემოვიდა ისევ.

— ქსნის ერისთავს კაცნი უახლებია! — მოახსენა მან.

„ალბათ ახალი ამბავი მოიტანეს რამე, იქნებ მეფე ვახტანგის მომავლობა მამცნოს ახლა შანშემ? — გაივლო გულში.

— იხმე! — უბრძანა მსახურს და მსახურთან ერთად თვითონაც გარეთ გამოვიდა სტუმრის შესაგებებლად.

კიბეზე რომ ამოვიდა ქსნის ერისთავის კაცი, გივიმ შანშეს ერთგული აზნაური ჟურული შეიცნო. ჟურული კაბის კალთაზე ეამბორა ამილახვარს. გივი კვლავ იმ ოთახში შეუძღვა სტუმარს, სადაც წელან ზუბალაშვილი ჰყავდა. ჯერ ზრდილობისათვის შანშეს ჯანმრთელობა, ოჯახის კარგად ყოფნა და საყმოს მდგომარეობა მოჰკითხა. ჟურულმა მადლობა გადაუხადა. თავისი ბატონის კარგად ყოფნა აუწყა.

— რას შვრება ბატონი შანშე, რუსეთს წასვლას რათ აგვიანებს? — იკითხა გივიმ.

ჟურულმა მიმოიხედა, ალბათ უნდოდა დაედასტურებინა, რომ მარტო იყვნენ და უბიდან სტავრაში გახვეული რამ ამოიღო, გახსნა და ქაღალდი ამილახვარს გაუწოდა, თან დასძინა:

— მეფე ვახტანგისაგან მოგართვით ეს.

გივის ახლაღა გაახსენდა, რომ სწორედ ეს ჟურული ჰყავდა შანშეს რუსეთს გაგზავნილი. ლუქს დახედა, მეფე ვახტანგის ბეჭდის ნაკვალევი თვალში მოხვდა. გახსნა. საჩქაროდ ჩაიკითხა მისალმება-მოკითხვის ნაწილი და რომ წაიკითხა: „ახლა ამას მოგახსენებთ შენც და შანშესაც, მე ვერ მოვდივარ, ვერ ვუშვებ ბაქარსაც. ვერ მოვაგვარე დამხმარე ჯარის შოვნა, იქნებ თქვენი ძალით ისევ თქვენ გახდეთ რამეს!".. ბოლოშიც დააკვირდა და ვახტანგი რომ აწერდა ხელს, შეცბა უცბათ, რას ნიშნავდა ეს? ტანში სიცივემ დაუარა. მთელი იმედები ეფუშებოდა.

— ასეთი კარგი ჟამი არა გვქონია! რა მოხდა, რატომ ამბობს მეფე ვახტანგი უარს?

ჟურულმა ამოიოხრა:

— მოგეხსენებათ, მე თავად გახლდით ასტრახანს. პეტერბურღს კაცნი ჰყავდა წარგზავნილი იმპერატრიცასთან. ასე შემოეთვალა იმპერატრიცას: ახლა თურქებთან აშლის დრო არ არის. შენც ნულარ ჩაერევი საქართველოს საქმეებშიო. მეფე ვახტანგს რომ ამცნეს ეს, ელდა ეცა. „რისთვის გადავეგე?! ამდენ ხანს რას ველოდი?! როგორ მაიმედებდა ეს დედაკაცი, ახლა რას მეუბნებაო?!" — მოსთქვამდა... რამდენიმე დღეს ისე გაოგნდა, დანა კბილს აღარ უხსნიდა. მერე ძალა მოიკრიბა. არავის რომ ახლოს არ იკარებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაესაუბრა ზოგ-ზოგებს, მეც მიმიხმო; „ხომ ხედავ, როგორც არის საქმეო“, თქვენზე და ბატონ შანშეზე მიბრძანა, — ასე გადაეცი, ჩვენი იმედი ნულარ ექნებათ, ამდენ ლოდინში დავუძლურდი, ვერაფერს გავხდი... ცარიელი რაზე წამოვიდე და ან ბაქარიც რაღაზე წარმოვგზავნო, ქვეყანას მაინც ველარ წავადგებით! იქნებ ისევ თავად მიხედონ, თავიც იხსნან და ქვეყანაცო. სხვის იმედზე დარჩენა არავის გამოსდგომია და არც მე გამომადგა, ნურც ისინი დარჩებიან ჩვენს იმედზეო!..

ბატონი შანშე ჩემს დაბრუნებას უცდიდა, აბა, ახლა რაღას წავა! — დასძინა ჟურულმა.

ამას კი აღარ ელოდა ამილახვარი. მას სჯეროდა, რომ დღეს იქნებოდა, თუ ხვალ, ვახტანგი დაბრუნდებოდა და საქმეც წინ წავიდოდა.

— ამ იმედმაც ფუჭად ჩაგვიარა! — ჩაილაპარაკა გვიან. ადგა, რამდენიმეჯერ გაიარგამოიარა. ცოტა გვიან ისევ თურქეთ-სპარსეთის ამბები გადაზომა თავში, — თქვენი ძალით ეცადენითო, ხომ?! — გაიმეორა ვახტანგის დანაბარები თავისთვის. ჟურულს მიუბრუნდა, თავს ძალა დაატანა და სპარსეთ-თურქეთის ბრძოლის ამბავს მოუყვა. თან დასძინა:

— შანშე ბატონს ასე გადაეცი: როცა საჭიროა, ჯოჯოხეთის დასანგრევად ეშმაკიც შეიძლება გამოგადგეს. მით უფრო, თუ ვინმე ანგრევს მას, შენც შეიძლება ხელი წაახმარო!... თურქეთს უჭირს, თუ განვდევნით, ალბათ პატრონიც მოიძებნება.

ჟურული რომ გაისტუმრა, ერთხელ კიდევ გაიმეორა სტუმრისაგან ნამცნობი მეფე ვახტანგის სიტყვები:

— თქვენი ძალით ეცადეთო!.. ჩვენც გვეყოფა ძალა?! — შეეკითხა თავის თავს. — ძალაც რომ გვეყოს, ვინ უნდა გვიწინამძღვროს, ვის გაჰყვება ქვეყანა?... მეფე ვახტანგი და ბაქარი განზე გადგნენ, ვახტანგისანების იმედი აღარ არის! იესესანი? აბდულ-ბეგი არა! აბდულ-ბეგი აბდულ-ბეგია, რა პატრიოტობას გაუწევს ქვეყანას! ისევ თეიმურაზ იესესძე თუ!...

გაახსენდა, მაშინ, ელენე დედოფალთან ერთად სიონის ტაძარში რომ ნახა თეიმურაზი.

— მაშ, თეიმურაზი! გონიერ ყმაწვილსაც ამბობენ! — დაასკვნა. — ღმერთო, შენ მოგვეც ძლევა მტერთა ზედა, შენ მიანიჭე ქვეყანას ჩვენსას თავისუფლება! — შესთხოვა მეუფეს. სიმსუბუქე იგრძნო, თითქოს ბნელში სვეტად ჩამოდგა სინათლე და ნათელი გზა გამოაჩინა. უნებლიედ ხელი სატევრისაკენ წაიღო, მცირედ ამოსწია კიდეც, მერე თავის თავზე გაელიმა:

— განა ამ წუთს?!

## მამის აუგი

თეიმურაზ ბატონიშვილმა ერთბაშად აიყარა ტანი, საულვაშესა და საფეთქლებზე თაფლის ფერი ბეწვი მოედო, ხმაც უფრო დაუბოხდა. პატარა აღარ იყო, მეჩვიდმეტე წელში იდგა. პატარაობისას ხომ ლამაზი იყო, ფუნთულა ლოყებიანი, ჭაბუკი უკეთესი დადგა. მაღალი, სწორტანოვანი, სანდომიანი მრგვალი სახით, ოდნავ ჭორფლიანობა რომ გადაჰკრავდა. საკმაოდ სხარტი, კარგი, როგორც მაშინ იტყოდნენ, მობურთალ-მოასპარეზე. თუმცა ჭაბუკური გატაცებანი და ბევრჯერ აცქმუტებაც სჩვეოდა, მაგრამ სიტყვა-პასუხი დარბაისლური ჰქონდა. მნახველნი უწონებდნენ გონიერებას. ბევრს უთქვამს: „კვიცი გვარზე ხტისო“, ამას რომ ამბობდნენ, ალბათ გვარში პაპებს — ლევანს და გიორგის, ბიძებს ვახტანგს, ქაიხოსროსა და დომენტის გულისხმობდნენ. თორემ მამა იესე ყველას ისე ჰყავდა ათვალწუნებული, მისთვის რომ მიემგვანებინათ, არა მგონია, მაშინ თვალში მოსვლოდათ ჭაბუკი ბატონიშვილი. განსწავლულობასაც უქებდნენ, საოცრად ნიჭიერიაო, ამბობდნენ მასწავლებელნი და ეს ხმაც მთელს ქალაქს იყო მოფენილი.

თუმცა დედა-შვილი თავისთვის ცხოვრობდნენ, საქვეყნო საქმეებში არ ერეოდნენ (ან კი ვინ ჩარევდა!), არც ხალხი აწუხებდა რამეზე მათ. მაგრამ ბატონიშვილი რომ იყო თეიმურაზი და იქნებ მომავალი ქვეყნის პატრონიც, ამას კი არ ივიწყებდა ხალხი.

ეს ერთი ხანობა იყო, თეიმურაზი გულს ველარ უდებდა მეცადინეობას, ცოტა ხანს თავს ძალას დაატანდა, დაიწყებდა კითხვას, მერე სხვა ფიქრში წავიდოდა და ველარ გებულობდა წაკითხულს. მოძღვრისათვისაც უნდოდა გულდასმით ესმინა, მაგრამ უნებლიედ რაღაც წამოაგონდებოდა, გაუყვებოდა ამ საფიქრალს. ამ დროს ოსეს სიტყვებს ყური კი ისმენდა, მაგრამ გონება ვერ სწვდებოდა, მერე გონს რომ მოეგებოდა, გვიანღა იყო. რამდენიმეჯერ იკითხა:

— ეს როგორ არისო?

— ეს ხომ აგიხსენი, ბატონიშვილო! — ეტყოდა ოსე. თეიმურაზი გაკვირვებული რჩებოდა, „მერე მე რატომ არ მახსოვს?!“ — ფიქრობდა იგი და თავის ნიჭიერებაში ეჭვი შეეპქონდა. ის კი ველარ მოეაზრებინა, რომ მისი ნიჭიერება კი არ იყო ამაში დამნაშავე, არამედ ის საფიქრალი მას თავში რომ ჩაუჯდა, მერე მოედო და მთელი არსებით დაიპყრო. ადრეც ხომ უყვარდა ამილახვრის ქალიშვილი, მაგრამ ამ ბოლოს მაინც გონებიდან აღარ სცილდებოდა. მისი სახე, მისი ტანი, მისი მოძრაობა თუ მისი ღიმილი უდგა სულ თვალწინ. ეს იყო მიზეზი რომ გადაკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რგავდა ხოლმე. რამდენი ღამეები ათია მასზე ფიქრში, და რამდენადაც მეტს ფიქრობდა, იმდენად ახლობელი ხდებოდა ის კვიმატი გოგონა, ერთხელ ენაც რომ გამოუყო. ახლობელი კი არა, რაღაც ჰაეროვან, შეუხებელ სიწმინდედ ესახებოდა, ღვთაებრივ არსებად, სალოცავ ხატად რომ გადაექცა ჭაბუკს.

დილის ვარჯიშისა და საუზმის შემდეგ იოსებ ფალავანდიშვილმა კარგა ხანს დაჰყო დედოფალთან, ის იყო იოსები გამოვიდა, რომ მსახურმა მოაკითხა თეიმურაზს:

— დედოფალმა ბრძანა, ცოტა ხანს ჩემთან მობრძანდესო.

„ალბათ მზრდელი რამეზეა ნაწყენი და უნდა დედას დამატუქსინოსო, — გაივლო თეიმურაზმა გულში. — მაგრამ რაზე? იქნებ...“ და რამდენიმე რამ ჩამოთვალა გონებაში, ამას თუ მისაყვედურებსო.

ელენე დაფიქრებული დახვდა, სახეზე ზრუნვის ჩრდილი ეფინა, ცოტა ხანს არაფერი უთქვამს, მხოლოდ ახედ-დახედა შვილს, თითქოს დიდი ხნის უნახავს ათვალიერებდა, თუ რაღაცაზე ამოწმებდა.

„ვითომ მიწყრება რამეზე, რა დავაშავე ასეთი?! — ფიქრობდა ჭაბუკი თა თავდახრილი დედის სამდურავს მოელოდა.

— შვილო, დაჭაბუკდი უკვე, შენს ქორწინებასა და მომავალზეც უნდა ვიფიქროთ, — მძიმედ წამოიწყო ელენემ, ლამის სიტყვებს ტკეპნიდა, — ცოლი უნდა შეგრთოთ! უნდა იცოდე ისიც, იქნებ ვინმე მოგწონს, მაგრამ შენგვართ თავის ნებაზე არჩევის უფლება როდი აქვთ, ისეთი უნდა მოიყვანო, შენც რომ გამოგადგება და ქვეყანასაც!

ღელვამ შეიპყრო ჭაბუკი. დედა რომ აფრთხილებდა, შენს მოწონებულს ვერ შეირთავო, ცუდად ენიშნა ეს.

ელენემ განაგრძო:

—ვფიქრობ ისეთი ოჯახის შვილი შეგერთოთ, რომ ძლიერი იყოს, შეეძლოს შენც მხარი მოგცეს და თანაც შენს შერთულს დედოფლობა შეჰფეროდეს! შენ რას იტყვი?

თეიმურაზი მცირე ხანს გაჩუმებული იყო, ვერაფერი ეპასუხნა. რამდენჯერ უფიქრია, ტარიელივით ველად გავიჭრები და თამარის მეტს არავის შევირთავო, ჩანდა, მართლაც მოელოდა ტარიელის ბედი.

— რას იტყვი შენ? — კვლავ იკითხა ელენემ.

— ცოლს არ შევირთავ! — ჩაილაპარაკა თეიმურაზმა.

— ქვეყანას ერთადერთ პატრონად შენ ეგულები, ცოლს არ შეირთავ, რას ჰქვია, მოლოზნობა ხომ არ გადაგვიწყვეტია? — შეშფოთდა დედოფალი.

ჭაბუკი დუმდა. ელენე ღელავდა, რამდენიმე საყვედურიანი სიტყვაც წამოსცდა. მერე შეეცადა გაგულისება დაეოკებინა, უფრო მშვიდად უთხრა:

— არა, შვილო! დაუქორწინებლობას თუ ფიქრობ, ეგ აზრი გულიდან გადაიგდე! ეგ ალბათ იმ გარეჯის მღვიმეებმა ჩაგაგონეს. ეგ მოიცილე თავიდან, შენ ამ ქვეყნის სასუფეველი ეძებე და თანაც ის იფიქრე, როგორ გამოადგე ქვეყანას!

დედოფალმა ასეთი დარიგებით გამოისტუმრა შვილი. უკვე მოსულიყო ოსე მოძღვარი და თავის მოწაფეს კუთხის ოთახში ელოდა. თეიმურაზი რომ შევიდა, ოსე ფრესკებს ათვალიერებდა. ოთახის კედლები ნაირფერი სურათებით იყო მოფენილი, ცალ კედელზე ნადირობას ნადიმობა სცვლიდა, იქავე ტყე და შორს მთების ნასახი ილანდებოდა. მეორე კედელზე მეფის დარბაზობა იყო გამოხატული. ტახტის წინ იდგა მეფე. თავზე ოქროს გვირგვინით. უკან მახვილშემართული მცველები უდგნენ. მეფის წინ დარბაზის ერთა მოკრძალებული სახეები გამოეხატა მხატვარს. მესამე კედელზე დამკვრელს ორივე ხელით შეეთამაშებინა ფიფანურებდაყრილი დაირა. მროკველნი გარს წრედ შემორტყმოდნენ და ერთმანეთის მხრებზე ხელჩაჭიდებულნი ფერხულს უვლიდნენ. მისგან ოდნავ მოშორებით მეორე ნახატი იყო, სამაიას ცეკვავდა სამი ტანწერწეტი ქალიშვილი.

ოსე არაერთგზის იყო ამ ოთახში ნამყოფი და ეს ნახატებიც, რა თქმა უნდა დათვალიერებული ჰქონდა, ახლა ალბათ უფრო დროის მოსაკლავად ავლებდა თვალს. თეიმურაზის შესვლისას შემობრუნდა, თავისდაკვრით მიესალმა ბატონიშვილს.

— ეს ნახატი მაინც ძლიერ მომწონს, რა ცხოველად გამოუხატავს მხატვარს მროკველთა სახეები! — უთხრა თეიმურაზს და ფერხულის მროკველებზე მიათითა.

თეიმურაზმა ხმა არ ამოიღო, უხალისოდ გახედა მხოლოდ. ორივე მაგიდას მიუსხდა. ოსემ ჯერ დავალებად მიცემული განაკვეთი მოჰკითხა იოანე პეტრიწის თარგმნილი ტრაქტატიდან. თეიმურაზი თავს ძალას ატანდა, ისე მოუთხრობდა, დროდადრო ჩერდებოდა, მერე ისევ აგრძელებდა. ოსეს თვალში არ მოუვიდა თავისი მონაფე. მაინც გადავიდა ახალი განაკვეთის განმარტებაზე.

„ყოველი რიცხვი ერთისაგან იბევრების, ბევრი სხვა არა რა არს, თუ არა ერთთა კრებული“, — უხსნიდა მოძღვარი. თეიმურაზს სხვაგან გაექცა ფიქრი, უცბათ გონს მოეგო.

— როგორ? — იკითხა მან.

მოძღვარმა ისევ გაიმეორა. თეიმურაზმა უკმაყოფილოდ გადააქნია თავი. ოსემ შენიშნა, ჭაბუკი რომ გულს ვერ უდებდა საფილოსოფოსო ცოდნათა მოსმენას, და ამის გამო თვითონაც უკმაყოფილო დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღეს, როგორც გეტყობა, ვერ შეენწყე დიადოხოსს! — გაიღიმა ოსემ, — არა უშავს, შემდეგისათვის იყოს. — წიგნი გვერდზე გადასდო, თან დასძინა, — ამ დღეებში იყო, მკითხე, მამა როგორი კაცი იყოო? ალბათ რაღაც მოისმინე. უმისოდაც ვაპირებდი, ყოველივე მეუწყებინა, რაკი თვითონაც მოისურვე, უნდა გითხრა.

თავის მამის მისამართით საყვედურები კანტი-კუნტად სხვა დროსაც სმენია თეიმურაზს; ამ მითქმა-მოთქმამ ცნობის წადილი აღუძრა, უნდოდა, გაეგო რატომ ასე უკადრისად იხსენიებდნენ იესე მეფეს. ერთ ხანს იფიქრა დედისათვის ეკითხა, მოერიდა. არჩია ისევ ოსესათვის მიემართა, — ის უფრო მამცნობსო. ოსემ გადაუდო, — მერე გეტყვიო. ახლა მოძღვარმა რომ მოიწადინა თქმა, თვალები შეანათა, თან ეს უთხრა.

— ბრძანე, მოძღვარო!

— დიდი ხანია ამის თქმა მინდოდა, ბატონიშვილო, მაგრამ თავს ვიჭერდი. ახლა მაინც უნდა გითხრა: თუმცა ჯერ თითქოს საიმრიგოდ ყურადღებას არ გაქცევენ (ეს კარგიც არის, თურქებს თვალში არ ეჩრები და საფრთხისაგან დაცული ხარ!), მაგრამ თვითონაც იცი, ქართლის ქვეყანაში მეფის მემკვიდრე შენს მეტი აღარავინ არის, ხალხს ქვეყნის მომავალ პატრონად ეგულები. დღეს იქნება თუ ხვალ, ქვეყანა თურქებს განდევნის და თავის პატრონს მოიკითხავს, შენ ხარ მემკვიდრე და შენ უნდა გიპატრონონ.

აქ შეჩერდა მოძღვარი. ეტყობოდა უჭირდა სიტყვის გაგრძელება. მერე ბატონიშვილს შეეკითხა:

— მეფე ვახტანგი ალბათ გახსოვს?

— ცოტათი მახსოვს, რუსეთს რომ უნდა წასულიყო და მითქმა-მოთქმა იყო, ისლა მახსენდება, — დაუდასტურა ჭაბუკმა.

— უზადო გულის ადამიანი იყო, — განაგრძო ოსემ, — გონიერი, ღვთის მოშიში, ლმობიერი და მოწყალე. უყვარდა თავისი ხალხი და თავისი მამული. როგორც უხერხდებოდა, თავგამოდებული იყო თავისი ქვეყნისათვის, რამდენიმე წელიწადს აწამეს სპარსელებმა, სჯულსა და ქვეყანას მაინც არ შეაქცია ზურგი. კარგი პაპა-ბიძანი გყავდა. იმათი ღვაწლი არ უნდა დაგავიწყდეს!

თეიმურაზი უსმენდა. ოსემ პაპები დაასახელა. ბიძებიც მოიხსენა და მათ კვალზე სიარული ურჩია.

— მამა?! — უნებლიედ წამოსცდა ხმამაღლა. გაახსენდა, დედასაც რომ არაერთგზის უთქვამს მასზე საყვედური. ალბათ რაღაც დანაშაულობანი მიუძღოდა. ამიტომ არ უნდოდა ოსეს რამე ეთქვა.

ოსე ერთხანს დუმდა, თითქოს არც გაუგონია კითხვა. რაღაცას ფიქრობდა, მერე ჭაბუკს ახედა.

— მიმძიმს, გითხრა, შენც შეგამძიმებს, მაგრამ უნდა უწყოდე, დაუფარავად უნდა იცოდე ყოველივე! მე ამბავს გეტყვი და დანარჩენს თვითონ ინიშნებ. მეფე ვახტანგი შაჰმა ისპაჰანში იხმო და გამაჰმადიანება მოსთხოვა; მეფემ უარი უთხრა მაჰმადის სჯულის მიღებაზე, — ქრისტიანობით გემსახურები, სჯულს კი ვერ გამოვიცვლიო. ვახტანგს ქვეყნის გამგებლად მეორე ძმა, სიმონი ჰყავდა დატოვებული. ბატონმა იესემ გადაიბირა ის, ბევრი თავადთაგანიც აამხედრა მეფის წინააღმდეგ, მათი სახელით დათუნა ქსნის ერისთავი და რამდენიმე სხვა შაჰის კარზე მიავლინა, შეაბეზღებინა, — ვახტანგი შენი მოღალატეა, რუსეთისა და ფრანგთა ქვეყნის მფარველობაში შესვლას ეძებსო. შაჰმაც ირწმუნა მაბეზღრების სიტყვა. შეიპყრო მეფე და ქირმანს წარგზავნა პატიმრად. განსვენებულ იესეს მაჰმადის სჯული ადრევე ჰქონდა მიღებული. იმდენი მოახერხა, მეფობა დაირჩინა.

სპარსთა წესისამებრ იქცეოდა ბატონი იესე: რამდენიც ძალ ედვა, იხვეჭდა. შვებასა და განცხრომაში იყო; ახლობელთაც არ ინდობდა, ყრმა ქალიშვილებთან ეძლეოდა განსვენებას. თავის უწესობას იმით ამართლებდა, რომ, მაჰმადიანი ვარ და ასე შემფერისო.

ქვეყანა აერია, აღარ ინდომეს ქართველთ მისი ბატონობა. იძულებული გახდა შაჰიც, მეფობიდან გადაეყენებინა. ჯერ ბაქარს მისცა მეფობა, ვახტანგი ისევ ქირმანს იყო ტყვედ. ბაქარსაც არ უსვენებდნენ. ქართველთ ურჩიეს მეფე ვახტანგს: ასე ქვეყანა წახდება, აღიარე მაჰმადის სჯული და ქვეყანას დაუბრუნდიო. ვახტანგიც იძულებული იყო, მაჰმადის სჯული მიეღო. შაჰმა ისევ მისცა მეფობა და ქართლს დააბრუნა. მეფე ვახტანგი სულგრძელი იყო, მაინც აპატია ძმას ღალატი. სამუხრანო მისცა საბატონოდ.

მერეც არ დასცხრა, ეჰ, მოსაგონებლადაც მძიმეა! — ხელი ჩაიქნია ოსემ, მცირედ შეჩერდა, თითქოს უნდოდა, ამოესუნთქა, შემდეგ განაგრძო, — ამდენს რომ გეუბნები, ვიცი გულს გატკენ... მაგრამ უნდა იცოდე, რაც ქვეყანამ იცის, არც შენ უნდა დაგემალოს. იმას მოგახსენებდი, შემდეგაც არ დასცხრა. გაგონილი გექნება, მეფე ვახტანგს რუსეთის ხელმწიფემ პეტრემ მოსწერა, სპარსეთზე სალაშქროდ მოვდივარ, შენც ჯარი შეჰკრიბე და წამოდიო. გაეხარდა მეფეს, პეტრე ქრისტიანი ხელმწიფე იყო და თუ ის დაიჭერდა სპარსეთს, ქართველთა ქვეყანა ძალადობას გადარჩებოდა. მაშინვე ჯარი შეჰყარა და განჯას გავიდა. ცხადია, შინაურთ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდა არავინ იცოდა, რა მიზნით იყო იქ ნასული. ყველას ეგონა ირანის შაჰის დავალებით დაღესტანზე უნდა ელაშქრა. სამ თვეს იყო განჯას, რუსეთის ჯარის გამოჩენას ელოდა, მერე შეიტყო, რომ პეტრე ხელმწიფეს ლაშქრობა მოეშალა და უკან გაბრუნებულიყო. გულშეძრული მობრუნდა ვახტანგი იქიდან. ბატონმა იესემ შაჰს ფარულად კაცი გაუგზავნა და ყოველივე აუწყა, თანაც ამცნო, მეფე ვახტანგმა ყურანი დაფხრიწა და ცეცხლში შეაგდოო.

შაჰის ხელისუფლება დასუსტებული იყო ამ დროს, არ შეეძლო ძალის მიტანით ეძია შური. ამიტომ ასეთ ვერაგობას მიმართა, შენს დედის ძმას კონსტანტინეს მისწერა: ქართლი შენთვის მომიცია, ვახტანგი მოიცილე და შენ გამეფდიო: ვახტანგსაც ასევე მისწერა: ქართლის მეფე ხარ და აზერბაიჯანის ბეგლარბეგი, კახეთიც შენთვის მომიცია, ბარე დაიჭირე ისიც და იმეფეო. რაკილა შაჰს თვითონ არ შესწევდა ძალა, უნდოდა ქართლისა და კახეთის მეფენი ერთმანეთისათვის შეეჯახებინა და ამ გზით დასუსტებული ორივე მხარე მორჩილებაში მოეყვანა. კონსტანტინემ ფარულად აცნობა ამგვარი წერილის მიღება ვახტანგს და შემოუთვალა: მტერს ნუ ავყვებით, შაჰს ორივე ჩვენთაგანის მოსპობა უნდა, ერთად ვილონოთ რამეო. შერიგებისა და მეგობრობის პირობა დასდეს შუაკაცების მეოხებით, ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ თბილისში, აქ უნდა ჩამოსულიყო კონსტანტინე. მაგრამ აქაც ბატონი იესე ჩაერია, თბილისს მომავალ კონსტანტინეს ჩუმად კაცი მიუგზავნა: ვახტანგს შენი მოკვლა აქვს განზრახულიო. კონსტანტინემაც ირწმუნა სიძის ნათქვამი, გაბრუნდა გზიდან და ორივე მეფეს შორის მტრობა ჩამოვარდა. კონსტანტინე კახბატონმა ჯარი შეჰკრიბა, ლეკებიც მოიხმარა, თბილისს მოადგა, ქართლელებმა სძლიეს კახნი და ლეკნი. კონსტანტინე გაბრუნდა, ისევ მამამან შენმან აცნობა, ქართლის ჯარი რომ ისვენებდა, კახბატონმა ახალი ჯარი შემოიკრიბა, უმთავრესად ლეკთაგან. მოვიდა და თავს დაესხა თბილისს. ამბობენ, იესესა და სიმონის, ვახტანგ მეფის ორივე ძმის მიზეზით მეტეხის ხიდი არ გაამაგრეს, რომ კონსტანტინესათვის ქალაქში შემოსასვლელი გზა მიეცათო. გაზაფხული იყო, მტკვარი ადიდებული, ქალაქში შემოსასვლელი ერთადერთი გზა მეტეხზე იდო და ისიც დაცული არ იყო. მეფე ვახტანგმა ძლივს გაასწრო, კონსტანტინე კახბატონი თბილისში შემოვიდა, ლეკებმა საშინლად დაარბიეს თბილისი. სისხლის რუები დიოდა, ვინ მოსთვლის რამდენი ქალიშვილი გახრწნეს, რამდენი დედა შეაგინეს ქმართა და შვილთა თვალწინ, თვით ქალაქი კი დაანგრიეს და იავარჰყვეს, სიონიც მაშინ დაწვეს და გაძარცვეს.

კონსტანტინე კახბატონმაც ვერ შეირჩინა ქართლი, თურქნი მოადგნენ. თავისი ხელით ჩააბარა ქალაქისა და ციხეთა გასაღებნი... იესე ბატონი ახლა თურქებს ეახლა, მათი სჯული აღიარა და მუსტაფა-ფაშა დაირქვა. თუმცა ქვეყნის მმართველს უწოდებდნენ თურქნი, გარნა თვითონ მართავდნენ თავის ნებაზე, მერე რაც მოჰყვა ამას, თვითონაც ხედავ.

ოსემ ჭაბუკს ახედა, თავჩახრილი ისმენდა თეიმურაზი, სახე მცირედ წამოფითრებოდა, ოსემ განაგრძო:

— კაცთა სიცოცხლე იმად არ ღირს, არც დიდება, რომ მისთვის საკიცხველად გავიხადოთ თავი. იესე ბატონის მიზეზით ბევრგზის წახდა ქვეყანა, თვითონაც ასე გაწბილდა და მოიყივნა სახელი!

იმიტომაც გითხარი ეს, ვინ იცის მომავალში რა მოხდება, გახსოვდეს ყოველთვის, მამის მცდარი ნაბიჯნი აიცილე, ისევ იმ სახელოვან პაპა-ბიძათა გზას გაჰყევი... მეფე გიორგიმ ქვეყანასაც ბევრი არგო და სახელიც დიდი დასტოვა, მეფე ქაიხოსრომაც, რაც შეიძლო, ქვეყნისათვის ილვაწა და სახელოვნად დაილუპა. ვახტანგ მეფის ღვაწლს კი ქვეყანა ვერასოდეს დაივიწყებს, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ვინძლო მათზე მეტი არგო მამულს!

თეიმურაზმა ეს თუ რაღაც ამის მსგავსი რამ ყურმოკვრით იცოდა, ახლა ოსეს მონათხრობმა აალელვა და კიდეც შეზარა. დღევანდელ გულის ერთ ტკენას ეს მეორეც დაემატა. თითქოს თავს დასტრიალებდა იმ ამბებს, სურათებად უდგა თვალწინ არაერთგზის ნაგვემი და გატანჯული, შებილწული და გადამწვარი თბილისი... და დამნაშავე... მისი მამა იესე; თვალწინ დაუდგა ისიც, მომაკვდავი სარეცელზე რომ იწვა, ექიმი ყარაშვილი ხელჩაქნეული რომ გამოსცილდა. „მართლაც რა დარჩა მისგან, რისთვის ჰქმნა ამდენი ავი საქმე?!“ — გაივლო გულში და ტანში ტკივილის თუ ჟრჟოლის მსგავსმა რაღაცამ დაუარა.

ჩაფიქრებული იჯდა ოსეც, თავი აილო.

— გული გატკინე, ბატონიშვილო, მაგრამ ყოველივეს უნდა უწყოდე, ავიც უნდა იცოდე და კარგიც. ესეც გახსოვდეს, — განაგრძო ოსემ, — ქვეყნის უფალმა ცუდი მაგალითი არ უნდა მისცეს ხალხს. მამამ შენმა იესემ

კი ბევრი დააშავა: დედაშენი, დედოფალი ელენე, კახბატონის ასული დაწინდული ჰყავდა, მან კი მარიამი, ერასტი ორბელიანის ქალიშვილი შეირთო; მოგეხსენება, ერასტი ბების ძმისშვილი იყო მისი, ამავე დროს, მარიამი იესე ბატონის დედის ბიძას, ქაიხოსრო ამირეჯიბს ჰყავდა ცოლად. ორის მხრივ ახლო ნათესავად ხვდებოდა, მოხუც კაცს, დედის ბიძას წაართვა და თვითონ ცოლად, თუ როგორ ვთქვა, ხარჭად დაისვა.

თეიმურაზმა ეს ამბავი კი იცოდა, მაგრამ ახლა მაინც მწარედ მოხვდა გულზე. ორივე დადუმდა, ერთმანეთზე დამდურებულებივით თავთავის ფიქრს მიეცნენ, მოგვიანებით ისევ ოსემ ჰკითხა:

— ბატონიშვილო, წელანაც გემჩნეოდა უგუნებობა, მითხარი მიზეზი, ნუ დამიფარავ!

თეიმურაზი ოსესთან ისე იყო გაშინაურებული, რომ მართლაც ბევრ რამეს არ ფარავდა თავის მოძღვართან, მაგრამ ახლა მისმა ნათხრობმა ისეთ ხასიათზე დააყენა, ხმის ამოღებაც აღარ უნდოდა. თვით მთხრობელის მიმართაც ეჭვნარევი სიძულვილი იგრძნო. ასე სჩვევია ადამიანს: შენს ახლობელზე რომ ძვირი გითხრას ვინმემ, ყოველივე რომ სარწმუნოდ გეჩვენოს, მთქმელის მიმართ მაინც სიძულვილის მსგავსი გრძნობა შეგიპყრობს. თეიმურაზსაც მამაზე ავის მთქმელი მოძღვარიც ავად წარმოესახა. ამრეზით გახედა ბარათაშვილს. ხმა არ ამოიღო, კვლავ რომ გაუმეორა ოსემ კითხვა, მაშინ ეს სთქვა მხოლოდ :

— არა, უგუნებოდ არ ვიყავი!

ოსემ ცოტა ხანს იყუჩა და მერე უთხრა:

— დედოფალს უნდა, რომ დაგაქორწინოს.

თეიმურაზმა თავი აილო, ოსე პირდაპირ მისჩერებოდა მას.

— მითხრა დედამ, მაგრამ...

— რა მაგრამ?! დაქორწინებაზე უარს ამბობ?!

თეიმურაზმა თავი დააქნია:

— ჰო, რა ვიცი!

ოსემ თვალებში შეხედა.

— დაქორწინების დრო არის ახლა. სარძლოდაც კარგი ჰყავს შერჩეული. ამილახვარის ასული თამარი ზრდილობითა და თვალტანადობით ხომ შეუდარებელია, მამაც ძლიერი თავადია, მომავლის გზაზე საჭირო კაცი.

თეიმურაზმა აღარ დააცალა.

— ვინ?

— გივი ამილახვარის ასული თამარი სურს სარძლოდ დედოფალს, გივის თვითონ ძე არ ჰყავს, შენზე დაჰყრის გულის ყურს, ძალა და გავლენაც შესწევს, გამოგადგება!

მოღრუბლული შუბლი გაეხსნა თეიმურაზს, მღელვარებისაგან ველარაფერი თქვა.

## ძველი ვალების გახსენება

ისაყი ზმორებით წამოდგა. ეს ღამეც აიშესთან გაეთია, აჭარელ თავდგირიძის ქალიშვილთან; რამეზე რომ შემძიმდებოდა, ან საზრუნავი გაუჩნდებოდა, მაშინვე აიშე მოენატრებოდა: საოცარი თვისების ქალი იყო; ისეთი ღიმილი სჩვეოდა, ისეთი მოფიქრებული სიტყვა-პასუხი, რომ მასთან მისვლისთანავე გადაავიწყდებოდა საზრუნავ-საფიქრალი, სულ სხვა გარემოში გადავიდოდა. თუ რამ გულისტკივილი ჰქონდა, დაუამდებოდა, თანაც ისეთ აზრს ჩააწვეთებდა, თითქოს გზას გაუნათებდა; ერთი სიტყვით, დასცადა — მასთან ყოფნა გულის ჯავრს გადაჰყრიდა ხოლმე.

ისაყი, როგორც კი აიშესთან მივიდა საკანში, თამაზ-ხანისაგან თურქთა ჯარის დამარცხების ამბავი მოუთხრო. ისიც უთხრა, რომ ოსმან-ფაშა ბრძოლაში დაღუპულაო.

აიშე თითქოს შეფიქრიანებული ისმენდა, მერე გაიღიმა.

— ოსმანის დაღუპვამ გაგახარა, მბრძანებელო, არა? — იკითხა მან.

ისაყმა ღიმილით შეაგება:

— ვითომ რატომ უნდა გავეხარებინე?!

— მე მგონია, უთუოდ გაგახარებდა, მბრძანებელო! — მცირედ შეჩერდა, თითქოს რაღაცას იგონებდა, — როგორც ვიცი, აქ რომ იყო, ბევრჯერ საჯაროდაც კი დაუძრახიხარ. რომ წავიდა, მაშინაც გექიშპებოდა, ადრეც ბევრი წყენა მოუყენებია...

„რას არ იტყვის ეს ჯადოქარი?! თვითონაც გაგიხსნის და შენც გადაგახსნევინებს გულს, მიფარვით თუ რამ გაქვს, იმასაც გამოგაჩენინებს!“ — აღტაცებით გაივლო გულში ისაყმა. მართლაც სხვა რომელი ცოლი ჰყავდა ისეთი, რომ თუნდაც აიშეს მეათედს მიმხვდარიყო... აბა ოსმან-ფაშის სიძულვილი როგორ არ უნდა ჰქონოდა გულში. თვითონ სამეფო კარზე რომ წაიყვანეს, თუმცა რამდენიმე თვით, მაგრამ მაინც მისი ადგილი ეჭირა. ამ ადგილის ეგრე მაძიებელს მარტო ეს ეყოფოდა სამტროდ და შესაშურებლად, ოსმანმა კი ბევრი მისი ნასაქმი დაიწუნა, შესცვალა და სხვარიგად გაარიგა. მეორეც იყო, ოსმანი რომ წავიდა და ისაყი მობრუნდა, ხალხში მითქმა-მოთქმა არ წყდებოდა: ოსმან-ფაშა თურქი იყო, მაგრამ ისაყ-ფაშას ათჯერ სჯობდა, ის რომ დარჩენილიყო, ლეკების თარეშს უთუოდ ალკვეთავდაო (ეს ხომ წესია, ვისაც კაცის სიცოცხლეში თუნდაც ერთი კეთილი სიტყვა რომ არ დასცდენია, გარდაცვლილს რამდენ სიკეთეს არ მიაწერს? ხშირად ასე ხდება თანამდებობის პირზეც, წასვლის შემდეგ, თითქოს მის ადგილზე მყოფის გამოსაჯავრებლად, ზომაზე მეტ ქებას იწყებენ ხოლმე). ამგვარ სიტყვებს რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰკრავდა ყურს, რისხვა იპყრობდა, რას არ გააკეთებდა, ოსმანისათვის რომ ევნო; მაგრამ ნადიდვეზირალსა და სულთანის ეგოდენ წარჩინებულ ფაშას რით უნდა მისწვდენოდა?! ისევ იმით იყრიდა გულის ჯავრს, თვითონაც მის გარიგებულ საქმეს წუნობდა და სადაც კი საიმისო ადგილს დაიგულებდა, ძრახვას არ აკლებდა.

— მეორეც არის, — განაგრძო აიშემ, — სულთანის ჯარის დამარცხებამ იქნება სიკეთე მოგიტანოს, თვითონვე გახდე თავის პატრონი?!

ისაყს შორს განჭვრეტილ აზრად ეჩვენა ესეც, ღიმილით ჰკითხა:

— როგორ ფიქრობ, მაინც, რა სიკეთე უნდა მომიტანოს სულთანის ჯარის დამარცხებამ?

— მაპატიე, მბრძანებელო, ნუ მიწყენ ასეთი რამის შემოკადრებას, მოგეხსენება, ცხენს როცა პატრონი ავად გაუხდება, მაშინ ისვენებს და იალალზე სუქდება. ვინ იცის, იქნებ იმ პატრონმა, — თითი ბუხრის მარცხენა მხრისაკენ მიმართა, რითაც, ცხადია, დასავლეთს გულისხმობდა, — ვერ მოიცალოს შენთვის, სხვაც ვერ მოგწვდეს და თვითონვე გახდე უმაღლესი მბრძანებელი!

გულთამხილავის სიტყვები იყო: ისაყი თურქეთის ჯარის დამარცხებამ შეაფიქრა, ვაითუ თვითონაც ყიზილბაშთა მბრძანებელთან საბრძოლველად გახდენოდა საქმე და ამას რა მოჰყვებოდა, ვინ იცის? მაგრამ ძნელად იქნება ისეთი ვინმე, ამღვრეულ წყალში მხლტომარე თევზი დალანდოს და მის დასაჭერად არ წაუგორდეს თვალი; ისეთი მეზღვაურიც იშვიათია, რომ დაზიანებული გემი ირყეოდეს, მისი წარმართვა უჭირდეს მეთაურს და მან გემზე დაკრულ ნავისაკენ თვალი არ დაიჭიროს. ისაყმაც ისიც გაივლო, იქნებ ისე მომხდარიყო, არც თამაზ-ხანი შემოეშვა და სულთნის ბატონობისაგანაც თავი დაეღწია. რაც თვითონ ყრუდ გაიფიქრა, ის ახლა აიშემ უფრო ნათლად, გარკვევით სთქვა. სხვაგან ან სხვას რომ ეთქვა ეს, ეჭვიც შეეპარებოდა: სულთანის კაცთაგან მოსყიდული არ იყოს და გამოსაცდელად არ მეუბნებოდესო, მაგრამ აიშეს ენდობოდა, იცოდა, რომ მას სწორედ ასეთი პირდაპირი თქმა სჩვეოდა. თვითონ რის ირიბად თქმასაც კი ერიდებოდა, ეს ქალი იმას ღიად და აშკარად ეტყოდა ხოლმე, თანაც იმას იტყოდა, რასაც ისაყი გულის კუნჭულში სდებდა და რისკენაც, თუმცა გაუბედავად, მაგრამ ისე ძლიერ ისწრაფოდა.

ისაყმა თვალი შეავლო ქალს, იმ მცირე საკანის მრგვლად გადაყვანილ თაღებს ქვეშ ფეხზე მდგომი აიშე ჩვეულებრივზე მაღალი ჩანდა. პირბადე გადაეწია, აშოლტილი ქალი, მეწამული ფერის, წელში გამოყვანილ სტავრის კაბაში, სანთლების მქრქალი შუქით განათებული, მოგრძო, მაგრამ სავსე სახით, ოდნავ სიფერმკრთალე რომ დაჰკრავდა, ისეთივე მომხიბვლელად ეჩვენა, როგორადაც ზღაპრული ფერია წარმოედგინა, უფრო მეტიც, ერთ წუთს, ცით მოვლენილ გამოცხადებადაც წარმოესახა. მისწვდა, მუხლზე დაისვა და ტუჩებში ჩაჰკოცნა.

ეს იყო სალამოს. ახლა, გათენებულზე კი ზმორებით წამოდგა (თუმცა ადგომა ეზარებოდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა), ხალვათად გადაიცვა, დაემშვიდობა აიშეს და სასახლის თავში მდგარ თავის ოთახში გამოვიდა. მსახურებმა საჩქაროდ ვერცხლის სურით წყალი და ვერცხლისავე ლანგარი მოართვეს, პირი დააბანინეს, ასაუზმეს, შემოსეს და გამოწყობილი დივანხანისაკენ წავიდა. თან გუშინ მოტანილ ამბებს დასტრიალებდა თავს: მაშ, ბაღდადთან დამარცხდა ოსმან-ფაშა, დამარცხდა და თვითონაც დაიღუპა. ჩამოსცილდა ის, ვისაც იმდენი მტერ-მოყვარეობა გაეწია ისაყისათვის (დიდ ვეზირად ყოფნისას ოსმანს სიკეთეც მიუძღოდა ისაყის მიმართ), კიდევ... კიდევ თურქეთის ლაშქარი დამარცხდა. ზედიზედ უტევდა თამაზ-ხანი, უჭირდა საქმე სულთანის ხელისუფლებას. ეგებ მართლაც მოეხერხებინა ისაყსა და დამოუკიდებლობა მოეპოვებინა? უეჭველი იყო, თამაზ-ხანი აქეთაც გამოილაშქრებდა, ქვეყანას რომ მხარი დაეჭირა, იქნებ გამაგრებოდა, მაგრამ... თავი გადააქნია — „არა, სულთანის გარეშე ვერას გავხდებიო!“ — გაიფიქრა. ხომ არ სჯობდა, სულაც ფარული კავშირი გაება თამაზ-ხანთან, შეთანხმებოდა, რომ მის წინაალმდეგ არ იმოქმედებდა, მაგრამ თვითონაც ნუ ჩამოერეოდა, ანდა მოკავშირედ გაეხადა იგი. „არა! — გადააქნია ისევ თავი, — როგორც ერანის ყოფილ საყმოს, ქართლ-კახეთს უბრძოლველად არ დასთმობს თამაზ-ხანი!“ და დაასკვნა კვლავ სულთანს მიჰკედლებოდა, მისი მფარველობის კალთის ქვეშ ყოფნა აერჩია.

როგორც არ უნდა ყოფილიყო, ჯერჯერობით მაინც ,რითაც შეეძლო სულთანის ერთგულებით უნდა გამოეჩინა თავი. თამაზ-ხანის წინაალმდეგ კი საბრძოლველად მომზადებულიყო... და ისევ კახეთს დაადგა თვალი, უნდა მოესწრო, თამაზ-ხანის შემოტევამდე მორჩილებაში უნდა მოეყვანა კახეთი. ამის გახსენებაზე აცმუკდა, არაფერი ისმოდა ქართლიდან დაბარებულ ჯარების შესახებ; სად იყვნენ შანშე ერისთავი, გივი ამილახვარი, ლუარსაბ თარხანი? თუმცა დათქმული ვადა არ დამდგარიყო, მაგრამ მზადყოფნა ხომ უნდა შეეტყობინებინათ. შეცდა თვითონაც, ასე დიდი დრო რომ მისცა... მერე გაელიმა,

რამდენიმე თვის წინ სურდა კიდეც კახეთში წინააღმდეგობის კერა შეენარჩუნებინა, რომ სხვაგან გასაგზავნად ჯარი არ ეთხოვა სულთანს მისთვის, ახლა კი უცბათ ისე შეიცვალა მდგომარეობა, საჭირო გახდა, სასწრაფოდ დაემორჩილებინა კახეთი. — „დღეს რასაც ფიქრობ, ხვალ შეიძლება უვარგისი იყოს!" — გაივლო გულში.

კაფუჯი-ბაშს სელიმს დაავალა, მალემსრბოლნი დაეგზავნა, გივი ამილახვარის, შანშე ერისთავისა და ლუარსაბ თარხანისათვის ეცნობებინა, დაეჩქარებინათ ჯარით წამოსვლა; მერე იკითხა: ვინმემ ხომ არ ითხოვა მიღება? — არავინო, — რომ უპასუხეს, აღარ იცოდა რა გაეკეთებინა, წასულიყო სადმე თუ?.. სწორედ ამ დროს მეჰმედ-ბეგი შემოვიდა (მას, როგორც შინაურ კაცს, ყოველ დროს თხოვნის გარეშე შეეძლო ისაყთან მისვლა). თავი დაუკრა ისაყ-ფაშას და კალთაზე ეამბორა.

— როგორ ხარ, ჩემო დიდვეზირო? — ხუმრობანარევი ღიმილით ჰკითხა ისაყმა.

მეჰმედ-ბეგმაც გაიღიმა.

— თქვენი წყალობით ისე ვარ, როგორც სტამბოლში სულთანი.

— ვერ ყოფილხარ სულთანივით, თორემ ჩემი წყალობა რაში დაგჭირდებოდა?!

— ისე ვატყობ, დიდო ფაშავ, სულთანს თქვენი და თქვენნაირების წყალობა ისე სჭირდება, როგორც თევზს წყალი, ყიზილბაშთა მბრძანებელს ოსმან-ფაშა დაუმარცხებია და პირდაპირ ბალდადზე წასულა. ახლა თქვენ და თქვენნაირები რომ არა, ვინ იცის, სტამბოლსაც ადვილად მისწვდეს და თვითონ ტახტიც წაართვას.

თურქთა დამარცხების ამბავი ცოტა ხანს მაინც არ უნდოდა გაეხმიანებინა ისაყს, „ამან საიდანლა გაიგოო?" — გაიფიქრა, მერე განგებ უთხრა: — ოსმან-ფაშას დაღუპვა ძალიან მეწყინა.

ეშმაკურად გაიღიმა მეჰმედ-ბეგმა.

— თქვენ რომ გეწყინებოდათ, ვიცი, მეც რომ ძლიერ ნაწყენი დავრჩი, ეგ არის საქმე.

— რა, არ გეწყინა?! — ჩაეძია ისაყი, — რამდენიმე თვეს ხომ იყო შენი უფროსი?!

— როგორ არა?! ისე მეწყინა, როგორც მონადირეს სწყინს ყვავის სიკვდილი!

ისაყმა კარგად იცოდა, ოსმან-ფაშა თბილისში ყოფნისას ისევე, როგორც ისაყთან დაახლოვებულ სხვა პირებს, მეჰმედ ბეგსაც არ სწყალობდა. ამის გამო განაწყენებული იყო მეჰმედი და, ცხადია, მისი სიკვდილიც გულს არ დააჩნდებოდა, მაგრამ, თუნდაც მასთან, ასე აშკარად თუ აღიარებდა, არ ეგონა. შეეცადა, საუბრისათვის გეზი ეცვალა.

— ამ მარცხის გამო სულთანის კარზე გლოვას გამოაცხადებენ.

— ნადიდვეზირალს თუ არა, ჯარის გაწყვეტას მაინც იგლოვებენ! — არ დაცხრა მაინც მეჰმედ-ბეგი.

ორივე დადუმდა, მცირე ხანს შემდეგ მეჰმედ-ბეგმა წამოიწყო:

— ამ დილას ორბელიანებმა დიმიტრი მომიგზავნეს, გასამრჯელოს მოგართმევთ, დიდ ფაშასთან მიგვეგზავნეო, მთხოვეს.

— რაზე დასჭირდათ შენი მოგზავნა? — გულს გარეთ იკითხა ისაყმა.

— ქაიხოსრო სარდალს უჩივიან, რაც ეგ გახდა ჩვენი ოჯახის უფროსი, ჩვენი მამულიდან აღარაფერი დაგვანება, სულ თვითონ მიაქვსო. ერთობლივ სახლიკაცები ვუჩივით ამ უსამართლობასო. როგორც ჩანს, ამ საქმის მოთავე ერასტი ორბელიანის ცოლი, ანახანუმი უნდა იყოს.

ისაყი წამოენთო.

— რა უპასუხე, მერე?

— რას ვეტყოდი, ქაიხოსრო სარდლის ჩივილი როგორ გაბედეთ-მეთქი, დავემუქრე, ვიცოდი ეს ამბავი რომ არ გესიამოვნებოდათ თქვენ.

ქაიხოსრო უსამართლოდ რომ ექცეოდა თავის სახლიკაცებს, ისაყიმ უიმისოდაც კარგად უწყოდა, მამულების შემოსავალი ხომ მთლიანად მიისაკუთრა, ბიძის წულთ თუ პაპის ძმათა შთამომავლებს სხვა მხრივაც ცუდად ეპყრობოდა, მაგრამ...

— კარგად გიქმნია, ოღონდ ეგ როდი კმარა. ქაიხოსროს გულის მოგებაც არის საჭირო და მაგათი დაშინებაც, ის დიმიტრი, ჩივილი რომ გაბედა, დააჭერინე ისე, რომ ვითომ მე არ ვიცი.

გულისყურით უსმენდა მეჰმედ-ბეგი.

— კეთილი! — თანხმობის ნიშნად შეაგება კეთილისმყოფელს.

ისაყი ცოტა ხანს ჩაფიქრებული იჯდა, შემდეგ მეჰმედ-ბეგს მიუბრუნდა:

— ერთი რამ გამახსენდა, რვა ქისის თამასუქი მაქვს ერასტი ორბელიანისა.

ამ ოთხი წლის წინ იყო, რაღაც საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი ერასტის ისაყთან, იმ ხანად ფული რომ არ ჰქონდა, თამასუქი დაუტოვა, ის საქმე გაირიგა, ფულიც გამოუგზავნა. თამასუქის დაბრუნება კი ვერ შეჰბედა. კარგი რამ გამოჩხრიკა ისაყმა, ახლა თან ფულს გამორჩებოდა ერასტის ქვრივს, თან ქაიხოსროს გულს მოინადირებდა.

— ჰო, ის გითხარი, თამასუქი გაუგზავნე და შეუთვალე, თავნი ის რვა ქისა ოქრო და მისი სარგებელი გამოგზავნოს; ამდენი მას სად ექნება?! ვერ გადაიხდის, დაატყვევონ და აქ მომგვარონ!

— კარგი, დიდებულო ფაშავ, დღესვე გავგზავნი კაფუჯებს!

— ჰო, კიდევ ერთი, დამასმენელი დიმიტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გაგიშვია, ძალიან დაგიშავებია. იქნებ ისევ თბილისში იყოს, ჯერ ის დიმიტრი დააჭერინე და მერე, ერასტის ცოლი ანახანუმი! — უბრძანა ისაყმა.

— როგორც თქვენ მიბრძანებთ, დიდებულო ფაშავ! — მხიარულად თქვა მეჰმედ-ბეგმა და შესასრულებლად გაეშურა.

## კბილმოსინჯული მუხრან-ბატონი

ხუთასამდე მხედარი შეკრიბა გივი ამილახვარმა, ისაყის ბრძანების აღსასრულებლად მაჩაბლებმა, ხერხეულიძეებმა, ამირეჯიბებმა და თუმანიშვილებმა თავიანთი ყმებით ჭალას მოიყარეს თავი. თვითონ გივიმ ჩამოუარა, თითოეულის აღჭურვილობა თუ ცხენთ ალკაზმულობა გასინჯა. მერე ისევ მთელ ჯარს გადახედა. თვალში მოუვიდა რაზმებად დაწყობილნი; მართლაც რჩეული ვაჟკაცობა იყო, კარგად აღჭურვილნიც. სახლთუხუცესს ქარუმიძეს მიუბრუნდა:

— მარტო საამილახვროდან, ასე რომ იყოს აღჭურვილი, რამდენი მხედრის გამოყვანა შეიძლება?

— ორასამდე შევკრიბე, ესეც გამიძნელდა: რა გაგვიჭირვეთ საქმეო, მალ-მალე ლაშქრად გვიძახით, აღარც მოხვნა გვინდა, აღარც მოთესვა და არც მოსავლის მოწევა, ოჯახი რითი შევინახოთო?!

გივიმ ხელის ჩაქნევით შეაჩერა სახლთუხუცესი.

— მე გეუბნები, რამდენი გვეყოლება, ასე აღჭურვა რომ შეეძლება?!

— მგონია, რვაასზე მეტი.

— სულ ზემო ქართლიდან? — ისევ იკითხა გივიმ, — მეორე სადროშოდან? — დასძინა ცოტა მოგვიანებით.

ქარუმიძეს გაუკვირდა: „თვითონ უკეთ არ იცის, მე რად მეკითხებაო?!“ ჩაფიქრდა, თითქოს ანგარიშობდა.

— ასეთის ათას რვაასი, ათასცხრაასამდე მიაწევს. სულ მოლაშქრე, რომ გასჭირდეს, ოთხიათასამდეც გამოვა.

ეტყობოდა, გივის ეჭაშნიკა ეს პასუხი, თავი დაუქნია, მერე მარცხნივ გადახარა თავი, თვალიც ოდნავ მოჭუტა, თითქოს რაღაც გაიანგარიშა.

— ჰო, კარგი! — უთხრა შემდეგ ქარუმიძეს, — ჯარს წაუძეხი, ოკამის პირდაპირ მიხდვრებში შეჩერდით, სადმე. ცხენები მოაძოვონ, თვითონაც დანაყრდნენ და მეც მოვალ.

ეს უთხრა და სასახლისაკენ წავიდა.

შინ მიბრუნებულს სტუმარი დახვდა — მარიამს, იესე მეფის ცოლყოფილს, ერასტი ორბელიანის ქალიშვილს კაცი ეახლებინა გივისთან. დიოფალი ბანგუა შეწუხებული შემოუძლვა ოთახში მარიამის კაცს რამაზ ჩიკოიძეს, მისალმების შემდეგ გივიმ მოიკითხა ცოლის ბიძაშვილი ახლობლებით. მოსულმა ეს თქვა მხოლოდ: — ჯანმრთელად არიანო.

თვალცრემლიანმა ბანგუამ სტუმარს აღარ დააცალა:

— როგორღა იქნებიან, ბიცოლა ანახანუმი დაუტყვევებიათ!

— ვის? როგორ? — გაკვირვებით იკითხა გივიმ და აცრემლებულ დიოფალს ახედა.

— ისაყ-ფაშამ დაატყვევებინა, ბატონ ერასტისაგან მიცემული რვა ქისა ოქროს ვექსილი ჰქონია. ეს ოქრო დიდ ბატონს მგონი მიუცია, მაგრამ ვექსილის გამორთმევა ვერ შეუკადრებია. ფაშა აქამდე გაჩუმებული იყო, ახლა გამოაჩინა და თავისი სარგებლით გადახდა მოსთხოვა, დიოფალმა ანახანუმმა ამდენი რომ ვერ შეიძლო, შეაპყრობინა. ჩითახაშვილმა იასაული დააყენა.

— ვაი, ჩვენს მოსწრებას! ბიძაჩემის ერასტის ოჯახს ეს ეკადრებოდა?! — დაიწუწუნა ბანგუამ.

— რა აქვს გადაწყვეტილი მარიამ დედოფალს? — მცირე დუმილის შემდეგ შეეკითხა გივი ჩიკოიძეს.

— რამდენის ვექსილიც ისაყ-ფაშამ გამოაჩინა, იმდენ ოქროს შეაგროვებს დედოფალი; ზოგი რამ ფულად ჰქონდა, ზოგიც, მზითვის ნივთები გაყიდა და ფულად აქცია; შემოგეხვეწათ ახლა, რომ თქვენც, ვახუშტი აბაშიძე, ბაგრატ ციციშვილი და სხვა დიდნიც ეახლოთ ისაყ-ფაშას, მიართვათ ეს ფული და სთხოვოთ დიოფალის განთავისუფლება. ეს დამაბარა დედოფალმა: ამაზე გაჭირვებულს და დამცირებულს როდისღა მნახავთ, უნდა მიშველოთ და ამ გაჭირვებიდან დამიხსნაო, ამაზე მეტის შეგროვება არ შემიძლია, სარგებელიც რომ მომთხოვოს ფაშამ, დედას ველარ დავიხსნი და თავი მოსაკლავად გამიხდებაო!

— ოხ, ბიძაჩემის დაქცეულო ოჯახო, შენს მეუღლეს დატყვევებაც შეჰბედეს! — ველარ მოითმინა, ისევ ამოიგმინა ბანგუამ.

ანახანუმის დატყვევების ამბავს თავდახრილი ისმენდა გივი, ძლიერ შეაწუხა ამან; მართლაც ერასტი ყაფლანიშვილის ოჯახისათვის როგორ უნდა შეეკადრებინათ ასეთი რამ?! იმ ერასტის, რომელსაც თურქებისა და თვითონ ისაყ-ფაშისათვის ცოტა სამსახური როდი ჰქონდა გაწეული. მაგრამ თურქ ფაშებს, მათ შორის ისაყ-ფაშას, განა სინდისისა რამე მოეთხოვებოდა?!

— მე თბილისში მივდივარ, გადაეცი ჩემს ცოლის დას, მარიამს, რაც შემეძლება, ყველაფერს ვილონებ!.. ანდა რა არის ასე საშძიმო, რომ ვერ მოვაგვაროთ?! რაზე შიშობს, ან რათ უნდა ამდენი ხვეწნა და მუდარა?!

ჩიკოიძემ ხელნი ალაპყრო:

— ღვთის ძალით, თქვენ იცით!

— წელანაც ხომ გითხარი, არც მარიამს და არც ბიცოლაჩემს ანახანუმს არაფერს დაზარდება! — დასძინა ბანგუამაც.

გივი ამილახვარი ჭალიდან რომ გავიდა, საკმაოდ მოშუადღევებული იყო. რამდენიმე მხედარი ახლდა თან, ლამისყანის გასწვრივ დაეწია ჯარს და ერთად განაგრძეს გზა.

საკმაოდ ცხელოდა, ველ-მინდვრებს მწვანედ ევლებოდა თვალი. ყანები ოდოჟლერში იყო შესული. დამწიფებას იწყებდა ბალახი. მუხლის თავის სიმაღლემდე გაზრდილი ნათესი თუ მდელო ტბის ზედაპირივით ნაზად ირხეოდა.

გივი მდუმარედ მიდიოდა, თავის შავ ცხენზე იჯდა, კვიცობიდანვე ალმასა რომ შეარქვეს; წინ ლომივით მაღალი და მკერდფართო იყო, გრძელფაფარიანი, უკან კი უფრო დაბალი და მწევარივით განელილი. ნელა სიარული მასაც უჭირდა პატრონივით. არც დეზს დაირტყამდა და არც მათრახს, სულ ლაგამს ებრძოდა, რომ გაეშვათ.

გივის ჩქარი ნაბიჯით მიჰყავდა ცხენი, ბუნების სილაღემ თუ ცხენით ქროლვამ გაახალისა იგი, დროდადრო თვალს ავლებდა ველ-მინდვრებს, თან თავის საფიქრალს ფიქრობდა: „სულთანს არ ექნება იმდენი ძალა, რომ აქ ჯარი გამოგზავნოს, აქ მყოფებს კი ჩვენც მოვუვლით თავს, მთავარია შიგნით შევთანხმდეთ,... ამასაც გარკვევა უნდა, რამდენი წელიწადია, თურქები არიან ქართლში, ბევრი მათ მომხრეობას იჩენს, შანშე ერისთავი და ბარძიმ ერისთავი ხომ არ კმარა? სხვები რა გზას აირჩევენ, ეს უნდა გავიგოთ!"... და აქ გონების თვალით ერთხელ კიდევ გადაზომა, როგორ მოიქცეოდნენ ბარათაშვილები, ორბელიანები, ჯავახიშვილები, თარხანიანი.

ციხისძირს მივიდნენ. გივის რამდენი ხანია, უნდოდა მუხრანს გასვლა, ადრე ვერ მოუხერხდა, აზრად ჰქონდა, ამ გზობაზე მაინც გაევლო, იქნებ მუხრანბატონი ენახა და გამოლაპარაკებოდა, კბილი მოესინჯა მისთვის, თან სანგარ-გოდოლების მშენებლობა დაეთვალიერებინა, თბილისში ისაყ-ფაშაც იკითხავდა და სცოდნოდა ყოველივე.

ჯარის მოთავეებს უბრძანა, ქანდის ზემოთ შეესვენათ. თვითონ კი რამდენიმე აზნაურის თანხლებით მუხრანს ავიდა, დიდ სანგარს ავლებდნენ მუხრანბატონების სასახლეს, ზემოქართლიდან სამასამდე მშენებელი და მუშა იყო გამოყვანილი, ორასამდე ქვემო ქართლიდან მოახმარეს, ისე რომ ხუთასი კაცი თითქმის ორი თვე იყო, გამუდმებით მუშაობდა ამ სანგრის მშენებლობაზე. აღმოსავლეთის კოშკი ჰქონდათ მოსათავებელი, დასავლეთის მხარეზეც ბურჯებილა დარჩენოდათ. კარგი საქმე კეთდებოდა, ქართლის ვაკეზე გზას გადაუკეტავდა ლეკებს.

მუხრანბატონი მამუკა, ახალგაზრდა კაცი, ოცდაშვიდ-ოცდარვა წელს თუ იქნებოდა მიღწეული, გამოეგება სტუმრად მისულ გივის.

მუშებიდან ზოგი ახლად ჯდებოდა სამხრად, ზოგთ უკვე ესამხრათ და სანგრის ჩრდილს ამოფარებულნი ისვენებდნენ.

გივიმ და მამუკამ გარედან შემოუარეს სანგარს, შემდეგ შიგნით შესულნი სასახლის წინ ხეივანში ჩამოსხდნენ.

— მართლაც კარგი რამ კეთდება! — რამდენიმეჯერ სთქვა ამილახვარმა. მუხრანბატონს ტუჩების კუთხეებთან ღიმილი დააჩნდა.

— ბატონო გივი, მე კი ისე მეჩვენება, თითქოს ისაყ-ფაშა და მისიანნი წინ ჩამომეფარნენ და გასახედი დამიხშეს.

გივიმ გაიკვირვა:

— არ მოგწონთ ამის აშენება?!

მამუკამ მხრები აიჩეჩა:

— მეეჭვება მაგის სიკეთე!

— რატომ? უნდა გაგხარებოდათ! — აღარ მოეშვა გივიც.

მამუკამ ისევ გაიღიმა.

— ქარის მოტანილ ბზეს მაგონებს, მაგათი კი არა უნდა ინდომოს რა კაცმა.

გივიმ თვალებში ჩახედა ახალგაზრდა მუხრან-ბატონს.

— ნუ შიშობთ, თქვენს მამულში რაც გაკეთდება, ის საბოლოოდ თქვენ უფრო გამოგადგებათ ვიდრე... — „მტერს" — უნდოდა ეთქვა, მაგრამ მაინც მოერიდა და ცოტა გვიან დასძინა „სხვასო".

— ერთის მხრივ კარგია! — დაეთანხმა მამუკაც, — გზას გადავუკეტავთ ლეკებს, მაგრამ ამავე მიზეზით აქ თურქთა ჯარს ჩამომიყენებს ისაყი, და აქ ჩამომსხდარნი... ვინ იცის?!

— არა უშავს, თუ ეგრე მოხდა, ცოტა ხანს მოითმინეთ, მერე...

გივი შეჩერდა, თვალი ფრთხილად შეავლო მუხრანბატონს, „განგებ არ მითრევდეს საუბარში, რომ..." — გაივლო გულში. სახეზე ოდნავ სიწითლე დასჩენოდა, ისეთი ალალი გამოხედვაც ჰქონდა, მზაკვრობისას ვერაფერს შენიშნავდა კაცი.

— ღმერთმა ჰქნას, თორემ ასე ქვეყანას აღარ გაეძლება! — გულის ტკივილით ამოსთქვა მუხრან-ბატონმა.

„აჰა, კარგია!" — გაიფიქრა გივიმ.

ახლად გამუხრანბატონებულთან გივის ურთიერთობა არ ჰქონია, შორიდან თუ იცნობდა, ახლა ასე ახლოს მყოფი თვალშიც მოუვიდა და საიმედოდაც ეჩვენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დედოფლის საზრუნავი

ქვეყნად არსებულ ვითარებას დედოფალი ელენეც გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს. ვახტანგი ყველასაგან დალოდებულ რუსთა ჯარით რომ არ გამოჩნდა ისე დიდ ხანს, ამ ამბავმა თანდათან დაარწმუნა დედოფალი, რომ მას რაღაც დიდი რამ აბრკოლებდა და შეიძლება აღარც დაბრუნებულიყო ქართლს. მაშინ ქართლის სამეფო ტახტის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ მისი ძე თეიმურაზი რჩებოდა. იზრდებოდა, აი, დავაჟკაცდა კიდეც, სადაც იყო თექვსმეტი წლისა შესრულდებოდა. ალბათ, ყველამ იცოდა, რომ ბატონიშვილი იყო, უფლისწული: იცოდნენ ქართველებმა და, რა თქმა უნდა, იცოდნენ თურქებმაც, თვითონ ისაყ-ფაშამაც, მაგრამ... თითქოს ვერც ამჩნევდნენ მას. ისაყ-ფაშას დღემდე არც მოუკითხავს, ქართველებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. დედოფალმა გადასწყვიტა, როგორმე ისევ ისაყის კარზე გამოეჩინა შვილი, გაეცნო ქვეყნისათვის დაენახათ იგი, როგორც მის გვარიშვილობას შეეფერებოდა. იქნებ აქედან დაეწყო გზის გაკვალვა. მაგრამ აქაც ვინმე უნდა ჰყოლოდა მფარველად და ზურგის მიმბმელად. ასეთი კი, აბა ვინ იყო? ერთადერთი ძმა თეიმურაზი დარჩა და ისიც თავის მამულიდან განტოლვილი ხევსურეთს აფარებდა თავს. ერთადერთი იმედი ისლა იყო თეიმურაზი, მისი ძე, გივი ამილახვარს თუ დაესიძებოდა, უკეთ, თუ გივი დაისიძებდა, ეს იყო დიდი იმედი. მაგრამ ასეთ დიდ საქმეში განა ეს კმაროდა?!

ქალიშვილებიც ვისთვის უნდა გაეტანებინა, რომ... ქალიშვილიც ოჯახით თხოვდებოდა, ძლიერი ოჯახი უნდა ჰქონოდა, საიმედო, რომ ძლიერნი მოჰკიდებოდნენ სიძედ, ისე უჩინრად მცხოვრებთ კი ვინ დაუკრავდა თავს? და ისე უმწეოდ იგრძნო ქალმა თავი, როგორც უდაბურ ადგილას, მხეცთა შორის მარტოდ-მარტო მყოფმა.

ელენემ გადასწყვიტა, დაეჩქარებინა გივი ამილახვარის დამოყვრება. ოსე ბარათაშვილმა, როგორც იყო, ამ გვიანობისას მოუტანა ამბავი: გივი ვნახე, — მოუთხრო მან, — ჯერ საუბარი ჩამოვუგდე თეიმურაზ ბატონიშვილზე, ბევრი რამ ვუამბე, მისი განსწავლულობა და გონიერება ვუხსენე, მერე სიტყვა გადავუკარი, ხომ არ იქნება-მეთქი სასურველი სასიძოდ; თუმცა თანხმობისა ვერა შევნიშნე რა, მაგრამ არც წყენით შეხვედრია ჩემს ნათქვამსო.

მუხრან-ბატონებისათვისაც უნდა მიეკითხებინა უთუოდ, თუმცა საკმაოდ იყვნენ დაშორებულნი, უკვე მეოთხე მუხლის ნათესაობა იყო გადასული, ისე რომ ქალიც კი ერგებოდათ ერთმანეთს შორის, მაგრამ თავიანთ განაყოფს მაინც დაუჭერდნენ მხარს; ნათესავი, თუნდაც შორეული, რომ ჰყოლოდათ მეფედ, ეს უთუოდ სასურველი იქნებოდა მათთვის. ეგ იყო მხოლოდ, ადრე, ქართლის მეფედ ყოფნისას, ვახტანგი გაუნაწყენდა რაღაცაზე თავის სახლიკაცებს, სამუხრანო ჩამოართვა და ძმას იესეს მისცა. იესეს შემდეგაც ცოტა ხანს, ელენესაც ეკავა, შემდეგ ისაყ-ფაშის დროს დაიბრუნეს მუხრან-ბატონებმა. ამის გამო იქნებ წყენა ჰქონდათ გულში ჩადებული, მაგრამ ალბათ დათმობდნენ მაინც. ყოველშემთხვევაში, უნდა ცდილიყო, სწორედ კარგი მიზეზიც ჰქონდა ახლა, შვილის დაქორწინებას ხომ აპირებდა, ამ საქმეში მათაც რომ ჩარევდა, გულს დააჩნდებოდათ — თავისიანად გვთვლიანო.

ეს კი გადაწყვიტა, მაგრამ საფიქრებლად ის გაუხდა, როგორ შეხვედროდა მუხრანელებს: თვითონ სწვეოდა, — ეუხერხულებოდა, მოეწვია და ის აშინებდა, დამცირებად არ მიელოთ. ერთ ხანს იჭოჭმანა. ბოლოს არჩია, თვითონ მუხრან-ბატონი ეხმო თავისთან — ჩემზე რამდენით ახალგაზრდაა, უხერხულიც იქნება, მე რომ ვეახლოო. მსახურებს დაავალა, თვალყური ედევნებინათ და როდესაც მამუკა მუხრან-ბატონი თბილისში გამოჩნდებოდა, მისთვის შეეტყობინებინათ.

სწორედ თიბათვის ბოლო რიცხვები იყო, მსახურებმა რომ მოახსენეს: თბილისში ბრძანდება მუხრან-ბატონიო, მაშინვე კაცი გაუგზავნა მამუკას და სთხოვა, თქვენი ნახვა მინდა, რა დროსაც მოგიხერხდებათ, ჩემთან მობრძანდითო. მეორე დღეს, მოსაღამოვებულზე ეახლა მუხრან-ბატონი. ბედად თეიმურაზიც შინ იყო ამ დროს, მას ოსე არისტოტელეს „კათელორიაში“ ავარჯიშებდა. დედაშვილი, ოსე და მსახურები ჭიშკარს გარეთ გაეგებნენ სტუმარს. ახალგაზრდა მუხრანბატონი კალთაზე ემთხვია დედოფალს, ის და თეიმურაზიც გულზე ემთხვივნენ ერთმანეთს. მცირეთაც თავის დაკვრით მიესალმა მამუკა, სახლში მიიპატიჟეს; დასხდნენ, ერთ-ურთი მოიკითხეს. თუმცა ასე პირისპირ პირველად ხვდებოდა მუხრან-ბატონი მასპინძლებს, მაგრამ ისე თავისუფლად ეჭირა თავი, თითქოს მათ შორის იყო გაზრდილი, სიტყვა-პასუხიც შინაურული ჰქონდა. ელენეს მაშინვე თვალში მოუვიდა, გული შეუვარდა ახალგაზრდა მხურან-ბატონზე. რაკი მას პირდაპირობა შენიშნა, თავისი სათქმელიც პირდაპირ უთხრა:

— ბატონო მამუკა, თქვენთან სათხოვარი მაქვს, კარგად მოგეხსენებათ, ჩვენები თქვენი განაყოფნი რომ არიან; ჩემს თეიმურაზს ბიძათაგან თქვენს მეტი ქართლში აღარავინ ჰყავს, თქვენც და თქვენს ძმობასაც იმას უნ-

ეროვნული

და შემოგეხვეწოთ, გვერდში ამოუდგეთ და ახლობლობა გაუწიოთ!

მამუკამაც ჩვეული პირდაპირობით უპასუხა:

— სამუხრანოზე შეიძლება ცოტა გულს გაკლდეთ, მაგრამ ეს ჩვენი იყო და ვფიქრობ შეელევით... თქვენ რომ ბრძანებთ, მაგაზე კი უთქვენოდაც ბევრჯერ მიფიქრია: იმ ნახევარ ძმებისა და ჩვენს მეტი სხვა ვინა ჰყავს ბატონიშვილს, ამიტომ მინდოდა ძმობა შემეთავაზებინა, მაგრამ, რა ვიცი, დღეს-ხვალიობაში... ახლა თქვენ რომ ინებეთ, მე სხვა რა დამრჩენია, თუ არა ჩემს მხრივ თავდადება და ძმობა აღვუთქვა.

მამუკას გულღიად თქმული ესალბუნა ელენეს, სიხარულით ალაპყრო ხელნი...

— გმადლობთ, უფალო, შენი ძალით გულშემატკივარნიც ჰყოლია ჩემს ძეს!... — მერე შვილსა და მუხრან-ბატონს მიუბრუნდა, — ასე რომ არის, ძმობა შეჰფიცეთ ერთმანეთს!

თითქმის ერთდროულად წამოდგნენ მამუკა და თეიმურაზი. მათ აჰყვა ოსეც, დეკანოზმა ჯვარი გადასახა:

— გეძმოთ, მარად სიყვარული და პატივისცემა გქონდეთ, ყველგან გაგეტანოთ ერთმანეთი, შური და ღალატი არ გაგევლოთ გულში. თქვენი ეს დაწყობილობა კურთხეული იყოს მამაზეციერისაგან!

— ამინ! — ერთად წარმოსთქვეს თეიმურაზმა და მამუკამ, გადაეხვივნენ ერთმანეთს და ეამბორნენ.

ელენეს რამდენი ხანია სიხარული არ ეგრძნო, ახლა თითქოს დიდი რამ მოიპოვა, დახურული გული გაეხსნა, საერთოდ სიტყვაძუნწი ხალისიანად ამეტყველდა.

— მეც შვილად და ძმად შეგრაცხავ! — მიუგო მამუკას.

დასხდნენ.

— ვახშამი გავაწყეთ! — მოახსენეს მსახურებმა.

დედოფალმა არ დაუყურა მათ, თავის სათქმელი განაგრძო ისევ:

— ვფიქრობთ, დავაქორწინოთ. უთქვენოდ არ გვინდოდა ეს საქმე გადაგვეწყვიტა, იმიტომაც შეგაწუხეთ. ჩვენი ყურადღება გივი ამილახვარის ასულზე თამარზე შეჩერდა. თქვენი აზრიც გვინდა, ვიცოდეთ.

მცირედ ჩაფიქრდა მამუკა. დედოფლის აზრს ესადაგებოდა მისი აზრიც. შემდეგ ის გახდა სამსჯელოდ, შუამავლებად ვინ მიეგზავნათ.

— ბატონ ოსეს პატივს სცემს ამილახვარი, არც თვითონ დაგვზარდება! — ღიმილით დასძინა დედოფალმა.

— დიახ, მე გეახლებით! — დაუდასტურა ოსემ.

— მინდოდა, თქვენთვისაც მეთხოვა, — განაგრძო ელენემ, — ერთიც, [illegible] წმინდა მამა ნიკოლოზ თბილელს ვთხოვოთ.

მეორეც იყო გადასაწყვეტი: გივი, უსუფფაშასთან ერთად, კახეთში იყო წასული; რომ მობრუნდებოდა, თბილისში ენახათ, თუ ჭალაში სწვეოდნენ? ცხადი იყო, ოჯახში ხლება სჯობდა, მაგრამ ამდენზე მხცოვანი ეპისკოპოსის შეწუხებას ერიდებოდა დედოფალი.

— ტფილელს ვეახლოთ, ვთხოვოთ შუამდგომლობა, თუ სად მოვინახულოთ, ეს თვითონ მან გადაწყვიტოს! — ურჩია მამუკამ.

დასთქვეს — მეორე დღეს სწვეოდნენ ტფილელს და შუამავლობაში მონაწილეობა ეთხოვათ.

## ქიზიყელი მგზავრები

შუადღე იყო მოტანებული, რომ რამდენიმე ათეულ უტევანზე გაწელილი ლაშქარი ვეჯინს გასცდა. სულ წინ იანიჩრები მიდიოდნენ იანიჩარ-ალას წინამძღოლობით. მათ შორი-ახლოს მიჰყვებოდა სულთანის ორ თუღიანი ფაშა უსუფი, ქაიხოსრო ორბელიანყაფლანიშვილის, გივი ამილახვარის, ლუარსაბ თარხანის, შანშე ქსნის ერისთავისა და რამდენიმე ალა-ბეგის თანხლებით. უკან სიფაების, უფრო მოშორებით კი ქართლის ჯარი მისდევდა.

ცას აქა-იქ კვირტის ფთილებივით ლეგა ფერის ღრუბლები მოსდებოდა, მაინც ცხელოდა. თითქოს ჰაერი შეგუბებულიყო, ადამიანსაც და ცხოველსაც სუნთქვა უმძიმდა.

მიდიოდა უსუფი, გულდამძიმებული არ ეთქმოდა, მაგრამ, სიცხით მოთენთილობის გამო თუ იყო, არც ისე ხალისიანად გრძნობდა თავს. ცხენზე ამხედრებული თავისთვის ფიქრობდა, თან გარემოს ადევნებდა თვალს.

უსუფი პირველ ნახვისასვე მოიხიბლა კახეთით. თვალი მოსტაცა მისმა ყანა-მდელოებმა, ბაღებმა და ზვრებმა.

აგერ, რამოდენა ძალა მოსდევდა, გასტეხდა კახეთს და თავის გუნებისამებრ მორჩილებაში მოიყვანდა, ჩილდირის საფაშო მამაპაპეულად მას ეკუთვნოდა და სულთანისაგანაც დაიმტკიცა, ქართლს მამისაგან მიიღებდა, იმერეთსა და სადადიანოსათვის კახეთივით უნდა მოევლო თავი, ე, რამხელა ქვეყნის მფლობელი ხდებოდა!

უსუფი ისაყზე უფრო პატივმოყვარეც იყო და უფრო უფლების მოყვარულიც. ამიტომ მასზე მეტად იტაცებდა ის აზრი, რომ დიდი სამფლობელო ჰქონდა და მეტი უფლებამოსილება. ქართველობასაც მამაზე მეტად იყო დაშორებული, — უფრო მორწმუნე მუსლიმანად მოჰქონდა თავი და თურქობისაკენაც უფრო მეტად იყო მიხრილი, მაგრამ ეს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუშლიდა ხელს, თავის პატივმოყვარეობის უკეთ დაკმაყოფილების შემთხვევა რომ მისცემოდა, სულაც გასდგომოდა სულთანს; თუნდა მაჰმადის მოძღვრებასაც უარყოფდა და თუ საჭიროდ ცნობდა, ეშმაკსაც ირწმუნებდა.

უსუფს უნდოდა კახეთი დაემორჩილებინა, თავისი გაეხადა... ცოტა უფრო შორს ამას ლანდავდა: თამაზ-ხანი უთუოდ შემოებმოდა, ქართლ-კახეთისა და ახალციხის ქვეყნის ჯარებით უნდა დახდომოდა წინ... ბალდადში და სხვაგან სარასკირები თუ მარცხდებოდნენ, აქ თვითონ სძლევდა ყიზილბაშებს და მეტი ფასი დაედებოდა. (თავის თავსა და თავის შესაძლებლობაზე ზომაზე მეტი წარმოდგენისაც იყო!). თამაზ-ხანის მძლეველს სულთანიც ბევრს დაუთმობდა, ან იმდენ მორჩილებას ველარ მოსთხოვდა და... რამხელა კაცი გახდებოდა...

ახლა მთავარი იყო, კახეთისათვის ქედი მოეხრევინებინა (კახეთს რომ მოდრეკდა, ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა!), ადრე ისე ეგონა, კონსტანტინეს თუ მოიცილებდა, კახეთიც დამორჩილდებოდა; მარტო კონსტანტინე კი არა, სხვაც ბევრი მოიცილა, მაგრამ ქვეყანა მაინც არ დანებდა. ზიზლით გადააქნია თავი: კარგია, მდიდარი მხარეა, მაგრამ ხალხი ჯიუტი და გაუტეხავი ჰყავს.

ხსენებაზეო, რომ იტყვიან, სწორედ ისე მოუვიდა. ეს რომ გაიფიქრა, უკან გამობრუნებული იანიჩარ-ალა დაინახა. თვითონ ჩამოქვეითებულს ვილაც დაქვეითებულნიც მოჰყავდა, ჩაცმულობაზე შეიცნო, კახელნი იყვნენ. ჩანდა, რალაც დაეშავებინათ და ამიტომ იანიჩრების თავს სურდა უსუფისათვის წარმოედგინა.

მამის, ისაყის, რჩევისამებრ იქვე, ვიდრე ადგილიდან დაიძროდნენ, ყველა გააფრთხილა უსუფმა, რაც არ უნდა დაეშავებინა ვინმეს მის დაუკითხავად არაფერი ევნოთ. წინა დღესაც ისაყმა მალემსრბოლი რომ მოსწია და ატყობინებდა: ირანის სარდალს თამაზ-ხანს შამახაია დაუჭერია, მოსალოდნელია აქეთაც წამოვიდეს, ამიტომ თავიდათავი საქმე ახლა კახეთში განმტკიცებაა; ეცადე ძალა აჩვენო, მაგრამ არ გამოიყენო, როგორმე მიინდე და დაიყოლიე ურჩნიო, — კვლავ შეახსენა თავისი ბრძანება. თავგასული იანიჩრები სხვა დროს ეგრე რიგად არ დაგიდევდნენ უფროსთა ბრძანება-განკარგულებას, თავიანთ მოსაწონს თუ დასაწუნს თვითონვე განსჯიდნენ. ახლა, ეტყობა, ამჩნევდნენ ვითარებას, უსუფს ესიამოვნა კიდეც ასე გულ-მოდგინება რომ გამოეჩინა იანიჩარ-ალას.

— გზაზე არ ჩამოგვეცალნენ, არც ქუდი მოგვიხადეს! — მოახსენა იანიჩარ-ალამ და თავის მიერ მოყვანილ კაცებზე მიათითა.

„აი კიდევ!“ — გაივლო გულში უსუფმა და მწყრალად ახედ-დახედა კახელთ. სამნი იყვნენ, თითქმის ერთმანეთის მსგავსნი, შუა ტანისანი, ჩაფსკვნილნი. სამივეს ჩოხა ეცვა, ხამი შალისა, თავზე მრგვალი, თუშური ქუდები ეხურათ, წელზეც სატევრები ერტყათ, უბრალო ტყავგადაკრული ქარქაშებით.

— რა უნდა ჩვენგან? — იკითხა ერთმა, უფრო წინ რომ იდგა და შავგვრემან სახეზე შავად გართხმული წარბები შეჰყარა.

— რატომ არ გაატარეთ გზაზე? — შეეკითხა იუსუფი.

— თვითონ რატომ არ გაგვატარეს? — აქეთ შემოედავა კახელიც.

— ქუდიც არ მოგიხდიათ, ახლაც გახურავთ. თავზე!

— ვინც თავად არ მოგვიხდის, ჩვენ რისთვის მოვუხდით ქუდს?! — თითქოს გაიკვირვა კახელმა.

მათი პასუხი ეუცნაურა უსუფ-ფაშას.

— თქვენ რა, ბატონი მაინც არა გყავთ?!

— არც ბატონი გვყავს და არც არა ვიცით რა ბატონის! — ისევ იმ შავწარბამ უპასუხა.

უსუფ-ფაშას ბრაზი წაეკიდა, რა თავს იგდებენო.

— საიდან ხართ?

შავწარბებიანმა ხელი გაიშვირა:

— აგე, მთები რომ მოსჩანს, ქიზიყს უხმობენ.

ხუმრობის არა ემჩნეოდა რა.

— მერედა, იქ ბატონები არ არიან?! — გაიკვირვა იუსუფმა.

— არ გითხარ, არა გვყავ ბატონი! — ისე პასუხობდა შავთვალწარბა, თითქოს თავის ტოლს ესაუბრებოდა ვინმეს.

— არა ჰყავთ, დიდებულო ფაშავ, უბატონო მხარეა! — დაუდასტურეს ქართლელმა თავადებმაც.

ამან უფრო გააოცა. კახეთის ამბები თითქოს დაწვრილებით გამოიკითხა, ეგონა ყველაფერი იცოდა, ახლა კი ისეთ უცხო რამეს ეუბნებოდნენ, რაც არ სმენოდა.

— ჩვენი, მუსლიმანების წესია, არამუსლიმანმა გზად შეხვედრილ მართლმორწმუნეს ქუდიც უნდა მოუხადოს და გზაც უნდა დაუთმოს!

— აგრე ეგების სამუსულმანოშია! — აგდებით სთქვა კახელმა, — ეს კი საქრისტიანო ქვეყანაა და ჩვენც ქრისტიანული წესით ვიქცევით!

უსუფს მოთმინება დაელია, რისხვით მიახალა:

— შენც ირწმენ მაჰმადის სჯულს!

მერე როდი გატყდა კახელი, განზე გადგა ფეხი, მოჭიდავესავით გაიჯგიმა:

— არა ნათლიავ, არა! შემირცხვენია ის კაცი, თავის ხატს დათმობს და სხვისაზე ილო-

ცავს! მამა-პაპას როგორც უწირავს, იმას ვერავინ გადამათქმევინებს!

— ჯვარს რომ გაცვან! — აღარ მოეშვა უსუფიც.

— შამირცხვეს თავი, თუ ორი პარასკევის სიცოცხლეს ვერ შაველიე და მაგისთვის გავთათრდი! — ეს სთქვა კახელმა და თვალი თვალში გაუყარა უსუფს. მეტისმეტი მოსდიოდა, თითქოს მასაც გადასწვდა. წინაპართა სჯულის ღალატს აყვედრიდა კახელი, თუ როყიობით მოსდიოდა, ეს კი ველარ გაარკვია დიდ ჯაყელთა გადაგვარებულმა შთამომავალმა.

როგორ მოქცეოდა ამ დამთხვეულებს?! შეფიქრდა. გვერდით ქართველი, ქრისტიანი თავადები უდგნენ, უკანაც ქართლის ჯარი მოსდევდა, არც კახელები უნდოდა გაელიზიანებინა... გაახსენდა მამის დარიგებაც: იქნებ ისე მოთოკო, რომ არ გაანაწყენოო. ისევ დათმობა არჩია:

— ამჯერად მიპატიებია, სხვა დროსაც თუ გაბედეთ, დაუსჯელი ვერ გადამრჩებით! — უთხრა უსუფმა და ხელი აუქნია, რომ მალე გასცლოდნენ. თვითონაც ცხენი დასძრა.

დაუთმო უსუფმა, მაგრამ ნირწამხდარს წყენაც თან წაჰყვა; ის ერთი მაინც რა ჯიქურ პასუხებს იძლეოდა?! ამანაც შეაფიქრა, ადრე ერიდებოდნენ, ასე არ გამოუმდგარან ხოლმე გზაზე, ამ გზობაზე კი ერთობ ბევრი შეხვდა, ასე თავისუფლად რომ ჩაუარა ლაშქარს, რის მანიშნებელი უნდა ყოფილიყო ეს?! შეჩვევის, ნდობის თუ არადჩაგდების?

## კახეთიდან დაწყებული ჟამის რეკვა

თელავის ახლოს დასცეს კარვები. ჯარი ძილად მიეყარა. მხოლოდ ყარაულნი ფხიზლობდნენ.

კარგა ღამე იყო გადასული, გივი ამილახვარის კარავიდან სანთლის მკრთალი შუქი იპარებოდა. თვითონ პატრონსაც არ ეძინა; მარცხენა იდაყვის მუთაქაზე დაყრდნობით ნოხზე მიწოლილს ვახტანგ მეფის სტამბაში დაბეჭდილი „ფსალმუნი" ეჭირა ხელში; ერთ-ორჯერ სცადა მისი წაკითხვა. თითო-ოროლი მუხლიც ჩაიკითხა, მაგრამ გულის ყური ვერ დაუდო, გარეთკენ ეჭირა თვალი. ოდნავ ჩქამზე თუ გადალაპარაკებაზეც იქით აპყრობდა ყურადღებას. გვერდზე გადადო წიგნი და ფიქრს მიეცა. ცოტა მოგვიანებით გარედან ჯერ ხმადაბალი ლაპარაკი შემოესმა. მერე კარავის ახლოს ფეხის ხმაც გაიგონა. წამოიწია. კარავში შანშე ერისთავი შემოიმართა.

— არ დამეძინა. შენს კარავიდანაც სინათლე რომ გამოდიოდა, ვიფიქრე, უთუოდ ღვიძავს-მეთქი და აქეთ გამოვეშურე! — ბოდიშის მოსახდელად. თქვა ეს შანშემ.

ფეხზე წამოდგომით შეგებებულმა გივიმ გაიღიმა.

— ჩანს, ძილის დრო არ არის და იმიტომ. — ცოტა მერე დასძინა, — კარგად ჰქენი რომ მოხვედი. შენ რომ არა, შეიძლება მე თვითონ მოვსულიყავი, — მაგრამ ჯერჯერობით ბოლომდე არ უნდოდა ეთქვა, რომ გადაესხვაფერებინა, დაუმატა, — მე „ფსალმუნის" კითხვა დავაპირე, მაგრა ვერ შევძელი... მობრძანდი! — მიიწვია სტუმარი, სასანთლის ახლოს დაჯდომა შესთავაზა.

— დღეს როგორ მოგეწონა იმ კახის პასუხი? — შეეკითხა გივის.

— შეუპოვარი ხალხია ეს კახელები, მედგრად წაადგა პირში!

შანშე გადაიხარა, სანთელს პატრუქი გაუსწორა, აიმართა და თითქოს ვინმეს ედავებაო, ისე სთქვა:

— ძალიანაც კარგია! სწორედ იმიტომ იყო, რომ ვერც შაჰ-თამაზმა გატეხა და ვერც შაჰ-აბასმა. კიდეც გაჟლიტეს, სპარსეთშიც ბევრი გადაასახლეს, მაგრამ ვერ მოდრიკეს, კახელებმა მაინც გაიტანეს თავისი!

გივიმ გადააქნია თავი:

— ე, შანშე ბატონო, მდიდარი და ხალხმრავალი კახეთი სანახევროდ რომ ნატამალად იქცა, იმას რატომ აღარ ამბობ?!

— ჰო, მაგრამ, რაც დარჩა, მაინც ქართველად დარჩა! — ცხარედ წარმოთქვა შანშემ. თვითონაც შენიშნა ამის უადგილობა, ამიტომ ხმას დაუწია, — აბა, შეხედე საათაბაგოს, სჯული თითქმის მთლიანად დაკარგეს, აქა-იქ თუ არის ვინმე ქრისტიანი, ისიც უფრო ფარულად, ენასაც ჰკარგავენ, გლეხნი თუ უბნობენ ქართულად დიდკაცნი ოჯახშიც თურქულად საუბრობენ; აღარც უნდათ თქვან, რომ ისინიც ქართველები არიან! მერედა, საათაბაგო მცირე კი არ არის, მამულითაც და ხალხითაც ბევრად აღემატება კახეთს!

გივი ჩაფიქრებული უსმენდა, მოგვიანებით სთქვა:

— მე მგონია, საათაბაგოს ბედი საფარ-ფაშამ გადასწყვიტა, ძმისწული მოკლა და მაჰმადის სჯული მიიღო. ამის საფასურად სულთანმა ათაბაგობა და ფაშობა უწყალობა. რაკი ქვეყნის მეთაური სულითა და გულით გადაგვარდა, სხვებმაც მიჰბაძეს.

შანშე კვლავ შეიმართა:

— კახეთს უარესი ჰყავდა, პატარაობიდანვე მუსლიმანობაზე გადასულმა კონსტანტინემ მამისა და ძმის სისხლი იტვირთა, არც რძალი დაინდო და ცოლად მოინდომა, მაგრამ კახელთ არ უყაბულეს.

— მაგას მართალს ბრძანებ, შანშე ბატონო!... მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებ, მესხეთს ჭარბად ჰყავდა მტერი მოძალებული. რომ ველარ გაუძლეს შიგნით მოღალატე თუ გარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტრის შემოტევას, უნებურად მინებდნენ მტრის მხარეზე გადასულ საფარ-ფაშას,—ძმისწულის სისხლი აპატიეს, ძალაუნებურად შეუნდეს გამუსულმანებაც და იბატონეს; მერე თვითონაც თანდათანობით მის გზას დაადგნენ... — ცოტა შეჩერდა და განაგრძო, — მართალია ქართლშიც გვყავდა გამუსლიმანებული მეფეები, მაგრამ ქვეყანა მაინც ქრისტიანად დარჩა, მე მგონია, უფრო იმიტომ, რომ როსტომ მეფე თუმცა მაჰმადიანი იყო და სპარსული წესებიც შემოილო, მაგრამ თვითონ რომ მუსლიმანობდა, დედოფალს, მარიამს, ხელს უწყობდა, ქრისტიანობისათვის ელვაწა; მეფე ვახტანგი, შაჰნავაზად წოდებული, ხომ გარეგნულად თუ იყო გასპარსებული, თორემ სულით და გულით ქართველობისათვის ილვწოდა.

— თან კახეთს მთამაც ამაგი დასდო, — თითქოს უკან დაიხია შანშემ, — ზურგს უმაგრებდა და იმანაც ბევრი უშველა!

— მთამაც და ქართლმაც! — შეუსწორა გივიმ, — ქართველნი შაჰ-აბასს ტყუილად როდი მოიხსენიებდნენ მელიობით, ლომის ბრჭყალები ესხა და მელიის გაიძვერობა სჩვეოდა. რაც მახვილით ვერ შესძლო, იმის მოგვარება ხერხით მოინადინა. თურქმანები ჩამოასახლა კახეთში, მათი მომრავლებითა და კახელებში შერევით უნდოდა ქვეყანა გადაეგვარებინა, სანადელსაც მიაღწევდა, რომ...

— რომ ზაალ არაგვის ერისთავი, შალვა და ბიძინა ქსნის ერისთავები არ ალმდგარიყვნენ, არა? — ისევ ჩამოართვა შანშემ სიტყვა, — მთაც წამოეშველა და!...

— დიახ, მთაც წამოეშველა! — განაგრძო გივიმ, — თუ ის აჯანყება არა, მაშინ კახეთი იმაზე უარეს დღეში ჩავარდებოდა, ვიდრე დღეს საათაბაგოა!

შანშემ ჩაილიმა, თითქოს რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა, ცოტა მოგვიანებით ეს სთქვა:

— მე მაინც პატივს ვცემ კახელებს, ასე თავგამოდებით რომ იბრძვიან, ხომ ხედავ, როგორ შეემართნენ უსუფ-ფაშას ის კახელები!

— ძმ, შეემართნენ! — ჩაიცინა გივიმაც, — ჩვენ ვიყავით იქ, იმის ხათრი მოიდო, ალბათ სხვა რამის რიდიც აქვს, თორემ, როდის იყო ეგენი, ვინმეს სიტყვას ყლაპავდნენ, ანდა რამეზე ინდობდნენ?!

გაჩუმდა გივი, შანშესაც ალარაფერი უთქვამს. ჩანდა, რალაცაზე ფიქრობდა თავისთვის.

სანთელს გვერდი ჩამოლვენთოდა, ძლივსლა ბჟუტავდა გვერდზე ჩამოძენძილი პატრუქი. გივიმ ხანჯლის წვერით შეასწორა, დამწვარ გვერდისაკენ გადასწია, აალდა, მოიმატა სინათლემ, თითქოს ამან გამოარკვია შანშე, თავი აილო:

— წელან სთქვი, გივი ბატონო, [illegible] აჯანყება არაო... ჰოდა, ქართლსაც აჯანყებამ უნდა უშველოს... ახლა ეს მიბრძანე, ჩვენი აჯანყების ჟერი როდისლა დადგება?!

გივიმ სატევარი ჩააგო.

— მაგის ჟამიც დაჰკრავს!

— იქნებ ჟამი რეკავს, მაგრამ ჩვენ მძიმე სმენა გვაქვს და ვერ ვგებულობთ?

გივიმ გამომწვევად გაილიმა.

— ვინ იცის, ეგების ეგრეც არის!... შენ ასე ფიქრობ, მე და შენ და სხვებიც ჩვენი საქმის ნაცვლად სხვისას ვარიგებთ, არა?

— ასეა, აბა რა არის! მერე სადამდე უნდა იყოს ასე?! — ნაწყენი კაცის კილოზე დაამთავრა შანშემ.

გივის თითქოს შანშეს გაჯავრება ჰქონდა გადაწყვეტილი, მშვიდად, ხმაგაგრძელებით უპასუხა:

— ჟამი დარეკავს! ან იქნებ რეკავს კიდეც და!... — „შენ არ იციო“ — ალარ შეჰკადრა.

გარედან რალაც ჩურჩულის მსგავსი ხმა მოესმათ, გივიმ იქით მიაპყრო ყური, გივი რომ სმენად იქცა, შანშემაც მიაყურადა, შემდეგ თავი გაასწორა.

— არაფერია, დარაჯები იქნებიან!

— ჰო, შეიძლება! — თავისთვის ჩაილაპარაკა ამილახვარმა და შანშეს მიუბრუნდა, — კარგად იცი, შანშე ბატონო, თამაზ-ხანი რომ შამახიას ებრძვის, შეიძლება უკვე აილო კიდეც. გუშინწინ, მოგეხსენება, უსუფ-ფაშას თავისი მამის მალემსრბოლი მოუვიდა. იქნებ სწორედ ამის ცნობა მოუტანა?! უსუფმა რამდენიმე თავისი ერთგული შემოიკრიბა, ჩანს, ჩვენ არ გაგვიმხილა... ჰოდა, თუ ასეა, ჩვენც გვმართებს ვიჩქაროთ, თამაზ-ხანი უთუოდ წამოვა აქეთაც, მას უნდა დავასწროთ და ქვეყანა დავიჭიროთ, რომ მან სხვისთვის წართმეულ ლუკმასავით გადასანსვლა არ მოგვინდომოს. ისიც არის სავარაუდო, თამაზ-ხანს თურქეთთან ომი აქვს, ჩვენც თუ თურქების განდევნას დავიწყებთ, იგი შეეცდება, მოკავშირედ გაგვიხადოს ამიტომ ალარ უნდა დავაყოვნოთ. მაგრამ, მე მგონია, არც ძალიან აჩქარება გვმართებს; თურქებს საკმაო ძალა ჰყავთ, ისე უბრალოდ არ შევაჟლიტოთ ხალხი. ვაცალოთ, შამახია და მისი სანახები დაიჭიროს თამაზ-ხანმა, მერე განჯასაც მოადგება, ალბათ...

ამ დროს გუშაგი შემოვიდა კარავში, გივი შემოსულს მიაჩერდა, შანშემაც გაკვირვებით შეხედა:

— რაო, რა მოხდა? — იკითხა.

— ვილაც არის, სასწრაფო საქმე მაქვს თქვენს ბატონთანო, ამ შუალამისას რა დროსია-მეთქი, ვუთხარი. მეტად სასწრაფოა, დაყოვნება არ შეიძლებაო... და მეც გავბედე,

მოვსულიყავი, — ბოდიშის მოხდით მოახსენა გუშაგმა.

— ვინ უნდა იყოს? — ველარ მოითმინა შანშემ.

გუშაგმა შანშეს მიხედა.

— ლაპარაკზე როგორც ემჩნევა, კახელია.

— ნიშანი არ უთქვამს? — იკითხა გივიმ.

— არა!

შეფიქრდა გივი, ვინ უნდა ყოფილიყო?

— მოიყვანე! — უბრძანა გუშაგს.

რამდენიმე წუთის შემდეგ გუშაგებმა თავპირახვეული შუა ტანის კაცი შემოიყვანეს. მოსულმა დამხვდურნი შეათვალიერა.

— ვინ ხარ და რაზე მოხვედი? — შეეკითხა გივი.

მოსულმა ხმა არ ამოიღო.

გივიმ ხელი აუქნია გუშაგებს. სამივე გაიკრიფა. მოსულმა კი სახე შეიხსნა. თვალიერით კახელი ჩანდა.

— მე გივი ამილახვარი მინდოდა! — თქვა მან.

— მე ვარ გივი ამილახვარი, ეს ქსნის ერისთავი შანშე გახლავს, — უპასუხა გივიმ, — თქვი, რაც სათქმელი გაქვს!

მოსული ცოტა შეფიქრდა.

— თქვი, რაც მე უნდა მითხრა, ის არც ბატონ შანშეს დაემალება! — კვლავ გაუმეორა ამილახვარმა.

— თქვენთან გამომგზავნეს, ალბათ ბატონ შანშეს კარავშიც გაგზავნიდნენ. თურქებს მხარს ნუ მისცემთ, ჩვენ ნუ დავლვრით ერთმანეთის სისხლს და მტერს ჩვენ მოვუვლით თავსო!

— ვინ გამოგგზავნა? — იკითხა გივიმ.

— ჩვენებმა! — სთქვა მან და მცირე ხანს შემდეგ დასძინა, — კახელებმა!

— ვინ მაინც? — ჩაეძია ქსნის ერისთავი.

— კახელებმა! — გაიმეორა ისევ მოსულმა.

გივიმ იჭვნეულად გადააქნია თავი.

— რაო მაინც, როგორ მოვუვლითო თავს, თავდასხმას აპირებენ?

მოსული თვალს ადევნებდა დამხვდურთ, თითქოს სინჯავდა.

— ჰო!...მაგრამ ქართველთა სისხლით არც ჩვენ გვინდა, რომ ხელი შევისვაროთ და არც ის გვინდა, რომ მათგან ვნება მოგვადგეს! გასაქცევ გზასაც მოგცემთ ისე, რომ მტერმაც ვერ შეიტყოს!

გივი შეფიქრდა: სანიშნებლად დათქმულ სიტყვას სწორად არ ამბობდა, თანაც ისე მიმართავდა მას, თითქოს არ იცოდა, რომ ეს აზრი სწორედ გივისაგან იყო შეთავაზებული.

— ცივის მთას გაჰყვებით, — განაგრძო კახელთა წარმომადგენლობის მოსახელემ, — ანყურზე გახვალთ და შემდეგ გომბორზე დაეშვებით, თავს არავინ დაგესხმით!

„აბელ მოურავს რომ გამოეგზავნა, — ფიქრობდა გივი, — მაშინ ასე არ დაიბარებდა, მტერს არ ეგრძნოს და გამოსაცდელად არ მოეგზავნოს!“

შანშემ დაასწრო, იკითხა:

— მტერმა ხომ არ მოგგზავნა, ყმაწვილო?!

მოსულმა პირდაპირ შეხედა:

— გააჩნია, ვინ მტერზე ბრძანებთ, თქვენი მტრობა რომ გვდომოდა, აქაც არ მოვიდოდი! — ეს ისე მკვეთრად თქვა, ეჭვს გზა გადაუკეტა.

გივიმ თავი გადააქნია.

— რას ნიშნავს ეს, არ ვიცი! — ჩაილაპარაკა თან თავისთვის.

— შენ თვითონ ვინ ხარ? რა გვარისა ხარ? — ისევ ჩაეძია შანშე.

— ჩემი გვარი რა ბედენაა, მე კახელების სახელით მოვედი. გთხოვთ, მალე გამიშვათ, პასუხი მომეცით!

გივი და შანშე ჩაფიქრდნენ.

ხმაური მოისმა, სადღაც ყიჟინა დასცეს, სამივემ მიაყურადა, მარჯვენა მხრიდან მოდიოდა ხმაური.

— თურქთა ბანაკის მხარეზეა! — დაასკვნა შანშემ.

— ჩვენები არიან! — სიხარულით დაუმატა მოსულმა და შესასვლელისაკენ გაიხედა.

— ბიჭო, კახეთიდან ხომ არა ხარ მოსული? — შეეკითხა კახელობის მოსახელეს გივი.

— დიახ, დიახ, კახეთიდან გეახელით! — დაუდასტურა ღიმილით კახმა.

გივიმ გაიცინა.

— თავიდან გეთქვა ასე, შე კაი კაცო! — მერე შანშეს მიუბრუნდა, — ვენდოთ?

— ჩანს რომ სანდოა, რაღა დროს ფიქრია! — გადასწყვიტა ერისთავმა.

— წადი და გადაეცი, როგორც გითქვამს, „მოურავის სურვილს“ ვასრულებთო! — უთხრა გივიმ.

— ჩემს მხრივაც ეგრე გადაეცი! — გაუღიმა შანშემ.

გივიმ კარავის შესასვლელი გამოაღო, გუშაგთ გასძახა:

— გაატარეთ ეს კაცი!

კახი საჩქაროდ გავიდა, შანშეც გასასვლელს მიეტანა.

— შანშე ბატონო, ხომ ხედავ, ჟამის რეკვა კახეთიდან იწყება! ჯერჯერობით ის გვმართებს, აქედან მშვიდობიანად გავიბარგოთ! — სიტყვა დაასწია გივიმ.

შანშე თავის კარავისაკენ გაეშურა.

გივიმ დარაჯებს გასძახა:

— ჯარი გაალვიძეთ, ცხენებიც მომგვარეთ ჩქარა!

## კახეთის ზმანება

**„ხოლო თეიმურაზ იყო ფშავს ფრიად უპოვარი და მოინება წარსვლა რუსეთს, არამედ არა უტევებდნენ კახნი. მერმე ჩამოიყვანეს კუალად თელავსვე“.**

ვახუშტი ბაგრატიონი

კახეთის მეფის ერეკლე პირველის ვაჟიშვილთაგან მარტოლა თეიმურაზი იყო დარჩენილი. ისიც, კოსტანტინე თურქებმა რომ მოჰკლეს, მაშინ აქ, მთებში შემოიხვეწა თავისი ცოლ-შვილით. უშიშარი ადგილი იყო, მტერი ვერ მოდიოდა. მაგრამ ბარის კაცისათვის მუდამ ჟამს ამ მთების ყურება აუტანელი გახდა. სახლში რომ იყო, პატიმრის საკანში გრძნობდა თავს, გარეთ გამოვიდოდა და ციხის სანგარივით მთა აეყუდებოდა მის წინ. მერე იყო, და ქვეყანა უპატრონოდ, მტრის საჯიჯგნად მიეტოვებინა. პატრონად ხალხს ის ეგულებოდა და ისიც, საფრთხისაგან თავგარიდებული ამ მთებს შემოფარებოდა; ერთ, ორ ან სამ თვეს იქნებ მოსათმენი ყოფილიყო ეს, მაგრამ აგერ თითქმის წელიწადი მიდიოდა, რა გულს უნდა გაეძლო?!

კახეთის ამბებს დროდადრო ისმენდა, კარგს, აბა, რას ეტყოდნენ?! თურქ-ლეკთაგან შევიწროებული ხალხი სიმაგრეებში იყო დახიზნული. მიწის დამუშავებასა თუ ბაღ-ვენახის მოვლას რის ვაივაგლახით ახერხებდნენ. სიმაგრეებიდან გამოსულნი მცველების თავზე დგომით თესდნენ და მკიდნენ, მერე მცველთა მარაქით მიდიოდნენ სიმაგრეებში. უპატრონოდ, თუ მტრის ხელთ მიგდებულ ქვეყანაში ერთურთ შორის შუღლიც გაძლიერებულიყო. მკვლელობაც გახშირებულიყო თურმე. მტერი მტერია, მტრისაგან კვლა, ტაცება და რბევა არ ჰყოფნიდათ, რომ თვითონაც ერთმანეთის სამტროდ არ გამოელოთ ხელი?! და ეს, კახეთის შავბედობა, უარესად აწვა გულზე.

დილით რომ გაიღვიძა თეიმურაზმა, ჩანდა, ძილისეული სიხარული გამოჰყოლოდა, სასიამოვნო ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. სახეგაბადრულ ქმრის შეხედვამ გააკვირვა თამარი — ქართლის მეფის ვახტანგის ქალიშვილი; რამდენი ხანი იყო, ყოველთვის გულჩათხრობილს ხედავდა თეიმურაზს, სახეზეც მუდამ მოღუშულობას ამჩნევდა, ახლა რა უნდა მომხდარიყო ისეთი რომ, ასე შეეცვალა?!

— რაღაც შეიტყე, ალბათ, თეიმურაზ, რომ მოლხენილობა გეტყობა? — ჰკითხა ქმარს.

თეიმურაზი თითქოს გამოერკვა, სახე ისევ მოექმუხნა, ამოიოხრა კიდეც და შემდეგ უამბო:

— წუხელის ძილში მეზმანა: მალაროს ვიყავი ვითომ, შორიახლოდან ვათვალიერებდი. დღე იყო ნათელი, გლეხები ყანას მკიდნენ. მათთან მიველ. გარშემო შემომეხვივნენ, როგორ გაიხარეს, — ჩვენი ბატონიშვილი [illegible]ვიხვედრიო. ხელი აიღეს მუშაობაზე. დიდ კაკლის ჩრდილში ჩამოვსხედით, რაც კი ებადათ, მოიტანეს, მიწაზე გაშალეს სუფრა და ლხინი გავმართეთ. ვერ წარმოიდგენ, რა გახარებული ვიყავი, ჩემს სიცოცხლეში რომ არ შევსწრებივარ! ვიცოდი, სიზმარი რომ იყო, — თელავს რომ ვყოფილიყავ, როგორ გავიხარებდი-მეთქი, ვფიქრობდი... ზმანებამ რომ ასე გამახარა, ცხადში როგორი იქნება, არ ვიცი...

მტკივნეულად გაიღიმა თამარმა.

— ეჰ, მოგენატრა კახეთი და იმიტომ.

— ეს სატიალო! ასე როგორ უნდა გაგიხდეს საქმე, რომ ორი მანძილი ძლივს იქნება და სანახავადაც ვერ მიდიოდე კაცი?!. არა, რუსეთს უნდა წავიდე, იქნებ რამე ვიღონო, სადამდე უნდა ვიჯდე აქ გულხელდაკრეფილი?!

თამარმა იჭვნეულად გადააქნია თავი.

— რა ვიცი, რუსეთს მაგ იმედით წავიდა მამაც, იმდენი ხალხიც გაიყოლა თან. რამდენიმე თვეში, სულ დიდი ერთ წელიწადში მაინც მოვბრუნდებითო, — ფიქრობდა, დღემდე კი ვერაფერი გააწყო... ჩვენ ეგრე ძლიერ მოგვენატრა, აქვე რომ ვართ, კახეთის მონაბერი ქარი სახეში რომ გვცემს და მამას, ჩემს ძმებს: ბაქარს, ვახუშტის და სხვებს როგორ დავიჯერო, არ ენატრებოდეთ სამშობლოს ხილვა, დასურვილებული არ იყვნენ თავიანთ ქვეყანას? ანდა ქვეყნის ბედი განა ჩვენზე ნაკლებად ადარდებთ?! მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

— არა და ასე სადამდე ვიყოთ?! — სასომიხდილივით ჩაილაპარაკა თეიმურაზმა, მერე დასძინა. — ისევ რუსეთიდან თუ მივიღებთ დახმარებას, თორემ სხვა გზა არა გვაქვს!.. იმიტომაც იყო დიდი პაპა თეიმურაზი და უფრო ადრე მისი მამა ალექსანდრე იმდენს გაისარჯნენ, რუსთა მეფის ყმადნაფიცობაზეც დასდეს თავი!

— ხომ მოგახსენე, თეიმურაზ, მაგ აზრის იყო მამაც, მაგ აზრმა დააყენა რუსეთის გზაზე და ხომ ხედავ!... მამაშენიც მაგავე აზრით გაგზავნა სულგანათლებულმა თეიმურაზმა. მამაშენმა იქ გაატარა სიყმაწვილე და სიჭაბუკე, ლოდინში კინაღამ დაბერდა; რომ ვერას გახდა, ისევ არჩია დაუხმარებლად წამოსულიყო და აქ ეცადა ბედი... შორს არის რუსეთი, ძნელია, რუსთა მეფე ამ სიშორეზე მოსწვდეს და ისეთი რამ იღონოს, რომ ჩვენს ქვეყანას სიკეთე მოუტანოს, გასაწყვეტი შაჰი და სულთანი კი ისე ახლოს არიან, რომ მათ სატახტოდან ერთ კვირაშიც კი აღწევენ ჩვენამდე!.

ქართლის სახელგანთქმული მეფე ვახტანგის ქალიშვილს გონიერ და საზრიან ქალად

სთვლიდა მთელი ქვეყანა. მისი საზრიანობისა სჯეროდა თეიმურაზსაც და ყოველთვის ანგარიშს უწევდა, მაგრამ, აბა, რა ექნა. სხვა რა გზას დასდგომოდა?!

თეიმურაზმა გადაიცვა. გარეთ გამოვიდა. მსახურებს ცეცხლი დაენთოთ, სახლის წინ მოქოხილში საჭმელს ამზადებდნენ. თეიმურაზი იქვე, წყაროზე, ჩავიდა, ხელ-პირი დაიბანა. მსახურმა პირსაწმენდი მოართვა. შეიმშრალა.

თუმცა მოდღევებული იყო, მაგრამ ამ ხეობის ძირობში მზის სხივებს ჯერაც არ ჩამოეტანებინათ. ჩრდილი იდგა. ახალუხის ამარა თეიმურაზმა სიცივეც კი იგრძნო, ცეცხლთან მივიდა, ჯირკზე ჩამომჯდარი მიეფიცხა, ესიამოვნა ცეცხლის სიახლოვე. ერთი მსახური ხანჯლით ფიცარზე ხორცსა კეპავდა, მეორეს იქავე, მოქოხილში, ფიცრებისაგან გაწყობილ მერხზე ცომი გაეშალა თხლად და ნაჭრებად სჭრიდა.

— დღესაც ხინკალს აკეთებთ?! — იკითხა თეიმურაზმა.

— იჰ, სხვა რა გვაქვს, რო გავაკეთოთ?! აქ ეს არის: ქერის ფქვილი, ხორცი და თალახაშის მწნილი! — ამეტყველდა ის მსახური, ხორცს რომ კეპავდა.

— კახეთი ხომ არ არის, რომ უხვად მოიძიო სანოვაგე კაცმა! — სინანულით დაატანა მეორემაც.

თეიმურაზი გაჩუმდა, თავის საფიქრალს გაჰყვა: რა ჰქნას? ეს კითხვა არ ეშვებოდა. მართლაც რუსეთს წასულიყო, რის იმედით?! არა და ასე უქმად ყოფნით რა გამოუვიდოდა?! უქმად გდებისაგან რკინაც ჟანგდება, მას რა სიკეთეს მოუტანდა?!

— ამ დილას რა ბარაქიანად გინადირია, ბატონიშვილო! — შესცინა მსახურმა მოსულს.

ბატონიშვილმა მერხის კიდეზე დაალაგა რამდენიმე დურაჯი.

თეიმურაზმა მიხედა.

— შენა ხარ ერეკლე?!

მშვილდ კაპარჭით, საშინაო ჩოხაში ნამდვილ ფშავლად წარმოუდგა ახლად შელერებული ბატონიშვილი, ოლონდ ეგ იყო, უფრო კახურად იყო ჩასხმული, პირმრგვალიც, ვიდრე მთის შვილივით ტანაყრილი და მოგრძო სახოვანი. სიმაღლით მამას არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ არც მამა იყო მაღალი ტანის ამ მხრივ მამის მხარეზე გაიწია, დედისანებს ახოვანებით არ დაემსგავსა, სიარულზე, ტანის მოძრაობაზეც თავის თავს ამსგავსებდა თეიმურაზი, მაგრამ შუბლსა და თვალებზე პაპას, მეფე ვახტანგს ჰგავდა, გამოხედვითაც სულ ვახტანგს აგონებდა.

ერეკლე ბატონიშვილი მოუსვენარი იყო და დაუყენებელი. სანამ ფშაველ ბიჭებს ეკენწლავებოდა, ხან მათთან ერთად ჯირითობდა და ცხენს დააჭენებდა. ისე როგორც დედას, ერთადერთი ვაჟის მამასაც ეშინოდათ ხიფათი არა მოეწია რა,, მაგრამ ერეკლე თავისას როდი იშლიდა. მზრდელთ ხომ არ უჯერებდა, ვერც მამამ თეიმურაზმა მოაშლევინა, თუ ძლიერ გაუჭირვებდნენ საქმეს, გაეპარებოდა, მონახავდა ფშაველ ბიჭებს და... მათაც ეს უნდოდათ. ყოფილა შემთხვევა, უსმელ-უჭმელი მთელ დღეს გადაკარგულან. ვინ იცის, სად არ უხეტიალიათ, ბევრჯერ ხევსურეთშიც ასულან, იქაური ვაჟებიც აუყოლიებიათ, მზრდელნი თუ სხვები დაეძებდნენ. შემკრთალნი ტყე-ღრეს მიწყდომიან, მაგრამ ვერ უნახავთ. როდის-როდის, გვიანობისას ისევ თვითონ გამოჩენილან. რომ უსაყვედურებდნენ, საყვედურითვე ეტყოდა, — რა, ზანდუკში ხომ არ გინდათ ჩამკეტოთო?!

ერეკლემ თავი დაუკრა მამას. მშვილდ-კაპარჭი ქოხის წინ მდგარ ბოძის გადაჭრილ ტოტებზე, ირმის რქის ნაყარივით რომ ჰქონდა ამოშვერილი, იმათზე ჩამოჰკიდა და თავისებური რხევით, ეგრე რომ ჩვეოდა სიარულისას, წყაროზე ჩავიდა.

შუადღე იყო მოწევნილი. თეიმურაზი ისევ გარეთ ტრიალებდა. მალაროსკარის მისასვლელში რამდენიმე ცხენოსანი გამოჩნდა. მთაში, იმ დროს მაინც, იშვიათად ხვდებოდა მგზავრი. თუ ვინმე გამოჩნდებოდა, მაშინვე ყველას ყურადღებას იპყრობდა. თეიმურაზსაც მოახსენეს — ვილაც ცხენოსნები გამოჩნდნენ, კახეთიდან უნდა იყვნენო. ცხადი იყო, შინაური ვინმე მოდიოდა, თორემ უცხოს დარაჯად მდგომნი არ გამოუშვებდნენ. თვითონვე გახედა, სოფლის ნაპირზე ჩამოქვეითდნენ მხედრები. თეიმურაზმა შორიდანვე იცნო აბელ მოურავი, მიეგება, მოსულნი კალთაზე ეამბორნენ სათითაოდ, წამოაყენა თეიმურაზმა.

— განა არა, წუხელის კახეთში ყოფნა მეზმანა! — სიხარულით შესცინა სტუმრებს თეიმურაზმა.

— ჩანს, კეთილად აგხდომიათ, ბატონო! — გაიღიმა აბელ მოურავმაც.

თეიმურაზი სახლისაკენ წაუძღვა სტუმრებს. სახლის ახლოს მისულებმა ცხენები ხეებზე მიაბეს, მსახურები კარებზე გამოშლილიყვნენ.

— აბა, თქვენ იცით ახლა, სტუმრების საკადრისი სუფრა უნდა გაშალოთ! — მიმართა ბატონმა მსახურებს.

— ჩვენ ჩვენი საგრძალით გეახელით, — ღიმილით დაატანა აბელ მოურავმა, ორი მხლებელთაგანი იხმო, ცხენებთან მიგზავნა. მათ ხურჯინები მიიტანეს მოქოხილში. კახური შოთის პურები, ორიოდე ტიკით ღვინო, საკლავი და ხილი ამოალაგეს.

თამარი, ცამეტიოდე წლის ქალიშვილთან, ქეთევანთან ერთად გამოვიდა, სტუმრებს მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესალმნენ; კალთაზე ეამბორნენ ბატონიანთ ქალებს მოსულნი. თამარმა სახლში შეიპატიჟა სტუმრები.

— აქაც არა გვიშავს, სასაუბროდაც გამოგვადგება. კახეთი არ არის, რომ გეშინოდეს, არავინ გაიგონოსო! — გაიღიმა ისევ აბელ მოურავმა.

სტუმარ-მასპინძელნი დირეზე ჩამოსხდნენ.

— უკვე მოგახსენეს, რომ თურქთ ბაღდადს დაუმარცხდათ და ოსმან-ფაშა სარასკარიც ბრძოლაში დაელუპათ. ახლა თამაზ-ხანი შირვან-დაღესტანს მოადგა. დაამარცხა შირვანელნი და შამახია აიღო.

— აჰ, უკვე შარვანშიც შესდგა ფეხი?! — გაკვირვებით თუ აღტაცებით იკითხა თეიმურაზმა.

— დიახ, — დაუდასტურა აბელ მოურავმა და განაგრძო, — თურქებს ბაღდადში დიდძალი ლაშქარი გასწყვეტიათ, ყიზილბაშნიც აღარ უსვენებენ, ხან სად ესხმიან თავს და ხან სად. შევიწროებული თურქნიც დიდ ძალას ველარ მოიტანენ ჩვენზე, ყოველ შემთხვევაში ბევრ ჯარს ვერ დაახმარენ ისაყ-ფაშას; რაც ჰყავს, იმას კი ჩვენც მოვუვლით თავს.

თეიმურაზი ჩაეფიქრებინა ამ ამბავს, საგულისხმოდ ეჩვენებოდა საპარსელთა გამარჯვება. ერთი ბატონის ხელში შეჭირვებული მეორეზე ამყარებდა იმედს.

— უსუფ-ფაშა თურქთა ჯარით ჩამოდგა ვარდისუბანს, ქართველნიც ახლდნენ. მორჩილებაში უნდოდა მოეყვანა კახეთი, შენდობა უნდა გთხოვოთ, დრო აღარ ითმენდა და ვერ შეგატყობინეთ.

თეიმურაზს გაუკვირდა, რას ბოდიშობდა?

— განა რამდენი ხანია, რომ! — იკითხა მან.

— აშ ხუთი დღის წინ იყო ეს, თქვენ ველარ შემოგითვალეთ, არც დრო გვქონდა იმდენი და მართალი რომ მოგახსენოთ, არც გვინდოდა, რომ ამ საქმეში ჩაგვერიეთ. თქვენ მონაწილედ დაგსახავდნენ თურქნი, ახლა კი ამას ბრალად ველარ დაგდებენ, ისე რომ უთქვენოდ მოგვიხდა მათი თავის მოვლა! — გაიღიმა აბელ მოურავმა, მის სიტყვებში სიამაყეც იგრძნობოდა.

— როგორ, თურქებს თავს დაესხით? — გამოცოცხლდა თეიმურაზი.

— დიახ! — მაგრამ თავიდან მოგახსენებთ, თურქთა ჯარის ჩამოდგომამდე ერთი კვირით ადრე გივი ამილახვარის კაცნი მოგვივიდნენ ქართლიდან, გვითვლიდა: ისაყ-ფაშა ჯარის გამოგზავნას აპირებს მანდეთ, ჩვენც ხლება გვიბრძანა, ჩვენ არ შეგებრძოლებით, ამაზე იმე[illegible]ლად იყავით, ეგების თურქთა ჯარს მ[illegible]ოთ რამეო. ორიოდე დღის შემდეგ ლუარსაბ თარხანისაგანაც მოგვივიდა კაცი, იგივეს გვითვლიდა ისიც, იმედი იყო, ქართველთაგან სხვასაც თუ წამოიტანდნენ, არც ისინი გაგვიმართავდნენ ბრძოლას, მაშინვე ეპისკოპოსნი და სხვა სამღვდელონი შევყარე, ფარულად ჯარის მომზადება ვთხოვე.

— ო, დიდი საქმე გადაგიწყვეტიათ! — ველარ მოითმინა თეიმურაზმა.

— არ მოგახსენებთ?! ვარჩიეთ დროზე მოგვესწრო, არ გვინდოდა, ყარაღაჯს მდგომ თურქების ჯარს შეერთებოდნენ. ამიტომ როგორც კი შემოვიდნენ და ვარდისუბანთან დაიბანაკეს, ღამე თავს დავესხით. ააშენა ღმერთმა, სრულიად კახნი აღსდგნენ... ქართლელთ გასაქცევი გზა მივეცით, უზიანოდ გაგვეცალნენ, თურქნი მარტო ველარ დაგვიდგნენ, დიდი ზიანიც მიადგათ. ბევრი გავწყვიტეთ, ვინც ცხენზე შეგვასწრო, ის გაგვექცა. თვითონ უსუფ-ფაშამაც ძლივს-ძლივობით უშველა თავს, მისი კარავიც კი ჩვენ დაგვრჩა.

— დიდებული საქმე გაგიკეთებიათ, მაგრამ?!.. — აღარ დაამთავრა თეიმურაზმა, აღტაცებული ფეხზე წამოდგა, მერე იკითხა, — საკუთრად თურქი რამდენი ეყოლებოდათ?

— ათასხუთასზე მეტი ქართველი გახლდათ, ამაზე მეტი, თორემ ნაკლები თურქები არ იქნებოდნენ. თურქთაგან ნახევარმა ძლივს გაასწრო.

ეს კახეთის დიდი გამარჯვება იყო.

— ახლა რას ფიქრობთ? — იკითხა თეიმურაზმა.

— თურქებმა აქამდეც ვერ შესძლეს კახეთის დაჭერა, ახლა ეს დამარცხება სულ მიუწყვეტთ იმედს; იმასაც შიშობენ, თამაზხანმა არ დაიჭიროსო, ამიტომ ადვილად წავლენ დათმობაზე... ჩვენც და სხვაც ყველა ასე ვფიქრობთ, ჩამოხვიდეთ და კახეთი დაიჭიროთ.

თეიმურაზი ჩაფიქრდა, საქმის აწონვა დაიწყო.

— რუსეთს რომ წავსულიყავი, იქიდან დახმარება მიგველო და...

კახელებმა შორს დაიჭირეს.

— აჰ, ეგ არ ივარგებს! რამდენი ხანი უნდა, რომ რუსთა მეფის დახმარება მიიღოთ, მანამდე კი შეიძლება თამაზ-ხანი ჩამოდგეს. ახლავე უნდა დაიჭიროთ კახეთი, თურქებიც უნდა შეირიგოთ როგორმე; ძალა იქნება თუ ნება, კახეთის მეფობის დასტური უნდა გამოსძალოთ! მერე თუ თამაზ-ხანი მოვა, ისიც ველარაფერს გახდება.

თეიმურაზს გული ეთანალღრებოდა: თურქებსა თუ ისაყ-ფაშასა და უსუფ-ფაშას ვერ ენდობოდა. იცოდა, კახეთი რომ მიეცათ, ჯერ თავისთან მიიწვევდნენ, ვინ იცის მერე, იქნებ კოსტანტინესავით ისიც... თავისი ეს ეჭვი ხმამაღლაც გამოსთქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ველარ გაჰბედავენ! მოგეხსენებათ, მაშინ ასე ვარაუდობდნენ: თუ მეფე კონსტანტინეს მოიცილებდნენ, კახეთიც დანებდებოდა; ახლა კახეთზე რომ ვერ იბატონეს, შიშობენ თამაზ-ხანის მხარეზე არ გადავიდეთ. ამიტომ შეეცდებიან, თქვენ მიგიმხრონ და თქვენი თაოსნობით თამაზ-ხანის წინააღმდეგ გამოგიყენონ!

გონიერად სჯიდნენ, განა თვითონ თეიმურაზმაც არ იცოდა, რომ ასე იყო, მაგრამ ეშმაკმა ნუ უწყის თურქის ფაშების თავი! იქნებ მათ სხვაგვარად განესაჯათ?! ასე უბრალოდაც არ უნდოდა, თავი წაეგო.

— საჩქაროდ უნდა აიყაროთ, კახეთს უნდა ჩამოხვიდეთ. ხალხიც გულს დაჰყრის და მეტ ერთგულებას გამოიჩენს. თურქთაც სხვა გზა აღარ ექნებათ, ჩაიქნევენ ხელს, ველარც შემოგვივლენ!

ამდენზე რომ იყო საქმე მისული, უნდა დასთანხმებოდა ქვეყნის მოციქულთ. ისევ წუხანდელი სიზმარი გაახსენდა თეიმურაზს, მაშ, კახეთს ნახავდა ისევ...

## შუამავალი ეპისკოპოსი

კახეთიდან თავისი ჯარით უზიანოდ მობრუნდა გივი ამილახვარი (ქართველთაგან ქაიხოსრო ორბელიანის მეტს ზიანი არავის მოსვლია). თურქების აფორიაქება და გაქცევაც ჯერ კიდევ გომბორზე შეიტყო გივიმ, საგურამოსთან გაიგო ისიც, რომ თამაზ-ხანს მართლაც აეღო შამახია და შარვანი დაეჭირა, იქიდან განლტოლვილ სურხავს კულმუხში გასდევნებოდა. ასეთ დროს კახეთმა, ცოტა თუ ბევრად, ხელი აუკრა თურქების ბატონობის უღელს, ბოლოს და ბოლოს, ქართლიც უნდა დამდგარიყო ფეხზე. თურქებისაგან თავი დაეხსნა, და თუ თამაზ-ხანი მოვიდოდა (უეჭველი იყო, რომ იგი აქაც შემობიჯებდა), მერე მასთან მოეგვარებინა საქმე.

შანშე ისევ რუსეთისაკენ ისწრაფოდა, მეფე ვახტანგის საჩქაროდ ქართლში გადმოყვანა სურდა (კახეთიდან გამოლტოლვის შემდეგ გზაში შეხვედრისას სწორედ ასე უთხრა), ბარძიმ არაგვის ერისთავიც ამ აზრის იყო. მაგრამ ახლა დროს დაკარგვა არ შეიძლებოდა. თორემ შეიძლება მოხერხებული ჟამი ხელიდან გამოსცლოდათ და შემდეგ ისევ გაძნელებოდათ საქმე. გადასწყვიტა, როგორც კი ქალას მივიდოდა, მაშინვე საქმეს შესდგომოდა; მოთათბირებოდა თავადებს, ზოგი თვითონ ენახა, ზოგთან კაცები დაეგზავნა და...

სახლეულნი თუ ყმათაგანნი იგოეთს გაეგებნენ. გივი ცდილობდა, არაფერი შეემჩნია. სხვები არც ისე დაფარულად ეუბნებოდნენ თავისიანებს: ჩვენს ბატონიანად გამოგვაქციეს კახელებმაო. ამგვარ ნათქვამს რამდენიმეჯერ თვითონ გივიმაც მოჰკრა ყური, გაიღიმა მხოლოდ და გზა განაგრძო. სასახლეში რომ მივიდნენ, ბანგუა დასასვენებელ ოთახში შეჰყვა გივის და პირველადვე ეს ჰკითხა:

— რა ჰქენით, ბიცოლა ანახანუმს თუ უსაშველეთ რამე?

გივი სხვა საზრუნავით იყო გართული, რა დედაბრის ჯავრი ჰქონდა?! გამკილავად გაეღიმა.

— ბიცოლაშენის მეტს სხვა არაფერს ჰკითხულობ?!

ბანგუამ იწყინა ქმრის საყვედური.

— კახელებმა თქვენც და თურქებიც რომ დაგიფრინეს, ეგ ისედაც შევიტყე, სხვა რაღა უნდა მეკითხა?!

გივიმ კვლავ გაიღიმა, მაგრამ არა გამკილავად. ბანგუასაც შეატყო, რომ ქმრის საყვედურისა თუ გაკილვის გამო ბრაზი წაჰკიდებოდა. გამოლტოლვის ამბავი მხოლოდ იქიდან მოუთხრო, კახელთა სახელით კარავში რომ ეახლა კაცი. დიოფალს წყენამ მაინც არ გადაუარა.

— კიდევ კარგი კახელები გყავთ ჭკუის მასწავლებლად, თუ ისინი არა, არ ვიცი, რა გეშველებოდათ!

გივის გაეღიმა: „შანშესავით ესეც კახელებით მოხიბლულა“, — გაიფიქრა. ცოლმა რომ მაინც არ მოუშალა საყვედური, არ ესიამოვნა ამილახვარს.

— კახეთი განზე იდგა, როცა ჩვენები მტრებს ებრძოდნენ. მეფე ლუარსაბის, სიმონისა და სხვა დროსაც ქართლი რომ სისხლს ღვრიდა, კახეთი მაშინ განაბული შორიდან უთვალთვალებდა: ვნახოთ, რა მოხდებაო.

— მერე?! მერე რომ კახეთმა მეტი ბრძოლები გადაიტანა და მტერი არ იბატონა?! — არ შეეპუა დიოფალიც.

გივი სავარძელში იჯდა, ფეხზე მდგომ ბანგუას ახედა, გაჯავრების გამო სიწითლე მოსდებოდა. საფეთქლებთან ჩამოშვებულ დალალებში აქა-იქ ჭაღარაც შერეოდა, ოდნავ შესამჩნევი ნაოჭებიც ემჩნეოდა თვალის უპეებთან.

— მაინც არ მეტყვი ბიცოლას ამბავს?

— როგორ არ გეტყვი, მაგრამ ჯერ კახეთის ამბავი არ მომითავებია! — ტკბილად გაუღიმა ცოლს, — ვიდრე აქედან დავიძრებოდი, მანამდე შევატყობინე კახელებს, რომ იქ მოგვიხდებოდა წასვლა, ჩვენ გამოვერიდებოდით და თვითონ თურქებისათვის მოევლოთ თავი. იმათაც იმარჯვეს და...

— ჰო, ეგ კარგი გიქმნიათ! — მოუწონა ბანგუამ.

— ახლა ანახანუმზე... ისაყ-ფაშას ვეახელით მე, ვახუშტი აბაშიძე და თვითონ ქაიხოსრო, მარიამისაგან გამოგზავნილი რვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქისა ოქრო მივართვით; ვთხოვეთ, სარგებელი აღარ ეთხოვა, ისე გაეშვებინებინა ანაბანუმი. გააშვებინა კიდეც, წერილიც დაგვიწერა, რომ სარგებელს აღარ მოითხოვს. ჩანს, ანდუყაფარ ბატონს არ უსესხია. რაღაც საქმის მოსაგვარებლად მიუცია თამასუქი და მერე ალბათ...

— ეჰ, — ჯავრიანად გადააქნია თავი ბანგუამ, — ქვეყნის მმართველი ძარცვას რომ დაიწყებს, სხვები რაღას იზამენ?! — ცოტა შემდეგ იკითხა, — ქაიხოსროც თუ იყო?

— ხომ გითხარი, ქაიხოსროც იყო ჩვენთან ერთად, ძალიანაც შესთხოვა ისაყს.

— მაგის სისხლი გაშრა! — რისხვით ჩაილაპარაკა ბანგუამ. გივი სახეში შეაჩერდა ბანგუას, რაღაც ახალი ამბავი უნდა მომხდარიყო, თორემ ასე რატომ გაწყრებოდა ქაიხოსროზე?!

— რა მოხდა მაგგვარი, რას ერჩი ქაიხოსროს?!

—მე რას უნდა ვერჩოდე, თვითონ ერჩის სხვას... მოსესა ტერ-შიმონაშვილს ლეკები გადმოუყვანია, ჩვენებისა და დიმიტრის მამული აუკლებინებია; თვითონაც ტყვეობას ძლივს გადარჩენიან, ტერ-შიმონაშვილი რამდენიმეჯერ უნახავთ ქაიხოსროსთან, მაგ ბილწს მოუწვევინებია ლეკები.

დიმიტრიც, ქაიხოსროს როგორ გაბედე, რომ უჩივლეო, მეჰმედ-ბეგს შეუპყრობინებია, ვიდრე ათასი ყურუში არ წაურთმევია, არ გაუშვია. თვითონ ქაიხოსროც ედავება თურმე, ორი ათასი ყურუში შენი მამულის დასამტკიცებლად ფაშას მივეცი და უნდა გადამიხადოო.

გივიმ ეს არ იცოდა.

— როდის მომხდარა ეგ?

— ამ დღეებში ჩვენების კაცი იყო და მიამბო, ალბათ იმ ხანებში მოხდა, თქვენ რომ კახეთში მიდიოდით.

გივი შეფიქრიანდა; იცოდა ქაიხოსროს გოროზი ხასიათი, ისიც რომ გულჩახვეულობა სჩვეოდა მას, წყენას არ დაუვიწყებდა არავის; მაგრამ ასე თუ წახდებოდა მაინც, რომ სახლიკაცებსაც არ დაინდობდა და ამდენ მტრობას გაუწევდა, ეს არ ეგონა.

ცოლეულის აკლება ეწყინა გივის, მაგრამ კიდევ უფრო საწყენად ის დარჩა, ყაფლანიშვილების ოჯახი რომ არეულიყო, ასე რომ გადაჰკიდებოდნენ ერთმანეთს. აზრად ჰქონდა, სახლისკაცების მეშვეობით თურქების წინაალმდეგ ბრძოლაზე იქნებ ქაიხოსროც დაეყოლიებინა, ახლა კი, აბა, რას გააწყობდა?

* * *

თუმცა კახეთის მოვლამ საკმაოდ დაღალა გივი, მაინც არჩია, არ დაეყოვნებინა, პირველ რიგში გორს გადასულიყო, ამას საზრავდა, სწორედ აქედან უნდა დაეწყო თურქების განდევნა.

გორს ოდიდანვე სახელიც დიდი ჰქონდა და სახრავიც. ტყუილად არ ინოდებოდა იგი ქართლის შუაგულად. თურქების ერთი მთავარი დასაყრდენიც გორის ძლიერი ციხე იყო. აქედან უწევდნენ ზედამხედველობას თითქმის მცხეთის ზემოთ მდებარე მთელ ქართლს. ძალაც დიდი ჰყავდათ, აქ. ქართველობა თუ გორის ციხეს დაიჭერდა, ამით მტერს ხომ დიდ ზიანს მიაყენებდა, გამარჯვების გზაზეც ერთ დიდ ნაბიჯს გადადგამდა. გივიმაც გადაწყვიტა, თურქებზე თავდასხმა ერთდროულად თუ ვერ მოხერხდებოდა, აქედან დაეწყო იერიში. ეს იქნებ საყვირის ხმად ქცეულიყო და მთელი ქართლი დაეყენებინა ფეხზე.

ერთიც იყო, ამ მტკიცე და კარგად გამაგრებულ ციხის აღება უფრო მოხერხებით უნდა მომხდარიყო; ეს კი მაშინ შეიძლებოდა, თუ თურქებისათვის სრულიად მოულოდნელად, როგორც მაშინ იტყოდნენ, „შეტყუვლით შეუვიდოდა" და ციხეს დაიჭერდა.

თუმცა გივიმ ხუთი თითივით იცოდა გორი (იგი ხომ გორის მოურავიც იყო), თითქმის ყველას იცნობდა, კარგად შეეძლო, ისიც განესაჯა, ვინ რა გზას აირჩევდა. ციხეც ათასგზის ჰქონდა დათვალიერებული და ბევრჯერ იმაზეც უფიქრია, საიდან და როგორ შეიძლებოდა ციხის დაჭერა, მაგრამ ახლა ეს არ კმაროდა, მაინც იყო საჭირო, ყველა წვრილმანისათვის გადაეხედა.

ამიტომ სურდა, ამ თავითვე თვითონ ქალაქი შეეთვალიერებინა, პირი მოესინჯა ქალაქის თავკაცებისათვის, ციხისათვისაც გადაევლო თვალი, როგორი ხერხით აჯობებდა მისი აღება.

ჭალაში მობრუნების მეორე დღეს აპირებდა გორს წასვლას. იმავე საღამოს კი დომენტი ტფილელის კაცი ეახლა — შენთან მოსვლა მინდა და სახლში დამხვდიო, — სთხოვდა იგი.

დომენტი ტფილელს ისედაც პატივს სცემდა, მერე იყო და ბანგუას საკმაოდ ახლო ბიძად მოხვდებოდა (ორბელიანი იყო), აბა სადღა წაესვლებოდა?

მესამე დღეს, (როგორც დაეთქვა) მოვიდა დომენტი. მაგრამ მარტო კი არა, თან ახლდა მამუკა მუხრან-ბატონი და ოსე ბარათაშვილი. ჯერ ადრევე შეფიქრდა, რა უნდა სდომოდა დომენტის, რომ ამოდენა გზაზე ირჯებოდა ეს ხანში შესული კაცი? ასე იაზრა ბოლოს: ალბათ ისევ სიონის რამე საქმე აქვს გასარიგებელი და იმაზე მოდისო. ახლა, ბარათაშვილი რომ ახლდა თან, ეს არ გაჰკვირვებია გივის. მაგრამ მუხრან-ბატონიც რომ მოიყოლა, ამან კი შეაფიქრა: რას ნიშნავდა ეს სტუმრობა?

ცოლ-შვილით, რამდენიმე სახლიკაცითა, სამღვდელონითა და მსახურებით გივი სამთავისის ქვემოთ გაეგება სტუმრებს. გივიმ და ბანგუამ ხელზე მოუკითხეს წმინდა მამა დომენტის, გივი მხარზე ეამბორა მუხრან-ბატონს და ბარათაშვილს; როდესაც გივის ქალიშვილები მიეახლნენ დომენტის საამბორად, მან განსაკუთრებული ყურადღებით შეათვალიერა თამარი, თითქოს რაღაც იაზრა გივიმ, მაგრამ მერე სხვაგან გადაიტანა ყურადღება.

სასახლეში რომ მივიდნენ, დომენტიმ დიდი სამზადისი შენიშნა, მსახურები ტრიალებდნენ, დიდი ქვაბებით იხარშებოდა საჭმელები, კაკლის ქვეშ საკმაოდ გრძელი სუფრა გაეწყოთ (სახლში ეცხელებაო და ეზოში არჩიეს სუფრობა). დომენტი ტფილელი გივის მიუბრუნდა:

— სიძე ბატონო, თქვენთან შინაურული საქმე გვაქვს, ბევრზე ნუ შეწუხდებით!

— არაფერს არ ვწუხდებით, ბიძა ბატონო, ძლივს შევესწარით თქვენს მობრძანებას! —

სუფრების გაშლამდე დასასვენებლად აივანზე მიიწვიეს სტუმრები. საუბრით ირთობდნენ თავს. მათთან მასლაათობდა გივიც, თან ამას ფიქრობდა: ნიკოლოზ კათალიკოსმა თუ გამოგზავნა ტფილელი?! მუხრან-ბატონიც ალბათ ამისთვის აირჩიეს?! კარგიც იყო, ტფილელი ორბელიანებს მოიმხრობდა (ან იქნებ მომხრობილიც ჰყავდა), ოსე ბარათაშვილი ბარათაშვილებთან უნდა დატრიალებულიყო. მუხრან-ბატონი, როგორც ჩანდა, თვითონ ერია, შანშე ერისთავი და ბარძიმი ხომ ცხადია მხარს დაუჭერდნენ. ზემო ქართლის თავადები მის ხელთ იყვნენ... მაშ, საქმეს კარგი პირი უჩანდა!

სუფრობაზე საკმაოდ ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი, ახლო-მახლო მყოფ ნათესავებთან და აზნაურებთან ერთად ქალისა და სამთავისის გლეხთაგან უფროსი კაცნიც ბლომად იყვნენ (წესად ჰქონდათ, თავადები საპატიო სუფრაზე გლეხებსაც იწვევდნენ), მესაზანდრე-მესტვირეც ჰყავდათ მოყვანილი. სამთავნელმა სუფრა აკურთხა. ბეჟან ამილახვრისშვილი თამადად დასვა გივიმ.

სუფრაობა დიდხანს არ გაგრძელებულა. — დომენტი ტფილელი არ გადავღალოთო, — სასახლეში მიიწვია გივიმ. დომენტიმ ის ირჩია, გივისათვის ეთხოვა: თქვენთან და ბა,ნგუასთან საქმე რამ გვაქვს და ერთად მოვისაუბროთო. სამივე სტუმარმა, მასპინძელთაგან თვით გივიმ, ბანგუამ, გივის სახლიკაცმა ბეჟან ამილახვრისშვილმა სტუმართა მისაღებ დარბაზში მოიყარეს თავი.

ვიდრე სტუმრებთაგან გაიგებდა წვევის მიზეზს გივი, ისევ შეფიქრდა, სამ-სამი კაცი უბრალოდ არ გაირჯებოდნენ, უთუოდ რაღაც დიდ საქმეზე იყვნენ მოსულნი [illegible]რებლად; დომენტიმ ბანგუა რომ [illegible] რაღაც იეჭვა, ადრეებზე ოსე ბარათაშვილმაც ჩაუკრა სიტყვა თეიმურაზ იესეს ძეზე, იქნებ?... თუმცა თურქების განდევნის სურვილი რომ სდებოდათ გულში, მაშინაც ხომ! ამაზე ცოტა მამუკა მუხრან-ბატონის იმდღამდელი ნათქვამიც ხომ არ მიანიშნებდა? შესავალს ხომ არ უკეთებდა?!

დომენტიმ შემოკრებილთ გადახედა, თავის გვერდში მსხდომ სტუმრებისაკენ ხელი გაიშვირა:

— ეს სამი შუამავლად გეწვიეთ, არც საშუამავლონი გვყავს ცუდად შერჩეული, არც შუამავალნი ვართ, მგონი, დასაძრახი! — ღიმილით დაატანა დომენტიმ.

გივი ამასაც ელოდა თითქოს, მაინც გული შეუთრთოლდა.

— ვის საშუამავლოდ? — უნებურად აღმოხდა ეს სიტყვებიც.

დომენტიმ განაგრძო:

— დედოფალმა ელენემ, კახთა ბატონიშვილმა გაახლათ ჩვენი თავი, თავისი შვილის თეიმურაზისათვის გთხოვთ თამარის ხელს. ჩვენც ასე განვსაჯეთ, სწორედ რომ შესაფერისნი არიან ერთმანეთის. გვარიშვილობითაც და თვითონაც ისეთი წყვილი იქნებიან, უკეთესს ვერავინ შეარჩევდა.

გივის ეს გულზე მოხვდა როგორღაც; გაუელვა აზრმაც: ნუთუ ისე დაეზარდნენ, რომ უკვე გასათხოვრებიც გამხდარიყვნენ მისი ქალიშვილები, დაფრთიანებულიყვნენ და უნდა გაჰფრენოდნენ, სხვაგან უნდა დაედოთ ბინა?! ემძიმა, მეტად ემძიმა. ის აზრი, რომ ვაჟი აღარ ჰყავდა, აქამდე არც ისე აწუხებდა, ახლა უცბათ წამოეძალა ნაღველი: ქალიშვილები გაეცლებოდნენ (თამარის შემდეგ ქეთევანის რიგიც ხომ მალე დადგებოდა?!) და დაობლებულივით დარჩებოდა სახლი. ბანგუას ახედა, მასაც სიწითლე ეტყობოდა სახეზე. ცხადია, ეს ამბავი დედის გულს უფრო მეტად შეაწუხებდა.

— თეიმურაზი სახელოვანი მეფე ლევანის შთამომავალია, მეფე ვახტანგის ძმისშვილი და, რაც არ უნდა იყოს, მეფედ ცხებულ იესეს შვილია! — სიტყვა დაატანა მამუკა მუხრან-ბატონმა.

— თავად თეიმურაზი, მოგეხსენებათ, განსწავლული, კარგი მობურთალ-მოასპარეზე, მეტად გონიერი და თვალ-ტანადობითაც მამაბიძათა მსგავსია! — დაუმატა ოსე ბარათაშვილმაც.

გივი დუმდა, რაღაცას ფიქრობდა, თუ ვერც მოეაზრებინა, რა ეთქვა. არც ბანგუა იღებდა ხმას, ალბათ არ უნდოდა, ქმარს გადასდგომოდა წინ.

გვიან სთქვა გივიმ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე კი მეგონა, სულ სხვა რამისათვის იყავით შეწუხებული!

მამუკა მუხრან-ბატონმა გაიღიმა.

— მე ჩემდა თავათ ასე ვფიქრობ, აქ არავინ არის ისეთი, რომ დასამალი იყოს, ყველა ვხედავთ, საქვეყნო საქმე როგორც არის, დროა თურქებს გზა ვუჩვენოთ. ქვეყანას პატრონიც უნდა, მეფე ვახტანგი და მისი ძენი არ მოდიან, თუ ვერ მოდიან. რაკი ასეა, პატრონად თეიმურაზ ბატონიშვილი უნდა ვიგულოთ. ამიტომ, მგონია, ამ საქმის გადაწყვეტას, ამ მხრივაც დიდი მნიშვნელობა აქვს... ეს საქვეყნო საქმეც არის!

ამილახვარი მუხრან-ბატონს შეაჩერდა, ადრე რომ იფიქრა, პირდაპირი კაცი ჩანსო, მთლიანად მართლდებოდა:

— გონიერად სჯი! — დაუდასტურა ტფილელმაც.

გივიმ ფიქრიანად დააქნია თავი:

— ეგ მეც მიფიქრია, მაგრამ!...

— წმინდაო მამაო, თამარი ახლა გადადგა მეთოთხმეტე წელში, განა ადრე არ არის მისთვის, რომ ოჯახის ზრუნვა იტვირთოს?! — ველარ მოითმინა ბანგუამ.

ეპისკოპოსმა გრძელ წვერზე დაისვა ხელი, ტუჩებში ღიმილი დააჩნდა.

— ე, ჩემო ძმისშვილო, შენ რამდენი წლისა ბრძანდებოდი, რომ გათხოვდი? შენთვის ადრე თუ არ იყო, მისთვის რაღად იქნება ადრე?!

გაეღიმათ სხვებსაც, სიტყვამოჭრილ ბანგუას უფრო მეტად მოედო სიწითლე. გივი ისევ უხმოდ, ჩაფიქრებული იჯდა, დადუმდნენ სხვებიც.

— ბატონო გივი, — მოგვიანებით ოსემ დაარღვია დუმილი, — ქალიშვილის გათხოვების ფიქრიც თუ ასე შეგაწუხებდათ, არ მეგონა!

ამილახვარმა საყვედურიანი ღიმილით შეავლო თვალი.

— როცა თავად გაგიხდება გასათხოვარი, მაშინ იკითხე! — მერე დასძინა, — ამ საქმეზე ასე ვფიქრობ მე, თქვენისთანა შუამავალნი უარით როგორ უნდა გავისტუმრო?! მაგრამ ნათესავ-მოკეთეთ ხომ უნდა ვკითხოთ! მოგეხსენებათ, მათი დაფასების საქმეა ეს!... უფრო საჩქაროც სხვა რამ მგონია, მართალს ბრძანებდა ბატონი მამუკა, მართლაც მოვიდა თურქების გაძევების დრო, პირველ რიგში ამაზე უნდა ვიზრუნოთ!

— თქვენი ჭირიმე. მე თქვენთან ვარ! — წამოიჭრა მუხრან-ბატონი. ტფილელმაც გაიხარა:

— ჩანს, კარგ ფეხზე გვივლია, სიძე-ბატონო, გზაშიც ვამბობდით, გივი თუ ამას გადაწყვეტს, ქვეყანას ეშველებაო!

— მე მეგონა, თქვენ ამ საქმეზე იყავით მოსული, — განაგრძო გივიმ, — მაგრამ [illegible] კილა გულში გქონიათ, უნდა გაგსარჯოთ,... თურქნი დასუსტდნენ, მაგრამ არც ისე, რომ ერთის დაკვრით შეიძლებოდეს მაგათი განდევნა, მთელი ქვეყანა უნდა შევებრძოლოთ!

ბეჟან ამილახვრისშვილი, აქამდე ხმა რომ არ ამოეღო, თითქოს შესწორდა სავარძელში და ისე სთქვა:

— მგონია, ყველა დაგვიჭერს მხარს, აზნაურთაგანაც და გლეხთაგანაც. ბევრჯერ მესმის, რატომ არის გაჩუმებული დიდი ბატონიო, მოგახსენებენ ბატონ გივიზე.

ცოტა ჩაფიქრების შემდეგ გივიმ წარმოთქვა: — ოღონდ ისე უნდა მოხდეს ეს, რომ ისაყ-ფაშამ და მისიანებმა ვერ გვიგრძნონ, თორემ რაც მტკიცე სიმაგრეებია, მაგათ უჭირავთ; თუ მოხერხებით არ შეუვედით, ისე გაგვიჭირდება მათი დაჭერა, — გივიმ კვლავ გაიღიმა, — თქვენი სტუმრობაც არ გამოეპარებათ, დე გაამხილეთ, რომ თეიმურაზ ბატონიშვილისათვის ჩემი თამარის დასაწინდად მობრძანდით! ესეც შეაფიქრებთ, მაგრამ არა უშავს!

— მართალს ბრძანებთ! — დაეთანხმნენ მუხრან-ბატონი და დომენტი.

— თქვენ, — პირდაპირ შეხედა გივიმ ტფილელს, — წმინდა მამაო, უნდა დაგვდოთ პატივი, კათალიკოსს სთხოვოთ, ხმალი გვიკურთხოს და ჩვენი გამარჯვებისათვის ილოცოს; მეორეც უნდა იტვირთოს ყოვლად წმინდა მამამ: წმინდა მოსაყდრენი დაითათბიროს, რომ, როცა დრო იქნება, თავიანთი საყმოთი გამოვიდნენ.

— ჩვენს მხრივ, ეს ყოველივე აღსრულდება! — დაჯერებით უპასუხა ტფილელმა და კმაყოფილების ნიშნად ისევ წვერზე დაისვა ხელი.

— ბატონმა ოსემ, — განაგრძო გივიმ, — რამე უნდა მოიმიზეზოს და ქვემო ქართლი, საბარათაშვილო უნდა მოიაროს, გადასახადი გექნებათ შესაკრები, ან როჭიკობის საბაბით გაგზავნეთ. პირველად გიორგი, ვახტანგ და თეიმურაზ იარალიშვილ-ბარათაშვილებს მოინახულებ! — ახლა ოსეს მიუბრუნდა, — სახლიკაცნი არიან თქვენი. ჯერ სიონისათვის სთხოვეთ დახმარება, მერე თქვენად გამოელაპარაკეთ ამ საქმეზე, ჩემზე ჯერხნობით ნურაფერს ეტყვით, შემდეგ ტანძიას ჩემს ცოლისძმათ ვახტანგს, ელიზბარს, ბიძაშვილს დიმიტრის (ვგონებ დაუჭერიათ, თუ გაშვებული დაგხვდეთ) გადაეცით თქვენი შუამავლობის ამბავი და ჩემზე უთხარით: რჩევა გთხოვათ, როგორ მოვიქცეთ? ესეც გაუმხილეთ და ისიც უთხარით მზად იყვნენ; ბირთვისს თამაზ გოსტაშაბიშვილი უნდა მოინახულოთ, გუდარეხს — იესე გერმანოზიშვილი, კაზრეთს — ზურაბ ზურაბიშვილი, ფარცხისში

ეროვნული

არ დაგავიწყდეთ დავითი, ნოდარი და ავთანდილ აბაშიშვილები! ყველას მოეთათბირები, ოღონდ ისე, რომ ჩემს მონაწილეობას ამ საქმეში ჩემს ცოლისძმების — ვახტანგისა და ელიზბარის მეტს არავის გაუმხელთ! პირი უნდა მოუსინჯოთ, ასეთი რამ რომ იყოს, თქვენ რას იზამთო. ოღონდ არ დაგავიწყდეს, ქაიხოსრო ყაფლანიშვილმა არაფერი არ უნდა შეიტყოს!

ოსე დეკანოზი აქამდე თითქოს ითვლიდა თუ რაღაცას ანგარიშობდა.

— როგორც თქვენ ბრძანეთ, ყოველივეს ეგრე გავარიგებ. მგონია, ყველა გამოგვყვება! — დაიიმედა თავი ოსემ.

გივიმ ისევ განაგრძო:

— შანშე ერისთავი და ბარძიმ ერისთავი, ეგების ლუარსაბ თარხანი და სხვა წყალსგაღმელნიც თბილისის გარშემო შეებან თურქებს, ასე ვვარაუდობ, ქვემო ქართლელთ ნაწილი აქეთ მოეხმაროს ერისთავებს, ნაწილი კი ლორეს შეებრძოლოს. თუ ვერ დაიჭერს, იქიდან ძალების გადმოყვანის საშუალებას მაინც არ მისცემს თურქებს.

— ჩვენ კი: — ახლა მუხრან-ბატონს მიუბრუნდა, — თუ თანახმა იქნებით, გორი დავიჭიროთ. მთელი ეს მხარეც ჩვენ დაგვრჩება და ახალციხისაკენ გზა-გასასვლელსაც გადავუჭრით მტერს! ოღონდ უნდა ვუფრთხილდეთ, თუ თურქებმა გვიგრძნეს, შეიძლება სულაც წაგვიხდეს საქმე!

— სადაც ბრძანებთ, იქ წავალთ! — სიხარულით გაიღიმა მამუკამ.

ტფილელი ფეხზე წამოდგა; ჯვარი გადასახა:

— აკურთხოს მამაზეციერმა ეს დაწყობილობა! ღმერთო, შენ მოგვეცი ძლევა მტერთა ზედა! — ხელაპყრობით შეჰღაღადა ზეცასმან.

— ამინ, ამინ! — შესძახა ყველამ ერთხმად.

## კახეთის მეფის ელჩიონი

კაცი ავს თუ ელის, მის დღეს მოსვლას — ხვალ მოსვლა ურჩევნია, საზეგიოდ თუ გადაიდება, ხომ კიდევ უფრო უკეთესი იქნება; ასე იყო ისაყ-ფაშას საქმეც. მარცხი მარცხს მოსდევდა, ყველა საწუხარი ზედიზედ წაჰყვა ერთი მეორეს. ყველა უბედურებას ზედ დაერთო კახელების ამხედრებაც.

კახეთისათვის რა ექმნა, აღარ იცოდა, თავი რომ მიენებებინა, ხომ ხელიდან უნდა გამოსცლოდა ამოდენა ქვეყანა და მტერს შემატებოდა, ისევ ძალისათვის მიემართა და... ერთხელ ამან ვერაფერი სიკეთე მოუტანა; შვილი ლტოლვილი და გაძარცვული მოუვიდა, ლაშქარი კი დაზარალებულ-დარბეული.

ერთი პირობა მაინც იფიქრა, ქართლის ყველა ციხეებიდან გამოეწვია თურქული ლაშქარი, ახალციხიდანაც ჩამოეყვანა იანიჩრები, ქართლელებიც შეეკრიბა, ოციათასიან ლაშქრისათვის მოეყარა თავი და კახეთს თავს დასხმოდა, მაგრამ ისევ გადაიფიქრა.

საქმე ის იყო, რომ თურქულ ლაშქარს შვიდი ათასამდე თუ მოაგროვებდა (ციხეებს ხომ სულ ვერ დასცლიდა?), ძირითადად ქართლელობას უნდა დაყრდნობოდა; კახეთში უკანასკნელად მომხდარი ამბის შემდეგ კი ეჭვი აღეძრა, თუმცა ამბის მომტანნი ქართლელთა გამოლტოლვას ადასტურებდნენ, მაგრამ უფრო უზიანოდ გამობრუნდნენო, რომ მოახსენეს, ეს გულში ხინჯად ჩაუჯდა; გივი ამილახვარის, შანშე ერისთავისა და ლუარსაბ თარხანის წერილობით მოხსენებებმაც, რომ კახელთა მოულოდნელი თავდასხმის გამო დაგვიფრთხა ჯარი, ველარ შევაკავეთ და გაგვეფანტა, თვითონაც ძლივს შევასწარით ცხენებზე, ველარც ბედნიერ ფაშას უსუფს მივწვდით, ლტოლვილებმა და დაზარალებულებმა თავი ძლივს დავაღწიეთო, ვერ გაუნელა ეჭვი. ფიქრობდა, იქნებ კახელებთან იდუმალი კავშირიც ჰქონდათო. ამას სხვებთან არ ამხელდა (არ უნდოდა გაეხმიანებინა), მაგრამ თვითონ კი თავიდან ვერ მოეცილებინა. იმ დამარცხებაზე მეტადაც ეს სტკენდა გულს.

რაკი კახელების წინააღმდეგ ქართლელების გამოყენება ნაკლებ საიმედოდ ეჩვენებოდა, შიშობდა, ასეთ პირობებში რომ გაელაშქრა, ვაითუ ახლაც ვერაფერს გამხდარიყო, ამას კი ის მოჰყოლოდა, რომ სახელიც უარესად გაეტეხა; თამაზ-ხანიც კარს რომ იყო მომდგარი, უფრო აემხედრებინა კახეთი, ქართლიდანაც, შეიძლება ბევრს მიებაძა და თავი წამოეყო. ამიტომ არჩია, რისხვა დაეცხრო, ეგებ, სხვა გზა გამოენახა.

ხელშინაურთაგანაც ბევრს გაეთათბირა, საიმედო რჩევა ვერავინ მისცა. ასე საგონებელს რომ იყო მიცემული, ახალი ამბავი მოახსენეს: კახელებს მთიდან თეიმურაზ ერეკლეს ძე ჩამოუყვანიათ და მეფედ დაუსვამთო. ეს შენატყობი გულზე ლახვარივით ეცა: თეიმურაზი შეიძლება თამაზ-ხანსაც დაკავშირებოდა, კახეთში მოეწვია და ეს მხარე საბოლოოდ გამოსცლოდა ხელიდან. სწრაფად იაზრა, ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო. ერთადერთ გზად ის რჩებოდა, თეიმურაზისათვის სულთანის სახელით კახეთის მეფობა დაემტკიცებინა, თეიმურაზიც და კახეთიც ამით შემოერიგებინა და სულაც მისი დაკარგვის საფრთხე რომ ემუქრებოდა, ეს ნაწილობრივ აეცილებინა თავიდან. მაშინვე მცირე დივანი მოიწვია, ისაყის აზრი ყველამ მოიწონა. მათ შორის სულთანის ბრძანებისამებრ კახეთის ხელმდებელმა — უსუფ-ფაშამაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელავში საჩქაროდ აფრინა ელჩიონი: თბილისში ჩამოდი, კახეთის მეფობას დაგიმტკიცებო, — შეუთვალა თეიმურაზს; თეიმურაზი ეჭვით შეხვედროდა ამ მოწვევას, მაგრამ ისაყის ელჩიონისათვის თავისიც გამოეყოლებინა. თეიმურაზის კაცების მოსვლამ მაინც გაახარა ისაყი. ეგების ცოტათი მაინც გამოეკეთებინა საქმე! კახელების მიერ მეფედ გამოცხადებულის ელჩებს ქალაქს გარეთ გააგება თავისი თავკაცები. იმ დღეს საგანგებო კაცებიც დააყენა, რომ პატივი ეცათ, მეორე დღეს მცირე დივანი ინვია და ისე მიიღო ელჩები. თვითონ ვერცხლით მოჭედილ სავარძელში იჯდა, მარჯვნივ შვილი — უსუფ-ფაშა მოისვა, შემდეგ თავის პატივისა და რიგის მიხედვით ჩამწკრივდნენ ბეგები და აღები.

თეიმურაზის ელჩებს რევაზ ანდრონიკაშვილი უძღოდა წინ. უკან ჩოლოყაშვილი და ჯანდიერი მოსდევდნენ. ნიშნად თაყვანისცემისა ისაყის წინ მოიხარნენ. ისაყმა შენიშნა, თეიმურაზის ელჩებმა უსუფ-ფაშას თითქოს ყურადღება აარიდეს, ცოტა უფრო გვერდზე მიიქცნენ და სხვებს დაუკრეს თავი. ამით ალბათ უკმაყოფილება გამოხატეს უსუფის, როგორც კოსტანტინეს მკვლელობის თავსმდების მიმართ, ან იქნებ ისიც უნდოდათ, ამით ეთქვათ, რომ სულთანის მიერ დაყენებულ კაცს ისინი თავიანთ ბატონად არ სცნობდნენ. ყოველ შემთხვევაში, ისაყმა ამთავითვე ინიშნა, რომ კახელები არ აპირებდნენ, დათმობა გამოეჩინათ.

ისაყმა თავის მარცხნივ დასვა თეიმურაზის კაცნი, ზრდილობისათვის მოჰკითხა მათ თავიანთი ბატონის ჯანმრთელობა და ოჯახის კარგად ყოფნა. ანდრონიკაშვილმა მადლობა გადაუხადა, ალბათ გუნებაში თვითონვე ელიმებოდა, როდესაც საპასუხოდ ამას ეუბნებოდა:

— მეფე თეიმურაზი გულითად მოკითხვას გითვლით, გულით სურს თქვენი და თქვენიანთა ჯანმრთელობა და ბედნიერად ყოფნა შეიტყოსო.

— რა დაგაბარათ ბატონმა თეიმურაზმა? — საქმეზე გადავიდა ისაყი.

— მეფე თეიმურაზი ამას მოგახსენებთ: ჩემს მამა-პაპას ოდითვე სჭერია კახეთი, მეც ვერავის დავუთმობ, — თითქოს ანდრონიკაშვილმა სიტყვა უსუფ-ფაშას გადაჰკრა და განაგრძო, — თუ ინებებთ და შემირიგდებით, რომ ჩვენს შორის მეგობრობა იყოს, რითაც შევძლებ, ვემსახურები დიდ სულთანსო!

ისაყმა ელჩის სიტყვები ისე გაიგო, რომ თეიმურაზი არაფერს სთხოვდა, მას მიაჩნდა, რომ კახეთი ისედაც ეკავა. თუ ისაყს შერიგება სურდა, შეერიგებინა და მშვიდობა ჩამოეგდო, თუ არა და... ალბათ ისიც ირანისაკენ იყურებოდა. ასე მძიმე ჟამი არ ჰქონოდა, იცოდა ისაყმა, — ისეთ ამბავს დაატრიალებდა, რომ თანასწორობა კი არა, ყმობაც სანატრელი გახდენოდა, მაგრამ ახლა რა ექნა?!

— მაინც რით გვპირდება სულთნის სამსახურს? — იკითხა უსუფ-ფაშამ.

ელჩთაგან არცერთმა არ უპასუხა. თითქოს ერთ პირზე იდგნენ. ისაყი წამოენთო, მაგრამ... ისევ არჩია ეყუჩა.

— რით გვპირდება სულთნის სამსახურს? — მკვახე ტონით იკითხა ისაყმა.

კახელებს არც აღელვება შემჩნევიათ და არც გაკვირვება.

— დიდ სულთანს ყოველწლიურად სამ საპალნე აბრეშუმს მიართმევს, და ამას გთხოვთ, მისი მეგობრობა მოუპოვოთ! — მშვიდად უპასუხა ანდრონიკაშვილმა.

ეს ნიშნავდა, რომ თეიმურაზი ყმობაზე არ სდებდა თავს.

— შეძლებისამებრ მტერთა წინააღმდეგაც მოგეხმარებათ, ოღონდ ყარალაჯის ციხე სურს, რომ დასცალოთ! — დაუმატა ჩოლოყაშვილმა.

ისაყი ჩაფიქრდა, მეტი გზა არ იყო, უნდა დათანხმებოდა, მაგრამ თეიმურაზისათვისაც და სხვებისათვისაც უნდა ეგრძნობინებინა, რომ მეფობა მხოლოდ ისაყის ხელით შეეძლო მიეღო.

— ყოველივე მაგ პირობას განვუსრულებთ, მაგრამ ბატონი თეიმურაზი თვითონ უნდა მობრძანდეს თბილისში! ისიც გვაფიქრებს, ყარალაჯიდან ჩვენი ჯარის მოშლა არ ივარგებს, ამ მხრიდან მტრის შემოჭრაა მოსალოდნელი, ვაითუ თქვენი ძალებით ვერ დაუდგეთ მტერს, ამიტომ ვიდრე მტრის შემოჭრის საფრთხეა, უნდა დარჩნენ იქ ჩვენი ჯარები!

ეს გზის მოჭრა იყო ელჩებისათვის. ამის მომიზეზებით აპირებდა ისაყი კახეთის ჯარების დატოვებას. ისიც აშკარა იყო, მხოლოდ სულთანის ყმადნაფიცობის პირობით თუ დათანხმდებოდა თეიმურაზს მეფობის დასტურის მიცემას. ამიტომ მოითხოვდა ეგრე დაჟინებით მის ხლებასაც.

— მოგეხსენებათ, რამდენი მტერი გვყავს ატეხილი. ვფიქრობ, ამხანად მეფე თეიმურაზს გაუჭირდება, რომ ქვეყანა დახტოვოს! — მორიდებულად სცადა ანდრონიკაშვილმა, თეიმურაზის გამოცხადება აერიდებინა.

— აქამდე სულ მიტოვებული ჰქონდა ქვეყანა და ახლა რამდენიმე დღით ველარ შესძლებს, რომ თბილისში გადმოვიდეს? — ვერ მოითმინა უსუფ-ფაშამ.

— მანამდე მეფე არ გახლდათ, ახლა მეფეა და ქვეყანა მასზეა მინდობილი! — გამომწვევ ნათქვამზე მკვახე პასუხი გადაუგდო ანდრონიკაშვილმა.

— თანაც ვინ იცის, ქვეყნად სიავისათვის

ვის შეუკრავს პირი?! სიტყვა გადაუკრა ჩოლოყაშვილმაც.

— თუ მეგობრობას გვეფიცება, უნდა მოგვენდოს კიდეც! სულთანის სახელით კახეთის მეფობას დავუმტკიცებ, ღვთისა და კაცის წინაშე გაძლევთ სიტყვას, რომ ჩვენგან არაფერი ევნება!

— თქვენს სიტყვას ყოველთვის ენდობა მეფე თეიმურაზი, მაგრამ ხომ შეიძლება სხვა ვინმე აღმოჩნდეს, რომ წყენა მიაყენოს, მოგეხსენებათ, ფაფისგან პირდამწვარნი დოსაც უბერავენ მერე! — აღარ შეეპუა ანდრონიკაშვილიც.

ისაყისათვის მტკივნეულ ადგილზე ფეხის დაჭერა იყო ეს, თითქოს ქარაფის პირას მოიმწყვდიეს და ელჩებისათვის უჩვეულო დაურიდებლობით უტევდნენ. იმანაც გაალიზიანა, ყოველ წამს მეფობით რომ იხსენიებდნენ თეიმურაზს, ამით თავიანთი ბატონი უფლებამოსილად დც დამოუკიდებლადაც რომ უნდოდათ წარმოეჩინათ.

უსუფ-ფაშამ ველარ დაჰფარა თავისი გულის წყრომა:

— თეიმურაზის კაცთ უარესი გვიქმნეს, მშვიდობიანად შემოვედით კახეთში, ისინი კი ქურდულად დაგვესხნენ თავს, ჯარიც დაგვიზიანეს და სხვა ზარალიც მოგვაყენეს!

ჯანდიერმა, ამდენ ხანს რომ მდუმარედ იჯდა, ოდნავ გადაიწია სავარძელში, თითქოს გასწორდა, პირდაპირ შეხედა მოსაუბრეს და ისე სთქვა:

— ყველა თავის სატკივარს ჩივის, სხვის ტკენას კი არაფრად სთვლის. გზადმომავალმა თქვენმა ჯარმა ბევრი რამ ავი ჩაიდინა, ოჯახები გაძარცვეს, ქალები შეურაცხყვეს, უარესად იქცეოდნენ ყარალაჯს მდგომნიც, იმათი შიშით გარშემო სოფლები დაიცალა. ეს ველარ მოითმინა ხალხმა და თავს დაესხნენ... ესეც რომ არ იყოს, მოგეხსენებათ, მეფე თეიმურაზი კახეთში არ გახლდათ იმ დროს და არც არაფერი იცოდა იმ თავდასხმის შესახებ.

ისაყი ხედავდა, კიდევ უფრო მწვავე დავაში შეიძლებოდა გადაზრდილიყო ეს კამათი.

— მაგრამ კახეთმა უნდა ზღოს! — არ დაცხრა უსუფიც.

ისაყმა შეაჩერა.

— რაც მოხდა, ორივემ დავივიწყოთ! ვფიცავ ალაჰს და ღვთის სწორ მაჰმუდის სახელს, რომ ბატონ თეიმურაზს მეგობრულად მივიღებთ; ვერავინ გაჰბედავს მის წყენას. აღუსრულებთ საწადელს, მისი მობრძანება კი აუცილებელია! — დასძინა ბოლოს.

— ვისაც მეგობრობა სურს, კიდეც უნდა მიენდოს! — სიტყვა შეაწიეს სხვებმაც.

ელჩები ჩაფიქრდნენ.

— ჩვენ ვერ დაგპირდებით, რადგან ასეთი რამ მეფეს არ უბრძანებია, — სთქვა ანდრონიკაშვილმა, — გადავცემთ თქვენს პირობას და ჩვენდა თავად ვთხოვთ, რომ მობრძანდეს.

— ჩვენ ვთხოვთ, რომ მობრძანდეს, ალბათ ჩვენი მეფეც შეასრულებს ამ თხოვნას, მაგრამ ერთი პირობით, უსუფ-ფაშა და მეჰმედბეგი არ უნდა შეხვდნენ არსად! — დაუმატა ჩოლოყაშვილმა.

ისაყმა ირიბად გახედა თეიმურაზის კაცს, — „იქნებ არ იცის, რომ უსუფი აქ არის და იმიტომ ბედავს ამდენსო“ — გაიფიქრა... გაივლო გულში.

— აი, ეს გახლავთ უსუფ-ფაშა, — მიათითა შვილზე — ღვთის სწორ სულთან მაჰმუდის, იდიდოს მისი სახელი, რჩეული ვეზირი!

— ვიცით! — დაუდასტურა ჩოლოყაშვილმა, შემდეგ დასძინა, — დადასტურებით ვერ მოგახსენებთ, ინებებს თუ არა ჩვენი მეფე მობრძანებას, მაგრამ რომ მობრძანდეს და ისინი შეხვდნენ, რომელთაც მისი ძმის სისხლი იტვირთეს, უთუოდ შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს!

ისაყმა რამდენიმეგზის თავი გადააქნია, ბოლოს მაინც დაეთანხმა.

— კარგი მაგასაც აღვასრულებთ.

— ჩვენც შევეცდებით, დავაჯეროთ ჩვენი მეფე, რომ მობრძანდეს! — კვლავ გაიმეორა ანდრონიკაშვილმაც.

## ბარათაშვილის როჭიკობა

საროჭიკოდ მიმავალი ოსე დეკანოზი რამდენიმე ბერისა და ორიოდე შეიარაღებული მსახურის თანხლებით თბილისიდან გავიდა. ოსე და მსახურები ცხენებზე ისხდნენ, ბერებმა სახედრებზე ჯდომა ირჩიეს, — ცხენოსნობა არ შეგვფერის, ხალხი დაგვცინებს, მხედრები ხომ არ არიანო.

ენკენისთვე ახალი დამდგარი იყო. თბილისში ისევ ცხელოდა. ტაბახმელაზე რომ ავიდნენ, ისევე თავისუფლად ამოისუნთქეს, თითქოს ორმოდან მაღლა იყვნენ ამოსულნი. იალალზე გასულებივით შვება იგრძნეს, ერთი მსახურთაგანი მაინც ხუმრობის მეტისმეტი მოყვარული აღმოჩნდა: ათასგვარ თავგადანახედ თუ მოგონილ ამბებს მოუთხრობდა, თავად ღიმილსაც არ იმჩნევდა, მსმენელებს კი ჩაბჟირებამდე აცინებდა.

ეტყობოდა, ხორციელი სილაღე წმინდა მამებსაც მონატრებოდათ, ისინიც კი, მარადის ლოცვასა და ღვთის მსახურებას მინდობილნი, სულის საოხად ხორცს რომ თრგუნავდნენ, ჭარბად გახალისდნენ. თუმცა პირველად ქირქილსაც ერიდებოდნენ, მერე იმდენად გაუშინაურდნენ, თვითონაც ბლომად შეაწიეს თავშესაქცევი იგავები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად ენაგეთს ავიდნენ, ენაგეთლებმა მართლაც სიუხვის ხელი გამოიღეს, ბლომად შესწირეს სიონის ღვთისმშობელს, საკმაოდ გაიღო თომა ბარათაშვილმაც, კანჭაშვილადაც რომ იხსენებდნენ. სამოცდაათ წელს მიტანებული თომა თავისსა და ქვეყნის ავბედობას უჩიოდა, შესაწირავი კი გაიღო, — იქნებ ვცხონდეო, მაგრამ — გავღარიბდით, ყმანიც მიმოგვეფანტა, თავს ძლივს ვირჩენთო, — წუწუნებდა; როდესაც ოსემ სიტყვა ჩაუკრა: აღვდგეთ, თურქები განვდევნოთო, ძლიერ შეიცხადა: სად გვაქვს ბრძოლის თავი, ის სჯობია, ჩვენს ქერქში დავეტიოთო! ახლა მაგათ გავეჯლეტინოთო?! ოსეს საბუთიანობამ, რომ თურქთა ჯარები ზედიზედ მარცხდებოდნენ და ქართლისათვის აღარ ეცალათ, ვერ გასჭრა. — სხვები თუ გამოვლენ, შენ რაღას იზამო, რომ ჰკითხა, მაშინ მთლად გაცხარდა თომა: არ გაბედო, ხალხი არ აცდუნო; ღვთის მსახური ხარ და სული არ წაიწყმინდოო!

გული გაუტყდა ოსეს. პირველი ცდავე მარცხით დაუმთავრდა, მერე იმან შეაეჭვა: ვაითუ სული წაიწყმინდოს და თურქებთან შემაბეზღოს, ცოლ-შვილიანად მომთხრიანო. იმ ღამეს ენაგეთში კი გაათია, მაგრამ ვაი იმ გათევას: მთელი ღამე არ სძინებია. უბედურება ის იყო, რომ ეს ამბავი არც არავისთვის შეეძლო გაემხილა, იქნებ ამით ვარამი შეემსუბუქებინა, რჩევაც მიეღო. გული გაუტყდა, გადაწყვიტა კიდეც, ხელი აეღო ამ როჭიკობაზე, გათენდებოდა თუ არა, ისევ თბილისისაკენ ექნა პირი.

დილამ მცირედ შვება მოუტანა. გათენებამ ნაღველი გადაჰყარა, იმედი მიეცა. — შენ რომ ჩიოდი, იმიტომ გაგეხუმრე, მართლა კი არ ვამბობდი, ვინმესთან რამე არ დაგცდესო! — შეავედრა მასპინძელს თავი. მართლაც და ურწმუნო თომამ თავის მხრივ ისევ ის გაუმეორა: არ გაბედო და ხალხის ცოდვაში არ ჩადგეო!

ენაგეთის ახლო-მახლო სოფლები გავერანებული იყო. ბაგრანეთსა, ბუხუტსა და ტბისში აღარავინ ცხოვრობდა. მეროჭიკენი საღირაშენში ავიდნენ, მცირე შესაწირი აქ შეაგროვეს და მესამე დღეს ბოლნისებს ეწვივნენ. ბოლნისის სანახებიც აოხრებული იყო, მხოლოდ თვითონ ბოლნისის სიონის გარშემო ცხოვრობდა ორიოდე ათეული კომლი, ისინიც სიონის სანგრის იმედად იყვნენ. მტრის თავდასხმისას იქ აფარებდნენ თავს.

ოსეს საბარათიანო ადრე, ვახტანგ მეფის დროსაც და შემდეგაც ბევრჯერ ჰქონდა მოვლილი. იმ დროს ხალხმრავალი მხარე, ახლა მთლად გაჩანაგებული ეჩვენა. ვილა უნდა იბრძოლოს, ხალხი რომ აღარ დარჩენილაო, ამას ფიქრობდა გულნატკენი.

ბოლნისის სიონი მოილოცეს, ღამე სიონის წმინდა მამებს შეაფარეს თავი და შემდეგ დღეს კაზრეთში ავიდნენ. აქაც არ გაუმართლდა ოსეს, მცირედ შესაწირავი კი შეაგროვეს, მაგრამ, რაც მთავარი იყო, ზურაბ ზურაბიშვილი არ დახვდა სახლში. — ეს ორი დღეა თბილისში წავიდაო, უთხრეს. მოჟამული, ტანძიის გზას გაუდგა. მსახურები ხუმრობას არ იშლიდნენ, ბერებიც, შეწირულობის სიუხვით გახარებულნი, ლაღობდნენ, ვინ იხედებოდა ოსეს გულში რა ბოლმა ტრიალებდა?

ტანძიას ვახტანგი და ელიზბარ ორბელიანები სიხარულით შეხვდნენ გივისაგან გამოგზავნილ კაცს. თეიმურაზ ბატონიშვილიც მოუწონეს სასიძოდ, რაღა თქმა უნდა, თურქების წინააღმდეგ თანადგომასაც ჰპირდებოდნენ სახელოვან სიძეს. ოსე მცირედ ამან გაამხნევა, მაგრამ ეს დიდ წარმატებას არ ნიშნავდა; ვახტანგისა და ელიზბარისაგან ასეც მოელოდა, საქმე სხვები იყვნენ. სხვებთაგან კი ჯერჯერობით არავისთან ჰქონდა საქმე გარიგებული.

დიმიტრიც ისევ შეპყრობილი ჰყავდათ თურქებს, ვახტანგმა და ელიზბარმა სთხოვეს ოსეს: სიძე-ბატონს უნდა შეგვახვეწო, იქნებ ილონოს რამე და გამოაშვებინოს... ისიც უთუოდ მხარს დაგვიჭერსო.

ფიტარეთს ილოცეს, მერე ქვეშის გზას გაუდგნენ. კიდევ უფრო ალაღდნენ მსახურები, ბერებს — ოსიასა და იაფეთს გაუტკბათ სტუმრობა და მოლხენა.

— ნეტავი, სულ ასე გვატარებდე, მამაო ოსე! — ეუბნება ოსია.

— რაო, მოგწონთ ასე სიარული? — იკითხა ოსემ.

— კარგი ყოფილა სტუმრობა, სადაც მივდივართ, ყველგან ტრაპეზს გვიმართავენ, ოღონდ ეგ არის, ასე დაკიდებით მუხლები ჩამოგვწყდა! — სთქვა იაფეთმა და ორივე ფეხი შემოჰკრა სახედარს. სახედარმა მცირე მანძილი ფეხაჩქარებით გაიარა, შემდეგ ისევ ჩვეულებრივ ნაბიჯზე გადავიდა.

ქვეშს ძმებმა, გიორგი, ვახტანგ და თეიმურაზ იარალიშვილებმა უმასპინძლეს. აქაც ციხის იმედით ცხოვრობდა ხალხი. — გარშემო სოფლებიდან ავყარე გლეხები, ყველას აქ მოვუყარე თავი. როცა მტერი გამოჩნდება, ციხეს ვაფარებთ. — ამბობდა უფროსი ძმა გიორგი. საღამოს დაიმარტოხელა ოსემ გიორგი და ვახტანგი. — თურქებთან შებმას აპირებენ, თქვენც უნდა ამხედრდეთო, — უთხრა.

— ჩვენ კი რაღაში ჩამოვრჩებით, — ორივემ ერთხმად დაუდასტურა, — იმედი გქონდეთ ჩვენი!

ოსემ იფიქრა, ქაიხოსროსათვის რომ გზა აექცია, ვაითუ ეეჭვათ, ამიტომ სამშეილდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც ენვია. ქაიხოსრო ყაფლანიშვილ-ორბელიანმაც არ დაიშურა საწირავი. ოსე მადლობით გაშორდა მას და გუდარეხს იესე გერმანოზიშვილს გაანდო თავისი ზრახვანი. ისიც თანადგომას დაჰპირდა, იქიდან ბირთვისს თამაზ გოსტაშაბიშვილს ეახლა, მისგანაც საწირავთან ერთად დაპირება რომ მიიღო, მერე ხეობას დაუყვა. ამგზობაზევე უნდოდა, წვერში გადასულიყო. თავისი შვილი იესე ენახა ბარელა და თბილისში ისე მიბრუნებულიყო.

ბერებმა თანდათან მოიწყინეს, იმ ბოლო დღეებში მაინც აღარც ისე იცინოდნენ, აღარც თავშესაქცევ ამბებს ყვებოდნენ, დასასვენებლად დამსხდართ, ადგომაც ეზარებოდათ. შეიძლება ხანგრძლივმა მგზავრობამ გადაღალა (აგერ, ათ დღეზე მეტი იყო, რაც ასე დადიოდნენ), ან იქნებ იმანაც დაალონა, ისევ რომ კარჩაკეტილობას უნდა დაბრუნებოდნენ. მსახურებს კი პირიქით, ხალისი მოემატათ, თითქოს უფროც ჩქარობდნენ — ალბათ ოჯახები მოენატრათ. სახლში მისვლა მიუხარიათო,— ასე ფიქრობდა ოსე.

შუადღე გადაწეული იყო, რომ ჩვენმა მგზავრებმა წვერს მიაღწიეს. ახლომახლო სოფლებიდანაც აქ გადმოსულიყვნენ საცხოვრებლად, ლეკიანობის შიშით მათაც ციხის შემოგარენისათვის შემოეფარებინათ თავი. აზნაურნი თუ გლეხნი დიდის ამბით შეხვდნენ სიონის სახლთუხუცესს. ყველაზე მეტად ოსე შვილის, იესეს, ნახვამ გაახარა. თითქმის ორი წელიწადი ხდებოდა, ტყვეთა შეკრების დროს შვილი რომ არ წაერთმიათ, თბილისიდან აქ გამოაფარა. წელიწადზეც მეტი იყო, რაც არ ენახა, ამ ერთ წელიწადში წამოზრდილიყო ბიჭუნა, სწორედ იმ დღეებში უნდა გამხდარიყო ექვსი წლის. გულში ჩაიკრა შვილი.

კარგად მოვლილი ჩანდა ბავშვი, აზნაურმა გიორგი რევიშვილმა, ვისთანაც იესე ჰყავდა მიბარებული, ეს უთხრა:

— ყველას ისე უყვარს, რომ საკუთარ შვილებში არ არჩევენო.

ოსეს ცრემლი მოადგა თვალზე.

— ეჰ! — ამოიოხრა მან, — საკუთარ შვილს რატომ თვითონ არ უნდა ზრდიდეს კაცი, შენს თვალწინ რატომ არ უნდა გყავდეს?! ყველას მოგვენატრა, მაგრამ, ამ თვალდასადგომ დროს რა გაეწყობა?!

გიორგი რევიშვილის სახლი წვერის ციხის ქვემოთ, ფერდობის ძირას იდგა, ორ ოთახიანი სახლი იყო. რევიშვილმა სუფრა გაუშალა სტუმრებს. ჯერ სუფრა არ ეკურთხებინა, რომ გიორგი კავთელიშვილი შევიდა.

— ჩემი მამიდაშვილი გახლავთ! — გააცნო რევიშვილმა.

— აჰ, ეს ხომ ჩემი ძველი ნაცნობია! — სთქვა ოსემ.

კავთელიშვილი ოსეს და ბერებს ხელზე ემთხვია.

— როგორ ხარ, ხომ კარგათ? — მოიკითხა ახალმოსული ბარათაშვილმა.

კავთელიშვილი დაღონებული გამოიყურებოდა.

— გმადლობთ, მამაო! — უხალისოდ უპასუხა მან.

ოსე სუფრის ერთ მხარეს იჯდა, გვერდით მოისვა პატარა იესე. მათ გასწვრივ ბერები ისხდნენ. მეორე მხარეს მსახურების გვერდზე იყო რევიშვილი, ქვეით ჩაიწია და შუაში ჩასვა მამიდაშვილი.

შუა პურობაშიც არ იყვნენ, რომ დიასახლისი მოიჭრა.

— ოსმალები შემოვიდნენ სოფელში, რაღაც იკითხეს ქვევით, და აქეთ წამოვიდნენ.

ოსეს ჯამისაკენ წაღებული კოვზი ხელში შეაცივდა: ვაითუ იმ სულწაწყმედილმა თომამ მიმუხთლაო! — გაურბინა უმალ გონებაში, სხვებს გადახედა და ცივი ხმით იკითხა:

— რა უნდათ აქ?

— რა ვიცი, რა უბედურებამ მოიყვანა! — ჩაილაპარაკა შეცბუნებულმა მასპინძელმა.

კავთელიშვილს ფერი აღარ ედო.

— იქნებ შენ გვიშველო, მამაო, პატივს დაგდებენ! — მავედრებელი ხმით უთხრა ოსეს დიასახლისმა.

თვითონ ოსეს ეშინოდა ყველაზე მეტად. სხვისი შველის რა იმედი უნდა ჰქონოდა!

— გავეცალოთ სადმე! — წამოიძახა მსახურმა.

— წადით, დაიმალეთ! — დაფეთებულმა დიასახლისმა ქმარს ხელი მოჰკიდა, — წამოდი! — შეეხვეწა თუ უბრძანა, რას გაარკვევდა კაცი ამ დროს.

ქმარმა ხელი გააშვებინა, დიასახლისი სახლიდან გავიდა.

— ეს ბავშვი მაინც სადმე დავმალოთ! — გამწარდა ოსე.

ყველამ თვალი მიმოატარა, დასამალი ადგილი არსად ჩანდა.

— წადი, შენ წადი! — უთხრეს ბავშვს და მეორე ოთახისაკენ გაუშვირეს ხელი.

ბავშვი გავიდა. ორ წუთსაც არ გაუვლია, რომ კარებში ოსმალები შემოლაგდნენ.

— ალი ბექირ-ოღლი აქ არის? — იკითხა ერთმა იანიჩარმა, ეტყობოდა, ის უნდა ყოფილიყო უფროსი.

— მე ვარ! — წინ წადგა გაფითრებული კავთელიშვილი.

— ბედნიერი ფაშა ისაყის ბრძანებით შენ შეპყრობილი ხარ! — თქვა იმავე ოსმალომ. გვერდით მდგომმა ორმა იანიჩარმა ხელი მოჰკიდა, სხვა ორმა ხანჯლები გააშიშვლა და აქეთ-იქიდან მოუდგნენ.

— რა დანაშაულისათვის? — როგორც იყო,

შეპბედა ოსემ. გიორგი გარეთ გაიყვანეს, უფროსმა კი ახლა უპასუხა ოსეს:

— სჯულის ღალატისათვის ბედნიერი ფაშის ბრძანებით... — აღარ დაუმთავრებია, ისიც გაბრუნდა.

ყველა სახტად დარჩა, აღარ იცოდნენ, რა ექნათ. ცოტა მერე რევიშვილმა გარეთ გაიწია, სხვებიც მიჰყვნენ. საშინელი რამ დაინახეს: კარების წინვე წამოექციათ კავთელიშვილი, ორს ფეხებიდან ეჭირა, ერთმა თავი დაუკავა, მეოთხემ კი ყელში ხანჯალი ჩასცა, წინა მხარეზე, ყანყროტისკენ გამოსჭრა, მერე თავი ისე გადაუგრიხა, როგორც ეს ცხვრის დაკვლისას იციან ხოლმე. სისხლი მოჩქეფდა და წითლად ეფინებოდა ბალახიან მიწას.

— ოჰ! — შეძრწუნებულ ოსეს და მის თანმხლებთ ესღა აღმოხდათ.

ყელგამოჭრილმა გიორგიმ ჯერ ხრიალი დაიწყო, მერე ახროტინდა, ფეხები გაასავსავა, თითქოს რამეს გაჰკრაო და გაითანგა.

ოსმალომ გასისხლიანებული ხანჯალი ტანსაცმელზე შეაწმინდა, ქარქაშში ჩააგო, იქვე მიბმულ ცხენებზე შესხდნენ და გაბრუნდნენ.

## გივის გადაწყვეტილება

გივი ამილახვარმა კახეთიდან მობრუნებისთანავე რომ საბოდიშო წერილი გაუგზავნა ისაყ-ფაშას, საპასუხოდ მან არც წერილი გამოუგზავნა და არც კაცი აახლა. გივი ამას ფაშის გამწყრალობით ხსნიდა, თვითონაც ხელი ჩაიქნია, ისედაც ეჭვალძრული რომ იქნებოდა ისაყი, კარგად იცოდა ეს, — „დე, რაც უნდა, ის იფიქროსო". მერე ისევ ისაყმა მოიკითხა, კახეთში თეიმურაზის მეფედ დასმის საქმეზე დიდი დივანის მოწვევა ბრძანა და საგანგებო კაცის ხლებით იწვია გივი.

გივიმ ერთი პირობა იფიქრა, ავადმყოფობა მოემიზეზებინა და არ ხლებოდა, — ვინ იცის ამ არეულობისას რა განზრახვა უდევს გულშიო. მაგრამ ისევ გადაიფიქრა. არჩია, ჯერხნობით მორჩილებაზე დაედო თავი, თორემ შეიძლებოდა, უფრო დაეეჭვებინა და ამით საქმე წაეხდინა.

თბილისში რომ ჩავიდა, მაშინვე ოსე ბარათაშვილი მოიკითხა, სწორედ წინა დღეს მობრძანებულიყო ოსე საბარათიანოდან. — ამ ორ დღეში ქალას უნდა ამოვსულიყავი, კიდევ უკეთესი, რაკი თქვენ ჩამობრძანებულხართო! — უთხრა ოსემ და დაწვრილებით მოუთხრო თავისი მგზავრობის ამბავი.

ბევრი თავადის პასუხი საიმედოდ ეჩვენა გივის, ისიც ესიამოვნა, ცოლისძმები: ვახტანგი და ელიზბარი, თანადგომის შეპირებასთან ერთად, თეიმურაზ იესეს ძეზე თამარის დაწინდვის განზრახვას რომ მოწონებით შეხვედროდნენ, მაგრამ საქმე ის იყო, რომ თვითონ ეთანალრებოდა გული, ყმაწვილ ქალიშვილს გასათხოვრად ვერ იმეტებდა.

ძლიერ ეწყინა, დიმიტრი ყაფლანიშვილი ისევ პატიმრობაში არისო, რომ შეიტყო. ისედაც არ უყვარდა ქაიხოსრო, გული ახლა უფრო მეტად აეჩხრიკა მასზე.

„ორბელიანებს შორის მტრობა ისევ გრძელდება, ალბათ აღარც დაცხრებიან... ქაიხოსრო მაინც ისეთი ღრჯო არის, რომ ერთხელ თუ წყენა გულში ჩაიდო, ავკაცობას აღარ მოიშლის. ქვემო ქართლსა თუ სომხითში გავლენაც აქვს და დიდი ძალაც შესწევს, ეგ რომ როგორმე გადმოგვეპირებინა, რამხელა შენამატი იქნებოდა ჩვენთვის, მაგრამ ახლა რაღა ჩამოაცილებს მაგას თურქებს?! არა და დიდი ბექივით იხირება შუა გზაზე!" — ფიქრობდა გივი. მერე ოსეს უთხრა:

— კარგად მოქცეულხარ, ქაიხოსროსათვის რომ არაფერი გითქვამს, ოდნავადაც რამე რომ დაგცდენოდა, უმალვე მსუნაგ ძაღლივით იყნოსავდა ყოველივეს და, იმ ჩემი ცოლისძმების მტრობით შეიძლება ისაყთანაც დაგვასმენდა!

ზოგიერთი თავადის პასუხმაც შეაფიქრა გივი, თომა ბარათაშვილის გამოხდომისათვის რომ ყურადღება არ მიექცია, ბევრის დაპირება მაინც ცალყბად ნათქვამად ეჩვენებოდა.

ბოლოს ოსემ გულისტკივილით მოუთხრო წვერში თურქების მიერ აზნაურ გიორგი კავთელიშვილის მოკვლის ამბავი. გივის ეს არ გაჰკვირვებია, ერთი შემთხვევა ხომ არ იყო? თბილისში თუ სხვაგან ასე აშკარად არაერთსა სჯიდნენ თურქები, ამით ლამობდნენ, რომ ხალხი დაეშინებინათ და მორჩილებაში მოეყვანათ.

— თურქების დღე რომ დათვლილია, მაგ ამბითაც ჩანს ჩემო ოსე, შემოდგომის ბუზმა იცის უფრო მწარედ კბენა! — გაამხნევა ამილახვარმა.

იმ საღამოს ცუდი ამბავი შეიტყო გივიმ: ლორეზე გამოვლით დიდძალი ლაშქარი ჩამოეყვანათ თურქებს, თბილისისა და კოჯრის ციხეები ჯარით აივსოო,—მოახსენეს. გივისათვის მოულოდნელი არ იყო, ადრევე საზღვრავდა ამას, რაკი ერანის სარდალმა თამაზხანმა კავკასიაში გადმოიტანა ბრძოლები, სულთანიც აქ უნდა ცდილიყო გამაგრებას... მაგრამ თურქთა ჯარის ჩამოდგომა მაინც არ ესიამოვნა.

მეორე დღესვე ეწვია ისაყ-ფაშას, ისაყს თითქოს არ ემჩნეოდა წყენა. გულთბილად შეხვდა. უსაყვედურა კიდეც.

— მე რომ არ მომეკითხე, ალბათ კიდევ არ მნახავდი.

თუმცა ისაყს არ უკითხავს, გივიმ საუბარში მაინც ჩაურთო, თუ როგორ დიდი ზიანი მიაყენეს კახთ, რომ ლამე თავს დასხმის გა-

მო ჯარი დაუფრთხა და ვინ ვის ასწრებდა, აღარ იცოდნენ. მერე ის აუწყა, რომ დედოფალ ელენესაგან ელჩნი მიუვიდნენ, ქალიშვილის ხელს სთხოვდა თავის ვაჟისათვის.

— მე გამომრჩა მხედველობიდან, ამდენ ხანს ყურადღება ვერ მივაქციე იესეს ოჯახს! — თითქოს მოიბოდიშა ისაყმა გივის წინაშე. შემდეგ იმის გამოკითხვა დაიწყო, თუ როგორი იყო იესეს ვაჟი თვალ-ტანადობით, ან შესაფერი განათლება თუ ჰქონდა მიღებული; გივის აზრსაც ისე გულდასმით უსმენდა, თითქოს მართლაც არაფერი სცოდნოდა თეიმურაზის შესახებ. მისი დასიძება მოუწონა კიდეც. შემდეგ თვითონ ჩამოუგდო საუბარი თეიმურაზ კახბატონის შვილზე:

— კახეთის მიცემა გადავწყვიტე, სულთანისაგანაც დასტური მომივიდა, მგონი ქვეყნისათვისაც და სულთანისათვისაც ასე სჯობს.

ახლა გივიმ მოუწონა განაზრახი, ბოლოს ეს უთხრა:

— ჩემი ცოლის ბიძაშვილი დიმიტრი ყაფლანიშვილი გყოლიათ დაპატიმრებული, როგორც გავიგე, ბატონ ქაიხოსროსათვის რალაც წყენა შეუხვედრებია.

— როგორ, დიმიტრი ყაფლანიშვილი შეპყრობილი ჰყავთ? — გაიკვირვა ისაყმა, — მე არაფერი ვიცი მაგის შესახებ, უჩემოდ როგორ გაბედეს?!

გივი დაეჭვდა, იქნებ მართლა არ იცისო, მაგრამ ამაზე მაინც ყურის წაყრუება არჩია.

— რომ გაუშვათ, მათს დავაში მე თვითონ ჩავერევი, — განაგრძო გივიმ, — იმედი მაქვს შევათანხმებ ერთმანეთს შორის.

— თუ მართლაც დაპატიმრებულია, ახლავე გავაშვებინებ, დავსჯი კიდეც, რომ ჩემს შეუტყობინებლად შეუპყრიათ! — თავი გამოიდო ისაყმა.

კმაყოფილი გამობრუნდა გივი. თავის თავს დაუგმო განაზრახიც, თბილისში რომ არ აპირებდა ამჯერად ჩამოსვლას; რაკი თეიმურაზ კახ-ბატონიც მოდიოდა აქ, ამ მხრივაც საჭირო იყო მისი ჩამოსვლა, უნდა ენახა იგი და თურქების წინაალმდეგ ბრძოლის საქმეზე მოთათბირებოდა.

ისაყისაგან წამოსულმა პირდაპირ სიონისაკენ გასწია. ტფილელი რომ იკითხა, — ახლახან გავიდა სასახლეშიო — უთხრეს. გივი ჯერ სიონში შევიდა. რამდენიმე კელაპტარი დაანთო, ერთით შვილების კეთილდღეობა შეავედრა უფალს, მეორეთი გარდაცვალებულთა სულების ოხვა შესთხოვა. მესამეზე შეჩერდა სალოცავად:

— ღმერთო კეთილი აზრი შთაგვაგონე და გზა სიკეთისაკენ წარგვიმართე. შენ დაგვიხსენი უცხო თესლთა მონობისაგან, შენ მიეცი ძალა ქვეყანას ჩვენსას მტერთა ძლევისა. შენ მიანიჭე თავისუფლება!

ტაძრიდან ის იყო გამოვიდა, რომ დომენტი ტფილელი შემოეგება. ჯერ ჯვარი გადასახა მღვდელთმთავარმა.

— დროზე ვერ შევიტყე თქვენი მობრძანება! — მოუბოდიშა შემდეგ.

— არა უშავს, წმინდა მამაო, რაკიღა გადავწყვიტე, თქვენი რჩევა მიმელო, მაინც მოგნახავდით!

—ღმერთმა აკურთხოს შენი გადაწყვეტილება! — დალოცა ეპისკოპოსმა.

ორივე ერთად გაემართა ტაძრის დასავლეთით, სასახლისაკენ.

## შესრულებული პირობა

თეიმურაზის წარგზავნილნი თბილისიდან რომ მობრუნდნენ თელავს (მათ ისაყ-ფაშის კაცებიც ახლდნენ თან); კახეთის თავკაცთა დიდი ბჭობა გაიმართა. უმრავლესობა იმ აზრს ადგა, რომ თურქებმა რაკი კახეთი ძალით ვერ დაიმორჩილეს, თეიმურაზის ხელდებულ მეფედ გამოცხადებით სურდათ მომხრეთ მაინც გაეხადათ, ამიტომ თეიმურაზის ხლება არ უნდა ყოფილიყო საშიში. ზოგნი მაინც დაჟინებით მოითხოვდნენ, თეიმურაზი სწვეოდა ისაყს, როგორც იგი ჰპირდებოდა, მიეღო მეფედ დამტკიცება და ამით თურქებთან მშვიდობა ჩამოეგდო. — თუ ასე არ მოიქცევით, ისაყსაც სხვა გზა არ რჩება, ლაშქარი უნდა გამოგვისიოს, კვლავ უნდა გადაგვთელოს, თქვენ მთაში გადახვეწა, ხოლო კახეთს ისევ უპატრონობა მოუწევს, ნუ უზამ ამას ქვეყანასო! — მიმართავდნენ თეიმურაზს (არც ტყუოდნენ, განუწყვეტელმა რბევამ გააჩანაგა, მრავალგზის უპატრონობამ კი მტერზე მეტად დაჩაგრა კახეთი).

კიდევ ერთი რამ იყო: ერეკლე ბატონიშვილი, ერთადერთი ძე თეიმურაზისა, თუმცა ჯერ თხუთმეტი წელიც არ შესრულებოდა, მაგრამ საოცარ სიმამაცეს იჩენდა. თელავს ჩამოვიდა თუ არა, თავის მცირე რაზმს სხვაც მიუმატა და ლეკ მარბიელებს ხან სად დაესხმოდა თავს და ხან სად. რამდენიმეჯერ მტრის ისეთი ჯარიც დაამარცხა, მისას რამდენიმეჯერ რომ აღემატებოდნენ. ეს ამბავი არ შეიძლებოდა, ისაყსა და მის კარს არ სცოდნოდა; თუ თეიმურაზს ავს შეამთხვევდნენ, კახეთი უმეთაუროდ არ დარჩებოდა, იგი თავგამოდებით დაუწყებდა თურქებს ბრძოლას. ეს კი, იმჟამად მაინც, ხელსაყრელი არ იქნებოდა თურქებისათვის. ეს თეიმურაზსაც ამშვიდებდა, — მე თუ კონსტანტინესავით მიღალატებენ, კახეთს პატრონი ეყოლებაო.

— ჭკუა ისწავლეს თურქებმა, იმას ველარ მოიმოქმედებენ, რაც ერთხელ ჰქმნეს! — ამტკიცებდნენ თეიმურაზის ისაყთან გამგზავრების მომხრენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ყოველივე თეიმურაზმაც კარგად იცოდა, ახალ ვითარებასაც ითვალისწინებდა და იმასაც, რომ ახლა თურქებს მისი გამეფებით უნდა მოეპოვებინათ კახეთში დასაყრდენი, მაგრამ ფაფით დაშინებულნი დოსაც უბერავენ; კოსტანტინეს მაგალითი რომ წინ ედო, მაინც ვერ ბედავდა. აბელ ანდრონიკაშვილი, ქიზიყის მოურავი და კახთა იმჟამინდელი ბელადი, პირველად დუმდა. მხოლოდ ის იყო, რომ გადაწყვეტით არაფერს ამბობდა. ბოლოს იმანაც წასვლა რომ ურჩია, გაბედა თეიმურაზმაც, ხუთიოდე თავადი (ბევრის წაყვანას მაინც მოერიდა), ამდენივე აზნაური და ოცდაათი გლეხთაგან იახლა და თბილისის გზას დაადგა.

თეიმურაზი სართიჭალას შეჩერდა. მალემსრბოლი გაგზავნა — თქვენს ელჩებთან ერთად მოვდივართო, — შეუთვალა ისაყს. მეორე დღეს ლილოს რომ გასცდნენ, ლოჭინს მიახლოვებულიც არ იყვნენ, ჩადივარის ველზე ისაყის მესტუმრედ მეჰმედ-ბეგი შემოეგება რამდენიმე ათეული კაცით. თეიმურაზს გული აეთანაღრა — პირობა ახლავე დაარღვიაო; შეჭოჭმანდა კიდეც, ხომ არ სჯობდა, ამთავითვე ეღონა რაიმე და უკან გაბრუნებულიყო? — მტყუანს სიმტყუვნის კარამდე უნდა მიჰყვე, ამდენზე რაკი მოვედი, აღარ ივარგებსო, იფიქრა და შეეცადა, წყენა არ შეემჩნია.

ორიოდე ჟამსაც არ გაუვლია, თვითონ ისაყი, თავისი ფაშებით, ქართველი დიდებულებითა და დიდი ამალით შეხვდა. თეიმურაზმა ისაყის იმდენი მხლებელი რომ იხილა, თავისი რაზმის სიმცირის გამო შერცხვა კიდეც. მერე იმით დაიმშვიდა თავი: თვითონაც ხომ კარგად იციან, კახეთი რომ არ ამომწყდარა! დე იცოდნენ, მაგათი ნდობა რომ არ გვაქვსო.

ისაყისანი შორიდანვე დაქვეითდნენ. თეიმურაზიც ჩამოქვეითდა თავისი კაცებით. ერთ მხარეს რევაზ ანდრონიკაშვილი ამოუდგა თეიმურაზს, მეორე მხარეს — ჩოლოყაშვილი, უკან ჯანდიერი და სხვა თავადები მიჰყვნენ. ცოტა მოშორებით მისდევდნენ დანარჩენი მხლებელნი. მოპირდაპირე მხრიდან ისაყი წამოვიდა წინ, გვერდით ქაიხოსრო ყაფლანიშვილი და გივი ამილახვარი უდგნენ. ათიოდე ნაბიჯზე მიეახლნენ ერთმანეთს, თავის დაკვრით მიესალმა თეიმურაზი, ისაყმა და მისმა თანამყოლებმაც თავი დაუკრეს. ისაყი რამდენიმე ნაბიჯით წამოდგა წინ, თეიმურაზს გადაეხვია, მხარზე ეამბორა; ტანდაბალი თეიმურაზიც, მხრის თავამდე ძლივს რომ მისწვდა ახოვან ისაყს, მხარზე ემთხვია. ამ დროს ორივე მხრიდან მაღლა შეიმართა თოფები და ბათქის ხმამ შეგუბებული ჰაერი შესძრა.

თეიმურაზი ქაიხოსრო ყაფლანიშვილს, გივი ამილახვარს, მათ უკან მდგომ ბაგრატ ციციშვილს, მამუკა მუხრან-ბატონს და ფაშებს მიესალმა. შანშე ქსნის ერისთავის რიგმა რომ მოაწია, მის გვერდით ახლად შეღერებული ჭაბუკი შენიშნა; ტანოვანი, ლამაზი, სანდომიანი პირსახით, უნებლიედ შეაჩერდა — ვინ უნდა იყოს ამ დიდებულთა შორის? — გაიფიქრა თეიმურაზმა; იმ ახალგაზრდამაც წამოიწია, მაგრამ თეიმურაზმა დაასწრო, შანშე ერისთავს ეამბორა გულზე (თუმცა ადრინდელი წყენა ჯერაც არ დავიწყებოდა, ახლა მის გამჟღავნებას მაინც მოერიდა). შანშემ ოდნავ უკან დაიწია და ახალგაზრდაზე მითითებით უთხრა კახბატონს:

— თქვენი დისწული, მეფე იესეს ვაჟი თეიმურაზი გახლავთ.

— აჰ, ამოდენა ვაჟკაცი გამხდარა და მე კი ვერ ვიცნობ! — ეს თქვა გახარებულმა, გადაეხვია და გადაჰკოცნა.

თეიმურაზი უკან ჩამოდგა, გვერდით მოუდგნენ თავისიანნი, საპირისპირო მხარეს დაეწყვნენ ისაყი და მისი თანმყოლებიც.

ისაყმა ოდნავ წამოიწია წინ, მარჯვენა ხელი შემართა: საზეიმო ხმით წარმოსთქვა:

— მზეებრ ბრწყინვალე და ბედნიერი სულთან მაჰმუდის, დიდება მის სახელს, გულისხმიერება მორჩილთა მიმართ უსაზღვროა, განსაჯა და ისურვა თავისი ხალხის მიერ არჩეულ თეიმურაზს უბოძოს კახეთის მეფობა! — მერე თეიმურაზისაკენ მიიხედა და დასძინა — ფეხბედნიერად გემართოს შენი ქვეყანა!

— მზად ვარ ბედნიერი სულთანის სულგრძელობა დავაფასო და ვემსახურო როგორც ერთი ქვეშევრდომთაგანი! — საზეიმო ხმით უპასუხა თეიმურაზმაც, თან ეს გაივლო გულში: მაშინაც ასე იყო, ჩემი ძმა კონსტანტინე, რომ...

— ვაშა!

— იაშარნ! — გაისმა თითქმის ერთდროულად ორივე მხრიდან. ეს შეძახილი მიწყვეტილი არ იყო, ისევ თოფების ბათქმა შესძრა იქაურობა. თითქოს ცა გაფხრიწა და გრიალით გადაიარა მაღლა. ეს ხმა თეიმურაზს გულზე მოხვდა, ხომ შეიძლებოდა, მაშინდელივით მაღლა სროლის ნაცვლად შეებრუნებინათ და... ერთი მუჭა კახელებით აბარას უნდა გამხდარიყო?! ტანი აეჯინჭრა, თითქოს ეს იყო, ტყვიების ნაკადმა გაუარა.

ქალაქი საზეიმოდ მოერთოთ. ავლაბარში სამღვდელონი, ვაჭარნი და მოქალაქენი შეხვდნენ სტუმრად მოსულ კახბატონს. ანჩისხატის უბანში სამყოფად მიჩნეული ბაგრატ ბატონიშვილისეულ სასახლეში მიაცილეს. საღამოს თავისი კაცებით თბილისის გოგირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის აბანოში მიიწვიეს. სასმელ-საჭმელს ხომ არ იშურებდნენ, სულ ძვირფას, ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლით მიართმევდნენ ხოლმე.

მეტად თავაზიანად ექცეოდა თეიმურაზს მეჰმედ-ბეგი, ისე ეჭირა თავი, როგორც მორჩილ ყმათაგანს. აღარ იცოდა რითი ესიამოვნებინა. „ეს იყო, ჩემი ძმა კონსტანტინე რომ მოჰკლა, მე კი ასე თვინიერად მეპყრობა!“ — გულიდან არ ამოსდიოდა თეიმურაზს. როგორღაც გულიც ეზრზინებოდა ძმის მკვლელზე. მაგრამ იმის ადგილი არ იყო, რომ რაიმე ეთქვა. „რაღა ეს დამინიშნა მესტუმრედ?!“ — ფიქრობდა იგი, რამდენიმეჯერ რისხვითაც შეავლო თვალი. მეჰმედ-ბეგმა თავი დახარა. ალბათ გრძნობდა თეიმურაზის ყოფას. თეიმურაზმა კი მის ამგვარ ქცევაში ეს ამოიკითხა: — მე რას მერჩი... მიბრძანეს და ისე მოვიქეცი, ახლა ასე მიბრძანეს და მეც მათ ბრძანებას ვასრულებო...

* * *

თბილისი ძლიერ უყვარდა თეიმურაზს (ის ხომ აქ იყო დაბადებული და ფეხიც აქ აიდგა!). პირველ დღეს გული გაეშალა კიდეც. განსაკუთრებით მაშინ გაიხარა, მეორე დღეს თავისი და, ელენე ვაჟთან, თეიმურაზთან ერთად რომ ეწვია. ვინ იცის, რამდენი წელიწადი იქნებოდა, ერთმანეთი არ ენახათ; გადაეხვივნენ ერთურთს და-ძმა, რამდენიმე ხანს იყვნენ ჩაკრულნი, გული ვერ იჯერეს ალერსით. ელენეს რომ ჩამოსცილდა, მერე მისი ძე თეიმურაზი გადაკოცნა კახბატონმა.

— ვაჟკაცი გამხდარა, განა არა, გუშინ შევხედე თუ არა, გულმა მიგრძნო! — ალტაცებით ლაპარაკობდა კახბატონი.

— მცირედით უფროსია ჩემს ერეკლეზე ხომ?.. — იკითხა მერე.

— ექვსი-შვიდი თვით! — დაუდასტურა ელენემ.

— ჰგავს კიდეც ერეკლეს; თვალ-წარბზე, რამდენიმედ სახის იერითაც, მაგრამ ის უფრო დაბალია.

და-ძმამ ერთმანეთის ცხოვრების ამბები გამოიკითხეს. ელენემ ჯერ თეიმურაზს უსმინა, მერე თავისიც მოუთხრო, ისიც უამბო, რომ გივი ამილახვარს მოეკიდა და ტფილელის პირით მოყვრად თანხმობაც მიიღო.

ელენემ რომ უთხრა ძმას:

— რა დიდი ამბით მიგიღო ისაყ-ფაშამო, — თეიმურაზ კახ-ბატონმა თავისი შიშიც არ დამალა დის წინაშე.

— რა დაეჯერებათ მაგათ?! მეგობრობას ჰპირდებოდნენ ჩვენს ძმას, კოსტანტინესაც, მაგრამ როგორ მოექცნენ მერე?!

— უიმე, ღმერთო გვაშორე! — შეიცხადა ქალმა.

ელენე და თეიმურაზი რომ წავიდნენ, გული დასწყდა კახბატონს, თითქოს რაღაც დაჰკარგოდა. ასე ყოფნაც შეუმძიმდა, რაკი დას გაუმხილა, თითქოს უფრო მეტადაც გაუძლიერდა ეჭვი. მალე სურდა, კახეთს გაბრუნებულიყო, მაგრამ...

სალამოს პირზე კაფუჯიბაში სელიმი, იანიჩარ-ალა სულეიმანი და რამდნიმე ბეგი ეახლნენ:

— როგორ ბრძანდებით, ხომ არ მოიწყინეთო! — მათი პირით კითხულობდა ისაყ-ფაშა.

ბარე მოეწყინა, მაგრამ რას ეტყოდა ისაყის კაცებს!

მესამე დღეს გივი ამილახვარი, ბაგრატ ციციშვილი და ჯავახეთის ფაშა იბრაჰიმი გამოეგზავნა ისაყს, ისევ თეიმურაზის ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნას კითხულობდა იგი.

თეიმურაზს ეს თავაზიანი მოკითხვები სულაც არ სურდა. ბოლოსდაბოლოს ის შემოეთვალა, როდის გაუშვებდა კახეთში!

შემდეგ დღეს კაფუჯი-ბაში, იანიჩარ-ალა და ბეგები ეწვივნენ. ახლა კი თეიმურაზს უნდოდა ეკითხა — როდის აპირებს დიდი სულთანის ვეზირი ჩემს გაშვებასო, რომ მათ დაასწრეს და ამცნეს: ხვალისათვის დიდი ფაშა-დივანის წვევის ბრძანება აქვს გაცემული, თქვენს შესახვედრად. და ბედნიერი ფაშა გთხოვთ, დილის ჟამის ათზე მობრძანდეთო.

თეიმურაზს კიდეც გაუკვირდა და ეწყინა კიდეც: ამდენი ხანი იყო ელჩებს უგზავნიდნენ ერთმანეთს, შეთანხმდნენ. ეს კაცებიც მიმოდიოდნენ, ახლა კიდევ დივანის ნებართვა იყო საჭირო?!

ისაყის კაცნი რომ წავიდნენ, კიდევ უფრო გაგულისდა:

— აქამდე თვითონ არ გადაუწყვეტია და დივანის საკითხავად მიხდის საქმეს?!

სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა დაჰყოლოდა მათ ნებას.

მეორე დღეს მეჰმედ-ბეგთან ერთად თეიმურაზს კაფუჯი-ბაში სელიმი, იანიჩარ-ალა სულეიმანი, ჯავახეთის ფაშა იბრაჰიმი ეახლნენ თავისი მხლებლებით, ვით საპატიო სტუმარი, ჯერ ქალაქს გარეთ გაიყვანეს, იქიდან კი ნარიყალის ციხისაკენ წაუძღვნენ.

ციხის ალაყაფის კართან გამოეგება ისაყ-ფაშა თავისი ფაშა-ბეგებითა და ქართლელ დიდებულებით. კვლავ მისალმება, მხარზე თუ გულზე მთხვევა გაიმართა. ციხის ქონგურებიდან თოფების ბათქმა შესძრა ცა და დედამიწა, ხევ-ხუვების გამოძახილმა კიდევ უფრო შორს გაიტანა ეს ხმა.

ისაყმა წვეულნი თუ სტუმარნი ციხის წინ გაატარა და დაუთ-ხანისეულ სასახლის დიდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზში მიიწვია. დარბაზის შესასვლელის პირდაპირ, კედლიდან მცირედ მოშორებით ტახტი იდგა, ვერცხლით მოჭედილ-მოსევადებული, მის მარჯვნივაც ტახტი იყო, უფრო დაბალი, თანაც არც ისე მორთული. მათ გასწვრივ კი, ორივე მხარეზე, სავარძლები იყო რკალურად გამწკრივებული. მესტუმრე მეჰმედ-ბეგი სწორედ იმ მაღალ ტახტთან მიუძღვა თეიმურაზს, მარცხნივ თავისი კაცები დაუდგნენ. მარჯვენა მხარე ისაყ-ფაშამ, ქაიხოსრო ორბელიანმა, გივი ამილახვარმა, სხვა დიდებულებმა და ფაშებმა დაიჭირეს. დიდებულთა შორის იყო თეიმურაზ იესეს ძეც (ამით ისაყი ორ კურდღელს იჭერდა: გივი ამილახვარის გულიც უნდოდა მოეგო და თეიმურაზ კახბატონისაც).

ისაყი ოდნავ წინ წამოდგა, ოდნავ გამყივანი ხმით, როგორც მას ჩვეოდა, წამოიწყო:

— სიუხვისა და ბედნიერების სარქარდარმა მწყალობელმა და უხვმა, ქვეყნად სამართლიანობისა და სიხარულის დამამკვიდრებელმა, მორჩილთათვის მოწყალემ და ურჩთათვის მრისხანემ, სრულიად დასავლეთის მპყრობელმა სულთან მაჰმუდმა, დიდება მის სახელს, ინება კახთა მეფობა დაუმტკიცოს თეიმურაზ ნაზარალი-ხანის ძეს, ამასთან ჰპირდება, რომ იქნება მისი მწყალობელი და მოსარჩლე, ბედნიერი სულთანი მეფე თეიმურაზის მტერთ შერაცხავს თავის მტრად. მეფე თეიმურაზისაგან მოითხოვს, თავისი ქვეყნით გაუწიოს ერთგული სამსახური, დიდი ხელმწიფის მტერნი და ავის მოსურნენი შერაცხოს თავის მტრად!

ღვთივ დაცული და ბედნიერი ხელმწიფის ჯარი დაბანაკდება ყარაჯალს და საჭიროებისამებრ დაეხმარება კახთა მეფეს!

ისაყის უკანასკნელი სიტყვები გულზე მოხვდა თეიმურაზს. აქამდე თითქოს ყველაფერი რიგზე მიდიოდა, მაგრამ კახეთში, ყარალაჯში იქნებოდა თუ სხვაგან, თურქების ჯარის დატოვება თეიმურაზისათვის ხელებზე დადებული ბორკილი იყო, რა ექნა? შედავებოდა? თეიმურაზმა თავისიანებს გადახედა, რევაზ ანდრონიკაშვილმა ოდნავ შესამჩნევად გააქნია თავი. თუ უფრო თვალები გადახარა, ვერც კი მიხვდა თეიმურაზი, ამით ის უნდოდა ეთქვა, ეს ნათქვამი არ მომწონსო, თუ ის, რომ თავი დაანებეო:

ისაყი შეჩერდა, ოდნავ შემობრუნდა თეიმურაზისაკენ და განაგრძო:

— კახეთის მეფე თეიმურაზი დიდი ხელმწიფის მონა-მორჩილთა წინაშე აღიარებს, რომ იგი ერთგული მეგობარი იქნება ბედნიერი ხელმწიფისა!

ფიქრის დრო აღარ იყო. უნდა ეპასუხა თეიმურაზსაც.

— ვფიცავ მამა ზეციერს, რომ ჩემი შეძლებისამებრ ერთგულად ვემსახურო ქვეყანას ჩემსას და ბედნიერი ხელმწიფის სამსახურზე დავდო თავი ჩემი!

მაშინ ისაყმა უბე გაიხსნა. ქისა ამოიღო, ისევ თეიმურაზისაკენ შებრუნდა.

—გილოცავთ მეფობას, ფეხბედნიერად გემართოთ თქვენი სახელმწიფო! — ეს სთქვა, ქართული წესისამებრ თეიმურაზს თავზე ოქროს სიფრიფანა ფულები დააბნია.

ისაყს ქართველი დიდებულები: გივი ამილახვარი, ქაიხოსრო ორბელიანი, შანშე ქსნის ერისთავი, ბაგრატ ციციშვილი, თეიმურაზ იესეს ძე, ფაშები თუ ალა-ბეგები, და თვით კახნი მიჰყვნენ. ყველამ რიგრიგობით მიულოცა და ოქროები გადააყარა.

თეიმურაზს უმალვე გაახსენდა: მის დიდ პაპას თეიმურაზს მეფედ დასმისას შაჰ-აბას პირველმა რომ მიულოცა მეფობა და ოქროები დააბნია თავზე, მერე კი, ვინ იცის, რამდენგვარი მოსისხრობა არ გაუწია!

ისაყმა ნადიმის გამართვა ბრძანა.

* * *

თბილისიდან დიდის ამბით გააცილეს თეიმურაზი და მისი მხლებელნი, თვითონ ისაყ-ფაშა ქართველ დიდებულებითა და ფაშა-ბეგებით მეტეხის მხარეზე ქალაქის გასასვლელამდე მიჰყვა. მეჰმედ-ბეგმა თავისი მესტუმრე-მხლებლებით ჩადივარის ველზე, კახეთის საზღვრამდე მიაცილა. აქ კახი დიდებულები შეეგებნენ. თურქები რომ დაემშვიდობნენ და უკან გაბრუნდნენ, თეიმურაზმა მხოლოდ მაშინ იგრძნო სამშვიდობოს თავი.

ვიდრე ფშავში იყო, ისე წარმოედგინა, ერთი დღითაც რომ ღირსებოდა კახეთში ჩამოსვლა, უდიდეს სიხარულს მოჰგვრიდა ეს, ახლა, არა თუ ნახა, კახთა მეფეც გახდა, მაგრამ იმგვარი ბედნიერება არ უგრძვნია მაინც და მაინც. დაფიქრებული მიდიოდა, ხანდახან გარშემო თანამეინახეთა მხიარული საუბარი თუ გადაძახება გამოარკვევდა ფიქრებისაგან; ახლო წარსულს ავლებდა თვალს: ისაყმა კი შეუსრულა პირობა მეფედ დამტკიცების შესახებ და მშვიდობითაც გამოუშვა, მაგრამ არც მთლად გაანთავისუფლა, ყარალაჯიდან კახეთს თავს დააყენა თავისი ჯარი. ისიც გამოცანად დარჩა, პირობისამებრ უსუფ-ფაშა მართლაც რომ არ გამოჩენილა არსად. მაგრამ ეს რაღას ნიშნავდა, რომ მეჰმედ-ბეგი მესტუმრედ დააყენა თავს? უთუოდ რაღაც გაითამაშა ისაყმა, მაგრამ რა და რისთვის, ეს უკვე ჩრდილში რჩებოდა ჯერჯერობით. მერე მომავლის განსჯას შეუდგა.

სართიჭალას მისულიც არ იყო, რომ მოახსენეს:

—თბილისიდან გეახლნენ, რაღაც დაგრჩენიათ და მოგვწიესო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზი შეფიქრდა: რა უნდა დარჩენოდა ისეთი? ჯიბეები მოიჩხრიკა, არაფერი აკლდა, უცბათ იაზრა, უბე მოისინჯა, ოქროს ძეწკვით ლუსკუმა აღარ ჰქონდა.

— მოიყვანეთ! — უბრძანა.

როდესაც მოიყვანეს მთხოვნელნი, ერთ-ერთმა მათგანმა ლუსკუმა გადასცა თეიმურაზს, თან ეს უთხრა ხმადაბლა:

— ჩვენი თავი გივი ამილახვარმა გაახლათ, ცალკე გვინდა მისი დანაბარები გადმოგცეთ.

## ბედსწეული თეიმურაზ იესეს ძე

შუა შემოდგომა იყო, ღვინობისთვის ნახევარი. ველ-მინდვრებს თითქოს ჩალისფერი ნაბადი ეფინა. მხოლოდ ირტოზ-ოკამის ახლოს ბაღ-ვენახებსა და თხოთის მთის ფერდობზე გაყოლებულ ტყეს შერჩენოდა მცირედ სიმწვანე. ჩრდილოეთით ქონგურებიან ზღუდესავით შემართულ კავკასიონს საბანივით მოსხმოდა ლეგა ფერის ბურუსი. სამხრეთითაც შორს, სადღაც ცაზე მორუხო ფთილებად მიმოფანტულიყვნენ ღრუბლის ნაფლეთები. შორს, უფრო სამხრეთით იყვნენ გადანეულნი ისე, რომ იშვიათად თუ მზეს გადაუჭრიდნენ გზას.

საკმაოდ მზიანი და თბილი დღე იდგა.

თვის დაწყებისას ამინდი მოიშალა, გადაუღებელ წვიმებს სიცივე მოჰყვა, მთებში ჩამოთოვა. რამდენიმე დღეს გაგრძელდა ასე, ეგონათ კიდეც, ეს არის ზამთარი დაიწყოო. მერე ამინდი გამოვიდა, მოთბა, პატარა ზაფხული დადგა, საწყალი კაცის ზაფხული. იმ სიცივეებმა რომ შეახსენეს ზამთარი და გააფრთხილეს, დროზე შესდგომოდა ხაიმისოდ მზადებას.

მგზავრები სიამოვნებით მიაგელვებდნენ თხოთის მთის გასწვრივ ცხენებს. ხალისსა ჰგვრიდათ მზიანი თბილი დღე, ოდნავ შესამჩნევი ნიავი რომ ელამუნებოდათ სახეზე. მსუბუქი რონინი და ცხენების ფეხთა თქარათქურიც ხმაანწყობილად რომ ჩაესმოდათ.

თეიმურაზ იესეს ძეს ისედაც მიუხაროდა, ან კი როგორ არ გაიხარებდა, ეგრერიგად სანუკვარი სურვილის შესასრულებლად ცა გახსნოდა და ეს-ეს იყო, ბედს უნდა სწეოდა.

— ნუთუ მართლა?! — მალ-მალე ეკითხებოდა გზად მიმავალი თავის თავს, ვერ დაეჯერებინა, თუ მართლაც შეიძლებოდა მისწვდენოდა მიუწვდომელს. ვინ იცის, რამდენი დღე დაუღამებია და ღამე გაუთენებია მასზე ფიქრით ჭაბუკს. რა დიდ ბედნიერებად მიაჩნდა, თუნდაც ერთი თვალის შევლება. (ისიც გაახსენდა, მისი ნახვის სურვილით ატეხილმა ხეზე ასვლით რომ სცადა, შორიდან მაინც დაენახა), ახლა კი საქვეყნოდ და გაცხადებულად მის შესახვედრად მიდიოდა...

მიმავალი მდუმარედ მიჰყვებოდა გზას, არავის ხმას არ სცემდა. რამდენიმეჯერ სცადეს თანამგზავრებმა გამოლაპარაკებოდნენ ბატონიშვილს, მაგრამ მისგან უხალისო პასუხი რომ მიიღეს, გაეცალნენ, ან რათ უნდოდა სხვასთან საუბარი. განა ცოტა ჰქონდა საკუთარ თავთან სათქმელი, თავის ფიქრებს ისე იყო გაყოლილი, არავინ უნდოდა ჩამოზიარებოდა და მათი დენა დაერღვია.

ენაზე სულ თამარი ადგა, სხვებთან საუბარშიც კინაღამ წამოსცდებოდა ეს სახელი. თვითონ თამარი კი, ალბათ იმის გამოც, აქამდე რომ მხოლოდ შორიდან, თვალის შევლებით თუ ხედავდა, ადამიანად კი არა, რაღაც ზებუნებრივ არსებად ესახებოდა... ღვთაებრივი მადლით მოსილად. მისი სახელი თუ მისი გახსენება ისეთ ნათელს ჩაჰფენდა ხოლმე გულში, ჰაეროვანსა და ალმტაცებელს, რომ ამგვარი რამ ზეციერი მადლმოსილების გარეშე შეუძლებელი იყო ეგრძნო.

ოკამს გასცდნენ, თეიმურაზს შორიდან ისე ეჩვენებოდა, თითქოს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გამოწვდილი ცხვილოს ქედი სამხრეთით გაწოლილ თხოთის ქედამდე ეშვებოდა და გზა-გასავალს კეტავდა, რომ მიუახლოვდნენ, მაშინ იგრძნო, ვიწრო ხეობა რომ ჩაუდიოდა. დაბლობს გადახედეს. ქვევით იგოეთი გამოჩნდა, თავისი ბაღ-ვენახებით, ყელში კი წითელი საყდარი; ოსე ბარათაშვილი წამოეწია.

— ბატონიშვილო, აქ უნდა დავიქვეითოთ. შესაწირი მივართვათ ამ წმინდა საყდარს! — უთხრა მან თეიმურაზს, მცირე ხანს შემდეგ დასძინა, — ეს საყდარი, შეგეწიოთ მისი მადლი, ღვთის მშობლის სახელზეა აგებული. ყოვლად ძლიერია, მრავალ სასწაულთმოქმედი, მგზავრნიც ისე არ გაივლიან, რომ მცირედი არ შესწირონ და კეთილი გზა არ შესთხოვონ.

თეიმურაზი ცხენიდან ჩამოხტა, ჩამოხდნენ სხვებიც. საყდარი კარებგამოკეტილი დახვდათ. მოუვლელსა და უპატრონოს ჰგავდა. — სხვა მრავალ წმინდა საყუდელთა მსგავსად ამასაც აღარ ჰყავს მოძღვარი, ესოდენ სასწაულმოქმედი ეკლესია მიტოვებულია! — განმარტა ოსემ.

პირჯვარი გადაისახეს. ჯიბეები მოიჩხრიკეს, წვრილი ფული შესწირეს და გზა კეთილი შესთხოვეს, მერე ისევ ცხენებზე შესხდნენ და გზა განაგრძეს.

იგოეთს გასცდნენ თუ არა, მარჯვნივ გაუხვიეს. გზის პირზე ხეები გასდევდა. ხეთა შორის ცად აწვდილ გუმბათს ჰკიდა თეიმურაზმა თვალი, ვიღაცამ ახსენა სამთავისიც. სიძველეთა სიყვარული ბატონიშვილს სისხლში ჰქონდა გამჯდარი. შეხედა თუ არა, მაშინვე გული აუცქმუტდა, — მისი ნახვა-განსჯის სურვილი წამოეძალა. მაგრამ ახლა ამის დრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იყო. იფიქრა, ახლოს რომ გაუვლიდნენ, კარგად დაჰკვირვებოდა მაინც, თან ეს გაივლო გულში: უთუოდ ნეტარ თამარ მეფის დროს არის აშენებულიო.

როგორც კი სამთავისს მიატანეს, თვით გივი ამილახვარი, დიოფალი ბანგუა, სამთავისის ეპისკოპოსი თეოფანე და ხელშინაურნი შემოეგებნენ. მათ დანახვისთანავე მამუკა მუხრან-ბატონი გვერდში ამოუდგა თეიმურაზს. ჩამოქვეითდა მამუკა, მას მიჰყვნენ თეიმურაზი და მისიანნი.

სტუმარ-მასპინძელნი ერთმანეთს მიეახლნენ. გივი წინ წამოდგა. მუხლი დაიდრიკა სტუმართა წინაშე. მერე ქართული წესისამებრ მხარზე ეამბორა სტუმრებს. მუხრან-ბატონი ბანგუა დიოფალს კაბის კალთაზე ემთხვია, მას მიჰყვნენ თეიმურაზი და სხვები, შემდეგ მღვდელმთავარს ეამბორნენ ხელზე. სამთავნელმა ვერცხლის ჯვრით, გულზე ვერცხლისავე ძეწკვით რომ ეკიდა, სამგზის გარდასახა ჯვარი.

— ღმერთმა დაგლოცოთ და გზა სიკეთისა მოგანიჭოთ!

მალე თეიმურაზმა ჭალის ციხე-სასახლის ქონგურებიც დალანდა, ცოტაც და ზედ მიადგნენ სანგარს. მაღალ თაღებიან ალაყაფის კარების აქეთ-იქით ხმალშემართული ჭაბუკები იდგნენ, ბანგუასთან ერთად გივი წინ წაუძღვა სტუმრებს; ის იყო თეიმურაზმა კარების ზღურბლს გადააბიჯა, რომ სანგრის თავზე თოფების ბათქმა იქუხა, თითქოს ცა გახლიჩა და შორს სადღაც გრუხუნით გაიჭრა. რამდენიმე წუთის შემდეგ მეორედ გაისმა ბათქის ხმა. შემდეგ, სასახლის წინ რომ ჩაიარეს, მესამედ იჭექეს თოფებმა.

სტუმარ-მასპინძელნი კიბეებით მაღლა სართულზე ავიდნენ, აივანზე საკმაოდ მოიყარეს თავი მასპინძლებმა, სამყოფი ოთახები მიუჩინეს, გაეცალნენ — ხელპირი დაიბანეთ, მცირეთ დაისვენეთო და... თეიმურაზმა მამუკას მსგავსად მეწამული მოსასხამი მოიხსნა, კაბაც გაიძრო, მსახურებმა ხელ-პირი დააბანინეს, შეიმშრალა, ისევ ჩაიცვა კაბა, აივანზე გაჩერდა და გახედა. მზეს გადაეწია უკვე, დასავლეთისაკენ დაეტანებინა, ველარ აცხუნებდა შუადღის მსგავსად, უფრო სიგრილე იგრძნობოდა, მზის ახლოს მუქ ფარდასავით ჩამოფენილიყო ნისლოვანება. მასზე წვრილ სარტყლებად ეშვებოდა წითელი ღვინისფერი თუ სისხლისფერი სხივთა ნაკადი. თეიმურაზი თითქმის პირველად ხედავდა ასე თავისებურად შეფერადებულ ცას. მის წინ მცირე ქედი გასდევდა, ქედს იქით მთებსა ლანდავდა, უფრო შორს კი... და თავი სადღაც, მომხიბლაობის სასუფეველში იგრძნო, ლამაზი საღამო იყო, მაგრამ თეიმურაზის თვალში ეგრე მომაჯადოებელს უფრო თამარ-ქალი ხდიდა, ის თამარი, რომლისთვისაც აქ ჯერ თვალიც არ მოეკრა, მაგრამ როგორღაც ყველაფერში იყო თითქოს და ყველაფერს მშვენებას ანიჭებდა, დიდ ხანს უმზირა. მერე ოთახში შევიდა, შიგნით სიმრუმე იგრძნობოდა, ჩამოჯდა, ცოტა ხანს უნდოდა თავის თავთან დარჩენილიყო და განესაჯა: სიზმარი იყო ეს ყოველივე, თუ სინამდვილე.

„ამ ოთახშიც, ვინ იცის, რამდენჯერ შემოსულა?!“ — გაივლო გულში. „ნეტავი ახლაც აქ გაჩნდებოდეს!“ — ინატრა შემდეგ.

ბეჟან ამილახვრისშვილი მოვიდა, სტუმრები მოიპატიჟა. თეიმურაზს ისევ მამუკა გაუძღვა წინ. დიდ დარბაზში შევიდნენ, დარბაზის კედლებს მუქი წითელი და ლურჯით ნაზავები ნაირ-ნაირი ფრესკები ამშვენებდა. იატაკზე ხალიჩები იყო მოფენილი. ორ გრძელ მაგიდაზე გაეშალათ სუფრები, მათზე ვერცხლის სინებით იდგა მოხარშული თევზი და ხორცი, ვერცხლისავე ლანგარებზე ელაგა ლავაში და შოთის პურები. ერთი მაგიდა კედელთან ახლოს იდგა, სწორედ იმ მაგიდის შუა ადგილზე დასვეს თეიმურაზი. მარჯვნივ მამუკა მუხრან-ბატონი მიუჯდა, მათ გასწვრივ გალაგდნენ დანარჩენი სტუმრები. იმავე მაგიდის მეორე მხარეს, სუფრის თავში რამდენიმე დროული კაცი, მათ ქვემოთ კი ასევე რამდენიმე ახალგაზრდა დასხეს.

მეორე მაგიდაზე სუფრის თავში გივი ამილახვარი დაჯდა. მის პირისპირ ბანგუა დიოფალი, ასევე მეუღლეების პირისპირ ჩამწკრივდნენ სხვებიც. სამთავნელმა სუფრა აკურთხა. ყველამ პირჯვარი გადაიწერა და საჭმელი იხმიეს. დოქებით მწდეები ჩამოდგნენ, თასები დაუვსეს მესუფრეებს. გივი ამილახვარმა თამადად თავისი სახლიკაცი ბეჟანი დასთქვა. მზარეულებმა ცხელად მოხარშული ხორცი შემოიტანეს. თამადამ პირველად ოჯახი ადღეგრძელა. მესაკრავეებმა ბანი მისცეს თამადას.. ბეჟანმა მერე ქვეყნის სადღეგრძელო შესვა და შემდეგ შეკრების მიზეზის გამხელა მოითხოვა, სტუმრებიც ახმიანდნენ.

— რისთვისაც მთები და ველები დავლახეთ, ის გვანახვეთო. მამუკა მუხრან-ბატონი, როგორც ჯვრის მტვირთელი, სუფრიდან წამოდგა, მას ორიოდე სტუმართაგანი და რამდენიმე მასპინძელთაგანი აჰყვა. დარბაზიდან გავიდნენ და ცოტა ხნის შემდეგ ქალიშვილების თანხლებით თამარი შემოიყვანეს დარბაზში. მესაკრავენი ხმადაბლა აჟღერებდნენ საკრავთ, მამაკაცთა დვრინი თითქოს შორიდან ისმოდა.

თეიმურაზს უფრო მაღალი ეჩვენა, კანდელების შუქზე თეთრ სამოსში, თეთრი თავსაბურავით. თვითონ კამკამა ღვინისფერი, ველად გაშლილ ღილილოს ჰგავდა, თუ მარგალიტს ტურფად ნაქანდაკებს. თამარი გვერდ-

ეროვნული

ზე მოუყენეს თეიმურაზს. ძვირფასი თვლებით შემკული ბეჭედი თავისი ხელით გაუკეთა თეიმურაზმა, და ოდეს ხელი შეახო მის თითებს, ტანში საამო ჟრჟოლამ დაუარა... სამაჯურები და ყელსაბამი მაგიდაზე დააწყო.

თამადამ სადღეგრძელო იმით წამოიწყო, რომ ამ დღიდან იწყებოდა ორი ნორჩი ყვავილის შეერთება. ერთმანეთის სიყვარული და ბედნიერი ცხოვრება უსურვა, შემდეგ თეიმურაზი უფლისწულობით მოიხსენია. ქართლის მეფეთა ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ, ქვეყანა მომავლის იმედად რომ შეჰყურებდა, ამან ბიძგი მისცა ზოგიერთებს თეიმურაზი მეფედაც მოეხსენებინათ. ჭაბუკს გული აუჩქროლდა, ეს ოცნება აუხდა, ვინ იცის, იქნებ მალე ამხდარიყო ისიც?!

სამთავნელმა ჯვარი გადასახა და გაძლიერება-გამრავლება უსურვა.

თეიმურაზი გივისადმიც სიყვარულით განიმსჭვალა, მამის მაგიერად წარმოესახა. გულისყურიც მისკენ ჰქონდა მიპყრობილი. რას ეტყოდა. გივიმ დალოცა ორივე, როგორც თავისი შვილები, სამარადჟამოდ ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული უსურვა. არც უფლისწულობაზე უთქვამს რამე, არც მეფობას გადასწვდენია. თეიმურაზს გულზე მოხვდა ეს: „იქნებ იმიტომ, ბიძაჩემს ვახტანგს უჭერს მხარს და ჩემი გამეფება არ სურსო?“ — გაივლო გულში. ცოტა ხანს დასტრიალებდა ამ აზრს. მაგრამ მალე გადაიგდო გულიდან ეს ფიქრი.

დარბაზის თაღებს ქვეშ საამოდ გუგუნებდა ხმაშეწყობილი მრავალჟამიერი.

— ნუთუ ეს ცხადია და არა სიზმარი? — კიდევ გაიფიქრა თეიმურაზმა. არა, ცხადი იყო, და გვერდზე უდგა თავისი სათაყვანებელი თამარი. აბა, მეტი ბედნიერება რაღა იქნებოდა?!

სადღეგრძელოს ფეხზე მდგომნი ისმენდნენ. რომ მოთავდა, დასვეს.

თეიმურაზს ჰაეროვნად, მაინც რაღაც ციურ არსებად ეჩვენებოდა თამარი. თითქოს ვერც წარმოედგინა თუ ხორციელი იყო ისიც. რამდენიმეჯერ მოინდომა შეხებოდა როგორმე, მაგრამ მოერიდა, ვაითუ სწყენოდა მის სალოცავს. ბოლოს მაინც გაჰბედა, ხელი გააპარა მაგიდის ქვეშ და ხელზე მოჰკიდა. მეტად სათუთი და რბილი ეჩვენა თამარის ხელი. თამარმაც თითები ნაზად მოუჭირა ხელზე. კვლავ ჟრჟოლვამ დაუარა ტანში, მის ხელიდან სითბოს ღვარი წამოვიდა, თითქოს, და ჭაბუკის მთელ სხეულს მოეფინა.

ერთხანს ასე ეჭირათ ერთმანეთის ხელი.

არა, ცხადი იყო, ამაზე მეტ ბედნიერებას ვერც ინატრებდა თეიმურაზი.

## საგონებელში ჩავარდნილი ისაყ-ფაშა

ისაყ-ფაშას თავსატეხი და საზრუნავი მოემატა; თამაზ-ხანმა სურხავი მთაშიც დაამარცხა და სამხრეთისაკენ ჰქნა პირი, დღე-დღეზე მოელოდნენ, რომ განჯას შემოადგებოდა. ნარიყალა-კოჯორი, ლორე და ახლო-მახლო ციხეები თურქთა ჯარით აივსო. სულთანი ამიერკავკასიის დაკარგვის საფრთხემ შეაშფოთა, თანაც არ ავიწყდებოდა ბაღდადის მარცხი; ფიქრობდა, არამარტო დაეცვა ამიერკავკასია, სამაგიეროც გადაეხადა ირანის ძლევამოსილ სარდლისათვის. პორტას შემახიის დაკარგვამ გული ატკინა, მაგრამ წინ განჯა-ყარაბაღი იყო და იმედოვნებდა, აქ მოეტეხა თამაზ-ხანისათვის კისერი, ამიტომაც მთავარი ძალები აქეთ წარმომართა.

როგორც ჩანდა, სულთანის კარი დიდ იმედს ამყარებდა ისაყ ფაშაზე, საგანგებო ფირმანი გამოუგზავნა, ახალი მამულების ბოძებასთან ერთად, მას ავალებდა თამაზ-ხანის წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელობასაც. ფირმანებითვე ებრძანათ განჯის ბეგლარ-ბეგს ქემალ-ფაშას, სურხავს, კახთა მეფე თეიმურაზს და სხვათა, როგორც სულთნის ნების მაუწყებელს, დამორჩილებოდნენ ისაყის ბრძანებას და მისი მითითებისამებრ ემოქმედათ.

ისაყს თუმცა ის არ მოსწონდა, ამდენი სადავიდარაბო რომ გაუჩნდა, მაგრამ ის კი ახარებდა მის პატივმოყვარე გულს, მთელი ამიერკავკასიის გამგებელი რომ გახდა; მის ბრძანებას რომ უნდა დაქვემდებარებოდა აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველო, განჯა-ყარაბაღი და შარვანის მხარე. უკეთესს რას ინატრებდა ისაყი? ეგების მოხერხებოდა გურჯთა ქვეყნების გაერთიანება და ერთიანი გურჯისტანიც შეექმნა? ამ აზრმაც გაუარა, მაგრამ უმალ გაჰქრა, რადგან ხედავდა, რომ მისი ძალაუფლება სულთანის ტახტის ქობასთან იყო მიბმული; ის ძაფი იყო, რომ ათამაშებდა, ხან მიუშვებდა, გააძლიერებდა; ხან კი... როცა პორტას გაუჭირდა, მაშინ მისი უფლებები ეგზომ გაიზარდა, როცა ულხინდა, მაშინ?... მაგრამ, ისიც კარგად იცოდა, თუ სულმთლად მისჭირდებოდა და სულთანის ძალა-უფლება დაემხობოდა, მასაც დაამხობდნენ.

მაშ ასე, ღვთის ნებით გაჩნდა მტერი თამაზ-ხანი, სულთანის ჯარები არაერთგზის დაამარცხა და გურჯთა ქვეყნის მმართველსაც ფასი დაედო, სულთანი შიშობს, ესეც არ დაკარგოს და ისაყი ფარხმლად ესახება... მაგრამ მეორე საშიშროებაც მოადგა: თუ თამაზ-ხანი აღმოსავლეთ ქვეყნებს — განჯა-ყარაბაღსა და ქართლ-კახეთს დაიჭერს, და აღადგენს ძველ საზღვრებს, მაშინ? ჰო, აი მაშინ?! ისაყმა უნდა იძალოს, არ დაუთმოს, უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სძლიოს თამაზ-ხანს, ვინ იცის, მერე იქნებ ერთიანად გურჯისტანიც დაირჩინოს (ეს აზრიც არასოდეს ეშვებოდა); ახლა კი მის სახლს შარავანდი მოსავდა: განჯის ბეგლარბეგი, თუ სურხავი, ისე როგორც იმერეთ-გურია-სამეგრელო-აფხაზეთის მეფე-მთავრები მას ეკითეხბოდნენ, სათხოვარიც თუ რამ ჰქონდათ, მას სთხოვდნენ. იგი იყო სულთანისა და მათ შორის შუამავალი, სულთანის ნებისა, თუ სულთანის სახელით თავისი ნების აღმსრულებელი... თვითონ თურქი ფაშები და ბეგებიც მოწიწებით შესჩერებოდნენ ისაყს (ასე გახლავთ, თუ ძალაუფლება გიპყრია ხელთ, ყველა ისე შემოგცქავის როგორც კატა ლომს, მაგრამ თუ დაკარგე, ვაი შენს დღეს, ქუჩის უკანასკნელი გლახაც თავში ჩასარტყმელად მოგეტანება!)

აი, დღესაც, ჯარებს ათვალიერებდა, სიფაების ფაშა-ბეგებსა და იანიჩარ-აღებსაც ისე მოკრძალებით ეჭირათ თავი მასთან, როგორც მბრძანებლის წინაშე. ამან სიამოვნებაც მოჰგვარა და სიამაყეც აღუძრა. აბა, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, თუ არა ასე! სულთანმა მას დაუმორჩილა, მათი ბედი ისაყის ხელთ იყო! მერე უნებლიედ გაახსენდა, სულთან მაჰმუდმა ტახტზე ასვლისთანავე თავისი კაფუჯები რომ გამოგზავნა, ისაყი შეაპყრობინა და ისე უპატიურად სამეფო ქალაქში წაათრევინა; მაშინ კაფუჯებს მთელი ამალა დაესია. მათგან ბევრი იქნებ იმათ შორისაც ერია, დღეს რომ შესციცინებდნენ. ვინ იცის? განა ის პირველი იყო? ჰოდა, ისინი მაშინ ისე უპატიურად რომ მიათრევდნენ, დღეს? თან გაეღიმა და თან გული ეტკინა. — ეჰ, რანი ვართ კაცნი, ერთ დღეს შეიძლება ცამდე აღგვზევდეთ, მეორე დღეს ლაფში გვათრევდნენ, ანდა პირიქით, ლაფიდან გაგვათრიონ და ცამდე აგვწიონ!

ისაყი მეორე დღისათვის ლაშქარს ამზადებდა განჯაში წარსაგზავნად. ყველა ცნობის მიხედვით, აქეთ მოემართებოდა თამაზ-ხანი თავისი ლაშქრით. შამახიაში ძლეულმა სურხავმაც მთაში ლაშქარი შეჰკრიბა და დასახმარებლად განჯას მოაშურა. — განჯასთან უთუოდ კისერს მოვუგრეხავთ გათავხედებულ თამაზ-ხანსო, — აიმედებდნენ განჯის ბეგლარ-ბეგი ქემალი და სურხავი ისაყს და საჩქაროდ ლაშქარის მიშველებას სთხოვდნენ.

რამდენიმე დღის წინ ორი ათას კაციანი ჯარი წარგზავნა, თან ტყვია-წამალი და საჭურველი აახლა, ქიზიყს უნდა ჩასულიყვნენ, ყარაღაჯში მდგომთაგან გაეყოლებინათ ხუთასამდე იანიჩარი და განჯას მისულიყვნენ. ვიდრე თამაზ-ხანი განჯას მიუახლოვდებოდა, ამათ ხელი უნდა შეეწყოთ ქალაქის გამაგრებისათვის, თან დამცველნიც გაემხნევებინათ. ის ლაშქარი დღეს თუ არა, ხვალ მაინც იქნებოდა განჯას, ხვალისათვის გასაგზავნი ჯარიც უთუოდ დაასწრებდა თამაზ-ხანს და მის მოსვლამდე შევიდოდა განჯაში. თამაზ-ხანი თუ მიმართულებას არ შეიცვლიდა, რამდენიმე დღის შემდეგ ისაყი კიდევ აპირებდა ახალი ლაშქრის გაგზავნას.

დათვალიერებიდან მობრუნებულმა ისაყმა კაფუჯი-ბაში სელიმი იხმო, სულთანისადმი მისართმევი მოხსენება დააწერინა, თამაზ-ხანის წერილი, სულთანის კარზე რომ გზავნიდა მოხსენებასთან ერთად, ხელახლა ჩაიკითხა: „თქვენი სამკვიდრებელი ჩვენს ფადიშაჰთა საყმო იყო ძველიდანვე, პაპანი თქვენნი ქრისტიანობით ეყმნენ დიდ შაჰინ-შაჰს თამაზს, კურთხევაც იყოს მასზე, და დიდ შაჰინ-შაჰს აბასს, კურთხეულ იყოს სახელი მისი, პაპის პაპა თქვენი ქაიხოსრო, მერე მისი ძენი და ძის ძენი შაჰის ერთგულების საჩრდილობელს იყვნენ შეფარებულნი, სულთანმა მიიტაცა შემდეგ. ეხლა მოვდივარ ძლევამოსილი ლაშქრით ღვთის მგმობელ სულთანის ლაშქრის გასანადგურებლად. გირჩევ შენც არ ჩაჰყვე ზვავს, ზურგი აქციო სულთანს; ვიდრე დრო არის, ეყმო ჩვენს ფადიშაჰს აბას მესამეს და მისგან დაიმტკიცო შენი მამა-პაპათა სამკვიდრებელი.

ირანისა და არაირანის შაჰის აბას მესამის ყული და ძლევამოსილი სარდალი თამაზ-ხანი!".

რისთვის წერდა ამას თამაზ-ხანი? მართლა ფიქრობდა განა, რომ ისაყ ჯაყელს, ვეზირსა და სამთულიან ფაშას, შეიძლებოდა ზურგი შეექცია სულთანისათვის და მას ყმობოდა? არა, ისაყს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ თამაზ-ხანი თითქოს ისეთი გულუბრყვილო ყოფილიყო, ასეთი რამ დაეჯერებინა. მაშ, რატომ აფრთხილებდა წინასწარ? ეს ხომ მის გეგმებს ამჟღავნებდა? იქნებ იმიტომ, რომ გეზი უნდოდა ეცვალა, სულთანს სხვაგან უნდოდა თავს დასხმოდა (როგორც არაერთხელ უქნია) და ამით გზაკვალი სურდა აერია? ასეთი რამ შეიძლებოდა, მაგრამ ძლიერ საეჭვო იყო, რომ ირანის ნიჭიერ სარდალს იმჟამად ამიერკავკასია მიეტოვებინა და სხვაგან მიეტანა იერიში. თუ ამით სულთანისა და მისიანებისათვის შიში თუ უნდოდა ჩაეგდო გულში?!. ვინ იცის? მერე მუხრან-ბატონის, ქსნისა და არაგვის ერისთავებისათვის გამოგზავნილ წერილებს გადახედა. დაახლოებით იგივეს სწერდა მათაც, მათ მსგავსად წერილებს ალბათ სხვებსაც დაუგზავნიდა თამაზ-ხანი. ცხადია, არც მათ დასტოვებდა, ოღონდ ეგ იყო, ჯერ არ ჩანდა მათი წერილები. როგორც თავის, ისე სხვების სახელზე მოწერილი წერილების გაუგზავნელობა არ ივარგებდა, მაგრამ ცოტა გულზეც ჰკბენდა ეს ამბავი. რას იფიქრებდნენ სამეფო კარზე? ზოგს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ ეჭვიც შეჰპარვოდა, ისაყმა მართლაც არ გვილალატოსო. უფრო ცუდი ის იყო, რომ იმ ოხერმა თამაზ-ხანმა ქართლის თავადებთან გაათანაბრა სულთანის ვეზირი და სამეფო კარზეც, ძალაუნებურად შეიძლება ასევე მიელოთ.

კაფუჯი შემოვიდა. თავდახრით მოახსენა:

— ქაიხოსრო ორბელიანი და ბაგრატ ციციშვილი გეახლენო.

ისაყმა წვევა უბრძანა კაფუჯს.

მათაც თამაზ-ხანის წერილები მოართვეს.

—თამაზ-ხანი გვწერს ამას და უნდა იცოდეთ! — მოახსენეს მათ.

ისაყმა მადლობა გადაუხადა ერთგულებისათვის, მერე იკითხა:

— თქვენ როგორ ფიქრობთ, რა ზრახვა ამოქმედებს თამაზ-ხანს, ამ წერილებს რომ გზავნის?

არც ისე ლანოვანმა, თუ უფრო ტანმორჩილმა ქაიხოსრომ გრძელ ულვაშებზე გადაისვა ხელი.

— ცხადია, მას ამიერკავკასიის დაპყრობა სურს, ცდილობს, იქნებ ალმოჩნდნენ სულმოკლენი და გადაიბიროს; ზოგსაც თუ შიში შთაუნერგა, ამითაც საქმეს გაიკეთებს! ამ ქალალდების დაგზავნით კი რას კარგავს?! ეს არის მისი მიზანი...

— მეც ასე მგონია! — დაუდასტურა თავისებური ბოხი ხმით ახოვანმა ციციშვილმა.

ისაყი ერთ ხანს ჩაფიქრებული იყო, მერე ისევ თავადებს მიუბრუნდა:

— ხომ შეიძლება, მართლაც, თამაზ-ხანის მიერ დაგებულ ანკესს წამოეგოს ვინმე?

— თამაზ-ხანის სატყუარა ვერავის მიიზიდავს! — სთქვა ახლა ბაგრატ ციციშვილმა.

— მართალს ბრძანებს, ბატონი ბაგრატი, ისეთი არავინ მეგულება, რომ მაგგვარი გზა ირჩიოს! — დაემოწმა ორბელიანიც.

— რა სარგებელს უნდა ელოდეს, რომ თამაზ-ხანისაკენ გადავიდეს ვინმე? სულერთი არ არის სულთანს ეყმობა თუ შაჰს. ორივეჯერ ყმაა. ჩვენ, ქართველებს იმდენი ძალა არ შეგვნევს, რომ ორივე განვდევნოთ და ჩვენთვის ვიყოთ, ყმა თუ ხარ, მაშინ ისევ შეჩვეული ბატონი უნდა ირჩიო!

ისაყი ცოტა არ იყოს, გაკვირვებული დარჩა. მეტად გულახდილად ლაპარაკობდა ციციშვილი.

— კარგად გვახსოვს შაჰის ყმობაც, არავის დავიწყებია, არა მგონია ვინმემ ისევ ირჩიოს ის! — თქვა ქაიხოსრომ და ახლა ოდნავ წამოზრდილ წვერზე შეივლო ხელი.

— არ მოგახსენეთ? — დაიწყო კვლავ ბაგრატ ციციშვილმა, — ჯერ ისედაც პატარაა ჩვენი ქვეყანა, ისიც ცალკეულ სამეფო-სამთავროებად არის დანაწევრებული; ერთად რომ ყოფილიყო, მაშინაც გაგვიჭირდებოდა ძლიერი სულთანისა და შაჰის ჯარების გამკლავება; ახლა ასე გაცალკევებულთ, ისიც ერთმანეთში სულ ძიგლიგი და ძალლთა პურის ჭამა რომ გვაქვს... აბა, რას გააწყობდა ასეთი ქვეყანა, სხვა რა გზა აქვს ყმობის გარდა?

— იქნებ ახალი ბატონი ირჩიოს? — ისევ იკითხა ისაყმა.

— არა! ხომ მოგახსენეთ, შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინსო.

— სამდურავიც რომ ბევრი ისმის? — კიდევ იკითხა დაეჭვებულმა ისაყმა.

ორბელიანს ძალა-უნებურად გაეღიმა.

— ყმა ბატონის მადლიერი არ მინახავს, მაგრამ მაინც ემსახურება და ერთგულებაზეც თავს სდებს, — ცოტა მერე დასძინა, — სრული იმედი იქონიეთ, რომ ჩვენ მაინც თავდადებულად ვემსახურებით სულთანს.

— კახეთი? — კვლავ ჩაეძია ისაყ-ფაშა.

— კახეთის რა მოგახსენოთ. კახნი უკანასკნელ ხანამდე ერანის ყაენის ერთგულებაზე სდებდნენ თავს და ახლა რა ვიცი!

ორივე წამოდგა, დაემშვიდობნენ ისაყს და წავიდნენ.

ისაყი ორივეს ნათქვამს წონიდა. მათი ნაუბარი პირდაპირ და გულახდილ ნათქვამად ეჩვენებოდა, ამიტომ სანდოდაც, მაგრამ ეჭვმაც გაჰკრა, ორივე ერთ პირზე ლაპარაკობდნენ, თითქოს წინასწარ იყვნენ შეთანხმებული, ხომ არ ცრუობდნენ და მისი გაცურება არ ენადათ?

ორ ჟამსაც არ გაევლო, გივი ამილახვარის კაცი ეახლა, ისეთივე წერილი მოართვა ისაყს, როგორიც სხვა თავადების იყო და თან ბოდიში მოჰხადა თავის ბატონს, რომ ხელისა და ფეხების ტკივილის გამო ერთ კვირაზე მეტიც არის წევს და ამიტომ ვერ შესძლო თვითონ გხლებოდათო.

ასე ერთპირად გზავნიდა თამაზ-ხანის წერილებს ყველა; კაფუჯი-ბაშის მონახსენების მიხედვითაც სიმშვიდე იყო ყველგან, ვალდებულებასაც უფრო ბეჯითად ასრულებდნენ თურმე. ესენი რამდენჯერაც არ გადასწონა ისაყმა თავში, მაინც ერთი და იგივე დაასკვნა: ქვეყანა თურქებზე იყო მინდობილი და მათი საწინააღმდეგო სიტყვით თუ საქმით არა ჩანდა რა.

კაფუჯი-ბაშს დაავალა: გივი ამილახვარის ავადმყოფობის ამბავი შეემოწმებინა მაინც.

საღამოს ჟამზე კახეთიდან მალემსრბოლი ეახლა ისაყს: წნორის ახლოს ჩვენს ჯარს კახელები დაესხნენ, ზიანიც მიაყენეს და ტყვია-წამალიც გაიტაცესო.

ამ ცნობამ ააფორიაქა გურჯისტანის მმართველი; როგორ, კახეთი მაინც ვერ დაამშვიდა?!

— რა, ეს ხომ გორგლის წვერი არ არის?! — გაივლო გულში.

## ქართლის მხსნელები

ერთი ხანობა გივი ამილახვარი არავის უნახავს ჭალის სასახლის გარეთ, იშვიათად თუ გამოდიოდა ეზოშიც, ყავარჯენზე დაბჯენილი. ჯერ თურმე წელი სტკიოდა, ფეხსაც ვერ ადგამდა, მერე ჭვლებიც დამართვია, მეტისმეტად არის ავადო, — მოეფინა ეს ხმა ქართლს. ბევრი მოხელე-ქვეშევრდომი და ნათესავ-მეზობელი ეახლა სანახავად. წელისა და ფერდების საშინელ ტეხვას უჩიოდა გივი, თუმცა ფერზე არაფერი ემჩნეოდა ავადმყოფობისა, ზოგი მნახველი ძლიერ შეიცხადებდა ხოლმე: უი, ჩემს გაჩენის დღეს, რა ძალიან შეცვლილხარო. — ასეთი ტკივილები მაქვს, რომ როგორ არ შემცვლიდაო, — იფერებდა ავადმყოფიც.

ღვინობისთვე გავიდა და ქრისტეშობისთვე დადგა. სიცივეები დაიჭირა, ხშირი ღრუბლიანობა, ჩამოთოვა კიდეც. მერე მცირედ მოთბა, თითქოს; გორის ქუჩებში თოვლიც აილო, მაგრამ დილა-საღამოს მაინც სუსხავდა. აქა-იქ თხრილებში გუბეებად ჩამდგარი წყალი ღამე ისე იყინებოდა, გაჭენებულ ცხენსაც რომ ჩაერტყა ფეხი, ვერ ჩატეხავდა.

საამილახვრო-სამაჩაბლოში, თუ სხვა ახლო-მახლო სათავადოებში ექვსასამდე კაცი შეკრიბეს. ჩანდა შიგადაშიგ რომ არჩევდნენ: ბრძოლის შემძლეს, ვაჟკაცობით ცნობილს. სათითაოდ უსინჯავდნენ იარაღ-საჭურველსაც. არავინ იცოდა, რისთვის მიჰყავდათ — ისაყფაშის ბრძანებაა, — ამას ეუბნებოდნენ მხოლოდ. თანაც სხვა დროის მსგავსად სააშკარაოზე კი არა, თითო-თითოდ გამოჰყავდათ. ასე შეადგინეს რაზმები და ბერბუკს წამოიყვანეს. სამასამდე მებრძოლი მამუკა მუხრანბატონმა გამოგზავნა. ჯარის მცირე ნაწილი სვენეთში გადაიყვანეს, უმეტესობა კი ბერბუკს სასახლეში დაანაწილეს და უბრძანეს, გარეთ მოძრაობას მორიდებოდნენ.

ეს უჩვეულო ჯარიანობა ყველას აკვირვებდა, რაღაცას ეჭვობდნენ კიდეც. დაყრილი ხმა: ლეკის ჯარი მოდის და მას უნდა დავხვდეთო, თითქოს არ სჯეროდათ, მაგრამ გადაწყვეტით ვერავინ ვერაფერს ამბობდა. რამდენიმეს ბერბუკზე გამოვლილი გივი ამილახვარი დაენახა, დამნახველნიც და სხვებიც გააოცა ამან: აკი ამბობდნენ, მძიმედ არისო ავად, ასე უცბათ რამ გამოაკეთაო?!

კვლავ ლაშქრად რომ იწვევდნენ, არ ესიამოვნა გურგენ იჩქითიძეს. გაუთავებლად ქორწილში ყოფნა სწყინდება კაცს და ასე ხშირად ბრძოლებში მონაწილეობა რა გულს გაუხარებდა მას?! მაგრამ, თვითონ დიდმა ბატონმა ბრძანაო რომ უთხრეს, ძალაუნებურად დადუმდა და მინებდა ბედს.

გურგენს ბერბუკში ნინია გერიშვილის სახლი მიუჩინეს, მასთან ერთად ჭალიდან მხოლოდ როსტომი მოხვდა, სხვები მეჯვრისხევიდან და ხურვალეთიდან იყვნენ.

ნინია სოფელში საკმაოდ შეძლებულ გლეხად ითვლებოდა, მის სახლს გარედანაც ემჩნეოდა ეს, ერთმანეთზე მიდგმულ საცხოვრებელ-საკუჭნაო, საბძელ-ბოსელით ფართოდ რომ იყო გაშლილი. კარები სამხრეთით, მდინარე მეჯუდას მხარეზე ელებოდა.

მოჯარენი, სადაც დააბინავეს, შუა ერდოიანი მერცხლის ბუდური დარბაზი იყო, კედლებს სამის მხრივ ტახტები გასდევდა. შესასვლელის მარცხნივ, ტახტის ბოლოში თახჩასავით ჩადგმულ სალოგინეზე, ლოგინი თუ ნაბად-საფენები ელაგა, დედაბოძზე იარაღი და მოსასხამი ნაბდები დაეკიდებინათ. კერაზე შუა ცეცხლი რომ ღვიოდა, არც ისე ათბობდა ამოდენა დარბაზს. ტახტებზე ფარდაგები ეფინა და ზედ თხუთმეტამდე კაცი, — ზოგი მხარ-თეძოზე წამოწოლილიყო, თითქოს თავისთვის თვლემდა, ზოგი გვერდით მჯდომს ესაუბრებოდა რაღაცას; ერთგან რამდენიმეს მოეყარა თავი და ამბებს უყვებოდნენ ერთმანეთს.

სახლის ჯალაბი გასცლოდა. მცირე სამყოფელში მიყუჟულიყვნენ, უნებურად წვეულთათვის დაეთმოთ ბინა. ამდენ მამაკაცებთან ქალები გამოჩენასაც კი ერიდებოდნენ. ხანდახან ოჯახის უფროსი თუ შემოიხედავდა, წყალს შემოუტანდა, ან სხვა რამეს და ისევ გაეცლებოდა.

ამგვარი ჯარიანობა გურგენსაც აკვირვებდა სხვებივით: მეორე დღე ღამდებოდა, ბერბუკს იყვნენ. თუ მართლაც ლეკები მოდიოდნენ, მაშინ გზა უნდა გადაეჭრათ სადმე, დასამალი რა ჰქონდათ?! ასეთი რამ არც ენახა და არც სმენოდა.

ვიღაცამ გარეთ გასასვლელად კარი გამოაღო, დარბაზში კარს მომდგარი ბიჭუნა შემოტანტალდა. უფეხსაცმელო, წელს ქვემოთაც შიშველი იყო, წელს ზემოთ ეცვა მხოლოდ, ისიც მუცელს ძლივს უფარავდა.

— ო, ეს ვინ მოვიდა?... — შეეხმიანენ პატარას.

რამდენიმე ირგვლივ შემოადგა.

— ვისი ბიჭი ხარ, დედისა თუ მამისა?

— რამდენი წლისა ხარ?

— რა გქვია?

-- ვინ უფრო გიყვარს? — დააყარეს შეკითხვები.

— მოეშვით ბავშვს, შერცხვება! — რამდენიმემ უსაყვედურა მიხვეულთ. მაგრამ ბავშვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერის წინ გაიჯგიმა, ლიპი გადმოაგდო. როგორლაც, თამამად გახედა იქ მყოფებს.

— ლა ალის, ლა გინდათ? — არ მოუწონა ალბათ ერთბაშად მიყრილი კითხვები.

ბავშვის საყვედურმა გააკვირა და გაახარა ყველა. სხვებიც მიუახლოვდნენ, რომ კარგად მოესმინათ მისი სიტყვები. ოღონდ, ახლა უფრო წინდახედულებას იჩენდნენ, სათითაოდ დაუწყეს კითხვების მიცემა, აცდიდნენ პასუხის გაცემას.

— რა გქვია, ბიჭიკო?

— ლა მქვია და ტიმოთე.

— ვისი ბიჭი ხარ?

— პაპა ნინიასი.

— სადაური ხარ?

— ნიცბისელი.

მიუხვდნენ პატარას, ნიჩბისში გათხოვილი ნინიას ქალიშვილის შვილი უნდა ყოფილიყო.

შემდეგ უფრო გათამამდა ბავშვი, კითხვები აღარ სჭირდებოდა, თვითონ ტიკტიკებდა. მოჯარენი გაამხიარულა ამან. ბავშვის ყოველ ნათქვამზე ხმამაღლა იცინოდნენ. მაშინაც გაიცინეს, ბავშვმა ასეთი რამეც რომ მოაყოლა:

— ბებომ თქვა, ლოდის წავლენ ეგ ოხლებიო, ლო ელთი დავისვენოო.—უსმინა პატარას გურგენმა და თვალზე ცრემლი მოადგა:

„ეხ, ლეკებს რომ არა, მეც ხომ თითქმის ამხელა ბიჭი მეყოლებოდა? — ამოიოხრა მან, მერე ნაღვლიანად გადააქნია თავი, — ამაზე ძვირფასი სხვა რა უნდა გააჩნდეს კაცს?!.. ცოლშვილი ჰყავთ, ოჯახი აქვთ, მე კი ვინ ვარ?!“

ბატონის მსახურმა მამუკამ შემოაღო კარი, შემოსასვლელის მხარეზე როსტომი დალანდა.

— შენ და გურგენს სახლთუხუცესი გიხმობთ.

გურგენს ეგონა, იქვე, ახლოს სადმე იყო ქარუმიძე, წამოდგა და ისევე აპირებდა გაყოლას. მსახურმა შეაჩერა:

— ეგრე არა, თქვენი ბარგი წამოიღეთ!

როსტომი, გურგენის შემხედვარე აქამდე რომ ჭოჭმანობდა, ასე ხალვათად გაჰყოლოდა, თუ გუდა-ნაბადი წამოეკრიფა, მსახურის ნათქვამზე თავის ბარგს მიადგა. გურგენმაც ჩამოიღო დედაბოძზე დაკიდებული თოფი, გუდასთან ერთად ზურგზე მოიგდო. ნაბადი მოისხა და გარეთ გამოვიდნენ.

მზე დასალიერზე იყო დატანებული, გორში რომ შევიდნენ; მსახურმა ფრანგების უბანზე გაატარა. რამდენიმე ვიწრო შუკა გადასჭრეს. ციხის ქვემო მხარეზე დაეშვნენ და ამილახვრის სასახლეში მივიდნენ.

გურგენისათვის ეს სასახლე კარგად ნაცნობი იყო. ვინ იცის, რამდენჯერ ხლებია აქ გივის ოჯახს. არაფერი შეეცვალათ, სასახლეს გარშემო ისევ ის გალავანი ერტყა, კუთხეებში მცირე კოშკი რომ ჰქონდა ჩადგმული. ჩრდილოეთის კედელზე მიდგმული სასახლეც წინ წამოწეულ ჩუქურთმოვანი აივნებით ხეხილის ბაღს ძველებურად გადმოსჩერებოდა. მაინც ესხვაფერა თითქოს.

ქარუმიძე არსად ჩანდა, ეზოში შესულთ გივი ამილახვარი დახვდათ. თავის დაკვრით მიესალმნენ დიდ ბატონს. სალამითვე უპასუხა გივიმაც.

— ამბობდნენ, ბატონო, თქვენ ავად იყავით! — თითქოს მოიკითხა როსტომმა.

პეჟანისა და მარეხის გამო ბატონზე გულნატკენი გურგენი აბუზულივით იყო გაჩერებული.

— ამილახვარს ოდნავ ღიმილი გაუკრთა ტუჩების კუთხეებთან.

— ჰო, ავადვმყოფობდი, ახლა მგონი გამოვკეთდი! — როსტომის ნათქვამის პასუხად და უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა ეს. მერე სასახლის წინ კუთხეში ორი ჭაბუკი რომ იდგა, ისინი იხმო; მოსულნი ბატონის წინ, გურგენისა და როსტომის გვერდით გაჩერდნენ. ბრგე, ახოვანი ვაჟკაცები ჩანდნენ. გურგენმა რატომღაც ჯერ მათ გადაავლო თვალი, მერე — როსტომს, შემდეგ კი თავის თავზე დაიხედა. ტანოვანება არც თვითონ აკლდა, როსტომი იქნებ ყველაზე წარმოსადეგიც იყო, მაგრამ ისინიც უთუოდ შერჩეული ჩანდნენ.

გივი თვალს ადევნებდა. თითქოს ზომავდა ყველას სათითაოდ. ერთ ხანს ჩაფიქრებულივითაც იდგა, მერე შეცბუნებული ოთხეულისაკენ წამოიწია მცირედ და ისე უთხრა:

— ბიჭებო, იცით რატომ გიხმეთ? — და პასუხს არ დალოდებია, მარცხენა ხელი ჩრდილოეთისაკენ გაიშვირა, — თქვენ გორის ციხე უნდა აიღოთ!

გურგენს, აქამდე უხალისოდ და ნაღვლიანად რომ გრძნობდა თავს, რაღაც ნაპერწკალმა გაჰკრა გულში. შენიშნა, სხვებიც რომ დაიძაბნენ, სახეზე სიწითლემ გადაურბინათ. როსტომი გაიბადრა, თავისებურად გაიჯგიმა და გაკვირვებით იკითხა:

— ჩვენ როგორ ავიღებთ ციხეს?!

„მაშ გივი ბატონიც თურქების წინაალმდეგი ყოფილა?!“ უფრო ამან გაჰკრა გონებაში გურგენს.

გივიმ გაიღიმა.

— სწორედ თქვენ, ამ ოთხმა ვაჟკაცმა უნდა აიღოთ ციხე და ქართლიც თქვენ უნდა იხსნათ!

— შენი ჭირიმე, ბატონო, მაგას რაღა სჯობს?! — ისევ აროხროხდა დაეჭვებული როსტომი.

გურგენს თვითონაც ძლიერ უნდოდა, ამ, მართლაც გამოცანის არსი გაეგო, მაგრამ ბატონის წინაშე როსტომის მიერ თავისი ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრის ასე ხმამაღლა თქმა მაინც უხერხულად ეჩვენა. ხელი წაჰკრა — გაჩუმდიო.

— ჰო, მართლა! თქვენ ერთმანეთს უნდა ეძმოთ! ერთურთისათვის თავი არ უნდა დაზოგოთ!

თითქოს რაღაც მოულოდნელი რამ ხდებოდა, გურგენმა ბურანში წასულივით იგრძნო თავი. როგორ გადაეხვია, გადაჰკოცნა თუ გადაჰკოცნეს ძმადნაფიცებმა, თვითონაც ვერ გაიგო. ოდნავ მაშინ გამოერკვა, ბატონმა რომ მსახური იხმო და უბრძანა:

— ეს ვაჟკაცები კარგად ავახშმე და მოასვენე!

## ციხის აღების სამზადისში

გივი ამილახვარი ვერ ისვენებდა. ვერ გაჩერდა სახლშიც. თუმცა ციოდა, მაინც გარეთ ყოფნა არჩია. ცალი თვალი სულ ჭიშკრისაკენ ეჭირა. როდის მოვიდოდნენ საქმეზე წვეულნი. თან, ჯერ დაღამებულიც რომ არ იყო, გათენებას, მზის ამოსვლას ისეთივე სულის სისწრაფით ელოდა, როგორც პატარაობისას აღდგომის ან ახალწლის გათენებას ეშურებოდა.

ერთიც იყო კიდევ, იგი წამოწყებულ საქმეს ყოველთვის წონიდა, ბრძოლისას მოპირდაპირე უგუნურად და უძლურად არასოდეს ჩაუთვლია. უეჭველად გავიმარჯვებთო არ უფიქრია, ახლა კი, რატომღაც, ისეთი რწმენა წამოეძალა, ერთადერთი, გათენებულიყო, თორემ გამარჯვება საეჭვოდ არ ეჩვენებოდა; „ჩემი ასეთი გულდაჯერებულობა ცუდის მაუწყებელი კი არ იყოსო?!" — გაივლო გულში. ცოტა ხანს იმაზეც დაფიქრდა, რომ დამარცხებულიყო, რა გზას უნდა დასდგომოდა. მაგრამ ეს იაზრა, თორემ იგი არც გულმა მიიღო და მალეც გადაავიწყდა; ისევ იმის წარმოდგენას დაუბრუნდა: როგორ დაიჭერდა ციხეს, მერე როგორ უნდა განედევნათ თურქები ქართლიდან...

გივის ნაწვევი აზნაური იოანე თუხარელი ეახლა. თუხარელი გივის ბევრჯერ ჰყავდა გამოცდილი. მარჯვეც იყო და სიბეჯითეც სჩვეოდა. მაინც წინასწარ საგანგებოდ გააფრთხილა:

— ერთი საქმე უნდა მოგანდო, მარცხი თუ მოგივიდა, იცოდე, ჩემი სახელი აღარ ახსენო!

თუხარელი შუა ტანის კაცი, წელში გასწორდა, მხრები შეაქანა.

— რა უნდა იყოს მაგგვარი, რომ ვერ შევასრულო და თქვენი რისხვა დავიმსახურო, დიდო ბატონო?!

— ისეთი არაფერი, მაგრამ ბეჯითად უნდა მოეკიდო ამ საქმეს! — დაამშვიდა გივიმ. შემდეგ განაგრძო, — ცხრა-ათი სანდო ბიჭი უნდა შეარჩიო, კარგად რომ შეღამდება, ციხის მისასვლელი გზის ირგვლივ, გიორგიჯანიანთ სახლებთან და მის ზემოთ ჩაუსაფრდე, ციხისაკენ წამავალი ვინც უნდა იყოს, უხმაუროდ შეიპყარი, თუ ვინმე გაგიძალიანდეს, იქვე ჩაჰკალი!

— კი, ბატონო, ეგ ადვილი სამსახურია! — ხმადაბლა ჩაილაპარაკა თუხარელმა.

— იცი, მერე რატომ? — უცბათ იკითხა ამილახვარმა და გამომცდელი თვალი შეავლო ყმას.

— არა, ბატონო, მაგრამ ვხვდები, რაშიც უნდა იყოს საქმე!

— მაინც რა გგონია, რა უნდა იყოს? — ჩაეძია გივი.

— თურქებს კისერი უნდა მოვუგრიხოთ და მანამდე ამბავი არავინ მიუტანოს! — განმარტა თავისი აზრი თუხარელმა.

გივი შეცბა:

— მერე საიდან იცი ეს?

იოანე თითქოს დანაშაულზე დაიჭირესო, ისე დაიძაბა.

— თქვენ რომ მითხარით. ბატონო, დანარჩენს თვითონ მივხვდი!

გივი მცირედ დამშვიდდა, მაინც იჭვნეულად იკითხა:

სხვათაგან ხომ არაფერი გსმენია მაგის მსგავსი?

— არა, ბატონო, მე ჩემთავად ვიაზრე ასე!

— სხვებიც ფიქრობენ ასე?

— ჩანს. სხვებიც ეჭვობენ რაღაცას, მაგრამ თქმით ისეთს არავინ არაფერს ამბობს.

გივი ჩაფიქრდა, მცირე ხანს შემდეგ მიუბრუნდა იოანეს:

— ჰო, ღამე, გვიანობისას, ქალაქში შემოვა ჯარი... მაგრამ ბევრი თუ შეიტყობს ამას, შეიძლება გაგვთქვას, ვინ იცის, იქნებ დაგვასმინეს კიდეც თურქებთან?! თუ ციხე გაამაგრეს, გაგვიძნელდება მისი აღება.

იოანეც შეფიქრდა, შემდეგ თავი გადააქნია:

— ნულანაც არ მოგახსენეთ, ჩემსავით კი ეჭვობს რაღაცას ხალხი. მაგრამ აზრზე ვერ მოდიან. ისეთი პირსისხლიანიც არავინ იქნება, რომ ქვეყანას უღალატოს, იმას ხომ მიწაც არ მიიღებს!

— ვინ იცის. იქნებ გამოერიოს ისეთი, რომ ვერცხლი არჩიოს ქვეყნის საქმეს.

— არა მგონია, იუდას მსგავსი ვინმე გამოჩნდეს. რომ იყოს კიდეც, აქამდე დაბეჯითებით მაინც ვერაფერს შეიტყობდა და ისეც, ჰაიჰარად თურქებთან ხომ ვერ გაბედავდა მისვლას? ამის შემდეგ კი მე ვიცოდე! — თქვა იოანემ და წასასვლელად გაემზადა.

ჰო, ვიდრე მზე არ ამოატანს, არავის გაუშვებ ციხისაკენ, მზე ამოწვერვას რომ დაიწყებს, ძელებგადებული ორი ნწყვილი წამოვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი ჩვენები იქნებიან და გაატარე, მერე ჯარიც მოჰყვება! აბა, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ! — დასძინა გივიმ.

იოანე წავიდა.

დღე იწურებოდა. გივიმ ბევრი რამ მოაგვარა, ახლა ერთი, ყველაზე უმთავრესი საქმე რჩებოდა, ჯარი ისე უნდა შემოეყვანა და დაებინავებინა ქალაქში, რომ მტერს ვერაფერი ეგრძნო.

მცირე ხნით სასახლის მაღლა სართულზე ავიდა, იმ ოთახის კარი შეაღო, სადაც სამთავნელი იყო; სარკმლებიდან შემოსულ დაისის მრუმე ნათელს გაღვივებული ბუხრისა კანდელის შუქი სჯაბნიდა უკვე.

წამოიმართა, ფეხზე ადგომით შეეგება მღვდელმთავარი მასპინძელს.

— ველარ მოგხედეთ, წმინდაო მამაო, ხომ არ მოიწყინეთ? — მოუბოდიშა სტუმარს გივიმ.

— როგორ გეკადრებათ, დიდო ბატონო, ასეთ დროს მოწყენისათვის როგორ მოიცლის ადამიანი! ხვალინდელ დღეზე ვფიქრობდი.

— დაბრძანდით. წმინდაო მამაო! — ეს უთხრა მღვდელმთავარს, თვითონაც სავარძელზე დაეშვა. სავარძელში ჩაჯდა სამთავნელიც.

გივი ფიქრებში წავიდა უცბათ, მოგვიანებით აილო თავი.

— გული ისე მითქვამს, გორის ციხის დაჭერა არ უნდა გაგვიჭირდეს! მაგრამ საქმე შემდეგ არის, თუ დაგვიჭერენ მხარს სხვებიც, რომ სრულიად ქართლიდან გავდევნოთ თურქნი?!

სამთავნელმა შუბლზე შემოდებული ხელი ჩამოილო, ოდნავ გადაიწია სავარძელში.

— უეჭველია, ყველა დაგიჭერთ მხარს, თურქებმა იმდენი სიავე დამართეს ქვეყანას, რომ არავინ იქნება მათ წინააღმდეგ თავი არ გამოიდოს. მე მგონია, ნიშანს ელოდებიან!

ცოტა ხანს ისევ დუმილი ჩამოვარდა. გივი წამოდგა.

— მაპატიეთ, წმინდაო მამაო! — ეს უთხრა. აივანზე გამოვიდა. ბინდი ჩამოწოლილიყო უკვე. კიბეებზე ამავალთა ფეხის ხმა მოესმა. შეჩერდა თვითონაც. მანდატური მოუძღოდა ქალაქის მელიქს პაპუნა ჯულაბაშვილს და მამასახლისს გიორგი ზუბალაშვილს. მდაბლად დაუკრეს თავი ამილახვარს ქალაქის ვაჭართა თავკაცებმა. გივი დარბაზში შეუძღვა სტუმრებს:

— ბატონო გივი, — დაიწყო პაპუნამ, — თქვენი მონდობილი საქმე ყოველმხრივ გავარიგეთ, მომზადებული გვაქვს სახლები, დამბინავებლებიც დაყენებული გვყავს. იმედი გვაქვს, ვერაფერს შეიტყობს მტერი.

— კარგია! — მოუწონა გივიმ, — სადაც არის ბერბუკიდან და სვენეთიდან დაიძვრიან... დილითაც გათენებამდე უნდა დაალვიძებინოთ მათვე და მოამზადებინოთ!

ქალაქის თავკაცებს აღარ დაუყოვნებიათ, მაშინვე გაბრუნდნენ.

გივი კმაყოფილი იყო საქმის დაწყებით.

„ჯერჯერობით კარგად მიდის საქმე, ვნახოთ მერე!“ — გაივლო გულში. რამდენიმეჯერ დარბაზში გაიარ-გამოიარა.

ახლა სახლთუხუცესი პაპუნა ქარუმიძე ეახლა.

— თოკის კიბეებიცა და ჩელტებიც ბლომად მოუმზადებიათ, — მოახსენა მან, — საღამოს პირზე მე თვითონ გახლდით გორიჯვარს და გავსინჯე, ახლა წამოიღებენ. თურქებიც ციხიდან დღეს არც თუ იმდენი გამოსულა. ციოდა და ალბათ ამის გამო მოერიდნენ ქალაქში სიარულს, რომელნიც გამოვიდნენ, ისინიც მოსამხრებამდე მიბრუნდნენ ისევ, არათურქთაგანიც არავინ შეუნიშნავთ, რომ ციხისკენ წასულიყოს.

გივიმ თავი დააქნია.

— კარგია ეგ ამბავი, კარგი!

მამუკა მუხრან-ბატონი და თეიმურაზ ბატონიშვილი ამ საღამოს მობრძანდნენ.

გივი სიხარულით გაიბადრა. მუხრან-ბატონი რომ მოვიდოდა, ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ ვაითუ ახალგაზრდა ბატონიშვილი მორიდებოდა ასეთ მძიმე საქმეში გარევას.

— კარგი ხალათი გეკუთვნის მაგის უწყებისათვის! — გივი ჯილდოს შეჰპირდა სახლთუხუცესს.

— მუხრან-ბატონის სასახლეში წაბრძანდნენ, — განაგრძო პაპუნამ, — მუხრან-ბატონმაც და ბატონიშვილმაც, ამ საღამოს შეწუხება აღარ ღირს, განთიადისას გეახლებითო, ასე ბრძანეს.

აქამდე ზრუნვით მოქურუშებულ გივის სახეზე ღიმილი დააჩნდა:

— მაგ, წიგნზე გაზრდილ ყმაწვილს, ჩანს ვაჟკაცობაც შესწევს! — მოუწონა სასიძოს გაბედულება.

## გალეწული ალაყაფის კარები

გურგენს დიდხანს ძილი არ მიეკარა. მეორე დღის მოლოდინში მბორგავი ფიქრები წამოეშალნენ: ქვეყნის გამოხსნისათვის ბრძოლა იწყებოდა. დამდგარიყო ჟამი ქვეყნის განთავისუფლებისა, თანაც თვითონ ერთი დიდი მონაწილე უნდა ყოფილიყო ამ დიდზე დიდი საქმისა... აგერ, მის გვერდით რომ ფშვინავდა, ეს ზორზოხი როსტომი, იქით კიდევ არანაკლებად ზორზოხი შინდისელები ნიკა და იორამა — „თქვენ უნდა აიღოთ ციხე და ქართლიც თქვენ უნდა იხსნათ“ უთხრა მათ ამილახვარმა. მაშ ქვეყნის ბედი მათზე ყოფილა დამოკიდებული!

ეროვნული

„ამდენს შევძლებთ? შევასრულებთ ამას?!" — უტრიალებდა ეს ფიქრები თავში.

მერე მტრის ხელიდან დახსნილი ქვეყანა წარმოიდგინა. დიდ-პატარა გახარებული და ბედსწეული.

ცოტაც და შავად გაუთენდებოდათ თურქებს დღე. ქართლის ჯარი რისხვად დაატყდებოდა თავზე!... მაგრამ მაჰმუდი? ხალილი? გულზე უკბინა ამან. ერთს ან მეორეს რომ გადაეყაროს, რა უნდა ჰქნას? ან ისინი როგორ მოიქცევიან? ეჰ? მარტო სხვებისა კი არა, მაჰმუდისა და ხალილის სამტროდაც მიდიოდა; თვითონაც რომ არა ევნო რა, სხვები ხომ?!.. უცბად წარმოესახა კიდეც დაჩეხილი მაჰმუდი. თითქოს ტანში შეამცივნა; წამოიწია, თავი გააქან-გამოაქანა, რომ მოეცილებინა ეს შავბედითი სურათი.

ისევ მიწვა. შეეცადა ფიქრები სხვა რამეზე გადაეტანა. ერთ ხანს ლეკებთან ბრძოლები გაიხსენა. ისიც მოაგონდა, თბილისის შუკაში მიმავალს თურქმა რომ სილა გააწნა... მაგრამ ეს იყო რამდენიმე წუთს, შემდეგ მაინც მეციხოვნე თურქებთან ბრძოლის ამბებს დაუბრუნდა.

გვიანობისას ძილმა როგორ მოსტაცა თვალი. დილაბნელი იყო რომ გააღვიძეს, მსახურმა წყალი მოუტანა თუნგით, ერთმანეთს დაუსხეს და ხელ-პირი დაიბანეს. მსახური კარის ეკლესიაში მიუძღვა. სანახევროდ გავსებულიყო საყდარი. გურგენმა სანთლების შუქზე ორიოდე ნაცნობი სახეც შეიცნო. მალე ერთი არცთუ შუახნის და ერთი, ახლადშეღერებული ჭაბუკის თანხლებით გივი ამილახვარი შევიდა, სამივემ ამბიონის წინ დაიჭირა ადგილი. მათ სხვებიც მოჰყვნენ. ისედაც მცირე კარის ეკლესია ერთბაშად შეივსო. ტყავისყდიანი სქელი წიგნით ხელში სამთავნელი გამოდგა. მისი გამოჩენისთანავე მოსაყდრენი მუხლის ჩოქზე მივიდნენ, თითქმის იმავე დროს ჯვარი გადასწერა სამთავნელმა. შემდეგ ორიოდე ლოცვა წაიკითხა, თუ ზეპირად წარმოთქვა; მცირედ შეჩერდა, უფრო ხმამაღლა მიმართა მრევლს:

— მამა უფალმა მოგანიჭოთ ძლევა, დაგიფაროთ და დაგიცვათ მტერთა ხელყოფისაგან! ვინც დაეცეთ, სამარადისო სასუფეველი დაგიმკვიდროთ, ვითარცა ქრისტიანობისა და ქვეყნისათვის შეწირულთ!

მიიღეთ ესე, სისხლი და ხორცი ღვთისა ჩვენისა!

პირველად გივი ამილახვარი და მასთან ხლებულნი აზიარა, შემდეგ სხვებს, სათითაოდ მისულთ, თავისი ხელით მიაწოდა მღვდელთმთავარმა ზიარება.

როგორც კი მოათავა ეს, კვლავ გასწორდა ამბიონზე, ვერცხლის გრძელი ძეწკვით დაკიდებული ვერცხლისავე ჯვარი შემართა მაღლა.

— შვილნო ჩემნო, არ დაიშუროთ ქვეყნის სახსნელად თავი თქვენი!

მეც თქვენთან ვარ, ან ვიხსნათ თავი უსჯულოთაგან, ან ერთად დავიხოცოთ ყველა!

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე და მფარველი!

— ამინ! ამინ! — შეჰღაღადა მრევლმა.

— ამინ არს! ამინ არს!.. — სამჯერ გაიმეორა სამთავნელმა და კვლავ სამგზის გარდასახა ჯვარი.

მტრედისფრად ნათებ ზეცას ლაჟვარდი შეეპარა. სადაც იყო მზეც ამოიწვერებოდა. ოთხეულთ კარგად მოისინჯეს სატევრები, ჩოხების ქვეშ მართლაც არ ემჩნეოდათ. გადაეხვივნენ, გადაჰკოცნეს და შეჰფიცეს ერთმანეთს:

— ერთურთი ძმებად გვეცნოს! თავს ლაფი დაესხას, ჩვენს შორის ვისაც ლადარობა ან სისუსტე შეემჩნეს!

მტერთან პირისპირ შებმულმა, გამარჯვებასთან ერთად, სიკვდილზეც უნდა იფიქროს, ესეც დასთქვეს:

რომელიმე ჩვენთაგანი თუ დაეცა, არ დაივიწყოთ!

პირჯვარი გადაისახეს, ღმერთი ახსენეს. წყვილ-წყვილად ძელებს დაადგნენ თავზე. ერთი გურგენმა და როსტომმა ასწიეს, მხარზე შეიდეს. მეორე — იორამმა და ნიკამ: ვიწრო შუკით ციხისაკენ გაემართნენ.

— ო, რა მძიმეა, ციხემდე რა აიტანს ამას?! — ჩაიბუზღუნა როსტომმა.

— არა უშავს, მძიმე უნდა იყოს, რომ გამოდგეს! მსუბუქს ადვილად გადმოგვიგდებენ! — დაამშვიდა გურგენმა.

ასიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდათ გავლილი.

— გადავინაცვლოთ! — უთხრა როსტომმა.

— რა, დაგძალა? — დასცინა გურგენმა, თუმცა თვითონაც არანაკლებად გრძნობდა მხრის ტკივილს. მცირედ შეჩერდნენ, მარცხნადან მარჯვენაზე გადაიტანეს ძელი.

კიდევ ასიოდე ნაბიჯი გაიარეს, აღმართი დაიწყო.

— თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო! — დაბალი ხმით ვილაცამ მოსძახა მარჯვენა მხრიდან.

— თქვენ იცით, ბიჭებო! — ახლა მარცხნიდან შეეხმიანენ.

თავი მიაბრუნა ორივემ აქეთ-იქით, ვერავინ დაინახეს, ეტყობოდა, კედლებს იყვნენ ამოფარებული.

გურგენი გარინდებიდან გამოიყვანა ამ ხმამ, სმენაც გაუმახვილდა, თითქოს ყურებში რაღაც ჰქონდა ჩაფენილი და აეხსნა, ახლა შრიალი და მცირე ჩქამიც ესმოდა. გამხნევდა კიდეც, ტანიც შეუმსუბუქდა და ტვირთიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენს ხელთ არის ქვეყნის ბედი, ბიჭებო!

— თავისუფლების მზის ამოსვლა თქვენ უნდა გვაზეიმოთ! — კვლავ ესმით აქეთ-იქიდან.

გურგენის ფიქრები იმას დასტრიალებს: როგორ შევლენ ციხეში... შეიძლება ამ ოთხს მარტოც მოუხდეთ მეციხოვნეებთან შებმა... ან სულაც რომ არ შეუშვან, მაშინ?

— შევისვენოთ მცირედ! — სთქვა როსტომმა.

გამოერკვა გურგენი. შუკები ამოვლილი ჰქონდათ უკვე, ციხის შემოგარენი იწყებოდა.

— შევისვენოთ! — დაეთანხმა.

ძელი ძირს დაუშვეს. გურგენი ზედ ჩამოჯდა, როსტომი მიუახლოვდა:

— მთელ იმედს ჩვენზე ამყარებენ, კარები რომ არ გაგვიღონ, მაშინ ნახე! — სთქვა და გურგენის გვერდზე დირეზე ჩამოჯდა ისიც.

—როგორც ამბობენ, ხის მიმტანთ ყოველთვის უშვებდნენ ციხეში, ახლა რა ღმერთი გაუწყრებათ!

ნიკამ და იორამმაც მოაწიეს, მათაც ძირს დაუშვეს ძელი და ზედ დასხდნენ.

— ვინმემ თუ არ გაგვთქვა, ის არის საქმე! — ისევ იკითხა დაეჭვებულმა როსტომმა.

— ეს ბიჭები, ჩასაფრებულები რომ არიან, ვის გაუშვებდნენ! — იმედიანად სთქვა ნიკამ.

მზე ამოიწვერა, აქა-იქ ფთილებდასხმულ ცაზე ღია სისხლისფერი ისრებივით გაიშალა. სხივთა ათინათი აათამაშა დედამიწაზეც. აბრწყინდა გორის ციხის ზეთავზე ოქროსფრად მოელვარე თურქული ნახევარმთვარე. გურგენმა ახედა.

„მგონი დაგელია დღე!“ — გაიელო გულში. წამოდგა.

— გვეყოფა დასვენება!

უხმოდ აჰყვნენ სხვებიც.

— აქ სულ აღმართია, ახლა შენ წადი წინ! — უთხრა როსტომმა გურგენს.

— ცოტა მოშორებით წამოდით; რომ არ დაეჭვდნენ! — ანიშნა ნიკასა და იორამს გურგენმა და ძელის წინა თავთან წადგა.

ასწიეს, ისევ მხარზე გაიდეს ძელი. მიდიან, ასიოდე ნაბიჯი და სანგარის ალაყაფს მიადგებიან. გურგენს ძალუმად უცემდა გული.

— ჰა, გაგვიღებენ?! — თითქმის ხმამაღლა ეკითხება თავის თავს.

„ნეტავი, მაჰმუდი არ იქნებოდეს აქ!“ — ერთხელ კიდევ გაჰკრა ამ აზრმაც.

სულ რამდენიმე ნაბიჯილა დარჩა, ალაყაფის კარების წინ შეჩერდნენ.

— შეშა მოგვაქვს, კარი გაგვიღეთ! — შესძახა გურგენმა და თავისი ხმა როგორღაც უცხოდ ეჩვენა.

— შეშა მოგვაქვს, შეშა! — ახლა როსტომმა შეეხმიანა.

შიგნიდან ჩხიკინის ხმა მოისმა.

— აჰ! — თვალებში გაუნათდა გურგენს,— ურდულის ხმა იყო, ვგონებ!

— ასე გვეჭიროს, ძირს არ ჩამოვიღოთ? — იკითხა როსტომმა.

— არა!

გურგენმა კისერი მიიღრიჯა.

— ახლოს არიან?

— ჰო, მოგვდევენ!

კარები გაიღო.

გურგენი თითქოს ფეხზე აღარ იდგა, სიხარულით შესძახა მცველებს:

— საბახ ხეირ ოლა! შეშა არ გინდათ?

— როგორ ყიდით?

— ვინც იყიდის, იაფად მივცემთ!

— გიალსნ! — დაეთანხმნენ მცველები. ორმა კარი გასწია, მეორე ორი კარის აქეთ-იქით ჩამოდგნენ.

გურგენმა იგრძნო, ციხის დაბალ კარში ასე ვერ შევიდოდა. ძელის თავი იღლიაში ამოიდო, ალაყაფის კარში შეაბიჯა.

— აჰა; — გული საგულეს იგრძნო.

სანგარის კარს გასცდნენ.

— გავაღწიეთ, არა? — ამხანაგს, თუ უფრო თავის თავს ეკითხება გურგენი. ორიოდე ათეული ნაბიჯილა დარჩა ციხის კარამდე.

— ნელა იარე, ისინიც შემოვიდნენ! — თითქმის ჩურჩულით ეუბნება როსტომი.

ნაბიჯს მოუნელეს.

— მოგვყეთ, ბიჭებო! — გულში ეხმიანება გურგენი ნიკასა და იორამს.

კარებზე დააკაკუნა.

— შეშა, შეშა, იხტამირსნ! — მიაძახა თან.

აქაც ორმა მცველმა გააღო კარი. გურგენმა რამდენიმე ნაბიჯი წადგა წინ. მცირედ შეჩერდა. — „არა, ასე კარგად არ გაიხირება!“ — გაიფიქრა. ნახევარ ნაბიჯის ოდენად წაიწია წინ. ორივემ ერთდროულად დაუშვა დირე და თვითონაც კარებს მიაწვნენ. შესასვლელის წინ წითელფესიანი კაცი გამოჩნდა.

— იერთ ყაფი! დაკეტეთ კარი! — უყვირა მცველებს.

მცველები ძელს გადასაგდებად დაეჯაჯგურნენ.

— არ მოვუშვათ! — როგორღაც ყრუ კივილისა თუ ზმუილის მსგავსი ხმა აღმოხდა როსტომსაც და კარებს შიგნით .ძელზე გადაილაჯა.

მცველების დასახმარებლად წითელფესიანი წამოეტანა. რომ შეხედა, კარის ჩაკეტვას არ ანებებდნენ, სატევარზე წაილო ხელი. შეიმართნენ მცველებიც. დაყოვნების დრო აღარ იყო, ჩოხის კალთა გადაიწია გურგენმაც. შეხედა, როსტომმა ამ დროს სატევარი აძგერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცველს. მცველმა გადაიწია, როსტომს მახვილი არც კი დაეძრო, რომ სატევრით წითელფესიანი გამოქანდა. მოასწრო გურგენმა, ორი ნახტომი და გვერდში ჩასცა მახვილი. მეორე მცველი ციხისაკენ გაიქცა ყვირილით, მისი გამოდევნების დრო აღარ იყო, ორივემ თვალი სანგრის ალაყაფს მიაპყრო, მცველებს თითქოს დირე შიგნით შემოეგდოთ და კარებს კეტავდნენ, სანგრის ალაყაფისაკენ დაიძრნენ.

იორამი და ნიკა სამ თურქს კედელთან მიემწყვდია და მოხრილი იათაგანებით სასიკვდილოდ უტევდნენ. ერთი ისევ კარებს ამაგრებდა. როსტომი ნიკასა და იორამს ჩამოეშველა, გურგენი კი კარების ჩამხერგავ თურქთან მიიჭრა. თითქოს იგრძნო თურქმა, ის იყო შემობრუნდა, რომ გურგენმა მახვილი ჩასცა. ძელს ფეხი ჰკრა, ურდული გასწია და კარები გამოაღო.

კარებს მომდგარი ქართველი ლაშქარი ციხეში შეიჭრა.

## გამარჯვების ზეიმი

როგორც კი ციხე დაიჭირეს, მაშინვე ციხის შესასვლელის თავზე აღმართული ნახევარმთვარე ჩამოაგდეს და ქართული ალამი აღმართეს, ზედ ცხენზე ამხედრებული, გველეშაპის გამგმირავი წმინდა გიორგი რომ იყო გამოსახული.

ქონგურებს მიმდგარ გივი ამილახვარს სისხლიანი ხმალი ისევ ხელთ ეპყრა. გვერდით მამუკა მუხრან-ბატონი და თეიმურაზ ბაგრატიონი უდგნენ.

ქალაქიდან ქართული ალამი შენიშნეს, ატყდა მხიარულების ყიჟინა. დაიწყო ზარების რეკვა. ქონგურებზე გადამდგარი მოლაშქრენი გამარჯვების ნიშნად ხელს უქნევდნენ.

სამივემ წინ წაიწია, ხედავდნენ, ხალხი როგორ ეხვეოდა ქალაქში ერთმანეთს. ულოცავდნენ, ქუდებს ისროდნენ მაღლა. ქალაქი ზეიმს მოეცვა.

— მგონი გავთავისუფლდით! — ჩაილაპარაკა გივიმ, — აჰ, დღეს ბარბარობაა! მრავალს დაგვასწროს გამარჯვებასა და ბედნიერ დღეს! — და მანაც პირზე კოცნით მოულოცა თეიმურაზსა და მამუკას.

**პირველი წიგნის დასასრული.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბონდო კეშელავა

* * *

მე და სიბერე?.. ჰაი დედასა,
რა ჩაუქრობელ ცეცხლში ვტრიალებ...
რას არ ვეჭიდე, რას არ ვეომე,
ყრმობა ლოდინში გავატიალე...

მაგრამ ბოლომდე რაც მე მიყვარდა,
მას ვემსახურე, რწმენას ვემონე...
ლექსებს ნუ სწერო მეუბნებოდნენ,
მე ისევ ლექსი გავიმეორე...

მამა მეტყოდა: — შენ კი არა და,
მან აკაკი არ გაახარაო.
არ დავუჯერე, არ გავუგონე,
ლექსები იყო ჩემი მარაო...

გულს გახურებულს ის მიგრილებდა,
ლექსით ვსუნთქავდი, ლექსით ვცხოვრობდი,
გამაღარიბა ლექსების წერამ,
ვიშიმშილე და არ ვმათხოვრობდი...

მაღაროს კლდეებს ლომით ვანგრევდი,
მიჭირდა... მაინც მხრებს არ ვიხრიდი,
ყველგან თან მახლდა მწერლის სახელის
შიში, სიფრთხილე და დიდი რიდი.

არ შემელახა ღირსება მისი,
პოეტი ღმერთის შვილად ვიწამე...
დიდმა ილიამ მით შემაყვარა
ჩემი ქვეყანა, ჩე[] მიწა მე.

მას ვუგალობე [] გორც შევძელი,
და ვემსახურ[] ოლოდ სიმართლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ხატია ჩემი სამშობლო,
ჩემი ორთავე თვალის სინათლე...

მე და სიბერე? ჰაი დედასა,
რა ჩაუქრობელ ცეცხლში ვტრიალებ...
ვითომ ვერასგზით ვერ მოვერევი?
ხან გულს მომიკლავს, ხან მაწრიალებს?

რა ვუყოთ მერე, მე კი არადა,
ქვეყნად ვერავინ ის ვერ მოღუნა...
მეცნიერება მას ეჭიდება,
იქნებ მოხაროს წელში კომუნამ...

ვერ მოვესწრები?... ვნანობ... არ ვნანობ,
ჩემი წარსულის არ ვარ მძრახველი.
ბედნიერი ვარ, ბედნიერი ვარ,
რახან პოეტის შემრჩა სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედემ კვირტია

## მშვიდობით ჩემო სიყვარულო

მშვიდობით ჩემო სიყვარულო — გედის სიმღერავ,
შენ, განთიადის ნისლთა ქორწილო...
და სულერთია ჯვარცმა მელის თუ ჯვარისწერა —
გზა მაინც უნდა დაგალოცვინო!

მშვიდობით ჩემო საყვარელო — შველის თვალებო,
შენ, ვინც ჩემს სიზმრებს მიამღელვარებ,
უდასასრულო, ფერმკრთალო ცავ და ვარსკვლავებო,
ზღვის მოშრიალე ფსკერზე მთვლემარევ!

მშვიდობით ჩემო სიყვარულო — დაღლილო ცრემლო,
სული ღამეულ სიმღერას იწყებს...
გემშვიდობები სიყვარულო უკანასკნელო,
გზა დამილოცე და... დამივიწყე!

* * *

სულმოუთქმელად მოვრბივარ, მოვქრი —
კარგი ამბავი უნდა გახარო:
მე ვნახე მზის და მთვარის ქორწილი —
ქორწილს იხდიდა მთელი სამყარო.
ბამბუკისფერი სივრცის გუმბათქვეშ
გაშლილი იყო სუფრა ზღაპრული
და მხიარული სუფრის თამადა
მჭევრმეტყველებდა წმინდა ქართულით:
გაუმარჯოსო მზესა და მთვარეს,
მათს მარადიულ გზასა და ტრფობას,
ვერ დანისლავსო რომელსაც ნისლი,
დრო, ეჭვი, შური, მანძილი, მტრობა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და აი ახლა, მე შენკენ მოვქრი —
ჩემი სიზმარი უნდა გახარო:
მზე შენ იყავი, მე — მთვარე და ჩვენს
ქორწილს იხდიდა მთელი სამყარო!

* **

ციკლიდან „ზღაპრის დასასრული"

დღეს ჩემი სული ტაძარია
და სანთელია ასანთები,
დღეს მხოლოდ შენ ერთს გაბარია
ტაძრის კარების გასაღები.
მოდი, ამანთე სანთელივით,
ნახე ხატი და სალოცავი...
თვალები ფართოდ გახელილი,
ღიმილი ასე საოცარი...

რატომ დღემდე ვერ შევამჩნიე
ვის უნდა ვუთხრა საყვედური,
რატომ დღემდე ვერ შევაჩვიე,
ჩემს ბილიკს შენი ნაფეხური?!
დღეს ჩემი სული ტაძარია,
მე სანთელი ვარ ასანთები
და მხოლოდ შენ ერთს გაბარია
ტაძრის კარების გასაღები.

* * *

აქ, როგორც ბავშვი დატუქსული,
ფეხისაკრეფით შემოვედი
და ღია კართან ატუზული
შენს გამოჩენას ველოდები.
ღმერთო, რამდენი სიმართლეა
ამ დუმილში და მოლოდინში,
ღმერთო, რამდენი სინათლეა...
და მაინც ვრჩები მხოლობითში.

ჩვენ აქ მრავალჯერ შევხვედრივართ
რწმენით, იმედით, გახევებით
და გვიღიმოდნენ კედლებიდან
ჩვენთვის ნაცნობი სახეები...
დღეს, როგორც ბავშვი დატუქსული,
უკანასკნელად შემოვედი
და ღია კართან ატუზული
შენს გამოჩენას ველოდები.

* * *

შენ გინდა ისევ დამიფიცო
და შენს თვალებში ჩამატიო,
ან ყველაფერი დავივიწყო,
ან ყველაფერი გაპატიო!
შენ გინდა ისევ გაგრძნობინო
მზე თოვლიანი მწვერვალების
და როგორც გოგო საქორწილოდ —
ამ შეხვედრისთვის ემზადები.

შენ გინდა გულით გაიცინო
და ოცნებებში გადადიხარ...
მერე, ჩემს მკლავზე დაიძინო
ბედნიერებით გადაღლილმა...
შენ გინდა ისევ დაგიფიცო
და ჩემს თვალებში ჩაგატიო,
და ყველაფერი დავივიწყო,
და ყველაფერი გაპატიო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადათერ არაბული

## ცირკის ცხენები

გადაპენტილი სინათლის ჭირხლით,
როგორც მორევი გელით არენა
და შეგპარვიათ უკვე ჭიხვინში
სასოწარკვეთა და მწუხარება...
შუქი კი ცეკვავს,
შუქი ბიბინებს.
(აქ გასართობად ხალხს ჰყოფნის
ცოტაც!)
სხვების ნებაზე უნდა ირბინოთ,
რომ არ აგიწვათ სხეული შოლტმა...
ღამით კი სიზმრად
ველურ რაშების
გადარეული მოგიხმოთ რემა
და ძილში უცხოდ შეგათამაშებთ
მათი ფლოქვების ჩქამი და ცემა...
გტანჯონ,
გაწამონ, როგორც ენებოთ,
მაგრამ მაგ მზერას, ასე სევდიანს,
ვერ ამოსდებენ ლაგამს, ცხენებო,
გაუხედნავ სულს ვერ გახედნიან!

* * *

ლამპიონების გრძელი დეროფნით
ჩვენ ქალაქიდან გავყავდით გამზირს
და მონატრული, ცა, გათენების
იქ მიგველოდა სხვა სილამაზით...
ხოლო ქალაქი მაღალ სახლებით
დასახლებული იყო მინდორი,
მან არ იცოდა ჩვენი სახელი,
სულერთი იყო სად წავიდოდით...
იგი ბორგავდა
და ბრჭყვიალებდა
და ნებიერი, როგორც მორევი,
რომ ჩაეთრია,
ახლა გარედან,
სხვებს მოუხმობდა განმეორებით...
იდგა ამაყად, სევდით ულევით,
გაუმხელელი ცრემლებით სავსე,
და რეკლამების სამკაულები
უელვარებდა მაცდურად ტანზე.

* * *

შენი ჭრილობაა
ეს პროსპექტი, უკუნო ღამევ, —
პირგახსნილი,
სინათლის სისხლით განბანილი,
მრავალი ცრემლის
და ტკივილის მატარებელი...
ჭრილობებია ეს ქუჩებიც,
ეს რეკლამებიც
და ღამეების მოდარაჯეთა
სახლის ფანჯრებიც...
. . . . . .
შენი ჭრილობაა
ეს პროსპექტი, უკუნო ღამევ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

რისთვის ხმაურობ მდინარის წყალო,
ან ჩქერალებით რისთვის ირთვები,
მაგ სილამაზის დღეებიც წავლენ,
შენც ჩახვალ ბარში და დამშვიდდები...
თავკომბალებით და ბაყაყებით
ამოივსება შენი ნაპირიც,
ან გაილევი,
ან დამყაყდები,
ან ზღვა ჩაგყლაპავს გველეშაპივით.
და დაინთქმება შენი ჩქერების
ხმა და გუგუნი მთების მზარავი,
რადგან ბოლომდე ბედნიერება
ჯერ არ რგებია ქვეყნად არავის...

## იაგუარი

აქ დამწყვდეული ვინ მიგატოვა,
როს თავისუფლად უნდა ბრდღვინავდე
და კვლავ ზარავდეს შენი ნახტომი
განებივრებულ ტყეთა ბინადრებს...
ულრანებით და
ეკალ-ქაცვებით
ამოვსებული გელის
საუფლო,
აქ კი მომსვლელთა რამდენ დაცინვას
და რამდენ ქილიკს უნდა გაუძლო...
ზოგჯერ ველურად გითრთის სხეული
და გამწარებით კაწრავ გისოსებს,
დაბეჩავებულს
და მონად ქცეულს,
იცი, არავინ არ შეგიცოდებს...
იცი, ამ ქვეყნად ვერ გადარჩები,
თუკი გალიამ დაგიმორჩილა,
მაგრამ კვლავ მოაქვთ ხორცის ნაჭერი
და მომვლელის წინ დგები მორჩილად...
მთელი ცხოვრება ბედს მინდობილმა
მაგ კედლებს ირგვლივ უნდა უარო.
შენ — მწუხარების ჩუმო დობილო,
ბწკლებდაცვეთილო იაგუარო!

## ლოდინი

როდესაც სახლში სიმარტოვეს
და მოწყენილობას იგრძნობ,
იმ წუთში თვალები კარებისკენ გაგირბის:
„— ან ახლა მოვა, ან ახლა!“ — აიმედებ თავს...
მაგრამ კარებიც მდუმარედ შენ მოგჩერებიან.
კარებიც შენგან ელიან პასუხს
და არ იცი რა უპასუხო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თენგიზ კაკუშაძე

* * *

პირველ ყოვლისა გულში ჩავიკარ,
ჩემი მამულის ხმალი გმირული,
ეს იყო წინათ. მაშინ რა ვიყავ,
ბავშვი ტრფობისთვის თავგანწირული.
პირველ ყოვლისა, შენ შეგეთვისე,
გმირულ წარსულის თვალებში რიალს,
ისევ სიხარბით ვხედავ და ვისმენ,
დამჭკნარ და ყვითელ ფურცლების
შრიალს.
თავს მისვენია ათასი ხატი,
თვალში მღელვარებს სისხლის წყარონი,
ფუძეს გინგრევდა ცეცხლი და ხვატი,
კვლავ გაშენებდნენ უსახლკარონი.

დრო შეიცვალა, ციხიდან არ ხმობ,
ქართლის ველთაგან მტერს აღარ ელი,
მცხეთაში გძინავს, პატარო კახო,
თავზე გადგია სვეტიცხოველი!
არაბების და მონღოლთ თარეში,
დაქცეულ სისხლთა ხმელი ტალახი,
მაგრამ შენს ლამაზ არემარეში
დახასხასებდა მაინც ბალახი.
ციხე-ტაძრები, ძველი კედლები,
ყოველი სულთა წმინდა მითია,
მომავალს მუდამ შეემხედრები,
რადგან წარსული შუქად გინთია.

* * *

სევდამ აავსო საბა — სვიანი...
და ბედისწერა გურამიშვილის.
ბეთანიაში ორბელიანი
თამარის წმინდა აჩრდილთან ტირის.
მთაწმინდის მწუხრმა დე უალერსოს,
ბინდისას მტკვრის და ჩინარის ოხვრას,
არაგვის ნალველს ჩამოჰყვა ლექსი
და უბედობას დიდება მოჰყვა.
და ცა-ფირუზის ძტავარში კამარა
ცისკრის ვარსკვლავის შუქით ივსება,
თერგდალეულთა წმინდა ამალა,
ქვათა ღაღადში ეძებს ღირსებას.

ვარძიის ქვაბებს ქარში ახველებს,
დიდება გელის არდანაბადი.
მუდამ ფარავდეს შენს მთას და ველებს,
ვეფხის ტყავი და ვაჟას ნაბადი.
ერთ დროს მოვიდა ცრემლის იორი,
ულამაზებდა ნიჟს მტირალ ტირიფს,
ნათელი სული გალაკტიონის
ჭიშკრის კარებთან წარსულზე ტირის.
სუყველას მადლად გადაეფარე,
დრო დაამარცხე და ვერ გაგსრისა,
მარად გიცავდეს ხმალი ელვარე.
დავითისა და გორგასალისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სუსტი და ნელი ქარი უბერავს,
ფრთხილად ეხება დამტვრეულ მინებს,
ჩაძინებია უკვე სუყველას.
მე კი ვერაფრით ვერ ჩავიძინე.
და აღიმართა წლების სვეტები,
ხალისნარევი და ცრემლნაზავი,
შემეხმიანენ წვიმის წვეთები.
მარტოობაში, ღვიძლი ძმასავით.
მომიგონებდეს ნეტავი ვინმე.
ფიქრებით ვუხვევ სიჩუმეს ზეწარს.
ვიგონებ ჩამდგარ ქარებს და წვიმებს
და სინანული სახსრებში მლეწავს.

* * *

ურემს მოსდევდა ურმის ჩერო და
ცაზე ეძინათ თეთრ ღრუბლებს
შეყრილს.
მარცხნივ რკინიგზა იწელებოდა,
მარჯვნივ მეჩხერი ტყე იყო ეკლის.
შუადღე იყო მშვიდი უზომოთ.
როგორც ურმის ქვეშ ბალახის ნოხი.
თეთრ ღრუბლებს შორის მწველი მზე
ზემოთ.
ჩრდილებს მოსავდა უცნაურ ჩოხით.
და მიდიოდნენ წყნარად ხარები,
ვაკვირდებოდი ლურჯ ქედებს ორმხრივს
და წინამძღოლის მკლავებსა და მხრებს.
მომარჯვებული წალდივით მოხრილს.
მატარებელმა გაიგუგუნა,
თან გაიყოლა ნატვრის ნაკადი,
ვიცოდი, რომ ვერ გავძლებ უგულოდ.
ამაღამ ძილში თბილისს ვნახავდი.
საღლაც დაეცა წყლის წვეთი მორთან.
დაიძრა ღრუბლის სავსე კალათა.
აქეთობისას გზა გაიოლდა.
იქეთობისას გაგვასავათა.
ისევ მოვდივართ ნელა. ზოზინით
და მოკრეფილი ჭიისთვის ბეოლით.
როგორც ის ნატვრა. მაღლა მოზრდილი.
ფრთხილი ღრუბელი მოგვყვება შორით.
სიცარიელე აწევს ლიანდაგს.
ხეები ჩრდილავს კრამიტებს ნახმარს.
სადილობაზე დაგვაგვიანდა,
წვიმას გავასწრებთ, მივუსწრებთ
სამხარს.

* * *

ახლა ხიდია ჩამტყდარი მარად.
აღუდგენელად იქით აქედან
და მოგონების სიმძაფრე კმარა
მზის. ცეცხლს და სითბოს როცა
მახვევდა.
ბაღის კიდეზე მოვსეირნობდი.
ქვეყანა მიჩნდა ტრფობის ნაკრძალად.
ყველა ჩრდილები როცა ირმობდა
და გულის წადილს ჰქონდა სხვა ძალა.
განგების ძალავ, გზაა იგივ გზა.
ცაც იგივეა ძალავ ფარული.
ამ წლების ჯაჭვმა რატომ იკისრა.
რომ გაბმულიყო სასინანულოდ.
დღეს იმ შეფუთვნილ შუადღის კერის.
ისევ მიზიდავს მოთენთილობა
და სინანულის სიმღერას მღერის
მოგონებების ნაზი ჭრილობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეჟან თხინვალელი

# დაბრუნება

## მოთხრობა

დათია ჭიდან წყალს ილებდა. როდესაც ჭიშკარი გაიღო და ასწლოვანი კაკლის ჩრდილში თავი შემორგო ახალგაზრდა ლამაზმა ქალმა. სახეზე დაღლილობა აღბეჭდოდა. მაგრამ მაინც ისეთი მომხიბვლელი ჩანდა. რომ კაცი უმნიშვნელო წუნს ვერ უპოვიდა მის მშვენებას. მაღალი, ხორციანი, თეთრი, მზისგან ოდნავ ლანვშეფაკლული ნატიფი პირისახით. შავად გადახატული წარბების ქვემოთ მომნუსხველი შავი თვალების შუქის ციაგით მოდიოდა ამაყად. თავისი სილამაზის მთელი შეგრძნებით და ნიავისაგან ათრთოლებული რტოსავით მოარხევდა ჯიშიან მკერდს. ვიწროდ შემოტმასნული ჯინსის შარვალი ეცვა. გაშლილი შავი თმები კი მსუბუქად ეფინა მხრებზე.

დათიამ მისკენ წამოსული ანგელოზი რომ შეამჩნია, ხმელი პირისახე სიხარულმა აუვაო. ვედროდან წყალი გოზაურში გადააპირქვავა და მისთვის უჩვეულო სიცქაფით გაეშურა შვილთან შესაგებებლად. ალერსით გადაკოცნეს მამა-შვილმა ერთმანეთი და კარგა ხნის უნახავი შვილი სიყვარულით ჩაეკრა მამას მკერდში, მაგრამ რაღაც უსიამოვნო შეგრძნებამ, რომელიც მოულოდნელად დაეუფლა დათიას გულს. შვილის ნახვით გამოწვეული სიხარული წამსვე გაუნელა და მთლად წაუხდინა ხასიათი. ტკივილი გულში დამალა და შვილს არაფერი აგრძნობინა. გაღიმებაც კი სცადა, მაგრამ ისე ძალდატანებითი გამოუვიდა, რომ სიხარულის ნაცვლად სახეზე საცოდავი გამომეტყველება გამოესახა. თავი რომ დაეღწია შვილის მოკითხვებისაგან, ბაღში მომუშავე ცოლს გასძახა:

— ჰეი, ნინო! არ გესმის? ლონდა მოვიდა.

მალე ბაღიდან ეზოში გამავალი კარი გაიღო და წინსაფარაწეული ნინო გამოჩნდა. სახეზე ალმურმოდებული მოიჩქაროდა და ლონდა ახლა მისკენ გაემართა. ნინომ კიბესთან წინსაფარს ხელი გაუშვა და ნაცარქათამათი სავსე კალთა საფეხურზე ჩამოცალა. ორჯერ ჩამოჰკრა ხელი წინსაფარს. მტვერი გააყრევინა და საყვარელი შვილი გულში ჩაიკრა. ლონდას სპეტაკ სახესთან დედის მზისგან გაყამული სახე უბადრუკად მოსჩანდა, თუმც ნინოზე შეუხედავი ქალიაო, არ ითქმოდა. შვილზე ოდნავ დაბალი და საკმაოდ ჯანიანი დედაკაცი იყო ოჯახურმა ჯაფამ და ასაკმა მის სილამაზეს პეწი წაართვა, ხოლო სხეულს — სინარნარე და სინაზე. ლონდას წინ შრომა ნაჩვევი. მამაკაცურად სიტლანქემილებული ქალი იდგა. გულისმანკით დაავადებული დათია ხშირად ხდებოდა ცუდად და თვითონ იყო მოავლელი, საქმე კი როგორც ქალის, ისე კაცისა, ნინოს კისერზე იყო დაწოლილი. შვილები (ლონდა და მისი უფროსი ძმა) არამც თუ მოსახმარებლად, მოწეული მოსავლის ნასაღებადაც ვერ ახერხებდნენ სოფლად მოსვლას, ხოლო თუ ნინო ჩააკითხავდა თბილისში, ისევ მას უნდა ჩაეტანა ჭირნახული უჭირნახულო შვილებისათვის.

— სად ხარ შვილო, შენს ნახვას რომ დაგვანატრე? რას იხრჩობი ამ გაგანია სიცხეში ქალაქში, შაბათ-კვირას მაინც ამოგვხედეთ და შეაფარეთ ჩრდილს თავი. ჩვენი ბლები სიმწიფისაგან დამსკდარია, თქვენ კი იქ საყიდელი გაქვთ; თქვენს ბაღში რომ თქვენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელით მოგლეჯთ, მაგას რა სჯობია, გენაცვალე?

მსუბუქად დატუქსა შვილი ნინომ.

— ორშაბათიდან შვებულებაში ვარ და ერთ-ორ კვირას თქვენთან გავატარებ, — ისეთი დამადლებული ტონით ჩაილაპარაკა ლონდამ, თითქოს რისიმე ჩუქების სიგელს შეჰპირდაო.

ნინომ ოთახიდან სკამები გამოიტანა და დედაშვილი ხეივნის ქვეშ მოკალათდა, დათია კი უხმოდ გაჰყვა მოხრეშილ ბილიკს, ჭიშკრამდე მივიდა და ხის მესრის ძირში მიგდებულ ლოდზე მძიმედ დაეშვა. ძველისძველ, დაზიანებულ ქოლგასავით ეფარა თავზე უზარმაზარი კაკლის სხეული, აქა-იქ ფოთლების საფარს თავდაღწეული მზის სხივები ნათელ ლაქებად ეფინა დედამიწაზე მუქ ჩრდილებს შორის. დადარდიანებული იჯდა დათია და დამწუხრებული იმზირებოდა. ხეივნიდან კი ხმამაღალი წამოძახილები და გულიანი კისკისი მოისმოდა; კარგა ხანს იჯდა ფიქრს მიცემული და გარინდებული, სახეზე ეტყობოდა, რომ რაღაც აწუხებდა. რაღაც ენადა და გაკეთება უჭირდა, რაღაცას ანგარიშს უწევდა.

— თუ არის იყოს, თუ არა და შავმა წყალმა ზიდოს, — ყრუდ ჩაილაპარაკა დათიამ და ხეივნისკენ გაიხედა. ეტყობოდა რაღაც გადაწყვეტილება მიელო. ეზოში ჩამიჩუმი აღარ ისმოდა. ფეხზე წამოდგა. ერთი უგულოდ გადაჰკრა ხელი გაჭაღარავებულ თხელ ქოჩორს და, სარივით მაღალი და გამხმარი, მოჩოლფოტებული გაემართა სახლისკენ. ოთახში ნინოს გარდა არავინ იყო. ქალს წყლით სავსე ორჯამიანი დაედგა მაგიდაზე და ხმადაბლა ღიღინით ნაცარქათამას რეცხავდა. უჩუმრად აუარა დათიამ ცოლს გვერდი და მეორე ოთახში დივანზე წამოწვა. ოთახის შუაგულში მამაპაპეული დიდი მაგიდა იდგა, გარშემორტყმული ზურგიანი სკამებით, კედელთან კი ძველისძველი კამოდი გამოჭიმულიყო. ახალი და პეწიანი იყო კარის საპირისპირო კუთხეში მიმდგარი ტელევიზორი თავის მაგიდით და კარის გვერდით მდგარი დივანი ორი სავარძლით. დათია თავს ცუდად გრძნობდა, კეფის ძარღვები დაძაბვოდა და თავი გაბრუებული ჰქონდა, ეტყობოდა წნევამ აუწია, რაც ამ ბოლო დროს მისთვის ახალი ხილი აღარ იყო.

— ნინო! — გასძახა დათიამ ცოლს.

— ჰაა?

— გოგო რა იქნა?

— ბაღშია.

— მოდი ერთი აქ, რაღაც უნდა გითხრა.

— მანდედან მითხარი კაცო, ხომ ხედავ საქმეს ვადგავარ.

— მოდი-მეთქი! არავის სჭირდება შენი საქმე.

ნერვიულად წამოიყვირა დათიამ და საფეთქლებზე ძარღვები დაებერა.

ნინომ ხელები პაიჰარად წინსაფარზევე შეიწმინდა და ქმართან შევიდა. ფერდაკარგული დათია დივანზე გულაღმა გადაწოლილიყო.

— ცუდად ხომ არა ხარ კაცო, ლონდას დავუძახებ, ექიმთან დაარეკვინოს ვისმეს, — ელდა ეცა ნინოს.

— არ მინდა. ხელს ნუ შეუშლი გოგოს.

ირონია გაერია დათიას ხმას. ნინო ნათქვამს ვერ მიუხვდა, ამიტომ იყო, რომ ეგონა, ხილის ჭამაში ნუ შეუშლიო ხელს.

— ხილი სად გაექცევა, მამას რომ მიხედოს, ხელის შეშლას ეძახი მაგას?

— ხილი კი არა, ჭირი უნდა ვაჭამო მაგას. ჩემი ბრალია, ჩემი, — კბილებში გამოსცრა დათიამ, — უნდა დამეტოვებინა სოფელში და თოხი იქნებოდა მაგის უნივერსიტეტი. იქნება მაშინ უკეთესი გამოსულიყო. არამი იყვეს მაგაზე რაც თბილისში ვუგზავნე და აქ კი ოჯახი გავაღარიბე...

— ხომ არ გადაირიე კაცო!

წყრომით წამოიძახა შეცბუნებულმა ნინომ, რომლისთვისაც ცხრაუცნობიანი განტოლება იყო ქმრისაგან შვილის მისამართით დაცდენილი აუგი. არადა, გუშინ ხომ არ წავიდა ლონდა თბილისში, რვა წელზე მეტია იქაა, ისწავლა. დაამთავრა, სამსახური იშოვა, ოჯახიდან იმდენი დახმარება აღარ სჭირდება, რამდენიც სტუდენტობის დროს. დათია ყველაფრით ხელს უწყობდა, რომ შვილს ესწავლა და ახლა, როცა თითქმის ყველაფერი კალაპოტში ჩადგა, რამ გააბოროტა? რამ მისცა შვილზე ცუდის თქმის მიზეზი?

— არ გაგეშვა! — გამოჯავრებით გააგრძელა ლაპარაკი ნინომ. — გჯდომიყო გვერდში პალიაანთ გოგოსავით და შენგან ისწავლიდა აქ რამეს! რამ მოგშხამა დღეს ნამდვილად არ ვიცი?! ქალაქში ისწავლა, უქმად ხომ არ უხეტიალია? სახელი ხომ არ შეურცხვენია? ქვეყანა მაგას შენატრის, ნეტა ყველას მისცა ეგეთი შვილი.

— როგორი ეგეთი? ეხლა წიგნს ყველა კითხულობს, ვინც პაპიროსსაც დაეჩვევა, ეგეთი იქნება!

ტყვიასავით მოჰხვდა ნინოს გულს ქმრის მკვახე სიტყვები და სანამ დათიას ნათქვამს დაუფიქრდებოდა. მანამ ერთი კიდევ გამეტებით შეუტია.

— რას ბოდიალობ კაცო, რატომ არ უკვირდები?

— გადამკოცნა თუ არა. მაშინვე მივხვდი ყველაფერს. შენ კი ისე მიტევ, თითქოს მე ვუგონებდე. რაც მაგ ამბავს მივხვდი, მე ჩემი დამემართა. ყელი რომ გამომჭრა ალბათ გრა-

მი სისხლი არ გამომივა. ვერ გაგვიზრდია, ჩემო ნინო, კარგი შვილი! პაპიროსის მწეველი ქალის პატიოსნებისა მე არაფერი მწამს, სხვას ვის დავუჯერებ? სად დაეჩვიაო, რას იტყვიან? კარგ ოჯახში და კარგ წრეში გაზრდილი ქალი მაგას არ გააკეთებს. ვინ იცის იენებ სვამს კიდეც; მიდი და უთხარი, ან პაპიროსს დაანებოს თავი სამიდლემშიოდ, ან ჩემს შვილობაზე აილოს ხელი. კარგად იცი, ათ წელზე მეტია პირში აღარ ჩამიდვია, მე გადავეჩვიე და გოგომ არ დამიწყო ეხლა წევა?

დათია გაჩუმდა, ნინოც ხმას არ იღებდა, მძიმე სარქველი დასწოლოდა გულზე. მიხვდა. რომ დათიას სიტყვებში ეჭვის შეტანა უსაფუძვლო იყო. განა არა. თვითონაც იგრძნო თამბაქოს სუნი, მაგრამ რას მოიფიქრებდა. ეგონა ალბათ ავტობუსში ვინმე ეწეოდა და მისი სუნით გაიჟღინთაო. უჩუმრად, დამდუღრებული გამოვიდა ნინო სახლიდან და ბაღის კარი შეაღო. თვალი გადაავლო ბაღს და შვილს დაუწყო ძებნა. გეზი ბაღის სიღრმეში გოგრა ბალისაკენ აიღო. შორიდანვე მოჰკრა ბლისწვერს თვალი, ნიავი ამოძრავებდა. ზედ ლონდა არ ჩანდა. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ხე მთლიანად გამოჩნდა. ნინომ ხეს მზერა ჩამოაყოლა და უცბად თითქოს დენმა დაარტყაო, თვალთ დაუბნელდა, ლამის გონი დაკარგა. ბლის ქვეშ, ახალმოთიბულ ბალახზე ლონდას გაშოტილ სხეულს ჰკიდა თვალი. მხრებით ხის ძირს მიჰყუდებოდა, დროდადრო პირთან სიგარეტიანი ხელი მიჰქონდა და კვამლის მსუბუქ, ნაცარა ქულებს უშვებდა ჰაერში. ნინო წამსვე გონს მოეგო და პირგამეხებული გაემართა შვილისკენ. თვითონაც არ იცოდა თუ რას მოიმოქმედებდა, რომ ისევ ლონდას უჩვეულო ქცევას არ შეებორკა.

ლონდას სმენას ფეხის ხმა მისწვდა და მისკენ მომავალ დედას რომ მოჰკრა თვალი, სიგარეტიანი ხელი ზურგს უკან ამოიფარა, მაგრამ მიხვდა, რომ ეს გვიანი იყო, რადგან ნინო სწორედ სიგარეტიან ხელს მისჩერებოდა დაჟინებით და მისი მრისხანე გამომეტყველება ნათელს ხდიდა, რომ მან ყველაფერი დაინახა. „თავის მოკატუნებას აზრი არა აქვს", გაიფიქრა ლონდამ და სიგარეტი კვლავ პირში ჩაიდო, რამდენჯერმე ძლიერად მოქაჩა, გულში ფიქრობდა, რომ არაფერი დაეთმო, პირიქით, გაემართლებინა თავისი საქციელი.

ორიოდე ნაბიჯზე თავისდაუნებურად გაუჩერდა ნინოს ფეხები. შვილის მოურიდებლობამ დააბნია, იდგა უხმოდ და გაოცებული თვალებით შესცქეროდა შვილს. ლონდასგან სიგარეტის წევა არ გაჰკვირვებია ისე, როგორც მისი გამომწვევი მზერა, მშობლის არაფრად ჩაგდება. ნინოს ეგონა ლონდას სირცხვილი დასწვავდა, მაგრამ აქ რა მოხდა? უტიფარი გამოხედვა, არაფრად ჩაგდება, დაუფასებლობა. ნინოს ალბათ დაუწყდებოდა დამძიმებული გულის ძაფები, რომ უეცრად დაძრულ ცრემლს არ შეემსუბუქებინა. ტიროდა, ზლუქუნებდა თავისთვის, თითქოს ლონდას კი არა, თავისთავს უწყრებოდა.

როგორც ნინო გააოგნა ლონდას ქცევამ, ასე მოუვიდა ლონდასაც. მას ეგონა დედა ლანძღვას დაუწყებდა, დაუყვირებდა, თმით დაითრევდა, მაგრამ... იდგა ნინო და გულაჩუყებული, მწარედ ტიროდა. ამან ცოტა არ იყოს ნაუხდინა ლონდას შემტევი განწყობილება. კიდევ ერთხელ მოქაჩა სიგარეტი და ფილტრამდე დასული ნამწვი ხეზე მიაჭეჭყა, ნაცრისფერი კვამლი კი მზისგან გაჩახჩახებულ ზეცაში გაგზავნა.

— ყოჩაღ, გენაცვალე! სახლში მოგეწია, აამებდი მამაშენს.

როგორც იყო ხმა ამოიღო და გესლში გააზავა ნინომ.

— მამაც წამოგეყვანა და ერთად მომფერებოდით, ძალიან შაამებდით, — გამოაჯავრა დედის კილოს ლონდამ.

— რა დაგიშავეთ, რად გვისწრაფებ შვილო სიცოცხლეს? — ნერვებს ველარ გაუძლო და კვლავ ატირდა ნინო.

— თქვენთვის არაფერი მიწყენინებია, კარგის გარდა არაფერი შემიხვედრებია, არ გინდათ კარგი და ახლა ნახეთ წყენება, — დაიქადნა ლონდამ და გამაღიზიანებლად გაუსწორა დედას თვალი.

— პაპიროსის მწეველ ქალზე კარგს ვინ იფიქრებს, შვილო? რად გინდა ხალხი აალაპარაკო ჩვენზე? ოჯახის მოკიდებას არ ფიქრობ? პაპიროსიან ქალს ვინ შეიყვანს სახლში? — წყნარად, დამრიგებლური კილოთი დაუწყო ნინომ საუბარი, რადგან დაინახა, რომ ლონდა ჯიბრით ელაპარაკებოდა და დათმობას არ ფიქრობდა.

— აი, თურმე რის დარდი გქონია, — ჩაიცინა ლონდამ, — ვის სცნობ დედაჩემო ისეთს, რომ მე თანახმა ვიყო და იმან სახლში არ შემიყვანოს? ან თუ იცი ეგეთი კაცი, მე რატომ არ მეკითხები, თუ წავყვები იმ ხეპრეს, ადამისდროინდელი აზრებით, ჩვევებით და შეხედულებებით თავგამოტენილს? დრო რომ შეიცვალა, მარტო გუთანი კი არ შეიცვალა ტრაქტორით, ადამიანიც შეიცვალა, წესიც შეიცვალა და აზრიც. იმისთვის რომ ოდესღაც ვიღაცამ ქალს რაღაცა აუკრძალა და წესად აქცია, ახლა, მეოცე საუკუნის დასასრულს მე მივყვე და ჩემი სურვილის წინაამდეგ ჩემივე თავი შევიზღუდო? ხალხი ჯ[illegible] ისედაც განერვიულებული და გაღიზიანებულია, ცხოვრება რთულია და დაძაბული და

სანამ სიბერე სიკვდილს მოიყვანდეს, მანამ იქნებ ის წყეული ატომი დამაყაროს თავზე? არ გინდა, რომ შენმა შვილმა ის გააკეთოს, რაც გაუხარდება, რაც ესიამოვნება? იქნებ ის სჯობია სახლში დავჯდე, ჩადრი მოვიბურო და ჩემი სახლის ზღურბლს არ გასცდეს ჩემი ფიქრი და ინტერესი?

— რომ ვჩხუბობ და ნერვებს ვიშლი, შენი გულისთვის ვაკეთებ მაგას, შენი ბედნიერებისათვის... როგორც შენ გინდა იცხოვრო, არ ცხოვრობს შვილო, ჯერჯერობით ეგრე ხალხი. ვინც ამ ცხოვრების წესს არ მისდევს, უწესოს სახელი აქვს დამკვიდრებული. რაღა შენ მოგინდა უარყო ის, რაც საუკუნეებმა დააკანონა? ან ხალხს თუ დაუპირისპირდი და მისი კანონი გალანძღე, სად გინდა ჰპოვო ბედნიერება? იქნებ იმათი იმედი გაქვს, თითო-ოროლა შენი ჭკუის, რომ გახვევია გარს და ამხანაგებს ეძახი? ისინი ჩემსავით არ მიიტანენ გულთან შენს ცუდს და ნერვებს არ მოიშლიან, ისინი ალბათ კიდევაც გაქეზებენ და გულითაც სურთ შენი სწორი გზიდან გადაყვანა, ის, რასაც შენ ბედნიერებას ეძახი, ჩვენ გარყვნილებად გვესმის, რადგან ვინც მაგ „ბედნიერებას" გასწავლის, შენი მშვენების და ქალწულობის განბილების სურვილი ამოძრავებს და თუ მოახერხა, მაგ საბუთითვე გაიმართლებს თავს. მე გაგზარდე, მე გასწავლე და რატომაა, რომ ჩემი აღარ გესმის? თუ მე ბნელი ვარ და არაფერი მესმის, შენ სადღა ისწავლე და ვინ გასწავლა? განა იმას არ გასწავლიდი რაც ვიცოდი? — კიდევ უფრო დაუწია ხმას ნინომ და თითქმის ეხვეწებოდა, რომ მისი შეგონება შეესმინა.

— თქვენ რაც იცოდით ყველაფერი მასწავლეთ, მეც რაც შევძელი ვისწავლე, მაგრამ მე ხომ მარტო ის არ უნდა ვიცოდე, რაც თქვენ მასწავლეთ? მარტო იმას ხომ არ უნდა ვხედავდე, რაც თქვენ გინახავთ? მე ხომ ჩემი ნანახი ჩემებურად უნდა გამეგო? შეიძლება ბევრში შევცდი, სწორად ვერ გავიგე, მაგრამ ჩემი კარგიანად და ცუდიანად ასეთად ჩამოვყალიბდი, მოკლედ, რაცა ვარ ესა ვარ, — ტკეპნით ლაპარაკობდა ლონდა და დამაჯერებელი ტონით აძლევდა ახსნა-განმარტებას.

ვერა და ვერ ააწყო ნინომ საუბარი, მან იცოდა, რომ ლონდა რასაც ლაპრააკობდა, საერთოდ იმ აზრისა არ იყო. ამიტომ უკვირდა, რატომ ელაპარაკებოდა შვილი ჯიბრზე. დამნაშავე თვითონ იყო და დედას რას ემართლებოდა? გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო, ისე იყო მისი საქმე. ნინო მიხვდა, რომ ასეთ ლაპარაკს ფასი არ ჰქონდა, რაც უთხრა ისიც საკმარისი იყო; რომ გადაეწყვიტა კიდეც ლონდას, მისდღეში სიგარეტს აღარ მოვწევო, ახლა მაინც ჯინზე ეტყოდა — „სურვილი მაქვს და უნდა მოვწიოო".

— შენთან სხვა არაფერი სადაო არა მაქვს, შვილო, შენის მხრიდან ბედნიერიც ვიყავი, მაგრამ პაპიროსს ვერ მოგიწონებ. მამაშენის ხასიათი ხომ იცი? შენი წერა გახდება: ყველაფერი რომ მეფიქრა, შენგან მაგას არ მოველოდი. რას ფიქრობდი, როცა პირველად პირში ჩაიდე, რა ეშმაკი შეგიჩნდა, რამ დაგაჩვია?

ნინომ პასუხს აღარ დაუცადა ისე გაბრუნდა სახლისკენ. ბოლო სიტყვებში იმდენი ნაღველი გაურია, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში თითქოს ახლა შეიჭრა ლონდას გულში სიბრალულის გრძნობა.

ლონდამ მანამ უცქირა მიმავალს, სანამ დედა თვალს არ მიეფარა. არ მოელოდა ასე მოულოდნელად დედის წასვლას. თავის თავზე გული მოუვიდა, რომ ასე აწყენინა და საყვარელი დედა გულჩაკლული გაუშვა. რაც მართალია, მართალია, ლონდას მშობლები ძალიან უყვარდა, მათი ხათრის გულისთვის შეიძლება სიგარეტზე უფრო ბევრად დიდი მოთხოვნილება და სურვილი ჩაეკლა, მაგრამ ამ დღეს რატომღაც ისე აეწყო საუბარი, რომ ჯიბრზე მოუხდა ლაპარაკი. ისიც უნდა ითქვას, რომ ლონდა შენიშვნებს და დარიგებებს ვერ იტანდა, სანამ თვითონ ჭკუაში არ დაუჯდებოდა, რამდენიც გინდა გელაპარაკათ ვერაფერს გააწყობდით, ხოლო თუ რამეს მოინადინებდა, ძალას და ნებისყოფას არ დაიშურებდა, მაინც გააკეთებდა.

— მართლაც რამ დამაჩვია სიგარეტს? — პირველად დასვა ეს კითხვა ლონდამ, — იქნებ სიმარტოვემ? მე ხომ თითქმის მარტო ვიყავი გამოკეტილი ნაქირავებ პატარა ოთახში? ჩემი ძმა ძილისწინ თუ მოდიოდა სახლში, ხოლო რაც ცოლი შეირთო, მასთან გადავიდა. სულ მარტო დავრჩი — გაახსენდა, რამდენჯერმე როგორ გამოაძრო ძმის კუთვნილი კოლოფიდან სიგარეტი და გააბოლა. ბოლი რომ გადაუვარდა, ხველებამ კინაღამ დაახრჩო, ისე მოხვდა გულზე.

— არა, სიმარტოვე არაფერ შუშაია, დროს მაინც მეგობრებთან ვატარებ, — ლონდა ხეს მოსცილდა, დაბლა ჩაცოცდა და გულაღმა გადაწვა ბალახზე, ხელები თავქვეშ ამოიდო და ფიქრი განაგრძო, თან დამშვიდებას ცდილობდა. მარცხენა ხელი თავქვეშიდან გამოიღო, დაჭიმული პერანგის ღილი გაიხსნა და მკერდი გაინთავისუფლა. ბლის მწვანე ფოთლებს თავდაღწეული სხივები მოძვრებოდნენ მისი მშვენიერი მკერდის სანახავად და უხვად ებნეოდნენ უბეში — იქნებ უნივერსიტეტის ტუალეტებში შეყუჟული მეტიჩარა გოგონების გავლენის ბრალია, თავმომწონედ რომ აბოლებდნენ სიგარეტს? მათთან ერთად მეც ხომ მომიწევია? — გაახსენდა სახლში დაბ-

რუნებისას, როგორ ვარჯიშობდა, რომ ნაფაზის დარტყმა ესწავლა.

— იქნებ მართლა იმ მეგობრების ბრალია, რომლებიც ახლაც გარს მახვევიან? — წამსვე მწკრივში ჩადგნენ მეგობართა სახეები, ყველას სიგარეტი უჭირავს. ლონდამაც ჩანთა გახსნა და სიგარეტის კოლოფი ამოიღო. უცებ ზიზღი მოერია, „ამის გულისთვის გავაბოროტე დედა?“ კოლოფს თავი ახადა, ერთი ღერი ამოიღო, დანარჩენი დაჭმუჭნა და მთელი ღონით მოისროლა. სანთებელათი სიგარეტს მოუკიდა და ღრმა ნაფაზი დაარტყა. ბოლი შვებად მოედო გულზე. ზედიზედ გაუშვა ცაში ნაცრისფერი კვამლის მსუბუქი ქულები. სიცხემ შეაწუხა და სახლში წასვლა მოუნდა. მაგრამ გადაიფიქრა, არ უნდოდა ნერვებმოშლილ დედას უკან მიჰყოლოდა ფეხდაფეხ. თუმცა ნანობდა თავის საქციელს, მაგრამ ბოდიშს მაინც არ მოიხდიდა და არავითარ პირობას არ დაუდებდა. პირობა შეიძლება თავისთავისთვის დაედო და აღარც მოენია, მაგრამ როგორც სიგარეტის დაჩვევა არავის გაანდო, ისე გადაჩვევასაც არავის გაუმხელდა, ისევ ცოტახანი მოცდა და ფიქრის გაგრძელება ამჯობინა. რიგში მისი მეგობრები იდგნენ:

— აი თინა, გამხდარ გრძელ თითებში ჩვეულებრივ სიგარეტი უჭირავს.

— ჭრელთვალა, ქერათმიანი მაკა, მარცხენა ხელს რომ გამუდმებით იქნევს სახესთან და სიგარეტის ბოლს თვალებიდან იშორებს.

— გათქვირული მანანა, რომელიც ძალდაძალ ეწევა სიგარეტს, რომ როგორმე წონაში დაიკლოს.

— მაღალი, წარმოსადეგი მერაბი, მანქანის კარს თაფლისფერი თვალების ბრწყინვით რომ უღებს და ეპატიჟება, მანქანაში ყოველთვის უყრია ექსპორტული სიგარეტები.

ლონდას უეცრად ფიქრის ძაფი გაუწყდა, ნინოს კივილმა თოფის ხმასავით მოირბინა მიდამო. ლონდა ზეზე წამოვარდა და სახლისკენ გაიქცა. წუთში გადასჭრა მთელი ბაღი, ეზო და ოთახში შევარდა. ეზოში უკვე მეზობლებიც შემორბოდნენ.

იატაკზე პირქვე დამხობილი დათია ეგდო, ნინო აწევას ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ლონდამ. მშობლები ასეთ მდგომარეობაში რომ დაინახა, მიშველება კი გაივლო გულში. მაგრამ წამსვე თვალთ დაუბნელდა, გონი დაკარგა და ფეხები გამოეცალა.

გრძნობას რომ მოვიდა, პირველ ოთახში იწვა სანოლზე, რამდენიმე მეზობლის ქალი ადგა თავზე და მის მოსულიერებას ელოდა. მეორე ოთახი კი ხალხით იყო გატენილი. ოთახში გასავლელი კარის გარდა სხვა არაფერი ჩანდა.

ხალხი გაირღვა და კარებში ნინო გამოჩნდა. თვალგახელილი შვილი რომ დაინახა, თითქოს შეშლილივით სახე ცოტა დაუწყნარდა. საცოდავი ქალი ერთ ოთახში გავარდებოდა და ქმარს დახედავდა, მეორეში შვილს.

— მამა! — ამოიგმინა ლონდამ — რა მოუვიდა მამაჩემს?

— წნევამ დაარტყა, — უპასუხა თავსწამომდგარმა თვალცრემლიანმა შუახნის მეზობლის დედაკაცმა.

— ცოცხალია, შვილო, დაწყნარდი, ახლავე ექიმი ამოვა და იქნებ გამობრუნდეს, — წამსვე დაამატა ნინომ.

თითქოს ხსენებას ელოდებოდაო, ოთახში სოფლის ექიმი შემოვიდა. ხალხმა გზა დაუთმო.

— ვიცი, აღარაა ცოცხალი მამაჩემი. ჩემი თვალით დავინახე ძირს რომ ეგდო, — ეჭვი ვერ დამალა ლონდამ და ცრემლები წასკდა. მაშინ შავთავსაფრიანმა მოხუცმა მეზობლის ქალმა თავი წამოუწია და მეორე ოთახში გაახედა. ექიმი დათიას წნევას უზომავდა — ცოცხალი ყოფილა, — გულში გაივლო ლონდამ.

— ავადმყოფი წყნარად ამყოფეთ, — ანიშნა ექიმმა მეზობლებს და მათაც დაატოვებინა ოთახი. წამლები მაგიდაზე დაუწყო, წამლების წესი დაუწერა და თვითონაც გამოვიდა.

— ექიმო! გული გაუხდა ცუდად, — ლონდაზე ანიშნა ექიმს ნინომ და მუდარით სავსე თვალები შეანათა.

ექიმი ლონდასთან მივიდა და მაჯას დაუწყო სინჯვა. ლონდამ მალულად შეათვალიერა თავსწამომდგარი ახალგაზრდა წარმოსადეგი ვაჟკაცი. გულზე დაიხედა ლონდამ და მკერდი მეტისმეტად მოღელილი მოეჩვენა. თავისუფალი ხელი აიღო და გულზე დაიფარა, ისე გააკეთა თითქოს უბრალოდ დაიდო პერანგზე ხელი და ღილს წვალება დაუწყო.

— არა გიშავთ რა, კარგად იქნებით თქვენც და მამათქვენიც, — ექიმმა გამომშვიდობებისას ერთხელ კიდევ გულდასმით შეათვალიერა ლონდას სახე და კარისკენ გაემართა.

კარამდე მიაცილა ლონდას მზერამ მოხდენილი ექიმი. ნინომაც ლოცვით გააცილა ახალგაზრდა ვაჟკაცი.

შიგნით ოთახიდან დათიას მოუსვენარი ფშვინვა მოისმოდა. სიცხის ბუღი ტრიალებ და შინა თუ გარეთ. დაუდგომელი ნიავიც კი გაჰრიდებოდა მზის მცხუნვარებას და ვერ ბედავდა ჩრდილიდან გამოსვლას.

მოწმენდილ ცაზე თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. კაშკაშა მზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაქტიონ პაიჭაძე
გვარდიის პოდპოლკოვნიკი

# „კატუშა“ და ქართველი მეომრები

ერთი თვეც არ იყო გასული ჩვენს ქვეყანაზე ჰიტლერის ურდოების მუხანათურად თავდასხმის დღიდან, როცა ქალაქ ორშას მიდამოებში მრისხანედ დაიჭექა ახალმა საბჭოთა იარაღმა, რომელსაც ჩვენმა მეომრებმა სიყვარულით „კატუშა“ შეარქვეს.

აქ, ბელორუსიის მიწა-წყალზე მაშინ გადიოდა ფაშისტ დამპყრობთა მთავარი სტრატეგიული მიმართულება მოსკოვისაკენ. იმ დაუვიწყარ დროს, უკვე ლეგენდადქცეულ ბრესტის ციხე-სიმაგრის დამცველები კვლავ თავგანწირვით ებრძოდნენ მოწინააღმდეგის არმიის „ცენტრის“ ჯარებს. ბრესტის მამაცი დამცველები არ ნებდებოდნენ ვერაგ მტერს. მათმა გმირობამ შეუძლებელი შეძლო, მსოფლიო განაცვიფრა.

მოძმე ხალხებთან ერთად, სოციალისტური სამშობლო განადიდეს საქართველოს შვილებმა. აქ, ბრესტის კომპლექსური მემორიალის წმიდათაწმიდა სტენდებზე ოქროს ასოებით არის ამოჭრილი უკვდავი სახელები: პანტელეიმონ აფხაზავა, ონისიმე ასათიანი, ირაკლი ბოსტაშვილი, ივანე ზედგენიძე, რომან ორაგველიძე, აკაკი შევარდნაძე...

საბჭოთა არმიის ძლევამოსილი შეიარაღება იყო და არის სოციალისტური ინდუსტრიის პირმშო. ვის არ გაუგონია სახელგანთქმული საბჭოთა ტანკი, ქვემეხი, თვითმფრინავი, წყალქვეშა ნავი, ან ლეგენდარული „კატუშა“?

ამ მცირე ნარკვევში მინდა მოგითხროთ დიდ სამამულო ომის დასაწყისში დაბადებულ ახალ რეაქტიულ იარაღზე, მით უფრო, რომ მე წილად მხვდა მებრძოლა „კატუშების“ ერთ-ერთ გვარდიულ დივიზიონში მისი მეთაურის მოადგილედ; ეს დივიზიონი ჯერ სამხრეთ-დასავლეთისა და შემდგომ უკრაინის მესამე ფრონტზე მოქმედებდა ფაშისტური გერმანიის სრულ კაპიტულაციამდე.

ქალაქ ორშაში, დნეპრის ამაღლებულ ნაპირზე ამჟამად აღმართულია დიდებული მონუმენტი — მემორიალური კომპოზიცია. ეს არქიტექტურული ანსამბლი ასახავს ახალი რეაქტიული იარაღის პირველ საბრძოლო ნათლობას და მისი მეომრების უკვდავ მამაცობას, სამაგალითო თავდადებას.

სწორედ აქედან, 1941 წლის 14 ივლისს, 3 საათზე და 45 წუთზე გვარდიის კაპიტან ი. ფლეროვის პირველმა რეაქტიულმა ბატარეამ მისცა პირველი ზალპი ფაშისტთა ჯარების შესამუსრათ. მტრის თავზე ცეცხლოვანი ქარიშხალი დატრიალდა. ყველაფერი კვამლიან ალში გაეხვია და ინვოდა, ბევრი ჰიტლერელი სიცოცხლეს გამოასალმა. ჭურვები და საწვავი მასალები აფეთქდა, რკინისგზის რელსები დაიკრუნჩხა. მტრის შიშსა და პანიკას საზღვარი არ ჰქონდა.

ახალი იარაღის პირველივე გასროლამ აგრესორის დიდი შეშფოთება გამოიწვია. ჰიტლერმა საგანგებო ბრძანება გასცა ყველა სახეობის ჯარებისადმი, რომ რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, ხელში ჩაეგდოთ რეაქტიული დანადგარები, გამოერკვიათ მისი კონსტრუქციის საიდუმლოებანი. მაგრამ, შეიძლება თამამად ითქვას, ომის დამთავრებამდე მტერმა ვერ შესძლო გაეგო ამ მრისხანე იარაღის საიდუმლოება.

დიდად შთამბეჭდავია, რომ იმ განსაცდელის ჟამს მთელ ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც სწრაფად ვრცელდებოდა ფრონტე-

ეროვნული

ბზე ახალი საბჭოთა იარაღის გამოჩენის ამბავი. ადამიანებს კიდევ უფრო განუმტკიცდათ რწმენა და იმედი ბოროტზე კეთილის უთუოდ გამარჯვებისა. ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა ლიტერატურაში და ხელოვნებაშიც აისახა.

„ახალი იარაღი გამოუგონიათ, ქალის სახელი ქვიებიაო", — ამბობს ხატია ნოდარ დუმბაძის რომანში „მე ვხედავ მზეს".

1941 წლის აგვისტოდან გაიშალა რეაქტიული დანადგარებისა და რაკეტული ჭურვების ფართო მასობრივი წარმოება. მთელი საბჭოთა ინდუსტრიისა და მეცნიერების მხარდამხარ იდგა ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი მუშათა კლასი და ინტელიგენცია. ფრონტისათვის ესოდენ აუცილებელ იარაღებს და მათ შორის რეაქტიული დანადგარებისა და მისი ჭურვების ბევრ ნაწილებს ამზადებდნენ თბილისის ქარხნები.

საბჭოთა არმიის უმაღლესი მთავარსარდლობისა და მისი გენერალური შტაბის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა რეაქტიული არტილერიის ცალკე დივიზიებისა და პოლკების ფორმირება „გვარდიული ნაღმმტყორცნების" კოდური სახელწოდებით.

კაპიტან ფლეროვის ბატარეა, პირველი ამოქმედების შემდეგ გმირულად იბრძოდა მოსკოვის შორეულ მისადგომებთან. სოფელ ბოგატირთან ბატარეა ფაშისტთა ცეცხლის რკალში აღმოჩნდა. მებრძოლები იძულებული გახდნენ დანადგარები აეფეთქებინათ, რათა მრისხანე იარაღი მტრის ხელში არ ჩავარდნილიყო. ბევრი გვარდიელი და მათი მეთაური ფლეროვი გმირულად დაეცნენ მტერთან ხელჩართული ბრძოლის დროს.

გმირული ესტაფეტა „კატიუშების" ახალმა ნაყებამ აიტაცა. 1941 წლის დეკემბრის მოსკოვის ისტორიულ კონტრშეტევაში მონაწილეობდა მრავალი ასეულობით რეაქტიული დანადგარი, რომლებმაც, სხვა მრისხანე იარაღთან ერთად, თავისი წვლილი შეიტანეს მეორე მსოფლიო ომში, როცა ჩვენმა ჯარებმა გააცამტვერეს მითი ჰიტლერის არმიების „დაუმარცხებლობის" შესახებ.

1942 წლის ზაფხულში, კავკასიის ბრძოლების დროს შეიქმნა „მთის კატუშა".

დადგა 1942 წლის 19 ნოემბრის მსოფლიო ისტორიული დღე — დაიწყო დედამიწაზე მანამდე არნახული სტალინგრადის სტრატეგიული კონტრშეტევა. აქ გრიგალისებური ცეცხლის გაჩაღებაში, მონაწილეობა მიიღო ახალი იარაღის 115-ე გვარდიულმა რეაქტიულმა დივიზიონმა. მხოლოდ ერთი ზალპის მიცემით ისინი 10 ათასზე მეტ გამანადგურებელ რეაქტიულ ჭურვს გზავნიდნენ დამპყრობთა პოზიციებისაკენ.

როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი მოგვითხრობს, მცირე მიწაზე გმირული დესანტის შეტევის დროს, ჩვენი არტილერიის გრიალს შეუერთდა „კატუშების" (ომის პრაქტიკაში პირველად ტრალერ „სკუმბრიაზე" დაამონტაჟეს ეს რეაქტიული იარაღი) ცეცხლოვანი ზალპები. გმირ მცირემიწელების მხარდასაჭერად მარჯვედ მოქმედებდა „მთის კატუშების" გვარდიული დივიზიონი. მისი მეთაური, გვარდიის კაპიტანი დ. ერმალჩუკი ორჯერ იყო დაჯილდოებული წითელი დროშის ორდენით. ეს ჯილდოები მამაც მეთაურს აქვე, მცირე მიწაზე გადასცა მე-18 ლეგენდარული არმიის პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

1944 წლის ზაფხულში, როცა მიმდინარეობდა ბელორუსიის განმათავისუფლებელი უდიდესი ოპერაცია „ბაგრატიონის" სახელწოდებით, მასში მონაწილეობდა ათასზე მეტი რეაქტიული დანადგარი. აქ, მე-11 გვარდიულ არმიას, რომელიც ორშას ანთავისუფლებდა. მხარს უჭერდა მთელი მე-7 რეაქტიული არტილერიის გვარდიული დივიზია („კატუშების" უმაღლესი ტაქტიკური შენაერთი). ამ ბრძოლებში, ორშის რკინიგზის საკვანძო რაიონში, მოქმედებდა არა ერთი ბატარეა, როგორც ეს ომის დასაწყისში იყო, არამედ რამდენიმე ათეული რეაქტიული დანადგარების ბატარიები. აი ასე გაიზარდა ახალი იარაღის ძლიერება.

დიდი სამამულო ომის წლებში ფრონტებმა სულ მიიღეს 10 ათასზე მეტი რეაქტიული დანადგარი, მრავალი მილიონი რეაქტიული ჭურვი.

ჩვენს რეაქტიულ დივიზიონში, რომელიც 1942 წლის დასაწყისში მოსკოვში, იზმაილოვის პარკის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა, ყველა მებრძოლი კომუნისტი ან კომკავშირელი იყო; ისინი მგზნებარედ ასრულებდნენ თავიანთ ძალიან მძიმე, მაგრამ ფრიად საპატიო საბრძოლო მოვალეობას. ამ დივიზიონმა სახელოვანი საბრძოლო გზა გაიარა სტალინგრადიდან ავსტრიის ალპებამდე, მონაწილეობდა უკრაინის, მოლდავეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, უნგრეთისა და ავსტრიის ხალხების ფაშისტურ ტირანიისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. რეაქტიულ დივიზიონში ერთიმეორის მხარდამხარ იდგნენ რუსები და ქართველები, უკრაინელები და ბელორუსები... არასდროს დამავიწყდება თანამებრძოლების ვაჟკაცური და კეთილშობილური სახეები, სამშობლოს თავისუფლებისათვის, ბედნიერებისა და მშვიდობის მოპოვებისათვის, სიცოცხლეს რომ არ იშურებდნენ.

ჩემი თანამემამულეებიდან „კატუშების" დივიზიონში იბრძოდნენ თბილისელი დავით დოლიძე, ქვიშხეთელი შალვა გუდაძე, ქ. ვენის შორეულ მისადგომებთან დივიზიონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორიგ შევსების დროს ჩვენ შემოგვიერთდა თბილისელი გალუსტოვი (სამწუხაროდ, სახელი არ მახსოვს). დათიკო დოლიძე, „კატუშების“ სახელოვანი ვეტერანი, წითელი ვარსკვლავის ორდენისა და მრავალი მედლების კავალერი, არც თუ ისე ცოტა შვილიშვილების პაპა, ახლაც მოღვაწეობს თბილისის ერთ-ერთ კვლევით ინსტიტუტში; იგი დივიზიონის ბატარეის რეაქტიული დანადგარის მემიზნედ და შემდეგ მისი მეთაური იყო. თანამებრძოლებს კარგად ახსოვთ დათიკოს გაბედული და უნარიანი მოქმედება სტალინგრადის ლეგენდარულ ბრძოლაში — კოტელნიკოვის რაიონში; კურსკის ბრძოლების დროს, იზიუმ-ბარვენკოვოს რაიონში, მდ. დნეპრის, ოდესის, კიშინიოვის, ბრაილოვის, სოფიის, ბელგრადის, ბუდაპეშტის, ვენის და სხვა ქალაქების განთავისუფლების დროს. მხედრული ვაჟკაცობით ასევე გამოირჩეოდა გვარდიელი შალვა გუდაძე.

აი ერთი მაგალითი: მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი მძიმე ბრძოლები ბალატონის რაიონში. მოწინააღმდეგემ ერთბაშად მოაყარა სატანკო დივიზიები — „ტოტენ კოპფ“, „ვიკინგი“ და „ადოლფ ჰიტლერი“. ცეცხლიანი ბატალიები იმართებოდა ბალატონის ტბის ცაზეც. შალვა გუდაძე, ფაშისტთა თვითმფრინავების შეუწყვეტელი ტყვიის წვიმის ქვეშ, სხვა გვარდიელებთან ერთად, გაბედულად და, ამავე დროს, დინჯად, მძიმე რეაქტიული ჭურვებით მუხტავდა დანადგარს. შემდეგ ის ეკიპაჟთან ერთად ამ მრისხანე იარაღით მიიწრაფოდა საცეცხლე პოზიციაზე და თავზარს სცემდა მტერს. გვარდიელებმა, სხვა ნაწილებთან მჭიდრო ურთიერთობით, გაუძლეს მოწინააღმდეგის დიდი ძალების შემოტევას და დამარცხება აგემეს მას.

ჩვენს წინ ბრძოლის ველზე უხვად ეყარა რკინა-ფოლადის დამწვარი ჩონჩხები, მათ შორის დიდად ქებული „ფერდინანდები“ და „სამეფო ვეფხვები“. ეს თვალნათლივ ლაპარაკობდა საბჭოთა ადამიანისა და მისი იარაღის უპირატესობაზე. არა ერთხელ მინახავს: გადმოხტებოდა ჩვენი შალვა ნასასვლელად გამზადებულ დანადგარიდან და მტრის დამწვარ ამობრუნებულ ტანკზე ცარცით ქართულად და რუსულად დააწერდა „კაპუტ ჰიტლერ“. გვარდიელების დაღლილ სახეებს ნათელი ღიმილი გადაეფინებოდათ ხოლმე.

თანამებრძოლებს სულითა და გულით უყვარდათ შალვა გუდაძე მისი მხედრული გამბედაობისათვის, ჭეშმარიტი ადამიანური უბრალოებისა და თბილი იუმორის გრძნობისათვისაც. ამჟამად შალვა ისევ დამკვრელურად შრომობს ბორჯომის მინის საწარმოში.

გვარდიული ნაღმმტყორცნების პოლკში იბრძოდა ცნობილი ქართველი მწერალი აკაკი გენაძე. იქ დაიმსახურა მან „წითელი ვარსკვლავის“ ორდენი და მედალი „მამაცობისათვის“. ჩვენ ვთხოვეთ მას მოკლედ გადმოეცა თავისი ფრონტული შთაბეჭდილებანი.

— ჩვენს პოლკში, — გვიამბობს აკაკი გენაძე, — ჩემს გარდა თხუთმეტი ქართველი იბრძოდა: ლევან მახათაძე, ფირუზ ბაბუხაძე, შალვა ბანძელაძე, პეტრე ზედაშიძე, ამბროსი გოგობერიშვილი, შოთა მაისაშვილი, დავით ბარსონიძე, დავით გონგაძე, ვასო არჩუაძე, მიხეილ შიშინაშვილი, აკაკი კაციტაძე, ქიშვარდი, შამშე და ჟორა კობახიძეები, აველი ლაიშვილი.

ამ თხუთმეტი ქართველიდან თავი ერთსაც არ შეურცხვენია, ყველამ თავდადებით იბრძოლა. რამდენიმემ კი თავიც გასწირა ჩვენი გამარჯვებისათვის.

სანამ ვცოცხლობთ, შეუძლებელია მათი დავიწყება. მოგითხრობთ ოთხ მათგანზე.

პ ი რ ვ ე ლ ი. 1942 წლის აგვისტოს დამდეგია. მოსკოვის წითელი ყაზარმებიდან ღამით წაგვიყვანეს. დილაა. ახმახი ნაძვის ხეები დაჰყურებენ ჯარისკაცთა მწვანე საველე კარვებს. სერჟანტმა წყაროსთან ჯარისკაცები მიიყვანა პირის დასაბანად. სად არ იცნობ მზით გარუჯულ ქართველს და მის სამხრეთულ იერს. ყურადღებით ავხედ-დავხედე პირხმელ, ტანდაბალ სერჟანტს, პირსახოცი მხარზე რომ გადაიგდო.

— ამხანაგო სერჟანტო, სადაური ხართ? — ვკითხე რუსულად.

გაიღიმა და ქართულად მომიგო:

— ლეჩხუმელი ვარ. ყოფილხარ ჩვენკენ?

— სულ იმ გზით არ დავდივართ! მე რაჭველი ვარ.

შორეულ მხარეში ქართველი რომ ქართველს შეხვდება, თითქოს დიდი ხნის შემდეგ საქართველო ნახაო, ისე უხარია.

— ბანძელაძე ვარ შალვა. მესამე დივიზიონში „კატუშას“ ვმეთაურობ, — გამაცნო თავი. — შენ რომელ დივიზიონში ხარ?

— არ ვიცი. წუხელ მოგვიყვანეს აქ, ჯერ არაფერი უთქვამთ.

ეს მოხდა მოსკოვის მახლობლად, იზმაილოვის ტყეში. მე პირველ დივიზიონში გამამწესეს ოთხ ქართველთან ერთად. „კატუშების“ დამცველი ოცეულის ჯარისკაცებად ჩაგვრიცხეს.

იმავე აგვისტოს მიწურულში ჩვენი პოლკი უკვე სტალინგრადშია. ქალაქი ცეცხლშია გახვეული, ცა — ტყვიისფერ კვამლში. ჩვენი პოლკის სამივე დივიზიონი ერთმანეთის მახლობლად დაბანაკდა — თეატრთან, ბაღში. იმ დღეებში რამდენჯერმე შემხვდა შალვა ბანძელაძე. ეს პირხმელი, ჩია ბიჭი ნამდვილი ცეცხლი იყო. ერთ მშფოთვარე დღეს ცხრაჯერ მოუხდა თავისი „კატუშათი“ ცეცხლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაზზე გასვლა და ცხრაჯერვე გამარჯვებული დაბრუნდა საფარში. ოფლადგაღვარულს პირისახეზე მტვერი ტალახად ედო. იმისთვისაც არ ეცალა, პირზე წყალი შეესხა...

მაშინ მე ცხრამეტი წლისა არც ვიყავი (ცხრამეტისა სწორედ იმ ბრძოლებში გავხდი, ოღონდ, ეს რა თქმა უნდა, მაშინ არც გამხსენებია), პირს იშვიათად ვიპარსავდი. შალვა ჩემზე სამი-ოთხი წლით უფროსი იქნებოდა.

13 სექტემბერს მტერმა შემოგვიტია და უკან დაგვახევინა. „კატუშელები" ბარიკადებთან დაგვაყენეს, რათა მტერი ვოლგისკენ ვერ გაჭრილიყო. შალვაც ბარიკადთან ვნახე.

— სად არის შენი „კატუშა"?

— ვოლგის პირას დავმალეთ ყველა მანქანა. ღრმა ოპერაციებში მიბრუნ-მობრუნების საშუალება აღარ გვაქვს, ისე მოგვიახლოვდა მტერი, ვერ ვისვრით. ახლა ასე უნდა დავიცვათ „კატუშებიც, ჩვენი თავიც და ქალაქიც.

არ ვიცი, ის ბარიკადი რომელ ქუჩაზე იყო. ქუჩის აბრა-წარწერას ვინღა იპოვიდა, როცა თითქმის ყველა სახლი ჩონჩხად იყო ქცეული. ვიცოდით, მტერი ვოლგისკენ ეშურებოდა და არ უნდა გაგვეშვა. მართლაც არ გევუშვით. იქ ბარიკადებზე ჩემს მახლობლად თხუთმეტი ქართველი იბრძოდა, საბედნიეროდ, დაღუპვით არავინ დაღუპულა, მხოლოდ დაიჭრა რამდენიმე.

რაკი „კატუშებს" თვითონ სტალინგრადში მოქმედება აღარ შეეძლოთ, შუა შემოდგომისას ჩვენი პოლკი ყალმუხეთის ველზე გადაისროლეს. 19 ნოემბერს დავიწყეთ დიდი იერიში, რომლის შემდეგაც სტალინგრადში შეჭრილი გერმანელთა ჯარი ალყაში მოვაქციეთ.

თორმეტი დეკემბერია. ჩვენი დივიზიონი სოფელ ნებიკოვოსთან დგას. გარიჟრაჟისას ველს ღრუბელივით მოედო მტრის ტანკების ჯოგი. ცა თვითმფრინავებმა დააბნელეს. დაიწყო ჩვენი „კატუშებისა" და სვასტიკიანი ტანკების „ხელჩართული" ბრძოლა. დანადგარს აწევა აღარც კი სჭირდებოდა, ისე ვისროდით პირდაპირი დამიზნებით, დივიზიონმა თავისი შემადგენლობის მესამედი დაკარგა. უკან დავიხიეთ. ბრძოლაში ჩაება მესამე დივიზიონი.

თვრამეტი დეკემბერი. შალვა ბანძელაძემ რამდენჯერმე კენტად გაიყვანა თავისი „კატუშა" ცეცხლის ხაზზე და მარტო შეება თავისი ეკიპაჟით გამაგრებულ მტერს. აბა, რა ექნა, მისი ბატარეის სამი დანარჩენი „კატუშა" უკვე მწყობრიდან იყო გამოსული. მეშვიდედ რომ მიდიოდა სასროლად, სადგურ ჟუტოვოს აღმოსავლეთით, პატარა ბაქან „ზარიას" ახლოს, ხიდთან, მტრის მეავტომატეთა დიდმა ჯგუფმა ბანძელაძის საბრძოლო მანქანა ალყაში მოაქცია. სერჟანტმა ეკიპაჟი ჩაასანგრა და ფაშისტების გააფთრებული იერიში მოიგერია... მოიგერია რამდენჯერმე. გადაარჩინა „კატუშა", მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში თვითონ კი დაეცა. მისმა ჯარისკაცებმა თქვეს, თვრამეტი ჭრილობა ჰქონდაო. დაჯილდოებულთა შორის მისი სახელი არსად წამიკითხავს. რას ვიზამთ, ომში იმდენი კვამლია, იმდენი დავიდარაბა, ყველა გმირს როდი ამჩნევენ... მაგრამ მე ვიცი, რომ შალვა ბანძელაძე ჭეშმარიტი გმირი იყო. ის ჯილდოსათვის კი არაა, სამშობლოს გადასარჩენად იბრძოდა.

მ ე ო რ ე. პეტრე ზედაშიძე, გოდოგნელი კაცი, ოჯახის მამა, ერთი ჩვეულებრივი მეურმე იყო. ქუთაისიდან ონში კამეჩებით ბევრჯერ ჩაუტანია ნავთი და მარილი, სხვა საქონელიც (მაშინ რაჭის გზაზე ამდენი მანქანები კი არ დაგრიალებდნენ!). აი, ეს მეურმე კაცი გახდა „კატუშას" მეთაური. სტალინგრადში დაიჭრა. მერმე ისევ ჩვენს პოლკს დაბრუნდა. ჩვენი დივიზიონის მეორე ბატარეაში მოხვდა. კურსკის ბრძოლებში თითქმის ყოველ დღე რამდენჯერმე გადიოდა ცეცხლის ხაზზე. მოგეხსენებათ, „კატუშას" ბევრი მტერი ჰყავდა, თვითმფრინავები გააფთრებით ნადირობდნენ ამ მანქანაზე, მიწაზეც ხშირად გვისაფრდებოდნენ ფაშისტები. ჰოდა, ერთი ასეთი საბრძოლო გასვლის დროს ფაშისტებმა ყუმბარები დაუშინეს მის „კატუშას" და... სწორედ იმ მიდამოებში, სადაც მოხდა ვარსკვლავიანი და სვასტიკიანი ტანკების უდიდესი ბრძოლა, ტყის პირას თავს დავსტრიალებდით ცეცხლის ხაზიდან გამოყვანილ „კატუშას" მეთაურს, დაჭრილ ქართველ ვაჟკაცს. გვინდოდა, როგორმე გადაგვერჩინა. დაჭრილი ხელით გვანიშნებდა, ნუღარ წვალობთ, მომასვენეთ, აღარაფერი მეშველებაო. თვალგახელილმა დალია სული. ჩვენ მაშინ იმისთვისაც კი არ გვეცალა, თანამებრძოლი ჯარისკაცი და გულადი მეგობარი ნესიერად მიგვებარებინა მიწისათვის და საფლავზე ცრემლი დაგვეღვარა. „კატუშას" ჭურვების ყუთისაგან სახელდახელოდ შევკარით რაღაც, შიგ ჩავაწვინეთ პეტრე. გვერდით მივუწვინეთ იმ დღეს დაღუპული ბატარეის პარტორგი (რუსი იყო, გვარი აღარ მახსოვს) და სასწრაფოდ დავკრძალეთ, რადგან იმ ადგილას გაჩერება აღარ შეგვეძლო.

მ ე ს ა მ ე. აველი ლაიშვილი, როგორც იტყვიან, ბულბულად იყო დაბადებული. თვითონ ხომ ტკბილი ხმა ჰქონდა, ჩვენც გვამღერებდა ხოლმე. ასე მგონია, მისი ხმა სადღაც კვლავ ცოცხალია. თვითონ ის კი, მამაცი „კატუშელი", სტალინგრადის ქარცეცხლგამოვლილი, კურსკის ბრძოლებში დაიღუპა.

მ ე ო თ ხ ე. 1943 წლის 12 აგვისტოს, ქალაქ ხარკოვის გათავისუფლების შემდეგ ქალაქი ბოგოდუხოვი რომ გავათავისუფლეთ, ეს ქალაქი ხელუხლებელივით იყო. მაგრამ რაღაც ნახევარ საათში სვასტიკიანმა თვითმფრინავებმა ექვსჯერ დაგვბომბეს და მთელი ქალაქი ცეცხლის ალში გაეხვია. ამ ბომბარდირებამ იმსხვერპლა მესამე დივიზიონელი ჟორა კობახიძე, პირტიტველა ბიჭი, უცოლშვილო.

ჩემს თავზე რა გითხრათ, მუდამ წინა ხაზზე ვიყავი, მაგრამ ომში ერთობ მწყალობდა ღმერთი, თითქოს ის იკმარა, მამა და უფროსი ძმა რომ წამართვა, მე საღ-სალამათად გადამარჩინა. პირველად „კატუშებს“ დამცველად დავყვებოდი ცეცხლის ხაზზე ტყვიამფრქვევით და ტანკსაწინაალმდეგო თოფით — პეტეერით, მერმე პირველ ბატარეაში ქიმინსტრუქტორად გადამიყვანეს, მაგრამ, საბედნიეროდ, რაკი იმ ომში მომწამლავი აირებით ბრძოლა არ ატყდა და ჩემი თანამდებობა არავის სჭირდებოდა, მე ვიყავი ბატარეის რეზერვი, ვინც კი მწყობრიდან გამოვიდოდა, მე ვცვლიდი. როცა „კატუშას“ მეთაური მამედოვი დაიჭრა, მეთაურობა მემიზნე ახმეძიანოვს დაეკისრა, მემიზნეობა კი მე, ხოლო როცა დაიჭრა შაიდულინი, მისი „კატუშა“ მე ჩამაბარეს და ქიმინსტრუქტორმა ა[illegible]-დავიარე საბრძოლო მანქანით უკრაინა, მოლდავეთი, რუმინეთი, უნგრეთი და ჩეხოსლოვაკია. ამ გზაზე ბევრი რამ გადამხდა, მაგრამ თუ მოვიცალე, ალბათ, დაწვრილებით მერმე მოგიყვებით.

ცნობილია, რომ დიდი სამამულო ომის სხვადასხვა ფრონტებზე მამაცურად იბრძოდა რეაქტიული არტილერიის პოლკი ა. ვ. ძარიძის მეთაურობით.

კავკასიის მისადგომებთან თავზარს სცემდა ფაშისტებს რეაქტიული დივიზიონის გვარდიის კაპიტანის ლ. ნ. ბერიაშვილის „კატუშების“ ბატარეა.

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ მამაცი მეომრები — უმცროსი სერჟანტი მიროტაძე, სერჟანტი ჭანკოტაძე, გვარდიელები — გოჩა ჩოხელი და მაჭარაძე; სამწუხაროდ, ყველას სახელის დადგენა ამჟერად არ მოხერხდა.

რეაქტიულ იარაღს საბჭოთა მეომრებმა „კატუშა“ დაარქვეს და რატომ, ზუსტად ვერავინ იტყვის. შეიძლება ომის წინა წლებში ხალხში გავრცელებულმა ბლანტერის სიმღერა „კატუშამ“ ითამაშა თავისი როლი. ასეა თუ ისე, საბოლოოდ საბჭოთა რეაქტიულ იარაღს დაუმკვიდრდა ეს სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი გაწერელია

# ვეფხისტყაოსნის ორი სტროფის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი

## I

1. ვეფხისტყაოსნის მამაკაც პერსონაჟთა შორის ავთანდილი მიჩნეულია ყველაზე ინტელექტუალურ გმირად. თუ ტარიელში ემოციური საწყისი სჭარბობს, ავთანდილის ყველა ნაბიჯსა და განზრახვას გონების კონტროლი წარმართავს.

ეს ტრადიციული თვალსაზრისი არსებითს გადასინჯვას არ მოითხოვს. ასევე მართებულია პარალელის გავლება მსოფლიო პოეტური ეპოსის ცნობილ პერსონაჟებთან („გილგამეშის" გმირები, აქილევსისა და ჰექტორის საპირისპირო ხასიათები „ილიადაში", როლანდი და ოლივერი ცნობილ ფრანგულ საგმირო ეპოსში და ა .შ.).

ოღონდ ეს სქემა მაინც მოითხოვს მცირე კორექტივს.

არც „გილგამეშში", არც ჰომეროსის ეპოსში, არც „როლანდის სიმღერაში" თავდაჭერილი გმირების ინტელექტუალური სამყარო საგანგებო მსჯელობის (ან მსჯელობათა) სახით არაა გადმოცემული, მკითხველს მხოლოდ მათი წინდახედულობის მიხედვით შეუძლია დასკვნის გამოტანა პოეტის ამა თუ იმ პერსონაჟის ბუნებაზე, გონების მიერ ნაკარნახევ სიფრთხილესა და თავშეკავებაზე. ავთანდილი კი არა მარტო მ ო ქ მ ე დ ე ბ ს, არამედ გ ა ნ ს ჯ ი ს თავისავე საქციელს, ყველაფერს აფასებს უმაღლესი კრიტერიუმებით — სულიერი სიმშვიდისა და ჭირსა და ლხინზე ამაღლების თვალსაზრისით.

ეს თვისება ანიჭებს ავთანდილს თვითონ ავტორის, რუსთაველის ალტერ ეგოს მნიშვნელობას: პოემის პერსონაჟთაგან მხოლოდ მას თუ შეეძლო დაეწერა ვეფხისტყაოსანი, ისევე, როგორც ჰამლეტს—შექსპირის ტრაგედიები, ფაუსტს — გოეთეს საუკეთესო ქმნილებანი ან ივანე კარამაზოვს — დოსტოევსკის რომანები. ჩამოთვლილი ძეგლების ერთი საერთო თვისება, სხვათაშორის, ისიცაა, რომ თვითეული მათგანი შეიცავს ცალკეულ ადგილებს (მონოლოგს ან თხრობით პასაჟს), სადაც კონცენტრირებულია მთელი თხზულების დედააზრი ან ავტორის მორალურ-იდეური კრედო. ასეთებია, მაგალითად, „ყოფნა არ ყოფნის" მონოლოგი „ჰამლეტში", ფაუსტსა და მეფისტოფელს შორის ხელშეკრულების დადება „დაყოვნებული წამის" დადგომაზე „ფაუსტში", ივანე კარამაზოვის მიერ ზეპირად წარმოთქმული პოემა „ლეგენდა დიდ ინკვიზიტორზე" („ძმები კარამაზოვები") და სხვ. ასევე, ვეფხისტყაოსანში არის რამდენიმე სტროფი, რომელიც პოეტის მხატვრულ მსოფლგაგებას გამოხატავენ უაღრესად კონდენსირებულად, ეხება ეს ქრისტიანული უზენაესის ბუნების გაგებას (794 (792): „ვინ დამბადა"... და სხვა რამდენიმე ხანა), თუ სამყაროსა და ცხოვრებისადმი ადამიანის დამოკიდებულებას, ამ „სოფლად" ადამიანის ადგილს და თვითონ „ს ო ფ ლ ი ს" აზრისა და შინაარსის მხატვრულ-ფილოსოფიურ ახსნას. მთელი რიგი ამგვარი სტროფების აზრობრივი მხარე რუსთველოლოგიაში გაანალიზებულია.

ამჟამად ჩვენი განხილვის საგანია ორი სტროფი, რომლებიც შეუდარებელი მხატვრული სრულყოფით გადმოგვცემს რუსთაველის პოემის გმირების მსჯელობებს ბედზე, საწუთროზე, ამ უკანასკნელისადმი ადამიანის დამოკიდებულებაზე და ა. შ. ამასთან, გასაანალიზებელი სტროფები სტრუქტურულად და სემანტიკურად იმდენად უნაკლო და ღრმაა, რომ შეიცავენ პოემის სტილისა და რიტმიკის თითქმის ყველა ძირითად ნიშანს. ისიც საგულისხმოა, რომ ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშანთა ექოს გამოსცემენ რუსთაველის შემდეგი დროინდელი პოეზიის უბრწყინვალესი მხატვრული ქმნილებანი.

მხედველობაში გვაქვს სტროფები — 804 (802) და 1184.[1]

2. როსტევანისადმი ავთანდილის ანდერძის სტროფი 804 (802) ასე გამოიყურება:

თუ საწუთრომან დამამხვას,
ყოველთა დამამხობელმან,
ღარიბი მოვკვდე ღარიბად,
ვერ დამიტიროს მშობელმან,
ველარ შემსუდრონ დაზრდილთა
და ვერცა მისანდობელმან.
მუნ შემიწყალოს თქვენმანვე
გულმან მოწყალე-მლმობელმან.

აქცენტუაციის მხრივ სტროფი შემდეგნაირად იკითხება[2] (მეტრიკულ-რიტმული სურათი):

თუ + სა: წუთრომან დამამხვას,
ყოველთა დამამხ: ობელმან,
ღარიბი მოვკვდე ღარიბად,
ვერ + დამ: იტიროს მშობელმან,
ველარ შემსუდრონ დაზრდილთა
და + ვერცა მისანდ: ობელმან, —
მუნ + შე: მიწყალოს თქვენმანვე
გულმან მოწყალე-მლმობელმან.

სქემა გვიჩვენებს, რომ სტროფის საზომი — ე. წ. დაბალი შაირი, რომლის სტროფული ერთეულები (ცალკე სიტყვებისა თუ მეტრული მონაკვეთების სახით) ქორეებსა და დაქტილებს შეადგენენ, ე. ი. საზომი ნარევია და ქორე-დაქტილურ ლოგაედს წარმოადგენს.

მთელი სტროფის რიტმული სტრუქტურა იდეალურად ცხადყოფს ქართული ვერსიფიკაციის სილაბურ-ტონურ ხასიათს — მახვილთა სწორი დისტრიბუციის კანონიკურ ხასიათს (სამი ძლიერი მომენტი ცეზურამდე და ამდენივე — ცეზურის შემდეგ). მუდამ სტაბილურია სამმარცვლიანი ტერფი (დაქტილი) ცეზურის წინ და ბოლოს (კადენციაში). რაც შეეხება ორმარცვლიან ტერფებს (მთლიანი სიტყვებისას თუ მეტრული მონაკვეთების სახით), ისინი ხშირად ადგილმონაცვლეობით ხასიათდებიან, რაც სტროფის ზოგად ინტონაციურ კონტურს (ნახევარტაეპების ანუ „კოლონების" რიტმულ პულსაციას) სრულიად არ ცვლის. ეს მომენტი საერთოდ ლოგაედური სტროფების თვისებაა, თუმცა პოემაში ბლომად გვხვდება ისეთი სტროფებიც (დაბალი შაირის მეტრით დაწერილი), რომლებშიაც საზომი ძირითადად ოთხივე ტაეპშია შენარჩუნებული და მათში მხოლოდ ერთგან თუა დაშვებული ნორმიდან გადახვევა.

სტროფში მეტრის თავიდან ბოლომდე ურყეობა — ფიქციაა, და თუ ასეთი რამ გვხვდება, იგი არც ითვლება რიტმულ ღირსებად. ქართულ ლექსში, და საკუთრივ ვეფხისტყაოსნის სტროფში, საზომი, როგორც აქცენტური სისტემა და იდეალური მოდელი, ყოველთვის სდარაჯობს სიტყვათა ნებისმიერ განლაგებას (ისიც უაქცენტო ჯგუფებად), რაც სილაბური ლექსთწყობისათვისაა დამახასიათებელი, ამასთან: აქცენტური კონფიგურაციის მქონე ლოგაედებს, როგორც წესი, სილაბური ლექსთაწყობა არ იცნობს.

სტროფი მონორითმული კატრენია (ოთხტაეპედი). მისი ანაკრუზა მახვილით იწყება, ხოლო კლაუზულა — ორ უმახვილო მარცვალს შეიცავს, რის გამოც რითმა სამმარცვლიანი ანუ დაქტილურია; ტაეპების კადენციაში (დაბოლოებაში) უკლებლივაა განმეორებული ერთნაირი ბგერები (ხმოვნები და თანხმოვნები, საბჭენ ხმოვან „ო"-დან ბოლომდე) და იძლევა მონაკვეთს „ობელმან". იგი ე. წ. დახურული რითმების რიგს მიეკუთვნება.

მსოფლიოს პოეზიის ისტორიამ არ იცის ისეთი სრულყოფილი დაქტილური რითმა, როგორიც ვეფხისტყაოსანშია გამოყენებული (საშუალო საუკუნეების დასავლეთში ან აღმოსავლეთში). 804 (802) სტროფი უნიკალურია აგრეთვე ინტონაციის მხრივ — იგი ხასიათდება დასაწყისში პირველი სიტყვით („თუ") დასმული კითხვის პასუხით ბოლო ტაეპში ([მაშინ] „მუნ დამიტიროს..."), რაც მთელ ხანას გაბმულ მეტყველებითს ეესტს ამსგავსებს.

რუსთაველის იდეალური სტროფი-მონოლოგი წარმოადგენს ნ. ბარათაშვილის გენიალური ვრცელი ლირიკული მონოლოგის „მერანის" სათავეს. მაგ. 804 (802) სტროფის სიტყვების „ვერ დამიტიროს „მშობელმან" ექოა ბარათაშვილის „ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა"... და სხვ.

3. სტროფის სიღრმული სტრუქტურის მთელის სიღიადის წარმოჩენაში გვეხმარება მისი ლექსიკის გაანალიზება სემანტიკის დონეზე. ამ მხრივ გამოსაყოფია სიტყვები „საწუთრო", „ღარიბი" და კომპოზიტი „მოწყალე-მშობელმან".

საწუთრო ან საწუთო (წარმავალის, სოფლის ან წუთისოფლის მნიშვნელობით, დამოწმებულია ფსალმუნში და ახალ აღთქმაში: „ნუ იყოფინ შენდა ღმერთ საწუთ-

1 ვსარგებლობთ ორი გამოცემით: შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. აკ. შანიძის, ალ. ბარამიძისა და კ. კეკელიძის რედ. თბ., 1957 და შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. ტექსტი და ვარიანტები, ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედ. თბ., 1966.

2 ტექნიკური მიზეზების გამო გრაფიკული სქემები არ იბეჭდება. ა. გ.

რო" (ფს., 80, 10 და სხვ.); „ძირი არ აქუნ გულისა თჳსსა, არამედ საწუთრო არს" (მთ. 13, 21). ბერძნულ ახალ აღთქმაში მისი ეკვივალენტია „პროსკაიოს". საბა ასე განმარტავს: „საწუთრო — ეს სოფელი (2. კორინთ. 8. 17. 5.277 დიონოსი)". რუსულად საწუთრო თარგმნილია, როგორც „მერყევი". შესადარებლად მოგვაქვს ერთი პარალელი:

„რამეთუ არა უბნ ძირი მათ შორის, არამედ საწუთრო არიედ" (მარკ. 4.77).

შდრ.

Но не имеет в себе корня и непостоянен.

ამრიგად, ბერძნული „მერყევი"-ს ნაცვლად ძველ-ქართულში გამოყენებული „საწუთრო" რუსთაველის სტროფში ნახმარია, როგორც წმინდა ქართული ლექსიკური ერთეული. „საწუთრო" ერთი იმ იშვიათ სიტყვათაგანია, რომელიც ჩვენი ხალხის სიბრძნეს არეკლავს და რუსთაველიც ჩინებულად იყენებს მას ავთანდილის[1] განთქმულ მონოლოგში. თანაც ეს სიტყვა პოემაში მრავალჯერ გვხვდება ვითარცა თითქოს-და აღნიშნული შემამზადებელი ან იქიდან გამომდინარე ერთ-ერთი ცნება. აი ისინი (ხშირად სინონიმურ „სოფელთან" ერთად):

717 (715), 2: ღღეს საწუთრომან
ლახვარსა მიმცა, დანასა მახია.
336 (333). 4: აწ საწუთროსა გამყარა
პირმან ბროლ-ბადახშეულმან.
542 (539), 1-2: მიბრძანა თუ:
„გონიერი ხამს აროდეს არ აჩქარდეს,
რაცა სჯობდეს მოაგვაროს,
საწუთროსა დაუწყნარდეს;
574 (571), 3-4: ნუ მაცოცხლებ, ნუ დამარჩენ,
შემიხვეწე, შემიბრალე.
დამხსენ ჩემსა საწუთროსა,
ღმერთსა შენსა მიავალე!
756 (754). 4: უმისყმისოდ სოფელსა
და საწუთროსა! მისთვის
ფლიდობს.

შდრ. ფრიდონის სიტყვები:
1006. 4: უხანობა და სიცრუვე,
ვაჲ, საწუთროსა ფლიდსა.
ავთანდილის სიტყვები:
1025: იტყვის: „მოგშორდი, სიცრუე,
ვაჲ, საწუთროსა კრულისა.
შდრ. პოეტის მონოლოგიდან:
1213. 1: ვაჲ, საწუთროო,
სიცრუვით თავი სატანას ადარე.
ვარიაციები:
392 (389), 3: მაშინ სოფელმან
საწუთრომ იუხვის, რაცა ვინება.
700 (698), 3: საწუთრო და სოფელს
ყოფა, კაცი უჩსო ვით ნადირსა.
707 (705), 1: საწუთრო კაცსა ყოველსა
ვითა ტაროსი უხვდების.
718 (716), 4: ვაჲ, საწუთრო ბოლოდ
თავსა ასუდარებს, აზეწარებს.
919 (918), 2-3: საწუთრო ნაცვლად
გვატირებს, რაც ოდეს გაგვიცინია.
ძველი წესია სოფლისა,
არახლად მოსასმენია.
916 (915), 1: სდევს მიჯნურსა ფათერაკი,
საწუთროსა დაანაღვლებს.
ავტორის ხმა:
949 (948), 4: ვჰგმობ მუხთალსა
საწუთროსა, ზოგჯერ უხვსა, ზოგჯერ
ძვირსა.

როსტევანი:
64 (63), 2: ღმერთმან არ მოცა ყმა-შვილი,
ვარ საწუთროსა თმობითა.
393 (390); 4: ზოგჯერ შემცვიან სევდათა,
ვთქვნი საწუთროსა გმობანი.
იადგარი.
413 (410). 3. დავჯე, მისცენ გულსა ლხინი,
საწუთროსა დამგობარსა.
ავტორი:
350 (347), 1: მიმნდომნი საწუთროსანი
მისთა ნივთთაგან რჩებიან.
ვარიაციები:
314 (312), 4. ნადირობდის და იშვებდის
საწუთრო-გაუმწარავი.
338 (335), 1: მე წელიწადსა ბნელსა ვჯე
საწუთრო-გაცუდებული.
399 (396), 2: ვთქვი: „საწუთროო,
ვის წელან გული დარმანთა მიარე.
863 (862), 2: მას თუ გამყრი, საწუთროო,
ჩემი ლხინი გარდასრულა.
880, 4: რად ემდურვი საწუთროსა?
რა უქმნია უარაკო?
1348, 4: იგი მიენდოს სოფელსა,
ვინცა თავისა მტერია.
1586 (1655): მოგშორდები, საწუთრომან
ლხინი ესე დამიშურვა.

ავთანდილის ალსარებიდან:
502 (499), 4: თქვა: „ცოცხალ ვარ?
საწუთრომან აწმცა ჩემნი
სისხლნი ხვრიტნა".
ამ ალსარებას ეხმაურება ტარიელის სიტყვები:
657 (654), 4: საწუთრომან დამალრიჯა,
ცქაფნი მისნი კვლავ მეცქაფნეს.
და:
714 (712), 4: იტყვის: „ვერ გაძლა
სოფელი, ვაჲ, სისხლთა ჩემთა
ხვრეტითა".

ამრიგად, საწუთრო, იგივე სოფელი, მუხანათია, რომელშიც თანმიმდევრულად ენა-

---

1 შდრ. მაგ. უძველესი ქართული იბაკონის სიტყვები: „რად გიყუარს სოფელი ესე რამეთუ საწუთროჲ არს?" (უძველესი იბ., 1980, გვ. 361).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვლება ერთმანეთს სიხარული და უბედურება, პოეტს იგი წარმოუდგენია ბინდად, რომელიც ადამიანის ცნობიერების უმაღლეს საფეხურზე უფრო ბინდდება. ერთგვარ რეზიუმედ ისმის გენიალური ტაეპი პოემისა:

1094, 3: ბინდის გვარია სოფელი,
ასე თუ ამად ბინდდების!

სოფელი კი იგივეა, რაც ბერძნული „კოსმოს". ამ ბინდში თითქოს არაფერია სანუგეშო, რადგან:

702 (700), 4: ვაჰ სოფელმან სოფელს
მყოფი, ყოვლი დასვა ცრემლთა დენად.

ყველა ამგვარი რეზინიაცია რუსთაველის უნივერსალური გენიის ჩვეულებრივი გამოსხივებაა. ყველაზე თანმიმდევრულად „საწუთროსა" და „სოფლის" რუსთველისეულ გაგებას, რომელსაც შორეული ძირები აქვს, შემდეგში დ. გურამიშვილის პოეზია შეიცავს, იგი თითქმის ძირითადი ლეიტმოტივია მისი ლირიკული პიესებასა.

4. „ღარიბი" სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული სტროფში. განმეორების ხერხით (რაც უაღრესად ნიშანდობლივია რუსთველის სტილისა და რითაც იგი სათავეს უდებს გურამიშვილისა, ვაჟა-ფშაველასა და გ. ტაბიძის მიერ ერთიდაიმავე სიტყვის ხშირად განმეორების პრინციპს). რუსთაველი ხაზს უსვამს აღნიშნული სიტყვის წონას: „ღარიბი მოვკვდე ღარიბად" — თქმულია მეორე ტაეპში. საბა ასე განმარტავს მას: „ღარიბი გარეშე წერილსა სწერია, უცხოსა ჰქვიან", ხოლო სინონიმ „უცხოს" შესახებ ამბობს: „უცხო სხვა ქვეყნისა".

ღარიბი — სამშობლოს გარეთ მგზავრს, სხვა ქვეყანაში უცხოდ მყოფს ნიშნავს. რუსთაველი თვითონვე განმარტავს აღნიშნული სიტყვების მნიშვნელობას:

984, 3: ვარ უცხო ვინმე ღარიბი,
სამყოფთა მოშორვებული.
შდრ: 178 (177), 4: იგი სადმე
გაღარიბდეს, სამყოფთაგან
იაბეზროს.
168 (167), 2: დავყო მარტოდ
და ღარიბად ესე წლეული მე წელი.
212, 1: უთხრა თუ: „ძმანო,
ვარ ვინმე ღარიბი უადგილოსა.
446, 2: გაგარისხე, დაგრჩომივარ
ღარიბად და ამა ობლად.
784 (782), 1: ვის ასმია მარტოსაგან
ღარიბობა ეგზომ დიდი?
824 (822), 1: თუ თავი შენი შენ გახლავს,
ღარიბად არ იხსენები.
171 (170), 2: წელთა ოქრო შემოირტყა,
საღარიბოდ მოეკაზმა.
1032, 3: ვჰკითხეთ თუ: „ვინ ხარ ღარიბო,
რასა საქმისა მძებარე?".
1217, 1: მოვიდა სითმე ღარიბი
მონა მოყვსითა სამითა.

ტარიელის თქმული ნესტანზე:

411 (408), 4: საკვირველი და ღარიბი,
უცხო პირითა, ტანითა.

411 (408) ტაეპში „ღარიბი" სიტყვა უკვე შეფასების ელემენტს შეიცავს (უჩვეულოს, ძვირფასის, მანამდე არ ნახულის მნიშვნელობით). მაშასადამე, ეს სიტყვა რუსთაველის ტექსტში პოლისემიურია. მაგ., იგი ნახმარია ძვირფასი თვლების ღირსებათა აღმნიშვნელადაც, ზოგჯერ მრავლობით წარმოდგენილი:

371 (368), 3: მეფემან გასცა მრავალნი
თვალნი, ღარიბად ქებულნი.
1372, 1: ოქროც რამე წაიტანეს,
მარგალიტი ღარიბები.
1384 (1385), 4: თვალ-მარგალიტი
ღარიბი უძლვნა ოქროსა გობითა.
1585 (1650), 3: რა მარგალიტი
ღარიბი,
რა უკეთესი ცხენია!

ნესტანის მკლავის საბამის შესახებ ტარიელი ამბობს:

505 (502), 4: იგი უცხო და ღარიბი,
მტკიცისა რასმე შავისა.

უმთავრესად კი სიტყვები „ღარიბი" და მისი სინონიმი „უცხო" — სხვა ქვეყანაში მოხვედრილს ან სხვა ქვეყნიდან მოსულს, სტუმარს ნიშნავს, ორივე ეს სიტყვაც შესანიშნავად გახმაურდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკაში. მაგ.:

ყარიბი ვინმე მოვსულვარ,
სოფლისა მუშა საწყალი.
(„მადლი შენს გამჩენს").

„უცხო" სიტყვა კი გაორმაგებული სახით, აგრეთვე რუსთაველისა და ნ. ბარათაშვილის ტექსტში გვხვდება:

რუსთაველი:

1550 (1551), 2: კვლა უცხო ფერთა
ჰურჰელთა
სხდის უცხოუცხო სიქები.

ბარათაშვილი:

თუმც უცხო-უცხო თემად იარე
(„ძია გ...სთან").

ჩვენს ლირიკოსთან „უცხო"-ს („ღარიბი" სიტყვის სინონიმის) თავდაპირველი მნიშვნელობა შენარჩუნებულია სიტყვის კომპოზიტური გაორმაგების შემთხვევაშიც, მაგრამ მას ემატება გეოგრაფიული მნიშვნელობაც. საერთოდ „უცხო" სიტყვის პოლისემიურობა (სხვადასხვა მნიშვნელობით მისი გამოყენება) ვეფხისტყაოსანში ხშირად გვხდება და პოემის გავლენით — მომდევნო ქართული პოეზიის არაერთ ძეგლში (რუსთაველამდე კი — უმთავრესად ქართულ ნათარგმნ თუ ორიგინალურ სასულიერო მწერლობაში).

5. 804 (802) სტროფის უკანასკნელი ტაეპი წარმოადგენს ავთანდილის მიმართვას სიუზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენისადმი (როსტევანისადმი), რომელშიაც იგი სთხოვს მწყალობელს — თუ სამშობლოს გარეთ სიკვდილი („დამხობა“) ელის მის ვასალს, მაშინ შეიწყალოს პატრონმა „მოწყალე-მლმობელმან“.

კომპოზიტის პირველი წევრის „მოწყალე“-ს მნიშვნელობა რუსთველის ლექსიკურ ფონდში საკმაოდ ცნობილია, იგი არა ერთხელ მიემართება ღმერთს, როგორც ყველა ფათერაკისაგან ადამიანის მფარველს. მეორე წევრი-სიტყვა „მლმობელმან“ კი მომდინარეობს „ლმობა“-დან, რაც ნიშნავს ტირილს, წვას, ტკივილს, შეჭირვებას. იგი გვხვდება ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ქართულ თარგმანებში „სალმობასა“ და „სალმობიერ“-თან ერთად.

„სალმობა“ — ტკივილის, ჭირის აღმნიშვნელია, ასევე „სალმობიერი“ ნიშნავს ტკივნეულს (საბა). ამ მნიშვნელობით ხმარობს მას დ. გურამიშვილიც („სცან საწუთრო მუხანათი, სალმობიარეო“). კერძოდ „სალმობა“ სიტყვა, რომელიც „ფსალმუნში“ გვხვდება, ნ. ბარათაშვილის უშესანიშნავეს ლექსში „ჩემი ლოცვა“ შემდეგნაირად ჟღერს:

დამინთქვე მათში სალმობანი
გულისა სენთა.[1]

რუსთაველთან „ლმობა“, „სალმობა“, „გლმობია“, „ნალმობარი“, „მლმობიერი“ და მათი სემასიური ვარიაციები კარგად განმარტავენ „მოწყალე-მლმობელმან“ სიტყვის შინაარსს.

შდრ:

39 (38), 3: ხმდა განლამცა საქმნელად,
რაცა თქვენ გულსა გლმობია.
472 (469), 3: ცისკრად მიხმეს,
მიბრძანებდეს მე სიტყვასა ლმობიერსა.
850 (849), 3: ენა დაშვრების, გაცვთების,
გულსა შეელმის ლმობილსა.
695 (693), 1: ყმა წავიდა მხიარული,
ლმობიერი, არ გამწყრალი.
1476 (1477), 2: ეგე არს მსგავსი გულისა
ლმობიერისა თქვენისა.
1194, 3: მერმე ვუთხარ ყველაკაი
უსენს, კაცსა ლმობიერსა.
1156, 1: ნუ თუ რა გვითხრას ვეაჯნეთ,
ქმნას დიდი ლმობიერობა.
244, 4: კვლა იქით ქალი ატირდა,
მისთვის გულ-ნალმობარია.
1621, 3: ხმა-მაღლა ხმობდეს, იზახდის,
მოგვშორდეს სალმობანია.
1643, 1: დედოფალმან ლმო[illegible]
„შეუნდობო“, ესე ბრძანა.

ამ ნიმუშებიდან კარგად ჩანს, რომ „ლმობა“ და „სალმობა“ ტკივილს ან რაიმე გასაჭირს აღნიშნავს, „ლმობიერი“ კი უკვე დამყვავებელს, დამამშვიდებელს, შემწყნარებელს (საბა: „ლმობიერი გონება მშვიდი და წყნარი“), მაშასადამე, ტაეპი —

მუნ შემიწყალოს თქვენმავნე გულმან
მოწყალე-მლმობელმან —

ნიშნავს თხოვნას, რათა საუზერენმა ჭირი შეუმსუბუქოს, შეუნდოს და დაუყვავოს მიმართვის (მონოლოგის) წარმომთქმელ ლარიბს.

სტროფის შინაგანი, ემოციური ტონი ამავე დროს გადმოსცემს გმირის წინასწარ ნოსტალგიას სამშობლოდან გამგზავრების მომენტში. პატრონისაგან წასული და „წყალობის მთოველი ცის ორგული“ ავთანდილი თავის ღარიბობაში ამბობს:

858 (857): პატრონი ჩემი გამზრდელი,
ღმრთითა და ღმრთულებ ცხოველი,
მშობლიური, ტკბილი, მოწყალე,
ცა წყალობისა მთოველი,
მას ვუორგულე, წამოვე,
მართ დავივიწყე ყოველი,
მისი შემცოდე ღმრთისაგან
კარგსა რაღასა მოველი?

მხატვრული სრულყოფილობის მხრივ ამ სტროფს ბადალი არ მოეპოვება ქართულ პოეზიაში უცხოეთში მყოფი ადამიანის განცდის გადმოცემის მხრივ. იგი თავისუფლად უტოლდება ოდისევსის ნოსტალგიას ოგიგიის კუნძულზე და ოვიდიუსის დარდს რომის დიდი ხნის უნახაობის გამო მის განთქმულ „ტრისტია“-ში.

## II

1. **1184** სტროფი შემდეგია (იგი ტყვეობაში მყოფი ნესტანის დახასიათებას შეიცავს):

ანუ არის ბრძენი ვინმე,
მაღალი და მაღლად მხედი,
არცა ლხინი ლხინად უჩანს,
არცა ჭირი ზედა-ზედი,
ვით ზღაპარი ასრე ესმის
უბედობა, თუნდა ბედი,
სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს,
გონება უც ვითა ტრედი.

აქცენტუაციის მხრივ ეს კატრენი ასე იკითხება (სტროფის მთლიანი აქცენტური პროფილი შემდეგს სურათს იძლევა):

ანუ არის ბრძენი ვინმე,
მაღალი+და მაღლად მხედი,
არცა ლხინი ლხინად უჩანს,
არცა ჭირი ზედა-ზედი,
ვით+ზღაპარი ასრე ესმის
უბედობა, თუნდა ბედი
სხვაგან არის სხვაგან ფრინავს
გონება÷უც ვითა ტრედი.

---

1 შდრ. უძველესი ჰიმნის სიტყვებიც: „...რამეთუ სალმობაჲ გულისა ჩემისა მძიმე არს...“ (დიდი იადგარი. თბ., 1980, გვ. 360). ორივე გამოთქმა მომდინარეობს „ფსალმუნი“-დან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანა დაწერილია ე. წ. მაღალი შაირით. მისი საზომი ძირითადად ქორეული მონომეტრია და აქაც, ქორეებით დაწერილ ტიპიურ სტრიქონებში (ტაეპებს შორის), გარეულია მეორე პეონის ოთხი შემთხვევა, ე. ი. ორმარცვლიან სიტყვებსა თუ კომპოზიტებში („ზედა-ზედი“) რიტმული მრავალფეროვნების საფუძვლად გვევლინება ოთხმარცვლიანი მთლიანი ერთი სიტყვა („უბედობა“) და ოთხმარცვლიანი კომპლექსები („მაღალი+და“, „ვით ზღაპარი“ და „გონება+უც“). მაღალი შაირის სტროფში მეორე პეონების გარევა (სქემების თვალსაზრისით) არღვევს ქორეული მონომეტრის ავტომატურ ხასიათს. პოეტური მეტყველება ამ მომენტის გარეშე საერთოდ წარმოუდგენელია (ერთნაირტერფიანობის პრინციპის თავიდან ბოლომდე დაცვა მაღალი შაირის სტროფში — რიტმული დეფექტი იქნებოდა). მთავარი კი ისაა, რომ ქორეული საზომი მასში ან უნაკლო სიზუსტით ვლინდება („არცა ლხინი ლხინად უჩანს“), ან პოტენციურად.

სტროფის ღერძი — წმინდა ქორეულია, გადახვევანი (24 ქორეულ სიტყვიდან მარტოოდენ 4 პეონური სიტყვის თუ სიტყვათა კომპლექსის შემთხვევა!) — რიტმული ვარიაციის სფეროს განეკუთვნებიან.

სტროფი მონორითმული 4-ტაეპედია (კატრენი). მისი რითმა ქორეული, ორმარცვლიანია („ქალური“) და შეადგენს ბგერათ კომპლექსს „ედი“. საბჯენი მახვილიდან ხმოვანი „ე“-ს მარცხნით არც ერთი თანხმოვანი არ მეორდება (ხ-ზ-ბ-რ). რითმა — ღიაა.

სტროფის ტაეპებს მთავარი ცეზურა ორთანაბარ ნაწილად („კოლონებად“) ჰკვეთს როგორც მაღალ შაირში, ე. ი. 8/8 მარცვლიან ნაწილებად. მცირე პაუზები კი მოუდის თვითეულ წყვილ ქორეს (დიქორეს) ან მეორე პეონს. ცეზურების აღქმა ხდება ჩვენს ცნობიერებაში, რადგან ლექსის თვითეული ტაეპი — გაბმული ექსპირაციული ტალღაა რიტმის მხრივ. ლექსის ძირითადი რიტმული ერთეული არის ტაეპი და მისი დისკრეტულობა მარტოოდენ ფონიკური შთაბეჭდილებების ფონზე აღიქმება: სტრიქონის ხემასიური მხარე ჩვეულებრივ გაფორმებულია რიტმის, როგორც უწყვეტელი რიტმული დინამიკის მიერ. ამიტომ ქართულ ლექსში (და ლექსში საერთოდ) რიტმის რეგულატორად „მუხლის“, „სინტაგმის“ თუ „სეგმენტის“ ან ცეზურის გამოცხადება — თეორიული გაუგებრობაა. (რიტმი ყოველთვის ნთქავს სინტაქსს).

როგორც ვთქვით, რიტმის მთავარი რეგულატორია ესა თუ ის მეტრი (საზომი), კერძოდ 1184-ე სტროფის საზომი — 16 მარცვლიანი ქორეული მეტრია, რომლის ერთერთ თავისებურება ისაა, რომ იგი ძირითადად მოითხოვს დისილაბურ (ორმარცვლიან) სიტყვებს, როგორც ამას ადგილი აქვს გერმანული ქორეული მეტრით დაწერილ ლექსებში, ნაწილობრივ რუსულშიც და ინგლისურ დისილაბურ სიტყვების შემცველ იამბურ სტროფებში (ამ უკანასკნელში გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც — მახვილთა განაწილების (დისტრიბუციის) ისეთი მაგალითები, როცა იამბური მეტრი რეალიზდება პოლისილაბური სიტყვების საშუალებითაც, მაგრამ ამ ფაქტს თავის ახსნა მოეპოვება, რაზედაც აქ ვრცლად საუბრის საჭიროება არაა (იამბს ა — ქართული ლექსწყობის საზომთა სქემები არ იცნობს).

184-ე სტროფის რიტმიკის დასახასიათებლად ზემოთქმული სავსებით კმარა.

2. 1184-ე სტროფის სიღრმული სტრუქტურის გასაანალიზებლად წინასწარ უნდა მოვიგონოთ, რომ იგი მიემართება სხვა ქვეყანაში მყოფ ტყვე ქალს, მაშასადამე, ეპითეტი „ლარიბი“ მასაც შეეფერება. მართლაც, ეს სიტყვა თავს იჩენს თვითონ ნესტანის აღსარებაში ფატმანთან:

1141, 2-3: რას აჸნევ ჩემსა ამბავსა,
ზღაპარი არის ყბედისა
ღარიბი ვინმე, შემსწრობი
ვარ უბედოსა ბედისა!

ნესტანის ამ სიტყვებს ეხმაურება, როგორც 804 (802) სტროფის „ღარიბი“, ისე 1184 ხანის „ზღაპარი“ და „უბედობა, თუნდა ბედი“. მეტიც: 1184 სტროფის მეორე სტრიქონის სრულ წინარე დუბლიკატს (ექოს) წარმოადგენს, მაგ. 1178 ხანის მესამე ტაეპი. მოგვაქვს პარალელები:

1176, 3: ლხინი ლხინად აოად
უჩნდა, მათ აგრევე ჭირად ჭირი.
შდრ. 1184, 2: არცა ლხინი ლხინად
უჩანს, არცა ჭირი ზედა-ზედი.

„სოფელში“ „ჭირის“ მოთმენა და მისი მიჩნევა „ლხინის“ ბადალ მოვლენად რუსთაველის სიბრძნის ერთერთი კატეგორიული იმპერატივია. 1184 სტროფი თავს უყრის სიბრძნის აღმნიშვნელ ეპითეტებს, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული სტროფის რიტმულ სტრუქტურასთან (სიტყვები „ბრძენი, „ლხინი“ და „ჭირი“ — ორმარცვლიანებია), რომელთა ვარიაციები პოემაში უთვალავ ლექსიკურ სპექტრს ქმნიან. საილუსტრაციოდ მოგვაქვს ნიმუშების მხოლოდ ნაწილი, რადგან აღნიშნული სიტყვები და ეპითეტები პოემაში ძალიან ბევრია.

ჯერ „ბრძენი“-ს შესახებ.

34, 4: ბრძენი ხამს მისად მაქებრად
და ენა ბევრად ასული.
665, 1: რაცა გითხრა, მომისმინე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძენი გეტყვი, არა ხელი.
791, 2: კაცი ბრძენი ვერ გასწირავს
მოყვარესა მოყვარულსა.
887, 1: „ბრძენი-ვინ ბრძენი,
რა ბრძენი? ხელი ვითა იქმს
ბრძნობასა.
876, 2: თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი
ბრძენნი აპირებენ ამა პირსა:
ჭირსა შიგან გამაგრება
ასრე უნდა ვით ქვითკირსა.
თავისისა ცნობისაგან
ჩავარდების კაცი ჭირსა.
877, 1: ბრძენი ხარ და გამორჩევა
არა იცი ბრძენთა თქმულებ.
1030, 1: უსამ იყო ქარავნისა უხუცესი,
კაცი ბრძენი.
1049, 2: ვისი ჭვრეტა გააშმაგებს
კაცსა ბრძენსა ვითა ხელსა.

**1272, 4-ში ნათქვამია, რომ ბრძენი იმავე დროს ლაღია (....ლაღი ბრძნად გაგონებული. შდრ. 1494, 2: ...ლაღთა, ბრძნად მოუბნარეთა" და მისთ). ბრძენი არ შეიძლება დამწუხრებული იყოს.**

903, 3: არას გარგებს სწავლებული,
თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა.
985, 3: ვაზრობ, იგიცა დაშმაგდენ,
თუ ბრძენთა ნახონ ისი სად.
696, 4: მე ვინ ვაქებ? ათენს ბრძენთა,
ხამს, აქებდეს ენა ბევრი.
1457, 3: რათგან ბრძენთა მზეებრ გსახეს...
1543, 4: ბრძენთა უთქვამს სიყვარული,
ბოლოდ მისი არწახდომა.
1323, 4: „მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს",
ესე ბრძენთაგან თქმულია.

**ჩვეულებრივ რუსთაველი სტროფის მეოთხე ტაეპს ტვირთავს მაქსიმას სენტენციის ფუნქციით. აი როსტევანის სიტყვები თინათინისადმი:**

49 (48), 4: ხარმცა ბრძნად მქმნელი
საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი!

**თინათინზე კი თქმულია:**

46, 4: ქალი მზეებრ სჭვრეტს ყოველთა
ცნობითა ბრძნად მხედველითა.
(შდრ. 1184, 2... „მაღლად მხედი").
350 (347), 8: ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა,
რომელნი ეურჩებიან [საწუთროს].
792 (790): არა ვიქმ [სიცრუეს, მოყვრის
გაწირვას], ცოდნა რას მარგებს
ფილასოფოსთა ბრძნობისა!

**მხოლოდ, ბრძენს შეუძლია აიტანოს „სოფლის", როგორც „ზღაპრის", ეფემერულობა:**

717 (715), 4: აწყა ვცან, საქმე სოფლისა
ზღაპარია და ჩმახია!

**სიბრძნე ევალება მეფეს, მეფე-ქალს და მიჯნურს. პოეზიაც (შაირობა) „სიბრძნის ერთ დარგადაა" მიჩნეული. ამიტომაც ასე ხშირია „ბრძენი" ეპითეტის ხმარება და მისი ინტერპრეტაციები პოემაში.**

**3. „ლხინი", „ჭირი" და „ბედი".**

**პოემაში უთვალავჯერ გვხვდება ეს ლექსიკური ერთეულებიც, როგორც ადამიანის ცხოვრების მიუცილებელი ატრიბუტების საილუსტრაციოდ აღმნიშვნელი ცნება-სიტყვები. აქ მოვიტანთ მხოლოდ ნაწილს.**

441 (438), 3: ნახევარ დღეს სხვა ვიარე,
ჭირსა თავი არ ვაკრძალე.
880 (879), 1-2: „რათგან ვარდი ამას ეტყვის
უსულო და უასაკო,
მაშა ლხინსა ვინ მოიმკის
პირველ ჭირთა უმუშაკო?

**ტარიელი:**

914 (913), 1-2: „აჰა, ძმაო, მითხრობია
ჭირი ჩემი, რაცა მჭირდა.

**ავთანდილის ნუგეშინისცემა მისდამი:**

916 (915), 1-2: სდევს მიჯნურსა ფათერაკი,
საწუთროსა დაანაღვლებს,
მაგრა ბოლოდ ლხინსა მისცემს,
ვინცა პირველ ჭირსა გასძლებს.

**ვარიაციები:**

29 (28), 4: მისთვის ჭირი ლხინად
უჩნდეს, მისთვის ცრემლსა მოიდებდეს.
137 (136), 3: გაადვილდა, აქანამდის
გარდეხადა რაცა ჭირი.
180 (179), 3-4: თქვის: „ჭირი ჩემი
სოფელმან ოთხმოცდაათი ანასა.
მოვშორდი ლხინსა ყველასა,
ჩანგსა, ბარბითსა და ნასა.
184 (183), 3: იგი ჭირი არ უნახავს
არ რამინს და არცა ვისსა.
360 (354), 3: შინა მივე, უარ გავხე,
სხვა დამერთო ჭირი ჭირსა.
500 (497), 1: აქა მხეც-ქმნილი ტარიელ ტირს,
ჭირი ეათასების.
550 (547), 3: ჭირი ბევრჯერ ვაათასე,
ლხინი ჩემი ვაერთხელი.
642 (639), 4: თავსა ჭირი უათასეთ,
რაღმც უშვიდეთ, რაღმცა ურვეთ?
641 (638), 3-4: მოგვინახონ იგი მთვარე,
მისთვის ჭირი არ გვაკლია,
. . . . . . . . . . . .
ყოლა ჭირი არ ეგების,
თუ-მცა ლხინმა არ დასძლია.

**როსტევანი ავთანდილისადმი:**

677 (675), 2: უბრძანა, თუ: „ღმერთსა
ვჰმადლობ, შენ თუ ჭირად არა
გჭირსა.
689 (687), 3: მეფე ჰკითხავს, იგი ჰკადრებს,
რაცა ჭირი დაეთმინა.

**ავთანდილის ანდერძიდან:**

797 (795), 3: წესი არის მამათაგან,
მოჭირვება, ჭირთა თმენა.

**ვარიაციები:**

705 (703): „ხამს, მოყვარე მოყვრისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად;
კვლა მიჯნურსა მიჯნურისა
ჭირი უჩნდეს ჭირად დიდად.
აჰა მაქვსმცა უმისობა ლხინი არმად,
თავი ფლიდად!"
707 (705), 3: აქამდის ჭირი ჩემზედა
აწ ესე ლხინი უხდების.
709 (707), 1: ყმამან ჰკადრა:
„სიახლითა შევჰრთე ჭირი შვიდსა მე რვა.
728 (726), 4: თუ ლხინი გვინდა
ღმრთისაგან, ჭირიცა შევიწყნაროთა
(ტარიელი).
768 (766), 4: შენთვის სიკვდილი ლხინად
მიჩს, ჭირი არ გამცუდდებია.
775 (773), 4: ოდეს კაცსა დაეჭიროს,
მაშინ უნდა ძმა და თვისი.
787 (785), 3: ხამს, მამაცი გაგულისდეს,
ჭირსა შიგან არ დაღონდეს.

ამ ტაეპის შემცველ სტროფს მისდევს ხანა 788 (786), რომელიც შეიცავს განთქმულ სტრიქონებს (1-2):

მე იგი ვარ, ვინ სოფელსა
არა მოვჰკრეფ კიტრად ბერად,
ვის სიკვდილი მოყვრისათვის
თამაშად და მიმიჩს მღერად.
808 (806), 2: ნაცად მაქვს ჭირი
სამოსად ამა შელიწადს წლეულსა.
876 (875), 3: ჭირსა შიგან გამაგრება
ასრე უნდა ვით ქვითკირსა.
919 (918), 4: ვაჰ შენი ბრალი, დავ თვარა,
სიკვდილი ჩემი ლხინია.
942 (941), 3-4: შემოიქცეს, აატირეს გული,
კვლაცა ანატირი.
ხვალე გაყრის გონებამან
სხვა მიჰმატა ჭირსა ჭირი.
949 (948), 2: სვეს და ჟამეს, რაცა ჟამა
შეჰფეროდა მათსა ჭირსა.
959 (958), 1: მო, ზუალო, მომიმატე
ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა.
986: 1: რა „ტარიელ" მოისმინა,
ფრიდონს ჭირი უსუბუქდა.
1175, 2-3: ბედი უბედო ჩემზედა,
მიწყივ ავისა მქნელია.
კარგი რა მჭირდეს, გიკვირდეს,
ავი რა საკვირველია
1274, 3: შენი ყველა აქამდისი
ჭირი ლხინსა გაათავნე.
1296, 4: ჩემი ყველა აქამდისი
ჭირი ლხინისა შევაწონე (ნესტანი).
1299, 1: აწ სოფელმან უარესი
ჭირი ჭირსა დამისართა.
1348, 2-3: ჭირსა და ლხინსა ორსავე
ზედა მართ ვითა ხელია.
მიწყივ წყლულების,
საწუთრო მისი აროდეს მრთელია.
1361, 2: ლხინი მოგვეცა, მოგვშორდა
ყოველი ჭირი ძნელია.
707 (705), 3: აქამდის ჭირი ჩემზედა,
აწ ესე ლხინი უხვდების.
756 (754), 1: ჩემი ჰმუნვა ჭირსა ჩემსა
არცა ჰმატს და არცა სდიდობს.
308 (307), 2: ხამსო მისთვის სიკვდილსა
და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს.
360 (357), 3: შინა მივე, უარ გავხე,
სხვა დამერთო ჭირი ჭირსა.
153 (152), 3: ვერ ვაჩენდი აქანამდის
ჭირსა ჩემგან დაფარულსა.
155 (154), 4: ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს,
ჭირს მიუხდეს მამაცურად.
1578 (1637), 4: ყოლა ლხინთა
ვერ იამებს კაცი ჭირთა გარდუხდელი.
1586 (1655), 3-4: აწ ვაგლახ მე, ჭირი შენი
გონებამ ან შვიდით ურვა.
მოგშორდები, საწუთრომან
ლხინი ესე დამიშურვა.

მოტანილი მაგალითები მცირე ნაწილია „ბედი", „ლხინი" და „ჭირი" სიტყვების სხვადასხვა ვარიაციებით ხმარებისა პოემაში, ისინი გაორმაგებული ან სხვადასხვა ფონეტიკური სახით მეორდებიან („ჭირად ჭირი", „ჭირი ჭირსა", „ლხინი ლხინად", „უბედოსა ბედისა", „ბედი უბედო", და სხვ. მისთ.), და ყველა ტაეპს, სადაც ეს ლექსიკური ერთეულები მონაწილეობენ, თავიდან ბოლომდე გასდევს „ჭირის დათმენის". სხვისთვის სიკვდილის ლხინად მიჩნევის ან თვითონ ჭირისადმი მამაცური შებრძოლების მოტივი, „ღარიბობა" და „უცხოობა" ამ „სოფლად", რომელიც „საწუთროა" და „ბინდით" მოსილი, ბრძენმა უნდა უდრტვინველად („სიშმაგის" გარეშე) აიტანოს ან აქტიური ნებისყოფა დაუპირისპიროს მას. უმაღლესი ზნეობრივი იმპერატივის ხასიათს ატარებს განსაკუთრებით რუსთაველის დევიზი მოყვრისათვის სიკვდილისა, რომელიც „თამაშად" და „მღერად" არის მიჩნეული, ბოლო თვითონ სოფელი — „ბერ კიტრად მოსაკრეფად"... ამრიგად სიბრძნის უპირველეს ნიშნად ყოველგვარი ლხინისა თუ ჭირის, უბედობისა თუ ბედის „ზღაპრად", ე. ი. ბოლოს მის ეფემერულ გამოვლინებად მიჩნევა სრულიად არ გულისხმობს სტოიციზმის ასეთ კადაგებას, როგორც ეს ჩვენ გვხვდება ელინისტური პერიოდის ბერძნულ ფილოსოფიაში, არც ბედისწერის წინაშე ქედმოხრის მოტივი ანუ ფატალიზმი, გარდუვალის წინაშე პასიური მორჩილება, ყველაფრისადმი ინდიფერენტიზმი („ადიაფორონ") და აპათია ან სწრაფვი ატარაქსიისკენ და ა. შ. — რუსთაველისათვის სრულიად უცნობია. ასევე უცნობია მისთვის ადამიანში უზენაესის მიერ ნებისყოფის თავისუფლების პარალიზების იდეა, რასაც ასე თავგამოდებით იცავდა დასავლეთის პატრისტიკის უდიდესი წარმომადგენელი ავრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიუს ავგუსტინე.[1] ჩვენს მიერ გაანალიზებული სტროფები და მათში გამოხატული სიბრძნე სულის ენერგიული აქტივობის მანიფესტაციაა გონების მიერ კონტროლირებული მყუდროებისა და ყველაფრის მარადისობის თვალსაზრისით წინასწარი განჭის ფარგლებში. ესაა ის „ცხოვრების ფილოსოფია", რომელიც ქართველ ხალხს უანდერძა მისმა უდიადესმა შვილმა. ამიტომაც ქართულ და ქრისტიანულ კულტურას ეხამება რუსთაველის მიერ თვითმკვლელობის აკრძალვა, მასზე სამუდამო ტაბუს დადება. სახელდობრ ავთანდილი, რუსთაველის ალტერ ეგო, აცხადებს:

789 (788), 3: მოვკვდე, თავსა ნუ მოიკლავ,
სატანასგან ნუ იქმ ქმნილსა.

და იგივე ავთანდილი აწყნარებს ტარიელს სიტყვებით:

875 (874), 4: რად სატანას წაუღიხარ,
რად მოიკლავ ნებით თავსა?

ეს გაფრთხილება ხმაურობს პოემის სხვა გმირთა სიტყვებშიც:

1191, 3-4: სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?
რა მისჭირდეს, მაშინ უნდა
გონებანი გონიერსა!

არა აპათია, არა გულგრილობა („ადიაფორა"), არამედ ძლიერი ნების მანიფესტაცია და ჭირზე კვეთებით მისვლაა ბრძენის ერთერთი თვისება. სიბრძნე კი „საწუთროს", „სოფლის" „დამამხობლად" და „ზღაპრად" აღიარებასა და თავდაჭერილობასთან ერთად საჭიროების ჟამს ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლასაც ნიშნავს. მაგ. კაცის უაღრესად დიდ მანკიერ თვისებად რუსთაველს მიაჩნია ღალატი და სიცრუე:

1. კაცი ცრუ და მოღალატე
ხამს ლახვრითა დასაჭრელად,
2. ვგმობ კაცსა აუგიანსა,
ცრუსა და ღალატიანსა.

აცხადებს პოეტი. მაგრამ მას ისიც კარგად მოეხსენება, რომ ყოველგვარი აჩქარება და წრეგადასულობა ემოციების გამომჟღავნებისას — აგრეთვე ნაკლია:

1344, 4: თქმულა: „სიწყნარე გამობილი
სჯობს სიჩქარესა ქებულსა.

ასე მსჯელობს ის ბრძენი, რომელსაც „გონება უც ვითა ტრედი". და როცა ეს ბრძენი იწყებს თავის მონოლოგს

ვაჰ სოფელო, რაშიგან ხარ...

იგი ინარჩუნებს სიმშვიდეს, რადგან მისთვის „სოფელი" საერთოდ „ზღაპარი" და „ბინდია". პოეტის სულიერი აქტივობა შეხამებულია ფილოსოფიურ რეფლექსიებთან.

4. ვეფხისტყაოსნის ავტორის სიბრძნის გამო მსოფლიო მასშტაბის ინგლისელი ლიტერატურისმცოდნე და საშუალო საუკუნეთა მწერლობის ისტორიის დიდი მკვლევარი სერ მორის ბაურა, მაგალითად, აღნიშნავდა: ვეფხისტყაოსნის მიხედვით სიყვარული კაცობრიობის სერიოზული სკოლააო.[1] მ. ბაურა კი პოემის პროზაულ თარგმანს (უორდროპისეულს) იცნობდა მხოლოდ!

ვეფხისტყაოსნის სიბრძნე, რომელიც, ვფიქრობთ, მისი ორის სტროფის სპეციალურმა ანალიზმა კონკრეტულად დაგვანახა — უმაღლეს არტისტულ ფორმაშია გამოხატული. ეს ფორმა ლექსიკის მხრივ გამოსცემს უთვალავ სემანტიკურ „ობერტონებს" (ი. ტინიანოვის ფორმულა), ხოლო მისი რიტმიკა-შეუდარებელ კონტრაპუნქტის ხმოვანებას. ეს ორი მომენტი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ამიტომაა, რომ „სიბრძნე" პოემაში უთვალავი ნიუანსებითა და რიტმიკულ-სემანტიკური სპექტრითაა გადმოცემული. ესაა შეუდარებელი მხატვრული აზროვნება და არა სტრუქტურისაგან გამოხათიში და ცალკე დასალაგებელი ფილოსოფიური სისტემა. თუ ამ უკანასკნელს პოემის წამყვან ღერძად ვივარაუდებთ, პირდაპირ უნდა ვთქვათ: იგი არ არსებობს (საშ. საუკუნეებში ფილოსოფია, ელინური თუ ელინისტური გაგებით — საერთოდ არ არსებობდა).

რუსთაველი გენიოსი-პოეტი იყო, საკუთარი სიბრძნით და არა გარედან მიღებული სააზროვნო „სისტემით": იგი არც ნეოპლატონიკოსი ყოფილა, არც „მატერიალისტური პანთეისტი" და არც სხვა რომელიმე ფილოსოფიური მოძღვრების ბრმა მიმდევარი.

ასეთია უმაღლესი პოეზიის ბუნება საერთოდ

---

1. ადამიანის ნების თავისუფლების საკითხს ეძღვნება ავგუსტინეს განთქმული თხზულება „დე ლიბერო არბიტრიო" (დაიწ. 388 და 394 წ.წ.). არსებობს მისი ძველი რუსული თარგმანიც. აღმოსავლეთის მართლმადიდებლური თეოლოგიას ავგუსტინეს ვოლუნტარისტული დეტერმინიზმი ადამიანის ნების თავისუფლების საკითხში არ გაუზიარებია, რამაც თავისი ანარეკლი ჰპოვა ძველ ქართულ მწერლობაშიც (მხედველობაში გვაქვს ანტიავგუსტინური, პოლემიკური ტრაქტატი, ბერძნულიდან ქართულად თარგმნილი X საუკუნემდე, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა 1914 წელს „ხრისტიანსკი ვოსტოკ"-ში).

1. მორის ბაურა. ვეფხისტყაოსანი. (თარგ. ინგლისურიდან. თბ., 1966).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა ხელაია

# ესეის წარმოშობის საკითხისათვის

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაზე დაკვირვება აშკარად დაგვანახვებს ესეისადმი მიმართულ მზარდ ინტერესს. ეს ინტერესი არა მარტო საკუთრივ ამ ჟანრის ნაწარმოებთა მომძლავრებაში გამოიხატება, არამედ მის შესახებ პრესისა და ჟურნალების ფურცლებზე, ლიტერატურულ-კრიტიკულ განხილვებსა და პაექრობებზე გამოთქმულ აზრთა სხვადასხვაობაშიც ვლინდება. თუკი ქართველ ლიტერატორთა ერთი ნაწილი ესეის, სრულიად ბუნებრივად და რეალურად არსებულ ლიტერატურულ ფორმად თვლის, მეორენი მას მეცნიერებისთვის დაუშვებელ, საზიანო თვითნებობად მიიჩნევენ, ხოლო მესამენი, აიგივებენ რა ესეისტური ჟანრის ნაწარმოებებს ნარკვევთან, ჩანახატსა და ესკიზთან, ზედმეტად მიიჩნევენ, საერთოდ, საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში „ესეის" ტერმინის არსებობას (უნდა ითქვას, რომ ესეის შესახებ აზრთა ეს სხვადასხვაობა გვხვდება რუსულ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაშიც).

თვალსაზრისთა ამ ნაირგვარობის მიუხედავად, ქართულ მწერლობაში წარმატებით ვითარდება, იხვეწება და წლების განმავლობაში თავისებურად ყალიბდება ის ნაკადი, რომელსაც თავისი მახასიათებლების, სპეციფიკის გამო, ჩვენის რწმენით, სწორედ ე ს ე ი ს ტ უ რ ი უნდა ეწოდოს.

XX საუკუნის 10-20-იანი წლებიდან დღემდე, ესეის ჟანრთან ქართული ლიტერატურის ისეთი მნიშვნელოვანი სახელებია დაკავშირებული, რომელთა შემოქმედების ყოველმხრივი შესწავლის, კვლევის გარეშე, ძნელი იქნებოდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ხასიათსა და ბუნებაზე მსჯელობა, ძნელი იქნებოდა უახლესი ქართული ლიტერატურის ზოგიერთ ტენდენციაზე საუბარი, არასრულყოფილი იქნებოდა ქართული ლიტერატურულ-ესთეტიკური აზრის მნიშვნელობის განსაზღვრა ერის სულიერი ცხოვრებისათვის.

ქართული ლიტერატურის ისტორიისთვის საინტერესოა, თუ სხვა ლიტერატურულ ფორმათაგან განსხვავებით, რა განუმეორებელი თვალთახედვით, რა თავისეული კუთხით აშუქებდა და აშუქებს ქართული ესეი იმ ფსიქიკურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ მოვლენებს, რომლებმაც თავი იჩინეს ჩვენს ქვეყანაში ამ წლების განმავლობაში. ესეი ხომ გულწრფელი, თავისუფალი, შეუბოჭავი განსჯაა, საგნის თავისებური, ავტორის სუბიექტური თვალთახედვით შეცნობის ცდაა. ამდენად, იგი ორი ძირითადი მომენტით შეიძლება ინტერესის სფეროს წარმოადგენდეს ჩვენთვის:

1. ესეისტურ ლიტერატურაში ავტორი, შეძლებისდაგვარად, შეულამაზებლად, უკომპრომისოდ, თავისუფლად განსჯის ამა თუ იმ საგანს, თავისებურ დიალოგს უმართავს თავისსავე თავს, მის მიზანს არ წარმოადგენს დასკვნების გამოტანა, იგი ცდილობს ზუსტად მიჰყვეს საკუთარი აზრის მდინარებას და შესაბამისად ასახოს კიდეც იგი (ყოველი ესეი მეტნაკლებად ცნობიერების ნაკადის ელემენტის მომცველია); ამიტომ ამ პროცესის პროდუქტი, ინტიმურობამდე გულწრფელი, საგნისა თუ მოვლენის სწორი დახასიათების თვალსაზრისით მრავალ საგულისხმო შტრიხს შეიძლება შეიცავდეს.

2. ვინაიდან განსჯა, რა საკითხსაც არ უნდა ეხებოდეს იგი, მწერლის შემოქმედებითი „მეს" პოზიციიდან ხდება, და ესეიში უმთავრესი აქცენტი, სწორედ ავტორის სულიერი პლასტების მოხილვასა თუ გამოხატვას ეთმობა ამ საკითხებისადმი მიმართებაში, ესეი — მისი შემქმნელის

შემოქმედებითი სამყაროს ბევრ არსებით ნიშან-თვისებაზე მიგვითითებს.

ქართულმა ლიტერატურულ-კრიტიკულმა ესეიმ თავისი განვითარების საინტერესო გზა განვლო, თუმცა ეს პროცესი ამჟამადაც არაა დასრულებული — ესეი დღესაც ვითარდება, გარკვეული თვალსაზრისით იხვეწება, ყალიბდება. ჩვენი ეპოქის ესეისტური შემოქმედება კ. გამსახურდიას, გ. ქიქოძის, ვ. გაფრინდაშვილის, ს. ცირეკიძის, პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, თუ ა. ჭორჯაძის, გ. ტაბიძის, ვ. ბარნოვის, ა. გაწერელიას, პავლე ინგოროყვას შემოქმედებით ნასაზრდოებ, მათი ლიტერატურულ-მეცნიერული ტრადიციებით გამოწრთობილ, თავისებურად გადააზრებულ გაგრძელებას წარმოადგენს. ხოლო ამ მოღვაწეთა ესეისტური შემოქმედება, პირველი სერიოზული ცდა გახლდათ ამგვარი ხასიათის ლიტერატურის საქართველოში დამკვიდრებისა და მის წარმოშობას გარკვეული კულტურული, სოციალ-პოლიტიკური წანამძღვრები განაპირობებდა.

მთელი ეს პროცესი ქართული ლიტერატურის ისტორიის მრავალ საგულისხმო, ერთობ საყურადღებო მომენტს მოიცავს. და თუ იმ ანბანურ ჭეშმარიტებასაც მოვიგონებთ, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურის სრულყოფილი კვლევა ამ ლიტერატურის ყოველი სფეროსადმი, ყველა უბნისადმი მეცნიერული ძიების თანაბარი ინტერესით მიმართვას მოითხოვს, რომ ყველა ლიტერატურულ ჟანრს, რომელიც კი გვხვდებოდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების პროცესის განხილვისას, უდავოდ მიუძღვის მეტნაკლები წვლილი მის ფორმირებაში, თვალნათლივი გახდება ქართული ესეის უფრო ფართო შესწავლის აუცილებლობა.

მაგრამ უშუალოდ ქართული ესეის შესახებ მსჯელობას უდავოდ წინ უნდა უძღოდეს ესეის საკითხებთან დაკავშირებული, თუნდაც მცირე ისტორიულ-გენეზისური ექსკურსი. საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში ესეის ჟანრის შესახებ ურთიერთგამომრიცხველ აზრთა არსებობა იმის აუცილებლობასაც გვიდასტურებს, რომ ესეის არსზე, მის ხასიათსა და სპეციფიკაზე კიდევ ერთხელ შევაჩეროთ ყურადღება. უამისოდ ძნელი იქნება, რა თქმა უნდა, ქართულ ლიტერატურულ-კრიტიკულ თხზულებათა ესეისტურ ნაწარმოებთა გამიჯვნაც. მითუმეტეს, რომ ქართულ ესეთა უმრავლესობა, თავად ავტორთა მიერ ძალიან იშვიათადაა „ესეიდ" წოდებული. ისინი ხან „ლიტერატურულ წერილად", ხან კი „ჩანახატად" ან „პორტრეტად" არიან მონათლულნი. უფრო იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ პირიქით მოვლენასაც აქვს ადგილი ჩვენს ლიტერატურაში — „ესეიდ" წოდებული თხზულება ესეის არ წარმოადგენს. ამგვარ აღრევას მარტო ქართულ და რუსულ ლიტერატურაში როდი ვხვდებით. იგივე მოვლენა უცხოურ ლიტერატურაშიც შეიმჩნევა და მას თავისი გამომწვევი მიზეზიც აქვს, რის შესახებაც საგანგებოდ ვისაუბრებთ შემდგომ.

მაშ, ჩვენი კვლევის უპირველეს პირობად ესეის ისტორიულ-გენეზისური საკითხების მიმოხილვა და, ამის კვალდაკვალ, ესეის ხასიათისა და რაობის შეძლებისდაგვარად დადგენის ცდა გვესახება. წინამდებარე სტატია ესეის პირველსაწყისების, მისი როგორც ლიტერატურის სახეობას წარმოშობის საკითხებს ეძღვნება.

ესეის ჟანრის ფუძემდებლად მე-16 საუკუნის დიდი ფრანგი მოაზროვნე მიშელ მონტენი (1553-1592) საყოველთაოდ აღიარებული. ესეისტური ჟანრისთვის დამახასიათებელ ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს კი, კერძოდ — ესეისტური სტილის საწყისებს, თემისადმი ესეისტური მიდგომის ხერხებს, მონტენამდე ბევრად ადრე, ჯერ კიდევ პლატონის დიალოგებში ვხვდებით. მოვიგონოთ ის წესი აზროვნებისა, რომელსაც პლატონი მიმართავს: ავტორი განსჯის ამა თუ იმ ცნებას ან საგანს, გამოთქვამს აზრს, ფიქრობს, ეპაექრება თავისსავე თავს და ეს განსჯანი კი არ სრულდება, კი არ ამოიწურებიან გარკვეული დასკვნების სახით, არამედ შეწყდებიან, რათა ავტორი ახალი თემის განსჯას შეუდგეს (სხვათაშორის, ყოველი ესეი, თავის მხრივ, დიალოგის ელემენტის შემცველია, ყოველი ესეი — დიალოგია განსაზღვრული გაგებით). ესეისტური ჟანრისთვის დამახასიათებელ ელემენტებს ვხვდებით სენეკას და პლუტარქეს ნაწარმოებებშიც, იმ თხზულებებში, სადაც პირველ პლანზე ავტორის პიროვნება დგას და საგანზე მსჯელობისას ავტორი თვითანალიზის, თვითგამოსახვის გზით ინდივიდუალური „მეს" გამოვლენას ახდენს, უკვე ნათლად შეიძლება ესეის ჩანასახის დანახვა. ადრინდელ ნაწარმოებებთან მონტენის ესეთა ამგვარ გენეტიკურ კავშირს გულისხმობდა დიდი ინგლისელი მოაზროვნე, მონტენის ესეების ერთ-ერთი პირველი დამფასებელი ფრენსის ბეკონი, როცა წერდა: „ეს სიტყვა (ესეი — მ. ხ.) გახლდათ ახალი, თორემ თავად მოვლენა ძველისძველიაო".[1]

ესეის რაოდენ მნიშვნელოვანი და რაოდენ მრავალრიცხოვანი ელემენტიც არ უნდა აღმოვაჩინოთ მონტენის წინადროინდელ ლიტერატურაში ,იგი მაინც ცალკეულ ელემენტებად, მთელის ნაწილებად, შტრიხებად დარჩება, სანამ მიშელ მონტენმა ერთი სახელწოდების ნიშნით — ესეი, არ დაამკვიდრა დამოუკიდებელი ჟანრი. მხოლოდ ამ მოვლენის შემდეგ შეიძინეს ამ მახასიათებლებმაც ჟანრული კომპონენტების სტატუსი.

1. ენციკლოპედია „ბრიტანიკა", ტ. 8, ჩიკაგო-ლონდონი-ტორონტო, 1959, გვ. 716 (ინგლ. ენაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესეისტური ჟანრის ისტორიაზე მსჯელობისას, არ შეიძლება აქვე საგანგებოდ არ აღინიშნოს, რომ ადრეული შუა საუკუნეების შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებში — ჩინეთში, კორეაში, იაპონიაში, არა ცალკეული ელემენტების სახით, არამედ ჟანრული მთლიანობის გაგებით, უკვე არსებობდა ესეისტური ლიტერატურა.[1]

როგორც მისი თემატური და პრობლემური ორიენტაცია, ასევე ამ თემისა თუ პრობლემისადმი მიახლების თავისებური წესი, სავსებით თანხვდება მონტენის მიერ დამკვიდრებული ჟანრის თემატიკასა და ამ თემის დამუშავების ფორმებს. იაპონური ძუიხიცუ, ისევე როგორც ჩინური სუიბი (სახელწოდება „ძუიხუცუ" ჩინური „სუიბიდან" მომდინარეობს და „კალამს გადევნებას" ნიშნავს), და კორეული პხესოლი — მონტენის ესეების გვარად, შერეული შინაარსის მქონე თხზულებებს წარმოადგენენ. ავტორები თავიანთ ნაწარმოებებში სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციებს გვთავაზობენ, დაწყებული რელიგიური ისტორიებითა და ასტროლოგიურ მეცნიერებათა საკითხებით და დამთავრებული მკითხაობის ოსტატობის განსჯით; აქვე ვხვდებით გარემო სამყაროს, ბუნებრივი მოვლენების, ადამიანთა ყოფაცხოვრებისა და ზნეჩვეულებების ამსახველ მონაკვეთებს; ამავე თხზულებებში ვაწყდებით მხატვრულ ნოველებსა და ეთნოგრაფიულ თუ სხვა ხასიათის ნარკვევებს, ხალხურ თქმულებებს, იმ დროისათვის ცნობილ მოაზროვნეთა გამონათქვამებს, საექიმო რჩევებს. როგორც აკად. კონრადი შენიშნავს, ამგვარ თხზულებებში მთავარი როლი ავტორისეულ განსჯებს ეკისრება. ყველა მონაკვეთი, აღწერილობითი თუ თხრობითი ხასიათისა — განსჯებითაა გაჯერებული. ისინი უმთავრესად ლირიკულნი არიან, რადგან მწერლის ემოციებს გადმოგვცემენ.[2] (მოვიგონოთ ესეის დახასიათება, რომელსაც მცირე ლიტ. ენციკლოპედია იძლევა — „ლირიკული განსჯა").[3]

სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციები ძუიხიცუს, სუიბისა და პსესოლში, მონტენის თხზულების მსგავსად — ერთიანი ფაბულის გარეშეა მოწოდებული.[1]

1. შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ესეისტური ლიტერატურის საკითხებზე ჩვენი მსჯელობა ეყრდნობა მკვლევარის ვ. ნ. გორეგლიადის გამოკვლევას „დღიურები და ესეი X-XIII საუკუნეების იაპონურ ლიტერატურაში", „ნაუკას" გამოცემა, მოსკოვი, 1975 წ. (რუს. ენაზე).

2. ნ. ი. კონრადი, ტიომეის ნაწარმოებთა შესახებ, წიგნში „იაპონური ლიტერატურა", 1974, გვ. 303, (რუს. ენაზე).

3. მცირე ლიტ. ენციკლოპედია, ტ. 11, გვ. 916 (რუს. ენაზე).

განსხვავებული სტილით დაწერილი, განსხვავებული ზომის პარაგრაფები, ერთი შეხედვით უსისტემოდ, ქაოტურადაა განლაგებული ნაწარმოებში; თავად პარაგრაფების შიგნითაც (როგორც მიგვანიშნებს სახელწოდება ძუიხიცუ — კალამს გადევნება) აზრი ხშირად არათანამიმდევრულადაა გადმოცემული. მკაცრ ლოგიკას, მწყობრ სტილს არაიშვიათად ენაცვლება ასოციაციური მსჯელობა, ნახტომისებური გადასვლები. მაგრამ, ისევე როგორც მონტენის ნაწარმოებებში, აქაც, ეს უსისტემობა და მოზაიკურობა თხზულებისა და თხზულების ცალკეული ნაწილებისა, მის ნაკლოვანებაზე კი არ მიგვითითებს, არამედ იგი, ძუიხიცუს ჟანრის უმეტესი ნაწილის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებადაა მეცნიერთა მიერ მიჩნეული.2 ესეი, ისევე როგორც ძიუხიცუ, თავის მოზაიკურობით, უსრულობით არის მთლიანი, თავის თავში დასრულებული, რადგან მათი გარეგნული დაუსრულებლობა ავტორთა აზროვნების ბუნებრივი მდინარების ასახვის, წინასწარი დაგეგმვისა და მოწესრიგებისაგან თავისუფალი პროცესის გამოვლენას წარმოადგენს.

იაპონიაში ეს მეთოდი კულტურის სხვა დარგებისთვისაც კი ყოფილა მიღებული. ხელოვნების ამა თუ იმ ნიმუშის შინაგანი მთლიანობა, ერთიანი ჩანაფიქრი ზოგჯერ ძნელი ამოსაცნობი ხდებოდა სხვადასხვა ნაწილების მოუწესრიგებელი ურთიერთკავშირის გამო. ასეთი ხერხი ცნობილი და მიღებული გახლდათ იაპონური არქიტექტურის, მებაღეობის ხელოვნებისა და ფერწერული ხელოვნებისთვისაც. აი, რას წერს ხელოვნების ნიმუშის გარეგნული დაუსრულებლობის შესახებ, შედარებით გვიანდელი ხანის იაპონელი ესეისტი კენკო-ხოსი:

„საინტერესოა, როდესაც რაიმე დაუსრულებლადაა დატოვებული, ისეთი განცდა გეუფლე-

1. გამონაკლისს წარმოადგენს კამო-ნო ტიომეის ნაწარმოები, რომელიც კომპოზიციურად სრული, თანმიმდევრული თხზულებაა და მას ვ. ნ. გორეგლიადი ძუიხიცუს ერთ-ერთ ქვეჟანრად განიხილავს.

2. ვ. ნ. გორეგლიადის დასახელებულ წიგნში (გვ. 347) ჩამოთვლილია ის მეცნიერები, რომელთა შრომებშიაც ქაოტურობა ძუიხიცუს ჟანრის უმეტესი ნაწილის დამახასიათებელ თვისებადაა მიჩნეული. ეს მეცნიერებია: ს. გ. ელისეევი, ვ. გ. ასტონი, პ. ადლერი, ვ. ფლორენცი, მარუიამა რიმპაი, იკუტა სიუნგეცუ და სხვ. მონტენის თხზულებისა და მის მიერ დამკვიდრებული ჟანრის ნაწარმოებთა მოზაიკურობის შესახებ იხ. გერო ფონ ვილპერტი, ლიტერატურული ლექსიკონი. 1969, შტუტგარტი, გვ. 235 (გერმ. ენაზე).

ბა, თითქოს ცხოვრება მშვიდად და დიდხანს მიედინება. ...იმპერატორის სასახლის მშენებლებს ერთი ადგილი განზრახ დაუტოვებიათ დაუსრულებელიო".[1]

ავტორის ამგვარი თავისუფალი შემოქმედების შედეგია ესეის გარეგნული არათანამიმდევრულობა და უსისტემობაც. რამდენადაც მონტენის მიზანს — ადამიანის, ადამიანური ბუნების ასახვა წარმოადგენს და ამ მიზანს იგი თვითჩაღრმავებისა და თვითანალიზის გზით აწარმოებს, ხოლო ადამიანი, მისი შინაგანი ბუნება, ხასიათი, მისი აზრის მდინარება ყოველთვის არ არის, მონტენის რწმენით, თანმიმდევრული, მოწესრიგებული და ჰარმონიული, ავტორმა თავის თხზულლებას ფორმაც ასეთივე გამოუძებნა — თითქოსდა უსისტემო, ერთი შეხედვით დაუმუშავებელი, ერთი შეხედვით არათანმიმდევრული. აი, რას წერს თავისი თხზულების ფორმის შესახებ თავად მონტენი:

„ერთი კუთხიდან მეორეში დავხეტიალობ, მაგრამ საკუთარი უსუსურობა და მოუხერხებლობა კი არ მაიძულებს ამას, არა, ნებას დავუყვები. ჩემი აზრები — ერთი მეორეს მიჰყვებიან. მ რთალია, ზოგი მათგანი წინას ზუსტად ზურგში არ უსწორდება, ცოტა შეიძლება მოშორებით ამოჩნდეს მისგან, მაგრამ თითოეული მათგანი ყოველთვის ხედავს სხვას, ერთმანეთს ხედავენ, ირიბად მაინც, თუ პირდაპირ არა... ცალკეული თავების ჩემეული დასახელებები მთლიანად როდი მოიცავენ მათში მოქცეულ შინაარსებს... და თუ ვინმეს ჩემი აზრობრივი ძაფები უწყდება, უთავური მკითხველი ყოფილა. თავად ნაწარმოებში იგი არასოდეს წყდება".[2]

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ესეისა და ძუიხიცუს ტიპოლოგიური მსგავსება, მათს შორის გენეტიკურ კავშირს არ გულისხმობს. გეოგრაფიულად იზოლირებულ ქვეყანას — იაპონიას, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებთან — ჩინეთსა და კორეასთან ჰქონდა. ამდენად, ძუიხიცუს, სუიბისა და პხესოლის გენეტიკურ კავშირებზე შეიძლება და არის კიდეც მსჯელობა შესაბამის კულტურათა მკვლევარების შრომებში. ევროპული ესეი კი დამოუკიდებლად წარმოიშვა. სწორედ ეს მოვლენა არის ჩვენთვის საინტერესო და ნიშანდობლივი, კერძოდ ის, რომ ერთმანეთისგან ცალ-ცალკე, განსხვავებული ტრადიციებისა და ხასიათის მქონე კულტურათა ქვეყნებში, სხვადასხვა ეპოქაში — იაპონიაში — X-XIII საუკუნეებში და საფრანგეთში კი, XVI საუკუნის ბოლოს, ტიპოლოგიურად მსგავსი ლიტერატურული სახეობები მომწიფდა. როგორც ჩანს, ქვეყნის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ბუნებრივად იქმნება ამგვარი სახის ლიტერატურის წარმოშობის აუცილებლობა. მაშ, რა კონკრეტული სიტუაცია — კულტურული, სოციალური თუ პოლიტიკური ხასიათის ფაქტორების ერთობლიობა განაპირობებს ამ პროცესს?!

ესეისტური ლიტერატურის წარმოშობის შესახებ საინტერესო თვალსაზრისს გამოთქვამს ინგლისელი ესეისტი ალექსანდრე სმიტი, თავის თხზულებაში „იმაზე, თუ როგორ იწერება ესეი". აი, რას წერს იგი:

„ჩვეულებრივ, ესეისტი ქვეყნის ლიტერატურული განვითარების ადრეულ პერიოდში არ გამოჩნდება ხოლმე. მისი მოსვლა, ბუნებრივად, პოეტისა და მემატიანის შემდეგ უნდა მოხდეს. მისი გონება შვებას, თავისუფლებას, ჰოცალეობითობასაა ჩვეული. ვნებიანი იმპულსი, სტრესი, დაძაბვა — არ აწერინებს ესეისტს, იგი კი არ ჰქმნის მასალას, არამედ უკვე არსებულ მასალას უკეთებს კომენტარს. მისთვის არსებითია, რომ ქვეყნად წიგნები უკვე დაწერილი იყოს და მეტიც, ეს წიგნები, ასე თუ ისე, წაკითხულ-გადახარშულიც ჰქონდეს მკითხველს. ესეი ხომ, ჩვეულებრივ, მინიშნებებითაა სავსე. ჰოდა, მკითხველს უნდა შეეძლოს მათი გაგება, მათი მიყოლა".[1]

მაშ, ალ. სმიტის აზრით: 1. ესეი ქვეყნის განვითარების ადრეულ ეტაპზე არ შეიძლება წარმოიშვას. ეს განაპირობებს მის ერთ-ერთ სტილურ თავისებურებას, რომელიც მაღალკულტურული ქვეყნის მწერალსა და მკითხველს შორის ურთიერთგაგებას გულისხმობს — ესეიში ხშირია მინიშნებები; 2. ესეისტური ლიტერატურის წარმოშობას „სტრესი", „ვნებიანი იმპულსი" არ ესაჭიროება. ეს ეხმიანება მის მეორე თავისებურებას — ესეი საგნის თავისუფალ, მ ო ც ა ლ ე ო ბ ი თ განსჯას წარმოადგენს.

ალ. სმიტის მიერ დასახელებულ პირობებს, ნაწილობრივ, ჩვენც ვეთანხმებით, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით, ისინი მეტი სიზუსტის შეტანას საჭიროებენ. სწორი დასკვნების გასაკეთებლად ესეისტური ლიტერატურის წარმოშობის საკითხები კონკრეტულ მასალაზე განვიხილოთ. ამ მხრივ, ევროპული ესეის პირველსაწყისების პარალელურად, ფრიად საინტერესო იქნება იაპონური ესეისტური ლიტერატურის წარმომშობი ფაქტორების აღნიშვნაც, რაც შემდგომ, როცა საუბარი ქართული ესეის გამოჩენას შეეხება, რამდენიმე საგულისხმო საკითხის დაზუსტებაში დაგვეხმარება.

1. ვ. ნ. გორეგლიადის დასახ. წიგნიდან. გვ. 346.

2. მ. მონტენი. ცდები, წიგნი III, თავი IX, „ნაუკას" გამოცემა, 1979 წ. გვ. 200 (რუს. ენაზე).

1. ჰიუ უოლკერის წიგნიდან „ინგლისური ესეი და ინგლისელი ესეისტები", დელი, 1966, გვ. 3 (ინგლ. ენაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუკი ესეისტურ თხზულებათა ჯერ ერთი, შინაარსობრივ და თემატურ შედგენილობას გავითვალისწინებთ — ესეი ხომ ფილოსოფიურ, სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ, ყოფაცხოვრებით საკითხებზე განსჯას წარმოადგენს და მეორეც — გავითვალისწინებთ, აგრეთვე, მის გამოსახვის ფორმას — ეს განსჯანი ესეიში, ლირიკის წესების დარად, სუბიექტური, ავტორის ინდივიდუალურ-პიროვნული პოზიციებიდანაა პოწოდებული და ავტორის „მეს", თვითშეცნობის გამოხატულებად გვევლინებაან—ნათელი გახდება, რომ ესეისტური ჟანრის ნაწარმოები, კულტურის განვითარების ადრეულ ეტაპზე ვერ წარმოიშობოდა. იმისათვის, რომ ავტორმა ესეისტური სტილისათვის დამახასიათებელი სიმსუბუქით, ერთი თხზულების ფარგლებში თავისუფლად, ლაღად შესძლოს ფილოსოფიურ, სოციალურ-პოლიტიკურ და სხვა საკითხებზე მსჯელობა, მას წინ სინამდვილის შემეცნების, მეცნიერული კვლევის გარკვეული ჩვევაც უნდა უძღოდეს, და მაღალი ლიტერატურული ტრადიციებიც.

VIII საუკუნიდან მოყოლებული, ისტორიულ-პოლიტიკურ , სოციალურ-ეთნოგრაფიულ საკითხებზე მსჯელობის ჩვევა, იაპონური კულტურისათვის უცხო არ ყოფილა.[1] არც ლიტერატურული ტრადიციებით ყოფილა ღარიბი იმჟამინდელი იაპონია.

იმ დროისათვის, როცა სეი-სიონოგონის თხზულება, პირველი ესეისტური ნაწარმოები (993-1001) შეიქმნა, იაპონური ლიტერატურა ა დ ა მ ი ა ნ ი ს ს უ ლ ი ე რ ი სამყაროთია დაინტერესებული. ყოველი აზრი, ყოველი განცდა ადამიანისა — ფაქიზი, დახვეწილი დაკვირვების საგანს წარმოადგენდა მწერლისთვის. ეს პროცესი ისეთი ძლიერი გახლდათ იაპონიაში, რომ მან, მკვლევარ ნ. ი. კონრადის სიტყვებით, რენესანსამდელი შუასაუკუნეების მსოფლიო ლიტერატურაში უნიკალური მოვლენა — რომანის გაჩენა განაპირობა.[2]

ამავე პროცესის გამოვლინებაა დღიურებისა (ნიკის) და ძუიხიცუს ჟანრის წარმოშობაც, სადაც მთელი ყურადღება მწერლისა — ადამიანის სულიერ სამყაროს მოუცავს. ყველა ფაქტი, რა სფეროსაც არ უნდა განეკუთვნებოდეს იგი — აქ მწერლის სუბიექტურ, პიროვნულ-ინდივიდუალური პოზიციებიდან განიხილება.

გარდა კულტურული წანამძღვრებისა, ძუიხიცუს ჟანრის ნაწარმოებთა ხასიათი, გარკვეული სოციალურ-ისტორიული ატმოსფეროს პირობებითაც განისაზღვრება. „სასთუმლისპირა ჩანაწერების" შექმნა რთულსა და დაძაბულ ისტორიულ მომენტში მოხდა. თხზულების ავტორი, სეი-სიონაგონი, მაშინდელი იმპერატორი ქალის, სადაკოს კარზე დაახლოებული პირი ყოფილა. სადაკოს გარდაცვალების შემდეგ, ფაქტიური ძალაუფლება ახალი იმპერატორის აკიკოს მამამ, ფუძივარა მიტანაგამ ჩაიგდო ხელში. სეი-სიონაგანი, როგორც დიდი განათლებისა და გამჭრიახი გონების ქალი, ერთხანს და-უტოვებიათ ახალი მბრძანებლის კარზე. მაგრამ აკიკოს მომხრეებს შორის, რომლებიც მტრულად იყვნენ განწყობილები სადაკოს უახლოეს პირის მიმართ, სეი-სიონაგონს, არც ისე ტკბილად ეცხოვრებოდა.[1] ერთმანეთისადმი უარყოფითად განწყობილ ორ ბანაკს შორის მოქცეული სეი-სიონაგონი თავის გულწრფელი, გულითადი ნააზრევით თავისსავე თხზულებაში აფარებს თავს. ამიტომ არის სეი-სიონა-გონის თხზულება, მისი პირადული განცდების, ყველა მოვლენისა და ფაქტის შესახებ, ავტორის სუბიექტური შეხედულებების და განსჯების შემცველი, უფრო „მეგობარი", „თავშესაფერი" მწერლისთვის, ვიდრე სხვა რამ. ამით აიხსნება თავად ავტორის წინასწარმეტყველებაც — ფართო საზოგადოებას არ დააინტერესებს ნაწერიო. აი, რას წერს თავად სეი-სიონაგონი, ძუიხიცუს ჟანრის ფუძემდებელი, თავისი ნაწარმოების შესახებ:

„ამ რვეულში ყველაფერი ჩავწერე — რაც რამ დამინახავს, რაც რამ გამიფიქრია. ეს მაშინ, კარისაგან მოშორებით როცა ვიყავი, მოწყენილი, უსაქმო. ვიცოდი — ამ ჩანაწერებით არავინ დაინტერესდებოდა... და აი, ეს ურიცხვი რაოდენობას ფურცელი სხვადასხვა სახის ისტორიებით, ძველისძველი გადმოცემებით და ვინ იცის, კიდევ რით არ შევეცადე შემევსო. ალბათ ბევრა ფუჭსიტყვაობა გამომავიდა".[2]

სეი-სიონაგონის „სისთუმლისპირა ჩანაწერებმა", თავისი მოცალეობითი ხასიათის მიუხედავად არათუ „არავინ დააინტერესა", როგორც ამას მწერალი უწინასწარმეტყველებდა საკუთარ თხზულებას, იგი, როგორც ადამიანური ბუნებას ამსახველი ნაწარმოები, იაპონური ლიტერატურის „ოქროს ხანის" — ხეიანის ეპოქის ერთ-ერთ უბრწყინვალეს ნიმუშად იქცა. გარდა ამისა, მან დასაბამი მისცა ლიტერატურის ახალი ჟანრის — ძუიხიცუს შექმნას, რომელმაც მრავალი საუკუნის მანძილზე ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაწარმოებით გაამდიდრა იაპონური ლიტერატურა.

ძუიხიცუს ჟანრის წარმოქმნიდან ხუთი საუკუნის შემდეგ, საფრანგეთში, 1580 წელს, პირველი ესეი შეიქმნა. ამ მოვლენამ ესეისტური ჟანრის განვითარებას — მთელს ევროპულ სამ-

---

1 ნ. ი. კონრადი, VIII-XIII ს. ს. ლიტერატურა, წიგნში „იაპონური ლიტერატურა", 1974, გვ. 78. (რუს. ენაზე).

2. ნ. ი. კონრადის დასახ. ნაშრ., გვ. 93.

1 ვ. ნ. გორეგლიადის დასახ. ნაშრ., გვ. 100-101.

2 იქვე, გვ. 102.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაროში მისცა დასაბამი. თავად ავტორი კი თხზულებისა, მიშელ მონტენი, მკითხველისადმი მიმართვაში წერს:

„ეს წიგნი, პირველ ყოვლისა, გულწრფელი წიგნია, მკითხველო. იგი სულ თავიდანვე მიგაჩვედრებთ, რომ სხვა რამ მიზანი, გარდა პირადულისა და ოჯახურის, მე არ მქონია. ერთი წამითაც არ გამივლია გუნებაში — არც შენთვის რაიმე სარგებლის მოტანა, არც ჩემთვის — დიდებისა და პატივის მოპოვება. ასეთი განზრახვის ასრულებისათვის ძალაც არ მეყოფოდა. ამ წიგნის დანიშნულება ისაა — თავისებური სიამოვნება მიანიჭოს ჩემს ნათესავებს და ახლობლებს, მაშინ როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები — (ეს ალბათ მალე მოხდება). ჩემი ხასიათის, ჩემი აზრების ნაკვალევს მოიძიებენ ამ ფურცლებზე და გაიცოცხლებენ იმ წარმოდგენას, რაიც სიცოცხლეში შეიქმნეს ჩემს შესახებ. მაღალი საზოგადოებისათვის თავის მოწონება რომ მქონოდა მიზნად, მოვიკაზმებოდი, მოვირთვებოდი და ისე წარვდგებოდი მის წინაშე. მაგრამ მე ხომ ჩემი თავის დახატვა მინდა, ჩვეულებრივის, ყოველდღიურის, ბუნებრივის, გადაუპრანჭავის, ამიტომაც ყველა ნაკლით, მთელი ჩემი სისუსტეებით შევეცდები დაგენახოთ — ცოცხალი, ნამდვილი, ოღონდ რამდენადაც საზოგადოებისადმი. ჩემს მოწიწებას შეეფერება. რასაკვირველია... მაშ, ჩემო მკითხველო, შინაარსი ჩემი წიგნისა — მე თვით ვარ. ღირს კი ასეთი ქარაფშუტული და უსუსური საგნისთვის თავისუფალი დროის შეწირვა“...[1]

ამ წინასიტყვაობაში აშკარად გამოსჭვივის ავტორის მოცალეობითი დამოკიდებულება საგნისადმი. ეს ის „ჭეშმარიტი მოცალეობაა, ...რომელიც ჯერ კიდევ ციცერონიდან მომდინარეობს და... რომელიც უბრალო „მოცლილობად“, მანკიერ მოცლილობად“, „ზარმაც მოცლილობად“ კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, არამედ, „მოცალეობად აზროვნებისათვის“. მისთვის უცხოა ამაო ფაციფუცი. იგი ჭეშმარიტების ჭვრეტას გულისხმობს. ეს მოცალეობა უფრო განცალკავებაა, გაცალება, გათავისთავადება, ადამიანის თავის არსებისადმი მიკუთვნებაა. იმის ქმედებაა, რაც სურს ადამიანს, და არა იმის, რასაც გარემო პირობები ავალდებულებენ“.[2] ეს ის მოცალეობაა, რომელზედაც ქართველი მოღვაწე, დავით ბატონიშვილი წერდა თავის ძმას: „უალმატებულესი სურვილი და სწავლისადმი მოცალებაი... შემქმნის სულსა შენსა თვისებადაო“[1] და ბოლოს, ეს ის მოცალეობაა, რომელსაც რუსთაველი მიჯნურისათვის სავალდებულო თვისებად მიიჩნევს.

1 მ. მონტენი. დასახ. წიგნი. მკითხველისადმი.

2. ლ. მ. ბატკინი. შრომა მოცალეობისას, წიგნში „იტალიელი ჰუმანისტები. სტილი ცხოვრებისა და სტილი აზროვნებისა. 1978, გვ. 24-25. (რუსულ ენაზე).

მონტენის ჩანაფიქრის საპირისპიროდ, ნაწარმოები „ვიწრო წრის“ ინტერესებს ფართოდ გაცილდა. წიგნმა არა მარტო ეპოქის სულისკვეთება და სწრაფვანი ასახა, იგი მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თხზულებად იქცა და რაც მთავარია, მან ევროპაში ესეისტური აზროვნების წესს მისცა დასაბამი. საგულისხმოა, მონტენის წიგნის რუსულად გამომცემლის, მკვლევარ ფ. ა. კოგან-ბერნშტეინის სიტყვები: „ცდანი“, მართლაცდა, მარტო ავტორს რომ შეეხებოდეს, მაშინაც კი, ეს წიგნი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ადამიანური დოკუმენტი იქნებოდა — სრულად და მართლად დახატული, ისეთი თავისებური, განუმეორებელი ფიგურის მიერ, როგორიც მონტენია. მაგრამ „ცდანი“ შორს გასცდა ამ საინტერესო, და მაინც კერძო თემას. მონტენი მოუღალავად ყურს უგდებს, სწავლობს თავის თავს. ამ თვითანალიზის შედეგებს, სხვა ადამიანებზე დაკვირვებების შედეგებს უდარებს, აკვირდება მოვლენებს, წიგნებიდან სიბრძნით გამორჩეულთ და ამგვარად... მისი „ცდანი“ — ადამიანის შესახებ დაწერილ წიგნად იქცა... ადამიანისა საერთოდ, რამეთუ ყოველი ცალკეული ადამიანი, თვით მონტენისავე სიტყვებით, „მთელი ადამიანური ბუნების განსახიერებაა“.[2]

მიშელ მონტენის თხზულება უაღრესად საინტერესო, რთულსა და დაძაბულ კულტურულ-ისტორიულ ატმოსფეროს პირობებში შეიქმნა. მე-16 საუკუნე აღორძინების ხანადაა ფრანგული ხელოვნების ისტორიაში აღნიშნული — ანტიკური ხელოვნებისადმი განსაკუთრებული ყურადღების, ფრანგული ენისა და ნაციონალური ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით, არაერთი გარდატეხის და გარდაქმნის ხანად. ამ საუკუნის დასაწყისისა და შუა პერიოდის ჰუმანისტების — დოლეს, დეპერიეს, რონსარის და მათს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლის, ფრანსუა რაბლეს (1494-1553) ნაწარმოებებში ადამიანი ჰარმონიულ, სრულქმნილ, უზადო ბუნების არსებადაა დახატული. მათი რწმენით, ადამიანის ამგვარი ბუნებას გამოსამჟღავნებლად — მხოლოდ სწორი მოქმედება, სწორი აღზრდაა საჭირო. ასეთ პირობებში ადამიანს თავის თავისთვისაც და მთელი სამყაროს-

1. ციტირებულია ლ. ასათიანის წიგნიდან „ვოლტერიანობა საქართველოში“, ტფ., 1933, გვ. 74.

2. ფ. ა. კოგან-ბრენშტეინი, მიშელ მონტენი და მისი „ცდები“. წიგნში მ. მონტენი „ცდები“. წიგნი III, „ნაუკას“ გამოცემა. 1979, გვ. 333. (რუსულ ენაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვისაც ბედნიერების მოტანა შეუძლია.[1] რთულმა ისტორიულმა გარემოებამ, მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში, წინამორბედ ჰუმანისტებისაგან განსხვავებული პოზიციებიდან დაანახვა მიშელ მონტეს ადამიანური ბუნება — სკეპტიკურად განაწყო მისი სრულქმნილობის იდეის მიმართ და ამის ნაცვლად, უფრო რეალისტური, ღრმა, მრავალმხრივი შესწავლის საგნად გაიხადა იგი. ეს პერიოდი, ფრანგული რენესანსის უკანასკნელ საფეხურად აღინიშნა და მისთვის ტიპიურმა მსოფლხედვამ თავისი გამოვლინება მიშელ მონტენის „ცდებში" ჰპოვა. ამ მსოფლხედვის და თხზულების ხასიათის ფორმირებაში უდიდესი როლი, როგორც ვთქვით, ისტორიულმა ვითარებამ ითამაშა: ჰენრიხ II-ს (1559-1589) ვაჟებმა, მამის სიკვდილის შემდეგ ვერ შეძლეს ქვეყნის მართვა. ეკატერინე მედიჩი (1519-1589), მათი დედა, გარკვეული ხნის განმავლობაში შეეცადა დაეცვა აბსოლუტიზმის პოზიციები ფეოდალთა შემოტევისაგან. მაგრამ მდგომარეობა ამით არ შემსუბუქებულა. იტალიის ომებისგან ისედაც დასუსტებული ქვეყანა კათოლიკებისა და ჰუგენოტების ბანაკებად დაჯგუფებული ფეოდალების შეჯახებებისაგან, კიდევ უფრო სუსტდებოდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ კათოლიკებმა დახმარებისთვის ესპანეთს მიმართეს, ჰუგენოტებმა კი — ინგლისს. ეს ეტაპი 1572 წლის 24 აგვისტოს ბართლომეს ღამის სახელწოდებით ცნობილი ჰუგენოტების მასობრივი ამოჟლეტას საყოველთაო ფაქტით დასრულდა.

მონტენი ამ დროს ჯერ — პარლამენტის მრჩევლის პოსტზეა, ხოლო შემდეგ ბორდოს ქალაქის თავად ირჩევენ. იგი ძალიან კარგად ახასიათებს თავის თავს ამ სიტუაციაში: „მრავალი უსიამოვნება დამატყდა თავს. საზოგადოებრივი არეულობის დროს, ზომიერ, თავშეკავებულ ადამიანებს ემართებათ ხოლმე ასე. ყოველი მხრიდან შემომიტიეს — გიბელინი გველფად მთვლიდა, გველფი კი — გიბელინად".[2]

მართლაც, მონტენის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის მდგომარეობას ის აძნელებდა, რომ იგი ჰუგენოტების წინამძღოლ — ჰენრი ბურბონთანაც კარგ დამოკიდებულებაში იყო და კათოლიკების წინამძღვარს — ჰენრი ნავარიელსაც დიდად აფასებდა. და ეს მოვლენა მისი, როგორც პოლიტიკოსის უპრინციპობისა და საკუთარი მრწამსის უქონლობის გამოვლინება კი არ იყო, არამედ იმ დიდი ფილოსოფოსის პოზიცია გახლდათ, რომლისთვისაც უცხოა ვნებათაღელვისადმი ფანატიკური აყოლა; მისი აზროვნება ჯანსაღია, გონება მკაცრი და გამჭრიახი. მას თავის მოძმეშიც და თავის მტერშიც თანაბრად შეუძლია უარყოფითისა და დადებითის შემჩნევა და ეს—მარადი ღირებულებების, ფილოსოფიაური ჭეშმარიტებების ძიების ბუნებრივი გამოვლინებაა. ისტორიული, პოლიტიკური არეულობის შუაგულში მდგომი მონტენი ფიქრობს, განსჯის, არ ემხრობა აქტიურად არც ერთ პოლიტიკურ დაჯგუფებას, აკვირდება მოვლენებს, ადამიანებს, თავის თავს, ცდილობს გამოკვეთოს ადამიანი, პიროვნება, ამ არეულ-დარეულობაში, რადგან მისი რწმენით, გონიერ კაცს არაფერი დაუკარგავს, თუკი თავისი თავის შენარჩუნება შეიძლო. ქვეყნად უდიდესი რამ ისაა, შენს თავს ეკუთვნოდე, „განმარტოება უფრო მეტად გულდიას მხდის. მარტო როცა ვარ, საზოგადო საქმეს, მსოფლიო მოვლენებს უფრო ადვილად ვუკირკიტებ".[1] წერს იგი.

მაშ, მე-16 საუკუნის ჰუმანისტური იდეალებისადმი ერთგულებამ, რომელიც ღრმად იყო გამჯდარი მონტენის არსებაში და ისტორიული მოვლენების გამო, ამავე იდეალებისადმი მონტენისავე არსებაში გაჩენილმა სკეპტიციზმმა — ამ ორი ურთიერთგამაწონასწორებელი მომენტის ერთობლიობამ, შემოქმედის მიერ ადამიანის ბუნების რეალისტური, ღრმა, მრავალმხრივი ხედვა განაპირობა. მონტენის „ცდათა" წანამძღვარად რენესანსული ინდივიდუალიზმი და პოსტრენესანსული რელატივიზმი და სკეპტიციზმი გვევლინება.

მონტენის მიხედვით, ადამიანის ბუნება რთულია, ძნელი ამოსაცნობი, მისი აზრით, ადამიანის ბუნებაში თანაბრად შეიძლება თავსდებოდეს რაინდობა და სიმხდალე, სიამაყე და სისადავე, გონი და უგუნურება და ამ თვისებების ჩამოყალიბებაცა და გამომჟღავნებაც არა მარტო სწორი და არასწორი საქციელების, სწორი და არასწორი აღზრდის პირობებში, არამედ უამრავი მოუხელთებელი და ძნელად განსასაზღვრელ ფაქტორებას გამოც ხდება.

ასეთმა მსოფლმხედველობამ, დამახასიათებელმა გვიანი რენესანსისთვის, განაპირობა მონტენის ნაწარმოების განსჯითი, მაძიებელი, არადოგმატური და დიდაქტიზმისგან განთავისუფლებული ბუნება. აი, როგორ ახასიათებს ა. ფ. ლოსევი მონტენის ესთეტიკას: „ჩვენ არ ვაპირებთ მონტენს თავს მოვახვიოთ რომელიმე აბსოლუტური კატეგორიის აღიარება. მისი ესთეტიკაა — დ ა ხ ვ ე წ ი ლ ი თ ვ ი თ შ ე გ რ-

1. ფილოსოფიური აზრი მ. მონტენის შემოქმედებაში წიგნი „საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია. ადრეული შუასაუკუნეები და აღორძინება", მოსკოვი, 1959, გვ. 387-390. (რუსულ ენაზე).

2. მონტენი. ცდები, III-XII. — 246 (რუსულ ენაზე).

1. მ. მონტენი. III-XII — 246 (რუსულ ენაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნება, რომელსაც სინამდვილის რელატივისტური შეფასება ახასიათებს".[1]

მონტენის „ცდებმა" მრავალ ქვეყანაში მისცა დასაბამი ესეისტური ლიტერატურის განვითარებას. საუკუნეთა მანძილზე, ესეიმ გარკვეული ცვლილებებიც განიცადა. კერძოდ, თუკი მონტენის წიგნში სხვადასხვა თემებზე — სოციალურ, ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, ხელოვნების და განსაკუთრებით ფილოსოფიის საკითხებზე განსჯა ერთი თხზულების ფარგლებში ხდებოდა, დროის განმავლობაში, ნაწარმოებში მოცემული თემების მიხედვით ცალკე, დამოუკიდებელ ტიპებად დაიყო ფილოსოფიური, ლიტერატურული, მუსიკალური, თეატრალური, სოციალური, ფსიქოლოგიური, ისტორიული ესეები. თითოეულ ამ ესეიში თემის განსჯა — იქნებოდა ეს პოლიტიკური, სოციალური თუ ლიტერატურული ხასიათისა, ისევე როგორც მონტენის „ცდებში", ლირიკის წესების დარად — ავტორისეული ინდივიდუალური პოზიციებიდან ხდებოდა.

იაპონური და ფრანგული ესეისტური ლიტერატურების წარმოშობის მიზეზებზე დაკვირვება, ალ. სმიტის თვალსაზრისში გარკვეული სინათლის შეტანის საფუძველს იძლევა. ჩვენს მიერ მოხმობილმა მასალებმა ცხადყვეს, რომ ესეისტური ლიტერატურის, როგორც ლიტერატურის ერთ-ერთი სახეობის წარმოშობა ქვეყნად მშვიდობიან და უდრტვინველ პირობებში როდი ხდება, როგორც ამას ინგლისელი მწერალი და ესეისტი აღნიშნავს, არამედ, პირიქთ, მას სოციალური, ისტორიულ-პოლიტიკური ძვრები აძლევს ბიძგს. მართალია, ესეიში თავისუფალი განსჯა ხდება საკითხისა, ესეი მოცალეობითია (მოვიგონოთ თუნდაც ავტორთა სიტყვები: სეი-სიონაგონი — „ამ რვეულში ყველაფერი ჩავწერე... კარისგან მოშორებით როცა ვიყავი, მოწყენილი, უსაქმო"; მონტენი — „ერთი წამითაც არ მქონია გუნებაში არც შენთვის, მკითხველო, — რაიმე სარგებლის მოტანა, არც ჩემთვის...), იგი მხოლოდ „გულწრფელი წიგნია". სხვათა და სხვათა საკითხთა გამო შექმნილი, ავტორთა შინაგანი „მეს" ლაღი, შეუბორკავი, „შეუბასმიცემული" გამოვლინებაა, მაგრამ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის არაერთი მაგალითი სწორედ იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ამგვარი ინტროსპექტული მიახლება საგნისადმი, „ინდივიდუალურ-პიროვნული საწყისების მომძლავრება, სწორედ გარდატეხის, გარდაქმნების, გარდამავალი, კრიზისული ეპოქისათვისაა ნიშანდობლივი. ახალ დროს, ახალწამოჭრილ საკითხებზე პასუხს ინდივიდი საკუთარ არსებაში ეძიებს, რამეთუ ტრადიციული იდეოლოგია უძლურია მათ წინაშე".[1]

მონტენის თხზულების შექმნიდან (1580) მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ, XX-ის პირველ ნახევარში შეიქმნა ჩვენში ესეისტური ხასიათის ლიტერატურა. თუკი საფრანგეთიდან ინგლისსა და გერმანიაში, დაახლოებით ერთი კულტურული დონისა და საერთო ისტორიული ბედიღბალის მქონე ქვეყნებში, ესეის ჟანრის გავრცელებას, გადასვლას, ალ. სმიტის სიტყვით, „განსაკუთრებული ვნებიანი იმპულსისა და სტრესის" ვითარება არ დასჭირვებია და იგი ერთმანეთს შორის მჭიდრო ურთიერთობის ფონზე ბუნებრივად, ძალდაუტანებლად და მოკლე ვადაში მოხდა, ჩვენს ქვეყანაში — თავისი შედარებით დამოუკიდებელი კულტურული, ისტორიული, სოციალ-ფსიქიკური განვითარების პირობების გამო, ეს ასე უმტკივნეულოდ და უცბად არ განხორციელებულა. ესეისტური ხასიათის ლიტერატურის გაჩენა ჩვენში, ისევე როგორც თავად საფრანგეთსა და იაპონიაში მისი წარმოშობა — მრავალი თვალსაზრისით რთულსა და საინტერესო, დიდი გარდაქმნების და გარდატეხების პერიოდში მოხდა. ხოლო მის მომწიფებას, ამგვარი აზროვნების წესის გამოჩენას, სხვადასხვა ხასიათის — ლიტერატურულ-კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური წანამძღვარები განაპირობებდა.

მოხმობილ მასალებზე დაკვირვებამ დაგვანახვა, რომ ესეისტური ლიტერატურა ქვეყნის კულტურული განვითარების გარკვეულ ეტაპზე იჩენს თავს, კერძოდ იქ, სადაც მეცნიერული კვლევის ტრადიციაც არსებობს და მეორეს მხრივ, მხატვრულ-ლიტერატურულიც. მხოლოდ ამ ტრადიციათა პარალელურად შეიძლება ესეისტური თხზულებები გაჩნდეს — ესეი უთუოდ გულისხმობს ქვეყნად მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარების განსაზღვრულ დონეს. გარდა ამისა, ესეის წარმოშობა ლიტერატურის კონკრეტული ხასიათის, კერძოდ რენესანსის ბოლო საფეხურისთვის დამახასიათებელი პროცესების პირმშოა. ეს გახლავთ რენესანსისდროინდელ იდეალების — ადამიანის ტიტანიზმისადმი, სრულქმნილობის, ჰარმონიულობისადმი რწმენის მსხვრევის ხანა, თვითშემეცნებისა და თვითშეგრძნების ხანა, „არტისტული, ლამაზი ინდივიდუალიზმის"[2] — რეალისტური, მაძიებელი ინდივიდუალიზმით შეცვლის ხანა.

ესეისტური ნაკადი ქართულ ლიტერატურულ

---

1. ა. ფ. ლოსევი. აღორძინების ესთეტიკის დაშლა XV-XVI ს.ს. საფრანგეთში. წიგნში: „აღორძინების ხანის ესთეტიკა", მოსკოვი, 1978, „მისლის" გამოცემა, გვ. 597. (რუსულ ენაზე).

1 ი. ს. კონი. „მე", როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენი. წიგნიდან „მეს" აღმოჩენა", მოსკოვი, 1978, გვ. 141 (რუსულ ენაზე).

2 ა. ფ. ლოსევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 598. (რუსულ ენაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკაში XX საუკუნის 10-იან წლებში იჩენს თავს და ეს მოვლენა ლიტერატურულ-კულტურული, სოციალ-პოლიტიკური, ისტორიული ფაქტორების ერთობლიობამ განაპირობა. მაგრამ ესეის ლიტ-კულტურული წანამძღვარები, ესეისტური აზროვნებისადმი მიდრეკილება ჯერ კიდევ ძველ ქართულ ლიტერატურაში შეიმჩნევა. ეს შეიძლება დავინახოთ თუნდაც ქართველ მოღვაწეთა პლატონიზმისადმი დიდ ინტერესში: მკაცრ ლოგიკურ სისტემატიზაციაზე დამყარებულ არისტოტელესეულ მოძღვრებაზე მეტად, ქართველ შემოქმედთათვის პლატონისეული თავისუფალი სპეკულაცია იყო ახლობელი და ბუნებრივი. ესთეტიკური ბუნებისაა არა მხოლოდ სტილი პლატონის თხზულებისა, არამედ თვით აზროვნების წესიც. ერთგვარად ამანაც განაპირობა ძველ საქართველოში პლატონიზმისა და ნეოპლატონიზმის განვითარება.[1]

ინგლისელი მეცნიერების რობერტ შოულსისა და კარლ კლაუსის წიგნში „ესეის ელემენტები", ვკითხულობთ: „ხელოვნების ნიმუშს საუკუნეების მანძილზე მშვენიერება ინარჩუნებს. მშვენიერება კი ნაწერისა, ორი სახისაა: 1. ფორმალური სრულყოფა და 2. ის, რასაც პლატონი ჭეშმარიტების ბრწყინვალებას უწოდებს". ესეის ერთ-ერთ ელემენტად ინგლისელი მკვლევარები პლატონიდან წამოსულ სწორედ ამ თვისებას მიიჩნევენ — თავად გზა, წესი ჭეშმარიტების ძიებისა არის ესთეტიკური ბუნების ესეიში და არა მხოლოდ მისი გარეგნული, ფორმალური მხარე.[2]

ესეისტური ელემენტები თავს იჩენს თამარის ეპოქის ავტორის, ნიკოლოზ გულაბერიძის თხზულებაში „საკითხავი სუეტის ცხოველისა, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა", სადაც ავტორი თავისუფლად, ძლიერი და წელში გამართული ერისშვილისთვის დამახასიათებელი სილაღით განსჯის და ახასიათებს ქართველთა როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარეებს. მას არ ეშინია საკუთარი ნაკლოვანებებისთვის თვალის გასწორება.

თუ რამდენად ზუსტია თამარის ეპოქის განათლებული, „უცილობლად ნიჭიერი" ავტორისმიერი დახასიათება ქართველთა ბუნებისა, ეს ცალკე კვლევის საგანია, ჩვენთვის კი, განსაკუთრებულ ინტერესს ის მომენტი იწვევს, რომ ნიკოლოზ გულაბერიძისთვის არ არსებობს ერთი და ხელშეუხებელი ჭეშმარიტება (რა თქმა უნდა, მიწიერ საკითხებში). იგი ჭეშმარიტების საძიებლად განსჯის და შედეგად მიდის იმ იდეამდე, რომ „განყოფილებანი არიან მადლთანი ყოველთავე შორის".[1]

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ ნ. გულაბერიძის თხზულება ესეისტურად მივიჩნიოთ, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ნაწარმოებში ავტორის განსჯანი და ძიებანი — ადამიანის, ინდივიდის, ან მთლიანად, ეროვნული ერთეულის შესახებ იმდენადაა მოცემული, რამდენადაც იგი ღმერთის შეცნობის ცდამ და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე დაფიქრებამ დაჰბადა. მაგრამ ის ფაქტიც, რომ ესეისტური აზროვნებისათვის დამახასიათებელი ზოგი ელემენტი ძველი ქართული ლიტერატურისთვის უცხო არ არის (ნიშანდობლივია, რომ ამ ელემენტებმა თავი სწორედ თამარის ეპოქაში — ჰუმანისტური იდეალების, აღორძინების ხანაში იჩინეს თავი), ჩვენთვის ფრიად საგულისხმოა.

ქართული ესეისტური ლიტერატურის წანამძღვარებს ვხედავთ, აგრეთვე, ორატორული ხელოვნების ზოგიერთ ნიმუშში. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომლის თანახმადაც ესეის საფუძვლად ორატორული ტრადიციაა მიჩნეული. „...ესეისტის არგუმენტები და ხერხები ხშირად იგივეა, რაც ორატორისა. ესეისტი, ისევე როგორც ორატორი — პიროვნება, უნდა შეიგრძნობდეს როდის შეიძლება მიმართოს ლოგიკას, როდის უნდა მოიხმოს ავტორიტეტები და როდის მოიყვანოს მოქმედებაში აუდიტორიის ემოციები"...[2] თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ (და იგი უთუოდ გასაზიარებლად გვეჩვენება), ქართული ლიტერატურული კრიტიკის ესეისტური ნაკადის წანამძღვარებზე საუბრისას არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ სულხან-საბას, ანტონ ცაგარელ-ჭყონდიდელის, გაბრიელ ქიქოძის ქადაგებანი, სადაც ავტორები ესეისტური აზროვნებისთვის დამახასიათებელი სისადავით, ნათლად, ღრმად, ემოციურად და, ამავე დროს, ინტელექტუალური დატვირთულობით განსჯიან ამა თუ იმ კონკრეტული თუ ზოგადი ხასიათის საკითხს.

ქართულ ესეის წანამძღვრებზე საუბრისას შეუძლებელია, აგრეთვე, იოანე ბატონიშვილის „კალმასობა" არ მოვიხსენიოთ. ეს ნაწარმოები, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, თავისებურ ესეისტურ ენციკლოპედიას წარმოადგენს, ავტორისეულ-პიროვნული მსჯელობებითა და შეხედულებებით გაზავებულ დიდძალი ინფორმაციის კრებულს.

ესეისტური ელემენტების მომცველია, აგრეთვე, სოლომონ დოდაშვილის „მოკლე განხილ-

1 რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბ., 1978, გვ. 72-73.

2 რობერტ შოულსი, კარლ 3. კლაუსი, „ესეის ელემენტები", ლონდონი, 1969, გვ. 5-6 (ინგ. ენაზე).

1 ნ. გულაბერიძე, „საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა", „საქართველოს სამოთხე". პეტერ. ჩყპბ, 70 გვ.

2 რ. შაულსი, კ. კლაუსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

ვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა", სადაც ქართული მწერლობის საკითხებზე მსჯელობა ხშირ შემთხვევაში ესეისტური წესითაა წარმართული.

აქვე გვინდა მოვიგონოთ ვაჟას ეთნოგრაფიული წერილები, ილიას რამდენიმე ორატორული ნიმუში, აკაკის წერილები...

ესეის წარმოშობისათვის ხელსაყრელი კულტურული ვითარება საქართველოში მე-18 საუკუნის დამდეგიდან იწყება. ამ დროიდან „ქართველებში თავი იჩინა ძლიერმა კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობამ... გაიშალა და გაფართოვდა ასპარეზი ქართველთა საერთაშორისო დამოკიდებულებისა".[1] მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, მართალია, ჯერ მხოლოდ ცალკეულმა პიროვნებებმა „დალიეს თერგის წყალი და საქართველოში მოიტანეს ეპოქის მაღელვებელი იდეები... ქართველ ახალგაზრდობას ეს ახალი აზრები და შეხედულებები ჩამოჰქონდა სამშობლოში და ეწეოდა მის მხურვალე პროპაგანდას, როგორც ლიტერატურული შემოქმედებით, ისე ყოველდღიური პრაქტიკით"...[2] იწყება თვითშეცნობის ცდები, ამ დროს იწერება ფილოსოფიური და პოლიტიკური ტრაქტატები ალექსანდრე ამილახვარისა, დავით ბატონიშვილისა, დავით ციციშვილისა და სხვათა... მათ მიერვე ითარგმნება ფრანგ და სხვა ევროპელ მოაზროვნეთა ფილოსოფიური,, პოლიტიკური და ლიტერატურული ხასიათის თხზულებები; შემთხვევითი არ არის ამ პერიოდში დავით ბატონიშვილას მიერ ფრანგი მოღვაწის, ლიტერატორისა- და ფილოსოფოსის ანსელიონის ნაწარმოების „ესტეტიკებრნი განსჯანის" თარგმნა. მართალია, იმჟამინდელი კულტურულ-ლიტერატურული დონე საქართველოსი, ჯერ კიდევ არ იყო საიმისოდ მომწიფებული, რომ მას ო რ ი გ ი ნ ა ლ უ რ ი  ე ს ე ი ს ტ უ რ ი  ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს წარმოქმნა განეპირობებინა (თუმცა კი ისტორიულ-პოლიტიკური ვითარება იმჟამინდელი — საშვილიშვილო, უდიდესი პრობლემის წინაშე მდგარი საქართველოსი, საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენდა ესეისტური ჟანრის წარმოშობისათვის), მაგრამ ეს ფაქტები, დავით ბატონიშვილის მიერ ესეისტურ თხზულებით დაინტერესებისა, ს. დოდაშვილისა თუ ი. ბატონიშვილის თხზულებებში ესეისტურ ელემენტების არსებობისა — ქართველ მოღვაწეთა ესეისტური აზროვნებისადმი ლტოლვის ერთგვარი გამოვლინების დადასტურებაა.

საქართველოში ესეისტური აზროვნების წარმომობა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ლიტერატურულ-კულტურული დონის იმ სიმაღლემ, რომელზედაც აიყვანა ქვეყანა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას აკაკის, ვაჟას და სხვათა შემოქმედებამ. XX საუკუნის პირველ ნახევარში, ლიტერატურულ-კულტურული, სოციალ-პოლიტიკური, ისტორიული ვითარების ფონზე, უკვე მძლავრი ნაკადის სახით წარმოიშვა ესეისტური ლიტერატურა.

იშვიათად ყოფილა მოკლე ხანში იმგვარი ისტორიული კატაკლიზმები, რაც ჩვენმა ქვეყანამ XX საუკუნის პირველ წლებში განიცადა: 1905 წლის რევოლუცია, მისი დამარცხება, შემდგომი წლების შავი რეაქცია, რომელიც გააფთრებით შეებრძოლა რევოლუციის ნაშთებს, პირველი მსოფლიო ომი და მით პოლიტიკური კრიზისის კიდევ უფრო გამწვავება, 1917 წლის თებერვალი, რამდენიმე თვის შემდეგ დიდი ოქტომბრის რევოლუცია, 1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება — ამგვარი ისტორიული ქარტეხილებისადმი შეუძლებელია გულგრილი დარჩენილიყო ხელოვნება. გარდა იმ წმინდა ლიტერატურული ხასიათის პრობლემებისა, რომელიც ბუნებრივად წარმოიშვა XIX საუკუნის მდიდარი მემკვიდრეობის პირისპირ მდგარი ლიტერატურის მესვეურების წინაშე XX საუკუნის დასაწყისში, სწორედ მათ ხვდათ წილად რთული სოციალ-პოლიტიკური მოვლენების მეგზურობაც, ისინი აღმოჩნდნენ ისტორიული გზაგასაყარის, ახალი ცხოვრების, ახალი იდეალების, ახალი ადამიანის შექმნისთვის მებრძოლთა რიგებში.

ყოველ გარდამავალ პერიოდს, ისტორიული კატაკლიზმების ეპოქას — ლიტერატურა ემოციათა და აზრთა ჭიდილით, ინტენსიური ძიების პროცესით ეხმაურება, ასე გამოეხმაურა ამჯერადაც. ახლის განცდამ, რუტინული ცხოვრების რღვევამ — იდეალებისადმი მრავალი განსხვავებული თვალთახედვით, განსხვავებული პოზიციით მიდგომა განაპირობა. ერთიანი მიზნისკენ სხვადასხვა გზები გაიკვალა. წარსულის ღირებულებათა ჯეროვანი შეფასება, აწმყოს ობიექტური ასახვა, მომავლისკენ სავალის სწორად არჩევა, ბუნებრივია, ყველას ერთნაირად არ ესახებოდა. გაჩნდა რამდენიმე, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხველი თვალსაზრისიც. ეს თვალსაზრისები, განსხვავებული პოზიციები, შესაბამისად აისახა იმ ლიტერატურულ დაჯგუფებებსა და სკოლებში, რომელნიც 20-იანი წლების საქართველოში შეიქმნა. თითოეული მათგანი თავის იდეალს თავაზობდა ახალ სამყაროს და არათუ თავაზობდა, ცხარედ, სასტიკად იბრძოდა კიდეც მის განსახორციელებლად. იმ დროის ლიტერატურულ პროცესში, განსაკუთრებით მკვეთრად რამდენიმე ხაზი გამოიკვეთა: „თუკი ე. წ. „პროლეტკულტი" და „რაპი" ხელოვნების საკითხებს ვულგარულ-სოციოლოგიურ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით განიხილავდა და ლი-

[1] კ. კეკელიძე, პერიოდები ძველი ქართ. ლიტერატურის ისტორიისა. დასახ. წიგნიდან, გვ. 69.

[2] ლ. ასათიანი, ვოლტერიანობა საქართველოში, ტფ., 1933, გვ. 28-29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერატურის მთავარ საგნად — ადამიანს, მის შინაგან სამყაროს, მის განცდასა და ფიქრს კი არ აღიარებდა, არამედ ხელოვნებასა და კერძოდ, ლიტერატურას „მასების რუპორად აცხადებდა, ინდივიდუალურ ინტონაციას ხშირად იხშობდა კიდეც და შეგნებულად ცდილობდა მრავალთაგან ერთ-ერთი გამხდარიყო“.[1] ფუტურისტები წარსულის კერპების დამხობას და ახალი, რევოლუციური ხელოვნების შექმნას მოითხოვდნენ. ისინი ქვეყნის განვითარებას ტექნიკური პროგრესის გზით ხახავდნენ, ხოლო ადამიანს — გიგანტური მექანიზმის უმნიშვნელოვანეს ხრახნად“ აღიქვამდნენ. „ლიტერატურამ ადამიანი კი არ უნდა დაგვიხატოს, არამედ — საქმე, ადამიანი ჩვენთვის იმით ფასობს — თუ რა არგო საერთო საქმეს, და არა იმით — თუ რას განიცდის იგი“,[2] წერდა ფუტურიზმის აპოლოგეტი ბრიკი.

ამგვარად აზრთა ჭიდილის, იდეალების ძიების ხანას ისიც ერთვოდა, რომ „ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ, ხოლო 1915 წელს აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებამ მოამთავრა ერთი ბრწყინვალე პერიოდი ქართული პოეზიისა... ძველი გზით სიარული აღარ ხერხდებოდა, ახლის გამკვალავი კი ჯერ არავინ ჩანდა. ილიასა და აკაკის გავლენისაგან თავის დაღწევა ადვილი არ იყო. რეაქციის წლებში ქართულ პოეზიაში მომრავლდნენ ეპიგონები, უნიათო მიმბაძველები“...[3]

საჭირო იყო პრინციპულად ახალი სიტყვის, ახალი ინტონაციის, ცინცხალი აზრისა და ფორმის შემოტანა, არა მარტო ლირიკის სფეროში, არამედ მთელს ლიტერატურაში, ლიტერატურის ყველა სფეროში. თანაც ისე, რომ ეპოქის ადამიანის სულიერი სამყარო გადმოცემულიყო, მისი მრწამსი, მისი ფიქრი და განცდა, მისი შინაგანი დრამაც და ფსიქოლოგიური გაწონასწორებულობაც, რათა ქართველ მწერლებს, ერთის მხრივ, წარსულის ავტორიტეტთა დიდი გავლენისაგან, „ეპიგონობისაგან“ დაეღწია თავი და მეორეს მხრივ, ლიტერატურაში არ დაკარგულიყო ცოცხალი, მფეთქავი, ჭეშმარიტი, მაძიებელი, ზოგჯერ მებრძოლი და ზოგჯერ დაეჭვებული, გამარჯვებული და დამარცხებული — ადამიანი.

XIX საუკუნის დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა, ეპოქის გარდაქმნები — თავისუფალ, შეუზღუდავ, უკომპრომისო, ზოგჯერ შეიძლება უსწორო, მაგრამ მაძიებელ განსჯას მოითხოვდა. ალ. სმიტის სიტყვებით რომ ვთქვათ „ქვეყნად ბევრი წიგნი დაგროვდა“, შეიქმნა პუბლიცისტიკა, ვითარდებოდა მეცნიერება, ხოლო ყოველივე ეს — სოციალურ-პოლიტიკური, ისტორიული და კულტურულ-ლიტერატურული მოვლენები არა მარტო მეცნიერებას უნდა შეემეცნებინა, ან მეორეს მხრივ, არა მარტო — მხატვრულ ლიტერატურას უნდა წარმოესახა, არამედ, როგორც ჩანს, კიდევ რაღაცა მესამეს — მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ს ა და მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა ს შ ო რ ი ს მ ყ ო ფ ს, არა მეცნიერულისა და ლიტერატურულის საგანგებო შერწყმას, არამედ ერთ მთლიანს, ბუნებრივს, გაუნაწევრებელს, თავისუფალს, აზროვნების ამ ორივე ფორმათა მომცველს უნდა გაეთავისებინა, ემოციის, განცდის დონეზე გაეაზრებინა, განესაჯა, კიდევ ეგრძნო და, იმავდროულად, ექვლია კიდეც. ეს მოუხელთებელი, რთულად დასახასიათებელი სახეობა აზროვნებისა, გარდამავალი ხანისთვისაა ნიშანდობლივი, მისი საშუალებით, ავტორები, თავიანთი აშკარად გამოკვეთილი მრწამსის განმტკიცებას კი არ ახდენენ, არამედ ისინი ჭეშმარიტებას ე ძ ი ე ბ ე ნ და ამისთვის განსჯიან. ჯერ კიდევ 1910 წელს, რეაქციის წლებში, ქართველ ლიტერატორთა წინაშე უკვე მწვავედ დგას თავისუფალი აზროვნების, თავისუფალი წერის პრობლემა. „დაგროვილი მასალა“ უკვე ელის თავის „განმსჯელს“. აი, რას ვკითხულობთ კ. აბაშიძის ერთ-ერთ წერილში:

„სადაც პოლიტიკური ფორმები იმ ბარბაროსულ ხანას ვერ გადასცილებიან, როცა ერთი თავ-აშვებული ვიგინდარა და მისი ამალა, რამოდენიმე ათიოდე კაცისაგან შემდგარი, ფეხქვეშ სთელავს მთელს საზოგადოების ყოველგვარ უფლებას... დამერწმუნეთ, იმ გვარ წესწყობილებაში, სადაც ურეგლამენტოდ სული ვერ დაგიბერავს, სადაც მოქალაქეთა ძილი და მოსვენება ყოველ წუთში განსაცდელშია, ასეთს მხარეში დაწყნარებული მსჯელობა და მშვიდად განხილვა ამა თუ იმ საგნისა, ყოვლად მოუხერხებელია. აქ ყოველი ფიქრი, ზრახვა, წადილი და მისწრაფება ადამიანისა ერთის რისამისაკენ მიილტვის: შექმნას ისეთი სოციალური და პოლიტიკური პირობები, რომ თავისუფლად შეეძლოს ჰაერის სუნთქვა; დაამსხვრიოს საუკუნეებისაგან გაჭედილი რკინის ბორკილები და ხელები განითავისუფლოს ლუკმა-პურის პირში ჩასადებად“.[1]

აზროვნების ესეისტური წესის წარმოშობის აუცილებლობა საქართველოში XX საუკუნის 10-იან წლებში კულტურულ-ლიტერატურული

---

1 ტ. ბალაშოვა, ნ. პავლოვა. „სოციალიზმის პოეზია“. მოსკოვი, „ნაუკას“ გამოცემა, 1969, გვ. 7-8. (რუსულ ენაზე).

2 ბ. ბრიკი. ფადეევის „განადგურება“, წიგნიდან „ლიტერატურა ფაქტისა“. მოსკოვი, 1929, გვ. 93. (რუსულ ენაზე).

3 ლ. ავალიანი, პაოლო იაშვილი, „საბჭ. საქართველო“, თბ., 1977, გვ. 36.

---

1 კ. აბაშიძე, ცხოვრება და ხელოვნება. არსი თუ ფორმა, შინაარსი თუ სხეული. „სახალხო გაზეთი“. 1910, 25. VII, № 66, გვ. 2.

თვალსაზრისით, უკვე მომწიფებულია, და მას სოციალ-პოლიტიკური, ისტორიული ვითარებაც ხელს უწყობს. პირველი ესეისტური ნაწარმოებების გამოჩენა ჩვენში ძირითადად დაკავშირებულია ერთი მხრივ გერონტი ქიქოძის, კონსტ. გამსახურდიას სახელებთან და მეორე მხრივ სიმბოლისტური სკოლის შექმნასთან. ქართველმა სიმბოლისტებმა — ცისფერყანწელებმა, ესეისტური ხასიათის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში, თვითგამოსახვისა და თვითანალიზის გზით, თავიანთი დროის ადამიანის სულიერი სამყაროს მრავალწახნაგოვანი ბუნების დახატვა სცადეს. წარსულის მემკვიდრეობას, აწმყოს პრობლემებსა და მომავლის იდეალებს — შემოქმედებითი „მეს“ პოზიციებიდან მიუდგნენ და ეპოქის დახასიათების თვალსაზრისით, თუ შეუმცდარი არა, მრავალმხრივ საინტერესო წიგნი დაგვიტოვეს. ჩვენი შემდგომი კვლევის საგანი, სწორედ ამ „წიგნის“ მიერ ბალავარჩაყრილი და შემდგომ წლებში განვითარებული ჟანრია ლიტერატურისა.

ის ფაქტი, რომ ესეისტური აზროვნება მხოლოდ ცისფერყანწელთა შემოქმედებით კი არ ამოიწურა, არამედ წლების განმავლობაში განვითარდა, დაიხვეწა, ჩამოყალიბდა, მრავალი საინტერესო ნიმუშით გაამდიდრა ქართული ლიტერატურა და დღესაც, ამ ტიპის ლიტერატურულ-კრიტიკული შემოქმედება მძლავრ ნაკადად წარმოჩნდება მის (ქართული ლიტერატურის) ფონზე, ესეისტური ლიტერატურის წარმოშობის კანონზომიერებასა და ბუნებრიობას ჩვენში კიდევ ერთხელ ადასტურებს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ესეისტური ლიტერატურის მომწიფებისა და წარმოქმნას პირობები და კერძოდ, ქართული ესეის წარმოქმნის პირობები მოკლედ ასე შეიძლება დახასიათდეს:

1. ესეი, ქვეყნის ლიტერატურულ-კულტურული განვითარების ადრეულ ეტაპზე არ წარმოიშვება (ალ. სმიტი). ამ მოსაზრებას ჩვენ უფრო დავაკონკრეტებთ:

ა) ესეისტური აზროვნება, ორივე სფეროს — როგორც მეცნიერების, ასევე ხელოვნებისთვის დამახასიათებელ თვისებებს ამჟღავნებს. ამდენად მან, მეცნიერული და ლიტერატურული ტრადიციების მქონე ქვეყანაში, მხოლოდ მეცნიერებისა და მხატვრული ლიტერატურის პარალელურად შეიძლება იჩინოს თავი.

XX ს. საქართველოში ესეის წარმოშობა აკადემიური მეცნიერების დაფუძნებას ემთხვევა. ესეისტური აზროვნება თავისებური ანტიაკადემიზმია, მაგრამ იგი აკადემიზმის არსებობას უთუოდ გულისხმობს;

ბ) ესეის წარმოშობა კულტურულ-ლიტერატურული განვითარების გვიანი რენესანსისათვის დამახასიათებელი ეტაპისთვისაა ნიშანდობლივი — ხელოვნებაში პიროვნულ-ინდივიდუალური ძიებებას მომძლავრების ხანისთვის.

XX საუკუნის პირველი ათწლეულების ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი ძირითადი პროცესი — თვითშემეცნებისა და თვითდამკვიდრების, პიროვნულ-ინდივიდუალური ძიებების, ადამიანის „მე“-თი დაინტერესების პროცესია. იგი იხატება როგორც იმდროინდელ ლირიკასა და პროზაში, ასევე ლიტერატურული კრიტიკის ესეისტურ ნაკადშიც.

2. ესეისტური თხზულება, რომელშიც პრობლემათა მოცალეობითი განსჯა ხდება, ალ. სმიტის სიტყვით, სტრესისა და ვნებიანი იმპულსის შედეგად არ წარმოიშვება, მაგრამ თუ ვიმსჯელებთ არა ცალკეული ნაწარმოების, ესეისტური თხზულების შექმნაზე, არამედ ლიტერატურის მოცალეობითი სახეობის ესეისტური ჟანრის წარმოშობაზე, იგი როგორც ინტროსპექტული აზროვნების ერთ-ერთი გამოვლინება, სწორედ კრიზისულ, გარდატეხის, გარდაქმნების, გარდამავალ ეპოქაში იჩენს თავს.

ქართული შემოქმედებისათვის ესეისტური ტიპის აზროვნება (თავისუფალი სპეკულაცია) ძველთაგან ახლობელი და ბუნებრივი ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ესეის ელემენტები მრავლად შეიძლება დაიძებნოს ძველ ქართულ ლიტერატურაში, ესეისტური ჟანრის წარმოშობა სალიტერატურო კრიტიკაში XX საუკუნის პირველ ათწლეულებს — რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე დროს ემთხვევა და იგი კულტურულ-ლიტერატურულ, სოციალურ-ფსიქიკურ, ისტორიულ-პოლიტიკურ ერთობლიობით გაპირობებულ ფაქტად გვევლინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ჯიბუტი

# პოეტის კრიტიკული წერილები

სიმონ ჩიქოვანის პოეზიაზე პირველი წერილი კონსტანტინე გამსახურდიამ გამოაქვეყნა (1934 წ.). დიდმა მწერალმა დაწვრილებით განიხილა შედარებით ახალგაზრდა პოეტის იმდროინდელი ლექსები და გულწრფელად აღნიშნა მათი ღირსება და ნაკლი, ხოლო „შემოღამება ხახმატში“. „უშგულის კომკავშირი“, „ხევსურული ძროხა“ ცალკე გამოყო და შედევრებად აღიარა. ამის შემდეგ ს. ჩიქოვანი თითქმის ზედიზედ აქვეყნებს ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობის ლექსებს და ორიგინალური პოეტის სახელს იმსახურებს. მაგრამ იგი არა მარტო თავისებური პოეტი იყო, არამედ დიდი გაქანების კრიტიკოსიც გახლდათ. ამას მოწმობს წერილები გურამიშვილზე, ბარათაშვილზე, ილიაზე, აკაკიზე, ვაჟა-ფშაველაზე, ვ. ბარნოვზე, ნიკო ლორთქიფანიძეზე, ტიციან ტაბიძეზე და ა. შ.

ზემოთჩამოთვლილი მწერლების შემოქმედება მან სხვადასხვა ხალხის ლიტერატურებთან ურთიერთკავშირში განიხილა. მთელი მსოფლიო ლიტერატურა მას ერთ მთლიან, უზარმაზარ მდინარებად მიაჩნდა, სადაც ყველა ხალხის პოეტი მკაფიოდ წარმოაჩენდა თავისი ერის სახეს. კრიტიკოსი გვარწმუნებს, რომ ყოველ დიდ ნაწარმოებს მსოფლიო მწერლობაში მრავალი მონათესავე ნაწარმოები გააჩნია. ამის ერთ მაგალითად იგი „მერანს“ ასახელებს. მას, ამბობს ჩიქოვანი, შორეულად ეხმიანება ადამ მიცკევიჩის „ფარასი“, თავად „ფარისი“ კი აღმოსავლურ პოეტურ ქმნილებათა ანარეკლია. მას ენათესავება პუშკინის ცალკეული ლექსების მოტივები და სიული პრუდომის „ქენება“. მაგრამ ყველა ეს შეხვედრა, ჩიქოვანის აზრით, საუკუნის საერთო სულიერი მღელვარების გამოთქმაა, საერთო განწყობილებების დამთხვევაა და არა ურთიერთ გავლენა. „მერანი“ ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული შედევრია. მისი ავტორის მზერა მომავლისაკენ იყო მიმართული, პოეტის შთაგონებას ცოცხალი ცხოვრება წარმართავდა და ასაზრდოებდა. ბარათაშვილის შემოქმედების ღრმად შესწავლამ ჩიქოვანი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ „მერანის“ ავტორი მარტო წარსულის რომანტიკოსი კი არ იყო, არამედ მომავლისაც; მის პოეზიაში საერთოდ არ იგრძნობა წარსულის ისტორიის გაიდეალება. იგი პოეტური სიტყვით უშუალოდ იყო ჩარეული მიმდინარე ცხოვრებაში და როგორც ჩიქოვანი ამბობს, უკეთეს მერმისს შთაგონებული განსჯით წვდებოდა. კრიტიკოსს ბარათაშვილი თავისი ხალხის ეროვნული დრამის ერთ მთავარ მოქმედ პირად მიაჩნდა.

მეცხრამეტე საუკუნე ქართველი ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვანია არამარტო საქართველოს გაერთიანებისა და მთელი ცხოვრების ევროპეიზაციის თვალსაზრისით, არამედ აგრეთვე ახალი, მოწინავე იდეებისა და მიმდინარეობების გავრცელებით. ამ მიმდინარეობებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ კრიტიკული რეალიზმი, რომლის მამამთავარი ილია ჭავჭავაძე იყო. ილიას ლექსებმა — „მესმის, მესმის სანატრელი...“ და „პარიზის კომუნამ“ ქართულ პოეზიაში დასაბამი მისცა მძაფრ მოქალაქეობრივ პოლიტიკურ ლირიკას. ილია ჭავჭავაძემ ღრმა შინაგანი ცვლილება შეიტანა სხვა ჟანრების თემატიკაშიც. მეცხრამეტე საუკუნეში იგი იყო პირველი მწერალი, რომელმაც მხატვრული ნაწარმოების მთავარ გმირად აილო ხალხის წიაღიდან გამოსული უბრალო ადამიანი; აღსანიშნავია, რომ მეცხრამეტე საუკუნის მხატვრულ ლიტერატურაში სოციალური და ზნეობრივი უკუღმართობის წინააღმდეგ ყველაზე ძლიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროტესტის ხმა „კაკო ყაჩაღიდან“ და „გლახის ნაამბობიდან“ გაისმა.

თანამედროვეობის შესანიშნავი პოეტისა და მოაზროვნის — სიმონ ჩიქოვანის წარმოდგენაში ილია ჭავჭავაძე იყო მძაფრი დრამატიზებული სულის შემოქმედი, ღრმა განსჯისა და შთაგონებული ფიქრების მწერალი. დიახ, იგი როგორც მხატვარი მთავარ ყურადღებას აქცევდა ალსაქმელი მოვლენების, საგნების თუ ადამიანების შინაგან ენერგიას და ცხოვრების თვითეულ მოვლენაში მომავლის ფესვებს ეძებდა. მართლაც, კაკო, ზაქრო, ოთარაანთ ქვრივი, გიორგი, ქართლის დედა, გუთნის დედა და სხვები მატარებელი არიან იმ დიდი შინაგანი შემოქმედებითი ენერგიისა, რომელიც „მგზავრის წერილებში“ ავტორმა თერგის მღელვარე და დაუცხრომელ სახე-სიმბოლოში გამოხატა.

სიმონ ჩიქოვანის მიერ ასევე სრულად და ფართოდ არის შესწავლილი ვაჟა-ფშაველას პოეტური შემოქმედება. დიდი ერუდიციის მკვლევარმა ვაჟა-ფშაველას პოეზია მსოფლიო ლიტერატურის სიმაღლიდან განიხილა და დაგვარწმუნა, რომ ვაჟა, რომლის სული გოეთესებური ღრმა აზროვნებით და გაქანებით იყო ალსავსე, არა მარტო ეჭიდებოდა დიდ თემებს, არამედ წვდებოდა კიდეც სამყაროს წყობის არაერთ, მანამდე მიუწვდომელ საიდუმლოებას.

ს. ჩიქოვანის აზრით, და ვფიქრობ ეს აზრი სავსებით სწორია, ვაჟა-ფშაველას ლექსები და პოემები გარეგნულად ფშაური ხალხური პოეზიის იერს თუ სამოსელს ატარებს, მაგრამ მის პოეზიაში გამოკვეთილი ხასიათები და ლირიკული ხილვა ზოგადეროვნულია და ზოგადხალხურია. ხოლო მის ეპიკურ სახეებში აღბეჭდილი ვნებები შექსპირული სიღრმით და გაქანებით ხასიათდება. ს. ჩიქოვანის ყოველი მოსაზრება, დებულება ნაწარმოების ანალიზიდან გამომდინარეობს, სათანადო მაგალითებით არის დასაბუთებული ის აზრიც, რომ ქართველ პოეტთა შორის, და არა მარტო ქართველ პოეტთა შორის, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის მიჯნაზე არც ერთი პოეტი არ ყოფილა ბუნებასთან ვაჟაზე უფრო დაახლოებული და გულის ფესვებით მასთან დაკავშირებული. სიმონ ჩიქოვანი აღნიშნავდა, რომ ვაჟა-ფშაველა ბუნების სიცოცხლის, მისი შინაგანი ჭიდილის, მისი შინაგანი განვითარების უშუალო მოწმე და მონაწილე იყო. მას ესმოდა ბუნების ენა, იგი იყო ბუნების პირველქმნილი მშვენიერების გადმოცემის იშვიათი ოსტატი. ამ აზრის დასაბუთებას ემსახურება ს. ჩიქოვანის წერილი „ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ელფერი და პოეტური შემოქმედება“.

ვასილ ბარნოვის შემოქმედებაზე დაწერილი წერილი სრულ წარმოდგენას იძლევა ესოდენ რთული და თავისებური სულიერი სამყაროს მქონე მწერალზე. ს. ჩიქოვანმა ერთ ციკლში გაალაგა ვასილ ბარნოვის ისტორიული და ყოფაცხოვრებითს მასალაზე აშენებული, წმინდა ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოებები. ხოლო მეორე ციკლში გააერთიანა სოციალური უკუღმართობის მამხილებელი მოთხრობები და ნოველები. კრიტიკოსის აზრით, პირველი ციკლის ნაწერები ხასიათდება, უმთავრესად, საზოგადოებრივი და ეთიკური საკითხების დაყენებით და სამყაროს წყობის შეცნობით, თუ თავისებური ხილვის წყურვილით. ეს ნაწერები არქაული იერის მატარებელია, არა მარტო სალიტერატურო ენით, არამედ აღწერილი ცხოვრების თვისებებით და, საერთოდ, ავტორის მხატვრული მიდრეკილებით. სოციალური უკუღმართობის მამხილებელ მოთხრობებში ავტორის სტილი უფრო მსჯელობითია, ავტორი აქ სინათლისა და სიკეთის გამარჯვების მოსურნეა.

სოციალური უკუღმართობის მამხილებელ მოთხრობებში ვასილ ბარნოვი რეალისტია; იგი მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც აგრძელებს ილია ჭავჭავაძის გაკაფულ გზას და სამოციანელი მწერლების იდეური თანამგზავრია. ხოლო, ს. ჩიქოვანის დასაბუთებით, წმინდა ფილოსოფიური შინაარსის, ისტორიული ხასიათის მოთხრობებში მან შექმნა სრულიად დამოუკიდებელი პოეტიკა და „შინაგანი მუსიკის“ მეშვეობით ერთობ თავისებური პოეტური სამყარო ჩამოაყალიბა. ს. ჩიქოვანი ღრმად შეიჭრა ამ ერთობ თავისებურ სამყაროში და იქ აღმოჩენილი სახეები, კოლორიტი, ფილოსოფიური კონცეფციები, მწერლის ისტორიული, თუ რელიგიური თვალსაზრისი ფართო წრისათვის ხელშესახები გახადა.

როგორც ვასილ ბარნოვზე, ისე ნიკო ლორთქიფანიძესა და ტიციან ტაბიძეზე დაწერილ წერილებში დიდი ადგილი უჭირავს ბიოგრაფიულ ცნობებს, ჩიქოვანის შეხვედრებს, საუბრებს მეგობრულ ურთიერთობას დასახელებულ მწერლებთან. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტ ინტერესს იწვევს ისედაც საინტერესო წერილების მიმართ. სიმონ ჩიქოვანის წერილების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია დაიწეროს კარგი მონოგრაფია ნიკო ლორთქიფანიძეზე, ან ტიციან ტაბიძეზე; ამ წერილებში მათ ცხოვრებაზე, ხასიათზე, პირად ადამიანურ თვისებებზე, იმდენი რამ არის თქმული, რომ უბრალოდ წარმოუდგენელია მათ გარეშე შეიქმნას სრულყოფილი წიგნი.

ნიკო ლორთქიფანიძე რომ დიდი სიზუსტით და სიტყვიერი მასალის დიდი ეკონომიით ხატავდა უებრო პოეტურ სურათებს, და რომ მისი სურვილი იყო „ჰარმონიული შეერთება მშვენიერებისა და ჭეშმარიტებისა“, ეს თითქმის ყველასათვის კარგად ცნობილი ამბავია, მაგრამ ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, სადაც იგი გერმანულ ენას ასწავლიდა, ყველა რომ უყვარდა და მის მიმართ დიდი და პატარა მოკრ-

ძალებული რომ იყო, ეს მხოლოდ მისმა მოწაფემ სიმონ ჩიქოვანმა იცოდა და აკი გვითხრა კიდეც. მან დიდი ნოველისტის ცხოვრების მრავალი დეტალი გაიხსენა და მწერლის ცხოვრება და შემოქმედება ერთი მთლიანი სახით წარმოგვიდგინა.

ტიციან ტაბიძეზე დაწერილ წერილშიც დიდი ადგილი ბიოგრაფიულ ელემენტს უჭირავს, აქ ზუსტად არის გადმოცემული პოეტის მანერა, ხმა და ჩვევა. ერთი შეხედვით იგი რენესანსის ადამიანს ჰგავდაო, — წერს ჩიქოვანი და წარმოგვიდგენს პოეტის კოლორიტულ სახეს თბილისის ფონზე. ვინც ტიციან ტაბიძეს პირადად არ იცნობდა, ამ სურათითაც შეუძლია მასა დაახლოვება.

ყოველივე ეს ჩიქოვანის წერილის მხოლოდ ერთი მხარეა. ს. ჩიქოვანი ერთი პირველი კაცი იყო, რომელმაც არა მარტო გადმოგვცა ტიციანის სრული ბიოგრაფია, არამედ მან პირველმა შექმნა სავსებით სწორი აზრი მის პოეზიაზე. იგი წერდა: „ტიციან ტაბიძეს, როგორც სიტყვის ოსტატს, პოეტურ ფორმაში შეიძლება არ ჰქონდა ისეთი თავისუფალი სუნთქვა, როგორც გალაკტიონ ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს, ანდა პაოლო იაშვილს. არც ლექსის ისეთი ნაჭედობა და დახვეწილობა, როგორც მისი თაობის ზოგიერთ სიტყვის ოსტატს, მაგრამ მას ჰქონდა გასაოცარი ლირიკული სიმძაფრე და თავგამეტება, პატრიოტულ თუ სატრფიალო ლექსებში თავდავიწყებამდე მისული გატაცება და მის სტრიქონს გრძნობის უჩვეულო ტევადობა ახასიათებდა. მაშინდელ ქართულ პოეზიაში ასეთი დრამატიზებული ხმის პოეტი მე არ მეგულება“. ტიციანის მხატვრული კონცეფციის მიხედვით, რასაც ს. ჩიქოვანმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, პოეზია გაუთლელი ლერწამია და მწყემსის დაუხმარებლად ამღერებული ბუნების წიაღში. ტიციან ტაბაძის აზრით, პოეტმა თუ ლექსის გარანდვა დაიწყო, გრძნობას უშუალობა დაეკარგება და იგი ავტორის სულის დედანს დაშორდება. მან პოეზიის მთავარ ღირსებად სწორედ ეს სიწრფელე აღიარა. რაც კი შეიძლება თქმულიყო ტიციანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ს. ჩიქოვანმა თითქმის ყველაფერი თქვა და საზოგადოებას სამუდამოდ დაამახსოვრა ტიციანის პოეზიაც და მეტყველი სახეც.

ნიკოლოზ ზობოლოცკიმ დიდი ამაგი დასდო ქართულ ლიტერატურას. მან რუსულ ენაზე თარგმნა ქართული კლასიკური და თანამედროვე მწერლების მრავალი საუკეთესო ნიმუში. არც ქართველი პოეტები დარჩენილან ვალში. მისმა უახლოესმა მეგობარმა სიმონ ჩიქოვანმა მის ხსოვნას ბრწყინვალე წერილი უძღვნა. ნიკოლოზ ზაბოლოცკის, — წერს ს. ჩიქოვანი, — საოცრად უყვარდა ქართული პოეზია. ქართული სიტყვით გამოკვეთილი სახეები, თუ სურათები მის აღტაცებას იწვევდა და აღაგზნებდა პოეტის შთაგონებას. იგი თავის პროფესიას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, არ შეიძლებოდა მისი ხელიდან გამოსულიყო გაუჩარხავი, გაურანდავი სტრიქონი ან დონდლო პოეტური ფრაზა.

ჩიქოვანმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, არა მარტო მის შეუდარებელ თარგმანებს, არამედ დიდი რუსი პოეტის იმ ლექსებსაც, სადაც ჩანს მისი დამოკიდებულება საქართველოსადმი. დიახ, ნიკოლოზ ზაბოლოცკის პოეტურმა თვალმა თავისებურად დაინახა საქართველოს დიადი ბუნება, შრომისმოყვარე და კეთილშობილური არტისტიზმით დაჯილდოებული ქართველი ხალხი. საქართველოს გეოგრაფიულ არეში, — ვკითხულობთ სიმონ ჩიქოვანის წერილში, — პოეტმა იპოვა ფერების ჰარმონია და კეთილხმოვანება. შემოდგომის გაყვითლებული ფოთლებით ახმიანებულ გომბორის ტყეში ზაბოლოცკიმ ბუნებას ფერების სიმღერა გაიგონა და საქართველოს მთებს სამუდამოდ დაუმეგობრდა.

რუს მწერლებთან სიმონ ჩიქოვანს დიდი მეგობრობა ჰქონდა. საერთოდ მას კარგი მეგობრები ჰყავდა მოძმე რესპუბლიკების თითქმის ყველა დედაქალაქში და ეს მეგობრები დღესაც დიდი პატივისცემით იგონებენ მას.

* * *

ერთხელ ზურაბ ლორთქიფანიძე და მე სიმონ ჩიქოვანს ვესტუმრეთ, მაშინ იგი უკვე ჯანგატეხილი იყო. ნაცნობ-მეგობრებს მხოლოდ ხმით სცნობდა. ჩვენი მისვლა ესიამოვნა. ზურაბს საყვედურიც კი უთხრა: სად დაიკარგე, აგერ ერთ თვეზე მეტია არ გამოჩენილხარო; შემდეგ ხელი მოხვია და ჩურჩულით უთხრა: „შენი ახალი ლექსები წავიკითხე და ძალზე მომეწონა. კარგია, ძალიან კარგია“ ჩანდა, რომ იგი ზურაბის შემოქმედებითს საქმიანობას თვალყურს ადევნებდა. იმ დღეს დიდხანს ვუსხედით სუფრას. საუბარი ეხებოდა მწერლებს და მსახიობებს. მწერლებიდან იგი განსაკუთრებით თაყვანს ცემდა შალვა დადიანსა და ლეო ქიაჩელს. აქტიორებიდან კი ვერიკო ანჯაფარიძეს, უშანგი ჩხეიძესა და აკაკი ხორავას. სიმონს საოცრად ესიამოვნა, როდესაც ქალბატონი ვერიკო გავიხსენე ოფელიას როლში. იგი როლს უბრალოდ კი არ ასრულებდა, არამედ თვით იყო ოფელია თავისი გარეგნული მშვენიერებით და კეთილი სულითაო. მართლაც, მხოლოდ ის აქტიორი აღწევს საოცარ წარმატებას, რომელსაც საკუთარი ძალის რწმენა აქვს. სწორედ ამ რწმენამ მოუპოვა ვერიკოს მსოფლიო აქტიორის სახელი.

შემდეგ ს. ჩიქოვანმა „ურიელ აკოსტა“ გაიხსენა, ვერიკო ანჯაფარიძის ივდითი და უშანგი ჩხეიძის ურიელი, მერე აკაკი ხორავას ოტელო და ძალიან მოკლედ თქვა: ვინ იცის რამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენი დაკვირვებაა მოთავსებული თუ ჩაქსოვილი იმ ეპითეტებში, რომლებითაც ვამკობთ ხოლმე ვერიკოს, უშანგის და აკაკი ხორავასო.

შევყურებდი მას, დაბრძენებულს, და მახსენდებოდა მისი ჭაბუკური წლები. 1930 წელს, ამიერკავკასიის კომკავშირის სამხარეო კომიტეტმა ბათუმში მიმავლინა აჭარის საოლქო კომკავშირის კომიტეტის პლენუმის ჩასატარებლად, იქ ერთ წარმოდგენას დავესწარი. სპექტაკლის შემდეგ ვახშამი გაიმართა. სწორედ აქ გავიცანი სიმონ ჩიქოვანი. სადაც კი იგი გამოჩნდებოდა, მაშინვე ლიტერატურული ატმოსფერო დამყარდებოდა. ასე იყო იმ საღამოსაც. მთელი საზოგადოების ყურადღება მისკენ იყო მიპყრობილი. პირადად ჩემზე მან წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ამ დღიდან იწყება ჩემი კეთილი ნაცნობობა სიმონ ჩიქოვანთან.

შევყურებდი მას ახლა და მინდოდა წარმომედგინა ისეთივე ენერგიული, შემტევი და ჯანმაგარი, როგორც მაშინ, იმ შორეულ წარსულში.

სიმონ ჩიქოვანის პოეზიაზე ბევრი დაწერილა და ბევრიც დაიწერება, მეც მქონდა საშუალება გამომეთქვა ჩემი აზრი მის ლექსებზე ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში. ამიტომ აქ აღარ გავიმეორებ ადრე თქმულს. ერთს კი ვიტყვი, რომ მან თავისი სიცოცხლე ლექსს გადასცა და ახლა ხალხის მეხსიერებაში იგი ლექსის სიცოცხლით ცხოვრობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭაბუა ამირეჯიბი — 60

კობა იმედაშვილი

## მ ხ მ ო ბ ი

ჭაბუა ამირეჯიბის გვარი და სახელი ყმაწვილობიდან მახსოვს. განსაკუთრებით მაგონდება 1944 წლის ერთი დღე. წინა საღამოს ჩვენთან სტუმრად იყო ჩემი მამინაცვლის მოწიფული ვაჟი, ჩემი ბავშვური აღფრთოვანებისა და სიყვარულის საგანი ამირან მორჩილაძე... იმ ღამეს ჩვენგან წასული იგი მეგობრებთან ერთად შორეულ გზებს გაუყენეს აბსურდულ ბრალდებათა გამო (რაც ოფიციალურად წლების შემდეგ გაირკვა). ამ მეგობართა შორის იყო ჭაბუა ამირეჯიბიც... ლამაზები იყვნენ მაშინ ორივენი (ახლაც თვალი დაგრჩებათ მათზე), მაღლები, ზრდილნი, განათლებულნი, ვაჟკაცურნი — ყველაფერი საუკეთესო, მამაკაცური და ქართული ჩემთვის ამ სახელებთან იყო დაკავშირებული... და ახლა, წლების მერე, თითქოს დააბრუნა ჭაბუამ ის თავისი წლები დათა თუთაშხიას — პირმშვენიერი, სულით უბიწო და ძლიერი პიროვნების დამკვიდრებით ქართულ მწერლობაში.

არადა, როგორ სჭირდებოდა ისეთი გმირი ქართულ პროზას; მახსოვს, სამოციანი წლების შუახანებში ახალგაზრდა გმირთან დაკავშირებით ვწერდი: „ჩვენს მწერლობას სჭირდება... ახალგაზრდა გმირი, რომელიც გაგვაოცებს თავისი გონებით, თავისი განცდებით, თავისი საქმეებით. ახალგაზრდა მწერლებმა აქ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან, რომელსაც ხალხი და დრო მოელის“.

ეს სიტყვა ითქვა. გავიხსენოთ დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილ ავტორთა 60-70-იანი წლების საუკეთესო ნაწარმოებები.

რომანტიკული გმირის მოთხოვნილება არა მარტო ქართულ, არამედ საბჭოთა პრესაშიც, რომ მწვავედ იდგა, „დათას“ დასტამბვის მერე განსაკუთრებით გახდა ცხადი. მკითხველის რეაქცია თვალნათლივი დადასტურება იყო ამისა. თვალნათლივ დადასტურება გახლდათ ამისა სახელმწიფო პრემიაც, რომელიც ფილმის „დათა თუთაშხიას“ დამდგმელ კოლექტივს მიენიჭა. ეს პრემია ჭაბუა ამირეჯიბსაც მისცეს როგორც სცენარის ავტორს...

ხალხმა იცის, ვინ შეიყვაროს...

დრო და ხალხი ყოველთვის ელის ასეთ მწერალსა და ასეთ გმირს — წმინდას, ძლიერს, ერის საუკეთესო სურვილებსა და თვისებებთან წილნაყარს.

ჭაბუა ამირეჯიბსავე თუ დავესესხები, დათა მ ხ მ ო ბ ი ა. მ ხ მ ო ბ ი ყოველივე უკეთესისკენ, ვაჟკაცურისკენ, ქართულისკენ... მ ხ მ ო ბ ი ყველა პატიოსნისა, შეურიგებლისა, უშიშარისა... მ ხ მ ო ბ ი არა წარსულში და წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულისკენ. არამედ მომავლისკენ. მ ხ მ ო ბ ი. ჩვენი დროისავე, თვით ჩვენსავე სულსა და გონებაში დაბუდებული მ ხ მ ო ბ ი. ხმა გამოღვიძებული და გამძაფრებული სინდისისა.

არადა. დათა ყაჩაღია, კანონგარეშე მყოფი და ზოგიერთთა აზრით, საზოგადოებისთვის მიუღებელი საშიში პიროვნება.

არადა. დათა ის კაცია, რომელმაც ქრისტეს მსგავსად იტვირთა ძმათა თვისთა ცოდვა. მათთვის აწამა თვისი სხეული. მათთვის აამაღლა თვისი სული.

დათა არაა ერთი დროით და ერთი ადგილით შემოსაზღვრული გმირი, იგი სულია კრებითი დროსა და ადგილზე ზემდგომი. თუმცაღა თავისი დროისა და თავისი ქვეყნის შვილიც გახლავთ იგი და ეს ორმაგობა მთავარი გმირისა, რომანსაც ორმაგობას ანიჭებს. მეტსაც მოგახსენებთ. რომანი თავისი პრობლემატიკით უაღრესად თანამედროვეა, იგი სადღეისო პრობლემებს აღძრავს და სწყვეტს კიდეც დათა თანამედროვეა ჩვენი და ეს რომანის ქრონოსის თავისებურ ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

ჩემსავე თავს უნდა დავესესხო და სწორედ ზემონათქვამთან დაკავშირებით „დათა თუთაშხიას“ დაწერისთანავე. 1975 წელს გამოთქმული ჩემი შენიშვნები უნდა გავიხსენო: ჭაბუა ამირეჯიბის ვრცელი რომანი — „დათა თუთაშხია“ მე სწორედ ისეთ ნაწარმოებად მიმაჩნია, სადაც წარმატებით დაგვირგვინდა არა მხოლოდ ავტორის ძიებანი, არამედ სამოციანი წლების ქართული პროზის ძიებანიც. მეტსაც ვიტყოდი, ისევე. როგორც სამოციანი წლების ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები. „დათა თუთაშხიაც“ უდაოდ ავლენს ორგანულ კავშირს ოციან წლების ქართული პროზის საუკეთესო ნიმუშებთან. ეს არცაა გასაკვირი: ეთიკურ-მორალური პრობლემების წინ წამოწევის და მხატვრულ ენაში მითოლოგიური სიმბოლოების გამოყენების რთული პროცესი ქართულ მწერლობაში სწორედ ოციან წლებში დაიწყო.

„დათა თუთაშხია“ ქართული ეროვნული მხატვრული ნაწარმოებია, არა მარტო აღნიშნული კავშირების გამო. მასში მაღალმხატვრულად აისახა ქართველი ადამიანის ხასიათი, მისი სულიერი განვითარების გზა ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ „დათა თუთაშხია“ რაიმეგვარად ჩაკეტილი იყოს ვიწრონაციონალურ ჩარჩოებში. მასში ასახული ვნებანი პიროვნებისა საერთო-საკაცობრიო მნიშვნელობისაა და არც თუ იშვიათად ფორმულის მნიშვნელობას იძენს. იგი გასაგები იქნება ყველასათვის, ყოველ დროსა და ყველგან.

ეს უნივერსალიზმი „დათა თუთაშხიასი“ მის ფორმაშიც გამოვლინდა. რომანი არა მარტო თავისი პრობლემატიკით, არამედ ფორმითაც უშუალო ახლობლობას ავლენს მსოფლიო თანამედროვე ლიტერატურის წამყვან ტენდენციებთან.

ყოველივე ამაზე საუბარი და ყოველივე ამის განსჯა აუცილებელია.

ჩემთვის „დათა თუთაშხიაზე“ მსჯელობა მისი ჟანრული თავისებურებების განსაზღვრიდან იწყება. რადგან, სწორედ ჟანრული სპეციფიკის გათვალისწინებით იქნება შესაძლებელი ბევრი რაიმეს ახსნა ამ რთულსა და პრობლემურ ნაწარმოებში.

1. „დათა თუთაშხია“ ორი პლასტისაგან შესდგება — ერთი ყოფითი, მეორე ფილოსოფიური. სწორედ მათი ერთობა ქმნის რომანის განსაკუთრებულ ფორმასა და სტილს.

2. რომანის ავტორის მთავარი მიზანია არა სინამდვილის მხატვრული მოდელის შექმნა. არამედ ამ მხატვრული მოდელის კომენტირება. მისი ფილოსოფიურ-კონცეფციური ანალიზი.

3. რომანში მოქმედება გადატანილია ისტორიულ წარსულში, მაგრამ იგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არა მხოლოდ ამ წარსულის კონცეფციური ასახვაა (წარსულის ასახვისათვის კი ავტორი ხშირად მიმართავს იგავს, პარაბოლას — მოვლენის არსის ჩაწვდომისა და განზოგადების დღეს მეტად პოპულარულ ხერხს), არამედ თანამედროვეობის გარდათქმითი განზოგადებაც.

რომანში განზოგადებული იდეები ჩვენი თანამედროვეობის უმწვავესი იდეებია.

4. „დათა თუთაშხიაში“ ისტორიული სინამდვილე აისახება „იდეათა რომანისათვის“ დამახასიათებელი ხერხებით. მისი მთავარი გმირები იმ იდეათა პერსონიფიცირებაა, რაც მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეთა ქართული ცხოვრების ძირითადი დამახასიათებელი და ზოგჯერ განმსაზღვრელიც კი იყო.

ამდენად, ფილოსოფიური თვალსაზრისით, მასში ისტორიული სინამდვილე, აზრის მოძრაობა ზუსტადაა გადმოცემული. ეს სწორედ ისაა, მაქს ბენზე რომ ამბობს: „სულის უმაღლეს ინტერესთა შემეცნება“.

ერთი მაგალითი: თვით დათა თუთაშხია პერსონიფიცირებაა იმ ნათელი იდეებისა, რომელთაც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ცხოვრება გამსჭვალეს. მთავარი მის ხასიათში ძიებაა, ძიება მიზნისა, მიზნის მისაღწევი გზისა და არა მიზნის მიღწევა. მის მიერ დასახული მიზნის მიღწევა უკვე სხვა ძალების ისტორიული მისიაა — არა წმიდანი ერთეულების, არამედ ხალხის, მასის. დათა მიდის ხალხთან, მაგრამ იღუპება. მისი დაღუპვაც, რა თქმა უნდა, არაა შემთხვევითი და ერთმნიშვნელოვანი. აქ ერთდება მითოლოგიური პლანი რომანისა და ყოფითი. ეს ყოფითი პლანი განზოგადებაა XIX საუკუნის საქართველოს სინამდვილისა, რომელიც არამარტო ეროვნული თუ სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლით ხასიათდებოდა, არამედ ადამიანის ძიებითაც, მისი ზნეობრივი ორიენტირების გარკვევითაც (რაშიც ერის ზნეობრივი ორიენტირები იკვეთებოდა). ამ ბრძოლაში ერის მტერთა ტიპიური არგუმენტი პოლიტიკური მკვლელობა გახლდათ.

პოლიტიკური მკვლელობა დაუპირისპირეს საქართველოს მტრებმა იმ ქართველ მოღვაწეთ, რომელთათვის ეროვნული ინტერესებისათვის თავის განწირვა, ერის იდეალებისათვის სიცოცხლე და სიკვდილი არსებობის ძირითადი მიზანი იყო. აქ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა — მე მხოლოდ ერის მამად წოდებულ ილიას გაგახსენებთ, რომელიც გზადაბნეულმა და დაბრმავებულმა თვისტომმა მოჰკლა.

ტყვია იდეას ესროლეს, მან კი პიროვნება იმსხვერპლა.

არცერთი ამ პოლიტიკურ მკვლელობათაგან არ იყო შემთხვევითი, ეს გახლდათ კანონზომიერების გამოვლენა, ტიპიური იმ საზოგადოებისათვის, იმ სიტუაციისათვის რომელშიც ეს ყოველივე ხდებოდა.

რეალური და გამონაგონი გმირის ცხოვრების ლოგიკა აქ ერთნაირი იყო, ერთნაირი იყო დასასრულიც. ორივე სიცოცხლეშივე სიმბოლოს დონემდე ავიდა, ამიტომ მათი რეალური მოკვდინება სიმბოლოს მოკვდინებად იქცა.

ბუნებრივია, რომ ხალხმა არ დაიჯერა დათას სიკვდილი, რადგან იდეა, რასაც იგი განასახიერებდა, თვით ხალხში ცხოვრობს, ხალხთან ერთად. ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე კი ეს იდეა კონკრეტულ პიროვნებას უკავშირდება ხოლმე.

5. რომანის ამბავთა მონაცვლეობა და სიუჟეტური სვლების ემოციური ზემოქმედება მკითხველზე მეტად დიდია, მაგრამ ავტორი მოვლენათა ფილოსოფიური განზოგადებით თითქოს განზრახ სისტემატურად ანელებს ამ ზემოქმედებას. მისთვის მთავარია ფაქტის ანალიზი და არა თვით ფაქტი. ყოველი ეპიზოდი პირველ რიგში აქ თეორიული განზოგა-

დების მასალაა. შეიძლება გარკვეული წყობის მკითხველმა ეს რომანის ნაკლად ჩათვალოს. რაც რომანში უდაოდ თრგუნავს ემოციას (თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში ეს ძნელი საგრძნობია): ყოველივე ამაში გამოვლინდა თანამედროვე ხელოვნების ტენდენცია — ინტელექტუალიზაცია.

ჩემი აზრით, „დათა თუთაშხია“ ამ ფილოსოფიური განზოგადების გარეშე ვერ ავიდოდა იმ სიმაღლეზე, რომელზეც იგი ახლა დგას — ქართული საბჭოთა პროზის საუკეთესო ნაწარმოებთა სიმაღლეზე.

რაციონალური საწყისის პრევალირება, ემოციურის ერთგვარად „მოთოკვა“, პარაბოლური აზროვნება, მხატვრული ენის უაღრესი პირობითობა, ეთიკურ-ფილოსოფიური პრობლემების მწვავედ დაყენება „დათა თუთაშხიას“ ინტელექტუალური პროზის საუკეთესო ნაწარმოებთა რიგში აყენებს.

ჟანრობრივი თვალსაზრისით ეს რომანი — პარაბოლაა.

6. „დათა თუთაშხიაში“ თავი იჩინა თანამედროვე ინტელექტუალური პროზისთვის დამახასიათებელმა სინამდვილის მითოლოგიზირებამაც, მთავარი გმირები და რომანის ძირითადი ნაწილების ეპიგრაფები უდაოდ მითოლოგიურ სიმბოლოებად წარმოგვიდგებიან.

7. ეთიკური პრობლემატიკის მწვავე დასმითა და გადაწყვეტით, რომანის თავისებური ფორმით, ისტორიული ეპოქის დამახასიათებელი იდეების პერსონიფიცირებით, სინამდვილის გროტესკული, პარაბოლური გარდათქმით ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ქართულ საბჭოთა პროზაში. იგი ჯერ არაა სათანადოდ შესწავლილი და გაშიფრული. ქართულმა ლიტერატურათმცოდნეობამ მას შესაფერისი ადგილი უნდა მოუნახოს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. ეს ადგილი კი პირადად მე ქართული საბჭოთა მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს შორის მესახება.

კაი ხანი გავიდა ამ შეფასებიდან. მოგეხსენებათ დროის გადასახედიდან ბევრი რამ უკეთ ჩანს და არც უნდა მოგვერიდოს ზოგჯერ საკუთარ შეხედულებათა გადაფასება.

დღეს დროთა ამ გადასახედიდან, ვფიქრობ, რომ ჟანრობრივი თვალსაზრისით, „დათა თუთაშხია“ სცილდება რომან-პარაბოლის ფარგლებს, მაგრამ მან უდაოდ მისცა მნიშვნელოვანი ბიძგი პარაბოლური აზროვნების განვითარებას ჩვენს პროზაში.

„დათა თუთაშხიას“ სიუჟეტი ავანტურისტული რომანისთვის დამახასიათებელი სვლებით ვითარდება, მაგრამ, გმირთა ფსიქოლოგიის ანალიზის სიღრმით იგი მნიშვნელოვნად აღემატება ასეთ რომანს.

ამავე დროს, ისტორიული რომანი გახლავთ „დათა თუთაშხია“, ახალი ტიპის ისტორიული რომანი, რომელშიც დროის სულია გაცოცხლებული, ეპოქის განვითარების ტენდენცია და არა ყოფითი რეალიები.

„დათა თუთაშხიას“ ბევრი ეპიზოდი უშუალო მინიშნებაა თანამედროვე რეალობაზე, ხოლო მისი პროტაგონისტის ზნეობრივი ძიებანი სწორედ რომ ჩვენი დღევანდელი დღიდანაა ამოზრდილი.

რთული რომანია „დათა თუთაშხია“ და, ამდენად, რომანის ერთი რომელიმე სახეობისადმი მისი მიკუთვნება არ იქნებოდა მართებული, ხოლო თუ ეს კლასიფიკაცია მაინცა და მაინც აუცილებელია მე მას ისტორიულ სოციალურ-ფილოსოფიურ რომანთა მწკრივს მივაკუთვნებდი.

ამ რომანის პროტოგონისტი, საკუთარი სრულყოფილებისათვის მებრძოლი ვაჟკაცი დათა თუთაშხია უპირველეს ყოვლისა, უდაო ახლობლობას ავლენს მეცხრამეტე საუკუნის ლეგენდარულ, მაგრამ რეალურ პიროვნებასთან არსენა მარაბდელთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორივე სხვათაგან განსხვავებულია — გარეგნობით, ქცევით, ხასიათის სტრუქტურით, სიმართლისმაძიებლობით, ადამიანთათვის თავგანწირვისა და საკუთარი მიზნის მიღწევის ძალუმი უნარით...
მაგრამ მათ შორის პრინციპული სხვაობაცაა.

დათა თუთაშხია ძირითადად ადამიანის და, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ზნეობრივი ამაღლებისთვის იბრძვის...

არსენა — სოციალური უსამართლობის დასათრგუნავად...

დათა სულის თავისუფლებას ესწრაფვის.

არსენა — სოციალურს...
ორივე მზაკვრულად იღუპება ამ ბრძოლაში.
არსენას შვილი და უშუალო, სისხლისმიერი მემკვიდრენი რჩება.
დათას — არა.
მაგრამ დათა ისევ უნდა მოვიდეს, რადგან ხალხს არა სჯერა მისი სიკვდილი, სხვათაშორის, არც არსენას სიკვდილი სჯეროდა ხალხს.

და აი, საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ არსენას ნაცვლად მოვიდა დათა, აგვაფორიაქა, შეგვიშფოთა სული, გვაგრძნობინა მშვენიერება პატიოსანი და ძლიერი პიროვნებისა და გაქრა. თუმცა გაქრა კი? განა იგი ყველა ჩვენგანში არ დანაწილდა რაინდულის, სიკეთის, სიმშვენიერის, ამაღლებულის მუდმივ და გაუნელებელ ნოსტალგიად?
ერს ყოველთვის სჭირდება ასეთი მხმობი.

დათა მითიურ გმირად იქცა, რომელიც მითის კანონის მიხედვით კვდება იმიტომ, რომ კვლავ აღორძინდეს ახალი იერით ახალ დროსა და ახალ გარემოში.

ჩვენს თვალწინ კლასიკური მითის კანონების მიხედვით შეიქმნა ახალი მითემა, ახალი ლიტერატურული მითი, რომელმაც, ვფიქრობ, ·არ უნდა გახადოს საეჭვოდ ის აზრი, რომ ლიტერატურული მითისქმნადობა თეორეტიკოსების მოგონილი კი არაა, არამედ ცოცხალი ლიტერატურული პროცესის გამოვლენა.

მითისქმნადობა ჭაბუა ამირეჯიბისთვის არაა ხარკის მოხდა თანამედროვე საზღვარგარეთული თუ ქართული ლიტერატურული მოდისადმი. ესაა რომანის შინაგანი ლოგიკით ნაკარნახევი აუცილებელი ფორმა, რომელიც აზოგადებს, ამშვენიერებს და აღრმავებს სათქმელს.

ერთხელ უკვე აღვნიშნე, რომ „ძველი ქართულის წაბაძვით დაწერილი ტექსტი თუთაშხიასი და ურჩხულის ორთაბრძოლისა ქართულმა მითოლოგიამ არ იცის, იგი ავტორის მისტიფიკაციის ნაყოფია, დღესაა დაწერილი, მაგრამ ნამდვილობის ილუზიას ბადებს, რადგან მითის შინაგანი კანონზომიერებითაა შექმნილი. თვისობრივად ახალი ამ ავტომითში ის სათქმელია, რისთვისაც მოხდა მისი რეკონსტრუირება: მოყვასისათვის საყოველთაო თავგანწირვა ბოროტებას სიკეთედ გადააქცევს. ამ მხრივ, იგი უპირისპირდება კიდეც ახალ აღთქმას, სადაც საზარელი ურჩხული, ყველა ცდუნებისა და ბოროტების ალეგორიული კრებითი სახე, მარცხდება — მხოლოდ ათასი წლით (იხ. გამოცხადება იოვანესი — 20,2).

ამავე დროს, ავტომითი ღრმად ეროვნულიც გახლავთ, რადგან მასში ერის მითოლოგიური წარმოდგენების „კრებითი სული“ ჩანს.

ყოველივე ამაში მე ისიც მომწონს, რომ ამ მითემების, მითოლოგიური მოდელების აღქმა და ამოხსნა მკითხველისთვის არაა ძნელი, რადგან რეალური და მითოლოგიური პლანი ერთმანეთს ავსებს და განმარტავს.

რატომ ვუსვამ ხაზს ამ ყოველივეს?

საქმე ის გახლავთ, რომ მითოლოგიზმით დღევანდელი გატაცება ნელ-ნელა გადადის თავის უარყოფაში, მეტი სიცხადის ნაცვლად მავანთან და მავანთან

მითს ბუნდოვნება შემოაქვს და იგი თვითმიზნად იქცევა.

არადა რამდენი მშვენიერი ნაწარმოები შეიქმნა ამ ბოლო ათწლეულში სწორედ მითთან მიახლების შედეგად!

ლიტერატურული მითების გარდა არსებობს ცხოვრებისეული მითებიც. ჭაბუა ამირეჯიბი თვით გახლავთ ასეთი მითების პროტაგონისტი და იქნებ შემთხზველიც კი.

იგი საინტერესო მოსაუბრეა და შესანიშნავი მთხრობელი. შინ კი ეს მას ბევრად უკეთ ეხერხება, ვიდრე ტელეეკრანსა თუ საჯარო შეკრებებზე.

მახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინ ახალ ბინაზე ვესტუმრე. ციოდა. ყინავდა. ახალ სახლში კი გათბობის სისტემა ჯერ კიდევ არ მუშაობდა. ელექტროღუმელზე აგური დაედო სითბოს შესანარჩუნებლად და სამზარეულოში მიყუჟული ამ სიმაღლე კაცი, სხვადასხვა განედის ქართაგან გამომშრალი და გამოკვერილი, ძლიერ და საინტერესო პიროვნებად გადაიშალა მაშინ ჩემს თვალწინ.

დამერწმუნეთ, დამავიწყდა (და თვით მასაც დაავიწყდა) სიცივე, ისე საინტერესოდ ჰყვებოდა იგი თავისი ოდისეის შესახებ. ისე ორგანული იყო ეს მონათხრობი „დათა თუთაშხიას“ ავტორისთვის, ისე დაძაბული, ისე მთლიანი, როგორც რომანის ესა თუ ის თავი.

ერთხელ კი (ეს უკვე იმ ძველ დაბალჭერიან ბინაში იყო, სადაც ძლივს იმართებოდა) შევესწარი, თუ ერთი მისი მეგობარი, ცნობილი მხატვარი, როგორ დეტალურად უყვებოდა მეორე მეგობრის არცთუ ღირსეულ საქციელს და აზრს ჰკითხავდა...

მე მოვისმინე ამ „საქმის“ შესანიშნავი „გარჩევა“, მასში მონაწილე პერსონაჟთა ქმედების მამოძრავებელ მიზეზთა თუ მიზანთა მიკვლევა, მათ ზნეობრივი ჰაბიტუსის დახასიათება და მაღალზნეობრივი პოზიციებიდან მათივე საქციელის შეფასება.

ჭაბუა მაშინ თურმე „დათა თუთაშხიაზე“ მუშაობდა და ყოველივე ამ რომანის სტილში ჩატარდა.

ეს ის წლები იყო (თითქმის ათი წელი), ჭაბუა ამირეჯიბი თავაუღებლად რომ მუშაობდა „დათა თუთაშხიაზე“.

სულ ახლახან, როდესაც ამ რომანზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ჭაბუამ გულდაწყვეტით მითხრა — ველარ ვმუშაობ, დრო და მოსვენება აღარაა, ყოველ დღეს მოაქვს ერთი შეხედვით გადაუდებელი საქმეები, „დათაზე“ მუშაობისას ესეთი საქმეები თითქოს არ იყო ან ალბათ იყო და თავს ვარიდებდი. ეტყობა, ახლაც უნდა მკვეთრად გავემიჯნო ყოველდღიურს, ნაწილობრივ მაინც, რომ ვწერო.

პოპულარობა მართლაც ძნელია, მით უფრო საქართველოში, სადაც ყველა თავისას თხოულობს, დრო კი მართლაც არაა, ჩვენ ხომ ნაკლებად უფრთხილდებით როგორც ჩვენს დროს, ისე სხვისას.

თავდაპირველად „დათა თუთაშხია“ ვრცელ მოთხრობად, повесть-ად იყო ჩაფიქრებული, როგორც ჭაბუა ამირეჯიბი აღნიშნავს. მერე, წერის პროცესში იგი ვრცელ რომანად გადაიქცა, ხოლო უკვე დამთავრებულს ჩაემატა ძველი ქართულის მიბაძვით დაწერილი ავტომითი.

ამავე საუბრიდან ჭაბუას ნათქვამი: მწერალი უამრავ შთაბეჭდილებას, ამბავს, ამა თუ იმ ადამიანის თავგადასავალსა და განცდას ატარებს თავისთავში და ზოგჯერ საწინააღმდეგო, სტრუქტურულად თუ შინაარსობრივად საწინააღმდეგო ტექსტს ქმნის...

აქამდე არავის შეუნიშნია და ახლა კი უნდა გავთქვა ერთი ჩემი საიდუმლო. დათა თუთაშხიას სიკვდილი ეკზიუპერის „ღამის ფრენის“ ანალოგიით დაიწერა.

იქ ანდებში გზადაკარგული გიიომი მოსალოდნელი სიკვდილის წინ კლდეზე გაწვება, რომ თვითმფრინავიდან კარგად შეამჩნიონ მისი ცხედარი. მიზანი კი ამ საქციელის ისაა, რომ თუ მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხედარს არ მოძებნიან, სადაზღვეო სააგენტო მის მეუღლეს არ გადაუხდის დაზღვევის თანხას.

„დათა თუთაშხიაში“ ყველაფერი საწინააღმდეგოდაა: დათა ყველაფერს აკეთებს, რომ მისი ცხედარი ვერ მოძებნონ, რათა მისი მოკვდინების საფასურით ვერავინ გაირყვნას.

ხერხი იგივეა, როგორც ხედავთ, თუმცაღა მიზანი და შედეგი სულ სხვადასხვა.

ახლა ჭაბუა ამირეჯიბი სამოცი წლისაა.

რა ადვილი და ლამაზი ყოფილა სამოცი წელი, თითქოს არაფერი შეცვლილა, გარეგნულად მაინც, იგი ისეთივეა, თითქმის ისეთივე, როგორც ამ ოციოდე წლის წინ...

ეტყობა თვითძიებისა და დადგინების აქტიური პერიოდი ჰქონდა მაშინ ჭაბუას. ყოველშემთხვევაში, პროზაიკოსი ჭაბუა ამირეჯიბი ის-ის იყო იწყებოდა. გულწრფელად რომ ვთქვა, მე არ მომწონდა მისი პირველი მოთხრობები, მაგრამ მერე, მოთხრობიდან „ძია შიოს ბადია“ მან სხვაგვარი წერა დაიწყო, რაღაც სხვა, მხოლოდ მისი, საინტერესო და სპეციფიურად პროზაული გაჩნდა მის ხელწერაში. მახსოვს „მუციო სცევოლა“, „ბიძაჩემი მეჯლანა“... მენდეთ, ეს ყველაფერი მახსოვს როგორც მკითხველს, ამ მოთხრობებმა თვით დამამახსოვრეს თავი... თუმცა მერე „დათა თუთაშხიამ“ ყველაფერი დაფარა.

ეს რომანი სავსებით საკმარისია ერთი მწერლის ქრესტომათიული არსებობის გასამართლებლად, მაგრამ ჭაბუა ამირეჯიბი არც დაწყებულა და არც მთავრდება „დათა თუთაშხიათი“. ერთი კია, თუ მოთხრობები იქნება გარკვეული მომზადება იყო „დათა თუთაშხიასთვის“, ყმაწვილთათვის დაწერილი იგავები ენობრივი თვალსაზრისით შეიძლება ახალი რომანისთვის („კრონი“) მზადება იყოს, რადგან ერთი საინტერესო ასპექტი ამ ისტორიული რომანისა, ვგონებ, სწორედ ენობრივი უნდა ჩანდეს.

„კრონის“ ჯერ მცირე ნაწყვეტებია გამოქვეყნებული, მე არ ვიცი, როგორი იქნება იგი, გადააჭარბებს თუ არა „დათა თუთაშხიას“ (რაც ალბათ საკმაოდ ძნელია), მაგრამ ერთი ცხადია, „კრონი“ ისევ მთლიანეროვნული სატკივარით სუნთქავს, მასში ჩანს ის მასშტაბები, ის სივრცეები, ის გვემა სულისა და ამაღლება ერის სადიდებლად, რომელზეც ფიქრი, რომლისთვის ღვაწება ყველას ვალია, მაგრამ ყველას ვერ ხელეწიფება.

მე მომწონს „კრონი“ ვამბობ ამას არა იმიტომ, რომ ეს წერილი, როგორც საიუბილეო, მაჟორულ ტონში უნდა იწერებოდეს (და იწერება კიდეც), არამედ იმიტომ, რომ მე, როგორც მკითხველი, ვღებულობ „კრონში“ მონიშნულ ათვლის წერტილს, მის სიმაღლეს. მე მაინტერესებს მასში, იმ პატარა გამოქვეყნებულ ნაწყვეტებში დაწყებული ამბავი როგორ განვითარდება, როგორ გამოავლენს რომანის პროტოგონისტი თავის თავს, შეძლებს კი იგი იმ ტვირთის აზიდვას, რაც მას ისტორიამ და მწერალმა მიუზღო?

განა მკითხველის ასეთ მოლოდინზე მეტი სხვა რამ ჯილდო მწერლისთვის კიდევ არსებობს?

ახლა, ამ სამოცი წლისთავზე მე კვლავ და კვლავ ეს მინდა ვუსურვო ჭაბუა ამირეჯიბს, არასოდეს არ მოკლებოდეს მას ქართველი მკითხველის ეს მოლოდინი და სიყვარული.

შენ ხალხს თუ უყვარხარ, დანარჩენი ყველაფერი უკვე თავისით მოვა, თუმცა ამას უკვე ისეთი მნიშვნელობა აღარა აქვს.

მთავარია ხალხს უყვარდე, მუდამ უყვარდე და მუდამ შეგეძლოს ამ სიყვარულის მოვლა და პასუხის გაცემა. ეს ალბათ ძალიან კარგია, მაგრამ ძნელიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი შანიძე

# ექვთიმე თაყაიშვილი

ძვირფასო მსმენელებო!

ნება მიბოძეთ მოკლედ მოგახსენოთ დიდი ქართველი მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ექვთიმე თაყაიშვილი საოცარი მოვლენაა საქართველოს ახლო წარსულში. მისი მოღვაწეობა, მოღვაწეობა მრავალმხრივი, უანგარო და შედეგების მიხედვით მეტად ნაყოფიერი და ფასდაუდებელი, მოკიაფე ვარსკვლავივით იქნება საქართველოს ისტორიაში.

ქართული კულტურის აღორძინების საქმე, დაწყებული XVII საუკუნეში და ბრწყინვალედ და ენერგიულად განგრძობილი სულხან ორბელიანისა და ვახტანგ VI-ის მიერ XVIII საუკუნეში, XIX საუკუნის დასაწყისში ძლივს ღაფავდა სულს. იგი რამდენადმე გამოცოცხლდა XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან, მაგრამ XIX საუკუნეში ჩვენში არ იყვნენ სამეცნიერო მიზნებისათვის მომზადებული პირები საკმაოდ, არ იყო სამეცნიერო ცენტრი, რომ გასძღოლოდნენ ჩვენი წარსულის შესწავლის საქმეს, შეენახათ და შთამომავლობისათვის გადმოეცათ ის მაინც, რაც გადაურჩა ჟამთა სიავეს და მოაღწია XIX საუკუნემდე.

ჩვენ მეტად დაგვაგვიანდა, ძალიან დაგვაგვიანდა ჩვენი წარსულის ძეგლების მოვლისა, მათი შეკრებისა და სათანადოდ დაცვის საქმეში. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ღვაწლი, რა თქმა უნდა, არ უნდა იქნეს დავიწყებული, არც საეკლესიო მუზეუმისა, რომელმაც მრავალი ხელნაწერი შეკრიბა, მაგრამ ეკლესია-მონასტრებში და კერძო პირების ხელში ჯერ კიდევ ბევრი უნიკალური ხელნაწერი, მეტად მნიშვნელოვანი სიგელ-გუჯრები და სხვა ისტორიული ძეგლები იყო, რომელთაც თანდათანობით აკლდებოდა და არ ემატებოდა.

მარი ბროსემ რომ 1848 და 1849 წელს საქართველოს ზოგი კუთხე მოიარა და თავისი მოხსენებანი დაბეჭდა ამის თაობაზე, ნათელი გახდა, თუ რა დიდი ისტორიული განძია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რომელიც ელის მკვლევარსა და გულშემატკივარს. ამასთანავე ერთად ხდებოდა დატაცება და განიავება უძვირფასესი ისტორიული ძეგლებისა, ხელნაწერებისა, ხატების მოჭედილობისა, ძვირფასი თვლებისა და ემალებისა, რომელთაც არ აკლებდნენ თავის ყურადღებას ლევაშოვები, საბინინები და მათნი მსგავსნი, რომლებსაც, ვითომცდა განახლებისა და შეკეთების მიზნით, გაჰქონდათ თავისთვის ძვირფასი ისტორიული ნივთები და ხელნაწერები.

---

ჩაწერილია მაგნიტოფონზე 1969 წლის 13 აპრილს, კვირას, რომანოზ დოლიძის მიერ. მაგნიტოფონიდან გადმოწერა თვით რომანოზმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აი რას წერდა ამ ოთხმოცი წლის წინათ დაბეჭდილ წიგნში გამოჩენილი რუსი მკვლევარი ნიკო კონდაკოვი, რომელმაც დიმიტრი ბაქრაძესთან ერთად მოიარა დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრები და რომელმაც გელათის შესახებ შემდეგი აღნიშნა: „რუსეთის დესპანმა ნიკიფორე ტოლოჩანოვმა, რომელიც 1650 წელს იყო იმერეთში, დაწვრილებით აწერა გელათის მონასტრის სიწმიდეები. ამჟამად ამ მონასტერში შემორჩენილია საცოდავიღა ნაწილი იმ სიმდიდრისა, ხელოვნებისა და ისტორიის ძვირფასი ძეგლებისა, რომლებიც მას იქ უნახავსო". კონდაკოვი დასძენს: „ტოლოჩანოვს რომ აუწერია გელათის ძვირფასი ისტორიული ხატები, ჯვრები და სახარებები, იმათგან ჩვენ ერთი მეშვიდედიღა თუ დაგვხვდაო". ასეთ უნუგეშო ვითარებაში იყო ჩვენში სიძველეთა დაცვისა და მოვლის საქმე. საჭირო იყო ორგანიზაციული ზომების მიღება ძვირფასი ისტორიული სიმდიდრის გადასარჩენად. ექვთიმე თაყაიშვილი სწორედ ის პირი აღმოჩნდა, რომელმაც შეძლო სისტემებრი და ორგანიზაციული ფორმა მისცემოდა ჩვენი ისტორიული ძეგლების მონახვისა, დაცვისა, მოვლისა და შესწავლის საქმეს.

ექვთიმე თაყაიშვილი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, რომ 1889 წელს აღმოაჩინა მნიშვნელოვანი ძეგლი ახალქალაქში, ხაშურის ახლოს. ეს იყო პარხლის ოთხთავი, იოანე-ბერას მიერ გადაწერილი X საუკუნეში და ცნობები ამ ხელნაწერის შესახებ მან დაბეჭდა მომდევნო წელს „სამ ისტორიულ ხრონიკაში". ეს ოთხთავი 1922 წელს შემთხვევით გადაურჩა საქართველოდან უცხოეთში გატანას. გერმანიის კონსულმა ფონ ვეზენდოკმა, რომლისთვისაც შესაძენად შეეძლიათ იგი, მოიტანა ეს ხელნაწერი უნივერსიტეტის მუზეუმში იმის გასარკვევად, თუ რას წარმოადგენდა ხელნაწერი და ღირდა თუ არა მისი შეძენა. ამ დროს იქ შევესწარით კორნელი კეკელიძე და მე. ჩვენ ავუხსენით კონსულს, რომ მაგ ხელნაწერს, რომელიც კარგად ცნობილია ლიტერატურაში, დიდი ხანია ვეძებთ და ვერ გვიპოვნიაო. კონსულმა ამის შემდეგ იუხერხულა ხელნაწერის შეძენა და იმ კაცს, რომელსაც ეს წიგნი თავისად მიაჩნდა, მეტი გზა არა ჰქონდა, რომ ხელნაწერი არ დაეთმო უნივერსიტეტის წიგნსაცავისათვის. ეს ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება გამოგვეცალოს ხელიდან ჩვენი მამა-პაპების მიერ შექმნილი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები, თუ ფხიზლად არ ვიქნებით.

ექვთიმე თაყაიშვილი სულ წინ-წინ მიდიოდა ერთხელ არჩეული გზით. შეიძლება ითქვას, რომ იგი იყო მოძრავი ინსტიტუტი, რომელმაც თითქმის მთელი საქართველო შემოიარა, ზოგჯერ მარტომ, ზოგჯერ თანამშრომლების თანხლებით და შეკრიბა უტყუარი ცნობები უამრავი ისტორიული ძეგლების შესახებ, არქიტექტურულ ნაგებობათა, ხელნაწერებისა და საეკლესიო ნივთებისა, წარწერებისა, კედლის მხატვრობისა და სხვათა შესახებ.

არქეოლოგიაო, რომ ამბობენ, ამჟამად იგი გვესმის ისეთ მეცნიერებად, რომელიც სწავლობს და იკვლევს გათხრების გზით მოპოვებულ ნივთებს და არკვევს ძველი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, მაგრამ წინათ არქეოლოგიად მიაჩნდათ ცნობების შეკრება მიწის ზედაპირზე მდგომ ეკლესია-მონასტრებში თუ ციხეებსა და სახლებში შემონახული ძველი ნივთებისა და საისტორიო მასალების შესახებ. ე. თაყაიშვილს გათხრებიც უწარმოებია, მაგრამ იგი უმეტესად არქეოლოგი იყო ძველებური გაგებით, მან რამდენიმე არქეოლოგიური ექსკურსია და მოგზაურობა მოაწყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: 1902 წელს იგი იყო კოლა-ოლთისში, 1910 წელს — ლეჩხუმ-სვანეთში, 1917 წელს — სამხრეთ საქართველოს პროვინციებში, რომლებიც წინათ ოსმალეთს ეკავა და პირველი მსოფლიო ომის

დროს რუსეთის ჯარებმა დაიპყრო. 1919 წელს მან იმოგზაურა რაჭა-ლეჩხუმში. სად არ ყოფილა ბატონი ექვთიმე სამეცნიერო მიზნით: სამეგრელო და ზემო იმერეთი, ზემო თუ ქვემო ქართლის კუთხეები, თეთრი წყაროს მიდამოები, ახალციხისა და ახალქალაქის რაიონები, კახეთი და სხვა, სულ დავლილი აქვს და შესწავლილი იქაური ეკლესია-მონასტრები და სხვა საისტორიო ძეგლები, ციხე-კოშკები და სხვა, ნანახი აქვს იმ დროს იქ დაცული ხელნაწერები, წარწერები, თვით ხუროთმოძღვრების ძეგლები, გადმოხატული და გადმოღებული ფოტოგრაფიულად და შესრულებული ანაზომების მხრივ და სხვა.

ექვთიმე თაყაიშვილი რომ არა, განა ჩვენამდის მოაღწევდა ისეთი ძვირფასი ხელნაწერი, როგორიც არის „ხელმწიფის კარის გარიგება"? რა თქმა უნდა, არა! იმიტომ რომ ექვთიმე თაყაიშვილმა იგი იპოვა ქართლში მოგზაურობის დროს ერთ ოჯახში, და ამოიღო ნაგვიდან, რომელიც მის თვალწინ გამოგავეს ოთახიდან. გესმის, მსმენელო? ნაგვისათვის უნდა გაეყოლებინათ უძვირფასესი ხელნაწერი! ეს ძეგლი მერმე თვით ექვთიმე თაყაიშვილმა შეისწავლა და გამოსცა სათანადო შენიშვნებითურთ.

ე. თაყაიშვილი რომ არა, ვინ იკისრებდა ოთხ ხან-იანი დაწესებულების დაარსებას და მის ღირსეულად გაძღოლას, ე. ი. „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისას"? ამ საზოგადოებამ, რომელიც 1907 წელს დაარსდა, შემოიკრიბა თავის გარშემო თბილისში მყოფი მეცნიერები: მოსე ჯანაშვილი, კორნელი კეკელიძე, სერგო გორგაძე, იუსტინე აბულაძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი და სხვები და გაჩაღდა ცხოველი სამეცნიერო კვლევა-ძიება. ამ საზოგადოების ორგანოში, რომელსაც ერქვა „საქართველოს სიძველენი" და რამდენიმე ტომი გამოვიდა, დაიბეჭდა მრავალი სიგელ-გუჯარი. მეორე ორგანოში, რომელსაც „ძველი საქართველო" ეწოდებოდა და რომელიც აგრეთ-

ეროვნული
ვე რამდენიმე ტომი გამოვიდა, დაიბეჭდა მრავალი გამოკვლევა და დიდძალი ხალხური სიტყვიერების მასალა, შეკრებილი ქართლში თედო რაზიკაშვილისაგან, ფშავში ვაჟა-ფშაველასაგან, თუშეთში ივანე ბუქურაულისაგან, კახეთში ბილანიშვილისაგან, საინგილოში მოსე ჯანაშვილისაგან და სხვათაგან და სხვათაგან.

ექვთიმე თაყაიშვილი უანგარო და თავდადებული მუშაკი იყო, რომელსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და ყველა ეხმარებოდა, ვისაც კი გული შესტკიოდა საქართველოს წარსულისა და აწმყოს შესწავლის საქმისთვის და მისი მომავლის შენებისთვის. დიდია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ძველი ხელნაწერების აღწერის საქმეში. მისი ორი დიდი ტომი „წერა-კითხვის საზოგადოების" ხელნაწერთა აღწერილობისა ძვირფასი შენაძენია საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის საკითხების შესწავლის საქმეში.

ექვთიმე თაყაიშვილმა პირველმა აღნიშნა, რომ „ვეფხისტყაოსნის" პირველი გამოცემა 1712 წლისა, რომელიც ვახტანგის საქმეა, კრიტიკული გამოცემაა, ე. ი. ისეთი გამოცემა, რომელიც მეცნიერული დაკვირვების შედეგად არის დადგენილი. იგი ეყრდნობა ჩანართიანი ხელნაწერების ტექსტს, მაგრამ შეძლებისამებრ გაცხრილულია ჩანართებისაგან. ამ დებულებას ექვთიმე თაყაიშვილისას ზოგი არ იზიარებდა ჩვენში, მაგრამ იგი შემდგომ ბრწყინვალედ დადასტურდა, რადგანაც გამოირკვა, რომ ვახტანგი კომენტარებს უწერდა სწორედ ჩანართებიან ტექსტს.

ექვთიმე თაყაიშვილის კალამს ბევრი წიგნის გამოცემა ეკუთვნის. პირველ ყოვლისა ისტორიული თხზულებანი იპყრობდა მის ყურადღებას და ქრონიკები, მაგრამ აგრეთვე ლიტერატურული ძეგლებიც. აღსანიშნავია, პირველ ყოვლისა, მისი გამოცემა მარიამისეული „ქართლის ცხოვრებისა". ეს ძეგლი მან ისე გამოსცა, რომ იგი ხელნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერის მაგივრობას სწევს. გამოცემას ახლავს შენიშვნები და ვარიანტები, აგრეთვე დამატებანი, აპოკრიფები და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებანი. შემდეგ უნდა აღვნიშნოთ „ქართლის მოქცევის“ ტექსტი, რომელიც მან გამოსცა X საუკუნის ხელნაწერის მიხედვით, ე. წ. „შატბერდის კრებულისა“, და პარალელურად დაუყენა ჭელიძის მონასტერში ნაპოვნი გვიანდელი ტექსტი. ამას უნდა დავსძინოთ „სუმბატ დავითისძის ქრონიკის“ გამოცემა, აგრეთვე „ხელმწიფის კარის გარიგების“ ტექსტის გამოცემა და სხვა. სალიტერატურო ძეგლებიდან აღსანიშნავია „ბალავარიანის“ გამოცემა 1895 წელს. ამ გამოცემის საფუძველზე ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც იგი რუსულად თარგმნა, მეცნიერთა წრეებს მიაწოდა სანდო ტექსტი მეტად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლისა. აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემული „კათალიკოს-ბაქარიანი“, „მელის წიგნი“, „თიმსარიანი“ და სხვა. წარწერა რამდენი გამოსცა ბატონმა ექვთიმემ. ამას ხომ ვერ მოსთვლის კაცი! საკმარისია დავასახელოთ ზოგი მათგანი: მაგალითად, მისი ხუთ წიგნად რუსულ ენაზე გამოსული «Археологические экскурсии, разыскания и заметки». აგრეთვე მისი „არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები იმერეთსა და სამეგრელოში“, ქართულად, აგრეთვე „ექსპედიციის შედეგები სამხრეთ საქართველოს პროვინციებში“, რომელიც მან 1917 წელს მოაწყო. წიგნი დაიბეჭდა როგორც ქართულად, ისე რუსულად, მისი სიკვდილის შემდგომ.

1918 წელს რომ უნივერსიტეტი დაარსდა ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით, ექვთიმე თაყაიშვილი იყო ერთ-ერთი მისი დამაარსებელთაგანი. პირველი სხდომა პროფესორთა კოლეგიისა, რომელიც იხილავდა უნივერსიტეტის დაარსების საკითხებს, სწორედ ბატონ ექვთიმეს ბინაზე შედგა ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით. უნივერსიტეტმა ექვთიმე თაყაიშვილს პირველსავე წელს მიანიჭა დოქტორის საპატიო წოდება, რომელიც მას, რა თქმა უნდა, დიდი ხანია ეკუთვნოდა.

1921 წელს მენშევიკურმა მთავრობამ საქართველოდან საფრანგეთში გაიტანა ძვირფასი ხელნაწერები და სხვა სამუზეუმო ნივთები. ექვთიმე თაყაიშვილი თან გაჰყვა ამ ეროვნულ განძს მცველად და ფხიზლად იცავდა მას წლების განმავლობაში. ბატონი ექვთიმე რომ არა, ვინ იცის, რა მოუვიდოდა ამ სიმდიდრეს! იგი ცდილობდა, რომ ეს ძვირფასი ნივთები საქართველოსვე დაბრუნებოდა და თავის წერილებში ვუკოლ ბერიძეს, იროდიონ სონღულაშვილს და სხვებს ექვთიმე თაყაიშვილი სთხოვდა, ემუდარებოდა, მიეღოთ ჩვენში გადამწყვეტი ზომები, რომ ჩვენი მუზეუმებიდან გატანილი ქონება ისევ საქართველოს დაბრუნებოდა.

საზღვარგარეთ ყოფნისას ბატონი ექვთიმე არ იყო გულზე ხელდაკრეფილი. იგი იქაც განაგრძობდა სამეცნიერო მოღვაწეობას: გამოსცა „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში“, რომელიც მან 1907 წელს მოაწყო, და „არქეოლოგიური ექსპედიცია სვანეთში“, რომელიც მან 1910 წელს მოაწყო. ამას გარდა, აღწერა პარიზის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერები და ბეჭდავდა წერილებს ფრანგულად იქაურ ჟურნალებში.

1928 წელს გიორგი ახვლედიანი და მე ვიყავით ინგლისში, სადაც აგვისტოს ბოლოს, ოქსფორდში, მოეწყო ორიენტალისტთა მე-17 საერთაშორისო კონგრესი, რომელზედაც ჩვენ მოხსენებანი წავიკითხეთ. სამშობლოში დაბრუნებისას გამოვიარეთ საფრანგეთზე და პარიზის ერთ კაფეში ვნახეთ ჩვენი ძვირფასი ექვთიმე, უნივერსიტეტის ერთი დამაარსებელთაგანი და მისი ერთ-ერთი ბურჯი. გადავკოცნეთ ერთმანეთი და ტკბილად ვისაუბრეთ. ბატონმა ექვთიმემ გვთხოვა, როგორმე მოგვეხერხები-

ეროვნული

ნა სამუზეუმო ნივთების დაბრუნება საქართველოში. ჩემი მეორე სიკვდილი იქნებაო, გვითხრა მან ცრემლებით, რომ ეს ნივთები საქართველოს არ დაუბრუნდესო. მართლაც, ამ ნივთებს ბევრი ეპოტინებოდა, მაგრამ ე. თაყაიშვილი ფხიზლად იცავდა მათ. მათი დაბრუნება მხოლოდ 1945 წელს მოხერხდა, როდესაც საფრანგეთის პრეზიდენტი დე-გოლი მოსკოვს ეწვია და იოსებ სტალინმა იგი დაითანხმა, რომ ჩვენი ეროვნული განძი დაებრუნებინა. ექვთიმე თაყაიშვილი თან წამოჰყვა ამ განძს კაიროზე გამოვლით და თბილისში დასახლდა თავის ნაშვილებ ლიდიასთან ვაშლოვანის ქუჩაზე, ვერის ბაზართან ახლოს. სამშობლოში დაბრუნების შემდგომ ექვთიმე თაყაიშვილი აღადგინეს პროფესორად უნივერსიტეტში და აირჩიეს საქართველოს აკადემიის ნამდვილ წევრად.

მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, ექვთიმე თაყაიშვილს შემორჩა საღი გონება. იგი კარგი მეხსიერებისა იყო და აგრეთვე მხნედ განაგრძობდა სამეცნიერო მუშაობას. სხვათა შორის, მან აქ მესამედ გამოსცა, 1949 წელს, „სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ".

ფეხის ტკივილის გამო ბატონ ექვთიმეს უჭირდა სიარული და ქალაქში და ქალაქს გარეთ სეირნობდა ავტოთი. მე ხშირად ვყოფილვარ მასთან ბინაზე და გვქონდა საუბრები სამეცნიერო საკითხებზე.

იგი აპირებდა „ხელმწიფის კარის გარიგების" ახალ გამოცემას, მაგრამ არ დასცალდა. სამაგიეროდ დაგვიტოვა საინტერესო მოგონებანი, რომლებიც ბატონ ექვთიმეს ნაამბობის მიხედვით გიორგი ლომთათიძემ ჩაწერა.

ექვთიმე თაყაიშვილს ბოლომდე შერჩა კარგი მეხსიერება, კვლევა-ძიების წყურვილი, თანაც დიდი იმედი ჩვენი წინსვლისა და ეროვნული მეობის შენახვისა და განვითარებისა.

გარდაიცვალა ბატონი ექვთიმე, დიდი მოჭირნახულე ქართველი ერისა, 1953 წელს, 21 თებერვალს, და დავასაფლავეთ ახალი ვერის სასაფლაოზე. გამოსათხოვარ სიტყვაში მოკლედ აღვნიშნე მისი დიდი ღვაწლი და ბოლოს ვუთხარი: ბედნიერი ხარ, რომ დაუბრუნდი სამშობლოს, რომლისთვისაც შენ ეგოდენ დიდი და გმირული მუშაობა გასწიე და ებარები მის წმიდა მიწას-მეთქი, მერმე, რამდენიმე წლის შემდგომ, გარდაიცვალა იროდიონ სონღულაშვილი. რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის მარჯვენა ხელი იყო სამუზეუმო საქმეში, მისანდობი კაცი და ალალ-მართალი, კაცი ღირსეული, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილთან. იგი სწორედ ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით დავასაფლავეთ.

გავიდა 10 წელი ექვთიმეს გარდაცვალებიდან და 1963 წელს, ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, მისი ნეშტი გადავასვენეთ დიდუბის პანთეონში.

სასიამოვნოა, რომ ექვთიმე თაყაიშვილის სახელი ეწოდა მისი სოფლის ლიხაურის საშუალო სკოლას.

ასეთია, მოკლედ, ცხოვრება და ღვაწლი დიდი ქართველის ექვთიმე თაყაიშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან მაჭარაძე

# ერეკლე II-ის ურთიერთობა ქურთებსა და ასირიელებთან

## XVIII საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე

ქურთებისა და ასირიელების ისტორიისა და კულტურის შესწავლის ხაზით ჩვენში (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ცოტა როდი გაკეთდა. მაგრამ არც ისაა დასამალი, რომ ამ ხალხებთან საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია სპეციალური კვლევის საგნად ჯერ არავის გაუხდია და არც დოკუმენტების ძიება ჩაუტარებია.

მოსკოვის არქივებში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მასალებზე მუშაობისას, ჩვენ არა ერთ საყურადღებო საბუთს წავაწყდით, რამაც დაგვარწმუნა, რომ ახლო აღმოსავლეთის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის მასალების ძიება პერსპექტიულია, თუმცა იგი შრომატევადია, რადგან მასალა მრავალ ფონდშია მიმოფანტული. აქ ზედმეტად მიმაჩნია იმის მტკიცება, თუ რამდენად აქტუალურია დღეს ეს პრობლემა.

წინამდებარე წერილში ამ დიდი და საყურადღებო პრობლემის, რომელიც ურთიერთობის ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, ერთ ეპიზოდზე შევჩერდებით, რომელიც დამახასიათებელია არა მარტო XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის, არამედ წინა საუკუნეებისათვისაც, რამაც განაპირობა ქურთებისა და ასირიელების საქართველოში ჩამოსახლება.

წინამდებარე წერილში აღძრულ საკითხზე დოკუმენტების ნაწილი პროფ. ა. ცაგარელმა გამოაქვეყნა.[1] მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ მკვლევარს ზოგიერთი საყურადღებო საბუთი გამორჩენია, ხოლო რაც გამოაქვეყნა — სერიოზული ხარვეზები გააჩნია (გამოტოვებულია საყურადღებო ადგილები), შეცდომებია დაშვებული დოკუმენტების დათარიღებაში, ასირიელთა ეპისკოპოსი გამოცხადებულია სომეხთა ეპისკოპოსად და სხვ.

* * *

როგორც ცნობილია, მომთაბარე თურქული ტომების გამოჩენამ უდიდესი ზიანი მიაყენა ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხებს, ხოლო ოსმანთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების დროიდან, მათი რისხვა ჯერ ბიზანტიას დაატყდა თავს, ხოლო შემდეგ მათი ხანგრძლივი ბატონობის უღელი სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ხალხებმაც (ბერძნებმა, ბულგარელებმა, ალბანელებმა, სერბებმა, ხორვატებმა, რუმინელებმა, უნგრელებმა) იგემეს. დავით აღმაშენებლის მიერ კავკასიიდან გადარეკილი თურქები XVI საუკუნიდან კვლავ მობრუნდნენ აღმოსავლეთისაკენ, დაიწყო ირან-ოსმალეთის სამსაუკუნოვანი ომების სერია კავკასიისა და ახლო და შუა აღმოსავლეთში ბატონობისათვის. ამ ომებმა უდიდესი ზიანი მიაყენა ამ რეგიონის ძველისძველ, მკვიდრ ქრისტიანულ მოსახლეო-

[1] Грамота и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, под ред. А. А. Цагарели, т. I, СПБ, 1891; т. II, вып. I, СПБ, 1898 (ქვემოთ ასე: Грамоты, I; Грамоты, II, вып. I).

ბას (ქურთებს, ასირიელებს, სომხებს, ქართველებს). საყოველთაოდ ცნობილია, რომ ომების გარდა, ისლამი და მიწის მფლობელობის ოსმალური წესი, ამ ხლხების ფიზიკურ განადგურებასთან ერთად, მათ სრულ ასიმილაციას — გათურქებას უწყობდა ხელს. ამიტომაც XVI საუკუნიდან ამ ხალხების ურთიერთობა პოლიტიკის საკითხი კი არა, მათი არსებობა-არარსებობის საკითხი გახდა. პირველი დარტყმები, როგორც წესი ჩვენს მეზობლებს (ასირიელებს, ქურთებს, სომხებს) ხვდებოდა და მათი სახელმწიფოებრიობის აღდგენა ვერ მოხერხდა. ეს ომები მძიმე იყო საქართველოსათვისაც, მაგრამ მთელი რიგი მიზეზების გამო, ქართველებმა მაინც შესძლეს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება. ამიტომ იყო, რომ მეზობელი ხალხებისათვის საქართველო მიზიდულობის ცენტრი გახდა და მრავალგზის დაქცეული, ფერფლიდან ხელახლა აღმსდგარი, ქართული სახელმწიფო, მათთვის იმედის ნაპერწკლად ღვიოდა.

XVIII საუკუნის შუახანებში ირანში დაწყებული შინაფეოდალური ომებით მარჯვედ ისარგებლეს ქართველმა პოლიტიკოსებმა და არა მარტო ქართლ-კახეთს მოუპოვეს დამოუკიდებლობა, ირანის ტახტის მაძიებლებთან წარმატებითი ბრძოლით თავიანთი გავლენა გაავრცელეს ერევნის, განჯის და ნახჩევანის სახანოებზე. უჩვეულოდ გაიზარდა ერეკლე II ავტორიტეტი არა მარტო აღმოსავლეთში, ევროპაშიც.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში ირანში შინაბრძოლები დასასრულს მიუახლოვდა და ირანის გამგებელი ქერიმ-ხანიც ერეკლესთან მეგობრულ ურთიერთობას არჩევდა, ამიტომ იგი არა მარტო სცნობდა ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობას, ირანის ყოფილ პროვინციებზე (ერევნის, განჯის, ნახჭევნის სახანოებზე) ერეკლეს გავლენასაც აღიარებდა. თურქეთი, ევროპაში გართულებული ამბებისა და დასავლეთ საქართველოში სრული დამკვიდრებისათვის ბრძოლის წარუმატებლობის ვითარებაში, ერეკლესთან მეგობრულ ურთიერთობაში დარჩენას ამჯობინებდა.

ამ საქმეში გარკვეულ როლს თამაშობდა რუსეთიც, რომელმაც არა ერთგზის აგრძნობინა თურქეთს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს საქმეში არ ჩარეულიყო.

ახეთ ვითარებაში სომხეთის გამათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე ი. ემინი სპეციალურად ჩამოვიდა საქართველოში და ერეკლეს თურქეთის უღელქვეშ მყოფი სომხების განთავისუფლების საქმეში დახმარება თხოვა, ამავე დროს, წინადადება მისცა სომეხ-ქართველთა გაერთიანებული სახელმწიფოს მეფის გვირგვინი დაედგა თავზე. მაგრამ ერეკლემ კარგად იცოდა, რომ საკუთარი ძალებითა და სომეხთა აჯანყების იმედით სულთანთან შებმა არ შეიძლებოდა; ამიტომ მეფემ, შემდგომში გართულების თავიდან ასაცილებლად, სომეხთა პატრიარქის წინადადებით, ი. ემინი საქართველოდან გააძევა.[1]

როგორც ირკვევა, ერეკლეს შველას თხოვდნენ არა მარტო თურქეთის უღელქვეშ მყოფი სომხები, არამედ ქურთები და ასირიელებიც.

1768 წელს თურქეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. რუსეთის მთავრობა, ევროპის ქვეყნების მტრული პოზიციის გამო, ცდილობდა თურქეთის უღელქვეშ მყოფი ქრისტიანი ხალხების გამოყენებას, რათა დამკვიდრებულიყო შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე და მოეპოვებინა შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის უფლება. რუსეთის გეგმაში, ბალკანეთის ქრისტიანებთან ერთად, ქართველებსაც გარკვეული ადგილი ეჭირა. განსაკუთრებით დიდ იმედს ამყარებდნენ სოლომონ მეფეზე, რომელიც კარგა ხანია ებრძოდა თურქეთს, რაც შეეხება ერეკლეს — მისი მიმხრობა საეჭვოდ მიაჩნდათ, რადგან მას ამჟამად თურქეთთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ მაინც იმედოვნებდნენ, რომ „ქრისტიანების საერთო მტრის" წინააღმდეგ ბრძოლაში მასაც ჩააბამდნენ.[2]

რუსეთში ამ ამბებში იყვნენ, როცა იმერეთის ელჩის მაქსიმე ქუთათელის ყიზლარში მისვლის ამბავი შეიტყვეს და ყიზლარის კომენდანტს უბრძანეს: იმერეთის ელჩი სამეფო კარზე სასწრაფოდ გაესტუმრებინა, ხოლო ელჩის ამალიდან არქიმანდრიტი — სოლომონ მეფესთან, რომ ჩქარა ეცნობებიათ იმერეთის მეფისათვის მისი თხოვნის შეწყნარება, რათა მას დაუყოვნებლივ დაეწყო ომი თურქეთთან, თანაც ეზრუნა ერეკლე მეფის ომში ჩაბმაზე. არქიმანდრიტს პორუჩიკი ხვაბულოვიც (ქობულაშვილი) გამოატანეს, რომელსაც ქართველი მეფეებისათვის აგიტაცია უნდა გაეწია და ცნობები შეეგროვებია.[3]

1769 წლის მაისში ერეკლე II და სოლომონ I თბილისში შეიკრიბნენ, ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ და რუსეთის მთავრობისათვის პირობების წასაყენებლად, თავ. ხვაბულოვს თავიანთი ელჩებიც (არტემონ ანდრონიკოვი და დ. კვინიხიძე) გაატანეს.

ყიზლარში დაბრუნებული თავ. ხვაბულოვი 1769 წლის 24 ივლისს კომენდანტს გენ. პოტაპოვს მოახსენებდა: „თბილისში ყოფნისას, თქვენი მაღალაღმატებულობის სიტყვიერი ბრძანებით, მეფე ერეკლეს მოვახსენე თავის მხრივ არარატელი სომხებიც აემხედრებინა თურქეთის წინა-

---

[1] А. Иоанисиан. Иосиф Этин, Ереван, 1945.

[2] Грамота, I, ст. 1—9.

[3] უფრო დაწვრილებით: იხ. ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, თბ., 1957.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმდეგ ომში"[1] ერეკლეს ამაზე თანხმობა განუცხადებია: „პირიქით — მოახსენებდა თავ. ხვაბულოვი გენ. პოტაპოვს — მეფე ერეკლემ განაცხადა, რომ მას ძალიან ადვილად შეუძლია მათი ამხედრება, რადგანაც სომხების ნაწილი მისი ქვეშევრდომებია, მაგრამ მისი თხოვნაა, რომ მას აქაური (რუსეთის — ვ. მ.) დახმარება აღმოუჩნდეს და განზრახული აქვს აამხედროს არარატელი სომხები, რომ მათი მხრიდან წარემართოს ლაშქრობა თურქეთის ქალაქებისაკენ".[2]

სომხების ამხედრება რომ ერეკლეს არ გაუჭირდებოდა, ეს ყიზლარის კომენდანტისათვის კარგად იყო ცნობილი ა. იმენის საქმიანობითა[3] და მრავალრიცხოვანი ინფორმაციით, რომელიც 60-იან წლებში ყიზლარში მიდიოდა. მაგრამ ერეკლეს არა მარტო სომხების ამხედრების იმედი ჰქონია, არამედ ქურთების და ასირიელებისაც. ამიტომ ერეკლე რუსეთის წარმომადგენელს უცხადებდა: თუ რუსეთიდან დამხმარე ჯარს მივიღებ, „თურქეთის ქალაქებს დავიპყრობ თვით ცარგარადამდეო".[4] მეფეს კარგად სცოდნია, რომ თურქების მიერ შევიწროებული ქურთები და ასირიელები კარგი მეომრები იყვნენ და მათი ამხედრების იმედიც ჰქონდა.

ხვაბულოვთან ერთად რუსეთში გაგზავნილ ელჩს ა. ანდრონიკოვს (ანდრონიკაშვილს) ერეკლემ გაატანა მეზობელი ქვეყნების აღწერა, რომელიც 1768 წლის 14 ივნისითაა დათარიღებული. „აღწერაში", რომელიც მრავალი საინტერესო ცნობის შემცველია, მოცემულია აგრეთვე მეზობლების სამხედრო პოტენციალის დახასიათება. კერძოდ, ყარსისა და ბაიაზეთის მხარეების აღწერისას, სადაც დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ სომხები.[5] ქურთების შესახებ ნათქვამია: „ეს ბაიაზეთის ქურთები ხვანთქარს მაგოდნად არას ემსახურებიან, თუ არ თავისის ნებითა. ძევს სამხრით კერძო და დამოკიდებულ არს ზურგსა არარატისასა და მესაზღვრენი არიან ერევნისა, სალმასისა და ყარსისა, და ესენი იმათზედ ომში უფრო გამოცდილნი არიან და აქუსთ ქვეყანა შენი და მტრისაგან წაუმხდარი".[6]

რაც შეეხება ასირიელებს, „აღწერაში" ნათქვამია: „სირიელნი, რომელნიცა იმყოფებიან საშუალ სპარსეთისა და ოთმანიანთა, და არიან ერნი მრავალნი, მქონებელნი მთისანი, თუ ბარისანი, სარწმუნოებით სრულიად ქრისტიანენი, ვითარ რაოდენნიმე მილიონნი და უფროსი ერთი გამოცდილნი ბრძოლათა შინა. ერთი წელიწადი არის, რომ მრავალჯერ მოგვივლინეს კაცნი ვედრებისანი სამღუდელონი, ეპისკოპოსნი და მღუდელნი, ანუ თუ მთავართაგანი, გვევედრნენ და გვევედრებიან იქიდამ აყრასა და ჩვენს ქვეყანაში მოსულასა. ამათგანნი ზოგნი ჩვენზედ დიდად შორიელნი არიან და ზოგნი მახლობელნი; ჩვენც აღმხედრებას ვაპირებდით და რომელთაც მახლობელებს სირიელთ ჩვენი ხელი მისწვდებოდა, იმათს მოყვანას ვაპირებდით და შორიელთაცა ზედა სხვაგვარ ხელის მიცემასა, როგორც ჩვენგან შეიძლებოდა. და ამ განზრახვასა შინა რა ვიყვენით, მაშინ წარმოგვიდგა ღვთივ განგებული აღრჩევა ესე მისის დიდებულებისა მოწყალის ხელმწიფისა მოხედვა საზოგადოდ ყოველთა ქრისტიანეთე ზედა და ჩვენ დიდებულებისა მისისა სამსახურისა ღონისძიებაში შევედით და ვართ. და ოდეს მოწყალის ხელმწიფის მზის თუალის სახე შუქი გამოუბრწყინდებათ ჩვენის მხრის ქრისტიანეთა და მისის დიდებულების ხელი დაგვეფარება, მაშინ ამ სირიელთა ერისა და ადგილისაგან ძალსა არა მცირედსა მოვირთხამთ ჩვენს მახლობელთა ზედ და ბარის კაცთზედ, რომელსაც ადგილზედ ხელი მიგვიწუდება იმათ ჩვენს ქვეყანაში მოვიყვანთ და აქედამ მოვირთავთ იმათ ძალსა, და შორიელთა, რომელნიცა მთათა და სიმაგრეთა შინა არიან, და რაც ერთის მხრის მაჰმადიანთ ეგოდნად რომ არას ემორჩილებიან., იმათ თავიენთ ადგილიდამ შემოვიერთებთ და ქრისტიანობის მტერზედ აღმხედრდებიან და აღვამხედრებთ".[1]

ამასობაში იმერეთის მეფის დასახმარებლად გამოგზავნილი მცირე რაზმით (სულ 480 კაცი) გენ. ტოტლებენი საქართველოში შემოვიდა. ერეკლემ გენერალს იმერეთში გატარებაზე თანხმობა მისცა, მაგრამ ომში მონაწილეობაზე, ჯარის გადიდების გარეშე, უარი განუცხადა, ამიტომ ტოტლებენი იძულებული გახდა ერეკლეს დაპირებოდა საექსპედიციო ჯარის 5 ათას კაცამდე გაზრდას. ერეკლე თანახმა იყო ომში ჩაბმულიყო, თუ დანაპირების გარანტია იქნებოდა, ხოლო ამათგან 1500 კაცს მაინც თუ ზამთრამდე გადმოიყვანდნენ, მეფე მზად იყო შეჭრილიყო ახალციხეში და მარჯვე პლაცდარმი დაეკავებია, სანამ თურქები ძალების გადმოსვლას მოასწრებდნენ. ტოტლებენმა 1500 კაცის გადმოყვანა ვერ შეძლო და ახალციხეზე ლაშქრობა 1770 წლის გაზაფხულისათვის გადაიდო.[2]

---

1 АВПР, ф. Сн. России с Грузией, 1768-74 гг., оп. 110/2, д. 7, лл. 81—82; Грамоты, I, с. 431.

2 იქვე.

3 А. Иоанисиан. Иосиф Эмин, Ереван, 1945.

4 АВПР, ф. Сн. России с Грузией, 1768-74 гг., оп. 110/2, д. 7, л. 80; Грамоты, I, с. 429.

5 სომხებზე ჩვენ არაფერს ვამბობთ, რადგან მათზე ცალკე წერილში გვექნება საუბარი.

6 АВПР, ф. Сн. России с Грузией, 1761 г., оп. 110/2, д. 2, лл. 118—123; Грамоты, II, вып. I, с. 8—13.

---

1. იქვე.

2 დაწვრილებით იხ.: ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, თბ., 1957.

1770 წლის გაზაფხულზე ერეკლემ შეიტყო, რომ რუსეთის მთავრობამ ჯარი 4000 კაცამდე გაადიდა და დამხმარე ძალები გზაში იყო, ამიტომ მარტში ახალციხეზე ლაშქრობის სამზადისს შეუდგა და ქურთებთან და ასირიელებთან კავშირი დაამყარა. ასირიელთა ეპისკოპოსი ისაია საქართველოში ჩამოვიდა და ერეკლესთან მოლაპარაკების შემდეგ, 1770 წლის აპრილში, ერევნის გზით, ბაიაზეთისკენ გაემგზავრა. ესაია ეჩმიაძინის კათოლიკოსს შეუპყრია,[1] მაგრამ ერეკლეს კაცების ჩარევით გაუთავისუფლებია, შემდეგ იგი ქურთებს შეხვედრია და ბოლოს სიმონ კათალიკოსთან გამოცხადებულა: „წაველი იეზიდებიც ვნახე და აისორის კათოლიკეც, — წერდა ისაია ეპისკოპოსი ერეკლე მეფეს 1770 წლის 15 აგვისტოს, — სიყვარულობით თქვენი ყული შეიქნანენ, ჩემო ხელმწიფევ, რაც თქვენი ბრძანება იყო ყოველს კუთხეზედ გავსარჯეთ. სანამ ცოცხალი გახლავართ, თქვენი მლოცველი და თქვენი მოსამსახურე გახლავარ. თქვენს კარზედ ხელს არ ავიღებ, სანამდი ცოცხალი ვარ. ამას გეხვეწებით ჩვენს ბედნიერს ხელმწიფეს, რომ დიაღ მეშინია — ერთი თქვენი წყალობის ყამოდის(?) წიგნი გვიბოძოთ. ერთ ამას მოგახსენებთ, რომ ამ იეზიდებს და კათოლიკოზს სიმოვნს ერთი თქვენი წყალობის წიგნი უბოძოთ ქართულის ენით, რომ ამათი გულიც გამაგრდეს".[2] წერილზე ერეკლე მეფეს ასეთი მონაწერი გაუკეთებია „ქ. ასურთ ეფისკოპოზი ისაია, რომელიც ამის უწინარეს ჩვენთან მოვიდა და გვითხრა: ასურთ შემოერთება უნდათ თქვენიო, ეს იმის მოწერილია, და იმ ასურთ მოციქულიც იყო ჩვენთან დიდის ვედრების ხმით, რომელიც უწინ ამისა მაღალს კარს (რუსეთს — ვ. მ.) მოვახსენეთ, რომ ამათ ჩვენი შემოერთება უნდოდათ".[3]

მეორე წერილში, რომელიც 1770 წლის 18 აგვისტოსია, ისაია ეპისკოპოსი ერეკლე მეფეს წერდა: „ქ. მონა იესო ქრისტეს და თქვენი ფეხთა მტვერი ისაია ეპისკოპოზი, დღე და ღამე თქვენი მლოცველი და თქვენი გამარჯვების მონატრე. ჩვენო ბედნიერო ხელმწიფევ, ახლა ამას მოვახსენებთ ჩვენს ბედნიერს ხელმწიფეს, რომ აქ დახლი შევიქენით: წაველი მაჰმედა ქურდისტანს, იეზიდების უფროსი ვნახე, თქვენ(ი) ბედნიერი რაყამი უჩვენე, დიდად გაეხარდათ, თქვენი რაყამი თავზედ დაიდვეს და თქვენი მორჩილი შეიქნენ. ჩემო ხელმწიფევ, ამას მეხვეწებიან, რომ ღ თ გამარჯვება მოგვცეს, ხოშობას ციხეს თხოულობენ, ცარიელი ციხე ჩვენ მოგვცესო, საქონელი არ გვინდაო, რომ თამამი იეზიდხანა იქ მოვგროვდეთო. ამ წყალობას ეძებენ თქვენგან, ამას მოგახსენებ ჩვენ მწყალობელს ხელმწიფეს, რომ დიაღ კარგი ვაჟკაცები არიან; მოსულს აქეთ რაც იეზიები არიან, სულ ამის მორჩილნი არიან, თავი იეზიდებისა ეს ჩობან-აღა არის, ჩემო ხელმწიფევ".[1]

ისაია ეპისკოპოსის წერილებთან ერთად, 1770 წლის 26 სექტემბერს ერეკლეს მიუღია კიდევ ორი წერილი: პირველი, 1770 წლეს 18 აგვისტოთი დათარიღებული ჩობან-აღას წერილი ქართულ ენაზე და მეორე, ასირიელთა კათოლიკოსის წერილი — ასირიულ ენაზე.

ჩობან აღას წერილში, რომელიც 1770 წლის 18 აგვისტოსია, ვკითხულობთ: „ქ. ღ თ მოწყალემ ბედნიერსა ხელმწიფის პირი და სატკივარი მოსცეს მათ ფეხთა მტვერს ჩობან აღას აბაღლულს, იეზიდის ჯამათს. ახლ(ა) ამას მოვახსენებთ ჩვენს მწყალობელს ხელმწიფეს, რომ აისორის ეფიზკოპოზის ესაიას ხელით რაყამი გებოძათ და უსტარი გებძანათ. ეს ვართაპეტი მოვიდა ჩვენთან, თქვენ(ი) ბედნიერი წიგნი და ბეჭედიცა ვნახეთ და თავზედ დავიდევით, დიდათ გაგვეხარდა, რომ ჩვენ გვიკითხე, ჩვენც თქვენი ფეხთა მიწა მტვერი ვართ, რაც გიბრძანებ(ი)ათ, იმ ბრძანების მორჩილი გახლ(ა)ვართ, თამაში იეზიდხანა ჯუმათა ყაბული გვაქვს თქვენი ხელმწიფობა. ჩვენ ახლ(ა) ამას მოგახსენებთ თქვენს (...),[2] რომ ღ თ ერთი ილრარი ერთი, რომ თქვენი ბრძანების მორჩილი გახლავართ, თქვენ ღ თა გამარჯვება მოგცეს, პატარა მოახლოვდი რომა აქედან არ გვეშინოდეს. ჩვენ მაჰმუდის იეზიდ ვართ, ჩვენც ამას გეხვეწებით, რომ სანამდი თქვენთა(ნ) გიახლებოდეთ ერთი უმედის წყალობის წიგნი გვიბოძეთ, რომ ჩვენ ზარარი არ გვეცეს, ჩვენ ხათრიჯამი ვიყოთ და ღ თი ერთი თქვენთან მოვედით

---

1 ლ. ტუხაშვილის სომეხთა კათალიკოსის ეს ნაბიჯი კონფესიურ ნიადაგზე მეტოქეობით აქვს ახსნილი (შდრ: ლ. ტუხაშვილი, ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებთან მე-18 საუკუნის მეორენახევარში. იხ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, 1973, ტ. II), რაც ჩვენ დამაჯერებლად არ მიგვაჩნია. მაგრამ ამის თაობაზე ცალკე წერილში გვექნება საუბარი.

2 АВПР, ф. Сп. России с Грузией, 1769-76 гг., от 110/2, д. 12, л. 134; Грамоты, II, вып. I, с. 60—61.

3 იქვე.

1 АВПР, ф. Сп. России с Грузией, 1769-76 гг., оп. 110/2, д. 12, л. 132; Грамоты, II, вып. I, с. 59—60.

2. ერთი სიტყვა გაურკვეველია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თქვენს კალთას ვემთხვიო, მაშინ შეიტყობთ, თუ როგორი მოსამსახურე ვართ".

ჩობან-აღას წერილზე ერეკლეს ასეთი მინაწერი გაუკეთებია: „ქ. ეს ჩობან ოღლი, რომელიც არის გვარათ იეზიდი, ეს არც არის ქრისტიანი და არცა მაჰმადიანი. მიმდევი უფრო ქრისტიანეთა და წინაალმდეგი არის მაჰმადიანთი. მასაც სურს შემოერთება, რომელიც ესენი დიდად შეჭირვებულნი არიან მაჰმადიანთაგან".

რაც შეეხება ასურთა კათალიკოსის წერილს, მასზე ერეკლეს ასეთი მინაწერი გაუკეთებია: „ქ. ეს წიგნი ასურის კათალიკოზის მოწერილი არის ესაია ასურის ეფისკოპოზთან. ეს წერილი ასურული არის და რა სწერია არ ვიცით, მაგრამ რომელმაც ეს წიგნი მოგვიტანა, იმან სიტყვით ასე გვითხრა რომელიც ქართული წიგნი მოგვიტანა, ეს წიგნიც იმის თანახმა არისო. ახლა თქვენს მაღალს ღრაფობის ბრწყინვალებას (ნ. პანინს — ვ. მ.) მოვართმვით და თქვენ უმჯობესად გასინჯავთ, როგორც არის და მანდ (რუსეთში — ვ. მ.) ვგონებ ამისი წამკითხავი უთუოდ გეშოვებათ".

აქ მოტანილი წერილები ნათლად მოწმობენ, რომ ქურთები და ასირიელები მოუთმენლად ელოდებოდნენ ერეკლეს „მიახლოებას"—ყარსსა და ბაიაზეთში შეჭრას, რომ დაეწყოთ აჯანყება ოსმალეთს სულთნის ბატონობის წინააღმდეგ, მაგრამ 1770 წლის 26 სექტემბერს, როცა მეფემ ეს წერილები მიიღო, ამის საშუალება ერეკლეს არ ჰქონდა.

საქმე ისაა, რომ ასპინძასთან 1770 წლის 20 აპრილს ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, ერეკლეს მართლაც შეეძლო ახალციხე-ახალქალაქის დაკავება და ყარსსა და ბაიაზეთში შეჭრა, მაგრამ ტოტლებენის ქართლში დაბრუნებამ და შემდეგ ავანტურამ, ყველაფერი არია. ამით ახალციხის ფაშამ სული მოითქვა და ლეკები წამოუსია ქართლ-კახეთს. მართალია, ტოტლებენს ავანტურა ტომსკის პოლკმა ჩაუშალა, მაგრამ ამის შემდეგ ტოტლებენი იმერეთში გადავიდა და ახალციხის მიმართულებით ლაშქრობის გაგრძელებაზე კატეგორიული უარი თქვა.[1]

ერეკლეს ისედაც გართულებულ ვითარებაში ყარსისა და ბაიაზეთის მიმართულებით მარტო ლაშქრობა არ შეეძლო, ამიტომ მეფემ ქურთებისა და ასირიელების წერილები, სათანადო მინაწერებით, რომელსაც ზემოთ გავეცანით, ნ. პანინს გაუგზავნა. საინტერესოა, რომ მეფემ ესაია ასურთა ეპისკოპოსის 1770 წლის 18 აგვისტოს წერილს, ნ. პანინის საუწყებლად ასეთი მინაწერი გაუკეთა: „ქ. ეს ესაია აისორთ ეფისკოპოზის მოწერილია; ამას თქვენი მაღალი ღრაფობის ბრწყინვალება (ნ. პანინი — ვ. მ.) ვაშინჯავს. თუ რუსეთის ჯარი და მეფე სოლომონ და ჩვენ ამ ზაფხულ ერთად ვყოფილიყავით, ჩვენს ქვეყნებსაც მტრისაგან დავიცავდით, ესენიცა და მხრის ქრისტიანენიც[2] ჩვენ ემოგვერთდებოდნენ და დიდი ძალი მოგვემატებოდა საზოგადო ქრისტიანეთ მტერთ ოსმალეთზედ".[2] — წერდა ერეკლე 1770 წლის 26 სექტემბერს.

რუსეთის მთავრობა ამ დროს ტოტლებენის მიერ საქართველოში აწეწილი საქმეების გამორკვევით იყო დაკავებული და ერეკლეს ვერაფერი უპასუხეს, თუმცა ქრისტიანების ომში მიმხრობის ინიციატივა, როგორც ზემოთ დავინახეთ, რუსეთიდან მოდიოდა.[3]

ამრიგად, ტოტლებენმა თავისი მოქმედებებით ჩაშალა სომხების, ქურთების და ასირელების თურქეთის წინააღმდეგ ომში მომხრობის ერეკლესეული გეგმა, რითაც ზიანი მიაყენა არა მარტო ამ ხალხებსა და საქართველოს, არამედ რუსეთის სახელმწიფო ინტერესებსაც.

---

1 უფრო დაწვრილებით იხ.: ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, თბ., 1957.

2 АВПР, ф. Сн. России с Грузией, оп. 110/2, д. 12, л. 132.

3 ა. იოანესიანმა არა მარტო ასირიელთა ეპისკოპოსი გამოაცხადა სომეხთა ეპისკოპოსად, ასირიელთა და ქურთთა გამათავისუფლებელი მოძრაობა — სომეხთა მოძრაობის ნაწილად; ხოლო ქართველთა, ქურთთა და ასირიელთა ერთობლივი გამოსვლის ჩაშლაც რუსეთის მთავრობას გადააბრალა.

# საქართველოს მწერალთა მეცხრე ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვები

ხუტა ბერულავა

საქართველოს მწერლების IX ყრილობას გზა გაუნათა ორმა დიდმა მოვლენამ რესპუბლიკისა და საბჭოეთის ცხოვრებაში. ჯერ იყო და, გაიმართა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა, რომელმაც დასახა მომავლის უმშვენიერესი ამოცანები. ამ მოვლენათა განხორციელების გზები ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საქართველოს კომპარტიის მეთაურის ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის მოხსენებაში.

საბჭოეთის კომუნისტების ფორუმზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, დიდი ლენინელის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვა გაისმა, როგორც მშვიდობისა და სამართლიანობის, იმედისა და სიკეთის დიადი ძახილი.

ბუნებრივია, რომ ჩვენი მშობლიური მწერლობა სიამაყით აღავსო რესპუბლიკის წარმატებათა საყოველთაო აღიარებამ. მისი ხელმძღვანელის ოქროს ვარსკვლავით დაჯილდოებამ და იმ გულითადმა, საოცრად ადამიანურმა, ამაღელვებელმა მილოცვამ, რომლის უშუალო მოწმენი დიდი პარტიული ფორუმის დელეგატ მწერლებთან, სოციალისტური შრომის გმირებთან — ირაკლი აბაშიძესა და გრიგოლ აბაშიძესთან ერთად ჩვენც ვიყავით, — ტელემაყურებლები, სრულიად საქართველოს ყველა კუთხის შვილები, ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლები.

მაგონდება: როცა ამხანაგი შევარდნაძე სათავეში ჩაუდგა საქართველოს კომპარტიას, პირველად იგი მწერალთა სასახლეს ეწვია, რითაც დიდი პატივისცემა დაუდასტურა თავის საყვარელ მოძღვრებსა და მასწავლებლებს, როგორც თვითონ უწოდა ქართული ლიტერატურის მოღვაწეებს.

იმ დროიდან კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი დამყარდა პარტიულ ორგანიზაციებსა და მწერლებს შორის, იმ დროიდან კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდა მწერალთა მონაწილეობა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეში.

გამოგიტყდებით, როცა პარტიის გეგეჭკორის რაიკომის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად გამგზავნეს, თავი უხერხულად ვიგრძენი, მაგრამ სულიერად ამაღლებული დავბრუნდი. მერე აჭარაშიც მიმამაგრეს ჩაის კრეფის დღეებში. ჯარისკაცივით გამოვეცხადე ამხანაგ ვახტანგ პაპუნიძეს და მოვახსენე, ჩემი სტუმრობით რაიკომის მდივნებს ტყუილუბრალოდ ხომ არ მოგიცდენთ-მეთქი. საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დამამშვიდა. ამ პარტიულმა მივლინებამაც დიდი სიკეთე მომიტანა, როგორც მწერალს, ხალხის ცხოვრების სიღრმეებში ჩამახედა, ახალი ტიპის პარტიული მოღვაწეები გამაცნო, — აი ისეთნი, დიდმა ხელოვანმა რევაზ ჩხეიძემ რომ დაგვიხატა თავის ნაწარმოებში „რაიკომის მდივანი".

ჩემი კოლეგები მსგავსი და უფრო დიდი მისიით ხშირად იმყოფებიან აჭარაშიც და აფხაზეთშიც, სამხრეთ ოსეთშიც და რესპუბლიკის ყველა რაიონში.

ჩემი უბრალო მაგალითი კი მხოლოდ იმიტომ გავიხსენე, რომ აღმენიშნა: საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამგვარი (და კიდევ ბევრი სხვა) ქმედითი ფორმა მოძებნა ხალხის და მწერლობის დაახლოებისა.

ამიტომ არის, რომ ქართული მწერლობა ასე ღრმად და საფუძვლიანად ჩასწვდა ყველა რაიონის, ყველა ქალაქისა და სოფლის სიხარულსაც და სატკივარსაც. ახლა ბევრად უკეთ ვიცით, რა სიძნელეთა გადალახვით, რა ვაჟკაცური გარჯითა და ყოველდღიური დაუღალავი საქმიანობით აღწევენ წარმატებებს სოფლისა და ქალაქის მშრომელები!

როცა ფიცივით წარმოთქვამს პარტიის სადიდებელსა და სამადლობელს, ქართულ საბჭოთა მწერლობას მხედველობაში აქვს ის მუდმივი ზრუნვა და ყურადღება, რასაც საქართველოს კომპარტია იჩენს მშობლიური კულტურის შემდგომი აღორძინებისა და აყვავებისათვის, ჩვენი სათაყვანო დედაენის — ქართული ენის დაცვისა და აღზევებისათვის.

ასე რომ არ იყოს, განა ასე დიდებულად ვიზეიმებდით იაკობ გოგებაშვილის „დედაენის" იუბილეს, განა ასე დიდებულად ვიზეიმებდით იუბილეს, რომელსაც მოჰყვა „დედაენისა" და

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბუნების კარის" ხელახალი გამოცემები? განა ასე შთამბეჭდავად აღინიშნებოდა „შუშანიკის წამების" შექმნის ათასხუთასი წელი?

განა ასეთი რეზონანსი ექნებოდა თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, რომელსაც თავიანთი ღონიერი მხრებით ბურჯებივით შესდგომიან უკლებლივ ყველა თაობის წარმომადგენლები?

საქმეები, საერო, სახალხო, პარტიული საქმეები, ამაღლებენ განახლებულ საქართველოს, რომლის ბედნიერების მზეც ამ სამოცი წლის წინათ, 1921 წლის 25 თებერვალს ამობრწყინდა!

კეთილ საქმეთა უარყოფა არცა დროს ძალუძს და არცა ვის კაცთაგან...

არაბუნებრივი იქნებოდა, რომ რესპუბლიკის მძლავრ აღმავლობას ჩვენი მწერლობის, კერძოდ, საბავშვო ლიტერატურის დიდი წინსვლაც არ მოჰყოლოდა.

არაერთხელ გვითქვამს და დღესაც ვიმეორებთ, რომ ქართული საბავშვო ლიტერატურა ისევე მდიდარია და მრავალფეროვანი, როგორც გახლავთ დიდი ქართული საბჭოთა ლიტერატურა.

თანამედროვე ქართული საბავშვო ლიტერატურის აღორძინების საქმეში თავიანთი კეთილი წვლილი შეაქვთ ყველა თაობისა და რანგის ლიტერატორებს. რაც მთავარია, მათ ემაყებათ საბავშვო ლიტერატურაში მუშაობა, ნორჩი თაობის კომუნისტური აულისკვეთებით აღზრდის საშვილიშვილო საქმეში აქტიური მონაწილეობა.

მომხსენებელმა უკვე ისაუბრა იმ მწერლებზე, რომლებიც ბავშვებს უძღვნიან თავიანთ საუკეთესო ნაწარმოებებს. მათს შემოქმედებაზე მეც საკმაოდ დაწვრილებით ვილაპარაკე საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის საბჭოს ახლახან გამართულ, გაერთიანებულ სხდომაზე, აგრეთვე საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო სექციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. როგორც საკავშირო სხდომის, ისე ბოლო კრების მასალები, მათ შორის ჩემი საანგარიშო მოხსენება, გამოქვეყნდება. ამიტომ მოგახსენებთ მხოლოდ იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რაზეც ყურადღების გამახვილება თავად სექციის წევრებმა დამავალეს.

მაგალითად, მათ მთხოვეს მეთქვა, რომ ამჟამად, რესპუბლიკური გაზეთები ფართოდ უღებენ კარს ყველა შემოქმედს, ვისაც სურს ნორჩებს ესაუბროს. ჩვენი დიდი მადლობა „კომუნისტის", „სოფლის ცხოვრების", „თბილისის", „სახალხო განათლების", „ახალგაზრდა კომუნისტის", ჟურნალ „საქართველოს ქალის" მესვეურებს, რომლებიც გულუხვად აქვეყნებენ საყმაწვილო ლიტერატურის ნიმუშებს.

ჩვენ ყველანი ვამაყობთ პატარების დიდი გაზეთით. „ნორჩი ლენინელი" რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის, ამ გაზეთის თაოსნობით რამდენი მშვენიერი ლექსი და მოთხრობა შეიქმნა ნორჩებისათვის!

ჩვენ ასევე ყველას გვიყვარს გამომცემლობა „ნაკადული", რომელიც ყოველმხრივ უზრუნველყოფილი უნდა იყოს. გამომცემლობის ნიჭიერი კოლექტივი სამართლიანად მოითხოვს პირველ რიგში საგეგმო კომიტეტის მხარდაჭერას.

„დილასა" და „პიონერის" რედაქციებთან ერთად საყმაწვილო ლიტერატურის კეთილშობილურ ჭაპანს ღირსეულად ეწევიან საბავშვო გადაცემათა რადიო და ტელერედაქციები. ამას გარდა, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ ფოფხაძე დაგვპირდა, რომ უახლოეს დროში შეიქმნება ტელეჟურნალი „საბავშვო ლიტერატურა"; გვჯერა რომ ამხანაგი ფოფხაძე, როგორც ყოველთვის, შეასრულებს მწერლებისათვის მიცემულ სიტყვას. ეს კი დიდად დაეხმარება ჩვენს საქმეს.

როგორც უკვე მოგახსენეთ, საბავშვო მწერლების სახელითა და დავალებით ჩვენი ყრილობის წინაშე ვაყენებთ რამდენიმე, არც ისე ძნელ საკითხს.

1. საბავშვო ლიტერატურის მსახურთაგან ბევრი, დიახ, ბევრი იმსახურებს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიას საბავშვო ლიტერატურის დარგში. მაგრამ, იგი ჩვეულებრივი, უპრეტენზიო, წამახალისებელი პრემიიდან ჩვენ თვითონ ვაქციეთ უკვდავების კვარცხლბეკად.

მაშ, რით წავახალისოთ კარგი საბავშვო წიგნების ავტორები?

სექციის საერთო კრებას წინადადება შემოაქვს დაწესდეს ყოველწლიური ლიტერატურული პრემიები (2-3 პრემია) საბავშვო ლიტერატურის დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის; პრემიას ეწოდოს ბავშვებისათვის დაწერილი დიდებული ლექსების ავტორის, ძვირფასი შიო მღვიმელის, ძია შიოს სახელი. მიანიჭოს კი ეს ჯილდო განათლების სამინისტრომ, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტსა და მწერალთა კავშირთან ერთად.

თუ კი ვინმე იტყვის, მეტისმეტად ბევრი პრემია დავაწესეთო, შევახსენოთ მას, რომ სხვა მოძმე რესპუბლიკებში კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და მშენებლობებსაც კი აქვთ დაწესებული ლიტერატურული პრემიები. რაღა შორს წავიდეთ, აგერ მწერალ ნოდარ დუმბაძეს, საყოველთაოდ ცნობილ რომანში „მარადისობის კანონი", პირველად ხურეკის მშენებლებმა მიანიჭეს თავიანთი პრემია და ეს მოხდა მანამდე, ვიდრე რომანს ლენინურ პრემიას მიანიჭებდნენ.*

2. ვინაიდან არ არსებობს რეალური საფუძველი ყველა ღირსეული ქართული საბავშვო წიგნის მოსკოვში გამოცემისა (გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დეტსკაია ლიტერატურას“ ძალუძს, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, წელიწადში ქართველი მწერლის ერთადერთი პატარა წიგნის გამოცემა), სავსებით დროულად და მომწიფებულად მიგვაჩნია გამომცემლობა „მერანში“, რუსულ სექტორში, საბავშვო განყოფილების შექმნა. 20-25 თაბახის გამოყოფა თავისუფლად შეუძლია ამ გამომცემლობას. 20-25 თაბახი კი უზრუნველყოფს წელიწადში 5-6 საბავშვო წიგნის თარგმნას და გამოცემას რუსულ ენაზე.

3. აუცილებელია ჩვენს საზოგადოებრიობასაც ჰქონდეს ისეთი გამოცემა, როგორიც არის ჟურნალი „დეტსკაია ლიტერატურა“, რომელშიც მოთავსებულია კრიტიკული ხასიათის წერილები. იგი წელიწადში, სულ მცირე, ექვსჯერ მაინც უნდა გამოვიდეს...

გვჯერა, რომ ეს საკითხები უმტკივნეულოდ მოგვარდება!

ორიოდე სიტყვა ჟურნალ „დროშის“ თაობაზე, რომელსაც ევალება იყოს ჩვენი დღეების ერთ-ერთი მემატიანე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მხარდაჭერით წლევანდელი ძვირფასი თარიღების აღსანიშნავად „დროშის“ რედაქციამ გამოაცხადა დახურული ლიტერატურული კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბევრმა ცნობილმა და ახალგაზრდა ავტორმა. ჩვენდა სასიხარულოდ, კონკურსის წყალობით, შეიქმნა არაერთი საინტერესო მოთხრობა და მხატვრული ნარკვევი. ეს ნაწარმოებები თანდათანობით ქვეყნდება ჟურნალის ფურცლებზე. სულ პრემია მიიღო 19 მწერალმა და ჟურნალისტმა. მათ შორის პირველი პრემია მიენიჭა მწერალ რევაზ ინანიშვილს.

უკვე ტრადიციად იქცა ჟურნალ „დროშის“ პრემიების მინიჭება წლის საუკეთესო ნაწარმოებებისათვის. ჩვენი ჟურნალის 1980 წლის ლაურეატთა შორის არიან პოეტები — შოთა ნიშნიანიძე და ჯანსუღ ჩარკვიანი, ცნობილი საბავშვო მწერლები როდიონ ქორქია და ლავრენტი ჭიჭინაძე...

მრავალი საინტერესო ღონისძიების განხორციელებას ვაპირებთ მომავალში. ყოველმხრივ შევეცდებით მოვიზიდოთ როგორც გამოჩენილი ოსტატები, ისე ახალგაზრდა მწერლები. მათი აქტიური თანამშრომლობით მივაღწევთ იმას, რომ ჟურნალი „დროშა“ ცხოვრობდეს პარტიისა და ხალხის ცხოვრებით, მხარდამხარ მიჰყვებოდეს დროს, ღრმად და საფუძვლიანად ასახავდეს ყველაზე აქტუალურ, ყველაზე საჭირბოროტო პრობლემებს.

ამაში ვხედავთ ჩვენს წმიდათაწმინდა მწერლურ და მოქალაქეობრივ მოვალეობას.

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ყველას ერთნაირად ახარებს დიდი საბჭოთა ლიტერატურის, მათ შორის ქართული ლიტერატურის წარმატებანი, მისი გამოჩენა ფართო სარბიელზე, საზღვარგარეთელ მკითხველთა მზარდი ინტერესი როგორც ქართველი, ისე აფხაზი და ოსი მწერლების ნაწარმოებებისადმი...

ვგულისხმობ იმ ეგრეთწოდებულ „კეთილის მსურველებს“, რომლებიც ასევე ეგრეთწოდებული „თავისუფლების“ მღვრიე ტალღების საშუალებით შორიდან გვირჩევენ ხელი ავიღოთ ყოველი ჭეშმარიტი მწერლისათვის ძვირფას და მშობლიურ თემაზე, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის თემაზე. გვირჩევენ დავივიწყოთ, რომ ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ; დავივიწყოთ ის მაღალი სიბრძნე, რაც ჯერ კიდევ რუსთაველმა და შემდეგ კი ქართველი ხალხის სხვა სულიერმა მამებმა — გურამიშვილმა და ბარათაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ და იაკობ გოგებაშვილმა გვასწავლეს.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის გატარებით ჩვენმა პარტიამ შარავანდედით შემოსა მათი სახელები, მათი აზრები, მათი ნაანდერძევი.

ერის სულიერი მამების უკვდავ ანდერძს კი არ ეღალატება.

## ჯანსუღ ჩარკვიანი

ყველა დარბაზს, ყველა კათედრას თავისი ბიოგრაფია აქვს. ბევრი რამ ახსოვს ამ დარბაზს, ამ კათედრას. ძვირფასი მამულიშვილიცა და ხუმარა პოლიტიკანიც; ზოგი ამ კათედრაზე გამოსულა თავისი საქმეების გასაწყობად; ზოგს ამ კათედრიდან ბრალი დაუდია, ზოგი თავად ყოფილა ბრალდებული.

პირადად მე, ამ კათედრაზე ბრალდებულიც ვყოფილვარ და ბრალმდებელიც; დღეს არც ერთა არ ვაპირებ, არც დითირამბებსა და არც გაკილვას. ღირსეულთათვის დრო არ მეყოფა, ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი, ხოლო უღირსებზე ირაკლი აბაშიძემ მითხრა: ღმერთი არ გაგიწყრეს, არ შეაქო და არ მიიმხრო, სულერთია მაინც წაგშლიანო.

ეს შესავალი, რა თქმა უნდა, რეგლამენტში უნდა ჩავტიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ჭეშმარიტება დროის შვილია, იგი არ მარცხდება. მისი შინაგანი ძალა საოცრად აფართოებს სამოღვაწეო ასპარეზს.

დღეის გადასახედიდან როცა ვუყურებ, დიახაც დიდი და სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი რესპუბლიკის უკვე განვლილ ხუთწლედს, მის შინაგან ძალას, იმ ყრილობიდან ამ ყრილობამდე.

როცა 1972 წლიდან მოყოლებული, სიახლეებზე საუბარი და კერძოდ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე. — თბილისის პარტიულ ორგანიზაციას რომ მიეძღვნა, დღეს შეიძლება ხმამაღლა ითქვას — ჩვენი რესპუბლიკის ყველა გამარჯვებას იქიდან დაედო სათავე.

სკკპ ოცდამეექვსე ყრილობა, რომელიც ჭეშმარიტად კომუნისტურად და დიდად შემოქმედებითად ჩატარდა, დღეს უკვე ისტორიულია; მის დონეზე მთელი მსოფლიო ლაპარაკობს. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენებაში ღრმად და ყოველმხრივ არის გაანალიზებული ჩვენი სამშობლოს განვითარების შედეგები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ამ ყრილობაზე ხმამაღლა ითქვა ჩვენი რესპუბლიკის მიღწევებზეც. ხოლო იმ დღეს, როდესაც ამხანაგმა ბრეჟნევმა შრომის გმირის ვარსკვლავი გადასცა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელს, საპასუხო სიტყვაში პატივცემულმა ედუარდ შევარდნაძემ შესანიშნავად თქვა:

„ჯილდო, რომელიც თქვენ დღეს გადმომეცით, მთელი რესპუბლიკის ჯილდოა, რადგან იგი აგვირგვინებს ჩვენი მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის — ყველა ჩვენი მშრომელის თავდადებულ გარჯას". ნაღდი ნათქვამია. მე სიამოვნებით მივესალმები „მთელი რესპუბლიკის ამ უმაღლეს ჯილდოს".

მინდა გავიხსენო საქართველოს კომპარტიის ოცდამეექვსე ყრილობა, რომელმაც მხურვალედ წარმოაჩინა უდიდესი ერთგულება დემოკრატიზმისადმი. გულწრფელმა თვითკრიტიკამ კიდევ უფრო აამაღლა ჭერი ამ დიდი თავყრილობისა; რაც შეეხება სექციურ მუშაობას, ეს იყო სრულიად ახალი ფორმა ჩვენი ორგანიზატორული თუ საერთოდ პარტიული მუშაობისა. სექციური მუშაობა ჩვენი მწერლობის ყრილობასაც წარუმძღვარეთ და უნდა ითქვას, რომ გაამართლა.

დღეს, როცა ჩვენი დიდი მწერლობის ეროვნული სულის გაღვივებაზეა საუბარი, თან ახლავს სიტყვა „ინტერნაციონალური". ესე იგი, „ეროვნული" კი არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, შეისისხლხორცებს „ერთა ძმობის სულს". ასეთი იყო ქართველი გენიურად დასაბამიდან. რამდენი ჭირი და რამდენი უბედურება არ გადაიტანა ქართველმა ხალხმა, ჯავარი მისი სიტყვისა, მისი დიდი ლიტერატურისა კვლავ ღონიერია, კვლავ ძალუმად ჩქეფს სისხლი მის ცისფერ ძარღვებში.

მწერლობისა და საზოგადოების წინაშე ყოველთვის იდგა „კაი ყმის" პრობლემა. მე როცა მწერლობაზე ვფიქრობ, უპირველესად ვფიქრობ, ნამდვილ ვაჟკაცზე და ნამდვილ მოქალაქეზე. კარგია, როცა კარგი მწერალი კარგი მოქალაქეა. მწერლობას თუმცა თავად ბევრი ჰყავს ასეთი ვაჟკაცი და მამულიშვილი, მაინც განსაკუთრებით აინტერესებს მოძებნოს ისეთი კაცი, მისაბაძი გმირი, რომელიც თავისი საქმითა და სიტყვით იქნება ნორმა და ნიმუში, რომელსაც ერი გაჰყვება.

ბევრგზის გასჭირებია ჩვენს სამშობლოს, თუმცა გალაკტიონ ტაბიძისა არ იყოს, რა „დემონური არევ-დარევაც არ უნდა მოხდეს და რა ყოველმხრიდანაც არ უნდა ავარდეს ალი", შენ, მწერალი, ვალდებული ხარ, მხარში ედგე ერს შენსას, რწმენას და იდეას შენსას, ვალდებული ხარ თქვა ხალხის მაგივრად და „ნათქვამის არა გრცხვენოდეს".

როდესაც ვაჟა-ფშაველას ქებით იხსენიებს „კაი ყმას", გზიდან გადასულ გაუმაძღართ და თავისკენმომთვლელებს სადიაცოში უყრის, ლვიძილისაკენ მოუწოდებს იმათ, ვინც მხოლოდ ჯამს ჩაცქერის და სხვას არაფერში არგია. დღესაც ჰყავს ჩვენს ხალხს, „ვინც ძროხებივით სძღებიან". ჩემის ღრმა რწმენით, სწორედ ესენი არიან წარსულის მავნე გადმონაშთები. ამ ადამიანებზე არაერთხელ უთქვამს ჩვენს მწერლობას, უფრო ხმამაღლაა საუბარი საჭირო. უფრო მეტიც, ერის ნაკლზე არ უნდა მოგვერიდოს საუბარი, რადგანაც ადამიანის აღზრდა მწერლობის პირდაპირი მოვალეობაა.

აღზრდაზე გამახსენდა — ქართველი მწერალი ბრძოლის ქარცეცხლში იდგა და თავისი მამულის სიყვარულის ცეცხლში იწოდა. ამას წინათ გორში სახალხო კონტროლის თავმჯდომარემ ლეილა კიკნაძემ სრულიად უცნობი წერილის შინაარსი გამანდო: ეს ის პიონერი ლეილა კიკნაძეა, რომელმაც ომის დროს ტანკის ასაგებ თანხას თავისი სახელითაც დაუმატა მისივე შრომის დანაზოგი სამშობლოს სალაროში და ბელადის მადლობა დაიმსახურა. მისი გვარი და სახელი უყურადღებოდ არ დარჩენია ჯარისკაცებს, ბარე 800 წერილი მიიღო მადლობისა, მე მინდა ერთი მათგანი გაგაცნოთ...

წერილი მოკითხვითა და მადლიერების გრძნობითაა გამსჭვალული. მეორე ნახევარში კი იწერება — „აქ ყველას ვუყვარვარ, მაგრამ ხანდახან მომენატრება ქართული სიტყვა, ქართული ქლერა — ფანდურის ხმასავით ტკბილი და ლიახვივით მობუტბუტე. და იცით კიდევ რა? როცა ავიღებ გაზეთს, მინდა ყოველ ნომერში ეწეროს საქართველოს შესახებ, მინდა ციფრებში, პროცენტებში ყველაზედ წინ იდ-

ეროვნული

გეს საბჭოთა საქართველო. 152 საველე ფოსტა, 468 ნაწილი, **მირზა გელოვანი.**

მე ვეუბნები ოცდაექვსი წლის მირზა გელოვანს — დიახ, ისეა, როგორც შენ გსურდა, საბჭოთა საქართველო ყველაფერში წინ დგას, იგი თავის საომში ძლიერი და გამარჯვებულია, არც შენ ხარ დავიწყებული. შენს დაცხრილულ მკერდს დიდი რუსთაველის ლაურეატის ნიშანი ამშვენებს, ხოლო ჩვენს ახალგაზრდობას გზას უნათებს შენი პოეზია.

დღეს, როცა ჩვენს ქართულ მწერლობას, სხვა მამულიშვილებთან ერთად, თანაბარი წვლილი მიუძღვის რესპუბლიკის გამარჯვებებში, მის ხუთწლედებში, როცა ქართველ მწერალს არ გამორჩენია არცერთი დიდი და პატარა, ახლო და შორი, მნიშვნელოვანი და უმნიშვნელოვანესი მშენებლობა მოყოლებული ენგურიდან და ქინვალიდან საუკუნის მაგისტრალამდე — ბაიკალამურამდე, არც ერთი პლანტაცია და არცერთი ზვარი, ნებისმიერი დარგი თუ გნებავთ. საამაყოა, განსაკუთრებით საამაყო, რომ ათმაგად დაუფასდა ჩვენს მწერლობას ყოველმხრივ.

როცა ამასწინანდელ პლენუმზე მწერლურ პუბლიცისტიკაზე იყო საუბარი, რომელმაც შემდგომ სექციაზე გადაინაცვლა, ურწმუნო თომაც დარწმუნდებოდა, რომ ქართულ მწერლობას საქმე არ ჩაუშლია. შრომობდა, ფიქრობდა, ახალ გზებს ეძებდა, ახალ საღებავებს, ახალ ნაპირებს, რაღა თქმა უნდა, ერის საკეთილდღეოდ, თავისი რესპუბლიკის საკეთილდღეოდ. ქართველი მწერალი ჰერემშია. პირველ ჰერემელთან ერთად, წერაქვში მიდის და ბავშვებისათვის პირველი სკოლის ზარს რეკავს. ქართველი მწერალი მაღლა სწევს ეროვნულ დროშას.

„წინა კაცი უკანას ხიდიაო". ისიც უნდა ითქვას, როცა წინა თაობის დაუცხრომელ ძახილს ყურს უგდებს მომავალი თაობა, ესე იგი, ქვეყანაზე კარგი დარი დგას. ესე იგი „კვლავ იაიბჯება კეკხლის ლადარში სიმაგრე ლექსად თქმულისა", ხოლო გზა ეკეტება „იდეურობას შეფარებულ უნიჭობას". რომელსაც პასუხი გაეცა XXVI ყრილობაზე. ეს პასუხი კი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა გასცა.

მოვიდა შესანიშნავი ახალგაზრდობა, ჭკვიანი, განათლებული, სავსე სიმღერით და სიყვარულით. მათი ღვაწლი უკვე გამოჩინებულია, პირველსავე წიგნებში მოაჩუქურთმეს ერის დღევანდელი დიდება და ნათელმოსილი მომავალი. ამათი შემხედვარე საქართველო კიდევ უფრო ალორძინდება, თუმცა ჯერ ისინი თითო წიგნის ავტორები არიან.

ნება მომეცით მოგახსენოთ ახალბედათა რამდენიმე გვარი და სახელი. მე ხაზს ვუსვამ თითო წიგნიანებს. ვიცი, რომ წამგებიანია გვარების ჩამოთვლა, მაგრამ ჯერ ისინი ახალგაზრდები არიან და სანამ გაბრაზების უფლებას მოიპოვებენ, მანამ მე თვითონ გამომ[illegible] განაჩენს.

აი ისინიც: სოსო პაიჭაძე, ნუგზარ შატაიძე, ბადრი ჰოხონელიძე, ჯემალ ქარჩხიძე, ჯემალ აჯიაშვილი, ენვერ ნიჟარაძე, დავით მჭედლური, ავთანდილ ჩხიკვიშვილი, ვაჟა ხორნაული, შაბურა არაბული, ლაშა თაბუკაშვილი, ალი გუგუციძე, ნომადი ბართაია, ჯემალ დავლიანიძე, თეიმურაზ აბულაშვილი, თენგიზ ჩალაური, გოდერძი ჩოხელი, ზაურ კალანდია, ნუგზარ კობერიძე, ჯემალ ქირია, ბადათერ არაბული, ვახტანგ ხარჩილავა, გურამ ოდიშარია, ჯემალ ჩახავა, შუკო ჯიქია, იმედი ჯახუა, გიორგი მინდიაური, თეიმურაზ ლანჩავა და სხვანი.

ცალკე მინდა მწერალი ქალები გამოვყო: მაკა ჯოხაძე, ესმა ონიანი, ნინო ქუთათელაძე, ლალი ჯაფარაშვილი, ლალი ბრეგვაძე, მანანა ავალიშვილი, დალილა ბედიანიძე, რუსუდან მკერვალიშვილი, ნანა გოგუაძე, ნაილი ნეკერიშვილი, მზია ხეთაგური, ეთერ თათარაიძე, ლეილა ბეროშვილი, დოდო ჯაჭვლიანი, ზოია ვაშაკიძე, შარლოტა კვანტალიანი.

ამ შესანიშნავ ახალგაზრდობას, რა თქმა უნდა, მოჰყვა თავისი კრიტიკოსი, განათლებული ლიტერატურათმცოდნე და მკვლევარი: თამაზ წივწივაძე, სოსო სიგუა, თეიმურაზ დოიაშვილი, ლევან ბრეგაძე.

რაკი ახალგაზრდა მწერლები ჩამოვთვალე, ბარემ ჟურნალებზეც ვიტყვი ორიოდე სიტყვას. ეტყობა ჩვენს ჟურნალებში სარედაქციო კოლეგიები მარტო იმისათვის არ უნდა გვყავდეს, რომ ცნობილი მოღვაწეების გვარები მსხვილი შრიფტით ავაწყოთ, ამით მათი ამბიციები დავაცხროთ და კითხვით კი არაფერი ვკითხოთ, არაფერში გამოვიყენოთ მათი კომპეტენცია და გამოცდილება. ეს შენიშვნა თანაბრად გვეხება ჩვენცა და ჩვენს ძვირფას რედაქციებსაც. ნამდვილ მოქმედ კოლეგიას შეუძლია ბევრი საჩოთირო სიტუაცია აგვაშოროს. ბოლოს და ბოლოს, რედაქტორები ისევე არ არიან დაზღვეულნი უნებლიე შეცდომებისაგან, როგორც მწერლები — კალმის ლაფსუსისგან.

ამის წინა აბზაცს ვუბრუნდები.

სრულიად ახალგაზრდებიც მოდიან, რომლებიც ახლად ისხამენ ფრთებს და ძალას სინჯავენ „პირველი სხივისა" და ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე. რომელიმე იმათთაგანი შეიძლება, სულაც მედროშედ იქცეს ჩვენი უახლესი და ხვალინდელი მწერლობისა, მაგრამ დღესდღეობით განაცხადებზე საუბარი მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. ისე კი, მართლა ნიჭიერი ახალგაზრდობა მოდის. ჩვენ რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა უნდა მოგვეზიდა და ახლოდან უნდა გაგვერჩია მათი ავ-კარგი, შეგვემოწმებინა მათი მწერლური შესაძლებლობანი და მოქალაქეობრივი სულისკვეთება. ეს საჭირო იყო თუნდაც იმისათვის, რომ მოულოდნელად მხედვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის არედან არ გაგვსხლტომია ნამდვილი ნიჭი. მოგეხსენებათ, ჭეშმარიტი ტალანტი თავდაბალია, განსაკუთრებით დებიტუის ხანაში და ერიდება მყვირალა დეკორაციებს და მანიფესტების წერას, რასაც მწერლობასთან ბევრი არაფერი აქვს საერთო. მას შემდეგ, რაც ეს საკმაოდ დიდი მდინარე დაწყდა და დაიწმინდა, ჩვენს წინ არიან სწორედ ის ახალგაზრდები, რომელთა გვარებიც ეს-ესაა წავიკითხე დიდი სიამოვნებით და რომელთა გამოსვლაც მწერლობაში გამოიყურება, როგორც დიდი და ლამაზი ტრადიციების გაგრძელების უტყუარი გარანტია. თეორეტიკოსების საქმეა თაობებს შორის წყალგამყოფი ქედის პოვნა. მრავალი ასპექტი აქვს თაობებს, მრავალი მახასიათებელი! ერთია ბიოლოგიური თვალსაზრისით დაყოფა თაობებისა, სხვაა ასაკის მიხედვით მათი დაცალკევება. პირადად ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ სიახლეებს, იმ განძს, რაც ამა თუ იმ თაობას ჩვენი კულტურის საჭურჭლეში შეაქვს. ამ მხრივ ჩვენი ახალგაზრდები უკვე ხელდამშვენებულნი ჩანან.

ბეჭდვითი ორგანოების მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც ერთ რესპუბლიკაში არ არსებობს; „ცისკარი", ახლა მისი დამატება, რომელიც უკვე განახლებული ფორმატით გამოდის, ამათ დაემატება კიდევ ერთი ალმანახი, რომელსაც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" გამოსცემს. ჩვენი „ლიტერატურული საქართველოც" ლამის ახალგაზრდებისთვისაა დაბადებული, „მნათობშიც" ხშირად ბეჭდავს დამწყები მწერალი. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო რადიო-ტელევიზიის როლი ახალგაზრდობის დავაჟკაცების საქმეში. ჩვენი ახალგაზრდობა მისი ფილტვებით სუნთქავს.

გამომცემლობა „მერანის" გეგმაში წელიწადში 10 პირველი წიგნია დამწყები მწერლისა. თუმცა, ჩემის აზრით, გადახედვა სჭირდება დამწყები მწერლის ჰონორარს და თაბახთა რაოდენობას. ხანდახან მეტი სიმტკიცით უნდა მოვიგერიოთ ტომეულთა უღირსი ავტორები და გზა მივცეთ ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდობას.

ახალგაზრდობისადმი გაწეულ ყველა სიკეთეს მოვახსენებ იმ ადამიანებს, რომელთაგან მოდის იგი. მე მხედველობაში მაქვს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის ზრუნვა. ჩვენი ახალგაზრდები მადლობელნი არიან, ისინი დღეს აქ გვესწრებიან და, როგორც ნახეთ, თავიანთი სათქმელიც თვითონ თქვეს.

დაბოლოს, ჩვენს ახალგაზრდობას მინდა მივმართო პაოლო იაშვილის სტრიქონებით, იგი საკუთარ თავს უძღვნის ამ ლექსს, ასე ჰქვია „საკუთარ თავს". ცუდს ალბათ არ უსურვებდა პოეტი საკუთარ თავს. მომყავს რამდენიმე ტაეპი:

დაჯექ, დაწერე, დახატე,
რითაც ცხოვრება ივსება,
მიეც დამშეულ ქალაღდებს
საშვილიშვილო თვისება.
დახედე როგორ იხაროს
დამწყვდეულ სიტყვის აშვებით,
ვარდებად გადმოგიყაროს
დამზადებული ტაშები.
დაჯექ, დაწერე, დახატე,
რაც ბუნებაში გელექსა,
მიეცი სარჩო არხვატელ
ფანდურზე კარგა მთქმელებსა.
რომ ლამაზ თქმაში გაშოლტო,
რაც დარჩა გულის შიგნითა,
რომ ამაყობდეს სამშობლო,
შენი მდიდარი წიგნითა.
და როცა წადილს ერგები,
წრე გაიშლება განდაგან,
შენ ხალხში დაინერგები,
დაუმარცხებელ ქანდაკად.
მტერს კი დარჩება სახადად,
ძახილი დაუცხრომელი,
დაჯდა, დაწერა, დახატა
და მოკვდა, როგორც მშრომელი.

ამის თქმა მინდოდა, ძვირფასო მეგობრებო! გაუმარჯოს ქართულ მწერლობას —ერის სულიერ საზრდოს და სულიერ მედროშეს!

## ელგუჯა მაღრაძე

სკკპ XXVI ყრილობამ საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ყრილობის პირველ დღეს დიდი გულისყურით მოვისმინეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენება, რომელიც შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაჩინო დოკუმენტია. მასში მკაფიოდაა გაშუქებული ჩვენი პარტიის მრავალმხრივი საქმიანობა, ნაჩვენებია საბჭოთა ხალხის ტიტანური შრომის შედეგად მოპოვებული მიღწევები, დასახულია ჩვენი დიადი ქვეყნის წინსვლის შთამაგონებელი პერსპექტივები.

თითოეული ჩვენგანი აღაფრთოვანა ყრილობის დღეებში გამოქვეყნებულმა ცნობამ, რომ რესპუბლიკის საუკეთესო მამულიშვილებს მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გამსახკომის სისტემის მრავალათასიანი კოლექტივის სახელით მივულოცო ყველა მათგანს ეს საპატიო წოდება, პირველ რიგში კი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს.

მეათე ხუთწლედი, რომელიც ადრე, გასული წლის 20 ნოემბრისათვის შესრულდა, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების ჭეშმარიტად დიდი გამარჯვების აღიარება იყო. რესპუბლიკამ უდავოდ სახალხო გამარჯვებას მიაღწია. დიდი გარჯისა და რუდუნების კიდევ ერთი დასტური გახლავთ ისიც, რომ საბჭოთა საქართველო ზედიზედ მერვედ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ღირსშესანიშნავი მოვლენა გახდა რესპუბლიკის ცხოვრებაში საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა. ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ საანგარიშო მოხსენებაში ღრმა ანალიზი გაუკეთა მიღწეულს, კომუნისტური პირდაპირობით აღნიშნა ის ნაკლოვანებანი, რაც ჯერ კიდევ შეიმჩნევა რესპუბლიკის სამინისტროებისა და სხვადასხვა უწყებების მუშაობაში და მოგვცა მითითებები მთელი ჩვენი საქმიანობის კარდინალურად გარდასაქმნელად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ღრმად სწვდება იდეოლოგიური დაწესებულებების მუშაობას. გასული წლის აგვისტოში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „საქართველოს სსრ გამსახკომის მუშაობის შესახებ“; დადგენილებაში, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა, დეტალური ანალიზის საფუძველზე, დამაჯერებლადაა ნაჩვენები ის ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ გაგვაჩნია გამსახკომის სისტემის მუშაობაში. ჩვენ მთელი გულის ყურით მოვეკიდეთ ამ დოკუმენტს, ჩავწვდით მის ყოველ დეტალს და ვიბრძვით მისი ცხოვრებაში განუხრელი გატარებისათვის.

მთელი ხუთწლედის მანძილზე ჩვენი უმთავრესი ამოცანა გახლავთ სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე პრობლემებისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოცემა. საკმარისია დავასახელოთ მარტო ის სიები, რომლებითაც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ უშვებდა ამ ლიტერატურას, რომ ნათელი გახდეს თუ საკითხთა რა ფართო წრეს მოიცავენ ისინი.

მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებათა წიგნების „მცირე მიწა“, „აღორძინების“ და „ყამირის“ გამოქვეყნება. ამ ნაშრომებმა უდიდესი გამოხმაურება ჰპოვეს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც, და დღეს მინდა გარკვეული სიამაყის გრძნობით აღვნიშნო, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სამივე ეს ნაშრომი ერთ წიგნად, პირველმა მთელ კავშირში, სწორედ ჩვენმა გამომცემლობამ „საბჭოთა საქართველომ“ მიაწოდა რესპუბლიკის მშრომელებს 30 ათასი ეგზემპლარი ტირაჟით.

მეათე ხუთწლედში გამოიცა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ოთხი ტომი, რაც უდავოდ კარგი საჩუქარია ყველა ჩვენთაგანისათვის, დაიბეჭდა მეხუთე ტომი, რომლის ტირაჟსაც მალე მიიღებს მკითხველი.

1976-1980 წლებში გამოიცა 1757 დასახელების მხატვრული ლიტერატურა 23.322 ათასი ტირაჟით, ე. ი. წელიწადში საშუალოდ გამოდიოდა 352 დასახელება 4.664 ათასი ეგზემპლარი ტირაჟით. მეათე ხუთწლედში გამოიცა ქართველ მწერალთა ბევრი მნიშვნელოვანი წიგნი, ტომეული; მათ ჩამოთვლას არ შევუდგები. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მკითხველთა ყურადღება დაიმსახურა თანამედროვეობის ამსახველმა მრავალმა მოთხრობამ, რომანმა. ამ ნაწარმოებთა ავტორები ფსიქოლოგიური სიღრმით, დამაჯერებლად გვიხატავენ კომუნიზმის მშენებელი ადამიანის მორალურ-ეთიკურ სახეს, მის შრომითს შემართებას, აკრიტიკებენ და ბრძოლას უცხადებენ ჩვენი ცხოვრების მიუღებელ, ნეგატიურ მოვლენებს, ყოველივე იმას, რაც ხელს უშლის საბჭოთა ადამიანს იცხოვროს და იშრომოს პატიოსნად.

თანამედროვე ქართულ მწერლობაში ერთ-ერთი ფართო ხასიათის ნაკადს ქმნის ინტერნაციონალური მოტივები, ინტერნაციონალური პათოსი. მოძმე ხალხების მეგობრობისა და ინტერნაციონალური პათოსის გამჟღავნება გახლდათ, როცა ჩვენ ვთარგმნეთ და გამოვეცით საინტერესო კრებულები სათაურით: „რუსი საბჭოთა პოეტები“, „ბელორუსი საბჭოთა პოეტები“, „აზერბაიჯანელი საბჭოთა პოეტები“, „სომეხი საბჭოთა პოეტები“, „აფხაზი საბჭოთა პოეტები“ და რომელი ერთი ჩამოვთვალო!

რესპუბლიკის მკითხველი საზოგადოება კარგად იცნობს პუშკინის, ლერმონტოვის, ტურგენევის, ჩეხოვის, ჩერნიშევსკის, გერცენის, დობროლიუბოვის, გოგოლის, დოსტოევსკის, გორკის, გაიდარის, მაიაკოვსკის, კატაევის, შოლოხოვის, ფედინის, სიმონოვის, ლეონოვის, ევტუშენკოს, ახმადულინას, მიხალკოვისა და სხვათა შემოქმედებას ქართულ ენაზე.

ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული აღმავლობა შეინიშნება 1972 წლიდან. ამ წლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან ჩვენს ლიტერატურაში ინტერნაციონალური პათოსი ახლებური მიდგომით კიდევ უფრო განვითარდა და ახალ ეტაპზე ავიდა. საქართველოში დღეს წიგნები გამოდის როგორც ქართულ, ასევე რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე. გამომცემლობა „ალაშარას“ გაუდიდდა თაბახთა მოცულობა 550-დან 800 თაბახამდე; ასევე — ანაბეჭდი ფურცელი 2,7 მილიონიდან 4,7 მილიონ ფურცლამდე. გაუდიდდა საშტატო ერთეული, ხელფასისა და საავტორო ჰონორარის ფონდები და სხვ. საგრძნობლად გადიდდა ჩვენს რესპუბლიკაში შემოქმედებითი შრომის ანაზღაურების ტარიფი. შეიქმნა ალმანახები „კრიტიკა“, „საუნჯე“, „განთიადი“, რიწა“.

ყველაფერი ეს შედეგია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის ყოველდღიური შეუნელებელი ყურადღებისა საგამომცემლო საქმისა და ქართული მწერლობის განვითარების საკითხებისადმი.

როგორც ვხედავთ, ბევრი რამ გვაქვს გაკეთებული, მაგრამ უფრო მეტია გასაკეთებელი. ჯერ კიდევ ვერ ვაკმაყოფილებთ, ობიექტური მიზეზების გამო, მხატვრულ და საცნობარო ლიტერატურაზე და ლექსიკონებზე მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნას. ამასთან დაკავშირებით, ხშირად გვიხდება მოპასუხის როლში გამოსვლა. ჩვენს მიმართ ყველა შემოქმედებით ორგანიზაციას, უწყებას, უმაღლეს სასწავლებელსა და სამეცნიერო დაწესებულებას თავისი პრეტენზიები აქვთ. ერთნი მოითხოვენ მხატვრული ლიტერატურის გამოშვების გაზრდას, მეორენი — უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოების, მესამენი — საცნობარო და სამედიცინო ლიტერატურის გაზრდას და რომელი ერთი ჩამოვთვალო, მაშინ როდესაც გამსახკომის ყველა სახის საბეჭდი ქაღალდი გამოყოფილი აქვს 4 ათას ტონამდე, რასაც ამ ბოლო წლებში სრულად ვერ ვღებულობთ. გასულ წლის მომწოდებელმა ორგანიზაციებმა და ვერ მოგვაწოდეს მისალები ყველა სახის 1709 ტონა ქაღალდი, რის გამო გამომცემლობებმა ვერ შეასრულეს გეგმები; მძიმე მდგომარეობა შეექმნათ გამომცემლობებს: „საბჭოთა საქართველოს“, „მერანს“, „ნაკადულს“, „საბჭოთა აჭარას“, რომლებმაც უკანასკნელ წლებში მიაღწიეს უდოტაციოდ მუშაობას.

არც მიმდინარე წელს გვაქვს საიმედო მდგომარეობა ამ მხრივ. თებერვალში დაიწყო მხოლოდ ქაღალდის მიწოდება, რაც სასკოლო სახელმძღვანელოების დასაბეჭდადაც არ გვყოფნის. ჩვენ მოვითხოვეთ სახელმწიფო რეზერვიდან გამსახკომის ფონდის ანგარიშში, სესხად 600 ტონა ქაღალდის გამოყოფა. ჩვენ მხარი დაგვიჭირეს ამ საკითხში, იმედი გვაქვს, რომ დადებითად გადაწყდება. უნდა მოგახსენოთ, რომ ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის შექმნის დღიდან (1964 წ. აგვისტო) ჩვენივე უგერგილობის გამო, ჩვენს რესპუბლიკას არ გაზრდია არც ერთი ანაბეჭდი ფურცელი, ე. ი. არ გაზრდილა საგეგმო კომიტეტისაგან ჩვენთვის ყოველწლიურად გამოსაყოფი ქაღალდის ფონდი არც ერთი გრამით. სხვა რესპუბლიკებისა კი წლითი-წლობით იზრდება საშუალოდ 4 პროცენტით.

ჩვენ ეს საკითხი დავაყენეთ მთელი სიგრძე-სიგანით ჩვენი რესპუბლიკის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ წინაშე. ჩვენ მხურვალედ დაგვიჭირეს მხარი ჩვენს სამართლიან მოთხოვნაში. ერთი კვირის წინ აქ მყოფმა ჩვენი გამსახკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხანაგმა ალექსეი ნებენზიამ განგვიცხადა 1982 წლიდან საქართველოს რესპუბლიკას ყოველწლიურად გაეზრდება ქაღალდის ფონდი 28 პროცენტით, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს საწიგნე პროდუქციის გამოშვების საქმეს. სხვა რესპუბლიკების ქაღალდის ფონდი წლიურად საშუალოდ 15 პროცენტით გაიზრდება.

ამჟამად კი ვატარებთ სხვადასხვა ღონისძიებებს ქაღალდის მომჭირნეობით ხარჯვისათვის, ვიყენებთ ეკონომიურ შრიფტებსაც, მაგრამ ეს არ იძლევა ისეთ შედეგს, რომ ნაწილობრივ მაინც ავანაზღაუროთ ქაღალდის წლიური ფონდის დანაკლისი.

სკკპ XXVI ყრილობაზე სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ამხანაგმა გ. თ. სიზოვმა თავის მოხსენებაში, როცა გამომცემლობების პარტიული ორგანიზაციების მუშაობას შეეხო, აღნიშნა, რომ „საგამომცემლო საქმის შემდგომ ზრდას მნიშვნელოვან ნაწილად აფერხებს ქაღალდის ნაკლებობა“. დიახაც რომ ასეა. ასე რომ იმ ადამიანებს, რომლებიც დიდის მოწადინებით ავრცელებენ ხმას თითქოს ქაღალდზე გასაჭირი მარტო ჩვენს რესპუბლიკაში იყოს, ვურჩევ კარგად გაეცნონ XXVI ყრილობის მასალებს.

ჩვენ ხშირად მოგვმართავენ სამინისტროები, უწყებები და მოითხოვენ ჩვენ ქაღალდზე დავუბეჭდოთ თათბირების, ყრილობების, სიმპოზიუმების სპეციალური მასალები, ბუკლეტები, ბროშურები, მონოგრაფიები და ა. შ., რისი საშულებაც გამსახკომს არ გააჩნია.

გულახდილად მინდა გითხრათ, რომ როგორც გამომცემლობებს, ასევე გამსახკომს უჭირს მრავალრიცხოვანი, ჰირვეული, მოძალებული ავტორების „მოგერიება“, რადგანაც, ვისაც კი თავისთვის სავარჯიშოდ განუზრახავს მოცალეობის ჟამს რამეს დაწერა, დღეს პრეტენზიას აცხადებს მის გამოცემაზე.

ამ შემთხვევაში დახმარება კრიტიკამ უნდა გაგვიწიოს, რის შესახებაც ჩემი მოსაზრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ 1979 წელს გამოვთქვი „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე.

ჩვენმა ავტორიტეტულმა კრიტიკოსებმა უნდა მოგვცენ ცალკეული ნაწარმოების სწორი შეფასება. დიახ, სწორი შეფასება, რადგანაც არც ზედმეტი ქება საჭირო და არც ღვარძლიანი კრიტიკა. მართალი სიტყვა კი ჰაერივით გვჭირდება. ასეთი კრიტიკული წერილები ძალიან ცოტა გვაქვს. გულწრფელად რომ ვთქვათ, პრესის ფურცლებზე უმეტესად იბეჭდება განუკითხავი ქება-დიდების, ან განმაქიქებელი, ვიღაცაზე ან რაღაცაზე გაჯავრებული კაცის მიერ ღვარძლით დაწერილი პასკვილები და წერილები, რომლებსაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. ეს არ უნდა ხდებოდეს. კრიტიკოსებმა თვითონ უკეთესად იციან, რაც არის მათი მოვალეობა და ამაზე თქვენს ყურადღებას აღარ შევაჩერებ.

მოკლედ მინდა მოგახსენოთ თხზულებათა ტომეულების გამოცემის მდგომარეობაზე. გამომცემლობებში: „საბჭოთა საქართველოსა“ და „მერანში“ დიდი რაოდენობით დაგროვდა თხზულებათა ტომეულები, რომელთა გამოცემა წლების განმავლობაში ჭიანურდება.

ეტყობა, ტომეულების არაჯანსაღმა ტენდენციამ საერთოდ კავშირის მასშტაბით მოიცვა საგამომცემლო სისტემა. ამიტომ საკავშირო გამსახკომმა გამოიტანა სპეციალური გადაწყვეტილება თხზულებათა ტომეულების გამოცემის საქმის მოსაწესრიგებლად. გადაწყვეტილებაში საგანგებოდაა მითითებული, რომ თხზულებათა ტომეულებში არ უნდა შევიდეს ის ნაწარმოებები, რომლებიც მწერლის სიცოცხლეში წიგნად არ გამოცემულა — პროზა — არანაკლებ ხუთჯერ, პოეზია — არანაკლებ ოთხჯერ, კრიტიკა — არანაკლებ სამჯერ. ჩვენს სინამდვილეში კი ამ გადაწყვეტილების მიღებამდე და მიღების შემდეგაც ტომეულებში შევიდა ნაწარმოებები, რომლებიც ცალკე წიგნად არათუ ხუთჯერ, ოთხჯერ და სამჯერ, არამედ საერთოდ არ გამოცემულა. ამასთან დაშვებულია ავტორთა სიცოცხლეში თხზულებათა კრებულების განმეორებით გამოცემა 10 წელიწადში მხოლოდ ერთხელ.

თხზულებათა ტომეულების გამოცემის ასეთი სირთულის გამო, სსრ კავშირის გამსახკომმა რესპუბლიკის გამსახკომებს აუკრძალა თხზულებათა ტომების გამოცემის დაწყება საკავშირო გამსახკომის ნებართვის გარეშე.

გასულ წელს გამომცემლობა „მერანს“ უნდა დაესტამბა კ. გამსახურდიას თხზულებათა მე-7-8 ტომები რუსულ ენაზე ერთ წიგნად, რომლის ტირაჟი გახლავთ 200 ათასი, აგრეთვე რუსულ ენაზე ა. ანტონოვსკაიას თხზულებათა მე-6 ტომი ასათი ათასიანი ტირაჟით. ამ ტომების დასასტამბავად საჭიროა 200 ტონამდე ქაღალდი, მაშინ, როცა „მერნის“ წლიური ფონდი შეადგენს სულ 550 ტონას. ქაღალდის უქონლობის გამო გასულ წელს ვერ დავბეჭდეთ აღნიშნული ტომები. ამ მიზეზით ვერც ამ წლის პირველ ნახევარში ხერხდება დასტამბვა. ხელმომწერლები კი ელოდებიან ამ ავტორთა უკანასკნელ ტომებს.

გამსახკომმა გადაწყვიტა მომავალში აღარ გამოსცეს ასეთი დიდი ტირაჟებით წიგნები საკავშირო ბაზარზე გასატანად, რადგანაც რესპუბლიკას ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ეძლევა ქაღალდი. ასეთ შემთხვევაში ჩვენ არ გვაქვს და არც გვექნება შესაძლებლობა წიგნები გამოვცეთ 200 და 100 ათასი ტირაჟებით, რომ საკავშირო მკითხველთა მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ.

სოფელში ყოფნა სოფლისათვის ზრუნვას ავალებს ადამიანს, — ასე დაგვმოძღვრა ნიკოლოზ ბარათაშვილმა.

ხელოვანთაგან თანდგომას კი ყოველთვის მოითხოვდნენ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე ასე იყო და მას მერეც ასეა. „კანონმდებლობამ წახალისებით, ჯილდოთი ან გაჭირის შემთხვევაში ძალდატანებით საჭირო მიმართულებით უნდა წარმართოს პოეტთა ფიქრი და აზროვნება“, — წერდა ფილოსოფოსი პლატონი.

სტოელებსაც ასევე სწორად მიაჩნდათ: „ყოველივე მშვენიერია, რაც ამართლებს და ერთგულად ემსახურება თავის დანიშნულებასო“, წერდნენ ისინი. დარბაზში მსხდომთ მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ ვირგილიუსის ცნობილი „ენეიდა“ ოქტოვიანე კეისრის დაკვეთით შექმნილი ნაწარმოები გახლავთ, რომ რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსანიც“ დაკვეთით შეიქმნა: „მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისაო“, — აცხადებს პოეტი.

მხოლოდ სოფისტებს მიაჩნდათ, რომ პოეტები სიმართლის კი არა, ხალხის სიამოვნების მსახური უნდა ყოფილიყვნენ.

აქედან გასაგებია თუ რატომ მოითხოვს ჩვენი პარტია და ხელისუფლება ხელოვანთაგან სიმართლესა და ხალხის სამსახურს, რატომ მოითხოვს ჩვენი იდეოლოგია, რომ ლიტერატურა უნდა შეიჭრას ჩვენს სინამდვილეში, უნდა დაეხმაროს პარტიასა და საზოგადოებას, უნდა განამტკიცოს ჩვენი მორალური პრინციპები. ჩვენს სინამდვილეში გამეფებულ ჩრდილოვან მხარეთა გამო გამოხატოს თავისი გულისტკივილი, ამხილოს ნაკლი და ხარვეზები; მწერლობას უნდა ჰქონდეს პარტიული სულისკვეთება, პარტიული პოზიცია და ტენდენცია. ჩვენს ლიტერატურაში კი პროზასა და პოეზიაშიც მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოები თუ შეიქმნა ისეთი, რომელთაც საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი პათოსი და ჭეშმარიტი მხატვრული ღირებულება გააჩნია.

როგორც ჩვენი ცნობილი პოეტი შოთა ნიშნიანიძე აცხადებს: „აქტუალურ თემებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერა დიდ პასუხისმგებლობასა და სიფრთხილეს მოითხოვს. ასეთ თემებზე დაწერილი, ვთქვათ, მხატვრულად მდარე ლექსით მკითხველს პოეზიასაც ვაძულებთ და მის ობიექტსაც".

ამ ბოლო წლებში საერთოდ ძალზე მომრავლდა ისეთი ლექსები, რომლებიც უსაგნო ლირიკის სფეროს განეკუთვნება. ასეთი ლექსები, მოთხრობები და რომანები არც თემატიკურად, არც შინაარსობრივად და არც თავიანთი ტენდენციითა და პოზიციით წყალს არ ასხამენ ჩვენს წისქვილზე. ჩემი აზრით, ასეთი ლექსები არ უნდა იბეჭდებოდეს არც პერიოდულ პრესაში და არც ცალკეულ წიგნებში.

თუ პარტიისაგან ბოძებული ყველა სიკეთე გვინდა, არ უნდა გავურბოდეთ იმას, რაც პირდაპირი ჩვენი მოვალეობა გახლავთ. არავინ არ მალავს იმას, რომ კლასობრივ სახელმწიფოში ყველაფერი კლასობრივია, მუშათა კლასის, გლეხობის, ტექნიკური ინტელიგენციის და პარტიული ხელმძღვანელობის შემართული შრომისა და წარმმართველი მტკიცე მარჯვენის ნაყოფი გახლავთ ის, რომ ზედიზედ მერვედ გავიმარჯვეთ. ქართული მწერლობაც ხომ ასეთივე მონდომებით უნდა იბრძოდეს ფრონტის იმ უბანზე, რაც მას აბარია. გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ სხვებს ჩამოვრჩებით და თითო-ოროლა მწერლის ის ლექსი, მოთხრობა და რომანი დიდი შეღავათისა და წყალობის შედეგად თუ ჩაითვლება ჭეშმარიტად პარტიული სულისკვეთებითა და პარტიული პოზიციებიდან დაწერილ ნაწარმოებად, რაც ჩვენ დღეს გვჭირდება.

ყველამ კარგად ჩაიხედოს თავის გულებში. როგორც დიდი რუსთაველი იტყოდა, კარგად გაითვალისწინოს თავი, ყოველივე კარგად აწონდაწონოს გონების სასწორზე, და განუსჯელად, მხოლოდ გრძნობათა სიმებზე ხელის ჩამოკვრით ნურარავინ შეეცდება სახელის შოვნას. თუ სინამდვილეს თვალს არ მოვუხუჭავთ, კარგად დავინახოთ, რომ დღევანდელი მუშა, დღევანდელი გლეხობა თუ ინტელიგენტი, საშინაო პოლიტიკის საქმეებშიც კარგად ერკვევა და ტოლს არც საგარეო საქმეთა სწორად აღქმასა და გაგებაში დაუდებს ვინმეს. ხალხი დიდად ერთგულია თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ნათელი იდეალებისა, ისინი კომუნისტური პარტიის მიერ დასახულ გზას მიჰყვებიან და არ არსებობს ძალა, რომელიც ქართველ კაცს ამ გზიდან გადაახვევინებს. სწორედ ამიტომ მინდა, რომ ჩვენცა (მხედველობაში მაქვს გამსახკომის სისტემა) და პარტიის მიერ ამ საქმეზე დაყენებულმა ხალხმა, რასაც ჟურნალების რედაქტორობა და წიგნების გამოცემის საქმის ხელმძღვანელობა ჰქვია, კარგად მივხედოთ იმ საქმეს, რაც მოგვანდეს, გავუფრთხილდეთ ჯერ კიდევ დაბნეულ, პირუმტკიც, გრძნობებს იოლად აყოლ ადამიანებს, ახალგაზრდობას, რომ ჩვენ თვითონ საჩოთირო და უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდეთ.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ისინი, ვინც იდეოლოგიურ ფრონტზე ერთ დროს საიმედო მებრძოლნი იყვნენ და თავისი საქმის დიდი ერთგულებით გამოირჩეოდნენ, თითქოს ჩაწყნარდნენ და მათი საცეცხლე წერტილებიდან ბრძოლის, სროლისა და ძლევის ყიჟინის ხმა აღარ ისმის. ამ დროებითი სიჩუმით ისარგებლეს მედროვეებმა და ყელ-ყელაობას მოჰყვნენ. ასპარეზზე გამოდის უნიჭობა და მხოლოდ თემატიკურად გამართული ლექსებით ლამობს დაცარიელებული, დადუმებული ადგილის დაპყრობას.

მე მინდა ამ ტრიბუნიდან ჩემს მეგობრებს მოვუწოდო არ დასთმონ პოზიციები, მუდამ ახსოვდეთ რისი შემძლებელნიც არიან! რა შეჰფიცეს პარტიას, როცა მის რიგებს ავსებდნენ და გონების ხმისა და სინდისის ხმის მიხედვით იმოქმედონ!

ჩვენ უკვე შევუდექით გეორგევსკის ტრაქტატის დიდმნიშვნელოვანი თარიღისადმი მზადებას. შედგენილი გვაქვს სპეციალური გეგმა, რომლის მიხედვით გამოიცემა 18 დასახელების წიგნი, ბროშურა, ალბომი, ბუკლეტი. დღეისათვის უკვე გამოცემულია 2 დასახელება (ვლ. ალფენიძის ტრილოგიის „სიყვარული და უკვდავების" პირველი წიგნი „დუელი მგლის ველზე", გ. პაიჭაძის — გეორგევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა).

ბევრი ჩანაფიქრი გვაქვს განსახორციელებელი, ბევრი მოუგვარებელი საკითხებია გადასაწყვეტი, რისთვისაც ვიღწვით ყოველდღიურად.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა:

„უმნიშვნელოვანეს იდეოლოგიურ რგოლს, მე ვიტყოდი, პოლიტიკურ ინსტიტუტს წარმოადგენს საქართველოს გამსახკომის სისტემა. აქ დადებითი ძვრები დაისახა. გამოდის ბევრი კარგი წიგნი, ფუნდამენტური შრომა.

მაგრამ რესპუბლიკაში წიგნის გამოცემის პოლიტიკის მდგომარეობა შემდგომ სრულყოფას მოითხოვს, სამწუხაროდ, საქართველოს სსრ გამსახკომის სისტემის ყველა მუშაკს როდი აქვს შეგნებული, რომ იგი პოლიტიკური მუშაკი, პარტიული იდეების პროპაგანდისტია".

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რათა სრულვყოთ წიგნის გამოცემის სწორი პოლიტიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ ომაძე

# მზიური პეიზაჟების ოსტატი

ვახტანგ ჯაფარიძის ნამუშევართა პერსონალურმა გამოფენამ, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ საქართველოს სამხატვრო გალერეაში გაიმართა, ცხადად და საკმაო სისრულით წარმოაჩინა ჩვენი ერთ-ერთი ცნობილი ფერმწერლის მიერ განვლილი ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი გზა. ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო როგორც ოსტატის წამყვანი ჟანრები, — უმთავრესად აკვარელით და გუაშით შესრულებული პეიზაჟები და ნატურმორტები, — ასევე პორტრეტები, არქიტექტურული ფანტაზიები, თემატური კომპოზიციები, ილუსტრაციები საბავშვო წიგნებისთვის და სხვა, სულ ხუთასამდე ნამუშევარი, რამაც ექსპოზიციის ერთგვარი გადატვირთვაც კი გამოიწვია. მრავალგვარ და მრავალმხრივ ძიებათა მიუხედავად, შემოქმედის უპირველესი და უმაღლესი მიზანი ნათლად გამოიკვეთა — გადმოეცა პეიზაჟებში მშობლიური საქართველოს იერი.

გარემოს ასახვის ჯაფარიძისეული გზა ერთგვარად ტრადიციულია: მხატვარი პირდაპირ ამბობს სათქმელს, ნატურის კარდინალური გარდაქმნებისა თუ ჭარბი პირობითობის გარეშე. ვახტანგ ჯაფარიძე სადა, ყველასთვის გასაგები ენით გვესაუბრება ჩვენი ქვეყნის მიმზიდველობაზე, მზით გაჩახჩახებული მისი ხეობებისა თუ მთა-გორების სილამაზეზე; გვიჩვენებს იმას, რაც მას იზიდავს, რაც მას უყვარს და ეს არის უშუალო აღქმის, გარემოს პირდაპირი, ტრანსფორმაციის გარეშე გადმოცემით ნათქვამი სიმღერა, ყოველგვარი სხვა მიტმასნილი ცრუ ღრმააზროვნების, პრეტენზიული მანიერულობის გარეშე. ხელოვანი თითქოს უშუალოდ ბუნებას ალაპარაკებს, თვით კი განზე დგას, ძალადობას არ მიმართავს მნახველის ხედვაზე, ის ფაქიზი და თავმდაბალია ბუნების მიმართაც და მაყურებლის მიმართაც ურთიერთობაში. მისთვის სავსებით უცხოა თვითმიზნური დეკორაციულობა, ელვარე ფერების კონტრასტული დაპირისპირება. ამიტომ ამ „რბილ" პეიზაჟებში ცივი და თბილი ტონები კი არ „ებრძვიან" ერთმანეთს, არამედ ავსებენ და ავითარებენ. ყველაზე განათებულ ადგილებშიც კი ფერები ოდნავ „ჩამქრალია". ჩრდილები გალიავებულია და საბოლოო ჯამში სურათი ერთიან ფეროვან გამაშია მოყვანილი. მაგრამ ყოველგვარი ტონალური ერთფეროვნებისა და სიმწირის გარეშე. მხატვარი არ უსვამს ხაზს თავის პირად ხედვას, მაგრამ სწორედ პეიზაჟის შექმნის საკუთარი კონცეფცია თავისთავად, დაუძაბავად წარმოქმნის გამორჩეულ, ადვილად საცნობ ხელს, ინდივიდუალურ სტილს.

განსაკუთრებით თბილი ლირიკული ინტონაცია იგრძნობა ნამუშევრებში, რომლებიც ასახავენ კახეთის მიდამოებს: „მეზობელი სახლები ახალსოფელში", „ქუჩა ახალსოფელში", „ახალსოფელი შემოდგომაზე", „ყვარლის ზემო უბანი", „მშვენიერი ქალაქი თელავი" და სხვ. ამ სურათებში ყოველდღიურობის პოეზიით მირონცხებული, სრულიად ჩვეულებრივი კუთხეებია ასახული სოფლისა თუ ქალაქისა. თანაბარი, წყნარი ნათება გამოსჭვივის ამ სურათებიდან, თითქოს ეს მთა-გორები, სახლები, ღობეები, ხეები, მიწა თვით გამოასხივებენ თანაბარ შუქს. გულშიჩამწვდომი ემოციურობით ავსებს მათ მხატვარი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამორფულ, გაბუნდოვანებულ „პოეტურ" ფორმას აძლევს სურათებს (აკვარელურ ტექნიკაში კი ფრიად მდიდარი შესაძლებლობაა ამ მხრივ). პირიქით, ვახტანგ ჯაფარიძე უტყუარ პოეტურობასთან ერთად, პეიზაჟს არ უცვლის ძირითად ფორმებს, სუბიექტური თვითნებობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსხვერპლად არ სწირავს მას. გარემოს გადმოცემისას არ უხვევს ნათელ, გამოკვეთილ მოდელირებას; ამასთანავე, პეიზაჟი ჯაფარიძისეული რჩება, აშკარად ჩანს შემოქმედის გამორჩეული, მკაფიო ინდივიდუალობა. დამახასიათებელია, რომ მხატვარს თითქმის არ აქვს ტემპერამენტიანი, ლაღი მონასმებით შესრულებული ნამუშევრები — ის არ ენდობა მხოლოდ ინტუიციას და გრძნობას, ამიტომ აკვარელში მუშაობს უმთავრესად „მშრალი" ხერხით, ცდილობს ნატურაში წვდომა და მისი გადმოცემა ცოდნამ, გამოცდილებამ, გონებამაც გააკონტროლოს — შესაშური თანაფარდობა აქვს დამყარებული რაციონალურსა და ემოციურ საწყისებს შორის. ასევე ძალზე დამახასიათებელია, რომ თითქმის ყველა პეიზაჟი მზითაა გაკაშკაშებული. ამის მიუხედავად ხასხასა, დაძაბულ ფერებს გაურბის, არც კონტრასტული დაპირისპირება აქვს ჩრდილიან და მზით განათებულ ნაწილებს შორის. ჩრდილებიც მეტ-ნაკლებად ფერადოვანია, ტონალური გადასვლებით მდიდარი და არა ერთფეროვანი, უსახო, რუხი.

უმეტესად სწორედ ფერით, ფეროვანი „აზროვნებით" ვცნობთ მხატვარს, მის განუმეორებელ ხედვას, თავისთავადობას. ფერის ერთგვარ პირობითობაში ჩანს როგორც ნდობა მაყურებლისადმი, მისი თანაშემოქმედებისადმი, ასევე მხატვრის თვითმყოფობის გამოვლინებაც, განპირობებული გარემოს აღქმის და მისი გააზრების პიროვნული თავისებურებით. აბსოლუტური მსგავსებისადმი, ნატურის ილუზორული იგივეობისადმი მისწრაფება უნაყოფოცაა, უაზროც და არამხატვრულიც. ამიტომ მხატვარს განზოგადებული ფორმა აქვს. ამასთან, ვახტანგ ჯაფარიძის ინდივიდუალობისთვის დამახასიათებელია, რომ უფრო მეტად ფერს ანზოგადებს, ვიდრე ნახატს. ფერის მისი კონცეფციის თანახმად, სურათი გამოირჩევა განზოგადებული ტონალური გამით, რომელიც პეიზაჟებში ყოველთვის თავშეკავებულია. ფერები ოდნავ „ჩამქრალია" და აი, ამის მიუხედავად, ეს რბილი, პირწმინდად აკვარელური ფერწერით შესრულებული სურათები მზითაა სავსე. მისი მცხუნვარე სხივებითაა გაცისკროვნებული (ძლიერი განათების დროს ხომ ფერები „ხუნდებიან" ჩვენს აღქმაში, კარგავენ სიკაშკაშეს). სწორედ ფერთა ამ ფაქიზი შეხამებით, მათი თანდათანი ტონალური გადასვლებით, შუქ-ჩრდილის დაუპირისპირებლად ვახტანგ ჯაფარიძე ახერხებს განათებულობის ასეთი ეფექტის მიღწევას. აქ მჟღავნდება მხატვრის დიდი ოსტატობა: გარემოს ძლიერი განათებულობის გადმოსაცემად სრულებით არ ხმარობს ძლიერ ტონს. პირიქითაც კი — განათებული ადგილი თავისთავად სულ არ არის მჟღერი ფერით შესრულებული, მაგრამ მეზობელი რუხი ტონების გვერდით გაკაშკაშებულობის ილუზიას ქმნის.

მრავალრიცხოვან სვანურ პეიზაჟებში ალპური ზონის ჰაერის გამჭვირვალება და მზის მხურვალება, ფერების სიხასხასე არ „აცდუნებს" მხატვარს: ის თავისი რწმენის ერთგული რჩება — ისევ თავშეკავებულ, მომწვანო-მოიისფრო და მოცისფრო ფერებს ხმარობს და მაინც ოსტატურად აღწევს თაკარა შუადღის ეფექტს — „სვანეთი, უშგული", „მესტიის კუთხე" და კიდევ მრავალი სხვა ნამუშევარი ამას ცხადად გვიჩვენებს.

ხედვის განსაკუთრებული დახვეწილობა გამოარჩევს ვახტანგ ჯაფარიძის თბილისურ პეიზაჟებს. მზით განათებული ჩვეულებრივი თბილისური ქუჩის მოტივი მხატვრის შემოქმედებაში ერთ-ერთი წამყვანია და, ამასთანავე, ალბათ ამ ნამუშევრებში გამოიკვეთა ყველაზე რელიეფურად ვახტანგ ჯაფარიძის ინდივიდუალობა. „მზიანი ქუჩა", „სასიამოვნო მზე" — აი ის აკვარელები, რომლებშიც თვალნათლივად გამომჟღავნდა შემოქმედის ბუნება. სტილი: განათებულისა და ჩრდილში მოქცეული ნაწილების ერთიან გამაში მოქცევა მათი დაპირისპირების გარეშე. სურათები გამსჭვალულია შუადღის შუქ-ჩრდილის პოეზიით — თაკარა მზით ყვითლად აელვარებულ სახლთა კედლებსა და დიაგონალურად გაწოლილი ქუჩის ქვაფენილზე ალაგ-ალაგ დაფენილია ხეთა ჩრდილების ბაცი მოცისფრო-რუხი ლაქები. მსუბუქი, ჰაეროვანი ფერები მშვიდნი, ოდნავ გახუნებულნი არიან, რითაც მიიღწევა რეალური, ჰაერითა და სინათლით სავსე გარემოს შეგრძნება: საგნები ჰაერში „ბანაობენ", ატმოსფეროში არიან ჩაძირულნი. პეიზაჟი ცოცხალია, სუნთქავს — ამწამიერი მდგომარეობის პოეტური ხატია. პანორამულ, ფართო სუნთქვის და დიდი სივრცობრივი სიღრმის პეიზაჟებშიც, მაგ., აკვარელში „ნარიყალა", მხატვარი ლირიკოსად რჩება, არ ისახავს მიზნად გადმოგვცეს ხედვის ეპოსური სიდიადე.

„გაზაფხულის პირველი ნიშნები" წმინდა წყლის აკვარელია — ნატიფი, გამჭვირვალე, პოეტური: გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობა არა მარტო ამ თეთრად აყვავებულ ტყემლის ან ახლად ამწვანებულ ხეთა ჩვილ ტოტებში, არამედ აგრეთვე სურათის საერთო, ერთგვარ საოცნებო, გარინდებულ ტონალობაში, მოლოდინის უტყვ გრძნობაში, რითაც გალვიძებული, მზეს მონატრებული ბუნება ხეტარებით ხვდება მის ჯერ კიდევ სუსტძალოვან სხივებს. მეორე აკვარელში „ბალი კარლ მარქსის სახელობის ხიდთან" მხატვარს რთული ტექნიკური ამოცანა აქვს გადაჭრილი: წინა პლანზე მუქი ხეებია (მაგრამ არც მხოლოდ სილუეტურად გადმოცემული), შუა პლანზე სანაპირო ქუჩა და ხიდია, უკანა პლანზე კი — მზით განათებული სახლები. სწორედ ეს მზით უკანა პლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის გაკაშკაშება იყო ძნელი გადმოსაცემი. ჩვეულებრივ ხომ სურათებში წინა პლანია ყველაზე განათებული. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკის არტისტული ფლობა არასდროს ხდება ხელოვანისთვის თვითმიზანი. მისთვის მთავარია სრულყოფილად შეასხას ხორცი ჩანაფიქრს, მთელი სისავსით გვაზიაროს თავის ემოციურ განწყობას.

თბილისის თემა ვახტანგ ჯაფარიძის შემოქმედებაში სხვა კუთხითაც არის დანახული, ცერძოდ. იგი დედაქალაქის წარსულს ასახავს წარმოდგენით შექმნილ ბევრ სურათში. მხატვარს აქვს ორი რიგის ფანტაზიები ძველი თბილისის თემაზე, ორივე უმთავრესად გუაშით შესრულებული: ერთი ნაწილი — ღია, ფეროვანი, ცინცხალი, ხალისიანი ფერებით ელიერ ჰგავს თეატრალური წარმოდგენის სცენას ან დეკორაციას — „საზამთროების გამყიდველი", „ძველი თბილისი, ვიწრო ქუჩა", „ფანტაზია „ძველი თბილისი" და სხვ. მეორე რიგი ნამუშევრებისა, რომლებშიც მრეცხავის, კინტოს, მოსაუბრე მოქალაქეების თუ მოსეირნე მანდილოსნების სტაფაჟური ფიგურებიც აგრეთვე წარმოდგენის პერსონაჟებს ჰგავანან, ხასიათდება მუქი, მოლურჯო-მორუხო კოლორიტით, რაც ერთგვარ კაეშნიან ელფერს აძლევს სურათებს — „ძველი თბილისის მოტივი", „ბაზარი ძველ თბილისში", „ხალიჩების მრეცხავები ძველ თბილისში", „საღამო ძველ თბილისში", „ძველი თბილისის ნაშთები" და სხვ.

ნატურული ეტიუდების საფუძველზე შესრულებულ ნამუშევრებს ძველი თბილისის მოტივების ამსახველი სურათები ერთგვარად ჩამოუვარდებიან, თუმცა თავისთავად ისინიც მრავალ მხრივ არიან საინტერესო. „ძველი თბილისის ქუჩა" მხატვრისთვის უჩვეულო სტილით არის შესრულებული: მუქი, მაგრამ არამკვეთრი კონტურები გრძელი თავისუფალი მონასმებით არის გაკეთებული — ეტიუდური მანერით, „აწყვეტილი" ფუნჯით და არა მხატვრისთვის ესოდენ დამახასიათებელი ხერხით — საგულდაგულოდ, გულდამჯდარად, ზედმიწევნით ფაქიზად; შედეგი კი მაინც შესანიშნავია — სურათი გამოირჩევა მომეტებული დეკორაციულობითა და ექსპრესიულობით (მსგავსი ხერხით შესრულებულ ეტიუდში „სოფელი ზამთრის პირას" საოცრად ლაკონიურად და შთამბეჭდავად არის გადმოცემული გვიანი შემოდგომის სევდიანი პოეტური მოტივი). მეორე აკვარელში „ძველი თბილისის მოედანზე", რომელშიც მხატვარი წარსულსაც მოუხმობს და ჟანრულ მომენტსაც ურთავს, ორიგინალურ ხერხს იყენებს: მოედნის მზით განათებულ ნაწილში სახლების არქიტექტურა მკვეთრი გრაფიკული ხასიათის მატარებელია — კალმით არის გავლებული კონტურები წვრილი მუქი ხაზით, ხოლო ჩრდილში მოქცეული ნაწილები ობილი მოდელირებით არის შესრულებული მონაცრისფრო-მოცისფრო მუქი [illegible] მოყენებით — ხურჯინიანი გლეხი წუღებს არჩევს ხარაზთან, მეთუნის სახელოსნოსთან მდგარ ყარაჩოხელს ყოჩი უჭირავს თოკით, მენავთეს ცხენშებმული ცისტერნიანი ოთხთვალა ტროტუარზე შეუყენებია მუშტრის მოლოდინში... წვრილ მუქ კონტურებს მხატვარი ზოგიერთ სხვა ნამუშევარში უფრო ფართოდ იყენებს („მესტია", „ახალსოფლის ქუჩა"), მაგრამ ისინი სრულიადაც არ იქცევიან აკვარელით შეფერადებულ ნახატებად, ეს სრულყოფილი ფერწერული ნამუშევრები გამოირჩევიან თავისებური გამომსახველობით.

რასაკვირველია, ვახტანგ ჯაფარიძე, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი დღეების მომღერალია, თანამედროვეობის მეხოტბე, მაგრამ, ამავე დროს, ძალზე მძაფრად განიცდის ჩვენი ერის წარსულსაც. როგორც პეიზაჟისტს (და მეორე სპეციალობით, არქიტექტორს!) განსაკუთრებით იტაცებს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები და ფუნჯით ესიყვარულება არა მარტო საქვეყნოდ ცნობილ სახელოვან ძეგლებს („სვეტიცხოველი", „იყალთოს აკადემია", „გრემი", „ვარძია", „ჯვრის მონასტერი ზაჰესთან", „ქუთაისი, ბაგრატის ტაძრის ნანგრევები" და მრავალი სხვა), არამედ მივარდნილ ხეობებში უპატრონოდ მივიწყებულ ნახევრადდაქცეულ პატარა ეკლესია-სალოცავებსაც, ბუჩქნარ-ბალახით დაფარულ-დაპყრობილ და ზოგჯერ მოზრდილი ხეებით კედელთა ნაპრალებში ფესვებგადგმულ, მრავალჭირგადახდილ, ქონგურებმორღვეულ და ალაგ-ალაგ მიწამდე იავარქმნილ ძველ ციხეთა ნანგრევებს („უჯარელი, ტურის ციხე", „სოფელი ჭიკაანი"). მხატვარს არ ასვენებს სახელოვანი წარსულის ამ უტყვ მოწმეთა ბედი და წარმოსახვით შექმნილ სურათებშიც მათ განზოგადებულად აცოცხლებს: „შორეული წარსულიდან", „მივიწყებული ადგილი"...

ასევე ინტენსიურად და ნაყოფიერად იმუშავა ოსტატმა ნატურმორტის ჟანრშიც. მის მიერ შესრულებული ნატურმორტები თითქოს წინა პლანზე აგრძელებენ და ავსებენ პეიზაჟს: ხილი და ყვავილები, ქართული დოქები და ლარნაკები უფრო ახლოს გვიჩვენებენ ჩვენი მიწისა და მშრომელი ადამიანის გამრჯე ხელის ნაყოფს, მის ამოუწურავ მრავალფეროვნებასა და სილამაზეს. ერთი შეხედვით ამ ნამუშევრებში საგნები შემთხვევით მოხვდნენ ერთმანეთის გვერდით, მათ მხატვრის ნების გარდა არაფერი აერთიანებთ (დამახასიათებელია სახელი ერთი ნამუშევრისა — „შემთხვევითი საგნებისაგან შემდგარი ნატურმორტი"). ისინი მჭიდროდ არიან მიჯრილნი ერთმანეთთან და ერთგვარი გადატვირთულობის გრძნობასაც კი ბადებენ. თითქმის ყველა ნატურმორტი გუაშითაა შესრულებული. მათ ხშირად მოცისფრო ტონალობა გადაჰკრავთ (ერთ-ერთს ასეც

ჰქვია — „ნატურმორტი ცისფერ ტონებში“). ისევე, როგორც პეიზაჟებში, ნატურმორტებშიც მთავარია გამაერთიანებელი წამყვანი ტონის ვარიაციულობა — სხვადასხვა ფორმისა და შეფერილობის საგნები ოსტატურად არის მოქცეული ერთიან ფეროვან გამაში, ამასთანავე, ყოველ საგანს შენარჩუნებული აქვს საკუთარი, მისთვის დამახასიათებელი ფერი. ეს რთული ამოცანა, განათებისა და შუქ-ჩრდილის შთამბეჭდავი ასახვით, ძალიან ბუნებრივად, ძალდაუტანებლად, ნატიფი არტისტიზმითაა გადაწყვეტილი. შეიძლება პირველად შეგვექმნას შთაბეჭდილება, რომ მხატვარი ამით იფარგლება — რაიმე „სიუჟეტი“, ქვეტექსტური დატვირთვა, „ზეამოცანა“ თითქოს კამერული ხასიათის ნატურმორტებს არ გააჩნიათ, გარდა იმისა, რომ ამ „შინაური“, ნაცნობი საგნების ხილვა გვანიჭებს ტკბობას, გარკვეულ ასოციაციებს წარმოშობს. მხატვარი არ მალავს თავის მიზანს — შექმნას პირველ რიგში ლამაზი, თვალისთვის საამო სურათი და ამგვარი სილამაზის ხაზგასმული დემონსტრაცია, თუკი ეს ლოკალური ამოცანაც კი წარმატებით არის გადაჭრილი, არც ისე უმნიშვნელო გახლავთ, როგორც ზედაპირული შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ამ სურათებს ცხოვრებისეული მოვლენების თუ საგნების ოპტიმისტური, ხალისიანი აღქმის ფილოსოფია უდევს საფუძვლად, რაც უპირველესად სჭირდება ადამიანს.

თუ პეიზაჟებში ნამუშევრის საფუძველი — მტკიცე ნახატი — ფეროვანი სირბილის, წმინდა ფერწერულობის წყალობით აშკარად არ ჩანს, ნატურმორტებში ის მკაფიოდ არის გამოვლენილი. ნატურმორტები, პეიზაჟებთან შედარებით, მთელ რიგ შემთხვევებში გამოირჩევიან აგრეთვე მომეტებული დეკორაციულობით, რასაც ნაწილობრივ ალბათ გუაშის ტექნიკის გამოყენებაც იწვევს. გუაშის ფერები საერთოდ „მძიმეა“ — მქღერი, ძლიერი, მაგრამ ვახტანგ ჯაფარიძის ნამუშევრებში ისინიც „რბილდება“ — სურათებში არც ერთი მყვირალა აქცენტი არ არის, გუაშით შესრულებული პეიზაჟებიც აკვარელური, „ნაზი“ იერისაა.

ვახტანგ ჯაფარიძის პოეტურად ამაღლებული შემოქმედება მეტად მდიდარია და მრავალფეროვანი როგორც რაოდენობრივად, ისე რაობითაც. გრძნობის თავდაჭერილობისა და სიღრმის წყალობით მან ბედნიერად აიცილა როგორც გრაფიკული სტილის სიმშრალე და რაციონალიზმი, ასევე დეკორაციული სტილის პირდაპირობა და ზედაპირულობა. გარეგნულ კომპოზიციურ თუ ფეროვან ეფექტებს ხელოვანი ამჯობინებს შინაგან ღრმა ემოციურობას, რომელიც არ არის ხაზგასმით აშკარად გამომჟღავნებული. იგი შეკუმშულ ზამბარასავით ინახავს დაფარულ ემოციურ ენერგიას, და ეს შინაგანი ეთიკური ძალა განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებს პეიზაჟებს — მათში გამოსჭვივის კეთილშობილება და სითბო, მხატვარი თითქოს ფუნჯით სათუთად ეალერსება მშობლიურ ქვეყანას, მის ბუნებასა და ხალხს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ლალიაშვილი

# მეორე პერსონალური გამოფენა

საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი, ქართული ფერწერის დიდოსტატი ლადო გუდიაშვილი წერდა მანანა ბობოხიძის შესახებ:

„მანანა ბობოხიძის შემოქმედება გამოირჩევა ინდივიდუალობით, ხელწერის ეროვნული თავისებურებით, ნატიფი მხატვრული გემოვნებით, მგზნებარე ცეცხლოვანი ტემპერამენტით. იგი იშვიათი ტალანტის მქონე მხატვარია, რომელიც ღრმა მიგნებით, უტყუარი სიმართლით წარმოსახავს ადამიანთა სულიერ სამყაროს. მისი პალიტრა ცისარტყელასავით ელვარე, მდიდარი კოლორიტის ფერთა სიუხვეა“.

საქართველოს ბოლოდროინდელ კულტურულ ცხოვრებაში საინტერესო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ მხატვარ მანანა ბობოხიძის პერსონალური გამოფენის მოწყობა. ეს მეორე პერსონალური გამოფენაა, რომელზეც 150-ზე მეტი ფერწერული ტილოა წარმოდგენილი, იგი თვალნათლივ მოწმობს ორი ათეულწლოვანი შემოქმედებითი გზის ნაყოფიერებას, გამოფენაზე ნათლად გამოჩნდა რაოდენ ამაღლდა მხატვრის ოსტატობა და რაოდენ დიდი პოტენციაა ჩაქსოვილი ამ ექსპოზიციაში.

თვალის ერთი გადავლებით იგრძნობა, რომ შემოქმედის ფერწერაში ყველაფერი პოეზიის მადლით არის გამთბარი; „ვინც ფერწერა და პოეზია პირველად შეადარა ერთმანეთს, წერდა ლესინგი — მას ნამდვილად მახვილი ალღო ჰქონდა და იგრძნო მათი ერთნაირი ზემოქმედება“, მანანა ბობოხიძის ქმნილებათა წარმატების საიდუმლო სწორედ ფერისა და პოეზიის ერთობლივ ზემოქმედების იშვიათ უნარში მდგომარეობს.

მანანა ბობოხიძის სურათებში ნათლად გამოხატულია ქართული ეროვნული სულისკვეთება. ეს თვისება განსაკუთრებული ძალით მის შემოქმედებით სტიქიაში — პორტრეტში ვლინდება. ქალის პორტრეტის ტიპაჟი — მოგრძო სახის თვალით, ყარყარა ყელით, თხელი ნაკვთებით, ფიქრიანი თვალებით მე-18 საუკუნის ქართულ პორტრეტში ჩამოყალიბდა, რომელიც უმაღლეს საფეხურზე აიყვანა დიდოსტატმა ლადო გუდიაშვილმა; ამ ტრადიციას აგრძელებს მანანა ბობოხიძე; გუდიაშვილი მას დაეხმარა ორგანულად შეეგრძნო და გაეგო ქართული სახვითი ხელოვნების ეროვნული ხასიათი. ამ თვალსაზრისით ყველაზე დამახასიათებლად გვეჩვენება — „ავტოპორტრეტი — ფოთოლცვენა“, „ნინო ჭავჭავაძის პორტრეტი“, „ქეთევან ირემაძის პორტრეტი“, „უცნობი ქალის პორტრეტი“.

ნინო ჭავჭავაძის პიროვნება ყველას მეხსიერებაში ცოცხლობს, როგორც წარუხოცელი სილამაზის, ქართული სიდარბაისლის განსახიერება. უდიდეს პასუხისმგებლობას კისრულობს შემოქმედი, როდესაც ყველას წარმოდგენაში არსებული პიროვნების პორტრეტის შექმნას განიზრახავს. მანანა ბობოხიძემ, მარჯვედ დაძლია სირთულე; ეს სახე ზოგად ქართულ სახედ აქცია, რომლის შეხედვისას უმალ გახსენდება გიორგი ლეონიძის სტრიქონები: „შენ სილამაზის ნაზო გრიგალო, შენგან აროდეს მომესვენება“ აქ აზრისა და ემოციის გაღვივებას მთლიანად ფერები ემსახურება, მუქი ფონი ნათდება თეთრი თავსაბურით შემკობილი ქალის კდემით მომზირალი თვალებით; ფონი თითქოს საუკუნე, რომელიც ფარდასავით ჩამოშვებულა ჩვენსა და ნინო ჭავჭავაძის დროს შორის, მაგრამ თვით საუკუნეც უძლურია წარიტაცოს ცხოველმყოფელი მშვენიერება, იგი საუკუნის მიღმიდან კვლავ ანათებს, ჩვენს დღეებშიც განაგრძობს სიცოცხლეს.

მანანა ბობოხიძის შემოქმედების პირველი პერიოდიდან, რომელიც 60-იანი წლებით შემოიფარგლება, არ შემიძლია არ გავიხსენო 1962 წელს დაწერილი ტრაგიკული წილხვედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის მქონე ქართველი პოეტის, ტერენტი გრანელის პორტრეტი; ცასმიჩერებული პოეტის თვალები სამუდამოდ გამახსოვრდება; მხატვარი უმთავრესად შემოქმედთა პორტრეტებს მიმართავს, პიროვნებისა და შემოქმედის ღრმა ცოდნა გამოსჭვივის „კონსტანტინე გამსახურდიას პორტრეტში", სადაც ფერთა პალიტრის არცთუ მრავალფეროვნების მიუხედავად, ფერმწერალი ახერხებს გამოხატოს ერთ პიროვნებაში არსებული შინაგანი ძალა, სულიერი მოძრაობა და სიღრმე.

რევოლუციის დიდი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის ბევრი პორტრეტი გვინახავს, მაგრამ ცოტა თუ შეედრება ბობოხიძის ტილოს, რომელიც გამოირჩევა პოეტის სულის ხვეულებში ჩაწვდომის იშვიათი უნარით. მანანა ბობოხიძე მეწამულ ფერებში აცოცხლებს სევდიანი, საკუთარ ნიჭსა და ძალაში დარწმუნებული პოეტის სახეს, რომელსაც გულში შავი, თვინიერთვალება, ბომბორა ლეკვი ჩაუხუტებია, ეს პორტრეტი ზედმიწევნით ზუსტად ასახავს მაიაკოვსკის სიცოცხლის ბოლო ხანების სულიერ მდგომარეობას.

„ლადო ასათიანის პორტრეტის" ხილვისას ჩვენს თვალწინ ცოცხლდება პოეტის ჭაბუკური აჩრდილი — ლამაზი სახით, დიდი შუბლით, ჭკვიანი, ოდნავ ნაღვლიანი თვალებით. სახესთან მიახლოვებული გრძელი, წვრილი თითები სიმბოლურად ასახავს პოეტის ხელს. აქ ყველაფერზე საინტერესოდ ჩანს მოცისფრო ფონზე აწეული ხელის მტევნის ზემოთ გამოსახული სისხლისფერი ყაყაჩო. ჩემის აზრით, ფონი საერთოდ პოეზიის სამყაროა, მოკიაფე ყვავილი კი ასათიანის პოეზია — სიყვარულის, პატრიოტიზმის, სილამაზის, ამაღლებული სულის დაუსრულებელი სიმღერა.

მომხიბვლელია „ინოლა გურგულიას პორტრეტი", რომელიც შესანიშნავად გადმოგვცემს პოეტი და მომღერალი ქალის ულევ სიკეთეს, ვისი თქმითაც: „და ღიმილისთვის შეიქმნა, და სიმღერისთვის შეიქმნა, და სიკეთისთვის შეიქმნა ადამიანი"... მისი სიცოცხლე ხომ სიმღერაში ,ღიმილში დაილია. მისი სიცოცხლის არსის გახსნას დიდად უწყობს ხელს ფერადი ლაქების რიტმული მოძრაობა.

ლადო გუდიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ორი ნამუშევარია წარმოდგენილი გამოფენაზე. განსაკუთრებული ემოციური ძალისაა „ფრესკის ტირილი", ლურჯ ტონალობაში გადაწყვეტილი ტილოს შეხედვისთანავე გუდიაშვილის ფერთა დღესასწაული „ფრესკის ღიმილი" გახსენდება.

გამოფენაზე საკმაოდ ფართოდაა ექსპონირებული ფერმწერლის პეიზაჟები, რომლებიც კამერულობის მიუხედავად, ყურადღებას იმსახურებენ ღრმა ფანტაზიით და დეკორატიულობით, მათში იგრძნობა მხატვარი ქალის დახვეწილი გემოვნება, ფერთა მეტყველი გამის ფლობის უზარმაზარი ნიჭი.

ფიგურულ კომპოზიციებს შორის ფერით აზროვნების თვალსაზრისით, პასტოზური წერის მანერით და პლასტიკურობით გამოირჩევა: „მაჰმუდ ესამბაევი — ცეკვის ჯადოქარი", „ზურაბ კიკალეიშვილი — მსახიობის ბედი", „ანდრეი რუბლიოვის გახსენება", „მამაკაცის ორსახეობა და იდეალი", „სიკეთისა და ბოროტების მიჯნაზე" და სხვ.

მანანა ბობოხიძის პერსონალური გამოფენის გვირგვინად „ავტოპორტრეტი — ფოთოლცვენა" მიმაჩნია, რომელიც შესანიშნავი ქმნილებაა არა მარტო მის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ ქართულ პორტრეტში; ეს არის სილამაზისადმი მიძღვნილი ჰიმნი, ეროვნული სულის სიმაღლით აღბეჭდილი. ამ პორტრეტში ყველაფერი თავის ადგილზეა. ძნელია სიტყვით გადმოსცე ფოთლების დეკორატიულ ფონზე, თმების გარშემორკალად შემოვლებული თეთრი ლაქების კონტურის სიღრმეში ჩაწერილი ფრესკული სახის სილამაზე. ამ ფერწერულ ტილოში ფერთა გამომსახველობის ძალა დიდ სიმაღლემდეა აყვანილი.

მანანა ბობოხიძის ფერწერას ადამიანის სამყაროზე ზემოქმედების დიდი ძალა გააჩნია, რადგან ის არის ამაღლებული, მგზნებარე და არაჩვეულებრივი.

## წიგნების მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ათონი, ჯვარი, პეტრიწონი"

შარშან გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა ბორის კანდელაკის მცირე მოცულობის ნაშრომი „ათონი, ჯვარი, პეტრიწონი". წიგნს ლექსის სტრიქონივით სათაური აქვს და თავისებურად ასახავს კიდეც ავტორის დამოკიდებულებას მოსათხრობი ამბებისადმი — შეკავებულ აღტაცებასაც, სევდასაც და თვითშეჯერებულ რწმენასაც.

საქართველოს ფარგლებს გარეთ მრავალი ძეგლი და მონასტერია, რომლებიც საშვილიშვილოდ არიან დაკავშირებულნი ჩვენი ხალხის ისტორიასთან. ერთნი, მტრისაგან მოტაცებული ქართველი ქალებივით დღე-მუდამ საქართველოს ცა-ღრუბლისკენ იმზირებიან და დედულეთიდან დაბერილ ნიავს უღელავენ ოცნებებით ავსილ მკერდს; მეორენი, არწივების ნასახლარი ბუდეებივით, უტყვი სიჯიუტით ინახავენ რწმენითა და ერის მსახურებით აღძრულ სულთა ხსოვნას, იმ მოღვაწეთა სახელებს, რომლებმაც თავისი ნებით იტვირთეს ყველაზე მძიმე ჯვარი — სამშობლო სადიდებელი და მშრომელ ხალხზე ფიქრით ფერნაცვალი. ასეთი ძეგლებია — ათონი, ჯვარი, პეტრიწონი.

თითქოსდა ასეთი იყო შუა საუკუნეების ქართველი რაინდის მორალური კოდექსი: განვლე შენი ახალგაზრდობა ხმლის ქნევასა და სამშობლოს მტრების მოგერიებაში, ხოლო შემდეგ, ბრძოლებით დაღლილმა და ათასი განსაცდელით დაბრძენებულმა, ფარი და ხმალი გვერდზე გადადე და წიგნსა და კალამს მოჰკიდე ხელი, რადგანაც ესენიც სამშობლოს მსახურებისთვის განკუთვნილი იარაღებია. ასეთი იყო ვარაზვაჩე — შემდეგში სასულიერო მოღვაწე იოანე — ათონის ივერთა მონასტრის დამაარსებელი. ასეთი იყო თორნიკე ერისთავი, რომლის ჯაჭვის პერანგიც დღესაც ათონის მთაზეა, როგორც სიმბოლო ჯანითა და სულით გაუტეხელი ქართველი კაცისა. შეჭირვებული, წელში გაწყვეტილი ერის შვილი ძნელად შესძლებდა თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მონასტრის აგებას.

ქართველი კაცისთვის დღეს განსაკუთრებით ახლობელია იერუსალემის ჯვრის მონასტერი. ეს სავანე დაკავშირებულია გენიალური შოთა რუსთაველის სახელთან, მის ბიოგრაფიასთან.

იერუსალიმში ქართველებს ორმოცამდე ეკლესია-მონასტერი და სასტუმრო სახლი ჰქონიათ. ჯვრის მონასტერი, გადმოცემით, მირიან მეფეს აუგია, შემდეგ კი ვახტანგ გორგასალს შეუკეთებია და გაუმაგრებია; ხოლო დღევანდელი ჯვრის მონასტერი მეთერთმეტე საუკუნის პირველნახევარში შავშელ გიორგი პროხორეს აუშენებია.

მესამე ნარკვევი წიგნისა პეტრიწონის მონასტერს შეეხება. პეტრიწონის მონასტერი სიდიდით მეორე ყოფილა ბულგარეთში. იგი 1083 წელს აუშენებია ბიზანტიის იმპერიის დასავლეთის ჯარების მთავარსარდალს გრიგოლ ბაკურიანის ძეს და ამ საქმისათვის საქართველოდან ორმოცდაათი მშენებელი და მხატვარი წაუყვანიათ. ამ მონასტრის ბიოგრაფიაც ძალზე დრამატულია. საინტერესოა ისიც, რომ ქართველი კაცის მიერ აგებული მონასტერი მრავალი საუკუნის შემდეგ, ბულგარელთაგან თავისუფლების მოპოვების ჟამს (რუსეთ-თურქეთის ომში) დაღუპვისაგან ისევ ქართველს — გიორგი ჯორჯაძეს გადაურჩენია.

უნდა აღინიშნოს, რომ ბორის კანდელაკის ნაშრომი სადად, უპრეტენზიოდ, მეცნიერებაში გავრცელებულ დებულებებზე დაყრდნობით გვიყვება იმ ფაქტებზე და მოვლენებზე, რომლებიც წარუხოცელი არიან ჩვენი ხალხის ისტორიიდან, გვიყვება ჩვენი წინაპრების ღვაწლზე, მათ შრომასა და ბრძოლაზე და იმასაც შეგვახსენებს, რომ ამ სახელოვან ტრადიციებს ღირსეული გამგრძელებელი და მომგონებლები სჭირდება.

თ. ჭადაგიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟურნალ „მნათობის" 1981 წლის ნომრების შინაარსი

ლ. ი. ბრეჟნევი — მოგონებანი (ქარხნის საყვირი და ჩვენი ცხოვრება. სამშობლოს გრძნობა). № 1.

## მკითხველთა გამოხმაურებანი ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებებზე

ალიმბარაშვილი ვახტანგი — გულამდე ჩამწვდენი სიტყვა. № 12.
გავაშელი იზა — სულიერი მშვენიერება. № 12.
ყურაშვილი იულია — ხანძარი არ უნდა დაინთოს. № 12.

## მოწინავე წერილები

დიდი ეპოქის მხარდამხარ — № 3.
სამოცი გმირული წელიწადი — № 5.

## სკკპ XXVI და საქართველოს კპ XXVI ყრილობების შესახვედრად

ამისულაშვილი შალვა — ქამთასვლას კაცის ხელი მართავს. ნარკვევი. № 1—2.
კალაძე კარლო — პასუხი ყველა შეკითხვაზე. ლექსი № 1.
ჯანგულაშვილი თეიმურაზი — მზისკენ მიჰყავს ქვეყანა ვრცელი. ლექსი № 2.

## მოთხრობები, რომანები, ნარკვევები, პიესები

ანდრონიკაშვილი ბორისი — მოთხრობები. № 10.
აჩვლედიანი ვახტანგი — მინიატურები. № 10.
ბროევი ვალერიანი — ჯემალ რაშოევი. მოთხრობა. № 8.
ბუთხუზი გივი — მატირე ცოტა ხანს. მოთხრობა. № 6.
გალდავაძე ავთანდილი — დედაშვილობა. მოთხრობა. № 2.
გეგეშიძე გურამი — ხმა მღაღადებლისა. რომანი. № 1, 2, 3, 4, 5, 6.
გელაშვილი ნაირა — მოთხრობები. № 4.
გეწაძე აკაკი — ხსოვნის ტყე. მოთხრობა. № 6.
გოგოლაძე თენგიზი — ცისფერი ცეცხლი. დოკუმენტური მოთხრობა. № 1, 2, 3; იყო ერთი კაცი. ნამდვილი ამბავი. № 7.
გოგოჭური დავითი — მამულას მამალი. მოთხრობა. № 11.
დემეტრაშვილი ოთარი — ვალი. მოთხრობა. № 9.
დოლიძე მამუკა — მოთხრობები. № 1.
ზორინი ლეონიდი — დიონი. პიესა. თარგმ. მ. ქვლივიძემ. № 6.
ზედგინიძე გიორგი — გატეხილი ხიდი. რომანი. № 11, 12.
თორია ზურაბი — ხე ხორციელი. მოთხრობა. № 1.
თხინვალელი ბეჟანი — დაბრუნება. მოთხრობა. № 12.
ჯანკია ვიოლა — პატარა მოთხრობები. № 6.
კლდიაშვილი სერგო — საკრაულელი განდეგილი. მოთხრობა. № 8.
კობერიძე კარლო — ნიავის გამოღვიძება. მოთხრობა. № 5.
მელიქიშვილი ბასილი — ქვირინაი (ესკიზი). № 7.
მესხი ლეილა — მონატრება. მოთხრობა. № 3.
მესტიაშვილი ციცანო — წინსაფარი. მოთხრობა. № 3.
მეხრიშვილი ჯემალი — მოთხრობები. № 4, 10.
მიშველაძე რევაზი — ნოველები. № 5.
ნარ-დოსი — სიკვდილი. ნაწყვეტი რომანიდან. თარგმ. მ. მამაცაშვილმა. № 1.
პაპასქირი მუშნი — თოლია. მოთხრობა. თარგმ. გ. ციცქიშვილმა. № 9.
ჟაჟიევი ანატოლი — აზამათი. მოთხრობა. თარგმ. ე. ბაშარულმა. № 7.
ჩალაური თენგიზი — ნაცრისფერპალტოიანი კაცი. მოთხრობა. № 11.
ჩართოლანი ლაერტი — გურმაჩ ტვიბერიანი. მოთხრობა. № 5.
ჩიქოვანი გრიგოლი — რწმენა. რომანი. დასასრული. № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩხეიძე ოთარი — ვენეციური ქალი. რომანი. № 7, 8, 9, 10.
ჩხიკვიშვილი დავითი — სიყმაწვილის წლების გახსენება. დოკუმენტური მოთხრობები. № 4, 9.
წოწკოლაური მარინე — მოთხრობები. № 3; ჰორიზონტს მიღმა დაკარგული ყაყაჩოები. მოთხრობა. № 9.
ხერგიანი მირონი — ხუთასი კოშკის მხარეში. ნარკვევი. № 10, 11.
ხიმშიაშვილი კოტე — მოთხრობები. № 2.
ხუნდაძე ნოდარი — მირგოროდის ღამეები. მოთხრობა. № 7.
ჯანჯღავა ვლადიმერი — ერთგულება. დივიზიის მეთაურის ჩანაწერები. № 1, 2, 3, 4, 5.
ჯერომი ჯერომ — რატომ არა გვაქვს კუდები. მოთხრობა. თარგმ. ა ნ ა  რ ა ტ ი ა ნ მ ა. № 7.

## ლექსები, პოემები

აბაშიძე ირაკლი — ორი ლექსი. № 10.
აბრამიშვილი მარი — ლექსები. № 3.
აბულაშვილი ანზორი — ლექსები. № 9.
ადეიშვილი ნოდარი — ლექსები. № 2.
არაბული კობა — ჯოყოლას სიკვდილი. პოემა. № 2.
არაბულ ბალათერ — ლექსები. № 12.
არაბული მურთაზი — ლექსები. № 2.
არაბული შაბურა — ლექსები. № 8.
აფციაური იოსებ — ლექსები. № 11.
ბაბუხადია ლევანი — ლექსები. № 8.
ბალახაძე სიმონი — ლექსები. № 11.
ბატიაშვილი დარეჯანი — ლექსები. № 3.
ბაჯიაშვილი ცირა — ლექსები. № 3.
ბეგიაშვილი ილია — ლექსები. № 9.
ბედიანიძე დალილა — ფოტოსურათები. პოემა. № 3.
ბედოშვილი ლია — ლექსები. № 3.
ბერიაშვილი ბერდია — ლექსები. № 9.
ბერულავა ხუტა — ლექსები. № 9.
გაგუა ხუტა — ლექსები. № 11.
გეწაძე აკაკი — ლექსები. № 11.
გიგაური გიორგი — ლექსები. № 7.
გიგიტაშვილი ალიკო — ლექსები. № 7.
გოდერძიშვილი ზუმრუდ — ლექსები. № 3.
გოეთე იოჰან ვოლფგანგი — ფაუსტი. თარგმ. გ. ჯ ო რ ჯ ა ნ ე ლ მ ა. № 8, 11.
გონაშვილი მაყვალა — ლექსები. № 3.
გორგანელი ვახტანგი — ბალადა შალვა ბელთაურზე. № 2; ლექსები. № 10.
გუბლია გიორგი — ერცახუ. ლექსები. თარგმ. გ. ბ ე რ ა ი ა მ. № 4.
დანელია ბათუ — ლექსები. № 6.
დანელია რევაზი — ლექსები. № 7.
დვალი გულიკო — სვანეთში ვარ. ლექსები. № 3.
დიასამიძე სულიკო — ლექსები. № 11.
დოლბაია ვაჟა — ლექსები. № 8.
ერისთავი თამარი — მეორე სუნთქვა. ლექსი. № 3.
ვასაძე აკაკი — ლექსები. № 7.
თარბა ნელი — ლექსები. თარგმ. ბ. ხ ა რ ა ნ ა უ ლ მ ა. № 3.
თარგამაძე ნანა — ლექსები. № 1.
თანამედროვე ინგლისელი პოეტები — ლექსები. თარგმ. გ. ნ ი შ ნ ი ა ნ ი ძ ე მ. № 1.
თოთაძე ლალი — ლექსები. № 3.
ივარდავა დილარი — სადაც ზღვაა და ლურჯი მთები. პოემა. № 10.
ინჯია ჯემალი — ორი ლექსი. № 1.
კაიშაური რუსუდან — ლექსები. № 12.
კაკუშაძე თენგიზი — ლექსები. № 12.
კალაძე ამირანი — ლექსები. № 8.
კალაძე კარლო — საბჭოთა საქართველოს. ლექსი. № 5; შატილი. ლექსი. № 7.
კახიძე მედეა — ლექსები. № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერესელიძე მთვარისა — ლექსები. № 5.
კეშელავა ბონდო — ლექსები. № 4. 6, 12.
კვანტალიანი შარლოტა — ლექსები. № 3.
კვირტია ედემი — ლექსები. № 12.
კვიტაიშვილი ემზარი — ლექსები. № 11.
კირთაძე ნინო — ლექსები. № 3.
კოტლიარევსკი ივანე — ენეიდა. ნაწყვეტი პოემიდან თარგმ. ა. ასანიძემ. № 4.
კუპავა ნოდარი — ლექსები. № 4.
მარგიევი კოსტა — ლექსები. თარგმ. ბ. ხარანაულმა. № 10.
მამფორია ოთარი — ლექსები. № 11.
მაჭარაშვილი სოსო — ლექსები. № 7.
მგელაძე ხაფო — ლექსები. № 1.
მდივანი ნინო — ლექსები. № 7.
მეგრელიშვილი რუსუდანი — მთის უბეში. ლექსი. № 3.
მილდიანი ჯულიეტა — ლექსები. № 3.
მარნელი მირიანი — ახალი ლექსები. № 5.
მჭედლური დავითი — ლექსები. № 10.
რუსი პოეტები — საქართველოს. თარგმ. გ. მარგველაშვილმა. № 5.
ნადირაშვილი ელენე — ლექსები. № 3.
ნარიმანიძე სილოვანი — ლექსები. № 8.
ნებიერიძე მურადი — ლექსები. № 9.
ნეკერიშვილი ნაილი — ლექსები. № 3.
ოთარაშვილი ვაჟა — ლექსები. № 9
პაიაშვილი გიორგი — ლექსები. № 9.
რატიანი ჯემალი — ლექსები. № 7.
რუსი პოეტები — საქართველოს. თარგმ. გ. მარგველაშვილმა. № 5.
სახოკია მაია — ლექსები. № 3.
სიკრომაძე ნარგიზა — ლექსები. № 3.
სულაბერიძე ლადო — უდაბნო და აჩრდილი ბერისა. პოემა. №5; ლექსები. № 11.
ფორჩხიძე შალვა — ლექსები. № 6, 12.
ფხოველი ჯარჯი — ლექსები. № 9.
ქავთარაძე გიორგი — ლექსები. № 1.
ქავთარაძე მარინე — გამოფენაზე. ლექსი. № 3.
ქვლივიძე მიხეილი — ლექსები. № 8.
ქინქლაძე ზაზა — ლექსები. № 12.
ქუთათელი ალექსანდრე — ლექსები. № 5.
შავლიაშვილი ბელა — ლექსები. № 3.
შალამბერიძე ოთარი — იოთამ ზედგინიძე. ლექსი. № 10.
შეთეკაური გიორგი — ლექსები. № 4.
შუბლაძე რუსუდანი — ლექსები. № 3.
ჩალაბაშვილი თემური — ლექსები. № 2.
ჩაჩუა მიხეილი — ლექსები. № 2.
ჩილაჩავა რაული — ლექსები. № 7.
ჩხიკვაძე ვანო — ლექსები. № 2; მივლინება 1974. ლექსი. № 10.
ცარციძე იზა — ლექსები. № 3.
წერეთელი ვერიკო — ლექსები. № 6.
წიკლაური მამუკა — ლექსები. № 4.
წიკლაური ხვთისო — ლექსები. № 9.
ხაპრიძე ნაზი — ლექსები. № 3.
ხარჩილავა ვახტანგი — ლექსები. № 8.
ხუციშვილი მარინე — ლექსები. № 3.
ჭედია ნაზი — ლექსები. № 3.
ჭელიძე ოთარი — საქართველო. კანტატა. № 5.
ჭუმბურიძე დოდო — ლექსები. № 4.
ჯალაღონია ნოდარი — ლექსები. № 6.
ჯანგულაშვილი თეიმურაზი — პარტიის სიტყვა. ლექსები. № 5. ლექსები. № 10.
ჯანელიძე ჯანო — ლექსები. № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაფარაშვილი ლალი — ლექსები. № 3.
ჯაჭვაძე იზა — წვიმა. ლექსი. № 3.
ჯახუა იმედი — ლექსები. № 2, 4.
ჯგუბურია მურმანი — ლექსები. № 5.
ჯოჯუა ტერეზა — არწივი. ლექსი. № 3.
ჯულუხიძე გრიგოლი — ლექსები. № 8.

## ნარკვევები ხუთწლედის დღეებზე

ფავლენიშვილი თინა — შირაქში და ალაზანზე. № 8.
ხერგიანი მირონი — საუბრობენ მწერალი და რაიკომის მდივანი. № 5.
ჯაჭვაძე იზა — თუშეთს სიცოცხლე უბრუნდება. № 8.

## 100 მიხეილ ჯავახიშვილი 100

ქარელიშვილი ერემია — ქართული სიტყვის დიდოსტატი. № 9, 10.
ჯავახიშვილი ქეთევანი — მამაჩემი. № 9.

## კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ავალიანი ლალი — „სიკეთესა და ბოროტებას შორის". № 1; ერთი ლიტერატურული ტურნეს გამო. № 8.
ავალიანი სერგი — რუსთაველის ნატურფილოსოფიური შეხედულებანი. № 7.
არაბული ამირანი — „ვინ შეაგროვებს ლექსებსა ჩემსა". № 10.
ბაქრაძე აკაკი — სევდა ისტორიისა. № 6; გაყიდენ სამოსელი და იყიდენ მახვილი. № 10.
ბენაშვილი გურამი — გუდამაყრის ხეობის სიზმრები. № 7
გვერდწითელი გურამი — საბჭოეთის მხარდამხარ მიაბიჯებს გმირები. № 5; ტრადიციულობაც, სიახლეც. № 7, 8, 9.
გვეტაძე მანანა — ტრაგიკული ბედის პოეტი. № 10.
გოგოლაძე თამარი — მარტოსულთა ბედის პრობლემა. № 11.
დავითიანი არჩილი — კ. გამსახურდია და ნაირის ქვეყანა. № 2.
დოიაშვილი თეიმურაზი — ვაჟა-ფშაველას ლექსი. № 3.
თურნავა სერგო — ანრი ბარბიუსი და ქართული კულტურა. № 7.
კალანდაძე ლავროსი — „მძიმე ჯვარის" გამო. № 10.
კაპანელი კონსტანტინე — მიხეილ ჯავახიშვილი. № 8.
კოდუა ედუარდი — ქართველი ფილოსოფოსი — მეკვლე აზროვნების სოციოლოგიისა. № 6.
კუკავა თამარი — არსენ ბულმაისის ძე — იოანე პეტრიწის პოეტური ტრადიციის გამგრძელებელი. № 7
ლეკვეიშვილი შოთა — ლევ ტოლსტოი და მისი ქართველი მეგობრები. № 8.
მამაცაშვილი ნოდარი — მითოსური ნაკადი ო. ჭილაძის რომანში. № 4.
მერკვილაძე ვლადიმერი — სახელოვანი გზა. № 5.
მეტრეველი როინი — ეროვნული განძის სალარო. № 9.
მჭედლიძე ბაბო — თამარ ერისთავი. № 7; ჩვენი საბავშვო მწერლები. № 9, 11.
მჭედლიძე გიორგი — საყურადღებო ჰიპოთეზა. № 6.
პაიჭაძე გალაკტიონი — „კატუშა" და ქართველი მეომრები. № 12.
ჟორდანია სულხანი — „მარადისობის კანონი". № 6.
რადიანი მალხაზი — გოტფრიდ კელერის ნოველები. № 4.
სარჯველაძე ზურაბი — „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების" ისტორიისათვის. № 6.
კაპბა რუსლანი — ახალი მთვარის შუქი. № 7.
ქეთელაური სულხანი — უსაფუძვლო ბრალდებათა ტყვეობაში. № 8.
ქუთათელი ალექსანდრე — გიორგი ლეონიძის ერთტომეული. № 11.
ღვინჯილია ჯანსული — მიწის ქვეშ მოგუგუნე წარსული. № 3; „მიდიოდა სხივი ხნულზე". № 6.
შავგულიძე ნუგზარი — მ. ჯავახიშვილის მოთხრობების კლასიფიკაციისათვის. № 3.
შელეგია მამუკა — გადამწყვეტი არჩევანი. № 1.
ჩიქოვანი მიხეილი — ლიტერატურამდელი პერიოდის ქართული ფოლკლორი. № 4.
ჩიჩუა შალვა — რომანი და თანამედროვეობა. № 2; ქართული საბჭოთა რომანის სამოცი წელი. № 5.
ჩიხლაძე ნინო — კატო მიქელაძე. № 2.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

**წერეთელი ნუგზარი** — ბარათაშვილი და თერგდალეულები. № 11.
**ხელაია მანანა** — ესეის წარმოშობის საკითხისათვის. № 12.
**ხუციშვილი სოლომონ** — ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის საბუთები. № 1.
**ჯავახიშვილი ქეთევანი** — არიფიონი. № 6.
**ჯაველიძე ელიზბარი** — აღმოსავლური პოეზიის ტიპოლოგიისა და შესწავლის მეთოდისათვის. № 4.
**ჯიბლაძე გიორგი** — ბესიკის პოეტური იდეალი. № 7; რიტმი პოეზიისა და რიტმი პოეზიაში. № 9.
**ჯიბუტი ვლადიმერი** — პოეტის კრიტიკული წერილები. № 12.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ

**ბერულავა ხუტა.** № 12; **კახიძე მედეა.** № 11; **კვიცარიძე დავითი.** № 11; **მაღრაძე ელგუჯა.** № 12; **ნიშნიანიძე შოთა.** № 11; **ჩარკვიანი ჯანსუღი.** № 12; **ჯიბლაძე გიორგი.** № 11.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲔᲑᲘ

**გვერდწითელი გურამი** — საქართველოთი იწყება დილა. (ჯანსუღ ჩარკვიანის დაბადების 50 წლისთავის გამო). № 11.
**ითონიშვილი ვალერიანი** — ღვაწლმოსილი მეცნიერი (გიორგი ჩიტაიას დაბადების 90 წლისთავის გამო). № 1.
**იმედაშვილი კობა** — მხმობი (ჭაბუა ამირეჯიბის დაბადების სამოცის წლის გამო). № 12.
**რატიანი პროკოფი** — მეცნიერი, მოღვაწე, ადამიანი (ქეთევან ლომთათიძის დაბადების 70 წლისთავის გამო). № 3.
**ფორჩხიძე დინარა** — შრომაში გახარჯული წლები (სიმონ არველაძის დაბადების სამოცი წლისთავის გამო). № 10.
**ღლონტი ალექსანდრე** — მერვე ათწლეულის გადასახედზე (შოთა ძიძიგურის დაბადების 70 წლისთავის გამო). № 7.

## ᲞᲝᲚᲔᲛᲘᲙᲐ

**თევზაძე გიორგი** — პასუხი შენიშვნების ავტორებს წიგნზე „რუსთაველის კოსმოლოგია“. № 1.

## ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

**ანთელავა ილია** — დადიანთა საგვარეულოს წარმოშობის საკითხისათვის. № 8.
**გაწერელია აკაკი** — ვეფხისტყაოსნის ორი სტროფის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი. № 12.
**ლომოური ნოდარი** — კვლავ ნოქალაქევისა და მითიური აიას იგივეობის შესახებ. № 12.
**მაჭარაძე ვალერიანი** — ერეკლე II-ის ურთიერთობა ქურთებსა და ასირიელებთან XVIII საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე. № 12.
**სვანიძე მიხეილი** — თავმოკვეთილი ოსმალო. № 11.
**ტიმინსკაიტე ვირგინია, პალმაიტი ლეტა** — საკუთარი სახელების ტრანსკრიფციისათვის. № 8.
**შანიძე აკაკი** — ნუ დავამახინჯებთ ქართულ ასოებს. № 6; ექვთიმე თაყაიშვილი. № 12.

## ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

**არველაძე ნათელა** — რუსთაველის სახელობისა... № 10.
**ლალიაშვილი გიორგი** — მეორე პერსონალური გამოფენა. № 12.
**ომიაძე იოსები** — მზიური პეიზაჟების ოსტატი. № 12.

## ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲜᲘ

**აბაშიძე ირაკლი** — ალფრედ კურელას გახსენება. № 8.
**ასათიანი ლევანი** — უბის წიგნაკიდან. № 1, 2, 3, 4.
**დურმიშიძე სერგი** — ნიკო მუსხელიშვილი. № 2; ალექსანდრე ოპარინის უკანასკნელი დღეები. № 9.
**ზლატკინი მარკი** — მწერალი და მოქალაქე. № 11.
**მეგრელიშვილი იოსები** — ფურცლები წარსულიდან. № 6.
**ქეთელაური სულხანი** — დიდი მგოსნის გახსენება. № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შანიძე აკაკი — იოსებ ყიფშიძე. № 3.
ძიძიშვილი ქუჯი — ბასილ მელიქიშვილის მოსაგონარი. № 7.

### წიგნების მიმოხილვა

ანთელავა ი. — ნაშრომი ზღვაოსნობის შესახებ ძველ საქართველოში. № 10.
აროშიძე კ. — „შეხვედრები ესენინთან". № 10.
ბუაჩიძე დ. — სიკეთის გაკვეთილები. № 4.
გრიგალაშვილი ნოდარი — ეტიუდები წინაპრებსა და თანამედროვეებზე. № 10.
ედილაშვილი ვ. — „თბილისი, მცხეთა". № 9.
ზედგინიძე კ. — მოთხრობები ბავშვის აღზრდაზე. № 5.
მრევლიშვილი მაყვალა — „დამიჯერე. № 11.
ნადარეიშვილი გიორგი — ნაშრომი IV—VII საუკუნეების ქართლის ცხოვრებაზე. № 6.
ნატროშვილი თამაზი — ხიდი, გადებული ჟამთა დინებაზე. № 7.
ქადაგიძე თ. — ფშაური დატირება. № 11; ათონი, ჯვარი, პეტრიწონი. № 12.
პოპიაშვილი ავთანდილი — წიგნი ზნეობაზე. № 11.
სიგუა ალექსანდრე — მართალი წიგნი. № 8.
სიგუა სოსო — დრო და პრობლემები. № 6.
სურგულაძე ივ. — უმნიშვნელოვანესი ისტორიული დოკუმენტი. № 4.
ღლონტი ალ. — „წყობილსიტყვაობის" ახალი გამოცემა. № 3; პირველი არქეოლოგიური ლექსიკონი. № 5.
ხათაშვილი სოლომონი — ვაინახური პოეზიის მცირე ანთოლოგია. № 8.
ხუციშვილი სოლომონი — ისტორიის აუცილებელი დასაყრდენი. № 3.
ჯახუა იმედი — „მივჩერებივარ ნათელს მიღმიერს". № 1.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

# „МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ